

გი დე მოპასანი

ლამაზი მეგობარი

ნაწილი პირველი თავი პირველი

ჟორჟ დეჟურუმ მოლარისგან ხუთი ფრანკის ხურდა მიიღო და რესტორნიდან გამოვიდა.

ბუნებით ტანადი, ნაუნტეროფიცრალი ჭაბუკი წელში გასწორდა, უღვაში მხედრულად აიგრიხა, შეგვიანებულ მოსადილეებს სწრაფად და გაკვრით გადახედა და ისეთი ლამაზი, ვაჟკაცური თვალი მოაფლო, რომელიც ქორის თვალივით უცებ იპყრობს ხოლმე ყოველივეს.

რესტორანში სამი ქალი იჯდა და სამივემ თვალი გააყოლა: მუსიკის შუახნის მასწავლებელმა — ბინძურმა და დაუდევრად დაეარცხნილმა, მუდამ შლაპამტვრიანმა, მუდამ მრუდეკაბიანმა, — და ორმა ბურჟუა დედაკაცმა, რომელთაც ქმრებიც თან ახლდნენ, ყველანი ამ იაფფასიან სასადილოს შეჩვეული მუშტრები იყვნენ.

როცა ჭაბუკი ტროტუარზე გამოვიდა, ერთხანს შედგა და ჩაფიქრდა, თუ რა ექნა, საით წასულიყო. 28 ივნისი იყო, ჯიბეში კი თვის ბოლომდე სწორედ სამი ფრანკი და ორმოცი სანტიმილა დარჩენოდა. ამ ფულით ორჯერ ისადილებდა, ან ორჯერ ისაუზმებდა. არჩევანი მასზე იყო, იანგარიშა: რადგან საუზმე ერთი ფრანკი და ათი სანტიმი დირდა, ხოლო სადილი — ერთნახევარი ფრანკი, გადაწყვიტა მხოლოდ საუზმე ეჭამა და ერთი ფრანკი და ოცი სანტიმი კიდევ დარჩებოდა. ამ ფულით საღამოთი პურით და ძეხვით დანაყრდებოდა და ბულვარებზე ორ ლუდსაც გადაჰკრავდა, ეს იყო მისი მთავარი ხარჯიც და საღამოს სიამეც. იანგარიშა და ნოტრ-დამ დე ლორეტის ქუჩაზე დაეშვა.

დაეშვა და ახლაც მაშინდელივით მიდიოდა, როცა ჰუსარის მუნდირი ეცვა, მკერდამოხნეჟილი და ოდნავ გალაჯული, თითქოს ეს-ეს არის ჩამოხტა ცხენიდანო, ხალხით სავსე ქუჩაში უხეშად მიაბოტებდა, გზას მხრებით იკაფავდა, მავალთ აწყდებოდა. მაგრამ გეზს მაინც არ იცვლიდა. საკმაოდ გაცვეთილი ცილინდრი ოდნავ წინ ჰქონდა ჩამოფხატული, მიდიოდა და ქუსლებს მიაბაკუნებდა. პირისახეზე ისეთი იერი ედო, თითქო ყველა და ყველაფერი ეზიზღებოდა — მავალებიც, შენობებიც და მთელი ქალაქიც — ამაყი იერი საღდათი ვაჟკაცისა, რომელიც უბრალო მოქალაქეებში მოჰყვა.

თუმცა სამოცფრანკიანი ტანისამოსი ეცვა, მაინც კოხტა იერი ჰქონდა — მყვირალი და ოდნავ ბეღითი, მაგრამ მაინც კოხტა. მაღალი, ჩასხმული, ქერა, თითქმის წითური იყო, აგრეხილი უღვაში თითქოს აჰქაფებოდა, თვალები — ცისფერი, ნათელი, პაწაწინა გუგებით. თმა — ხუჭუჭი და შუაზე გაყოფილი — ასეთი იყო ჟორჟ დეჟურუა, რომელიც ძალიან ჰგავდა ბულვარული რომანის მთავარ გმირს.

ზაფხულის ისეთი საღამო იყო, როცა პარიზს ჰაერი აკლია ხოლმე. აბანოსავით ცხელოდა და ღამის ბუღისგან ქალაქი და ქუჩები თითქოს ოფლში იწურებოდა. მარცვედის მიღების ხახებიდან შხამიანი სუნთქვა გამოდიოდა და ქუჩას ედებოდა, სარდაფებში ჩამალული სამზარეულოების საზიზღარი სუნი — ნარეცხისა და დამპალი ნარჩენების მყრალი სუნი — დაბალი ფანჯრებიდან ამოდიოდა და იქაურობას აყროლებდა.

პერანგის ამარა მეკარენი ჭიშკრების წინ ჩალის სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და ჩიბუხს აბოლებდნენ. მოთენთილი ადამიანები ნელა მოაბიჯებდნენ, ქუდები ხელში ეჭირათ.

ბულვარზე რომ გავიდა, ჟორჟ დეჟურუა ერთხელ კიდევ შეყოყმანდა: არ იცოდა, რა ექნა და სად წასულიყო.

ახლა სურვილი ჰქონდა, ელისეს მინდვრებზე გასულიყო, იქიდან კი ბულონის ტყეში გაეგლო და იქ, ტყის ჩრდილში, ცოტაოდენი სუფთა ჰაერი შეესუნთქა. მაგრამ ამავე დროს ერთი წყურვილიც ახრჩობდა — წყურვილი ქალზე ნადირობისა.

ჯერ არ იცოდა, როგორ და ვის შეხვდებოდა, მაგრამ აგერ, სამი თვეა იმ ქალს ყოველდღე ყოველ საღამოს ელოდებოდა. მართალია, თავისი სიღამაზისა და კოხტა ტანის წყალობით აქა-იქ უკვე რამდენჯერმე მოიპარა სიყვარული, მაგრამ ეს არ ჰყოფნიდა, მუდამ მეტისა და უკეთესის იმედი ჰქონდა.

ჯიბეცარიელი და სისხლამღვრეული, ქუჩის რომელიმე კუთხეში როგორც კი ვინმე მეძავს გაეხახუნებოდა, თავით ფეხებამდე აიწვებოდა: „წამომყვები, ლამაზო? — უჩურჩულებდნენ მეძავნი. მაგრამ ვერ მისდევდა: ფული არ ჰქონდა და, გარდა ამისა, სხვა რამესაც ეძებდა: სხვანაირ კოცნას, სხვანაირ დედაკაცს, არც ამდენად გაცვეთილსა და ვულგარულს.

დღურუას უყვარდა კახპებით სავსე ადგილები, მათი მოსაღებნი დარბაზები, ყავახანები და ქუჩები. უყვარდა მათ შორის ტორლიალი, მათთან ყბელობა, „შენ“-ობით ლაპარაკი, მათი მძაფრი სუნამოების შეყნოსვა და მათთან ახლო ყოფნა. რაც უნდა იყოს, ისინიც, სიყვარულის მონაზვნებიც, ქალები იყვნენ და ჟორჟ დღურუას სრულებითაც არ ეხამუშებოდა ეს მეძავები, როგორც თანდაყოლილი ზიზღით ეჯავრებათ ხოლმე ისინი ცოლშვილიან მამაკაცებს.

მადლენას ქუჩისკენ შეუხვია და სიცხისაგან ილაჯგაწვეცილ ბრბოს ტალღას აჰყვა. ხალხით გაჭედილი დიდი ყავახანები თითქო ტროტუარებზე გადმოდვრილიყო. მსმელი საზოგადოება ბრწყინვალე და კრიალა ფანჯრების შუქზე საქვეყნოდ გამოფენილიყო. ამ ხალხს პატარა მრგვალ ან ოთხკუთხა მაგიდებზე წითელი, მწვანე, ყვითელი და ყოველნაირი ფერის სითხით სავსე ჭიქები ედგა, ხოლო მინის გრაფინებში ჩაწყობილი, დიდრონი, კრიალა და გამჭვირვალე ყინული სუფთა, ანკარა წყალს აგრილებდა.

დღურუამ ნაბიჯს უკლო, რადგან უსმელობით ყელი უშრებოდა.

წყურვილი ახრჩობდა, წყურვილი ზაფხულის ღამისა. პირში ცივი სასმელის გემოც კი იგრძნო. მაგრამ ამ საღამოს თუნდ ორი ჭიქაც რომ დაეღია, ხვალ უპოვარ საუზმეზე ხელი უნდა აეღო და თვის დასასრულს ერთხელ კიდევ ეგრძნო უკვე მრავალჯერ ნაცადი შიმშილი.

„ათ საათამდე მოვიცადოთ და მერე ერთი ჭიქა ამერიკულ ყავახანაში დავლიოთ, — უთხრა თავის თავს და დაუმატა: — დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ მომწყურდა!“

მან გახედა მაგიდების ირგვლივ მსხდომთ, რომელთაც იმდენის დაღვევა შეეძლოთ, რამდენსაც მოისურვებდნენ. გახედა და ჩაიარა. კვლავ ყოჩაღად და მხიარულად მიაბიჯებდა, ყავახანებშიც იცქირებოდა, ყველას გარეგნობით, ტანისამოსით აფასებდა და თან ანგარიშობდა, ჯიბეში ვის რამდენი ფული უნდა ჰქონოდა.

ამ მოსვენებულს, გატყლარტყულ ხალხს რომ უმზერდა, გულში ბრაზი უგუბდებოდა. ჯიბეები რომ მოუჩხრიკოს, რამდენ ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს უპოვის! საშუალოდ თითოს ორი ლუიდორი მაინც ექნება. ყავახანაში, სულ ცოტა, ასი კაცი მაინც იქნებოდა. ასჯერ ორი ლუიდორი ოთხი ათას ფრანკს შეადგენს.

„ღორებო!“ — წაიჩურჩულა და ავარული გრეხით განაგრძო გზა. რომელიმე ამ „ღორისთვის“ სადმე კუთხეში, ბნელ ალაგას რომ მიესწრო, ღმერთმანი, უყოყმანოდ მოუგრეხდა კისერს — სწორედ ისე, როგორც დიდი აღლუმის დროს გლეხების ფრინველს უგრეხდა ხოლმე.

და ორი წლის სამსახური გაახსენდა აფრიკაში, აღჟირის სამხრეთით, პატარა სადარაჯოებზე, სადაც არაბებს ძარცვავდა ხოლმე. უცვბ ერთი თარეში მოაგონდა უღედელანის ტომის ქვეყანაში და სასტიკმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე. ამ თარეშმა სამი არაბი სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო დღურუას და მის მეგობრებს ოთხი ქათამი, ორი ცხვარი, ბაჯალლო ოქრო და ექვსი თვის საოხუნჯო მასალა მისცა.

რა თქმა უნდა, მოთარეშენი ვერ აღმოაჩინეს. არც უძებნიათ, რადგან არაბები სალდათების თითქმის ბუნებრივ დავლად მიანხდათ.

პარიზში კი სულ სხვა საქმეა, აქ არ შეიძლება ისე მარჯვედ ძარცვა-გლეჯა, ისიც რეგოლვერი რომ ხელში გეჭიროს, ხმალი გვერდზე გეკიდოს, როგორც იქ, სამოქალაქო სასამართლოსგან მოშორებითა და თავისუფალი თარეშით. იქ დღურუა სალდათის ყველა ულაგმო ინსტიტუტს გრძნობდა, იმ სალდათისას, რომელიც დაპყრობილ ქვეყანაში გაირყვნა. მხედარი ახლა სიამით იგონებდა უდაბნოში გატარებულ ორ

წელიწადს და ფიქრობდა: „ნეტა იქ დავრჩენილიყავი“. კეთილი, მაგრამ დაბრუნებისას ხომ უკეთესს მოელოდა!.. მერე რა მიიღო? კარგი ამბავი კი დაემართა, არა?

პირში ენა მოისვა და ოდნავ გააწლაკუნა, თითქო მისი გაშრობის დადასტურება უნდოდაო.

დაღლილ-დაქანცული ხალხი ირგვლივ კვლავ მიდი-მოდიოდა, ის კი ისევ ფიქრობდა: „აი, ნამდვილი ნახირი! ამ პირუტყვებს ყველას ჟილეტის ჯიბეში ფული მოეპოება!“ ის კი... ის კვლავ მავალებს აწყდებოდა და მხიარულად უსტვენდა. მის მიერ მხარნაკრავი მამაკაცები უკან იხედებოდნენ და რაღაცას ბურტყუნებდნენ, დედაკაცები კი იძახდნენ: „რა პირუტყვი ვინმეა!“

ვოლგეილის თეატრს აუარა და ამერიკული ყავახანის წინ შედგა. ფიქრობდა, შესულიყო და ერთი ჭიქით გაგრილებულიყო. მაგრამ სანამ შესვლას გადაწყვეტდა, განათებულ საათს შეხედა, რომელიც შუა გზაზე ბოძზე იდგა. ათის თხუთმეტი იყო. ვაჟი თავის თავს კარგად იცნობდა: დაუდგამენ თუ არა ერთ კათხა ლუდს, უმაღვე გადაყლაპავს, მერე კი რა ქნას თერთმეტ საათამდე?

გაიარა. „მადლენას ეკლესიამდე გავივლი, — უთხრა თავის თავს, — და ნელი ნაბიჯით დავბრუნდები“.

ოპერის ფორის კუთხეს რომ მიაღწია, ერთ ტანსრულ ახალგაზრდას შეეჯახა და უმაღვე ბუნდად გაახსენდა, რომ მისი სახე სადღაც ჰქონდა ნანახი. იმ უცნობს გაჰყვა. თავს ძაღლს ატანდა, ცდილობდა გაეხსენებინა და თავისთვის იმეორებდა: „დასწყევლოს ეშმაკმა, სად მინახავს ეს კაცი?“

ტვინს ძაღლს ატანდა, იქოთებდა, მაგრამ ვერ გაიხსენა. შემდეგ მესხიერების უცნაური ჟინის წყალობით ის ადამიანი უცებ თვალწინ დაუდგა: მაშინ ეს კაცი ნაკლებ მსუქანი იყო, უფრო ახალგაზრდაც და ჰუსარის მუნდირით გამოწყობილი, მოაგონდა და ხმამაღლა დაიძახა:

— მართლა, ფორესტიე უნდა იყოს!

ნაბიჯს უმატა და უნდოდა წინ მიმავლისათვის მხარეზე ხელი დაეკრა. უცნობი მობრუნდა, შეხედა და ჰკითხა:

— რა გნებავთ, ბატონო?

დღურუას გაეცინა.

— ვერ მიცანი?

— ვერა, ვერ გიცანით.

— ჟორჟ დღურუა ვარ, ჰუსართა მეექვსე პოლკიდან. გაგახსენდი?

ფორესტიემ ხელები გაშალა.

— ჰო, ჩემო კარგო, როგორა ხარ?

— მშვენივრად. შენ?

— მე კი კარგად ვერა ვარ, წარმოიდგინე, გული პაპიე-მაშედ გადამექცა.

წელიწადში ექვს თვეს ვახველებ, რადგან ოთხი წლის წინათ, დავბრუნდი თუ არა, მაშინვე გავცივდი ბუჟივალში.

— მართლა? კეთილი, მაგრამ იერი მაინც მშვენიერი გაქვს.

ფორესტიემ ძველ მეგობარს მკლავში ხელი გაუყარა და ლაპარაკი გაუბა. უამბო თავის ავადმყოფობაზე, დიაგნოზებზე, ექიმების რჩევა-დარიგებასა და ყველა იმ დაბრკოლებაზე, რომლებიც ხელს უშლიდა, მათ მიერ დანიშნული წამლობა შეესრულებინა. მათ ურჩიეს ზამთარი სამხრეთში გაეტარებინა, მაგრამ სად შეუძლია! ცოლი ჰყავს, ჟურნალისტია, მშვენიერი ალაგი უჭირავს.

— მე პოლიტიკური განყოფილების გამგე ვარ გაზეთ „საფრანგეთის ცხოვრებისა“. სენატის სხდომების ანგარიშებს ვაძლევ „ხსნას“ და დროგამოშვებით სალიტერატურო ქრონიკას ვაწვდი „პლანეტას“. როგორც ხედავ, გზა გავიკაფე.

დღურუა გაოცებული შესცქეროდა. ფორესტიე ძლიერ გამოცვლილიყო, ძლიერ შემწიფებულიყო, მისი სიარული, მიხრა-მოხრა და ტანისამოსიც მოგაგონებდათ დამჯდარ ადამიანს, საკუთარი ძალ-ღონის თავდამჯერს, ხოლო მუცლით — მაძდარს. უწინ გამხდარი იყო, თხელი, ჭირვეული და შფოთიანი, მუდამ მხიარული და მოძრავი. პარიზმა კი სამ წელიწადში სულ გამოცვალა: გაასუქა, დაადინჯა და, თუმცა ოცდაშვიდი წლისა ძლივს იქნებოდა, საფეთქლებში უკვე ჭაღარა გაურია.

— სად მიხვალ? — ჰკითხა ფორესტიემ.

— არსად, — მიუგო დღურუამ, — დავსეირნობ, სანამ შინ დავბრუნდებოდე.

— კეთილი. მაშ, იქნებ „საფრანგეთის ცხოვრების“ რედაქციამდე მიმაცილო? წერილს შევასწორებ, შემდეგ კი თითო ჭიქა ლუდი დავლიოთ.

— სიამოვნებით გამოგყვები.

და ხელიხელგაყრილები — ისეთი მსუბუქი სილამით წავიდნენ, როგორც ასე ადვილად იღვიძებს ხოლმე სკოლის მეგობართა და პოლკის უწინდელ თანამშრომელთა შორის.

— რას აკეთებ პარიზში? — ჰკითხა ფორესტიემ.

დღურუამ მხრები აიჩეხა.

— უბრალოდ რომ გითხრა, შიმშილით ვკვდები. სამსახური რომ გავათავებ, პარიზისაკენ წამოვედი... ბედის სამებნელად, უფრო კი საცხოვრებლად. აგერ ექვსი თვეა ჩრდილოეთის რკინიგზის სამმართველოში ვმსახურობ და წელიწადში ათას ხუთას ფრანკს ვიღებ, მეტი არაფერი.

— მაშ მსუქნად ვერ ყოფილხარ, — წაიხურჩულა ფორესტიემ.

— აგრეთა. მაგრამ მეტი როგორ ვიშოვო? მარტო ვარ. არც ნაცნობი მყავს, არც მფარველი. სურვილი დიდი მაქვს, შემიძლია კიდევაც, მაგრამ მოსარჩლე არავინა მყავს, რომ გზა მიჩვენოს.

მეგობარმა ისე შეათვალა თავითვე სამდე, თითქო აფასებდა, და დაჯერებული ხმით უთხრა:

— იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო? აქ ყველაფერი ფახით და რიხით კეთდება.

ხელმარჯვე და მოხერხებული კაცი მინისტრობას უფრო ადვილად იშოვის, ვიდრე საქმეთა მმართველის ალაგს. ოღონდ საჭიროა შთაბეჭდილება მოახდინო და არასოდეს არ ითხოვო. მაინც მაგაზე უკეთესი ალაგი როგორ ვერ იშოვე?

— ყველგან ვეძებ, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე, — მიუგო დღურუამ. — ამჟამად ზოგი რამ მაინც მეგულება. პელერენის მანეჟში მთხოვენ ცხენოსნობის მასწავლებლად შევიდე. სულ ცოტა, სამი ათას ფრანკს მომცემენ.

ფორესტიე შედგა.

— ათი ათასიც რომ მოგცენ, მაგ სისულელეს ნუ ჩაიდენ. ამ ნაბიჯით უცებ ჩაიკეტავ მომავლის კარს. ახლანდელ სამსახურში დამალული მაინცა ხარ. არავინ არ გიცნობს, და თუ ძალა შეგწევს, შეგიძლია გამოხვიდე და სხვა გზა იპოვო. მაგრამ თუ ცხენოსნობა დაიწყე, მაშინვე გათავდები. ეგ ხელობა უდრის მეტროლოგად დადგომას იმ სასტუმროში, სადაც მთელი პარიზი სადილობს. თუ ცხენოსნობას წარჩინებულთა და მათ შვილებს ასწავლი, არასოდეს ისინი თავიანთ ტოლად აღარ მიგჩინებენ. — გაჩუმდა, ცოტა ხანს დაფიქრდა და ჰკითხა: — ბაკალავრის გამოცდა ჩაბარებული გაქვს?

— არა. ორჯერ ჩამჭრეს.

— ეგ უმნიშვნელოა, რადგან კურსი უკვე გავლილი გაქვს. თუ ვინცობაა ციციერონზე ან ტიბერიუსზე ჩამოვარდა სიტყვა, დაახლოებით მაინც ხომ იცი, ვინ იყვნენ?

— ვიცი, დაახლოებით.

— ძალიან კარგი. მაგაზე მეტი არც სხვებმა იციან, გარდა ოციოდე უნიჭოსი, რომელთაც სხვა არაფერი შეუძლიათ. სულაც არ არის ძნელი ჰკვიან კაცად მოაჩვენო თავი. უმთავრესი ის არის, რომ უმეცრებაში არ დაგიჭირონ. მოხერხებული უნდა იყო, ძნელს მოერიდო, დაბრკოლებას მოუარო და საენციკლოპედიო ლექსიკონი დროზე იხმარო. ყველანი ბატებივით სულელები და თევზივით უმეცრები არიან.

ფორესტიე წყნარი ოხუნჯობით ლაპარაკობდა, რადგან ცხოვრებას იცნობდა, და თანაც გამგულ-გამომგულთ დიმილით ათვალა იერება. მაგრამ უცებ დაახველა და შედგა, რათა ხველა მოენელებინა. შემდეგ უიმედო ხმით განაგრძო:

— საშინელებაა, ეს ხველა ვერ მომიშორებია. შუა ზაფხულში ასეთი ხველა? კმარა! ამ ზამთარს მენტონაში მივდივარ სამკურნალოდ. რაც იქნება, იქნება! ჯერ სალი ჯანი და მერე დანარჩენი.

პუასონიერის ბუღვარზე გავიდნენ და ერთ დიდ მინის კარს მიაღწენენ. კარს უკან გაზეთი იყო გაკრული. სამი ადამიანი გაჩერებულიყო და კითხულობდა, კარის თავზე კივილივით პარპაშებდა აირით განათებული დიდი წარწერა: „საფრანგეთის ცხოვრება“. ვინმე გამგულელი ამ სიტყვებით განათებულ ალაგზე სიბნელიდან რომ გამოვიდოდა, უცებ ისე მკაფიოდ და ნათლად გამოჩნდებოდა, თითქო დღე ყოფილიყო, და ისევ წყვილადში ჩაინთქმებოდა ხოლმე.

ფორესტიემ კარი შეადო. „შემოდო“, — უთხრა და წინ გაუძღვა. დღურუაც აუყვა მდიდრულ და ჭუჭყიან კიბეს, რომელიც მთლიანად მოჩანდა ქუჩიდან, და ტალანში შევიდა. ორმა მსახურმა მის მეგობარს თავი დაუკრა. ფორესტიე ერთ ჭუჭყიან და მტვრიან ოთახში შეჩერდა. მისაღებ ოთახს ჰგავდა. კედლებზე აკრული ყალბი, გაცვეთილი, მწვანე ხავერდი ისე იყო დაჩვრეტილ-დალაქავებული, თითქო თავგებს გაუხრავთო.

— დაჯექი, — უთხრა ფორესტიემ, — ხუთ წუთში გამოვალ, — და მეორე ოთახში გავიდა,

რედაქციის სუნი იდგა — უცნაური, თავისებური, გამოუთქმელი. დღურუა უძრავად იჯდა. ოდნავ დაბნეული იყო, უფრო კი გაოცებული. დროგამოშვებით ვინმე სწრაფად გაუვლიდა წინ და სანამ დღურუა მის გასინჯვას მოასწრებდა, ის უკვე მეორე კარში გავარდებოდა. გამგელელი ან ახალგაზრდა თანამშრომელი იყო — საქმიანი იერით, ხელში რომ ქაღალდის ფურცლები უშირიალებოდა ხოლმე, ან ამწყობი, რომელსაც ტილოს ხალათის ქვეშ პერანგის საკმაოდ თეთრი საყელო და ხეირიანი შარვალი უჩანს. მათ ფრთხილად მიჰქონდათ ჯერ კიდევ სველი, ახლად დაბეჭდილი საკორექტურო ფურცლები.

ხანდახან ვინმე პატარა ბატონიც გაივლიდა ხოლმე. მეტისმეტად სუფთად ჩაცმული, წელში ძლიერ მოჭერილი სერთუკი ეცვა, შარვალზე ნამეტნავად ვიწრო ჰქონდა, ფეხსაცმელიც ნამეტნავ წვეტიანი — ალბათ, რეპორტიორები იყვნენ და ზემოურთა წრებიდან სადამოს ქრონიკა მოჰქონდათ.

სხვანაირი ხალხიც მოდიოდა: წარჩინებულნი, მედიდურები, მათ ისეთი აფრაგანიერი ცილინდრები ეხურათ, თითქოს მთელი კაცობრიობისაგან ამ ცილინდრებით სურდათ გამორჩეულიყვნენ.

ფორესტიე ისევ გამოჩნდა. ხელიხელგაყრილი მოსდევდა ვიდაცას — მაღალს, გამხდარს, ორმოციოდე წლისას, რომელსაც შავი ფრაკი ეცვა და თეთრი საყელო ეკეთა. მეტად შავგვრემანი იყო, თხელი უღვაში ზევით ჰქონდა აგრეხილი, ხოლო სახე — კმაყოფილი და კადნიერი.

— მშვიდობით, ძვირფასო მაცეტრო! — უთხრა ფორესტიემ.

მან ხელი ჩამოართვა:

— ნახვამდის, ჩემო კეთილო! — და კიბეზე დაეშვა, თან უსტვენდა და ღამაში წვრილი ჯოხი იდლით მიჰქოდა.

დღურუამ ჰკითხა:

— ეგ ვინ არის?

— ჟაკ რივალისა. არ გაგიგონია? განთქმული ქრონიკორია, დუელისტი, თავის კორექტურას გადახედა, გარენი, მონტელი და ეგ კაცი პარიზის საუკეთესო ქრონიკორები არიან. მახვილი კალამი აქვთ და თავიანთი საქმის დიდი მცოდნენიც არიან. კვირაში ორ წერილს გვაძლევს, წელიწადში ოცდაათ ათასს იღებს.

გამოსვლის დროს ერთ კაცს შეხვდნენ — მსუქანს, გრძელ თმის, ჭუჭყიანს. ქმენით ამოდიოდა კიბეზე. ფორესტიემ დაბლა დაუკრა თავი.

— ნორბერ დე ვარენია, — თქვა, — პოეტი, „მკვდარი მზის“ ავტორი. მაგისტრანა ხალხს ახლა დიდი ფასი აქვს. თითო მისი მოთხრობა სამასი ფრანკი გვიღირს, ხოლო ყველაზე დიდი ორას სტრიქონს არ აღემატება. აბა, შევიხედოთ „ნაპოლიტენში“, თორემ წყურვილი მახრჩობს!

მიუსხდნენ თუ არა მაგიდას, ფორესტიემ დაიძახა:

— ორი ლუდი! — და თავისი წილი კათხა ერთი მოყუდებით გადაყლაპა. დღურუა კი თითო ყლუპით სვამდა, თითქო იშვიათ ნექტარს სინჯავდა.

მისი მეგობარი გაჩუმდა, თითქო რაღაცაზე ჩაფიქრდა, და უცებ ჰკითხა:

— არ გინდა ჟურნალისტობა სცადო?

მან ჯერ გაოცებით გადახედა მეგობარს და შემდეგ მიუგო:

— მაგრამ მე... არასოდეს... არასოდეს არაფერი დამიწერია.

— მერე რა! დაიწყე, სცადე. მეც გამომადგებოდი, ცნობებს მომიგროვებდი, დავალებას შემისრულებდი, აქა-იქ გაგზავნიდი, ჯერჯერობით ორას ორმოცდაათ ფრანკს დაგინიშნავთ. სასიარულო ხარჯიც ჩვენი იქნება. გინდა დირექტორს მოველაპარაკო?

— რა თქმა უნდა, ძალიან მინდა.

— მაშ ყური მიგდე. ხვალ სადილად ჩემთან მოხვალ. ხუთი ან ექვსი სტუმარი მეყოლება, მეტი არა: გაზეთის პატრონი ბატონი ვალტერი, მისი ცოლი, ჟაკ რივალი, ნორბერ დეგარენი, რომელიც წელან გაჩვენე, და ჩემი ცოლის მეგობარი ქალი. მაშ შევეთანხმდით?

დღურუა ყოყმანობდა. დაიბნა, გაწითლდა. ბოლოს წაიხურჩულა:

— საქმე ის არის, რომ... ხეირიანი ტანისამოსი არა მაქვს.

ფორესტიე გაოცდა:

— ტანისამოსი არა გაქვს? დასწყევლოს ეშმაკმა! მეტად საჭირო რამ გკლებია. იცოდე, ჯობია პარიზში ლოგინი არა გქონდეს, ვიდრე ტანისამოსი.

მერე უცვებ ჟილეტის ჯიბე მოიხსრიკა, ოქროები ამოიღო, ორი ლუიდორი აიღო, ძველ ამხანაგს წინ დაუწყო და მეგობრულად უთხრა:

— როცა შეძლებ, დამიბრუნებ. ტანისამოსი ქირით აიღე, ან იყიდე და ნაწილ-ნაწილ გადაიხადე. ერთი სიტყვით, მოახერხე რამე და მეწვიე, რვის ნახევარზე, ფონტენის ქუჩა, 17.

გულაჩუყებულმა დღურუამ ფული აკრიფა და წაიბურტყუნა:

— ძალიან გულკეთილი ხარ... დიდად გმადლობ. დარწმუნებული იყავი, არ დამავიწყდება.

მეორემ შეაწყვეტინა:

— კარგი, კმარა, კიდევ დავლიოთ? — და დაიძახა: — გარსონ, ორი ლუდი!

შემდეგ, როცა დალიეს, ჟურნალისტმა ჰკითხა:

— გინდა, ერთი საათი კიდევ ვიხეციალოთ?

— რასაკვირველია, მინდა.

და ისევ მადლენის ქუჩისკენ წავიდნენ.

— ახლა სად წავიდეთ, როგორ გავატაროთ დრო? — ჰკითხა ფორესტიემ. — ამბობენ, ბორიალის მსურველი პარიზში გასართობს მუდამ იშოვისო. მართალი არ არის. სადამოლობით სახეციალოდ რომ გამოვალ ხოლმე, არასოდეს ვიცი, სად წავიდე. ბულონის ტყე კარგი გასართობია, თუ ქალიც მიგყავს, ქალი კი მუდამ როგორ გეყოლება გვერდით. კაფე-შანტანში მარტო ჩემი ფარმაცევტი და მისი მეუღლე თუ იპოვიან სიამოვნებას, მე კი — არასოდეს. მაშ რა ვუყო, რაღა დამრჩა? არაფერი. მონსოს მსგავსი საზაფხულო ბაღი მაინც გააშენონ, რომ დიღამდე ღია იყოს, რომ საუკეთესო მუსიკა ისმინო და ხეების ქვეშ გრილი რამ დალიო. ასეთი ალაგი სამხიარულო კი არ უნდა იყოს, არამედ დროს გასატარებელი. ღამაში ქალების მოსაზიდად შესასვლელი ფასიც ძვირი უნდა იყოს. ქვიშამოყრილ ხეივნებში ვივლიდით. ირგვლივ ყოველივე ელექტრონით იქნებოდა გაშუქებული. როცა მუსიკის მოსმენას მოვისურვებდით, ახლოს ან შორს დაესხდებოდით. ოდესღაც მიუზარს ჰქონდა მსგავსი ბაღი, მაგრამ იქ ყველაფერს ვულგარული იერი ედო და მეტად ხშირად უკრავდნენ ხოლმე საცეკვაოს. არ არსებობდა საკმაო დიდი ალაგი, საკმაო ჩრდილი და საკმაო ბინდი. საჭიროა მშვენიერი ბაღი, ძალიან დიდი ბაღი. დიდებული რამ იქნებოდა. თქვი, ახლა სად გინდა წასვლა?

დღურუა გაშტერებული იყო. არ იცოდა, რა პასუხი მიეცა. ბოლოს გადაწყვიტა:

— ფოლი-ბერჟერი ჯერ არ მინახავს. დიდი სიამოვნებით გავივლიდი.

— ფოლი-ბერჟერი? — წამოიძახა ფორესტიემ. — იქ ერბო-კვერცხივით მოვიხრაკებით. თუმცა — იყოს ნება შენი! იქ მუდამ იპოვება მოსალხენი.

და ფეხის ქუსლებზე მოტრიალდნენ ფობურ-მონმარტრის ქუჩაზე ასასვლელად.

შენობის ფასადი დღესავით იყო განათებული და მის წინ გაშლილ ოთხივე ქუჩაზე ძლიერ შუქს ისროდა. ეტლების გრძელი რიგი მუშტრის გამოსვლას ელოდებოდა.

ფორესტიე შევიდა. დღურუამ შეაჩერა:

— ბილეთების ყიდვა დაგვაავიწყდა.

მან მედიდურად უპასუხა:

— ვინც მე მომყავს, ფულს არ იხდის.

რომ შედიოდნენ, ფორესტიეს სამივე კონტროლიორმა საღამო მისცა.

ჟურნალისტმა ჰკითხა:

— ერთი კარგი ლოჟა გექნებათ?

— რა თქმა უნდა, ბატონო ფორესტიე.

კუპონი გამოართვა, ტყავადაკრული კარები შეაღო და ორივენი დარბაზში შევიდნენ.

ირველივე ყველანი სიგარებსა და პაპიროსებს ეწეოდნენ და მათი ბოლი მსუბუქი ნისლივით იდგა დარბაზის ბოლოში, მის შორეულ კუთხეებში და სცენაზე. იგი თხელი, თეთრი ჭავლებივით ადიოდა ზევით და ვრცელი გუმბათის ქვეშ გროვდებოდა. ხალხით გაჭედული ქანდარის პირველი რიგის ზემოთ ეკიდა უზარმაზარი ჭაღი, რომელიც ღრუბლით შემოსილ მზეს ჰგავდა.

შესასვლელი კარიდან მრგვალ, დიდ და ღია ოთახამდე ფართო ტალანი მიდიოდა. იმ ოთახში მამაკაცთა მუქ ტალღაში ნიადაგ დაბორიანებენ გამოპრანჭული დედაკაცები, ხოლო ტალანში ქალების მეორე ჯგუფი ახალმოსულებს ელოდება: ეს ქალები ჩამწკრივებულიყვნენ ერთ-ერთ დახლთან, სადაც სამი მეტად მწიფე და ფერ-უმარილით შეგლესილი ქალი სასმელსა და სიყვარულს ჰყიდა. ქალების უკან მაღალ სარკეებში მათი ზურგები და გამვლელები მოჩანდა.

ფორესტიე სწრაფად მიარღვევდა ბრბოს და იმ ადამიანივით მიიწვედა წინ, ვისაც პატივის უფლება აქვს ხოლმე. კაპელდინერ ქალს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— სად არის მეჩვიდმეტე ლოჯა?

— აქეთ მობრძანდით, ბატონო.

და ორივე სტუმარი ხის პატარა და ღია ყუთში ჩაჰკეტა. იგი წითლით იყო აკრული. გვერდივერდ იმავე ფერის ოთხი სკამი იდგა. მათ შორის ძლივს გაივლიდი. მეგობრები დასხდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებული იყო ასეთივე გალიების წყება, რომელიც ორივე მხრიდან სცენას ებჯინებოდა. სხვა გალიებშიც სტუმრები ისხდნენ და მხოლოდ თავი და მკერდი უჩანდათ.

სცენაზე სამი ახალგაზრდა ვაჟი გამოსულიყო: მაღალი, საშუალო და დაბალი. სამივეს ტრიკო ეცვა და რიგ-რიგად ტრაპეციაზე ვარჯიშობდნენ.

ჯერ მაღალი გამოვიდა. ღიმილით, მოკლე და სწრაფი ნაბიჯით წინ წამოდგა და ხელით საზოგადოებას ისეთი საღამი მიუძღვნა, თითქო კოცნას უგზავნიდა. ტრიკოს ქვეშ ხელ-ფეხის კუნთები უჩანდა. დიდი მუცელი რომ მიეჩქმალა, მკერდს ირკალავდა. გარეგნობით პარიკმახერს ჰგავდა, რადგან თმა სწორედ შუაზე ჰქონდა გაყოფილი. სხარტად შეხტებოდა ხოლმე ტრაპეციაზე, ხელებზე ჩამოეკიდებოდა და ეტლის თვალისვით ტრიალებდა. ან კიდევ სწორად გაშვერილი ხელებით ჰორიზონტულად გაიჭიმებოდა, ჰაერში უძრავად იყო გაშოტილი და უძრავ სვეტზე ერთადერთ საბჯენად მხოლოდ საკუთარი ძვლების ძალადა ჰქონდა.

შემდეგ ისევ ჩამოხტა, ხალხს ღიმილით ხელახლა თავი დაუკრა და, ტაშით გაცილებული, სცენის სიღრმეში შევიდა, თან ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ფეხის კუნთებს ააშკარავებდა.

მერე მეორე გამოვიდა, უფრო დაბალი და მკვრივი, და იგივე სავარჯიშო გაიმეორა. მესამემაც იგივე შეასრულა და ტაშით მოიპოვა.

დღურუას წარმოდგენა არ აინტერესებდა. თავი უკან მიებრუნებინა და ფოიესკენ იხედებოდა, რომელიც მამაკაცებითა და როსკიპებით იყო სავსე.

ფორესტიემ მოიხედა და დღურუას უთხრა:

— თვალი გადაავლე პარტერს. მარტო ბურჟუები არიან თავიანთი ცოლ-შვილით. ტუტუცები, აქაურობის სანახავად მოსულან. ლოქებში ბულვარელები, ზოგიერთი მხატვარი და საშუალო ქალები არიან, ჩვენს უკან ყოველნაირი ნაზავია ხალხისა, რომელიც პარიზში უხვად მოიპოვება. ვინ არის ეს ხალხი? დააკვირდი: ვინც გინდა, ყველას აქ ნახავ, ყოველ ხელობისას და ყოველ წოდებისას, მაგრამ ისევ მოქიფე სჭარბობს. აგერ მოსამსახურენი — ბანკების, მაღაზიების, სამინისტროების. აი, რეპორტიორები, სუტენიორები, სამოქალაქო ტანსაცმლიანი აფიცრები, ფრაკიანი ფრანტები, რომელთაც დუქნებში ისადილეს, ოპერაშიც შეიხედეს და შემდეგ, აქედან რომ გავლენ, იტალიელებთანაც შეხვდებით, და აგრეთვე უამრავი საეჭვო ხალხი, ისეთი ხალხი, რომ ვერ იტყვი, ვინ არის და რით ცხოვრობს. დედაკაცები კი ერთ ყალიბზე არიან გამოჭრილი: ამერიკულ ყავახანაში სადილობენ, თავიანთ თავს ორიოდვე ლუიდორად ჰყიდიან, უცხოელებს ხუთიოდე ლუიდორისთვის დასდევენ და, როცა თავისუფალი დრო აქვთ, თავიანთ მუდმივ მუშტარს იბარებენ. ექვსი წელიწადია ყველანი ამ ქალებს იცნობენ და ყოველ საღამოს, მთელ წელიწადს, ერთსა და იმავე ალაგას ხედავენ — გარდა იმ დროსი, როცა ისინი ჰიგიენური მიზეზების გამო სენ-ლაზარში ან ლურსინში გადადიან ხოლმე.

დღურუა ყურს აღარ უგდებდა. ერთი ამ ქალთაგანი მათ ლოჟას დაებჯინა და მას ათვალიერებდა. მსუქანი, შავგვრემანი, მაგრამ ფერ-უმარილით გათეთრებული დედაკაცი იყო. მოგრძო, ხელოვნურად ამოშავებული თვალები და ხელითვე დახატული ვეება წარბები ჰქონდა. მეტად სავსე ძუძუებს მუქი გულისპირი გამოებერთ, იარასავით წითელი ტუჩები მას პირუტყვის იერს აძლევდა — ავხოშიანსა და ნაჭარბებს, მაგრამ მაინც სანდომიანსა და მიმზიდველს.

მან შორიასლოს გავლილ მეგობარ ქალს, მსუქანსა და ქერას, თავის ჩაქნევით დაუძახა და ხმამაღლა, რათა მისი ნათქვამი ლოჟაშიც გაეგონათ, უთხრა:

— შეხედე, რა ლამაზი ვაჟკაცია! თუ ათი ლუიდორი გაიმეტა და მომინდომა, უარს არ ვეტყვი.

ფორესტიემ მოიხედა, გაიღიმა და ჟორუს მუხლზე ხელი დაჰკრა:

— მეგობარო, ქალებში გასავალი გქონია. მომილოცავს.

ნაუნტერაფიცრალი გაწითლდა და თითები უნებურად ჟილეტის ჯიბეზე მოიცაცუნა, სადაც ორი ოქრო ელო.

ფარდა ჩამოშშვეს. ორკესტრმა ვალსი დაუკრა.

— იქნებ ცოტაოდენი გავიაროთ? — თქვა დღურუამ.

— როგორც გენებოს.

გამოვიდნენ და უმაღლე მოსეირნეთა ტალღებში ჩაცვივდნენ. ორივეს აწვებოდნენ, მუჯღუგუნებს ჰკრავდნენ, ჭყლეტდნენ, გეზს ურევდნენ, ისინი კი ძლივს მიიწვედნენ და შლაპების ტყის გარდა ველარაფერს ხედავდნენ. ქალები მამაკაცთა ხროვაში წყვილ-წყვილად მოდიოდნენ, ადვილად აპობდნენ და ნიდაყვებს, მკერდებსა და ზურგებს შორის ისე მარდად, შინაურულად სხლტებოდნენ და ხვადების ნაკადში თავიანთ თავს ისე ლაღად გრძობდნენ, როგორც თევზი წყალში.

დღურუა აღტაცებული იყო და მთვრალივით ისრუტავდა ჰაერს — მოშხამულს თამბაქოს ბოლით, ადამიანის ტანის სუნით და ურცხვი ქალების ნელსურნელებით.

ფორესტიე კი ოფლში იწურებოდა, ქმინავდა და ახველებდა.

— ბაღში გავიდეთ, — უთხრა დღურუას.

მარცხნივ შეუხეიეს და გავიდნენ ჩაკეტილ ბაღში, რომელსაც ორი უშნო შადრევანი აგრილებდა. დიდ კასრებში ბიოტები და ურთხელები იდგა. ამ ხეების ქვეშ, ლითონის მაგიდებთან, ქალები და მამაკაცები ისხდნენ და გასაგრილებელს სვამდნენ.

— თითო ლუდი კიდევ დავლიოთ? — იკითხა ფორესტიემ.

— დიდი სიამოვნებით.

დასხდნენ და მოსეირნე საზოგადოებას თვალი გააყოლეს. დროგამოშვებით რომელიმე დედაკაცი შედგებოდა და უგვანი ღიმილით სთხოვდა ხოლმე მათ:

— ბატონებო, ხომ არ დამპატიებთ?

ფორესტიე უპასუხებდა:

— აგერ, იმ აუზიდან ჭიქა წყალი ინებეთ.

— აი, ნამდვილი ღორი, — ბურტყუნებდა ქალი და შორდებოდა.

შავგვრემანი, სქელი ქალი, წედან რომ ლოჟაზე იყო მიყუდებული, ხელახლა გამოჩნდა. მეორე, ქერა და მსუქანი, ხელიხელგაყრილი მოჰყავდა და რიხიანად მოდიოდა. მართლაც, მშვენივრად შერჩეული, ჯიშისანი ქალების წყვილი იყო.

დღურუა რომ დაინახა, ისე გაუღიმა, თითქო მათ თვალებით რაღაც საიდუმლო და ნაჩუმარი უკვე ეთქვათ ერთმანეთისთვის. სკამი აიღო, დღურუს მაგიდას არხეინად მიუჯდა, მეგობარიც მოისვა და შესძახა:

— გარსონ, ორი გრენადინი!

გაოცებულმა ფორესტიემ უთხრა:

— ნამუსიც კარგი საქონელია, ქალბატონო!

— შენი მეგობრის ბრალია, — უპასუხა შავგვრემანმა. — ლამაზი ვაჟკაცია.

ღმერთმანი, გამაგიჟებს.

ალანძულმა დღურუამ არ იცოდა, რა ეთქვა. ხუჭუჭი უღვაში აიგრიხა და დაბნეულად გაიღიმა. ლაქიამ სიროფი მოიტანა. ქალებმა უცებ გადაყლაპეს და წამოდგნენ. შავგვრემანმა დღურუას მეგობრულად ჩაუქნია თავი, მარაო ხელზე ოდნავ დაჰკრა და უთხრა:

— გმადლობ, ჩემო ფისუნი. ვწუხვარ, რომ ენა არა გქონია.

და ორივენი გავების რხევით წავიდნენ.

— მეგობარო, ქალებში მართლა დიდი გასავალი გქონია, — გაიცინა ფორესტიემ, — ისარგებლე. შეიძლება, შორს წახვიდე.

გაჩუმდა და შემდეგ ისე თქვა, თითქო თავისთვის ხმამაღლა ფიქრობდა:

— საუკეთესო გზაც ეგ არის.

და რადგან დეურუა ისევ ჩუმად იდმებოდა, ჰკითხა:

— კიდევ დარჩები? მე მეყოფა. წავალ.

დეურუამ წაიბურტყუნა:

— ჰო, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები. ჯერ გვიანი არ არის.

ფორესტიე წამოდგა:

— მაშ მშვიდობით იყავი. ხვალამდე. არ დაივიწყო: ფონტენის ქუჩა, ჩვიდმეტი, რვის ნახევარზე.

— უსათუოდ. ხვალამდე. მადლობელი ვარ.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ჟურნალისტი წავიდა.

დაშორდა თუ არა მეგობარი, დეურუამ თავისუფლება იგრძნო და ჯიბეში ორ ოქროს ხელახლა სიამით მოუცაცუნა. მერე წამოდგა, ხალხში გაერია და გულდასმით დაუწყო სინჯვა.

მაღე ორივე დედაკაცი შეამჩნია, შავგვრემანიც და ქერაც, რომელნიც ისევ ამაყი გლახების იერით დადიოდნენ. პირდაპირ იმათკენ გასწია, მაგრამ რომ მიუახლოვდა, ისევ დაიბნა.

შავგვრემანმა ჰკითხა:

— ჰა, რა ჰქენი, ენა იპოვე?

დეურუამ წაიბურტყუნა:

— დასწყევლოს ღმერთმა! — და მეტი ვეღარაფერი თქვა.

სამივენი ისევ ისე იდგნენ, როგორც შესდგნენ, და გეზი შეუცვალეს ხალხს, რომელიც ამ ჯგუფს ირგვლივ უვლიდა. მაშინ შავგვრემანმა უბრალოდ ჰკითხა:

— წამომყვები?

დეურუა სურვილისგან თრთოდა და უკმეხად მიუგო:

— მინდა, მაგრამ ერთ ლუიდორზე მეტი არ მაქვს.

ქალმა გულგრილად უპასუხა:

— არა უშავს რა.

და დავლასავით მოჰკიდა ხელი.

როცა მიდიოდნენ, დეურუა ფიქრობდა, რომ დანარჩენი ოცი ფრანკით ხვალინდელი სადილისთვის ადვილად იქირავებდა ფრაკს.

თავი მეორე

— ბატონი ფორესტიე აქა ცხოვრობს?

— მეოთხე სართული, მარცხნივ, — უპასუხა მეკარემ ზრდილობიანი კილოთი, რომელშიც მობინადრისადმი პატივი ისმოდა. ჟორჟ დეურუა კიბეზე ავიდა.

ოდნავ მორცხვობდა, დაბნეული იყო და უხერხულობას გრძნობდა, ფრაკი თავის სიცოცხლეში პირველად ჩაეცვა და ამ ტანისამოსის საერთო იერი აწუხებდა.

ყველაფერს ნაკლი ჰქონდა: ფეხსაცმელი საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ ულაკო, დეურუა კი ფეხს მუდამ ანებივრებდა და ღამაზად ინახავდა. არც გახამებული პერანგი ვარგოდა, დღეს დილით ლუერში რომ იყიდა ოთხ-ნახევარ ფრანკად. საყელო მეტად თხელი იყო და უკვე დაიჭმუჭნა. დანარჩენი პერანგები, ყოველდღე რომ ატარებდა, საკმაოდ გაცვეთილი იყო და, მათ შორის საუკეთესოც კი, აღარ ვარგოდა.

მეტად განიერი შარვალი ფეხებს კარგად ვერ გამოსახავდა, თითქო წვივზე ნაოჭდებოდა და საკმაოდ ნაცვამის იერი ჰქონდა, ის იერი, რომელიც ადასტურებდა, რომ შარვალი შემთხვევით იყო ნაყიდი და უცხო ტანზე იყო შეკერილი. მარტო ფრაკი ედგა ხეირიანად, რადგან მაღაზიაში სწორედ მისი ზომისა უპოვეს.

კიბეზე ნელა ადიოდა, ოდნავ შიშით შეპყრობილი. გული უცემდა. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, ვინმესთვის სასაცილო არ ყოფილიყო. უცებ პირისპირ წააწყდა ერთ ღამაზად ჩაცმულ კაცს, რომელიც მას ათვალიერებდა. უკვე იმდენად მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ დეურუამ უკან დაიხია და გაოცებული შედგა, თავისი თავი იცნო, საკუთარი თავი დაინახა მაღალ სარკეში, რომელიც მეორე სართულის ბაქანზე იდგა და გრძელი დერეფნის ღანდსა ჰქმნიდა. დეურუა უცბად მოზღვავებული

სიხარულით აკანკალდა, რადგან იგი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე აქამდის ეგონა.

ვინაიდან შინ მხოლოდ პაწაწინა სარკე ჰქონდა ულვაშებისთვის, თავის შეზავებულ ტანისამოსს მხოლოდ ნაწილ-ნაწილ ხედავდა, იმასაც უვარგისად, ამიტომ ყოველ მცირე მანკს აზვიადებდა და შიშისაგან თავბრუს ეხვეოდა, რომ უშნოდ არავის მოსჩვენებოდა.

ახლა კი თავისი თავი მოულოდნელად სარკეში დაინახა და ვერც კი იცნო. სხვა ვინმედ მოეჩვენა, წარჩინებულ ადამიანად მოელანდა, რომელიც, ერთი შეხედვით, საუცხოოდ იყო ჩაცმული.

შემდეგ არტისტივით თავისი ორეულის შესწავლას შეუდგა: იღიმებოდა, ხელს იშვერდა, იმანჭებოდა, სახავდა გაოცებას, სიამეს, მოწონებას და ეძებდა ღიმილისა და თვალის ყოველნაირ იერს, რათა ქალებს ლამაზ ვაჟკაცად მოჩვენებოდა და ეგრძობინებინა, რომ თვითონაც მოსწონდა ისინი და სურდა კიდევ.

ზევით კიბეზე კარი გააღეს. შეეშინდა, რომ მანჭიობაზე არ მიესწროთ, და სწრაფი ნაბიჯით აჰყვა კიბეს, თან ეჭვობდა, ვინმე სტუმარმა ხომ არ დაინახა, როცა სარკის წინ იპრანჭებოდა.

ერთი სართულიც რომ აიარა, მეორე სარკე შენიშნა და ნაბიჯი შეანელა, რათა თავისი თავისთვის ერთხელ კიდევ შეეგლო თვალი. გასინჯა და მეტად ლამაზი მოეჩვენა. კოხტა სიარული ჰქონდა. უცებ საკუთარი თავისადმი უსაზღვრო ნდობით განიმსჭვალა. ლაპარაკი არ უნდა, ასეთი ტანით, შეუპოვრობით, ასეთი თავნება ხასიათით დეურუა თავისას გაიტანს. როცა მეოთხე სართულზე აღიოდა, უკვე სირბილის და ხტუნვის ჟინმა შეიპყრო. მესამე სარკის წინაც შეჩერდა, ნაჩვევი ფანდით ულვაში შეისწორა, ცილინდრი მოიხადა, თმაზე ხელი მოისვა და თავისებურად დაბალი ხმით წარმოთქვა:

— სარკე მშვენიერი გამოგონებაა. — შემდეგ ხელი გაიშვირა და ზარი ჩამორეკა.

კარი თითქმის უმაღლეს გაუღეს და დეურუა აღმოჩნდა მედიდური, გაპარსული ლაქიის წინ, რომელსაც ლაკიანი ფესსაცმელი და შავი ტანისამოსი ეცვა. მას ისეთი საუცხოო მიხრა-მოხრა ჰქონდა, რომ ახალმოსული ხელახლა დაფრთხა, და თვითონაც არ იცოდა, რად და საიდან მოერია ეს გრძობა: იქნებ იმიტომაც, რომ მან უნებურად შეადარა თავისი და იმ მსახურის ტანისამოსი. დეურუას ხელით ეჭირა პალტო და ეშინოდა, მისი ლაქები არ გამოჩენილიყო. ლაქიამ ჩამოართვა და ჰკითხა:

— როგორ მოვახსენო?

და გადახსნა სასტუმრო ოთახის მძიმე ფარდა, საცა დეურუა უნდა შესულიყო, და მისი გვარი დაასახელა.

დეურუამ უცებ დაკარგა ფახი და იგრძნო, რომ რაღაც სიძაბუნემ შეიპყრო. სული შეუგუბდა, სწორედ მაშინ შეუგუბდა, როცა პირველი ნაბიჯი უნდა შეედგა ახალ ცხოვრებაში, რომელსაც ასე მოელოდა და რაზეც ამდენს ოცნებობდა.

მაინც შევიდა. ახალგაზრდა ქერა ქალი ზეზე იდგა და ელოდებოდა. მარტო იყო დიდ და ნათელ ოთახში, რომელიც ორანჟერეასავით ყვავილებით იყო სავსე.

დეურუა სულ დაიბნა და უცებ შედგა, ვინ არის ეს ქალი, მას რომ უდიდის? შემდეგ გაახსენდა, რომ ფორესტიე ცოლიანი იყო. „მაშ ეს ლამაზი, მოხდენილი ქერა დედაკაცი მისი მეგობრის ცოლი იქნება“. ამ აზრმა საბოლოოდ გააშეშა.

— ქალბატონო, მე გახლავართ... — წაიღულულა დეურუამ.

— ვიცი, ბატონო, — გააწყვეტინა და ხელი გაუწოდა, — შარღმა თქვენი წუხანდელი შეხვედრა მიაბო, მე დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ ბედნიერი აზრი დაებადა, რომელმაც დღეს ჩვენთან მოგიყვანათ სადილად.

სტუმარი ყურებამდე გაწითლდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, და იმავე დროს გრძობდა, რომ დიასახლისი მას თავით ფეხამდე ათვალთვლებდა, სწავლობდა, აფასებდა.

დეურუას სურვილი აწვალებდა — ბოდიში მოეხადა და თავისი ტანისამოსის ურიგობა გაემართლებინა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა და ვერც გაბედა ამ უსიამოვნო საგანს მიჰკარებოდა.

დიასახლისმა სკამი უჩვენა. დეურუა ჩამოჯდა და, როცა იგრძნო, რომ მის ქვეშ სკამის მოქნილი და ნაზი ხავერდი ჩაიზნიქა, როცა იგრძნო, თუ როგორ მიიღო მან იგი, როგორ ჩაიწია და მოეხვია, როგორი სილბილით მოაწვა მას სკამის ფუნქულა ზურგი და ფონები, დეურუას მოეჩვენა, თითქოს ახალ და საუცხოო საცხოვრებელში შევიდა,

თითქოს ის რაღაც საამური დაიპყრო, თითქოს თვითონაც ვინმედ გადაქცეულიყო და გადარჩენილიყო. დღურუამ ახედა ქალბატონ ფორესტიეს, რომელიც მას თვალს არ აშორებდა.

ღიასახლისს ეცვა ცისფერი ქიშმირის კაბა, რომელიც მის მოქნილ ტანსა და საესე მკერდს მკაფიოდ ჰკვეთავდა, მისი ყელის და ტიტველი მკლავების ხორცი თითქოს ამოდლიდა თეთრი არშიების ქაფიდან, რომელიც გულისპირს და მოკლე სახელოებს ჰქონდათ შემოვლებული. თმა მადლა ჰქონდა აწნული, კეფაზე ოდნავ ეხვეოდა და კისერთან ბაცი და მსუბუქი ღინღლივით იღრუბლებოდა.

მისი მზერის წყალობით დღურუას გამბედაობა ემატებოდა, ის კი არ იცოდა, რატომ ემატებოდა. ეს მზერა მოაგონებდა მზერას მეორე დედაკაცისას, რომელიც გუშინ, ფოლი-ბერჟერში გაიცილა. თვალები ჭროლა ჰქონდა, ცისფერ ანარეკლიანი, რომელიც მას რაღაც თავისებურ იერს აძლევდა. ცხვირი — თხელი, ტუჩები — მსუქანი, ნიკაპი — ოდნავ სრული, ხოლო სახე — უსწორო, სამაგიეროდ, ჯადოსნური, აღერსიანი და მზაკვრული. ზოგიერთი ქალის სახის ყოველ ხაზს აქვს თავისებური მშვენიება, რომელიც საესეა ხოლმე იღუმადებით; ყოველ მის მოძრაობაში რაღაც ნაუბარი და ნაჩუმარი ლივლივებს. ქალბატონ ფორესტიეს სწორედ ასეთი სახე ჰქონდა. მან მცირე დუმილის შემდეგ დღურუას ჰკითხა:

— დიდი ხანია პარიზში ბრძანდებით?

დღურუა თავისთავს თანდათან იპყრობდა.

— სულ რამდენიმე თვე იქნება, — უპასუხა. — რკინიგზების სამმართველოში ვმსახურობ. მაგრამ ფორესტიემ იმედი მომცა, რომ მისი დახმარებით შეიძლება ჟურნალისტად გადავიქცე.

ღიასახლისმა უფრო საამურად გაიღიმა და დაბალი ხმით უთხრა:

— ვიცი.

ზარი ხელმეორედ დარეკეს. მსახურმა მოახსენა:

— ქალბატონი დე მარელ.

პატარა შავგრემანი დედაკაცი შემოვიდა. მსუბუქი ნაბიჯით მოდიოდა. შავი და მეტად სადა კაბა ეცვა, რომელიც ტანზე მჭიდროდ შემოეწკიპა და დახატულ სურათს ჰგავდა. თვალს მხოლოდ თმაში ჩართული წითელი ვარდი იტაცებდა, რომელიც მხიარული ფერით და განსაკუთრებული იერით სდაღავდა მის პირისახეს: ხაზგასმით აცხადებდა მის თავისებურ ხასიათს და სასიამოვნო სიმკვირცხლეს და სიფიცხეს აჩენდა.

უკან მოკლეკაბიანი პატარა ქალიშვილი მოსდევდა. ქალბატონი ფორესტიე მათკენ გაექანა:

— გამარჯობა, კლოტილდა!

— გამარჯობა, მადლენა!

ერთმანეთი დაჰკოცნეს. მერე პატარამ ღიასახლისს მოზრდილი ადამიანის გამბედაობით შეუშვირა შუბლი და თქვა:

— გამარჯობა, ძალო!

ქალბატონმა ფორესტიემ აკოცა. მერე სტუმრები ერთმანეთს გააცნეს:

— შარლის მეგობარი, ჟორჟ დღურუა... ქალბატონი დე მარელი, ჩემი მეგობარი და შორეული ნათესავი, — შემდეგ დაუმატა: — ბატონო დღურუა, ჩვენ აქ უბრალოდ ვიქცევით, უპრეტენზიოდ. თქვენც ხომ თანახმა ხართ?

ახალგაზრდა ვაჟმა თავი დაუკრა.

კარი ხელახლა გაიღო. დაბალი, სქელი, ჩამრგვალებული კაცი შემოვიდა და ხელისხელგაყრილი დედაკაცი შემოიყვანა. დედაკაცი იმ კაცზე გაცილებით უფრო ტანადი იყო, უფრო ახალგაზრდა, მადალი და ლამაზი, მშვენიერი მიმოსხრა და მედიდური იერი ჰქონდა. მათი გვარი — ვალტერი. ქმარი დეპუტატი იყო, ფინანსისტი, მდიდარი, საქმოსანი, ებრაელი, სამხრეთელი და „საფრანგეთის ცხოვრების“ გამომცემელი. მისი ცოლიც ბანკირ ბაზილ-რაგალოს ქალიშვილი იყო.

შემდეგ ერთმანეთს მოჰყვნენ მეტად ტურფა ჟაკ რივალი და ნორბერ დე ვარენი, რომელსაც გრძელი თმა საყელოზე სცემდა, ქერტილი ჩამოსდიოდა და ამის გამო ფრაკის საყელო ოდნავ ქონიანი, მბრწყინავი და დაქერტილი ჰქონდა.

ყელსაბამი მრუდედ ჰქონდა შეკრული და ნეტარების იერი ედო. ლამაზი ბებრის მისრა-მოხრით მივიდა ღიასახლისთან, ხელები ჩამოართვა და მაჯაზე აკოცა. როცა

დაიხარა, მისი გრძელი თმა ახალგაზრდა ქალის ტიტველ ხელზე ტალღებით ჩაიშალა.

ბოლოს თვითონ ფორესტიეც შემოვიდა და დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა. მორელის საქმემ რედაქციაში დააგვიანა. მორელი დეპუტატი იყო, რადიკალი, და ეს არის ახლა შეკითხვა მისცა მინისტრს ალჟირის კოლონიზაციისათვის მოთხოვნილი თანხების გამო.

მოსამსახურემ მოასხენა:

— სადილი მზად გახლავთ.

ყველანი სასადილოში გავიდნენ.

დღურუა ქალბატონ დე მარელის და მისი ქალიშვილის შუა დასვეს. ხელახლა რაღაც მორცხვობა იგრძნო: ეშინოდა, ჩანგლის, დანისა და ჭიქების ხმარების წესი არ დაერღვია. წინ ოთხი ჭიქა ედგა, ერთი მათგანი ცისფერი იყო. ნეტა რას სვამენ ამ ჭიქით?

წვნიანს უხმოდ შეექცეოდნენ. მერე ნორბერ დე ვარენი ალაპარაკდა:

— წაიკითხეთ გოტიეს გასამართლების ანგარიში? რა სასაცილო ამბავია!

და მოჰყვნენ ამ შემთხვევის გარჩევას, სადაც საყვარელთა ამბავს შანტაჟი ართულებდა. ამის გამო ისეთი კილოთი კი არ ლაპარაკობდნენ, როგორც ოჯახებში, სადაც იგი გაზეთებში ამოიკითხეს, არამედ ისე, როგორც ექიმები რამე სენზე, ან მებოსტნეები მწვანილზე ლაპარაკობენ ხოლმე. არავინ იყო არც შემფოთებული, არც გაოცებული, ამ ამბის იდუმალ მიზეზებს პროფესიული ცნობისმოყვარეობით და სრულიად გულგრილად ეძებდნენ, თან ცდილობდნენ ზედმიწევნით გაეგოთ ყოველი ცალკე საქციელი და განემარტათ ფსიქიკური ხვეულები დრამისა, რომელიც მათთვის შედეგი იყო სულიერი ვითარების, მეცნიერების მიერ უკვე შეცნობილის და აღრიცხულისა.

კვლევა-ძიებამ ქალებიც გაიტაცა. მერე ახალ ამბებზე გადავიდნენ: სჩხრეკდნენ, კომენტატრობდნენ, ყოველმხრივ სინჯავდნენ და პრაქტიკულად აფასებდნენ, თანაც ისე სწონიდნენ, როგორც წონის ხოლმე ახალი ამბებით მოვაჭრე, რომელიც ადამიანთა კომედიას სტრიქონებად ახურდავებს. სწორედ ასე ყოველმხრივ სინჯავს და აფასებს მედუქნე საქონელს, რომელიც განზრახული აქვს, მუშტარს შესთავაზოს.

შემდეგ ერთ დუელზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საუბარი ჟაკ რივალმა იგდო ხელში, რადგან დუელი მისი ხელობა იყო და ამაზე მის გარდა არავის არ შეეძლო მსჯელობა.

დღურუა ვერ ბედავდა საუბარში თუნდაც ერთი სიტყვა ჩაერთო. დროგამოშვებით მეზობელ დედაკაცს გადახედავდა ხოლმე, მისი მრგვალი კისერი მას მაცდურ ჟინს ჰგვრიდა. ყურის ბიბილოზე ოქროს ძაფით ეკიდა ბრილიანტი, რომელიც ტანზე დავარდნილ კურცხალს ჰგავდა. ქალბატონი დე მარელი საუბარში ისეთ შენიშვნას ჩაურთავდა, რომელიც საერთო ღიმილს იწვევდა ხოლმე. მისი ოხუნჯობა მუდამ სასაცილო, მახვილი და მოულოდნელი იყო, როგორც ოხუნჯობა გამოცდილი ცელქისა, რომელიც ყველაფერს უდარდელად შესცქერის და ყოველივეს ეჭვიანი ქარაფშუტობითა და გულკეთილობით სჯის.

დღურუა ცდილობდა, თუნდაც ერთი ქათინაური მოეგონა მისთვის და, რადგან ვერაფერი იპოვა, მის ქალიშვილს მიუბრუნდა: წყალს უსხამდა, საჭმელს სთავაზობდა, ყოველნაირად ემსახურებოდა. პატარა ქალი დედაზე უფრო სუსხიანი იყო: მეზობელს თავს უკრავდა და მადლობას ეუბნებოდა:

— მეტად გულკეთილი ბრძანდებით, ბატონო... დიდად გმადლობთ, — და ბაღღურად ჩაფიქრებული, კვლავ ყურს უგდებდა უფროსთა საუბარს.

სადილი მეტად გემრიელი იყო და ყველა გაიტაცა. ვალტერი მსუნაგივით ჭამდა, ხმას თითქმის არ იღებდა და მითავაზებულ საჭმელს სათვალის ქვევიდან ალმაცერად სინჯავდა. ნორბერ დე ვარენი ვალტერს არ ჩამორჩებოდა და პერანგის გულისპირს ხშირად წუნწკლებით ისევლებდა.

ფორესტიე დინჯი ღიმილით ათვალიერებდა ყველაფერს. ის და მისი ცოლი დროგამოშვებით მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს იმ ორი ამხანაგივით, რომლებიც მძიმე საქმეს ასპულებდნენ, და ეს საქმე კარგად მიდიოდა.

სტუმრებს პირისახე აელანძათ, ხმებსაც აუწიეს. ლაქია უფრო ხშირ-ხშირად ჩასწურწულებდა მათ:

— კორდონი გნებავთ? შატო-ლაროზი?

დღურუას კორდონი მოეწონა და ჭიქას მუდამ ავსებინებდა. საამურმა მხიარულებამ მოიცვა იგი. კუჭიდან თავში რაღაც სითბო ამოსდიოდა, ტანის ნაწილებში იღვრებოდა და მთელ სხეულს საამოდ ედებოდა. ის სრულ კმაყოფილებას გრძნობდა — ფიზიკურსა და გონებრივს, სხეულისას და სულისას.

უცებ სურვილი აღეძრა, ლაპარაკი დაეწყო და ყურადღება დაეპყრო. უნდოდა, მისთვისაც ისე მოესმინათ და დაეფასებინათ, როგორც დანარჩენებს აფასებდნენ და ყოველ მათ სიტყვას ანგარიშს უწევდნენ.

ლაპარაკი შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა, ერთი აზრიდან მეორეზე გადადიოდა, ერთი თემიდან მეორეზე დახტოდა და ზოგჯერ რომელიმე სიტყვას, რომელიმე წერილმანს ებლაუჭებოდა. დღიური ამბები უკვე ამოწურეს, გაკვრით ათას სხვა საკითხს მოსდეს ენა და ბოლოს ხელახლა დაუბრუნდნენ მორელის შეკითხვას ალჟირის კოლონიზაციის გამო.

ვალტერმა ძლივს ამოიღო ხმა. ერთი საჭმლიდან მეორეზე რომ გადადიოდა, ცინიკური ეჭვიანობით რამდენიმეჯერ გაიხუმრა. ფორესტიემ ყველას თავისი ხვალისნდელი წერილის შინაარსი უამბო. ჟაკ რივალმა მოითხოვა, რომ კოლონიაში ხელისუფლება სამხედრო ხალხისთვის გადაეცათ და ყველა ოფიცრისთვის, ვინც იქ ოცდაათ წელიწადს იმსახურებდა, მიწა მიეცათ.

— ამრიგად, — ამბობდა რივალი, — თქვენ ხელს შეუწყობთ შეიქმნას მოქმედი მოსახლეობა, რომელიც შეიყვარებს და შეისწავლის იმ ქვეყანას, ეცოდინება იქაური ენა და შეძლებს გაარკვიოს ყველა ადგილობრივი მნიშვნელოვანი საქმე, რომელთა გაგება მეტად ეძნელებათ ხოლმე ახალმოსულებს.

ნორბერ დე ვარენმა შეაწყვეტინა:

— დიახ, დიახ. ყველაფერი ეცოდინებათ, გარდა მიწათმოქმედებისა. ისინი ისწავლიან არაბულს, სამაგიეროდ, ვერც ჭარხალს დარგავენ და ვერც ხორბალს დათესენ. ფარიკაობაც ეცოდინებათ, მაგრამ ოდნავაც ვერ მოახერხებენ მინდორში სასუქის შეტანას. პირიქით, ამ ქვეყანაში ყველას ფართოდ უნდა გავეულოთ კარი. ჭკვიანი ხალხი თავის ადგილს დაიჭერს, დანარჩენები კი ჩამოშორდებიან. ასეთია სოციალური კანონი.

ყველანი ერთი წუთით დაჩუმდნენ და გაიღიმეს.

ჟორჟ დღურუამ პირი გააღო და ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ისე გაუკვირდა საკუთარი ხმა, თითქოს იგი პირველად სმენოდა.

— იქაურებს თავდაპირველად კარგი მიწა აკლიათ, ნოყიერი მიწა აქაურზე იაფად არ ფასობს. მდიდარი პარიზელები მას ყიდულობენ, რადგან ხელსაყრელია კაპიტალისტისათვის, ხოლო ნამდვილ კოლონისტებს, ღარიბებს, რომელთაც ლუკმაპურისთვის სამშობლო მიატოვეს, უდაბნოდა შერჩათ, უწყლობის გამო იგი არაფერს იძლევა.

ყველამ დღურუას გადახედა. მან იგრძნო, რომ გაწითლდა. ვალტერმა ჰკითხა:

— კარგად იცნობთ ალჟირს?

— დიახ. ოცდარვა თვე გავატარე იმ ქვეყანაში და სამ პროვინციაში ვიცხოვრე.

ნორბერ ვე ვარენმა მორელის საქმე დაივიწყა და უცებ ალჟირის ზნე-ჩვეულების გამოკითხვა დაუწყო, რომელიც ერთი აფიცრისგან ჰქონდა გაგონილი. ნამეტნავად სურდა, რამე გაეგო პატარა არაბული რესპუბლიკის „მზაბ“-ის შესახებ, რომელიც საჰარაში, ამ უცხელესი უდაბნოს ყველაზე მეტად ხმელ კუთხეში აღმოცენდა.

დღურუა ორჯერ იყო მზაბში და ამ შესანიშნავი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაზე უამბო. იქ წყალს თურმე ოქროს ფასი აქვს. ყოველი მოსახლე საზოგადო მუშაობის მონაწილეა და იქაური კომერციული სინდისი გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე განათლებული ხალხისა.

ოდნავი ბაქით და გატაცებით ლაპარაკობდა, რადგან ღვინით და თავმოწონებით იყო აფორიაქებული. უამბო ყაზარმული ანგელოტები, სამხედრო თავგადასავალი და არაბების ცხოვრებაც დაახასიათა. რამდენიმე ფერადოვანი თქმაც კი იპოვა იმ ბნელი და შიშველი ტრამალების ასაწერად, რომელიც მწვავე მზისგან სრულებით გადამწვარი და უსაზღვროდ სასოწარმკვეთია.

ყველა ქალი დღურუას უმზერდა. ქალბატონმა ვალტერმა ხმადაბლა თქვა:

— შესაძლებელია, თქვენი მოგონებიდან რამდენიმე მშვენიერი წერილი გამოიტრას.

და მისმა ქმარმაც სათვალის ზევიდან უმაღლ დედურუას გადმოხედა. ასე იცქირებოდა ვალტერი, როცა ვისიმე სახის გარჩევა უნდოდა, ხოლო მათლაფას მუდამ სათვალის ქვევიდან სინჯავდა ხოლმე.

ფორესტიემ დრო იხელთა:

— ძვირფასო პატრონო, დღეს ზოგი რამ გვიამბეთ ჟორჟ დედურუაზე და გთხოვდით, ეს კაცი პოლიტიკური ქრონიკისათვის თანაშემწედ მოგეცათ ჩემთვის. რაც მარამბომ თავი დაგვანება, სასწრაფო და საიდუმლო ცნობებისთვის ველარავინ გამიგზავნია. ამის გამო გაზეთი ზარალდება.

ვალტერი ღრმად ჩაფიქრდა, მოიღუშა, სათვალე მოიხსნა, დედურუა გულდასმით გასინჯა და თქვა:

— უეჭველია, ბატონ დედურუას ორიგინალური ჭკუა ჰქონია. თუ კეთილ ინება და ხვალ სამ საათზე მომელაპარაკა, ყველაფერი მოხერხდება. — ცოტა ხნით დადუმდა და შემდეგ პირდაპირ ახალგაზრდა კაცს მიმართა: — ახლავე დამიწერეთ პატარა, ფანტასტიკური წერილების სერია ალჟირზე. თქვენს მოგონებას თავი მოუყარეთ და კოლონიალურ საკითხებს გადააბით, სწორედ ისე, როგორც ახლა გვიამბეთ. საჭირობორტო საკითხია, ჩვენი სადღეისო ჭირია და, დარწმუნებული ვარ, ჩვენს მკითხველს მოეწონება. ოღონდ ნუ გადასდებთ. პირველი წერილი ხვალისთვის ან ზევისთვის მინდა. საჭიროა მკითხველის ყურადღება მივიზიდოთ, სანამ დეკუტატთა პალატაში მაგაზე ლაპარაკობენ.

მისმა ცოლმა სერიოზული აღერსით დაუმატა — იმ აღერსით, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა და მის სიტყვებს წყალობის იერს აძლევდა:

— აი, მშვენიერი სათაურიც: „აფრიკელი სალდათის მოგონებანი“. რას იტყვით, ბატონო ნორბერ?

მოხუცმა პოეტმა გვიან მიადწია აღიარებას, ამიტომ ყველა ახალბედა სძულდა, მათი შიში ჰქონდა, და უგემურად მიუგო:

— დიახ, კარგია, ოღონდ საჭიროა დანარჩენიც ამავე სტილით იყოს დაწერილი. უმთავრესი სწორედ ეს არის. შესაფერი სტილი და მუსიკის სწორი კილო ერთი და იგივეა.

ქალბატონმა ფორესტიემ დედურუას მოწყალე თვალით გადმოხედა. მცოდნე იყო და მისი თვალი თითქოს ამბობდა: „შორს წახვალ“. ქალბატონი დე მარელიც რამდენჯერმე მოუბრუნდა. ოქროს ძაფზე ჩამოკიდებული ბრილიანტი შეუჩერებელივით თრთოდა მის ყურზე, როგორც ნამის წვეთი, რომელიც საცაა უნდა მოწყდეს და ჩამოვარდეს.

მისი პატარა ქალი უძრავად იჯდა და სერიოზულად დასცქეროდა მათლაფას.

ლაქია სუფრას კვლავ ირგვლივ უვლიდა და ცისფერ ჭიქებში იოჰანისბერგს ასხამდა. ფორესტიემ ვალტერს თავი დაუკრა და წარმოთქვა:

— ეს ჭიქა „საფრანგეთის ცხოვრების“ დღეგრძელობისა და აყვავებისა იყოს.

მოღიმარე პატრონს ყველამ თავი დაუკრა. გამარჯვებით მთვრალმა დედურუამ ჭიქა ერთი მოყუდებით დასცალა. ის მზად იყო თუნდ ერთი ჩაფიც დაეღია, მთელი ხარი შეეჭამა და ლომი დაეხრჩო, რადგან სხეულში ზეკაცურ ღონეს, ურყევ გამბედაობას და ამოუწურავ იმედსა გრძნობდა.

ახლა ამ ხალხში თავისი თავი შინ ეგონა. ეს-ეს არის მათ შორის ადგილი დაიმიკვიდრა. ყველას გაბედულად შესცქეროდა. მის თვალეში ახალი თვითრწმენა ჩანდა და თავის მეზობელ დედაკაცს პირველად შეჰკადრა:

— ქალბატონო, ასეთი ლამაზი საყურე ჯერ არსად მინახავს.

მეზობელი ღიმილით მოუბრუნდა:

— ეს ჩემი მოგონილია. ბრილიანტი ავიღე და ძაფზე უბრალოდ ჩამოვკიდე. ნამის წვეთსა ჰგავს, ხომ მართალია?

ვაჟს ეშინოდა, სისულელე არ ეთქვა და, თავისსავე გამბედაობით შემერთალმა, ხმადაბლა მიუგო:

— საუცხოოა, მაგრამ... ზოგჯერ ყურიც ამშვენებს ხოლმე საყურეს.

ქალმა მადლობა თვალთ გადაუხადა, იმ ქალური თვალთ, რომელიც ზოგჯერ გულის სიღრმეს სწვდება ხოლმე. დედურუამ ძლივს მოასწრო თვალის მოშორება. მისი თვალეები უმაღლვე შეხვდა ქალბატონ ფორესტიეს თვალეებს, რომელიც წელანდელივით მოწყალე იყო, მაგრამ მოეჩვენა, თითქო იქ საამური მხიარულება, ეშმაკობა და წაქეზება ახლა უფრო მეტად გამოჰკრთოდა.

მამაკაცები უკვე ერთად ლაპარაკობდნენ, ხელებს იქნევდნენ და ზოგჯერ ხმასაც უწევდნენ. ბაასი ჩამოვარდა უზარმაზარ მეტროპოლიტენზე. ტკბილი რომ გაათავეს, საუბარი მაშინდა დაასრულეს, რადგან ყველას ჰქონდა სათქმელი პარიზში წელი მოძრაობის, უხერხული ტრამვაის, აუტანელი ომნიბუსებისა და მეეტლეთა თავხედობის შესახებ.

მერე ყავის დასალევად სასადილოდან სასტუმრო ოთახში გავიდნენ. დღურუამ პატარა ქალს ხუმრობით მკლავი გაუშვირა. მან მედიდურად გადაუხადა მადლობა და თითის წვერებზე შედგა, რომ თავისი მეზობლის ნიდაყვს ჩამოჰკიდებოდა.

როცა დღურუა სასადილოში შევიდა, ხელახლა ორანჟერეა გაახსენდა. ოთახის ოთხივე კუთხეში იდგა დიდი პალმები, რომელთაც ლამაზი ფოთლები გაეშალათ, ჭერამდე აწეულიყვნენ და იქ ჩანჩქერებივით იბნეოდნენ.

ბუხრის ორივე მხარეს სვეტივით სწორი ორი ფიკუსი იდგა და თავიანთი მუქი ფოთლები ერთმანეთზე მტვევებივით შეეყარნათ. პიანინოზე ორი უცნობი, მრგვალი მცენარე ყვავილით იყო აკუნწული, ერთი სულ თეთრი, ხოლო მეორე ვარდისფერი, და ორივე ხელოვნურ, საოცნებო მცენარეს ჰგავდა, რადგან ცოცხალი ყვავილისთვის მეტისმეტად ლამაზები იყვნენ.

სუფთა ჰაერი ისეთი გაურკვეველი და ტკბილი სურნელებით იყო გაჟღენთილი, რომ არ შეიძლებოდა გაგერკვიათ და რაიმე სახელი დაგერქმიათ მისთვის.

ახალგაზრდა ვაჟს თავისი თავი ახლა უკვე ხელთ ჰქონდა. ოთახი გულდასმით გასინჯა. დიდი არ იყო. მცენარეების გარდა თვალს არაფერი არა სჭრიდა. მხიარული ფერი არაფერს არ ედო. მაგრამ ყველგან სიამე და მყუდროება სუფევდა და სიწყნარეს და მოსვენებას იწვევდა. იგი როგორღაც ნახად ეხვეოდა იქ მყოფთ და საამურად აღერსიანი იყო.

კედლებს ძველებური, გახუნებული, იასამნისფერი ქსოვილი ჰქონდა აკრული, რომელიც პატარა ხალებით და ყვითელი აბრეშუმის ყვავილებით იყო დაწინწკლული.

კარებზე მოღურჯო საღდათური მაუდის ფარდები ეკიდა. ზედ წითელი აბრეშუმით რამდენიმე წითელი ყვავილი იყო ამოქარგული. მრავალნაირი ზომისა და მოხატულობის სავარძლები უწესრიგოდ იყო გაბნეული. აქ ყველაფერი იპოვებოდა: კუშეტი, ვეება და მცირე სავარძელი, ტახტი, შეხლონგი და ტაბურეტი, — ლუი XVI-ის სტილზე ნაკეთები, და ან აბრეშუმით, ან ლამაზი, ჩალისფერი ხავერდით გადაკრული და გრანატის არშიამოვლებული.

— ბატონო დღურუა, ყავა არა გნებავთ?

და დიასახლისმა სავსე ფინჯანი გაუწოდა მეგობრული ღიმილით, რომელიც მუდამ სახეზე ჰქონდა გაშლილი.

— მადლობელი გახლავართ, ქალბატონო.

ფინჯანი ჩამოართვა და, როცა შიშით დაიხარა, რათა ვერცხლის მაშით ერთი ნაჭერი შაქარი ამოეღო საშაქრიდან, რომელიც პატარა ქალმა გაუწოდა, ქალბატონმა ფორესტიემ დაბალი ხმით უთხრა:

— ქალბატონ ვალტერს გაუარშიყდით.

და სანამ დღურუა ეტყოდა რამეს, ზურგი შეაქცია და მოშორდა.

ჯერ ყავა დალია, ეშინოდა, ხალიჩაზე არ დაედვარა. შემდეგ გულს მოეშვა და საბაბს დაუწყო ძებნა, რათა თავისი ახალი პატრონის ცოლთან მისულიყო და მუსაიფი გაეხა.

უცებ შენიშნა: ვალტერის ცოლს ცარიელი ფინჯანი ეჭირა. მაგიდის მოშორებით იჯდა და არ იცოდა, სად დაედგა. დღურუა სწრაფად მიემხველა:

— ნება მიბოძეთ...

— დიდად გმადლობთ.

ფინჯანი წაიღო და ისევ დაუბრუნდა:

— ნეტა იცოდეთ, რამდენი სიამე მაგრძნობინა „საფრანგეთის ცხოვრებამ“ იქ, უდაბნოში. როცა საფრანგეთში არა ხარ, მარტო ამ გაზეთის წაკითხვა შეიძლება, რადგან ყველა სხვა გაზეთზე უფრო შინაარსიანი, ცოცხალი და მრავალფერია, ამ გაზეთში ყველაფერი მოიპოვება.

დედაკაცმა თავაზიანი გულგრილობით გაიღიმა და სერიოზულად უპასუხა:

— არც იმდენად ადვილი იყო ვალტერისთვის ისეთი გაზეთის შექმნა, რომელიც ახალ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა.

საუბარი გააბეს, დედურუას აზრები თავისუფალი და გაცვეთილი ჰქონდა, ხმა — თილისმური, თვალი — საამური, ხოლო მისი უღვაშის ჯადოს ვერაგინ გაუძღვებდა. ზემო ტუნზე ხშირი, ქონჩა უღვაში ჰქონდა მდიდრულად და ლამაზად ნახვევი. ქერა ფერისა იყო და ოქრო გადაჰკრავდა, ხოლო აჯაგრულ წვეროებზე მთლად ღია იერი ედებოდა.

ისაუბრეს პარიზის, მისი მიდამოების, სენის ნაპირების, აგარაკების, საზაფხულო სიამის შესახებ და ყველაფერზე, რაზედაც კი დაუღალავად და დაუსრულებლივ შეიძლება ლაპარაკი, მერე კი, როცა ნორბერ დე ვარენი მოვიდა და თან პაწაწა ჭიქა ლიქიორიც მოიტანა, დედურუა მოკრძალებით მოშორდა.

ქალბატონმა დე მარელმა ის იყო ქალბატონ ფორესტიესთან საუბარი გაათავა და, დედურუა რომ დაინახა, დაუძახა:

— მაშეგერე, — უბრალოდ ჰკითხა, — გინდათ ჟურნალისტობა დაიწყოთ, არა?

დედურუამ ჯერ ზოგადი სიტყვებით უამბო თავისი გეგმა, შემდეგ კი ისეთივე საუბარი გააბა, როგორც ქალბატონ ვალტერთან ჰქონდა. თემა ახლა უკეთ ჰქონდა შეთვისებული და უპირატესობაც გამოიჩინა, რადგან სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ყველაფერს, რაც წელან გაიგონა, თანაც ბაასის დროს მოსაუბრის თვალებს თვალს არ აშორებდა, თითქოს თავის ნათქვამს რაღაც ღრმა აზრს აძლევდა.

თავის მხრივ, ქალბატონი დე მარელი ქალური გატაცებით უამბობდა ანეგდოტებს და ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, რომ ეტყობოდა, თავი ჰკუამახვილ ქალად მიანდა და სურდა ოხუნჯის სახელი მოეხვეჭა. ლაზღანდარობაც კი დაიწყო: მკლავზე ხელს ადებდა და ზოგჯერ ხმას იმდაბლებდა, რათა მცირე რამ ეთქვა, და მის ნათქვამს ამის გამო საიდუმლოს იერი ეძლეოდა. ვაჟს კი ამ დედაკაცის მიკარება, რომელიც მას ართობდა, თავბრუს ასხამდა და სისხლს უმღვრევდა. მას სურვილი აღეძრა თავი გაეწირა მისთვის, ეჩვენებინა თავისი ფასი, დაეცვა იგი, ხოლო დაბალი ხმა უკვე მის ზრახვებსა და გულისნადებს ამჟღავნებდა.

უცებ ქალბატონმა დე მარელმა დაიძახა:

— ლორინა!

შვილი დედას მიუახლოვდა.

— აქ დაჯექი, შვილო: ალბათ, შეგცივდა ფანჯარასთან.

დედურუას ბავშვის კოცნის წყურვილი მოერიდა, თითქოს ამ კოცნიდან მის დედას რაღაც უნდა გადასდებოდა, და უცებ მამობრივი და თავაზიანი კილოთი ჰკითხა:

— შეიძლება, გაკოცოთ?

ბავშვმა გაოცებული თვალები შეანათა, ქალბატონმა დე მარელმა კი სიცილით უთხრა:

— უპასუხე: დღეს შეიძლება, რამდენიმე წლის შემდეგ კი — ვნახოთ-თქო.

დედურუა ჩამოჯდა, ლორინა მუხლებზე დაისვა და მის ტალღოვანსა და თხელ თმას ტუნებით შეეხო.

დედა გაოცდა:

— ერთი უყურეთ, არ გაექცა! საკვირველია! ჩვეულებრივ, მარტო ქალებს აკოცნიან ხოლმე. ბატონო დედურუა, მოუგერიებელი ყოფილხართ.

დედურუა გაწითლდა, არა უპასუხა რა. ბავშვი ისევ მუხლებზე ჰყავდა და ოდნავ აქანავებდა. ქალბატონი ფორესტიეც მივიდა და გაოცებით წამოიძახა:

— შეხედეთ, ლორინა გაუშინაურდა! ნამდვილი სასწაულია!

ჟაკ რივალიც წამოვიდა, თან სიგარას აბოლებდა. დედურუა წასასვლელად წამოდგა. შიში ჰქონდა, ხეპრული რამ სიტყვით გამარჯვების დასაწყისი, უკვე მოგვარებული საქმე, არ გაეფუჭებინა. თავი დაუკრა: ნაზად მოუჭირა ქალების გამოწვდილ პატარა თითებს და მაგრად დაბერტყა მამაკაცების ხელები. მან შეამჩნია, რომ ჟაკ რივალის ხელი მშრალი და თბილი იყო, და გულიანად ჩამოართვა იგი, ნორბერ დე ვარენს სველი, ცივი ხელი ჰქონდა და დედურუას თითებს უსხლტებოდა. ვალტერისა ცივი იყო, რბილი და უძალო, ხოლო ფორესტიესი — მსუქანი და თბილი. მეგობარმა დაბალი ხმით უთხრა:

— არ დაგავიწყდეს: ხვალ, სამ საათზე.

— ეჭვი ნუ გექნება.

კიბეზე რომ გავიდა, სიხარულისაგან გაქცევა მოუნდა, ორ-ორ საფეხურზე მიხტოდა. მაგრამ მესამე სართულზე დიდ სარკეში დაინახა ვიღაც ვაუბატონი,

რომელიც მისკენ მორბოდა. უცებ შედგა და შერცხვა, თითქოს რაღაც სამარცხვინო საქმეზე მოასწრესო.

შემდეგ იმ სარკეში თავის თავს დიდხანს ათვალიერებდა და აღტაცებული იყო იმის გამო, რომ ასეთ ლამაზ ჭაბუკს უმზერდა. მერე თანაზიარი ღიმილით გაუღიმა საკუთარი თავის ანარეკლს და ზეიმურად, დაბლა დაუკრა თავი, თითქო ვინმე დიდებულს ესალმებო.

თავი მესამე

ჟორჟ დეურუა ქუჩაში გამოვიდა. აღარ იცოდა, რა ექნა. სურდა ერბინა, ოცნებისთვის მიეცა თავი, ან უმიზნოდ ევლო, მომავალზე ეფიქრა და ზაფხულის ღამის საამური ჰაერი ესუნთქა. მაგრამ ვალტერის მიერ შეკვეთილ წერილებზე ზრუნვა მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომ გადაწყვიტა, უმაღვე შინ დაბრუნებულიყო და მუშაობას შედგომოდა.

ნაბიჯს მოუმატა, ბულვარებზე ჩაიარა და ბურსოს ქუჩაზე გამოვიდა, ბინა აქ ჰქონდა. ექვსსართულიან შენობაში მუშების და ღარიბ მოქალაქეთა ოცი ოჯახი ცხოვრობდა. კიბეზე რომ აღიოდა, გზას წუმწუმით ინათებდა. საფეხურებზე ქაღალდი, ნამწვი და სამზარეულოს ნაგავი ეყარა. დეურუას ახლა თავისი ოთახი უზომოდ ეზიზღებოდა, მწვავე სურვილი აწვალებდა, მალე გადასულიყო აქედან და მდიდრული ცხოვრება დაეწყო, ხალიჩებით მორთულ სუფთა ბინაში ჩასახლებულიყო.

მისი ოთახი მეექვსე სართულზე იყო, ბატინიოლის სადგურთან, სწორედ გვირაბის თავზე, და დასავლეთის რკინიგზის უფსკრულს, ვეება ხვრელს გადასცქეროდა. დეურუამ სარკმელი გამოაღო და დაჟანგებულ რკინის რაფას დაეხვინა.

ქვევით, შავი ხვრელის სიღრმეში, სამი უძრავი სანიშნებელი ფარანი რაღაც მხეცის დიდ თვალებს ჰგავდა. მოშორებით კიდევ ასეთივე თვალები მოჩანდა, უფრო შორს — ისევ და ისევ. ყოველ წუთს სიბნელეში, ანიერის მხრიდან, ხან გრძელი სტვენა ისმოდა, ხან მოკლე, ან იქვე ახლოს, ან სადმე შორს.

ეს სტვენა რაღაც ხმას, ვიღაცის ძახილს ჰგავდა. ერთი მათგანი თანდათან ახლოვდებოდა, საბრალოდ კიოდა, ყოველ წამს ძლიერდებოდა. სიბნელეში გამონჩნდა დიდი, ყვითელი შუქის წერტილი, რომელიც ძლიერი ხმაურით მოდიოდა. დეურუამ დაინახა ვაგონების გრძელი ჯაჭვი, რომელიც გვირაბში შექვრა. მერე თქვა:

— აბა, მუშაობას შევუდგეთ! — ღამა მაგიდაზე დადგა და თვითონაც მიუჯდა, მაგრამ უმაღვე შეამჩნია, რომ საფოსტო ქაღალდის ერთი რვეულის მეტი არა ჰქონდა რა.

— ეჰ, სულ ერთია! შეიძლება თაბახი მთელ სიგანეზე გავშალოთ. — კალამი მელანში ჩაასველა და გულმოდგინედ, ღამაზად დაწერა:

აფრიკელი სალდათის მოგონება.

შემდეგ პირველივე წინადადებას ჩაუფიქრა. ნიკაპი ხელისგულზე ჰქონდა დაბჯენილი, ხოლო თვალი — მის წინ გაშლილ თეთრ თაბახზე.

რა დაწეროს? რა უამბოს? ახლა წელანდელი ნაამბობისა აღარაფერი ახსოვდა, აღარც ანეგდოტი, აღარც ერთი ამბავი, აღარაფერი! უცებ გაიფიქრა: „ჯერ ჩემი წასვლა უნდა ავწერო“. და დაწერა: „დაახლოებით 1874 წლის მაისის შუა რიცხვები იყო, როცა დავრდომილმა საფრანგეთმა საშინელი ომის შემდეგ მომჯობინება დაიწყო“. და უცებ შედგა: არ იცოდა, როგორ უნდა მოეხებოდა შემდეგი — გემზე ასვლის და წასვლის პირველი შთაბეჭდილება.

ათიოდე წუთი იფიქრა. მერე გადაწყვიტა, შესავალი ფურცელი ხვალისთვის გადაედო, ახლა კი ალჟირი აეწერა. და დაწერა: „ალჟირი სულ თეთრი ქალაქია“... მაგრამ ამაზე მეტი ვეღარაფერი მოიგონა. თვალწინ ხელახლა აღემართა ღამაზი და ნათელი ქალაქი, სწორბანიანი სახლების ჩანჩქერი, რომელიც მთის თხემიდან ზღვამდე ჩამორბოდა, მაგრამ ერთი სიტყვა ვერ იპოვა იმის ასაწერად, რასაც გრძნობდა და ხელავდა.

დიდი წვალების შემდეგ დაწერილს მიუმატა: „მოსახლეობის ერთი ნაწილი არაბებია“. მერე კალამი მაგიდაზე დააგდო და წამოდგა.

რკინის პატარა საწოლზე, სადაც მისმა ტანმა შუაგული ორმოსავით ჩაზნიქა, დაინახა თავისი საკუთარი ტანისამოსი, რომელიც უწესრიგოდ ეყარა და ცარიელს,

დადლილს, მოთელილს ჰგავდა, თითქო საცხედრედან ყოფილიყო გამოტანილი, ხოლო მისი ერთადერთი აბრეშუმის ცილინდრი, ჩალის სკამზე რომ ეგდო, გლახასავით გამოიყურებოდა და მოწყალებას თხოულობდა.

ოთახი რუხი შპალერით იყო აკრული და ცისფერი ყვავილებით დაწინწკლული, მაგრამ რაღაც უცნაური და საეჭვო ლაქა ყვავილებზე ნაკლები არ იქნებოდა. ძნელი სათქმელი იყო, რისი ლაქები იყო, გატყვეპტილი მწერების, პომადით გასვრილი თითებისა თუ საპნიანი წყლის წინწკლების. ყოველივეს უბადრუკი სილატაკის ბეჭედი ჰქონდა დაკრული, პარიზული მორთული ოთახების ბეჭედი. დღურუა თავის სილატაკის გამო აღშფოთდა და გადაწყვიტა, აქედან დაუყოვნებლივ გადასულიყო, მათხოვრული არსებობისათვის ხვალვე მოედო ბოლო.

უცებ მუშაობის სიცხე იგრძნო, ისევ მაგიდას მიუჯდა და სიტყვების ძებნა დაიწყო, ისეთი სიტყვებისა, რომელთა წყალობით შესაძლებელი იქნებოდა, კარგად გადმოეცა უცნაური და საუცხოო გარეგნობა ალჟირისა, აფრიკის იდუმალ სიღრმეთა კარიბჭესი, მომთაბარე არაბებისა და ზანგთა უცნობი ტომებისა, იმ აფრიკისა, რომელიც მეტად მიმზიდველი და ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო. მხოლოდ ზოგჯერ საზოგადო ბაღებში გვაჩვენებენ ხოლმე იქაურ რამერუმეს, რაღაც დაუჯერებელ პირუტყვებს, რომელნიც თითქოს განგებ ფანტასტური მოთხრობებისთვის იყო გაჩენილი: სირაქლეებს, — უცნაურ ქათმებს რომ ჰგვანან, — ლამაზ ჯიხვებს, ღვთაებრივ კოხტა შველებს, საოცარ და სასაცილო შირაფებს, მედიდურ აქლემებს, საზარელ ჰიპოპოტამებს, უმსგავსო მარტორქებს და ადამიანის საშინელ ძმებს — გორილებს.

დღურუა ბინდბუნდად გრძნობდა, რომ რაღაც აზრები მოსდიოდა. მათი გამოთქმა კიდევ შეეძლო, მაგრამ დალაგება და ქაღალდზე გადმოტანა უძნელდებოდა. ამ უძალობის გამო ციება ემართებოდა. ხელახლა წამოდგა. ხელები ოფლისგან სველი ჰქონდა, საფეთქლები სტკიოდა.

იმ საღამოს მეკარეს მრეცხავის ანგარიში ამოეტანა და მაგიდაზე დაედო. დღურუამ თვალი მოჰკრა. მწარე უიმედობამ შეიპყრო. უცებ გაქრა სიხარულიც, თავისთავის ნდობაც და მომავლის რწმენაც. დიახ, ყველაფერი გათავდა. ვერაფერს ვერ მოახერხებს, ვერაფერს ვერ მიაღწევს! და რაღაც დაცლილობა, სრული უნიჭობა, ზედმეტობა, არარაობა და განწირულება იგრძნო.

ისევ სარკმელს მიადგა. სწორედ იმ წუთს გვირაბიდან მატარებელი ჭახატუხით და გრგვინვით გამოვიარდა. ქვევით, ველმინდვრებით, ზღვისკენ მიდიოდა. დღურუას მშობლიური მოგონებანი მოაწვა.

აგერ, ის მატარებელი მისი მშობლების სახლს სამიოდე მილის მანძილზე გაუვლის. მან ნათლად დაინახა სოფელ კანტელეს განაპირას მდგარი პატარა სახლი, მაღალ სერზე, რომელიც ქალაქ რუანს და სენის ვეება ვაკეს გადასცქეროდა.

იქ მის მშობლებს პატარა დუქანი, მცირე რამ რესტორანი ჰქონდათ, კვირაობით გარეთუბნელები სადილად მოდიოდნენ. სახელად „ლამაზი ხიდი“ ერქვა. უნდოდათ შვილი ბატონი გამოეყვანათ და კოლეჯში მიაბარეს. სწავლა დაასრულა, მაგრამ ბაკალავრის დიპლომი მაინც ვერ მიიღო და სამხედრო სამსახურში შევიდა იმ აზრით, რომ ოფიცერი, პოლკოვნიკი, გენერალი გამოსულიყო. სამსახურის ვადა — ხუთი წელიწადი — ჯერ არც კი გასულიყო, რომ სამხედრო საქმე მოსწყინდა და ოცნება დაიწყო, პარიზში ბრწყინვალე მომავალი ეპოვა.

სამსახური დაასრულა. მშობლების ოცნება გაქრა. თუმცა შვილს ემუდარებოდნენ, მათთან დარჩენილიყო, მან არ შეიწყნარა და პარიზში ჩამოვიდა. მომავლის იმედი ჰქონდა და წინათგრძნობა ბუნდოვნად ჩასჩურჩულებდა, რომ რაღაც ამბები გაამარჯვებინებდა, რომ უეჭველად მოახერხებდა ხელსაყრელი პირობების შექმნას და მათს გამოყენებას.

პოლკში რომ იყო, თავის გარნიზონში წარმატება ჰქონდა. შემთხვევითი გამარჯვება ყველგან თან სდევდა მას და ბედნიერი სასიყვარულო თავგადასავალი მასზე უფრო ზემოურ ქალებში იშვიათი არ იყო მისთვის. ორ ქალს გატაცებით შეუყვარდა: გადასახადთა ამკრეფის ქალიშვილს, რომელიც მზად იყო ყველაფრისათვის თავი მიენებებინა და მასთან ერთად გაქცეულიყო, და ერთი ვეჭილის ცოლს, რომელმაც დარდით თავის დახრჩობა სცადა, როცა დღურუამ მასზე ხელი აიღო. ამხანაგები ამბობდნენ მასზე:

„გაიძვერა და გაქნილი კაცია, ყველგან გზას გაიკაფავს“, — და იმანაც გადაწყვიტა, მართლა გაიძვერა გამხდარიყო.

ბუნებით პატიოსანი ნორმანდიელი იყო, მაგრამ ყოველდღიურმა საგარნიზონო ცხოვრებამ გააუხეშა. აფრიკაში ყოფნის დროს ხშირად ძარცვავდა, უკანონო შემოსავალს იჩენდა, საეჭვოდ ვერაგობდა და ამის გამო როგორღაც მოიქნა მისი სინდისი, რომელსაც მეორე მხრივ სხვანაირი დადიც დაემჩნია — ჯარში გაერცვლებული დალი პატიოსნების, მხედრული ტრაბახობის, პატრიოტული გრძობების, უნტერების გმირული ამბებისა და პროფესიული ცუდმედიდობის. ამიტომ დღურუა რაღაც ოინბაზურ სამიძრა ყუთად გადაიქცა, სადაც ყველაფერი იპოებოდა.

მაგრამ ყოველივე ამას წინსვლის, წარმატების სურვილი ჰფლობდა.

ახლაც უნებურად დაიწყო ოცნება. ასე ემართებოდა ყოველ საღამოს. საოცარი სასიყვარულო რამ თავგადასავალი ელანდებოდა და მისი წყალობით ყველა მისი ოცნება ტანსხმული გამოდიოდა. ცოლად, მაგალითად, შეირთავს ბანკირის ან დიდი ვაჭბატონის ქალიშვილს, რომელსაც ქუჩაში გაიცნობს და ერთი შეხედვით დაიპყრობს.

გვირაბიდან მარტო ორთქლმავალი გამოვარდა გასაგმირალი კივილით, როგორც კურდღელი სოროდან, დასასვენებლად გაქროლა და დღურუა გამოაფხიზლა. მაგრამ მალევე შეისხა ფრთები ბუნდოვან-საამური იმედისა, რომელიც თითქმის მუდამ თან სდევდა, და ბნელ ღამეში ალაღბედზე სიყვარულის კოცნა გაუგზავნა უცნობ ქალს, რომელსაც ელოდებოდა, ხარბი კოცნა სიმდიდრეს, რომელსაც ასე მსუნაგად ეძებდა. მერე სარკმელი მიხურა და ტანისამოსის გახდას შეუდგა, თან ჩურჩულებდა:

„დილა მუდამ სჯობია ღამეს. დღეს გუნებაზე არა ვარ. გარდა ამისა, მგონი ხედმეტიც დავლიე. ასეთ პირობებში შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობა“.

ლოგინში ჩაწვა, ღამაა ჩააქრო და თითქმის უმალვე ჩაეძინა.

დილით ადრე ისე გაიღვიძა, როგორც დიდად საიმედო ან საზრუნავ დღეს იღვიძებენ ხოლმე. ლოგინიდან წამოხტა და სარკმელი გააღო, რათა, მისივე თქმისა არ იყოს, ერთი ფინჯანი სუფთა ჰაერი დაეღია.

რკინიგზის ფართო ღლიანდაგის გადაღმა რომის ქუჩის სახლები იდგა. ამომავალ მზეზე კრიალი გაჰქონდათ და თითქოს მქრქალი ფერებით იყო დახატული. შორს, მარჯვნივ, არჟანტეილის გორები, სანუას მწვერვალები და ორუემონის წისკვილები მოჩანდა. ყოველივე გახვეული იყო მსუბუქ, ცისფერ ნისლში, რომელიც ტატნობზე გადაფარებულ მოფრიალე და გამჭვირვალე ლეჩაქს ჰგავდა.

დღურუა შორეულ მინდვრებს რამდენიმე წუთს უძრავად გასცქეროდა. მერე ჩუმი ხმით წარმოთქვა:

„ასეთი დღე იქ, ალბათ, მომხიბლავი იქნება“, — მერე აზრმა გაჰკრა: „ახლავე, ამავე წუთს მუშაობას უნდა შევუდგე“. მეკარის შვილს ათი სუ მისცა და სამმართველოში გაგზავნა, რომ თავისი უქეიფობა შეეტყობინებინა. შემდეგ მაგიდას მიუჯდა, კალამი მეღანში ჩააწო და ფიქრების დასაგროვებლად თავი ხელზე დაიბჯინა. მაგრამ ამოდ. ერთი აზრიც არ მიეკარა.

მაინც გულს არ იტეხდა. „არა უშავს რა, — ფიქრობდა, — შეჩვეული არა ვარ. ეს ხელობაც სხვა ხელობას ჰგავს და ყველაფერს შეჩვევა, ვარჯიში სჭირდება. კარგია, პირველად მიშველიდეს ვინმე. ფორესტიესთან წავალ. ათიოდე წუთში გამომიჭახრაკებს“.

ჩაიცვა და, ქუჩაში რომ გამოვიდა, მოისაზრა: ფორესტიესთან წასვლა ადრე იყო, რადგან მისი მეგობარი, ალბათ, გვიან დგებოდა, ამიტომ დღურუამ ჯერ ნელი სიარული დაიწყო გარე ბულვარზე.

ჯერ ცხრა საათიც არ იქნებოდა, რომ მონსოს ბაღში შევიდა, რომელიც ის იყო მოერწყოთ და ახლად გაბანილს ჰგავდა. სკამზე ჩამოჯდა და ისევ ოცნებას შეუდგა. ვიღაც ღამაში ჭაბუკი იქვე წინ და უკან დადიოდა. ცხადი იყო, ელოდებოდა ქალს, რომელიც, პირბადეფარებული სწრაფი ნაბიჯით მოვიდა. ერთმანეთს უმალ ჩამოართვეს ხელი, მკლავი მკლავს გაუყარეს და წავიდნენ.

დღურუას გულს უცებ შფოთიანი წყურვილი მოედო, წყურვილი წმინდა, ნაზი და საამო სიყვარულისა. ადგა და წავიდა, თან ფორესტიეზე ფიქრობდა: აი, ვის ჰქონია ბედი. სწორედ იმ წამს მიაღება მეგობრის კარს, როცა ფორესტიე ქუჩაში გამოდიოდა.

— აქ ხარ? ასე ადრე? თქვი, რა გინდა?

დღურუას შერცხვა იმის გამო, რომ სწორედ იმ დროს შეხვდა, როცა ის გამოდიოდა, და წაიბურტყუნა:

— საქმე ის არის... ის არის საქმე, რომ... ვერ იქნა, წერილი ვერ დავწერე... ხომ იცი, ალჟირზე უნდა დამეწერა, ვალტერმა რომ მთხოვა. საკვირველიც არ არის, რადგან

არასოდეს არ მიწერია. ამ საქმეშიც, როგორც ყველაფერში, ვარჯიშობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, მალე შევეჩვევი, ჯერჯერობით კი არ ვიცი, როგორ დავიწყო. ახრები მაქვს, აი, აქ მილაგია, მაგრამ გადმოშლას ვერ ვახერხებ.

და ყოყმანით შედგა. ფორესტიემ ცუდლუტი ღიმილით მიუგო:

— ვიცი, გამოცდილი მაქვს.

ღიურუამ განაგრძო:

— რა თქმა უნდა, ყველა გამოუცდელს, ალბათ, ჩემსავით ემართება, ამიტომ წამოვედი... მოვედი, დანხარება გთხოვო... ათიოდე წუთში მასწავლი და მაჩვენებ, თუ როგორ უნდა შევუდგე საქმეს. სტილისტიკის ერთი კარგი გაკვეთილი უნდა მომცე გაკვრით, თორემ უშენოდ არაფერი გამომივა.

ფორესტიე ისევ მხიარულად იღიმებოდა. მერე ძველ მეგობარს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ჩემს ცოლთან აღი, ჩემსავით კარგად გიშველის. მე შევასწავლე ეს საქმე. მე თვითონ კი ამ დილით არა მცალია, თორემ დიდი სიამოვნებით გიშველიდი.

ღიურუა უცებ მორცხვობამ მოიცვა. შეყოყმანდა, ვერ გაბედა.

— ასე ადრე როგორ ავიდე მასთან!

— ძალიან ადვილად ახვალ. უკვე ხეზეა. ჩემს კაბინეტში ნახავ, ჩემს ნაწერებს ალაგებს.

ჟორჟი მაინც უარზე იდგა:

— არა, არ შემიძლია.

ფორესტიემ მხრებში ხელი დაავლო, მიაბრუნა და კიბისკენ წაიყვანა, თან ქიმუნჯს ჰკრავდა და ეუბნებოდა:

— წადი, წადი-მეთქი! აბა რა საჭიროა ხელმეორედ ავიდე მეოთხე სართულზე, შენც აგათრიო და იმასაც აგუხსნა? წადი-მეთქი!

ღიურუამ ძლივს გადაწყვიტა:

— გმადლობ... ავალ. ვეტყვი, რომ შენ მაიძულე, ძალა დამატანე, დიას, ძალა დამატანა-მეთქი.

— კეთილი, აგრე უთხარი. არხეინად იყავი, არ შეგჭამს. არ დაგავიწყდეს, სამ საათზე მოდი.

— ნუ გეშინია, არ დამავიწყდება.

ფორესტიე სწრაფი ნაბიჯით წავიდა, ღიურუა კი ნელა შეუდგა კიბეს, თან სათქმელს იგონებდა და ეშინოდა, როგორ დაუხვდებოდა ქალბატონი ფორესტიე?

მსახურმა კარი გაუღო. ღურჯი წინსაფარი ეცვა, ხელში კი საწმენდი ეჭირა. კითხვას აღარ მოუცადა, ისე მიახალა:

— ბატონი შინ არ ბრძანდება.

ღიურუამ მტკიცე კილოთი მიუგო:

— ჰკითხეთ ქალბატონს, შეუძლია თუ არა მიმიღოს, და მოახსენეთ, რომ გამომგზავნა მისმა ქმარმა, რომელსაც ეს-ეს არის შევხვდი ქუჩაში.

მოიცადა. მსახური დაბრუნდა, მარჯვნივ კარი გაუღო და ხმამაღლა უთხრა:

— მობრძანდით. ქალბატონი გელოდებთ.

ჟორჟი პატარა ოთახში შევიდა. კედლები მთლად აფარებული იყო წიგნებით, რომელიც შავი ხის თახჩებზე სწორედ იყო დალაგებული. წიგნების ერთნაირობას მხიარულ ფერს აძლევდა მრავალნაირი ფერის ყდა: წითელი, ყვითელი, მწვანე, იისფერი, ღურჯი და შავი.

ქალბატონი საწერ მაგიდასთან იჯდა. ახლაც მუდმივად იღიმებოდა, არშიებიანი თეთრი მატინე ეცვა. მობრუნდა და ხელი გამოუწოდა განიერი სახელოდან.

— უკვე? — ჰკითხა. მერე დაუმატა: — საყვედურს კი არ გეუბნებით, მხოლოდ გეკითხებით.

ღიურუამ წაილულულა:

— დამიჯერეთ, ამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ მაიძულა თქვენმა ქმარმა, რომელსაც ქვევით შევხვდი. დარცხვენილი ვარ და ვერც კი ვბედავ მოგახსენოთ, თუ რამ მომიყვანა აქ.

დიასახლისმა სავარძელზე მიუთითა:

— დაბრძანდით და მიაბეთ.

კალმად ხელში ბატის ფრთა ეჭირა და მარდად ატრიალებდა. წინ ნახევრად დაწერილი თაბახი ედო. ახალგაზრდა ვაჟის მოსვლამ წერა შეაწყვეტინა. ეტყობოდა,

საწერ მაგიდასაც ისე შესწევოდა, როგორც სალონს. თავს თავისუფლად გრძნობდა და უკვე ნახვევი საქმით იყო გართული.

მის დილის კაბას მსუბუქი სურნელი ასდიოდა, სუფთა სუნი ადამიანისა, რომელმაც ეს არის ახლა დაამთავრა თავის მოვლა. დღურუა ცდილობდა ეს დედაკაცი ნათლად წარმოედგინა და თითქოს ხედავდა კიდევაც — ხედავდა ახალგაზრდა, სუფთა, სავსე და თბილ ტანს, რბილ ქსოვილში გახვეულს.

ღიასახლისი პასუხს ელოდებოდა და, რადგან დღურუა სდუმდა, ჰკითხა:

— აბა, მიაბზეთ, რა საქმე გაქვთ?

მან გაუბედავად წაიწურჩულა:

— აი... მაგრამ, დმერთმანი, ვერა ვბედავ. საქმე ის არის, წუხელის გვიანობამე ვიჯექი და... დღეს ადრე ავდექი... იმ წერილის დასაწერად ავდექი, რომელიც ვალტერმა მთხოვა ალჟირის შესახებ... მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოდის. რამდენიც დავწერე, სულ დავხიე. ამ საქმეს შეჩვეული არა ვარ და ფორესტიეს მოვადექი... რომ მიშველოს, პირველად მიშველოს-მეთქი.

ქალმა გულიანად გადიკისკისა. კმაყოფილი, მხიარული და გულმოფერებული იყო.

— და ჩემთან გამოგზავნათ? — გააწყვეტინა, — ძალიან მომწონს, ძალიან.

— ღიას, ქალბატონო, მითხრა, მას ჩემზე უკეთ შეუძლია გაჭირვებიდან

გამოგიყვანოს: მე თვითონ არ მინდოდა, ვერ გავბედავ, რადგან... ხომ გესმით, რატომ?

ღიასახლისი წამოდგა:

— მიშვენიერია! დიდებული თანამშრომლობა გამოვა. აღფრთოვანებული ვარ თქვენი გადაწყვეტილებით. აბა, ჩემი ადგილი დაიკავე, თორემ რედაქციაში ჩემს ხელს იცნობენ. ახლავე გამოვაცხობთ წერილს, ისეთ წერილს, რომ ნამდვილად გაიმარჯვოს.

დღურუა დაჯდა, კალამი აიღო, წინ ქალაღლი დაიდო და დაელოდა. ქნი ფორესტიე კი იდგა და სამზადისს თვალს ადევნებდა. მერე ბუხრის თავიდან პაპიროსი აიღო და მოუკიდა.

— თუ არ მოვწიე, ვერ ვიმუშავებ. — თქვა. — აბა, ახლა მითხარით, რა გნებავთ უამბოთ მკითხველს?

დღურუამ გაცვებით ახედა:

— აბა რა ვიცი. მეც სწორედ ამისთვის გეახელით.

— ღიას, — თქვა ქალმა, — ვიცი. ახლავე გიშველით. მე წვეწვს მოგიმზადებთ, თავი საჭმელი კი თქვენვე უნდა შეამზადოთ.

ვაჟი გაჭირვებული იყო. პოვნა ეძნელებოდა. შემდეგ გაუბედავად წარმოთქვა:

— მინდა ჩემი მგზავრობა თავიდანვე უამბო.

ქალი მეორე მხრიდან მოუჯდა მაგიდას, ჟორჟს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— აბა, ჯერ მე მიაბზეთ. ხომ გესმით, მარტო მე მიაბზეთ. ნუ აჩქარდებით, ნურც რამეს გამოსტოვებთ. მერე მე თვითონ ავირჩევ, რაც გამოსადეგი იქნება.

რადგან დღურუამ არ იცოდა, საიდან დაეწყო, ქალი მიეშველა. მკაფიოდ ეკითხებოდა, როგორც მღვდელი ჰკითხავს ხოლმე აღსარებაზე მისულს, და ამ კითხვებით ასხენებდა დავიწყებულ წვრილმანს, ნანახ ადამიანებს და შემთხვევით თვალმოკრულ უცნობებსაც.

საათის მეოთხედი რომ ალაპარაკა, უცებ შეაწყვეტინა:

— ახლა კი შეიძლება დავიწყოთ. ჯერ წარმოვიდგინოთ, ვითომ მაგ შთაბეჭდილებას ვინმე მეგობარს უამბობთ. ეს უფლებას მოგცემთ, მთელი გროვა სისულელე წამოროშოთ, ასნაირი შენიშვნა ჩაურთოთ და, თუ მოახერხეთ, უბრალო და ოხუნჯური კილოც აიღოთ. მაშ დავიწყოთ:

— „დვირფასო ანრი, გინდა, გაიგო, ალჟირი რას წარმოადგენს? ახლავე გეტყვი. ალიზის ქოხში ვცხოვრობ და საქმე არა მაქვს-რა, ამიტომ დღიურსავეთ დავიწერ რამეს და გაიბობ, როგორ მიდის ყოველდღე და ყოველ საათს ჩემი ცხოვრება. ზოგი რამ იქნებ უზრდელობადაც მოგეჩვენოს, მაგრამ არა უშავს-რა. არავინ გაძალგებს, რომ ნაცნობ ქალებსაც წაუკითხო“.

შედგა და ჩამქრალ პაპიროსს ხელახლა მოუკიდა. ბატის ფრთის წრიპინიც უმაღვე შეწყდა.

— აბა, განვაგრძოთ.

„ალჟირი, საფრანგეთის დიდი პროვინცია, მდებარეობს უზარმაზარი, გამოუკვლეველი ქვეყნების საზღვარზე, რომელთაც ჰქვიათ საჰარა, შუა აფრიკა და სხვ. და სხვ.

„ალჟირი ამ საოცარი ქვეყნის კარია, თეთრი, მშვენიერი კარი. მაგრამ საჭიროა ჯერ ალჟირში ჩასვლა. თუმცა იცოდეთ, გზა ყველასათვის ვარდით არ არის მოფენილი. ალბათ გეცოდინება, მშვენიერი ცხენოსანი ვარ, პოლკის უფროსის ცხენებს ვხედავ, მაგრამ შეიძლება მშვენიერი ცხენოსანიც იყო და ყოველად უვარგისი მეზღვაური გამოდგეს. ეს ჭეშმარიტება ჩემზედაც გამართლდა.

„გახსოვს მაიორი სენბრეტი, „ექიმ იპეკას“ რომ ვეძახდით? (* პირველი ბგერებია სიტყვისა „იპეკაკუანა“ — სასაქმებელი მცენარის სახელია.) როცა გვეგონა, რომ დრო იყო ერთი დღე-ღამით სამკურნალოში, ე.ი. ბედნიერების ქვეყანაში დაგვესვენა, უმაღლე ამ ექიმს მივადგებოდი ხოლმე.

„სკამზე იჯდა, წითელშარვლიანი ფეხები გაღაჯული ჰქონდა, ხელები მუხლებზე ეწყო, თითქო ხიდი გაედოთ, ნიდაყვები — აწეული. ჭადარა უღვაშს იკვნეტდა და თევზის თვალებს აბრიალებდა.

„მისი რეცეპტიც გეხსომება: „ამა და ამ სალდათს კუჭი აქვს მოშლილი. მიეცით სასაქმებელი №3, მერე თორმეტ საათს მოასვენეთ და ყოველივე გაუვლის“.

„ეს სასაქმებელი დიდებული რამ იყო და მუდამ სჭრიდა. მეტი რა გზა იყო, უნდა ჩაგვეყვალა. სამაგიეროდ, ამ წამებას რომ გავუძლებდით — ოღონდ გვრგებოდა და — თორმეტ საათს ვნებივრობდით.

„მაშ ასე, ჩემო ძვირფასო, თუ გინდა აფრიკაში მოჰყვე, ორმოცი საათის განმავლობაში ნამდვილ სასაქმებელს უნდა გაუძლო, მაგრამ სხვანაირს, ტრანსატლანტიკური კომპანიის რეცეპტით შემზადებულს“.

ქმა ფორესტიემ ხელები სიამით მოიფშვინტა, რადგან ძალიან კმაყოფილი იყო თავისი გამოგონებით. ადგა, მეორე პაპიროსს მოუკიდა და ოთახში სიარული დაიწყო, თან ბოლის ჭავლებს უშვებდა. ეს ჭავლი მოკუმული ტუჩების პატარა და მრგვალი ნაჩვრეტებიდან ჯერ სწორი ზოლებივით გამოდიოდა, მერე კი განივრდებოდა და ცურვით იფანტებოდა. ალაგ-ალაგ ამ ტალღებისგან ჰაერში მხოლოდ ნაცრისფერი ხაზები, რაღაც გამჭვირვალე ნისლი და ორთქლი რჩებოდა, რომელიც აბლაბუდას ჰგავდა. ქნი ფორესტიე ზოგჯერ უფრო უჯიათ ბოლის დრუბელს ხელის ერთი გაკვრით ჰფანტავდა, ზოგჯერ კი საჩვენებელი თითის ჩაქნევით გასჭრიდა ხოლმე და მერე გულდასმით, ყურადღებით ადევნებდა თვალს ბოლის ორ განაჭერს, რომელიც ნელ-ნელა ქრებოდა.

დღურუა გაშტერებით უმზერდა დიასახლისს, თვალს ადევნებდა ყოველ მის მიმოხერას, მისი ტანის და სახის ყოველ მოძრაობას, რომელნიც გართულიყვნენ ანცი თამაშით, სადაც მისი აზრი არავითარ წილს არ იღებდა.

ახლა ქნი ფორესტიე მგზავრობის ყოველ თავგადასავალს აწერინებდა, მოგონილი თანამგზავრების პორტრეტებს უკარნახებდა და ერთი სასიყვარულო თავგადასავალიც კი ააწერინა, რომელიც დღურუას ვითომ ფეხოსანი ჯარის კაპიტნის ცოლთან შეემთხვა, ქმართან რომ მიდიოდა.

მერე ისევ ჩამოჯდა და მისთვის სრულებით უცნობი ალჟირის ტოპოგრაფია გამოჰკითხა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ჟორჟზე ნაკლები არ იცოდა და ამ ცნობებიდან წერილის პოლიტიკურ-კოლონიალური თავი შეადგინა, რათა მკითხველისთვის ეს საქმეც გაეცნო და სერიოზული საკითხებისათვის შეემზადებინა, რომელიც შემდეგ უნდა ყოფილიყო აღწერილი.

მერე მცირე ექსკურსი მოახდინა ორანის პროვინციაში. ამ ფანტასტიკურ მოგზაურობაში მხოლოდ იქაურ მავრიტანელ ქალებზე, ებრაელებსა და ესპანელებზე იყო ლაპარაკი.

— მკითხველს მხოლოდ ეს აინტერესებს, — თქვა და წერილი იქ დაასრულებინა, სადაც მგზავრები დააბანაკა: საიდში, მაღალი ზეგნების ძირში, როცა საინტერესო კვანძი გაიბა უნტეროფიცერ ჟორჟ დღურუასა და ესპანელ მუშაქალს შორის, რომელიც აინელჰაჯარეს ფაბრიკაში მსახურობდა. აღწერილი იყო მათი პაემანი ღამით, უდაბურ კლდიან მთებში, სადაც უფსკრულთა შორის ტურები, მგელკაცები და არაბული ძაღლები ყმუიან, ყეფენ და იღრინებიან.

დასასრულს მხიარულად დაუმატა:

— შემდეგი ხვალ იქნება, — მერე წამოდგა და მიმართა: — აი, ბატონო ჩემო, როგორ იწერება საგაზეთო წერილი. კეთილი ინებეთ და ხელი მოაწერეთ.

დღურუა მერყეობდა.

— ხელი მოაწერეთ-მეთქი!

გაიცინა და მოაწერა: „ჟორჟ დღურუა“.

ქალი ისევ დადიოდა და აბოლებდა, ხოლო დღურუა კვლავ შესცქეროდა და სამადლობელ სიტყვას ეძებდა. იჯდა და ბედნიერი იყო მისი სიახლოვით, აღსავეს იყო მადლობით და ფიზიკური ნეტარებით იმის გამო, რომ მათ შორის ინტიმობა მატულობდა. ეჩვენებოდა, თითქოს ირგვლივ ყოველივე ამ დედაკაცის ნაწილი იყო, ყოველივე, წიგნებით აფარებული კედლებიც კი. სავარძლებს, ავეჯეულს და ოდნავ თამბაქოს ბოლით გაუღვნიებლ ჰაერსაც კი რაღაც განსაკუთრებული, ნაზი და მშვენიერი იერი ედო და ყოველივე ეს მისგან, ამ დედაკაცისგან მოდიოდა.

მადლენამ უცებ ჰკითხა:

— რა აზრისა ბრძანდებით ჩემს მეგობარ ქალბატონ დე მარელზე?

მოულოდნელმა კითხვამ დღურუა გააოცა:

— მე... მე მგონი... ჩემის აზრით, მომხიბლავია, მშვენიერია.

— მართლა?

— რა თქმა უნდა, — და უნდოდა დაემატებინა: „არც იმდენად, როგორც თქვენ“, მაგრამ ვერ გაუბედა. მასპინძელმა განაგრძო:

— რომ იცოდეთ, რა ჭკვიანია, მხიარული, თავისებური! ბოჰემაა, ნამდვილი ბოჰემა, ამიტომ არ უყვარს ქმარს. მარტო ნაკლს ამჩნევს და სიკეთეს კი არა ხედავს.

დღურუამ რომ გაიგო, ქალბატონი დე მარელი გათხოვილიაო, ძლიერ გაიკვირვა, თუმცა დაუჯერებელი არაფერიც არ იყო, და ჰკითხა:

— მართლა? მაშ ქმრიანია? ვინ არის მისი ქმარი?

ქალბატონმა ფორესტიემ ოდნავ აიჩეხა მხრები, წარბი ასწია და ამ რხევას რაღაც ხელშეუხებელი მნიშვნელობა მისცა.

— ჩრდილოეთის რკინიგზების ინსპექტორია. თვეში ერთი კვირით ჩამოდის ხოლმე პარიზში. ამ შვიდ დღეს მისმა ცოლმა „სავალდებულო სამსახური“, „ბეგარა“ და „წმინდა კვირა“ დაარქვა. როცა უფრო ახლოს გაიცნობთ, ნახავთ, რაოდენად გულისხმიერი და საუცხოო დედაკაცია... ამ დღეებში როგორმე დრო იხელთეთ და შეიარეთ.

დღურუას დაავიწყდა, რომ წასვლის დრო იყო. ეგონა, თითქოს შინ იყო და სამუდამოდ აქ უნდა დარჩენილიყო.

კარი უხმოდ გაიღო და მოუხსენებელივ ვიღაც მაღალი ვაჟბატონი შემოვიდა. დღურუა რომ დაინახა, შესდგა. ქნი ფორესტიე წამით შეკრთა. მხრებსა და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. მაინც არ შეიმჩნია და ჩვეულებრივი ხმით უთხრა:

— მობრძანდით, ჩემო ძვირფასო. ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ: შარლის მეგობარი ჟორჟ დღურუა, მომავალი ჟურნალისტი, — და შემდეგ ახალმოსულიც გულგრილად დაასახელა:

— ჩვენი საუკეთესო და უახლოესი მეგობარი გრაფი დე ვოდრეკი.

მამაკაცებმა ერთმანეთს ღრმად ჩახედეს თვალებში და თავი დაუკრეს. დღურუა უმაღლე გამოვიდა.

დარჩენა არავის უთხოვია. რამდენიმე სამადლობელი სიტყვა წაიღულღულა, ახალგაზრდა ქალს ხელი ჩამოართვა, ერთხელ კიდევ დაუკრა თავი სტუმარს, რომელსაც, როგორც ზრდილობიან ადამიანს შეეფერებოდა, ისევ ცივი და სერიოზული იერი ედო სახეზე, და ისეთი დარცხვენილი გამოვიდა, თითქოს რაღაც სისულელე ჩაედინოს.

ქუჩაში რომ აღმოჩნდა, ცუდ გუნებაზე დადგა, რაღაც სევდა იგრძნო, რაღაც შეუცნობელმა დარღმა შეიპყრო. მიდიოდა და თან ფიქრობდა, ასე უცებ რად მოაწვა ბუნდოვანი ნადველი. მიზეზს ვერ პოულობდა, მაგრამ გრაფ დე ვოდრეკის სუსხიანი ტანი და სახე თვალიდან არ შორდებოდა. ის ახალგაზრდა აღარ იყო, ჭადარა ერია და დინჯი, უკმეხი თვალები ჰქონდა, თვალები მდიდარი და თავის ძალ-ღონეში დაჯერებული კაცისა.

ისიც შეამჩნია, რომ უცნობის მოსვლამ, ასე რომ დაარღვია საუცხოო საუბარი, რომელსაც ჟორჟის გული თითქმის მიეჩვია, იმ ცივი უიმედობის შთაბეჭდილება მოახდინა, რომელიც ზოგჯერ თქვენს გუნებაში შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე

სიტყვამ, შემთხვევით შემჩნეულმა ნაკლმა, რაღაც უმნიშვნელო წვრილმანმა. გარდა ამისა, მოეჩვენა, თითქოს იმ ადამიანსაც, ვინ იცის, რატომ, მისი შეხვედრა არ ესიამოვნა.

სამ საათამდე საქმე არა ჰქონდა რა, ჯერ კი თორმეტიც არ იყო. ჯიბეში ექვს-ნახევარი ფრანკი ედო, ამიტომ დუვალთან შევიდა საუზმის საჭმელად. შემდეგ დიდ ბულვარზე იბორიალა და, სამი საათი რომ დარეკა, უკვე „საფრანგეთის ცხოვრების“ კიბეზე აღიოდა.

გულხელდაკრეფილი კანცელარიის მსახურნი ისხდნენ და ელოდებოდნენ, ხოლო მეკარე მისჯდომოდა მაგიდას, რომელიც პროფესორის მცირე კათედრას ჰგავდა და ახლად მოსულ ფოსტას არჩევდა. ყოველივე კარგად იყო ნაგარაუდვეი, რათა შემოსულებზე შთაბეჭდილება მოეხდინათ. მოსამსახურეებიც ისე იყვნენ შერჩეულნი, როგორც დიდი გაზეთის ტალანს შეეფერებოდა. ყველას შესაფერი გეში, მიხრა-მოხრა, რიხი და ფახი ჰქონდა.

დღურუამ იკითხა:

— შეიძლება ბატონი ვალტერის ნახვა?

მეკარემ მიუგო:

— ბატონი დირექტორი ამჟამად კრებაზეა. კეთილ ინებეთ და ცოტა ხანს მოითმინეთ, — და ხალხით სავსე მისაღებ ოთახზე მიუთითა.

აქ ბევრნაირი ხალხი ტრიალებდა: ხნიერიც და ახალგაზრდაც, მედიდური ორდენიანიც და მდაბიოც: ცუდად ჩაცმული, ყელამდე შეკრული სერთუკებით, რომელნიც გეოგრაფიულ რუკებს ჰგვანდნენ, რადგან მათი ლაქები ზღვას და ხმელეთს მოგაგონებდათ.

მათ შორის სამი დედაკაცი იყო. ერთი მათგანი მოპრანჭული, ლამაზი იყო, ილიმებოდა და როსკიპს ჰგავდა. იმის სახედანაოტკებულ მეზობელს სადად, მკაცრად ეცვა, ტრაგიკული სახე ჰქონდა და ძველ მსახიობს ჰგავდა. როგორღაც მოთელილი, ხელოვნური არსება იყო, თანაც რაღაც გამოფიტული, ნაძალადევი სიახალგაზრდავის იერი ედო და დამუჯვებული სიყვარულის სუნი ასდიოდა.

მესამე დედაკაცს სამგლოვიაროდ ეცვა, კუთხეში იჯდა და მჭმუნვარე ქვრივის ბეჭედი ესვა. დღურუამ გაიფიქრა, ალბათ, მოწყალების სათხოვნელად მოსულაო.

თუმიცა ოციოდე წუთი გავიდა, ვალტერთან მაინც ჯერ არავინ შეეშვათ. დღურუას ბედნიერი აზრი მოუვიდა და მეკარის სანახავად გავიდა.

— ბატონმა ვალტერმა სამი საათისთვის დამიბარა, — უთხრა. — ყოველი შემთხვევისათვის, შეიხედეთ, ჩემი მეგობარი ფორესტიე აქ ხომ არ არის.

დღურუა ვრძელი ტალანით წაიყვანეს და შეიყვანეს დიდ დარბაზში, სადაც განიერსა და მწვანე მაგიდას ოთხი კაცი მისჯდომოდა და წერდა.

ფორესტიე ბუხართან იდგა, პაპიროსს ეწეოდა და ბილბოკეს თამაშობდა. ეტყობოდა, ამ თამაშში გამოცდილი იყო და ყვითელი ხის უზარმაზარ ბურთს აუცდენლად არტობდა პატარა ჯოხის წვერზე.

— ოცდაორი... ოცდასამი... ოცდაოთხი... ოცდახუთი, — ითვლიდა.

— ოცდაექვსი! — თქვა დღურუამ. მისმა მეგობარმა გადმოხედა, მაგრამ ხელების მოძრაობა არ შეწყვიტა.

— ჰა, აქა ხარ? გუშინწინ ზედიზედ ოცდაშვიდჯერ დავიჭირე. მარტო სენ-პოტენი თამაშობს ჩემზე უკეთ. ჩვენი პატრონი ნახე? იმაზე სასაცილო არაფერია, როცა ბებრუცუნა ნორბერი ბილბოკეს თამაშობს ხოლმე. პირს ისე ადებს, თითქო ბურთის გადაყლაპვას აპირებსო.

ერთმა რედაქტორთაგანმა მისკენ მოიხედა:

— ყური მიგდე, ფორესტიე. ერთ ალაგას ძალიან ძვირად იყიდება ხის მშვენიერი ბილბოკე. ამბობენ, ოდესღაც ესპანეთის დედოფალს ეკუთვნოდაო. სამოც ფრანკს თხოულობენ. ძვირი არ არის.

— სად იყიდება? — იკითხა ფორესტიემ — და მეოცდამეცხრეზე რომ ააცდინა, კარადა გამოაღო. იქ დღურუამ ოციოდე საუცხოო ბილბოკეს მოჰკრა თვალი. ისე იყო დალაგებულ-დანომრილი, როგორც ძვირფასი ნივთები კოლექციონერის მაღაზიაში.

— სად ინახება ის იშვიათი ბილბოკე? — კვლავ იკითხა ფორესტიემ მას შემდეგ, როცა სათამაშო თავის ალაგას დადო.

— ვოდვეილის თეატრის ერთ მებღელეთესთან, — მიუგო ჟურნალისტმა. — თუ გინდა, ხვალვე მოგიტან.

— კეთილი, თანახმა ვარ. თუ მართლა ლამაზია, ავიღებ. ბილბოკე არასოდეს ზედმეტი ბარგი არ არის. — მერე დღურუას მიუბრუნდა. — წამომყე, პატრონთან შეგიყვან, თორემ სადამოს შვიდ საათამდე აქ იჯდები.

გაიარეს მისაღები ოთახი, სადაც იგივე ხალხი ისევ წედანდელ რიგზე იჯდა. გამოჩნდა თუ არა ფორესტიე, ახალგაზრდა ქალი და ხნიერი მსახიობი დედაკაცი წამოდგნენ და მასთან მივიდნენ.

მან ჯერ ერთი მიიყვანა ფანჯარასთან, მერე მეორე, და თუმცა ცდილობდნენ დაბალი ხმით ელაპარაკათ, დღურუამ მაინც გაიგონა: ორივეს „შენ“-ობით ელაპარაკებოდა.

„კრება“ ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა: ვალტერი ეკარტეს ეთამაშებოდა რამდენიმე ვაუბატონს, რომელნიც დღურუამ გუშინ რედაქციაში შენიშნა.

ვალტერს ქაღალდი ეჭირა. გულმოდგინედ და ცუდლუტი იერით თამაშობდა. მეორე მოთამაშე კი მსუბუქ, ფერად ქაღალდს ისე მოქნილად, ისე მარდად იღებდა და ატრიალებდა, რომ ეტყობოდა, გამოცდილი მოთამაშე უნდა ყოფილიყო. ნორბერ დე ვარენი დირექტორის სავარძელში იჯდა და წერილს წერდა, ხოლო ჟაკ რივალი რბილ ტახტზე გაშოტილიყო, თვალები დაეხუჭა და სიგარას ეწეოდა.

ჰაერში შმორის, ავეჯის, ტყავის, სიგარის ბოლის და სტამბის სუნი იდგა, რედაქციის ის თავისებური სუნი, რომელსაც ყოველი ჟურნალისტი იცნობს.

სპილენძით შემკულ შავი ხის მაგიდაზე ქაღალდის ვეებერთელა გროვა იდგა: წერილები, სადარბაზო ბარათები, გაზეთები, ჟურნალები, ანგარიშები და ყოველნაირი დაბეჭდილი მასალა ელაგა.

ფორესტიემ მოთამაშეთა უკან მდგომთ ხელი ჩამოართვა, სიტყვა არ დასძრა და თამაშს თვალყურის დევნება დაუწყო. მერე დრო იხელთა და, ვალტერმა რომ მოიგო, უთხრა:

— აი, ჩემი მეგობარი დღურუა.

დირექტორმა ახალგაზრდა ვაჟს სათვალის ზემოდან სწრაფად გადმოხედა და ჰკითხა:

— წერილი მომიტანეთ? სანამ დეპუტატთა პალატაში მორელის შეკითხვის გამო კამათია გამართული, თქვენი წერილი მისწრება იქნება.

დღურუამ ჯიბიდან ოთხადღაკეცილი ფურცლები ამოიღო და

— აი ინებეთ.

პატრონი თითქო ძალიან კმაყოფილი დარჩა. გაიღიმა და უთხრა:

— ძალიან კარგი. სიტყვის შესრულება გცოდნიათ, ფორესტიე, საჭიროა თუ არა წავიკითხო?

ფორესტიემ უმაღვე მიუგო:

— არა ღირს, ბატონო ვალტერ. მინდოდა დღურუასთვის ეს საქმე მესწავლებინა, ამიტომ ერთად ვიმუშავეთ. ძალიან კარგი წერილია.

ვიდაც მაღალი, გამხდარი კაცი, მემარცხენე ცენტრის დეპუტატი, ქაღალდს არიგებდა. ვალტერმა ქაღალდი აიღო და გულგრილად თქვა:

— კეთილი.

ფორესტიემ აღარ მოუცადა, სანამ ვალტერი ახალ პარტიას დაიწყებდა, და ყურში რბილად ჩაუწვეთა:

— თუ გახსოვთ, მარამბოს ალაგზე დღურუას აყვანას დამპირდით... ნება მიბოძეთ, იმავე პირობით მოვიწვიო.

— ჰო, კარგი.

ჟურნალისტმა თავის მეგობარს ხელი გაუყარა და ოთახიდან გაიყვანა, ვალტერი კი ხელახლა შეუდგა თამაშს.

ნორბერ დე ვარენმა თავიც არ ასწია: დღურუა თითქო ვერც კი დაინახა, ან ვერ იცნო. ჟაკ რივალმა კი, პირიქით, განგებ დემონსტრაციული ენერგიით ჩამოართვა ხელი, როგორც კეთილმა მეგობარმა, რომლის იმედი საჭირო დროს მუდამ სარწმუნო იყო.

ხელახლა გაიარეს მისაღები ოთახი და, რადგან მათ ყველამ თვალი მიაბჯინა, ფორესტიემ ყველაზე ახალგაზრდა ქალს უთხრა, რათა სხვებს გაეგონათ:

— გამომცემელი მალე დაიწყებს მიღებას. ამჟამად საბიუჯეტო კომისიის ორ წევრთან საუბრობს.

თქვა და სწრაფი ნაბიჯით, საქმიანი და ამაყი იერით გაიარა, ისე გაიარა, თითქო დაუყოვნებლივ მეტად სასწრაფო დეკრეტი უნდა შეედგინა.

სარედაქციო დარბაზში რომ დაბრუნდნენ, ფორესტიე ხელახლა შეუდგა თავის ბილბოკს. თამაშს გულმოდგინედ გაჰყვა, თან დეურუას ელაპარაკებოდა და თან თვლიდა:

— მაშ იცოდე: ყოველდღე სამ საათზე მოხვალ და მოისმენ, სად უნდა წახვიდე, ვინ ინახულო და როდის — დილით, შუადღეზე თუ საღამოს. — ეს ერთი! თავდაპირველად სარეკომენდაციო წერილს გაგატან საპოლიციო პრეფექტურის ბიუროს გამგესთან, — ეს ორი! ხოლო ის ერთ-ერთ თავის მოხელესთან გაგგზავნის. შენ მას შეუთანხმდები, თუ როგორ უნდა მიიღო მისგან ყველა საინტერესო ახალი ამბავი, — ეს სამი! პრეფექტურის მომსახურებისაგან... ოფიციალური ამბები და, თავისთავად ცხადია, თითქოს ოფიციალურიც, წვრილმანისთვის, სენ-პოტენს მიმართე ხოლმე. მან ყველაფერი იცის, — ეს ოთხი! შეგიძლია ახლავე ან ხვალ ნახო. უმთავრესი ის არის, რომ ისწავლო, როგორ უნდა გამოსწურო ყველაფერი იმ ხალხს, ვისთანაც გაგგზავნი, — ეს ხუთი! და ყველგან, თუნდაც დაკეტილ კარებშიც, როგორ უნდა შეძვრე, — ექვსი! ჯამაგირად თვეში მუდმივ ორასი ფრანკი გექნება და სტრიქონში ორი სუ საინტერესო ქრონიკაში, თუ ამ ამბებს შენვე მოაგროვებ, — შვიდი! სტრიქონში ორი სუ იმ წერილებში, რომელიც სხვადასხვა საკითხების გამო შენ გექნება მონდობილი, — ესეც რვა!

მერე სულით და გულით ჩააცივდა თამაშს და აუჩქარებლივ ითვლიდა: „ცხრა!... ათი!... თერთმეტი!... თორმეტი!... ცამეტი!“ შემდეგ ააცდინა და შეიკურთხა:

— უჰ, ისევ ცამეტი! დასწყევლოს ეშმაკმა! ეს რიცხვი მუდამ ჩამჭრის ხოლმე. ერთმა რედაქტორთაგანმა მუშაობა გაათავა და ბილბოკე გამოიღო კარადიდან. პატარა ტანის ვაჟი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ოცდათხუთმეტი წლისა შესრულდა, მაინც ბაღლს ჰგავდა. კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი შემოვიდა. ყველა რიგ-რიგად მიდიოდა კარადასთან და თავისი ბილბოკე გამოჰქონდა. მალე ექვსივე ჩამწკრივდა. ზურგი კედლისკენ ჰქონდათ და თანაბარი, გამოზომილი მოქნევით ჰაერში წითელ, ყვითელსა და შავ ბურთებს ისროდნენ. შეჯიბრი დაიწყო, ამიტომ ორი რედაქტორიც წამოდგა, რათა მსაჯულობა ეკისრათ.

ფორესტიემ თერთმეტით გაიმარჯვა. პატარა კაცმა, ბაღლს რომ ჰგავდა, წააგო. მოსამსახურეს დაუძახა და უთხრა:

— ცხრა ჭიქა ლუდი.
და ლუდის მოლოდინში ყველანი ხელახლა შეუდგნენ თამაშს.
დეურუამაც თავის ახალ თანამშრომლებთან ერთად დალია და ფორესტიეს ჰკითხა:

— დღეს რას მიბრძანებ?
მან უპასუხა:
— დღეს საშენო არაფერი მაქვს. თუ გინდა, წადი.
— ჩვენი... ჩვენი წერილი... დღესვე დაიბეჭდება?
— ჰო, მაგრამ ნუ სწუხარ. კორექტურას მე თვითონ წავიკითხავ. ხვალისთვის გაგრძელება შეამზადე და სწორედ სამზე მოდი.

დეურუამ ყველას ხელი ჩამოართვა, თუმცა მათი სახელიც კი არ იცოდა, და ბედნიერი გულით, მხიარული გუნებით, მშვენიერ კიბეზე დაეშვა.

თავი მეოთხე

ჟორჟ დეურუას ცუდად ეძინა, რადგან სურვილი აწვალებდა თავისი წერილი დაბეჭდილი ენახა. გათენდა თუ არა, უკვე ზეზე იყო. ქუჩებში გაცილებით უფრო ადრე გამოვიდა სახეტილოდ, ვიდრე გამოჩნდებოდნენ დამტარებელნი, რომელნიც გაზეთებით ერთი ჯიხურიდან მეორესკენ გადარბიან ხოლმე.

სენ-ლაზარეს სადგურისკენ წავიდა. კარგად იცოდა, რომ „საფრანგეთის ცხოვრება“ იქ უფრო ადრე მიდიოდა, ვიდრე მის უბანში. მაგრამ ადრე იყო და ქუჩაში ბოლთას სცემდა. ჯერ დაინახა მინეულობით მოვაჭრე დედაკაცი, რომელმაც თავისი დუქანი გააღო, მერე შეამჩნია ერთი ადამიანი, რომელსაც თავზე შემოებული ქაღალდის გროვა მიჰქონდა. მივარდა, მაგრამ „ფიგარო“, „ჟილ ბლასი“, „გოლუა“ და „ყოველდღიური ამბები“ და რამდენიმე სხვა დილის გაზეთი აღმოაჩნდა. „საფრანგეთის ცხოვრება“ კი ჯერ არ იყო გამოსული.

უცებ შიში შეეპარა: „იქნებ „აფრიკელი სალდათის მოგონებანი“ ხვალისთვის გადასდეს, ან შემთხვევით, უკანასკნელ წუთს ბებერ ვალტერს წერილი არ მოეწონა?“

ჯიხურთან დაბრუნდა და შენიშნა, რომ მის გახეთს უკვე ჰყიდდნენ, თუმცა არ შეუნიშნავს, როდის და როგორ გაატარეს მის გვერდით. ჯიხურს ეცა, სამი სუ მიუგდო, თაბახი გაშალა და პირველი გვერდის სათაურებს გადაავლო თვალი. „არ არის!“ გული აუჩქროლდა. ფურცელი გადმოშალა და აფორიაქებულმა ერთი სვეტის ძირში შავი ასოებით ნაბეჭდი წაიკითხა: „ჟორჟ დეურუა“. „ყოფილა! რა სასიხარულო ამბავია!“

გაიარა. არაფერზე აღარ ფიქრობდა. გაზეთი ხელში ეჭირა. ცილინდრი გვერდზე ჰქონდა მოგდებული და თანაც სურვილი ჰკლავდა, გამვლელები შეეჩერებინა და ეთქვა: „იყიდეთ, ეს გაზეთი იყიდეთ, ჩემი წერილია დაბეჭდილი!“ სურდა, რაც ძალა ჰქონდა, დაეკვირა, როგორც საღამოობით მეგახეთენი ჰკვირებდა ხოლმე ბულვარებზე: „წაიკითხეთ „საფრანგეთის ცხოვრება“. წაიკითხეთ ჟორჟ დეურუას „მოგონებანი აფრიკელი სალდათისა!“ და უცებ თვითონაც მოუნდა ამ წერილის წაკითხვა სადმე საზოგადო ადგილზე, კაფეში, ყველას თვალწინ. და ისეთი კაფეს ძებნას შეუდგა, რომ სახსე ყოფილიყო ხალხით. დიდხანს მოუწია სიარული. ბოლოს სადღაც შევიდა, სადღაც რამდენიმე მუშტარი იჯდა.

— ერთი რომი! — ისე დაიძახა, თითქოს შეეძლო რომის ნაცვლად აბსენტიც მოეთხოვა, ის კი აღარ იფიქრა, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო. შემდეგ მიაძახა: — გარსონ, „საფრანგეთის ცხოვრება“ მომიტანე!

ერთი ბიჭი მივარდა. თეთრი წინსაფარი ეკეთა.

— ეგ გაზეთი არა გვაქვს, ბატონო. მხოლოდ „მოწოდება“, „საუკუნე“, „ლამპარი“ და „პარიზის ფურცელი“ მოგვდის.

დეურუამ მწყრალად და აღშფოთებით განაცხადა:

— რა ამბავია, ეს რა დუქანია? წადით და იყიდეთ!

მსახურმა სირბილით მოიტანა გაზეთი. დეურუა თავისი წერილის კითხვას შეუდგა და რამდენჯერმე თქვა ხმამაღლა: „ძალიან კარგი! ძალიან კარგი!“, რათა მეზობლების ყურადღება მიეპყრო და მათთვის სურვილი აღეძრა, გაეგოთ, რა იყო საიმისო დაბეჭდილი იმ გაზეთში. როცა გამოდიოდა, გაზეთი განგებ დატოვა მაგიდაზე, პატრონმა შეამჩნია და მიაძახა:

— ბატონო, გაზეთი დაგავიწყდათ!

დეურუამ უპასუხა.

— უკვე წავიკითხე. განგებ დაგიტოვეთ. სხვათა შორის, ამ გაზეთში მეტად საინტერესო რამ არის დაბეჭდილი.

წერილი არ დაუსახელა, მაგრამ როცა მობრუნდა, დაინახა, რომ ერთმა მუშტარმა მისი გაზეთი აიღო.

„ახლა რაღა ვქნა?“ — ჰკითხა თავის თავს და გადაწყვიტა წინანდელ სამსახურში წასულიყო, ჯამაგირი მიეღო და სამსახურიდან გასვლაც გაეცხადებინა. წინდაწინვე თრთოდა სიამით იმის გამო, თუ როგორ გაოცდებოდნენ მისი თანამშრომლები და გამგე, და ნამეტნავ აღტაცებული იყო თავისი უფროსის გაკვირვებით.

ნელი ნაბიჯით მიდიოდა, რათა ათის ნახევარზე ადრე არ მისულიყო: სალაროს მხოლოდ ათზე აღებდნენ.

ის განყოფილება, სადღაც დეურუა მუშაობდა, დიდსა და ბნელ ოთახში იყო მოთავსებული და ზამთრობით აირი თითქმის მთელ დღეს ენთო. იგი ვიწრო ეზოს გადასცქეროდა. დანარჩენ განყოფილებათა ფანჯრებიც ამავე ეზოში გამოდიოდა. ამ ოთახში რვა კაცი მუშაობდა, გარდა თანამშემწესი, რომელიც ფარდით მოფარებულ კუთხეში იჯდა.

დეურუა ჯერ ჯამაგირის მისაღებად მივიდა. მისი ხვედრი ას თვრამეტი ფრანკი და ოცდახუთი სანტიმი ყვითელ კონვერტში იდო და ჯამაგირთა გამგის ყუთში ინახებოდა. შემდეგ გამარჯვებულის რიხით შებრუნდა დიდ სამუშაო ოთახში, სადღაც ამდენი დღე გაატარა.

შევიდა თუ არა, გამგის თანამშემწემ პოტელმა მიმართა:

— აა, ბატონო დეურუა, თქვენ ბრძანდებით? გამგემ უკვე რამდენჯერმე გიკითხათ. ხომ იცით, რომ ზედიზედ ორ დღეზე მეტი ავად ყოფნა აკრძალულია, თუ ექიმის მოწმობა არ წარმოადგინეთ.

დეურუა ოთახის შუაგულში იდგა და შთაბეჭდილების მოხდენას ამზადებდა. მერე ხმამაღლა უპასუხა:

— ჯანდაბას თქვენი წესებიც და გამგეც!

მოსამსახურეებს გაოცების ტალღამ გადაჰკრა. ბატონი პოტენი თითქოს ყუთში იჯდა, ახლა კი, ეს სიტყვები რომ გაიგონა, მისი თავი ფარდიდან გამოძვრა.

მან ამ ფარდებს შეაფარა თავი: ქარები სჭირდა და ორპირი ნიავისა ეშინოდა. მხოლოდ ორი ნაჩვრეტი გაუკეთა სქელ ქაღალდს, რათა მოსამსახურეთათვის თვალყური ედევნებინა.

იმწამს ბუზიც რომ გაფრენილიყო, გაიგებდნენ. ბოლოს, თანაშემწემ გაუბედავად ჰკითხა:

— რა ბრძანეთ?

— ჯანდაბას თქვენი წესებიც და გამგის თავიც-მეთქი! მე მხოლოდ იმისთვის შემოვიარე, რომ სამუდამოდ დაგეთხოვო თქვენს სამსახურს. ამიერიდან „საფრანგეთის ცხოვრების“ თანამშრომლად ვითვლები და ჯამაგირად, ჰონორარის გარდა, თვეში ხუთასი ფრანკი მექნება. ჩემი წერილი კიდევაც დაიბეჭდა დღევანდელ ნომერში.

ჯერ სიამოვნების გაჭიანურება უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და ყველაფერი ერთად გადმოაღაგა. მაინც სრული შთაბეჭდილება მოახდინა: ყველანი სახტად დარჩნენ.

შემდეგ დღურუამ დაუმატა:

— ამას ახლავე განვუცხადებ განყოფილების გამგეს და შემდეგ ყველას თავს დაგიკრავთ.

და მის საძებნელად წავიდა. დაინახა თუ არა გამგემ დღურუა, მაშინვე ყვირილს მოჰყვა:

— აა, მობრძანდით? ხომ იცით, მე არ მიყვარს...

ხელქვეითმა გააწვევტინა:

— არ მესმის, რა გაყვირებთ?

ჩასუქებული და მამლის ბიბილოსავით წითური გამგე გაოცებული გახევდა, დღურუამ კი განაგრძო:

— მეყო, რაც თქვენს დუქანში ობი მომეკიდა. დღეს ჟურნალისტობა დავიწყე და ძალიან კარგი ადგილი მივიღე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

და შურნაძიები გამოვიდა.

ყველა თნამშრომელს ხელი ჩამოართვა, რომელთაც სიტყვაც ვერ უთხრეს: ათვალწუნების შიში ჰქონდათ, რადგან, წელან რომ კარი ღია დატოვა, მისი ლაპარაკი გამგესთან ყველამ გაიგონა.

ახლა დღურუა ქუჩაშია და ჯამაგირი ჯიბეში აქვს. ერთ რესტორანში, სადაც მას იცნობდნენ და ფასიც ხელსაყრელი იყო, გასაძღომი საუზმე შეუკვეთა. შემდეგ „საფრანგეთის ცხოვრების“ ერთი ნომერიც იყიდა და რესტორანში დატოვა. რამდენიმე მაღაზიაში შეიარა და მხოლოდ იმისთვის შეიძინა წვრილმანი, რომ შეძლება ჰქონოდა, თავის ბინაზე გაეგზავნა და თავისი ვინაობა ხმამაღლა გაეცხადებინა: — ჟორჟ დღურუა — და თანაც დაემატებინა: — „საფრანგეთის ცხოვრების“ თანამშრომელი. შემდეგ ქუჩის სახელს და სახლის ნომერს ეტყოდა და მზრუნველობით დაუმატებდა:

— მეკარეს გადაეცით.

რადგან თავისუფალი დრო ჰქონდა დარჩენილი, ლითოგრაფიაში შევიდა და ასი სადარბაზო ბარათი შეუკვეთა, თანაც სახელს და გვარს ახალი თანამდებობაც დაუმატა. ბარათები მის თვალწინ რამდენიმე წუთში დაუმზადეს და ჩააბარეს. ამის შემდეგ რედაქციაში წავიდა.

ფორესტიე ხელქვეითს ამაყად დაუხვდა:

— აქა ხარ? ძალიან კარგი. ბევრი საქმე მაქვს შენთან. ერთი წუთი მომიცადე, სანამ სამუშაოს გავათავებდე.

და დაწყებული წერილის წერა განაგრძო.

დიდი მაგიდის მეორე ბოლოში ერთი კაცი იჯდა და წერდა. პატარა, მეტად მკრთალი, გაბერილი, მსუქანი და მელოტი იყო. თავის ქალა მთლად თეთრი ჰქონდა და ქონისაგან ელვარებდა. ბეცი იყო და ამიტომ წერის დროს ცხვირი ქაღალდზე ჰქონდა დაბჯენილი.

ფორესტიემ ჰკითხა მას:

— ერთი მითხარი, სენ-პოტენ, ჩვენებს რომელ საათზე ჩამოართმევ ინტერვიუს?

— ოთხზე.

— თან ახალგაზრდა დედურუას წაიყვან, აი, აქ არის, და ჩვენი ხელობის საიდუმლოს გააცნობ.

— კეთილი, შევასრულებ.

შემდეგ ფორესტიე თავის მეგობარს მიუბრუნდა და დაუმატა:

— წერილის გაგრძელება მოიტანე? დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ დასაწყისს დიდი გამოძახილი ჰქონდა.

შემკრთალმა დედურუამ წაიღულულა:

— არ მომიტანია... მეგონა, ნაშუადამევს მოვასწრებ-მეთქი... აუარებელი საქმე მქონდა... ვერ მოვასწარი.

მან უკმაყოფილოდ აიჩეხა მხრები:

— თუ დაპირებას არ შეასრულებ ხოლმე, მომავალს წაიხდენ. ბებერ ვალტერს შენი წერილის იმედი ჰქონდა. ვეტყვი, ხვალ დაიბეჭდება-მეთქი. მაგრამ ცდები, თუ ფიქრობ, რომ ტყუილ-უბრალოდ მოგცემენ ჯამაგირს.

და ხანმოკლე დუმის შემდეგ დაურთო:

— სანამ ფურნე ცხელია, პური მანამდე გამოაცხვე.

სენ-პოტენი წამოდგა და თქვა:

— მზად გახლავართ.

ფორესტიე სავარძელში გაიჭიმა, თითქმის სახეიმო იერი მიიღო და დედურუას დავალება მისცა.

— აი, რას გეტყვი: ორი დღეა პარიზში ცხოვრობენ ჩინელი გენერალი ლი ტენგ ფაო, რომელსაც „კონტინენტალში“ აქვს ბინა, და ინდოელი რაჯა ტაპოსაგობ რამადერაო პალი — „ბრისტოლში“. უნდა მოელაპარაკოთ. — მერე სენ-პოტენს მიუბრუნდა: — ჩემი ნათქვამის მთავარი დებულებანი არ დაივიწყო. რაჯას და გენერალსაც ჰკითხე, რას ფიქრობენ ინგლისის ქვეუდანობაზე შორეულ აღმოსავლეთში, მის პოლიტიკაზე მისსავე კოლონიებში, აქვთ თუ არა იმედი, რომ მათ საქმეებში ევროპა და, კერძოდ, საფრანგეთი საერთოდ ჩაერევა? — გაჩუმდა და მერე თითქო განზე სთქვა: — ჩვენს მკითხველს ნამეტნავად აინტერესებს, რას ფიქრობენ ჩინეთი და ინდოეთი ამ საკითხების გამო, — მერე მარტო დედურუას მიუბრუნდა და უთხრა: — თვალყური ადევნე, როგორ უდგება საქმეს სენ-პოტენი — მშვენიერი რეპორტიორია — და სცადე შეისწავლო ის ხერხები, რომელთა წყალობითაც ხუთ წუთში შეიძლება ადამიანს ყველაფერი წამოაროშინო.

შემდეგ მედიდურად აიღო კალამი და ცხადჰყო, რომ სურდა, მოზრდილ მანძილზე დარჩენილიყო და თავის ნაამხანაგევისთვის (ახლა კი ახალი თანამშრომლისთვის) შესაფერი ალაგი მიეჩინა.

გამოსცდნენ თუ არა კარის დირეს, სენ-პოტენმა გაიციინა და დედურუას უთხრა:

— რა ჯამბაზია! ჩვენს წინაშეც კი მართავს წარმოდგენას. დმერთმანი, ლამისაა ვიფიქრო, რომ ჩვენც კი თავისი მკითხველები ვგონივართ. — და როცა ბულვარზე გამოვიდნენ, ჰკითხა: — დავლით რამე?

— დიდი სიამოვნებით. ძალიან ცხელა.

კაფეში შევიდნენ და გასაგრძელებელი მოითხოვეს. სენ-პოტენი ყბედობას მოსდგა. გაზეთზე და ყველაფერზე გასაოცარი წვრილმანით ლაპარაკობდა.

— ჩვენი პატრონი? ნამდვილი ებრაელია! ებრაელი კი, ხომ იცით, მუდამ ებრაელია. რას იზამ, ასეთი ჯიშია!

და საოცარი მაგალითები უამბო მისი სიხარბის და სიძუნწისა, რომელიც ებრაელებს ახასიათებთ, გროშულ ეკონომიასა და მტაცებელურ-მევახშურ ფანდებზე.

— მიუხედავად ამისა, დიდებული, საქმის კაცია, არავის არ ენდობა და თვითონვე ატრიალებს ყველაფერს. მისი გაზეთი ოფიცოზია, კათოლიკური, ლიბერალური, რესპუბლიკური, როიალური. გულიანი ქადაა, საწვრილმანო დუქანია და დაარსდა მხოლოდ მისი საბირჟო ოპერაციებისა და ყოველგვარი ბნელი საქმეების რეკლამისათვის. ამ საქმეს კარგად იცნობს, უგროშოდ აარსებს სააქციო საზოგადოებებს და მილიონებს იგებს.

დედურუას „ჩემო ძვირფასო მეგობაროს“ ეძახდა და უამბობდა:

— ეს ძუნწი ბალზაკივით ლაპარაკობს. წარმოიდგინეთ: ერთ მშვენიერ დღეს მის კაბინეტში მე, გამოფიტული ბოლოკი ნორბერი და დონ კიხოტი რივალი ვისხედით. უცებ ჩვენი მოურავი მონტელენი შემოვიდა თავის ნატის პორტფელით, რომელსაც მთელი პარიზი იცნობს. ვალტერმა ცხვირი ასწია და იკითხა:

— „ახალი რა არის?“

მონტელენმა გულუბრყვილოდ უპასუხა:

— „ეს-ეს არის გადავიხადე ქაღალდის ვალი თექვსმეტი ათასი ფრანკი“.

გაოცებული პატრონი შესტა:

— „რაო? რა თქვი?“

— „ბატონ პრივას გადავუხადე“.

— „ხომ არ გაგიჟდით?“

— „რატომ?“

— „რატომ... რატომ... რატომ...“

სათვალე მოიხსნა, გაწმინდა, მერე იმ სასაცილო ღიმილით გაიღიმა, რომელიც მის მსუქან ლოყებზე გადაირბენს ხოლმე, როცა რაიმე ცუდლუტურის ან დიდმნიშვნელოვანის თქმას აპირებს, და დამცინავი, დაჯერებული კილოთი თქვა:

— „რატომ! იმიტომ, რომ შეგვეძლო ოთხი ან ხუთი ათასი ფრანკი დაგვეკლო“.

მონტელენმა გაკვირვებით მიუგო:

— „ბატონო დირექტორო, ანგარიში სწორად იყო შედგენილი. მე შევამოწმე, თქვენ მიიღეთ იგი...“

პატრონმა სერიოზულად უპასუხა:

— თქვენ გულუბრყვილო ბრძანდებით. აგრე არ შეიძლება. იცოდეთ, მონტელენ: ჯერ ვალი უნდა დააგროვოთ ხოლმე და შემდეგ მოვრიგდეთ“.

სენ-პოტენმა მცოდნესავით ჩაიქნია თავი და დაუმატა:

— ჰა, რას იტყვით, განა ბალზაკის ტიპი არ არის?

დღურუას ბალზაკი წაკითხული არა ჰქონდა, მაგრამ რწმენით მიუგო:

— რა თქმა უნდა, აგრეა!

მერე რეპორტიორი სხვებს გადასწვდა: ქ-ნი ვალტერი დიდი ინდაურია, ნორბერ დე ვარენი ავყია ბებერია, ხოლო რივალი — ფერვაკის ასლია. მერე ფორესტიეს მისწვდა:

— ეს კაცი კი ცოლმა გამოიყვანა კაცად, მორჩა და გათავდა!

დღურუამ ჰკითხა:

— ვინ არის, რა ქალია მისი ცოლი?

სენ-პოტენმა ხელები მოიფშენიბა:

— ჭკვიანი ქალია, გაქნილი ვინმეა. ერთი ხნიერი ვივიერის, ვინმე ვოდრეკის, გრაფ დე ვოდრეკის საყვარელია. მზითევი მისცა და გაათხოვა.

დღურუას ცივმა ჟრუანტელმა ჩაურბინა. ნერვულად მოიკრუნხხა და ამ ყბედის გაღანძვისა და აწკეპის სურვილმა შეიპყრო, მაგრამ მხოლოდ შეაჩერა ერთი კითხვით:

— სენ-პოტენი თქვენი ნამდვილი გვარია?

მან გულწრფელად უპასუხა:

— არა, მე თომა მქვია. რედაქციაში კი სენ-პოტენად მომნათლეს.* (* „პოტენ“ ფრანგულად ჭორს ნიშნავს, ხოლო „სენ-პოტენ“ — წმინდა ჭორიკანას.)

დღურუამ ორივეს დანახარჯი გადაიხადა და თქვა:

— მგონი, გვიანია, ჩვენ კი ორი ვაჟბატონი უნდა ვნახოთ.

სენ-პოტენმა გაიცინა:

— რა გულუბრყვილო ბრძანებულხართ! თქვენ გგონიათ, მართლა გამოგვითხავ იმ ჩინელს ან ინდოელს, რას ფიქრობენ ინგლისზე? მე მათზე უკეთ ვიცი, რა უნდა იფიქრონ ჩვენი მკითხველისათვის. ხუთას ასეთ ჩინელს, სპარსელს, ინდოელს, ჩილეელსა და იაპონელს მაინც გამოგვითხე, და ყველანი ჩემებურად ერთსა და იგივეს იმეორებენ. საკმარისია, ჩემი უკანასკნელი წერილი ავიღო, რომელიც ვინმე ბოლო მოგზაურ სტუმარს ვუძღვენი და სიტყვასიტყვით გადმოვწერო. მარტო სათაურს, წოდებას, ხნოვანებასა და ამაღას გამოვცვლი. ოღონდ სიფრთხილვა საჭირო, არ უნდა შეცდე, თორემ უმაღვე ან „ფიგარო“ ან „გოლუა“ დაგიჭერს. სასტუმრო „ბრისტოლის“ და „კონტინენტალის“ მეკარენი საჭირო ცნობებს ხუთ წუთში მომაწვდიან. სიგარის წვეით ფეხით გავივლით იქით, კანტორიდან კი ეტლისა ხუთი ფრანკი გვერგება. აი, ძვირფასო, როგორ კეთდება პრაქტიკული საქმე.

დღურუამ ჰკითხა:

— ასეთ პირობებში რეპორტიორობა ხელსაყრელი უნდა იყოს, არა?

ჟურნალისტმა იდუმალი კილოთი უპასუხა:

— დიახ, მაგრამ ყველაზე ხელსაყრელი ხმის დაყრაა, რადგან იქ მუდამ რაიმე რეკლამა იმალება.

ადგნენ, ბულვარს გაჰყვნენ და მადლენას ქუჩისაკენ წავიდნენ. უცებ სენ-პოტენი თავის ამხანაგს მიუბრუნდა:

— იცით, რას გეტყვით: თუ საქმე გაქვთ, მიბრძანდით. არა მჭირდება.

დღურუამ ხელი ჩამოართვა და წავიდა. გაახსენდა, რომ სალამოს წერილი ჰქონდა დასაწერი და ამ აზრმა ქენჯნა დაუწყო. მიდიოდა და აზრებს იგროვებდა, შთაბეჭდილებას იახლებდა, ანეგლოტებს იგონებდა. ასე ჩავიდა ელისეს მინდვრებამდე, სადაც გამგლეელი უკვე იშვიათად ჩანდა: სიცხემ პარიზი დააცარიელა.

ტრიუმფალური თაღის მახლობლად, ეტუალის ფორზე, პატარა რესტორანში ისაღილა, ნელი ნაბიჯით გარე ბულვარებს გამოჰყვა, შინ დაბრუნდა, მაგიდას მიუჯდა და მუშაობა დაიწყო. მაგრამ მოჰკრა თუ არა თეთრი ქაღალდის დიდ თაბახს თვალი, დაგროვილი მასალა სულ გამოუცვივდა თავიდან, თითქოს ტვინიდან გამქრალიყო, ორთქლად ქცეულიყო. ცდილობდა მოგონებათა ნაფლეთები მაინც დაეჭირა და ქაღალდზე მიეკრა, მაგრამ მოეჭიდებოდა თუ არა, უმალვე უსხლტებოდნენ, ან ერთმანეთში ირვოდნენ, და აღარ იცოდა, როგორ გამოეთქვა, საიდან დაეწყო და რა ყალიბში ჩამოესხა.

ერთ საათში ხუთი გვერდი დაჯღაბნა, მაგრამ ერთი წინადადება მეორეს ვერ გადააბა და ბოლოს თავისთავს უთხრა: „ჯერ ხელი ვერ შევაჩვიე. ერთი გაკვეთილიც მჭირდება“. აზრმა გაუელვა, რომ ქ-ნ ფორესტიესთან ერთ სამუშაო დილას კიდევ გაატარებდა, რომ განმარტოებით ხანგრძლივ, ინტიმურ, გულითადასა და საამურ პაემანს მიიღებდა, და ამ აზრმა აათრთოლა. სწრაფად გაიხადა და ჩაწვა, თანაც ეშინოდა, ხელახლა წერას არ შესდგომოდა და საქმე არ დაეძლია.

მეორე დღეს გუშინდელზე უფრო გვიან ადგა და დრო გააჭიანურა, თან წინდაწინვე ტკბებოდა მომავალი შეხვედრით.

ათი საათი იყო, როცა თავისი მეგობრის კართან ზარი ჩამოჰკრა. მსახურმა უთხრა:

— ბატონ ფორესტიეს არა სცალია. მუშაობს.

დღურუამ სულაც არ იფიქრა, რომ შეიძლებოდა ქმარი შინ ყოფილიყო, მაინც მტკიცედ უთხრა:

— მოახსენეთ, რომ მე ვარ და საჩქარო საქმე მაქვს.

ხუთი წუთის ლოდინის შემდეგ შეიყვანეს კაბინეტში, სადაც გუშინ ასეთი მშვენიერი დილა გაატარა. ის ალაგი, სადაც მაშინ თვითონ იჯდა, ახლა ფორესტიეს ეჭირა. ჩუსტები და საშინაო ტანისამოსი ეცვა, პატარა ინგლისური ქუდი ეხურა. იჯდა და წერდა. მისი ცოლი გუშინდელი ტანისამოსით იყო შემოსილი, ბუნარს დაყრდნობოდა, პაპიროსს სწევდა და კარნახობდა.

დღურუა ზღურბლზე შედგა და ნელი ხმით თქვა:

— დიდ ბოდიშს ვიხდი. მგონი, ხელი შეგიშალეთ.

მეგობარმა კისერი მოიღრიჯა და წყრომით წაიბურტყუნა:

— კიდევ რა გინდა? მალე თქვი, არა გეცალია.

დღურუა მორცხვად აბორძიკდა:

— არა... არაფერი... ბოდიშს ვიხდი.

მაგრამ ფორესტიე უკვე გაბრაზდა:

— თქვი, რაღა, თქვი! დროს ნუ მაკარგვინებ. იმისთვის ხომ არ შემოვარდი, რომ დილა მშვიდობისა გესურვებინა.

დღურუა მთლად აირია. მაინც გაბედა:

— არა... აი... წერილი მაინც ვერ დავწერე, შენ გულკეთილი... თქვენ იმდენი გულკეთილობა გამოიჩინეთ, რომ იმედი მქონდა... მოსვლა გავბედე.

ფორესტიემ შეაწყვეტინა:

— ხომ არ დაგვცინი, მართლა! იქნება გგონია, რომ შენს მაგივრად მე ვიმუშავე, შენ კი თვის დასასრულს სალაროში მიხვალ და ფულს მიიღებ? არა, ღმერთმანი, კარგი ამბავია!

მისი ცოლი ისევ ჩუმად აბოლებდა და გაურკვეველი ღიმილით იღიმებოდა, და ეს ღიმილი ზრდილობიან ნიღაბს ჰგავდა, რომელიც მის ირონიულ აზრებს ფარავდა.

გაწითლებული დღურუა აღულულდა:

— მაპატიეთ... იმედი მქონდა... ვფიქრობდი, — და უცებ მკაფიოდ დაუმატა: — ქალბატონო, ათასჯერ ვიხდი ბოდიშს და ერთხელ კიდევ გმადლობთ გულწრფელად

მშვენიერი წერილისათვის, რომელიც გუშინ შემიდგინეთ. — თავი დაუკრა და შარლს მიმართა: — სამ საათზე რედაქციაში ვიქნები, — და გავიდა.

სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა შინისკენ და ბურტყუნებდა. „კეთილი და პატიოსანი. მე თვითონ დავწერ წერილს და ნახონ... ვაჩვენებ“!

შევიდა თუ არა ოთახში, ბრაზით აფორიაქებული მიუჯდა მაგიდას და კალამი აიღო. ქ-ნ ფორესტიეს მიერ დაწყებული თავგადასავალი განაგრძო, თანაც ფელეტონური რომანებიდან ნასესხებ წერილმანებს, დაუჯერებელ შემთხვევებს და ყვავილოვან სურათებს ახუხულავებდა. გიმნაზიელის უხეში სტილით, თითქმის სალდათური ჟარგონით წერდა. პირველ საათზე დაასრულა, რაღაც უხამსური ქაოსი შეითთხნა და რედაქციაში მიიტანა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს წერილი გუშინდელს არ ჩამოუვარდებოდა.

სხვებზე ადრე შეხვდა სენ-პოტენს, რომელმაც ენერგიულად ჩამოართვა ხელი და ჰკითხა:

— წაიკითხეთ ჩემი ნაბაასევი ჩინელთან და ინდოელთან? სასაცილოა, ხომ? მთელი პარიზი იცინის. ნამდვილად კი მათი ცხვირიც არ მინახავს.

დღურუას არაფერი არ ჰქონდა წაკითხული. გაზეთი აიღო და გრძელი წერილი — „ინდოეთი და ჩინეთი“ — ჩაათვალიერა, რეპორტიორი კი შველოდა და საინტერესო სტრიქონებს თითოთ უჩვენებდა.

ფორესტიე აჩქარებით, ქშენით შემოვიდა და საქმიანი კილოთი უთხრა:

— ჰო, აქა ხართ? ძალიან კარგი. ორივე მჭირდებით, — და დაუსახელა რამდენიმე პოლიტიკური ცნობა, რომელიც სადამოსთვის უნდა მოეგროვებინათ.

დღურუამ თავისი წერილი გაუწოდა:

— აი, პირველი წერილის გაგრძელება.

— კეთილი. მოიტა. პატრონს გადავცემ.

ამით გათავდა ლაპარაკი.

სენ-პოტენმა ახალი მეგობარი გაიყვანა და, ტალანში რომ გავიდნენ, უთხრა:

— სალაროში შეიარეთ?

— არა, რისთვის?

— როგორ თუ რისთვის! ფულისთვის. ყური მიგდეთ, ერთი თვის ჯამაგირი მუდამ წინდაწინვე უნდა გქონდეთ წადებული. ვინ იცის, რა მოხდეს!

— ჰო, მაგრამ... რა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვი.

— მოლარეს გაგაცნობთ. ის ხელს არ შეგიშლით, აქ კარგად იძლევიან.

დღურუამ ორასი ფრანკი ჯამაგირი მიიღო, ოცდარვა — გუშინდელი წერილისა. რკინიგზიდან მიღებული ჯამაგირის ნარჩენიც რომ მიუმატა, სამას ორმოცი ფრანკი გამოუვიდა.

ამოდენა თანხა არასოდეს ჰქონია ხელში და ეგონა, ეს სიმდიდრე დიდხანს ეყოფოდა.

შემდეგ სენ-პოტენმა ოთხი თუ ხუთი მოქიშპე გაზეთის რედაქციაში წაიყვანა იმ იმედით, რომ იქ უკვე ნაშოვნი ექნებოდათ მისთვის საჭირო ახალი ამბები, და თავისი გრძელი და ცუდლუტი ენის წყალობით ამ ამბებს იშოვიდა.

სადამოს დღურუა უსაქმოდ იყო. განიზრახა, ხელმეორედ წასულიყო „ფოლი ბერჟერში“ და რიხით მიადგა კონტროლიორს.

— მე ჟორჟ დღურუა გახლავართ, „საფრანგეთის ცხოვრების“ თანამშრომელი. ამას წინათ მე და ფორესტიე გახლდით აქ. ტალონის შოვნას დამპირდა. ნეტა ხომ არ დაავიწყდა?

რომელიღაც სიაში ჩაიხედეს და მისი გვარი ვერ იპოვეს. მაგრამ კონტროლიორმა დიდი თავაზით უთხრა:

— მაინც შებრძანდით... დირექტორს სთხოვეთ. ალბათ, უარს არ გეტყვით.

შევიდა და თითქმის უმაღვე შეხვდა რაშელს, იმ ქალს, რომელსაც პირველ დამეს გაჰყვა.

რაშელი მივიდა მასთან და —

— გამარჯობა, ფისუნი. როგორა ხარ?

— კარგად. შენ რასა იქ?

— მეც არა მიშავს რა. დამიჯერებ თუ არა, მას აქეთ ორჯერ გნახე სიზმარში.

დღურუას იამა, გაიღიმა:

— მართლა? მერე რას ნიშნავს ეგ ამბავი?

— სულელო, იმას ნიშნავს, რომ მომეწონე, და აგრეთვე იმას, რომ გავიმეოროთ, როცა მოისურვებ.

— დღესვე გინდა?

— მინდა.

— ძალიან კარგი. მაგრამ, აი, რას გეტყვი... — და ყოყმანობდა. სათქმელისა რცხვენოდა: — საქმე ის არის, რომ დღეს უფულოდ გახლავარ. კლუბიდან მოვდივარ. რაც მქონდა სულ წავაგე.

რაშეღმა თვალებში შეხედა და ქალური ალღოთი, პრაქტიკული ჭკუით სიყალბეს მიუხვდა: შეჩვეული იყო და იცოდა, რომ მამაკაცები ხშირად თაღლითობენ და ღიჯინობენ ხოლმე.

— ცუდლუტო! მაინცდამაინც ზრდილობიანი არ ყოფილხარ.

დღურუამ ჩაიღიმა.

— თუ ათ ფრანკს დამჯერდები, ინებე. ამაზე მეტი არა მაქვს.

— სულ ერთია, ძვირფასო, მე შენი თავის მეტი არაფერიც არ მინდა, — მიუგო მან უანგარო მეძავივით, რომელიც მხოლოდ თავის ჟინს უხდის ხოლმე ხარკს.

მერე ახალგაზრდა ვაჟის უღვაშებს შეყვარებული თვალები მიაპყრო და მის მკლავს ნახად დაეყრდნო.

— ჯერ გრენადინი დავლიოთ და მერე ცოტაოდენი გავიართო აქვე. ძალიან მინდა, აი ასე გამატარო ოპერაში: მსურს შენი თავი ქვეყანას დავანახვო. დღეს ადრე წავალთ შინ, არა?

* * *

იმ ქალთან გვიანობამდის ეძინა. უკვე დღე იყო, როცა ქუჩაში გამოვიდა და უმაღ აზრი დაებადა, „საფრანგეთის ცხოვრება“ ეყიდა. მთრთოლვარე ხელით გაშალა გაზეთი: მისი წერილი არ იყო დაბეჭდილი. როგორც იდგა, ისევე დარჩა ტროტუარზე, შიშაჭამი თვალებით ათვალიერებდა დაბეჭდილ სვეტებს და მაინც იმედს არ ჰკარგავდა, რომ იპოვიდა, რასაც ეძებდა.

უცებ გულზე მძიმე რაღაც დააწვა. ვნებიანი დამისაგან დათენთილი იყო და უსიამოვნება, დაქანცულობას რომ მიემატა, ნამდვილ უბედურებად მოეჩვენა. შინ შევიდა და გაუხდელად მიიძინა.

რამდენიმე საათის შემდეგ უკვე რედაქციაში იყო. ვალტერს წარუდგა და მოახსენა:

— დღეს დილით მეტად გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ჩემი მეორე წერილი ალჟირის შესახებ არ დაიბეჭდა.

გამომცემიელმა თავი ასწია და ცივად მიუგო:

— წერილი თქვენს მეგობარს ფორესტიეს გადაეცეცი და ვთხოვე: წაეკითხა. არ მოეწონა. შესწორება დასჭირდება.

არაფერი უპასუხა, გაბრაზებული გამოვიდა, თავისი მეგობრის კაბინეტში სწრაფი ნაბიჯით შევიდა და ჰკითხა:

— ჩემი წერილი რატომ არ დაბეჭდე?

ჟურნალისტი ღრმად იჯდა სავარძელში, ფეხები მაგიდაზე ეწყო, ნახევრად დაწერილ წერილს ქუსლებით სვრიდა და პაპიროსს აბოლებდა.

სუსტი, უნიათო ხმით, დინჯად და მკაფიოდ უპასუხა, თითქოს ორმოს ძირიდან ამოილაპარაკა:

— ჩვენს პატრონს უვარგისად ეჩვენა, დამიბრუნა და მითხრა, უკანვე მიეცი, შეასწოროსო, აი, წაიდე.

და ხელით აჩვენა გაშლილი ფურცლები, რომელიც საშრობის ქვეშ ეწყო.

დღურუას შერცხვა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. როცა თავისი ნახელავი ჯიბეში ჩაიღო, ფორესტიემ უთხრა:

— დღეს ჯერ პრეფექტურაში წახვალ...

და ჩამოუთვალა ცნობების და ვიზიტების გრძელი რიგი, რომელიც უნდა შეესრულებინა. დღურუა გესლიან სიტყვას ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა და გამოვიდა.

მეორე დღეს იგივე წერილი ხელმეორედ მიტანა და ხელმეორედ უკანვე მიიღო. მესამეჯერ გაასწორა და ისევ რომ დაუბრუნეს, მიხვდა, რომ მეტისმეტად ჩქარობდა და მარტო ფორესტიეს ხელს შეეძლო მისი წინ წაწევა.

ამიტომ „აფრიკელი სალდათის მოგონებაზე“ ხელი აიღო და გადაწყვიტა, დათმობისა და ეშმაკობის გზას დადგომოდა: უამისოდ არა გამოვიდოდა რა. ჯერჯერობით გულმოდგინედ უნდა შეესრულებინა რეპორტიორის მოვალეობა.

მალე გაიცნო თეატრების და პოლიტიკის კულისები, კულუარები, სახელმწიფო მოღვაწეთა და დეპუტატთა მისაღები ოთახები, მთავრობის კაბინეტის მედიდური წევრები და ძილმორეული, გაბღენძილი და პირქუში მეკარენი.

მან მუდმივი კავშირი გააბა და გაიცნო მინისტრები, მეკარენი, გენერლები, პოლიციის აგენტები, თავადები და სუტენიორები, მეძაგები და ელჩები, ეპისკოპოსები და მატრაკვეცები, მაჭანკლები და ჯიბგირები, მაღალი წრის ხალხი, მეეტლენი, ყავახანის ლაქიები და სხვა მრავალნი, და მათ საერთო გულგრილ და მოანგარე მეგობრად გადაიქცა. მის თვალში ყველანი ერთი გროვიდან იყვნენ, ყველას ერთი ადლით ზომავდა და ერთი თვალსაზრისით აფასებდა, რადგან ყველას ყოველდღე სხვადასხვა საათზე ხვდებოდა, შეუწყვეტლივ ერთისაგან მეორესთან გადადიოდა და ყველას ერთსა და იმავე პროფესინალურ საქმეზე ესაუბრებოდა, თანაც თავისთავს იმ ადამიანს ადარებდა, ვინც ზედიზედ ყოველნაირი ღვინო გამოსცადა და შატო-მარგოს არქანტილის ღვინისაგან ვეღარ არჩევდა.

მოკლე ხანში გადაიქცა შესანიშნავ რეპორტიორად, რომელიც მტკიცედ იყო დაჯერებული თავის ცნობებში. გაიქნა, გაეშმაკდა, გაყოჩაღდა და, ვალტერის თქმისა არ იყოს, რომელმაც კარგად იცოდა თანამშრომელთა ფასი, გაზეთისათვის ნამდვილ განძად გადაიქცა.

მაგრამ რადგან სტრიქონში მხოლოდ ათ სანტიმს იღებდა და ჯამაგირად ორასი ფრანკი ჰქონდა, ხოლო ბულაგარებზე და კაფე-რესტორნებში ხეტიალი ძვირი უჯდებოდა, ფული მუდამ აკლდა და სიღარიბის გამო ყოველთვის სასოწარკვეთილი იყო.

ამავე დროს, დეურუა ხედავდა, რომ ზოგ მის მეგობარს ჯიბე ოქროთი ჰქონდა სავსე, და რადგან არ ესმოდა, რა იდუმალი ხერხებით შოულობდნენ ასეთ კეთილდღეობას, ეგონა, აქ რაღაც თავისებური საიდუმლო უნდა არსებობდესო. შური უკარნახებდა, აქ რაღაც უცნობი და საეჭვო ხრიკები უნდა იმალებოდეს, რაღაცნაირი სამსახური, რაღაც ნახევრად ნებადართული კონტრაბანდა უნდა იჩქმალეოდესო. უეჭველად უნდა გაიხსნას ეს საიდუმლო, დეურუაც ამ ნაჩუმარ ამხანაგობაში წევრად უნდა შევიდეს, როგორმე უნდა შეძერვს შეთქმულთა წრეში, რომელიც უიმისოდ ნადავლს იყოფდა.

საღამოობით, როცა თავისი ფანჯრიდან თვალს ადევნებდა მიმავალ მატარებელს, ფიქრობდა, რა ხრიკი უნდა მოეგონა ამ მიზნის მისაღწევად.

თავი მეხუთე

ორი თვე გავიდა, სექტემბერი დადგა, ხოლო ბრწყინვალე მომავალი, რომელიც დეურუას სწამდა, ჯერ არსად ჩანდა. ყველაზე მეტად თავისი დაბალი თანამდებობა აწუხებდა. ვერ ხედავდა იმ გზას, რომელსაც იგი უნდა აეყვანა მწვერვალეებზე, სადაც ფულსაც იშოვიდა და პატივსაც. ეჩვენებოდა, რომ რეპორტიორის შეუმჩნეველმა ხელობამ ჩაჰკეტა, ჩაფლო და ვერასოდეს იქიდან დიდ გზაზე ვეღარ გამოვიდოდა. მართალია, აფასებდნენ, მაგრამ პატივსაც მისი ხელობის მიხედვით სცემდნენ. თვით ფორესტიერც კი, რომელსაც მან ათასი სამსახური გაუწია, სადილად აღარ ჰპატივებდა და ხელქვეითივით აბუხად იგდებდა, თუმცა, როგორც მეგობარს, უწინდებურად „შენ“-ობით ელაპარაკებოდა.

მართალია, დეურუა ხანგამოშვებით დროს იხელთებდა, პატარა წერილს დაბეჭდავდა ხოლმე, და ხიფათიც აღარ მოელოდა, რომ სადღეისო შენიშვნებს არ დაუბეჭდავდნენ, რადგან თავისი „გამოძახილებით“ მან უკვე შეიძინა ის ტაქტი და სტილის მოქნილობა, რომელიც მეორე, დაწუნებულ წერილს აკლდა. მაგრამ „გამოძახილებს“ და დამოუკიდებელ, სერიოზულ წერილებს, ან პოლიტიკურ მიმოხილვათა შორის ისეთივე მანძილი იყო, როგორც, მაგალითად, ორ მეეტლეს შორის: ვინც ბულონის ტყეში სხვას დაასეირნებს, და ვინც საკუთარ ეტლს თვითონვე მართავს.

ნამეტნავად ის ამცირებდა დეურუას მისსავე თვალში, რომ მის წინ მაღალი საზოგადოების კარი დახშული იყო, რომ თავისი ტოლი ნაცნობ-მეგობრები არა ჰყავდა

და ქალებსაც ვერ დაუახლოვდა, თუმცა ზოგიერთი მსახიობი ქალი ანგარებით და უბრალოდ იღებდა მას.

ისიც იცოდა გამოცდილებით, რომ ყველა ასეთი ქალი, მაღალი წრიდან მოყოლებული დაბალ მსახიობამდე, მას რაღაც განსაკუთრებულად ელტვოდა, ჩალასავით უცებ ენთებოდა, და დღურუაც ფეხშეკრული ცხენის მოუთმენლობით ელოდა, რათა მალე გაეცნო ისინი, ვისაც, შეიძლება, მისი მომავალი ეჭირა.

ხშირად ფიქრობდა, საჭიროა ქ-ნ ფორესტიესთან შეველაო, მაგრამ მათი უკანასკნელი შეხვედრის გახსენება ხელ-ფეხს უბოჭავდა. თავი შეურაცხყოფილად მიაჩნდა და, გარდა ამისა, ფორესტიეს მხრივ დაპატიუებას ელოდა.

ერთხელაც მოაგონდა, რომ ქ-მა მარელმა დაჰპატიჟა, და ერთ დღეს, სადილის შემდეგ, როცა უსაქმოდ იყო, ეწვია.

— სამ საათამდე მუდამ შინა ვარ, — უთხრა მაშინ მან დღურუას.

და აი, სამის ნახევარზე ზარი დაურეკა. ქ-ნი მარელი ვერნის ქუჩაზე, მეხუთე სართულზე ცხოვრობდა. კარი პატარა გაწეწილმა მოახლემ გაუღო და თავსახვევის სწორებით უთხრა:

— დიას, ქალბატონი შინ გახლავთ, მაგრამ არ ვიცი, ადგა თუ არა, — და სასტუმროს კარი ხელის კვრით შეაღო.

დღურუა შევიდა. საკმაოდ დიდი ოთახი იყო, რამდენიმე დეგამი და დაუდევრად მოვლილ-მოწვობილი ძველი, გახუნებული სავარძლები ისე იდგა კედლების ჩაყოლებით, როგორც მოახლეს გემოვნებამ დააღაგა. არსად ოჯახის მოსიყვარულე დიასახლისის ლამაზი მზრუნველობა არ ჩანდა. ოთხივე კედლის შუაგულზე, სხვადასხვანაირი სიგრძის ზონრებზე ოთხი უბრალო სურათი ეკიდა: ნავი მდინარეზე, ხომალდი ზღვაზე, წისქვილი მინდორზე და ცეცხლი ტყეში. დღურუა მიხვდა, რომ დიდი ხანია, რაც ეს სურათები ასე ჰკიდია და დიასახლისის გულგრილ თვალს აღარ იზიდავენ.

დღურუა დაჯდა და ლოღინი დაიწყო. დიდხანს იცადა. ბოლოს კარი გაიღო და ქ-ნი მარელი შემოვიდა. ვარდისფერი აბრეშუმის იაპონური პენუარი ეცვა და ზედ ოქროს ბუნება, ლურჯი ყვავილები და თეთრი ფრინველები იყო მოქარგული.

— წარმოიდგინეთ, — წამოიძახა, — ჯერ ისევ ლოგინში ვიყავი. რა მშვენივრად მოიქცით, რომ ჩემ სანახავად შემოიარეთ! დარწმუნებული ვიყავი, დავიწყებულნი გეპადით.

და აღტაცებით გაუწოდა ორივე ხელი, რომელიც დღურუამ ჩამოართვა და, ნორბერ დე ვარენის მიბაძვით, ერთ მათგანზე აკოცა. დიასახლისმა სთხოვა, დამჯდარიყო. დღურუა დაჯდა და ამ უშნო ოთახში თავი ხალვათად იგრძნო.

ქალბატონმა მარელმა თავით ფეხამდე ჩაათვალიერა და უთხრა:

— როგორ გამოცვლილხართ! მშვენიერი იერი დაგდებიათ. პარიზი მოგხდომიათ. აბა, ახალი ამბები მიამბეთ.

ძველისძველი ნაცნობებით უცებ შეუდგნენ ყბედობას, თანაც გრძნობდნენ, რომ მათ შორის იზრდებოდა და მყარდებოდა რაღაც მოულოდნელი მახლობლობა, ნდობა, ინტიმობა და დაძმობილება, რომელიც ერთნაირი ხასიათისა და ჯიშის ორ ადამიანს უმალვე ამეგობრებს ხოლმე.

უცებ ახალგაზრდა ქალმა გაოცებით შეწყვიტა ბაასი:

— განა სასაცილო არ არის, რომ ასე ტკბილად ვბაასობთ? მგონია, თითქოს ათიოდე წელიწადია გიცნობთ. უეჭველად დავმეგობრდებით. გინდათ?

— რა თქმა უნდა! — მიუგო დღურუამ, მაგრამ მისი ღიმილი უფრო მეტსაც ამბობდა.

დღურუა ფიქრობდა, რომ ეს ქალი, ღია ფერის ნაზი ხალათით შემოსილი ქალი, მეტად წარმტაცი რამ იყო. მას არა ჰქონდა „იმის“, თეთრკაბიანის სინაზე, მოქნილობა და თავაზიანობა, სამაგიეროდ, უფრო მაცდური, ამფორიაქებელი და ჟინამშლელი მოსჩანდა. უძრავი და კეკლუცი ღიმილი ქ-ნ ფორესტიესი ერთსა და იმავე დროს იზიდავდა კიდევაც და აჩერებდა, თითქოს ამბობდა: „მომწონხარს“ და „გაფრთხილებთ“. ამ ღიმილის აზრს ვერასოდეს გაიგებდით. დღურუა მასთან ყოფნის დროს სურვილს გრძნობდა, მის ფეხებთან გაწოლილიყო ან მისი გულისპირის წვრილი არშიები დაეკოცნა და ნელა ეყნოსა თბილი, სურნელოვანი ჰაერი, რომელიც, ალბათ მის მოქნილ ძუძუებს ასდიოდა. ხოლო ქ-ნ მარელის გვერდით უფრო უხეშსა და ცხად ხოშს გრძნობდა, ისეთ ხოშს, რომელიც მას აღელვებდა, როცა თვალს მოჰკრავდა აბრეშუმის მსუბუქ ქსოვილში გახვეული ქალის ნაკეთებს.

ქალი შეუსვენებელივ ლაპარაკობდა, თანაც საუბარში ურევდა მსუბუქ სიმახვილეს, რომელიც ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული: ასე შეეჩვევა ხოლმე მუშა რომელიმე ფანდს, რომელიც გარდა თვითონ მუშისა, ყველას აოცებს, რადგან ძალიან ძნელ საქმედ მიაჩნიათ.

დღურუა უსმენდა და ფიქრობდა: „ნეტა ყველაფერი დამამახსოვრდეს. ეს ქალი დღიურ საკითხებზე უნდა ალაპარაკო და შემდეგ მშვენიერი პარიზული ქრონიკა შეადგინო“.

ვიღაცამ ნელა, ძალიან ნელა დააკაკუნა იმ კარზე, საიდანაც წელან ქნი მარედი შემოვიდა.

— შემოდი, ჩემო პატარავ, — უპასუხა დიასახლისმა.

მისი ქალიშვილი შემოვიდა, სტუმრისკენ წავიდა და ხელი გაუწოდა.

გაოცებულმა დედამ ჩუმად ჩაილაპარაკა:

— სულ დაიმორჩილეთ ეს ქალი, ველარა ვცნობ.

ვაჟმა პატარა ქალს აკოცა, გვერდით მოისვა და სერიოზულად, თანაც ნაზად გამოჰკითხა, რას აკეთებდა მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთი აღარ ენახათ. გოგონა წერილი ხმით, მაგრამ მოზრდილის იერით უპასუხებდა.

საათმა სამჯერ დარეკა. ჟურნალისტი წამოდგა.

— ხშირად შემოიარეთ ხოლმე, — თხოვა ქმა დე მარელმა, — დღევანდელივით ვიყებდით. თქვენი ნახვა და საუბარი ყოველთვის მესიამოვნება, მაგრამ, ერთი მითხარით, ფორესტიეს ოჯახში რატომ აღარ ჩანხართ?

— ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ იმედია, ამ დღეებში იქ შევხვდებით ერთმანეთს.

გამოვიდა და იმედებით სავსე გული წამოიღო, თუმცა თვითონაც არ იცოდა მიზეზი. ფორესტიეს ამ დარბაზობაზე არაფერი უთხრა.

რამდენიმე დღის განმავლობაში მოგონებას ატარებდა, მოგონებაზე მეტსაც: იმ ქალს უხილავად, მუდამ თავის გვერდით გრძნობდა, ეჩვენებოდა, თითქოს მისგან თან რაღაც წამოიღო; მისი სხეულის ხატი მუდამ თვალწინ ედგა, ხოლო გულში მისი სულიერი არსის სიტკბო შერჩა. ქალის სახე მარად წინ მიუძღოდა: ასე ხდება მას შემდეგ, როცა საყვარელი ადამიანის გვერდით რამდენიმე საათს დაჰყოფ ხოლმე. ეს რაღაც თავისებური დაუფლება და დაურევებაა მისი — უცნაური, ინტიმური, უცხადო, მღელვარე და იდუმალი, რომელშიც რაღაც მისტერიული რამ იმალება.

რამდენიმე დღის შემდეგ ჟორჟმა ხელახლა შეირბინა. გადიამ სასტუმროში შეიყვანა. ლორინაც უმაღლ გამოჩნდა და სტუმარს ხელი კი აღარ გაუწოდა, არამედ შუბლი მიუშვირა და უთხრა:

— დედამ დამავალა გთხოვოთ, ცოტა ხანს მოიცადოთ, რადგან ჯერ ჩაცმული არ არის. თხუთმეტ წუთზე მეტი ლოდინი არ დაგჭირდებათ, მანამდე კი მე ვიქნები თქვენთან.

პატარა ქალის მხრივ დიდების მიბაძვა დღურუას აცინებდა.

— კეთილი და პატიოსანი, — მიუგო, — დიდი სიამოვნებით გავატარებ თქვენთან თხუთმეტოდე წუთს. მაგრამ გაფრთხილებთ, მე სერიოზული კაცი არა ვარ და მთელი დღეობით ვთამაშობ, ამიტომ წინადადებას გაძლევთ, დაჭერობანა მეთამაშოთ.

ქალიშვილი შეყოყმანდა. მერე ისე გაიღიმა, როგორც გაიღიმებდა ამის გამო გაოცებული, ხამუნაკრავი დედაკაცი და ჩუმად უპასუხა:

— ეს ოთახები სათამაშოდ არ არის მოწყობილი.

მაგრამ მან მიუგო:

— ჩემთვის სულ ერთია. მე ყველგან ვთამაშობ. აბა, დამიჭირეთ!

და მაგიდის გარშემო დაიწყო სირბილი, თანაც პატარა ქალს დასაჭერად ამხნეებდა, ის კი უკან მისდევდა, გამუდმებით თავაზიანად იღიმებოდა და ზოგჯერ დასაკრავად ხელს იშვერდა, მაგრამ თავის თავს გატაცების და სირბილის ნებას მაინც არ აძლევდა.

როცა მდევარი ქალი პატარა და გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდებოდა ხოლმე, დღურუა შესდგებოდა და სათამაშო ყუთიდან ამომხტარი ჭინკასავით გადასკუპდებოდა დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში. პატარას ეცინებოდა. თანდათან გამხიარულდა, სიცილი მორთო, აჰყვა და, როცა ეგონა — დავიჭირეო, შიშითა და სიხარულით იცინოდა. დღურუა სკამებს იშველიებდა, გზას უღობავდა, ერთ ხანს სკამის ირგვლივ ატრიალებდა, მერე ამ სკამს მიუგდებდა და მეორეზე გადადიოდა. ახლა ლორინა მთლად გატაცებული იყო ახალი თამაშით და ნამდვილად დარბოდა. პირისახე

აღანძული ჰქონდა და ბაღღური აღფრთოვანებით დასდევდა, თანაც თავისი მეგობრის ეშმაკობას და ფანდებს წინდაწინვე საკუთარ ხერხებს უხვედრებდა.

ერთ წამს მოეჩვენა, რომ დღურუა ველარსად წაუვიდოდა, მანაც სწორედ ამ დროს აიტაცა ბავშვი ჭერამდე და მიადახა:

— დაგიჭირე!

ყმაწვილი აღტაცებით იქნევდა ფეხებს, რათა როგორმე განთავისუფლებულიყო, და გულიანად ხითხითებდა.

უცებ ქალბატონი დე მარელი შემოვიდა და გაშტერებული შესდგა.

— დემერთო ჩემო, ლორინა... ლორინა თამაშობს! ბატონო დღურუა, ჯადოსანი ყოფილხართ.

მან ბავშვი ჩამოუშვა და დედას ხელი დაუკოცნა. ორივენი დასხდნენ და ყმაწვილი შუაში ჩაისვენს. უნდოდან საუბარი გაებათ, მაგრამ თამაშით დამთვრალი, ჩვეულებრივ ჩუმი ლორინა ახლა აღარ ჩუმდებოდა, ამიტომ დედა იძულებული იყო — პატარა ქალი ოთახიდან დაეთხოვა.

ლორინა უსიტყვოდ დაემორჩილა, მაგრამ თვალეები ცრემლით ავესო. მარტო რომ დარჩნენ, ქმა მარელმა ხმას დაუდაბლა:

— იცით რას გეტყვით. ერთი სერიოზული გეგმა მაქვს და თქვენ გამახსენდით.

ასეთი საქმეა: კვირაში ერთხელ ფორესტიესთან ვსადილობ და დროგამოშვებით მეც ვპატიუებ ხოლმე რესტორანში. არ მიყვარს ჩემს ოჯახში ხალხის დაპატიუება, ამისათვის არა ვარ გაჩენილი და, გარდა ამისა, საოჯახო საქმეებისაც არაფერი გამეგება. მე თავისუფალი და ხალვათი ცხოვრება მიყვარს. მაშ ასე: ფორესტიეს და მის მეუღლეს დროგამოშვებით რესტორანში ვპატიუებ ხოლმე, მაგრამ სამნი მხიარულად ვერ ვატარებთ დროს, ჩემი ნაცნობები კი დაახლოებული არ არიან მათთან. ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ თქვენს უჩვეულო დაპატიუებას განმარტება მივცე. ახლა ხომ გეხმით, რაც გითხარით, ამიტომ გთხოვთ, შაბათს, რვის ნახევარზე კაფე „რიშ“-ში მობრძანდეთ. ხომ იცით, სად არის კაფე „რიშ“?

დღურუა აღტაცებული იყო. დიასახლისმა განაგრძო:

— პატარა ჯგუფის, ოთხის გარდა სხვა არაფერს მეყოლება. ასეთი პატარა ქეიფი ძალიან გვართობს დედაკაცებს, რადგან ქეიფს შეჩვეული არა ვართ.

მას ეცვა მუქი ყავისფერი კაბა, რომელიც ლამაზად და მიმზიდველად ააშკარავებდა ქალის წელს, თეძოებს, ყელსა და მკლავებს. დღურუა გაოცებას იყო, თანაც მორცხვობდა, თითქო ესამუშებოდა კიდევაც, რომ ქალის ნატიფი და დაფერილი მშვენიერება სრულებით არ ეგუებოდა ცხად გულგრილობას, რომელიც მის ოჯახს ემჩნეოდა.

ყველაფერი, რაც ქალის ტანს ჰმოსავდა, რასაც პირდაპირი და მჭიდრო კავშირი ჰქონდა მასთან, ზედმიწევნით იყო ნათელი და კეკლუცი, ხოლო ყოველივე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, თითქოს მისთვის უცხო იყო და არ აინტერესებდა.

ჟორჟი ისევე წამოვიდა, როგორც პირველად. თან მოჰქონდა გრძნობა, თითქოს ის ქალი მუდმივ თან ჰყოლოდა, და შაბათს გაუძღვებელი მოუთმენლობით მოელოდა.

ფრაკი ისევ ქირით წამოიღო: ჯერ იმდენი არა ჰქონდა, რომ საკუთარი ყვიდა, და დანიშნულ ვადაზე რამდენიმე წამით ადრე მივიდა.

ჯერ არაფერი იყო მოსული. მეორე სართულზე აიყვანეს და შეიყვანეს პატარა წითელ კაბინეტში, რომელსაც ერთი ფანჯარა ჰქონდა და ბულვარს გადასცქეროდა.

ოთხკუთხედ მაგიდაზე ოთხისთვის იყო გაშლილი კრიალა სუფრა, რომელიც თეთრი ლაკით გარეცხილს ჰგავდა. ორ მაღალ შანდალში თორმეტი სანთელი ენთო. ჭიქები, ვერცხლყული და თეფშები თვალწარმტაცად პრიალებდა.

გარეთ მოჩანდა მწვანედ შეფოთილი ხის ტოტები, რომლებიც კაბინეტებიდან გამომავალი შუქით იყო განათებული.

დღურუა დაბალსა და კედლების მსგავსად წითელ სავარძელში ჩაჯდა. მისმა სიმძიმემ დასაჯდომი ჩასწია, თვითონ კი ეგონა, თითქოს ორმოში ჩავარდა. ამ უზარმაზარ სახლში რაღაც ნაზავი ხმაურობა იდგა — ხმაურობა დიდი რესტორნებისა, სადაც ერთმანეთში ირევა ჭურჭლის რახუნი, თეფშების წკრიალი, ხალიჩების მიერ ჩასრუტული ლაქიების ფეხის ხმა და ვიწრო კაბინეტებში მოსადილეთა ლაპარაკი, რომელიც დროგამოშვებით გაღებული კარებიდან გამოდის ხოლმე.

ფორესტიე შემოვიდა და ისეთი გულითადი მეგობრობით ჩამოართვა ხელი, რომელსაც რედაქციაში არასოდეს იჩენდა ხოლმე, და თქვა:

— ქალები ერთად მოვლენ. რა მშვენიერია ასეთი სადილი!

მერე სუფრა დაათვალიერა, ჩააქრო აირის ლამპა, რომელიც ღამის ლამპარივით ბუუტავდა, ფანჯარა ნახევრად მიხურა, რომ არ გაცვიბულიყო, და ალაგი კუთხეში აირჩია, თანაც თქვა:

— ძალიან უნდა გავუფრთხილდე ჩემ თავს. ერთ თვეს უკეთ ვიყავი, ახლა კი, აგერ რამდენიმე დღეა, ისევ უარესობა დამეტყო. სამშაბათს თეატრიდან რომ გამოვდიოდი, ალბათ მაშინ გავცივდი.

კარი გაიღო და მეტროდოქტელის თანხლებით ორი ქალი შემოვიდა. ორივეს პირბადე ჰქონდა აფარებული და მალევით და იმ წარმტაცი იდუმალებით მოდიოდნენ, რომლითაც იმოსებიან ხოლმე ქალები ასეთ ალაგებში, სადაც ყოველი შეხვედრა და მეზობლობა ეჭვს იწვევს ხოლმე.

როცა დღურუამ ქალბატონ ფორესტიეს ხელი ჩამოართვა, მან საყვედური განუცხადა იმის გამო, რომ დღურუამ იგი აღარ ინახულა. შემდეგ თავის მეგობარს გაუღიმა და დაუმატა:

— ცხადია, ჩემს თავს ქალბატონი დე მარელი გირჩევნიათ. მისთვის დროს შოულობთ, ჩემთვის კი — ვერა.

მაგიდას მოუსხდნენ და, როცა მეტროდოქტელმა ფორესტიეს ღვინოების სია მიართვა, დე მარელმა თქვა:

— დეე, ამ ბატონებმა თავიანთთვის აირჩიონ ღვინო, ჩვენ კი საუკეთესო, ტკბილი, გაყინული შამპანური მოგვართვით და მეტი არაფერი. — მსახური რომ გავიდა, სიცილით დაუმატა: — დღეს მინდა დავთვრე. ვიქეიფოთ, ნამდვილად ვიქეიფოთ.

ფორესტიემ ნათქვამი თითქოს ვერ გაიგო და ჰკითხა:

— ფანჯარა რომ მივხურო, ხომ არ გამიწყრებით? რამდენიმე დღეა, ისევ გავცივდი.

— კი, ბატონო.

ფორესტიე მივიდა ფანჯრის მეორე ნახევრის მისახურავად და პირნათელი, დამშვიდებული დაუბრუნდა თავის ალაგს. მისი ცოლი სდუმდა, რაღაც ფიქრში იყო წასული. თავი სუფრაზე ჰქონდა ჩაქინდრული და გაურკვეველი ღიმილით ჭიქებს დასცქეროდა. იმ ღიმილით, რომელიც თითქოს რაღაცას გპირდებათ, მაგრამ დანაპირებს არასოდეს ასრულებს.

ოსტინდური ხამანწკები შემოიტანეს — ნაზი და მსუქანი, რომელიც ლოკოკინებში ჩასმულ პაწაწა ყურებს ჰგავდა და ენასა და სასას შუა მლაშე კანფეტოვით ღნებოდა. წვნიანს მოაყოლეს კალმანი, რომელიც ახალგაზრდა ქალივით მოწითალო იყო.

საუბარი გააჩაღეს. ჯერ პარიზის ქუჩებში მოგროვილი ჭორები გადმოალაგეს, შემდეგ გააჩინეს ერთი წარჩინებული ქალის ისტორია, რომელსაც ქმრის მეგობარმა წაასწრო, როცა ის ქალი უცხოელ თავადთან ცალკე კაბინეტში ვახშობდა. ამ ამბავმა ფორესტიე ბევრი აცინა. ქალებმა განაცხადეს, რომ თავდაუჭერელი ყბედი ამ შემთხვევაში ტუტუცი და სალახანა გამოდგა. დღურუამ კვერი დაუკრა და ხმამაღლა განაცხადა, რომ ასეთ საქმეში მამაკაცი, — მოქმედია იგი, რწმუნებული თუ მოწმე, — სამარესავით მუნჯი უნდა იყოსო, და დაუმატა:

— რამდენ სიტკბოებას მოგვცემდა ცხოვრება, ერთმანეთისგან სრული დუმილის იმედი რომ გვქონოდა! ხშირად, ძალიან ხშირად, თითქმის მუდამ, ქალი იმიტომ იკავებს თავს, რომ თავისი ნაჩუმარის გამჟღავნებისა ეშინია. — შემდეგ გაიღიმა და დაასრულა: — მიბრძანეთ, განა მართალს არ ვამბობ? რამდენი ქალი აჰყვებოდა უცაბედ ვნებას, მოულოდნელსა და ძლიერ წუთიერ ვინსა და სიყვარულის ოცნებას, ხიფათი რომ არ მოელოდეს, რომ წუთიერ სიტკბოებას საქვეყნო აყალმაყალი და მწარე ცრემლი არ მოსდევდეს!

დღურუა ისე თავდაჯერებით ლაპარაკობდა, თითქოს ვიდაცას და თავის თავსაც იცავდა, და თანაც ამბობდა: „ჩემი მხრივ, ასეთი ხიფათი არავის მოელის. სცადეთ და დარწმუნდებითო“.

ქალები ისე შესცქეროდნენ, თითქოს ნათქვამს თვალებით უდასტურებდნენ და უმოწმებდნენ, რომ ის კარგად და სამართლიანად ლაპარაკობდა. მათი თანაზიარი დუმილი აშკარას ხდიდა, თუ საიდუმლოების დაცვა უზრუნველი იქნებოდა, ამ პარიზელი ქალების ურყევი მორალიც დიდხანს ვერ გასძლებდა.

ფორესტიე თითქმის იწვა სავარძელში. ერთი ფეხი მოკეცილი ჰქონდა, ხელსაწმენდი — ჟილეტში ჩატანებული, რათა ტანისამოსი არ გაესვარა. უცებ მან სკეპტიკურად ჩაიციხა და ქალებს უთხრა:

— ღმერთო ჩემო, საიდუმლოება რომ უზრუნველყოფილი იყოს, რა დღეს დაგვაყრიდით! ვაი ქმრების ბრალი!

ბაასი სიყვარულზე გადავიდა. დღურუას სამუდამო სიყვარულისა არა სჯეროდა. მისი რწმენით, იგი რაც შეიძლება ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო და მას მტკიცე კავშირი, ნაზი მეგობრობა და ძლიერი ნდობა უნდა დაემყარებინა. ფიზიკური კავშირი მხოლოდ გულთა შედუღებას უნდა ადასტურებდესო. სამაგიეროდ, მას აბრაზებდა მოუსვენარი ეჭვიანობა, დრამები, კინკლაობა და საყვედური, რომელიც თითქმის მუდამ გაყრით თავდება ხოლმე.

როცა გაათავა, დე მარელმა ამოიოხრა:

— დიახ, სრული სიმართლეა. სიყვარული სიცოცხლის ერთადერთი სიამეა, რომელსაც ხშირად ვიმწარებთ, რადგან ზოგჯერ მისგან შეუძლებელ რამეს მოვითხოვთ ხოლმე.

ქალბატონი ფორესტიე დანას ათამაშებდა.

— დიახ, დიახ... — დაუმატა მან, — კარგია, როცა უყვარხარ ვინმეს.

ეცელობდა, მისი ოცნება უფრო შორს ფრენდა და ისეთი რამ ელანდებოდა, რასაც ხმამაღლა ვერ იტყოდა, ვერ გაბედავდა.

რადგან მორიგი საჭმელი ჯერ არ მოჰქონდათ, დროგამოშვებით შამპანურის ყელუპს სვამდნენ და თანაც პატარა და მრგვალი პურის ყუებს ღრღინდნენ. ფიქრი სიყვარულზე ნელ-ნელა ჟონავდა და იპყრობდა მათ, თანდათან ათრობდა მათ სულს მსგავსად სუფთა ღვინისა, რომელიც წვეთ-წვეთად ჩასდიოდათ ყელში, სისხლს უთბობდა და გონებას უნისლაგდა.

ცხვრის კატლეტი მოიტანეს — ნაზი, მსუბუქი და სატაცურის წვრილი თავებით შეზავებული.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა გემრიელია! — წამოიძახა ფორესტიემ.

ყველა ჭამას შეუდგა. ნაზ ხორცსა და კრემივით გართხმულ მწვანის მადიანად მიირთმევდნენ.

ღღურუამ განაგრძო:

— როცა ქალს ვყვარობ, ყოველივე დანარჩენი ჩემთვის აღარ არსებობს.

ეს სიტყვები ღრმა რწმენით წარმოთქვა, თანაც აღფრთოვანებული იყო სასიყვარულო სიტკბოების ნატვრით და გემრიელი სადილით, რომელსაც ამჟამად შეექცეოდა.

ქმა ფორესტიემ ჩუმად ისე სთქვა, თითქოს ეს სრულებითაც არ ეხებოდა მას:

— იმაზე უდიდესი ბედნიერება არ არსებობს, როდესაც ორი ხელი ერთმანეთს პირველად მოუჭერს და ერთი მათგანი ეკითხება მეორეს: „გიყვარვარ?“ მეორე კი უპასუხებს: „ჰო, მიყვარხარ“.

მარელმა შამპანურით სავსე ჭიქა ერთი მოყუდებით დასცალა, იქით მისდგა და მხიარულად დაურთო:

— თუ მე მკითხავთ, არც მაგდენად პლატონური არსება გახლავართ.

ყველამ თანაგრძნობით გაიციხა, თანაც თვალები უკამკამებდათ.

ფორესტიე სავარძელში გაიჭიმა, ხელები გაშალა, იდაყვებით ბალიშებს დაეყრდნო და სერიოზულად თქვა:

— მაგისტანა გულწრფელობა მომწონს. იგი ამტკიცებს, რომ თქვენ პრაქტიკული დედაკაცი ბრძანებულხართ. მაგრამ ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა აზრის ბრძანდება ბატონი დე მარელი?

მარელის ცოლმა მხრები ნელი და ხანგრძლივი ზიზღით აიშმუშნა და მერე მტკიცედ უპასუხა:

— ბატონ დე მარელს ამ საგანზე არავითარი აზრი არა აქვს. ის მხოლოდ... მხოლოდ თავს იკავებს ხოლმე.

საუბარი გრძნობათა მწვერვალებიდან უცებ ნატიფი უწმაწურობის ყვავილოვან ბაღში დაეშვა. და წამოვიდა ლამაზად თქმული ორაზროვნება და ისეთი სიტყვები, რომელნიც თითქოს ქალსავით სამოსელს იხდიდნენ და შიშვლდებოდნენ. დადგა დრო ტლანქი და გადაკრული თქმებისა, მოხერხებული ბილწისა, პირმოთნე ურცხვობით მიჩქმალული სიტყვებისა, ზრდილობიანი ფრაზებისა, რომელთა უკან უზრდელი აზრი

იმაღლებოდა. ასეთი აზრი ადვიტებს თავში ყოველივეს, რის თქმაც პირდაპირ არ შეიძლება ხოლმე. იგი წარჩინებულ ხალხს საშუალებას აძლევს შექმნას გარშემო ვნებიანობის მსუბუქი, იდუმალი ნისლი, ფიქრთა რაღაც ჭუჭყიანი შეხლა-შემოხლა, რომელიც ტვინს ისევე აფორიაქებს და ადუღებს, როგორც ხვევნა, რომელიც ადვიტებს და ადვიტებს ყოველივე სქესობრივს, რაიც სირცხვილითა და საიდუმლოებით არის ხოლმე შემოსილი და ვნებით არის ნაკურთხი.

მოხრაკული გნოლები მოიტანეს. გარშემო მწყერები ჰქონდა დაღაგებული. ამას მწვანე მუხუდო მოჰყვა, შემდეგ — პაშტეტი. მას ზედ ერთი სალათი, რომლის კუწუბო ფოთლები პირსაბანის თასივით მომრგვალო სასალათეში მწვანე ხავსივით იყო გაშლილი. მოსადილენი ყოველივე ამას ისე ჭამდნენ, რომ საჭმლის გემოს ვეღარ ამჩნევდნენ, აღარაფერს ყურადღებას არ აქცევდნენ, თავიანთი ნაუბარით ატაცებულებს ხოშიანი აღმური მოკიდებოდათ.

ახლა დედაკაცებიც სახიფათო სიტყვებს ისროდნენ. ქალბატონი დე მარელი ლაპარაკობდა ბუნებრივი თავგასულობით, რომელიც გამოწვევას ჰგავდა, ხოლო მისი მეგობარი მომხიბლავი თავდაჭერით, მორცხვობის კილოთი, რომელიც ყველაფერს ემჩნეოდა: მის კილოს, ხმას, ღიმილსა და ლაპარაკის იერსაც. მის ნაუბარს თითქოს ვნების ციებ-ცხელება უნდა შეენელებინა, ნამდვილად კი მისი პირიდან ამოსული თამამი სიტყვები უფრო მეტად აცხელებდნენ სულსაც და სისხლსაც.

ფორესტიე ბალიშებზე გაშხლართულიყო, იცინოდა, შეუსვენებლივ სვამდა, ჭამდა და ხანგამოშვებით ისეთ გაბედულ, ზოგჯერ კი ისეთ უხეშ სიტყვებს ისროდა, რომ ელდანაცემი ქალები ერთი წამით განგებ ისეთ იერს მიიღებდნენ, თითქოს შეშინდნენ ან დაირცხვინესო. როცა ფორესტიეს მეტად უზრდელი რამ წამოსცდებოდა ხოლმე, ყოველთვის დაუმატებდა:

— საქმე მშვენივრად მიდის, ჩემო ბავშვებო, და თუ შემდეგაც ასე წავიდა, უეჭველად რამე სისულელეს ჩაიდნო.

ტკბილი მოიტანეს, მერე ყავაც მოაყოლეს, ხოლო ლიქიორმა ისედაც აფორიაქებული თავი უფრო მეტად დაუნისლათ და გაუცხელათ.

თანახმად სადილის დასაწყისშივე მიცემული დაპირებისა, ქნი დე მარელი ოდნავ შეზარხოშდა. მან ეს იცოდა, და სტუმრების გასართობად, ისედაც ცხად სიმთვრალეს მხიარული ანცობით და გაბედული ყბედობით განგებ ააშკარავებდა.

ქნი ფორესტიე, ალბათ, სიფრთხილის გამო დადუმდა. დღურუა ნაძალადეკად იმაგრებდა ენას, რადგან ესმოდა, რომ შეფიცხული იყო და ადვილად შეეძლო თავისი სახელი დაეხიანებინა.

პაპიროსები გააბოლეს. უცებ ფორესტიეს საშინელი ხველა აუვარდა, რომელიც გულს უგლეჯდა. სახე გაუწითლდა, შუბლზე ოფლი დაასხა. ხელსაწმენდი აიფარა და ხველა ძლივს შეიმაგრა, მერე ბრაზით წარმოთქვა:

— ეს სიამოვნება საჩემო არ ყოფილა... სისულელეა!

კარგი გუნება უკვალოდ გაუქრა და ავად გახდომის შიშმა შეიპყრო.

— შინ წავიდეთ, — თქვა.

ქმა დე მარელმა ზარით მოიხმო ლაქია და ანგარიში მოსთხოვა. უმაღვე მიაართვეს. მისი წაკითხვა სცადა, მაგრამ ციფრები თვალწინ უხტოდა და დღურუას გადასცა, თან უთხრა:

— აჰა, ჩემ მაგიერ გადაიხადეთ. მე მეტისმეტად მთვრალი ვარ და ვერაფერს ვარჩევ, — და საფულე მიუგდო.

დანახარჯი სულ ასოცდაათ ფრანკს შეადგენდა. დღურუამ ანგარიში შეამოწმა, ორი საკრედიტო ბილეთი მისცა და, ხურდას რომ იღებდა, დაბალი ხმით იკითხა:

— რამდენი მივცე ლაქიას?

— არ ვიცი, რამდენიც გნებავდეთ.

საინზე ხუთი ფრანკი დადო, საფულე ახალგაზრდა ქალს დაუბრუნა და უთხრა:

— ნებას მიბოძებთ, გაგაცილოთ?

— რა თქმა უნდა. ჩემს ბინას მარტო ვერც კი მივაგნებ.

ცოლ-ქმარ ფორესტიებს გამოეთხოვნენ და დღურუა ქალბატონ დე მარელთან ერთად კარეტაში აღმოჩნდა. ჟორჟს ახლა ქალი გვერდით ჰყავდა, სულ ახლოს.

ორივენი ჩაკეტილნი იყვნენ შავ ყუთში, რომელსაც დროგამოშვებით ტროტუარიდან შემოვარდნილი აირის შუქი ანათებდა. ჟორჟი თავის კისერზე ქალის სითბოს გრძნობდა

და მისთვის ერთ სიტყვასაც ვეღარ პოულობდა: მისი ჩახუტების მწვავე სურვილმა ენა დაუბა და გონება შეუბოჭა.

„ნეტა რას იზამს, რომ გაეუბედო?“ — ფიქრობდა, თან სადილზე ნათქვამი ყველა სისულელე გაახსენდა და გათამამდა, მაგრამ მარცხის შიშმა მაინც ვერ გააბედვინა.

ქალი დაუინებოთ სდუმდა და, კარეცის კუთხეში მიკუნჭული, უძრავად იჯდა. მძინარეს ემგვანებოდა, თვალები გახელილი რომ არა ჰქონოდა, რომელიც ყოველ წუთს უბრწყინავდა, როცა ქუჩიდან ფარნის სხივები შემოიჭრებოდა ხოლმე.

„ნეტა რას ფიქრობს?“ დღურუა გრძნობდა, რომ ლაპარაკი საჭირო არ იყო, რომ სიტყვა, თუნდაც ერთი სიტყვის თქმა და დუმილის დარღვევა ყველაფერს გაჰფანტავდა, მაგრამ ამავე დროს უცაბედი და უხეში მოქმედებისათვის სითამამეც არა ჰყოფნიდა.

უცებ იგრძნო, რომ ქალმა ფეხი გააფანჯუნა და ამ მოძრაობაში ნერგული და უცაბედი რაღაც მოეჩვენა: იგი ან მოუთმენლობის ნიშანი იყო, ან მოწოდებისა. ასეთი შეუმჩნეველი მოძრაობა რომ იგრძნო, დღურუა თავით ფეხამდე შეკრთა, უცბად მიბრუნდა და ეძგერა, თან ტუჩებით მის ტუჩებს ეძებდა და ხელებით მიშველ ტანს ეტანებოდა.

ქალმა სუსტად შეჰკივლა და სცადა წამომდგარიყო, თავი დაეცვა, ხელისკერით მოეგერიებინა, მერე კი ისე დაუთმო, თითქოს ხანგრძლივი წინააღმდეგობის გამო ძალა აღარ შესწევდა.

კარეტა ქ-ნ მარელის ბინის წინ შეჩერდა. დღურუა ამას არ მოელოდა და ვეღარ მოასწრო მხურვალე სიტყვები მოეძებნა, რათა მადლობა გადაეხადა და თავისი ერთგულება და სიყვარული გამოეთქვა. ქალი თავზარდაცემული იყო და არა დგებოდა, არც ინძრეოდა. დღურუას შეეშინდა, მეეტლემ ეჭვი არ აიღოსო, ამიტომ პირველი გამოვიდა კარეტიდან და ქალს ხელი მისცა.

ქალი უსიტყვოდ და ბარბაცით ჩამოვიდა. დღურუამ ზარი დარეკა და, როცა კარი გაიღო, მთრთოლვარე ხმით ჰკითხა:

— როდის გნახო ხელახლა?

ქალმა ისეთი ნელი ხმით უპასუხა, რომ ვაჟმა ძლივს გაიგო:

— ხვალ მოდით, ერთად ვისაუზმოთ. — მძიმე კარი ხელის კერით შეაღო და შესავლის სიბნელეში შთაინთქა. კარი ისეთი ჯახუნით მიიკეტა, თითქოს ზარბაზანი გაგარდაო.

დღურუამ მეეტლეს ხუთი ფრანკი მისცა, გაისტუმრა და გამარჯვებულის სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა, თან გულთ სიხარული მოჰქონდა.

ძლივს არ დაიპყრო გათხოვილი დედაკაცი, წარჩინებულთა წრის დედაკაცი! სუფთა საზოგადოებიდან, პარიზის საზოგადოებიდან! მერედა რა მოულოდნელად და ანაზღაურად მოხდა ყველაფერი!

აქამდის ეგონა, რომ ასეთი სანატრელი არსების დაახლოებისა და დაპყრობისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი მოლოდინი, დაუსრულებელი სიფრთხილე, ოსტატური არშიყობით ალყის შემორტყმა, ნაზი სიტყვები, ოხვრა და საჩუქარი. და აი, მოულოდნელად და ხელის გაუნძრევლად პირველივე შემხვედრი ქალი აძლევს თავისთავს... ასე უცებ... საოცარია!

„მთვრალი იყო, — გაიფიქრა, — ხვალ კი სულ სხვანაირად ამდერდება. ცრემლიც დაიდვრება“. ამ აზრმა შეაკრთო. „მერე რაო! — ინუგეშა თავი. — უკვე მე მეკუთვნის და შენარჩუნებასაც შევძლებ“.

ბუნდოვან სურათებში ამადლებს, გამარჯვების, დიდების, სიმდიდრისა და ქალის სიყვარულის იმედი ელანდებოდა და ამ სურათებში უცებ მოეჩვენა აპოთეოზით გაშლილი სტატისტი: ქალების ხვეული, გრძელი ლიტანია დედაკაცების — ლამაზთა, მდიდართა, ძალოვანთა. თითო-თითოდ წინ უვლიდნენ, უღიმოდნენ და მისი ოცნების ოქროდრუბლებში ინთქმებოდნენ.

იმ ღამეს ძილი მრავალნაირი ღანდითა და მოჩვენებით გაეცხო.

მეორე დღეს, ქ-ნ დე მარელის კიბეზე რომ აღიოდა, ოდნავ აღელვებული იყო, როგორ დაუხვდება — ეგების სულაც არ მიიღოს? იქნებ კიდევაც უბრძანა, რომ არც კი შეეშვათ? ან იქნებ უამბო კიდევაც... მაგრამ არა, ვერაფერსაც ვერ ეტყოდა, ამიტომ ის, ბატონი დღურუა, უკვე გარემოების ბატონ-პატრონია.

მოახლემ კარი გაუღო. სახეზე არაფერი ეტყობოდა. ამან ვაჟი ისე გაამხნევა, თითქოს მოახლე კარის გასაღებად დაღვრემილი უნდა გამოსულიყო.

— ქალბატონი კარგად ბრძანდება? — ჰკითხა.

— როგორც მუდამ, ძალიან კარგად, — მიუგო მოახლემ და სასტუმროში შეუშვა. სარკეში ჩასახედად და თავისი უღვაშისა და ტანისამოსის გასასინჯად პირდაპირ ბუხრისკენ წავიდა. უცებ სარკეში თვალი მოჰკრა, ქნი დე მარელი თავისი ოთახის კარებში იდგა და ახალმოსულს ათვალიერებდა.

თავი მოიკატუნა, ვითომ ვერ შეამჩნია, და სანამ პირისპირ შეხვდებოდნენ, ერთხანს ორივენი ერთმანეთს სარკეში სინჯავდნენ, უთვალთვალდებდნენ. დღურუა მიტრიალდა, ქალი ადგილიდან არ დაიძრა, თითქოს რაღაცას ელოდებოდა. ვაჟი მისკენ გაექანა, თან ბუტბუტებდა:

— ოჰ! რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! როგორ მიყვარხართ!

ქალმა მკლავები გაშალა და მკერდში ჩაიხუტა. შემდეგ თავი ასწია და ერთმანეთს ხანგრძლივი კოცნით აკოცეს.

„თურმე გაცილებით უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე მეგონა, — გაიფიქრა ჟორჟმა. — საქმე მშვენივრად მიდის“. ტუჩები ერთმანეთს დააშორეს. დღურუა ქალს უსიტყვოდ უღიმოდა და ცდილობდა თვალებით თავისი უსაზღვრო სიყვარული გამოეთქვა.

ქალიც უღიმოდა, უღიმოდა თავისებური ქალური ღიმილით, რომელიც სურვილს, თანხმობას და დანებების მზადყოფნას გამოსახავდა, მერე წაიხურჩულა:

— ჩვენ მარტონი ვართ. ლორინა მეგობართან გაგზავნე. იქ ისაუბმებს.

დღურუამ ხელები დაუკოცნა და ამოიხსრა:

— გმადლობ, ჩემო სათაყვანებელო.

ქალმა მკლავში ხელი გაუყარა, როგორც თავის ქმარს, და სავარძელთან მიიყვანა. დასხდნენ.

ახლა საჭირო იყო თავბრუდამხვევი და ირიბული ყბედობა, მაგრამ რადგან დღურუამ ხელსაყრელი ვერაფერი იპოვა, ბორძიკით წარმოთქვა:

— მაშ, არ მიწყრებით?

დე მარელმა პირზე ხელი დააფარა:

— გაჩუმდი!

ერთხანს ჩუმად ისხდნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ და ურთიერთს ცხელ ხელებს უსრესდნენ.

— რომ იცოდეთ, რა გაგიჟებით მინდოდით! — თქვა დღურუამ.

— გაჩუმდი! — გაიმეორა ქალმა.

მეორე ოთახში, კედლის იქით, მოახლე ჭურჭელს აწკრიალებდა. დღურუა წამოდგა:

— მე არ შემიძლია თქვენს გვერდით ჯდომა. თავბრუ მეხვევა.

კარი შემოადგეს და, —

— საუზმე მზად გახლავთ.

სტუმარმა დიასახლისს თავაზიანად გაუწოდა მკლავი.

სასადილოში ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ, განუწყვეტლივ ერთმანეთს უმზერდნენ და უღიმოდნენ. მარტო თავიანთი თავი ახსოვდათ და ახლად ჩათესლილი სიყვარულის ჯადოთი იყვნენ მოხიბლულნი. სჭამდნენ და საჭმელს ვერ ამჩნევდნენ. დღურუამ იგრძნო, რომ მაგიდის ქვეშ პაწაწინა ფეხი დაბორიანდებდა. იგი თავის ფეხებზეა მოიგდო, მაგრამ მოუჭირა და აღარ გაუშვა.

მოახლე ისე შემოდოდა და გადიოდა, საჭმელი ისე გულგრილად შემოჰქონდა და გაჰქონდა, თითქოს არაფერს ამჩნევდა.

საუზმის შემდეგ ისევ სასტუმროში გავიდნენ და წინანდელ ალაგზე ერთმანეთის გვერდით დასხდნენ.

დღურუამ თანდათან მიიწია და ხელის მოხვევა სცადა, მაგრამ ქალმა დინჯად მოიშორა და უთხრა:

— ფრთხილად, შეიძლება ვინმე შემოვიდეს.

მან წაიბუტბუტა:

— როდის გნახოთ სულ მარტო, რომ ჩემი სიყვარული გადაგიშალოთ?

ქალმა ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა:

— ამ დღებში მე თვითონვე შემოვივლი თქვენთან.

დღურუამ გაწითლება იგრძნო:

— ჰო, მაგრამ... ძალიან ცუდი ოთახი მაქვს.

ქალმა გაიღიმა:

— არა უშავს რა. მე თქვენი ოთახისთვის კი არ მოვდივარ, არამედ თქვენთვის.

დღურუამ დაჟინებით მოინდომა გაეგო, როდის მოვიდოდა დე-მარელი. მან მეორე კვირის ბოლო დღე დაუნიშნა. დღურუა ემუდარებოდა, ის დღე წინ წამოეწია. ფორხილით ლაპარაკობდა, თვალები უბრწყინავდა, ხელს ქალის ხელს უჭერდა და ეალერსებოდა. სახეც წითელი ჰქონდა, აღმური ასდიოდა, ვნებით უმახინჯდებოდა — იმ ვნებით, რომელიც ასეთ პირისპირ ჭამა-სმის შემდეგ აგრე რიგად იპყრობს ხოლმე მამაკაცს.

ქალი სიამეს გრძნობდა იმის გამო, რომ ვაჟი ასე ცხარედ ემუდარებოდა და ნელ-ნელა თითო დღეს უთმობდა. მაგრამ დღურუა მაინც თავისას იმეორებდა:

— ხვალ... ხვალ... მითხარით, ხვალე-თქო.

ბოლოს მაინც დაითანხმა.

— კარგი, აგრე იყოს. ხვალ ხუთ საათზე.

დღურუამ სიხარული და შვების გრძელი ოხვრა ამოუშვა. ამის შემდეგ თითქმის დინჯად დაიწყეს საუბარი, რომელსაც ისეთი გულითადი კილო მისცეს, თითქოს ერთმანეთს მრავალ წელიწადს იცნობდნენ.

ზარის ხმამ ორივე შეაერთო და, თითქო ვიღაცამ ხელი წაჰკრაო, მოშორებით გადასვა.

ქალმა წაიხურჩულა:

— ალბათ ღორინა იქნება.

პატარა ქალიშვილი შემოვიდა, გაოცებული შედგა, მერე ტაში შემოჰკრა და დღურუასკენ გამოექანა. მისი ნახვით აღტაცებულმა შესძახა:

— აი, ჩემი ლამაზი მეგობარი!

დედამ გადიკისკისა:

— რაო? ლამაზი მეგობარიო? ბატონო დღურუა, უკვე მოგნათლათ ღორინამ. საუცხოო, მეგობრული სახელია და ამას იქით მეც ლამაზ მეგობარს დაგიძახებთ.

დღურუამ პატარა ქალი მუხლებზე დაისვა და იძულებული გახდა, ეთამაშა ყველა სათამაშო, რაც კი თვითონვე ასწავლა.

სამს ოცი აკლდა, როცა რედაქციაში წასასვლელად წამოდგა. კიბეზე რომ ჩავიდა, ნახევრად გაღებულ კარებში კლოტილდას ერთხელ კიდევ წასწურჩულა:

— მაშ, ხვალ ხუთ საათზე.

ახალგაზრდა ქალმა ღიმილით უპასუხა:

— ჰო! — და მიიმაღა.

თავისი დღიური საქმე რომ გაათავა, დღურუა ფიქრს მიეცა: როგორ მოერთო ოთახი საყვარლის დასახვედრად, როგორ დაემალა მისი სიღატაკე. აზრად მოუვიდა, კედლები იაპონური სამკაულებით შეემკო. ხუთ ფრანკად პატარა მარაოებისა და წვრილმანის კოლექცია იყიდა და ნამეტანი სიცხადით მოჩინარი ლაქები დაფარა. ფანჯრის მინებზე ფერადი და გამჭვირვალე სურათები გააკრა, სადაც დახატული იყო მდინარენი, ზედ მოცურავე ხომალდები, წითელ ცაზე ფრთაგაშლილი ფრინველები, აივანზე გამოფენილი ფერადი ქალები და პაწაწინა შავი კაცუნები, რომელნიც დათოვლილ მინდორზე მიდიოდნენ.

მისი ოთახი, სადაც საწოლი ტახტი და მაგიდა ძლივს ეტეოდა, ახლა ჭრელი ქალღმის ფარანს დაემსგავსა. დღურუა კმაყოფილი იყო თავისი ნახელავით და მთელი საღამოც ოთახის მორთვას მოანდომა: გადარჩენილი ფერადი ქალღმისგან სხვადასხვანაირ ფრინველებს ჭრიდა და ჭერზე აწებებდა. მერე დაწვა და ტკბილად დაიძინა, ორთქლმავალთა კივილი ნანინად ეჩვენებოდა.

მეორე დღეს შინ ადრე დაბრუნდა, თან მოიტანა ერთი ბოთლი მადერა და ტკბილი ნამცხვარი, რომელიც ბაყალთან იყიდა. ორი თეფშისა და ორი ჭიქის საშოვნელად იძულებული იყო ხელახლა გამოსულიყო. შემდეგ სატუალეტო მაგიდიდან ქილა და პირდასაბანი ტაშტი ააღაგა, გადამაღა, ჭუჭყიან ფიცარს ხელსაწმენდი გადააფარა, ზედ ტკბილეული და ღვინო დააწყო და ღოდინს შეუდგა.

ქნი დე-მარელი ექვსის თხუთმეტ წუთზე მოვიდა, ჭრელი ოთახი შეათვალიერა და აღტაცებით წამოიძახა:

— ღმერთმანი, მშვენიერი ოთახი გაქვთ. სამაგიეროდ, კიბე არ გივარგათ, რადგან ხალხით არის სავსე.

დღურუამ ქალი ჩაიხუტა და ვნებით დაუწყო კოცნა პირბადით დაფარულ თმაზე, რომელიც შუბლსა და შლიაპას შუა მოჩანდა.

საათ-ნახევრის შემდეგ რომის ქუჩამდე მიაცილა, სადაც ეტლები იდგა ხოლმე, და როცა ერთ კარეტაში ჩასვა, ჩურჩულით ჰკითხა:

— სამშაბათს ისევ ხუთ საათზე, არა?

ქალმა უპასუხა:

— სამშაბათს, ისევ ხუთ საათზე.

და რადგან უკვე ბნელოდა, ქალმა კარეტის კარებში მისი თავი შეიზიდა და ტუნებში აკოცა. როცა მეეტლემ ცხენს გაუტლაშუნა, ქმა დე-მარელმა დაუძახა:

— ნახვამდის, ლამაზო მეგობარო!

ლურჯა ჯაგლაგამ დანჯღრეული ეტლი დასძრა და დაღლილი ჩორთით წაარახუნა.

ასე მოდიოდა დღურუასთან სამი კვირის განმავლობაში მისი საყვარელი ყოველ მესამე ან მეოთხე დღეს, ხან დილდილობით, ხან კიდევ საღამოობით.

ერთხელ ნასადილევს ჟორჟი დე მარელის მოლოდინში იყო და შინ იჯდა. უცებ კიბეს მიუგდო ყური. იქიდან რაღაც ხმაურობა ისმოდა. ბალღი ტირილით იჭაჭებოდა. ვიღაც მამაკაცმა ბრაზით დაიძახა:

— ჩვენი ნიკო იმ კახპამ წააქცია, ზევით, ჟურნალისტთან რომ დაეთრევა. აქ შემოშვების ღირსი არ არის ისეთი მაწანწალა, რომელიც არც კი კადრულობს, ბაღლს გვერდი აუქციოს.

დაბნეული დღურუა კარს მოსწყდა და უკან გადმოხტა, რადგან ქვემო სართულის კიბეზე კაბის მაღლი შრიალი და სწრაფი ფეხის ხმა მოესმა.

მაღე კარზეც დააკაკუნეს, რომელიც დღურუამ ის იყო მიკეტა.

გაულო თუ არა, ქნი დე-მარელი ოთახში შემოვარდა და ქშენით, ბორძიკით ძლივს წარმოთქვა:

— გაიგეთ?... გაიგე-მეთქი?

დღურუამ თავი მოიკატუნა და თვალთმაქცურად ჰკითხა:

— არა... რა იყო, რა მოხდა?

— ვერ გაიგე, რა შეურაცხყოფა მომაყენეს?

— ვინ?

— იმ ბინძურებმა... იქ, ქვევით.

— არა, არ გამიგია. მაგრამ, მითხარი, რა მოხდა?

ქალმა ქვითინი ამოუშვა და ერთი სიტყვაც ვეღარ ამოთქვა. დღურუამ შლიაპა მოხადა, კაბა გაუხსნა, ლოგინზე მიაწვინა და საფეთქლები სველი ტილოთი დაუზიდა. ქალი იხრჩობოდა. როცა ოდნავ დამშვიდდა, ბრაზს პირი მოხსნა და საყვარელს მოსთხოვა, უმაღვე ქვევით ჩასულიყო, ჩხუბი გაემართა და ის უზრდელები დაეხოცა.

დღურუა კი თავისას იმეორებდა:

— გაიგე, გენაცვა: მუშებია, უბრალო ხალხია. აბა, იფიქრე, საქმე სასამართლოში გათავადება. შეიძლება გიცნონ, დაგაპატიმრონ, დაგლუპონ. არ შეიძლება ასეთ ხალხს გადაეკიდო.

— მაშ რა ვქნა? მე აქ ვეღარ მოვალ.

მან მიუგო:

— ამ ბინიდან გადავალ, მორჩა და გათავდა!

ქალმა წყნარად უპასუხა:

— ჰო, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. — მერე ახალი აზრი დაებადა და უცებ

გამოიღარა: — ყური მიგდე, ერთი რამე მოვიფიქრე. შენ ნურაფერზე ნუ იზრუნებ, ყველაფერი მე მომანდე. ხვალ დილით ცისფერ ქალაღდს მიიღებ ჩემგან.

ასე ეძახდნენ საქალაქო დეპეშებს, რომელიც ცისფერ ქალაღდზე იყო დაწერილი. მან ხელახლა გაიღიმა, რადგან კმაყოფილი იყო თავისი გამოგონებით, რომელსაც ჯერ არ ეუბნებოდა, და მის აღერსსა და ანცობას ბოლო აღარ უჩანდა.

მაგრამ, როცა უკანვე ჩადიოდა კიბეზე, ხელახლა აღელდა და საყვარლის მკლავს მკვიდრად დაეყრდნო, რადგან მუხლები ეკეცებოდა.

კიბეზე არავინ შეხვედრიათ.

მეორე დღეს დღურუა გვიან ადგა. თერთმეტ საათზე, როცა ჯერ ისევ ლოგინში იწვა, ფოსტის დამტარებელმა შეპირებული „ცისფერი ქალაღდი“ ჩააბარა. გახსნა და წაიკითხა.

„პაემანი დღეს, ხუთ საათზე, კონსტანტინოპოლის ქუჩა, 127. უბრძანე, იმ ბინაში შეგიშვან, რომელიც ქალბატონმა დღურუამ დაიქირავა.“

კლო გოცინის“.

სწორედ ხუთ საათზე შევიდა ის ერთ დიდ კეთილმოწყობილ სახლში და მეკარეს ჰკითხა:

- ქალბატონმა დღურუამ ბინა აქ დაიქირავა?
- დიახ, ბატონო!
- გთხოვთ, იმ ბინაში მიმაცილოთ.

მეკარე შეჩვეული იყო საჩოთირო საქმეებს, სადაც ნამეტნავი სიფრთხილე იყო საჭირო, ამიტომ ჯერ თვალეში შეხედა, მერე დიდი შეკვრიდან ერთი გასაღები ამოარჩია და ჰკითხა:

- თქვენ ბატონი დღურუა ბრძანდებით?
- რა თქმა უნდა.

ამის შემდეგ მეკარემ შეიყვანა პატარა ბინაში, რომელიც ქვემო სართულში, მეკარის ბინის პირდაპირ მდებარეობდა და ორი ოთახისგან შედგებოდა.

სასტუმრო ოთახი საკმაოდ ახალი, არშიიანი შპალერით იყო აკრული. წითელი ხის ავეჯზე გადაკრული მომწვანო რეჰსი ყვითელი ირიბებით იყო მოხატული. იატაკზე ისეთი საბრალო და თხელი ხალიჩა ეგდო, რომ ფეხი ხის იატაკს გრძნობდა.

საწოლი ოთახი იმდენად პატარა იყო, რომ კუთხეში მდგარ საწოლს ოთახის სამი მეოთხედი ეჭირა. სამაგიეროდ, დიდი საწოლი იდგა, სწორედ ისეთი, რომელიც მხოლოდ კეთილმოწყობილ ნომრებში იპოება: ლურჯი, მძიმე რეჰსის ფარდებით ჩამოფარდაგული და წითელი აბრეშუმით გადაკრული ბუმბულის საბნით, რომელსაც აქა-იქ რაღაც საეჭვო ლაქები ემჩნეოდა.

დღურუა ამრეხილი, უკმაყოფილო იყო და ფიქრობდა: „ასეთი ბინა მეტად ძვირად დამიჯდება. ისევ ვალი უნდა ავიღო. რა სისულელე მოიგონა!“

კარი გაიღო და აღტაცებული კლოტილდა კაბის შრიალითა და გაშლილი მკლავებით ქარივით შემოიჭრა.

— განა საუცხოო ბინა არ არის? თქვი, საუცხოო არ არის? არც მალღა ასვლა დაგეჭირდება. ქვემო სართულშია და შეგვიძლია ქუჩიდან პირდაპირ შემოვიდეთ ხოლმე. თუ საჭირო იქნება, ისე შემოვიპარებით და გავიპარებით ფანჯრიდან, მეკარეც კი ვერ გაიგებს. რა ბედნიერი ვიქნებით!

დღურუამ ცივად აკოცა, მაგრამ საკითხავი ვერ ჰკითხა, რომელიც ენაზე უტრიალებდა.

შუა ოთახში მრგვალი მაგიდა იდგა, კლოტილდამ თან მოტანილი ნივთები ზედ დააღაგა: საპნის ნაჭერი, ლდუბენის სატუალეტო წყლის ფლაკონი, ღრუბელი, თმის სარჭებით საესე კოლოფი, ფეხსაცმლის შესაკრავი კავი და თმის დასახვევი მაშა, რომელიც ხშირად სჭირდებოდა, რადგან შუბლზე თმა მუდამ ეწეწებოდა ხოლმე.

ახალი ბინის მორთვა, დალაგება და ყველაფრისთვის საკუთარი ალაგის მიჩენა დიდხანს ართობდა კლოტილდას. უჯრებს აქოთებდა და ამბობდა:

- ცოტა საცვალიც უნდა მოვიტანოთ. თუ საჭირო იქნება, გამოვიცვლით.

მაგალითად, გზაში რომ დიდმა წვიმამ დამასველოს, აქ გავიშრობ. შენც და მეც თითო გასაღები გვექნება, ერთს კი მეკარეს მივცემთ. თუ ჩვენი გასაღები შინ დაგვავიწყდება, ის გვათხოვებს. ბინა სამი თვით დავიქირავე, რა თქმა უნდა, შენს სახელზე: ჩემს გვარს ვერ დავასახელებდი.

დღურუამ ჰკითხა:

- ქირის გადახდის ვადა როდის არის?

ქალმა უბრალოდ უპასუხა:

- უკვე გადახდილია, ჩემო კარგო.
- მაშ, მე შენი მოვალე ვარ?
- არა, ჩემო კატუნო, ეს შენი საქმე არ არის. მე ჩემს თავს ცოტაოდენი

ცუდლუტობის ნება მივეცი.

დღურუა თითქოს გაჯავრდაო:

- არასოდეს! მე მაგის ნებას ვერ მოგცემ.

კლოტილდამ სახეზე მუდარა გაიშალა, მიუახლოვდა, ხელები მხრებზე დაუწყო

და

— ჟორჟ გეხვეწები, ისე მესიამოვნება, ისე, რომ... დეე, ჩვენი ბუდე ჩემი იყოს, მარტო ჩემი, არ უნდა გეწყინოს. ან რატომ უნდა იუკადრისო? მე ჩვენს სიყვარულში ჩემი წილი შემაქვს. მითხარი, რომ თანახმა ხარ, ჩემო ჟორჟ, მითხარი...

და ეაჯებოდა თვალებით, პირსახით, მთელი თავისი არსებით.

დღურუამ ჯერ ბევრი ახვეწინა და გაბრაზებით უარზე იდგა, შემდეგ კი დაუთმო, რადგან კლოტილდას საბუთები სამართლიანად მოეჩვენა.

საყვარელი რომ წავიდა, ხელების სრესით უთხრა თავის თავს:

— რაც უნდა იყოს, საუცხოო დედაკაცია. — და არც კი დაფიქრდა, საიდან, გულის რომელი იდუმალი კუთხიდან ამოტივტივდა დღეს ეს აზრი.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ საქალაქო დეპეშა მიიღო:

„დღეს საღამოს ჩემი ქმარი ბრუნდება. თვე-ნახევარი დაჰყო პროვინციაში ინსპექციისათვის. ერთი კვირა უნდა მოვითმინოთ. რა ძნელია, საყვარელო!

შენი კლო“.

დღურუა გაოცდა. სულ დაავიწყდა, რომ კლოტილდას ქმარი ჰყავდა. ნეტა ერთხელ მაინც დაენახა მისი სახე და გაეგო, როგორი იყო, ვინ იყო ეს ადამიანი? მოთმინებით ელოდებოდა მის წასვლას, მაგრამ ორი საღამო მაინც „ფლი-ბერჟერში“-ში გაატარა და ორივე რაშელის ოთახში დაასრულა.

შემდეგ, დილაზე, ახალი დეპეშა მიიღო, სადაც მხოლოდ ოთხი სიტყვა ეწერა: „დღეს ხუთ საათზე კლო“.

დანიშნულ დროს ორთავე ადრე მივიდა. კლოტილდა სიყვარულის ქარიშხალივით ეძებრა, გულში ჩაიკრა და მთელი სახე ვნებით დაუკოცნა. მერე უთხრა:

— როცა ხვევრა-კოცნით გაგძლებით, იქნებ სადმე სადილად წამიყვანო? სულ თავისუფალი ვარ.

თვის დასაწყისი იყო. თუმცა დიდი ხანია ჯამაგირი ავანსად ჰქონდა აღებული, თუმცა ხშირად სესხულობდა, მაინც იმ დროს შემთხვევით ფული ჰქონდა და გახარებული იყო, რომ საყვარელზე ცოტა რამეს დახარჯავდა.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო! — უპასუხა. — საცა გნებავდეს, იქ წავიდეთ.

შვიდ საათზე შინიდან გამოვიდნენ და გარეუბნის ბულვარებს დაჰყვნენ. კლოტილდას მაგრად ეჭირა მისი მკლავი და ყურში ჩასწურჩულებდა:

— რომ იცოდე, რა სიამეს მგერის შენთან ხელგაყრილი სიარული, როგორ მიხარია, როცა შენ მყავხარ გვერდით!

— გინდა „ლატფილთან“ შევიაროთ?

კლოტილდამ უპასუხა:

— არა, მეტისმეტად მდიდრულია. მე სამხიარულო რამ მინდა, უბრალო, სადაც მოსამსახურეები და მუშა ქალები დადიან. ძალიან მიყვარს ასეთი დუქნები. ოჰ, ნეტა სადმე ქალაქგარეთ შეიძლებოდეს გასვლა!

რადგან დღურუას ამ უბანში ასეთი რამ არაფერი ეგულებოდა, ამიტომ დიდხანს იხეტიალეს ბულვარზე და ბოლოს ჩავიდნენ ერთ სარდაფში, სადაც სადილიც იპოვებოდა. კლოტილდამ ფანჯრიდან დაინახა ორი თავშიშველი ქალი, რომლებიც ორი მხედრის პირდაპირ ისხდნენ.

ვიწრო, გრძელი ოთახის სიღრმეში სამი მეეტლე სადილობდა. იქვე იჯდა ერთი გამოუცნობი ხელობის კაცი, რომელიც ჩიბუხს წევდა. სავარძელში გაშოტილიყო, თავი საზურგეზე გადაეგდო, ფეხები გაეჭიმა და ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო. მისი ტანისამოსი ლაქების კოლექციას ჰგავდა, ხოლო მაგრად გატენილი ჯიბეები — გაბერილ მუცელს, და იმ მუცლიდან ბოთლის ყელს, პურის ნაჭერს, გაზეთში გახვეულ რაღაცას და თოკის ბოლოს ამოეყოთ თავი. ხშირი, არეული, გაწეწილი, ჭუჭყისაგან განაცრული თმა ჰქონდა, ხოლო ქუდი მაგიდის ქვეშ ეგდო.

კლოტილდას მოსვლამ და მისმა ლამაზმა კაბამ შთაბეჭდილება მოახდინა. ორივე წვეილმა ჩურჩული შეწვიტა, მეეტლეებმა კამათზე ხელი აიღეს, ხოლო უცნაურმა კაცმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, გვერდზე გადააფურთხა, თავი ოდნავ მოაბრუნა და ახალმოსულებს შეხედა.

ქმა დე მარელმა წაიჩურჩულა:

— მშვენიერია! კარგ ალაგს მოვაგენით. მეორეჯერ მუშურად ჩავიცვამ.

და თავისუფლად, უხამუშოდ მიუჯდა მაგიდას, რომელსაც ქონიანი საჭმლისგან და ზედღადღერილი ღვინისგან კრიალი გაჰქონდა — ეტყობოდა, რომ მას გაკვრით და იშვიათად წმენდდნენ. დღურუა ოდნავ თაკილობდა, ოდნავ მორცხვობდა და თავის ცილინდრისთვის ჩამოსაკიდებელს ეძებდა, და რომ ვერა იპოვა რა, იქვე სკამზე დადო. რაგუ, ცხერის ხორცის თითო ნაჭერი და სალათი შეჭამეს.

კლოტილდა იმეორებდა.

— გაგიჟებით მიყვარს ასეთი რამე. გლეხი ქალის გემოვნება მაქვს. აქაურობა ინგლისურ კაფეზე მეტად მომწონს. — და შემდეგ დაუმატა: — თუ გინდა ნამდვილად მასიამოვნო, სადმე საცეკვაო ალაგას წამიყვანე. ერთი ალაგი ვიცი. აქედან შორს არ არის. „თეთრი დედოფალი“ ჰქვია.

გაოცებულმა დღურუამ ჰკითხა:

— ვინ გაჩვენა ის ალაგი?

შეხედა და შეამჩნია: კლოტილდა გაწითლდა და ოდნავ აირია, თითქოს ამ კითხვას მის ხსოვნაში რაღაც ნაზი მოგონება გამოეწვიოს. მცირე ყოყმანის შემდეგ, რომელიც იმდენად სწრაფი აქვთ ქალებს, რომ მისი დანახვა მიხვედრით თუ შეიძლება, კლოტილდამ მიუგო:

— ერთმა მეგობარმა წამიყვანა... — და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — ცოცხალი აღარ არის.

და ბუნებრივი სევდით დახარა თვალები.

დღურუას ახლა მოუვიდა აზრად, თუ რამდენად უცნობი იყო მისთვის ამ დედაკაცის წარსული. ოცნებამ გაიტაცა და ჩაფიქრდა. რა თქმა უნდა, საყვარლები მანამდეც ეყოლებოდა, მაგრამ ვინ? როგორი? უცებ მიულვარების და ეჭვიანობის ტალღა მოაწვა. მას შესძულდა ეს დედაკაცი და ყველაფერი, რაც მისთვის საიდუმლოებით იყო მოცული, რაც მას არ ეკუთვნოდა, რაც სხვამ უკვე დაასწრო, რაც ამ ქალის გულს და მის ცხოვრებას მოსტაცა. შურიანი თვალთ შესცქეროდა თავის საყვარელს და თანაც ბრაზობდა ამ ლამაზ და მდუმარე თავში ჩამალულ იღუმალებათა გამო, რომელსაც — ამ თავს — ამ წამში შეიძლება სინანულით აგონდებოდა სხვა ვინმე ან სხვები. რა სიხარულით შეიჭრებოდა დღურუა მის მოგონებათა სამყაროში, რა სიამით გაჩხრეკდა იქაურობას და ყველაფერს გაიგებდა, დასუნავდა, დაინახავდა! ქმა დე-მარელმა გაიმეორა:

— რას იტყვი, წამიყვან თუ არა „თეთრ დედოფალში“? იქ წასვლა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იქნებოდა.

დღურუა კი ფიქრობდა: „არა, რა ჩემი საქმეა მისი წარსული? სულელი ვარ, რომ ამაზე ვწუხვარ“. და ღიმილით უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, დე-მარელმა ისეთი ჩუმი ხმით და იღუმალი კილოთი განაგრძო, თითქო დიდ საიდუმლოებას ანდობდა:

— ადრე ამის თქმა ვერ გავბედე. ვერ წარმოიდგენ, რარიგად მიყვარს მამაკაცებისთვის თვალყურის დევნა ისეთ ალაგებში, სადაც პატიოსანი დედაკაცი არ დადის. კარნავალის დროს გიმნაზიელის ფორმას ჩავიცვამ. ეს ტანისამოსი ძალიან მიხდება.

საცეკვაო დარბაზში რომ შევიდნენ, დე-მარელი შიშით და სიამით მიეკრო საყვარელს, თანაც აღტაცებით შეჰყურებდა კახკებს, სუტენიორებს და დროგამოშვებით ისე ამბობდა პირქუშსა და უძრავ პოლიციელზე, თითქო მომავალი ხიფათის გამო თავისთავს ამხნევებდა:

„ამას ძალიან საიმედო იერი აქვს“.

მაგრამ თხუთმეტი წუთის შემდეგ ყველაფერი მოსწყინდა და დღურუამ შინ წაიყვანა.

მაღე დაიწყო მოგზაურობა საეჭვო ალაგებში, სადაც მდაბიო ხალხი ერთობა ხოლმე. დღურუამ შენიშნა, რომ იმის საყვარელს გაგიჟებით უყვარდა სტუდენტური მხიარული ხეტიალი.

ღანიშნულ პაემანზე დე-მარელი თეთრი სელის კაბით და მორთული ხილაბანდით მოდიოდა — სუბრეტის ბაფთიანი ხილაბანდით. თუმცა კოხტა, ნატიფი და სადა ტანისამოსი ეცვა, თავის ბეჭდებს, სამაჯურებსა და ბრილიანტის საყურეებს მაინც არ იშორებდა. დღურუა ეხვეწებოდა მოეხსნა, მაგრამ ის ასე ასაბუთებდა უარს:

— დეე იყოს. ყველა იფიქრებს, ყალბი სამკაულიაო.

თანაც ეგონა, თითქო დიდი ოსტატობით იყო გადაცმული, ნამდვილად კი ბუნქებში თაქნამაღულ სირაქლემას ჰგავდა. ასე დადიოდა ყველა ტავერნაში, რომელთაც ცუდი სახელი ჰქონდათ გავარდნილი, თანაც სურდა, რომ დეურუაც მუშურად ჩაეცვა, მაგრამ მისი საყვარელი უარზე იდგა: ცილინდრიც კი არ მოიხადა და კვლავ კოპწია ბულვარელსა ჰგავდა. ასეთი სიკერპის გამო დე-მარელი თავს ასე ინუგეშებდა: „იფიქრებენ: მოახლე იქნება და საყვარლად სუფთა ვაჟი ჰყავსო“, და ასეთი კომედიით ცამდის იყო აღტაცებული.

ჭვარტიანი სახალხო ტავერნებში შევიდოდნენ ხოლმე და კოჭლ სკამებზე დასხდებოდნენ, ძველ მაგიდას მიუსხდებოდნენ. ოთახში მწვავე კვამლის ღრუბელი და მოხრაკული თევზის სუნი იდგა. ხალათიანი ხალხი ჭიქებს აწკრიანებდა და ყაყანებდა. გაოცებულ მოსამსახურეს ორი ჭიქა დასპირტული ალუბალი მოჰქონდა და თან ამ უცნაურ წყვილს ათვალიერებდა.

ქალ-ვაჟი შიშით და აღტაცებით თრთოდა. შემკრთალი, აღმოდებული თვალებით იხედებოდნენ აქეთ-იქით და ლამაზი ფერის ტკბილ სასმელს პატარა ყლუპებით სვამდნენ. ყოველი გადაკრული ყლუპი დე-მარელის თავში შეცოდებასავით შეიჭრებოდა ხოლმე და ყოველი წვეთი ცხარე და ტკბილი სასმელისა, რომელიც ყელში ჩასდიოდა, მწვავე სიამედ ეჩვენებოდა და შეჩვენებული აკრძალულის სიტკბოებას ჰგვრიდა.

შემდეგ დაბალი ხმით იტყოდა ხოლმე: „წავიდეთ“, და გამოდიოდნენ. თაქნაღუნული დე-მარელი თეატრიდან მომავალი მსახიობის სწრაფი და მოკლე ნაბიჯით აღწევდა თავს ლოთებს, რომელნიც იდაყვებით იყვნენ მაგიდებზე დაყრდნობილი და ეჭვით და ბრაზით შესცქეროდნენ მას. დირეს აქეთ ისე გრძლად და შევებით ამოიხრებდა ხოლმე, თითქოს რაღაც საშინელ ხიფათს გადაურჩაო, და თავის საყვარელს კანკალით ეკითხებოდა:

— შენ რას იზამ, ასეთ ალაგას უპატიურად რომ მომეკცეს ვინმე?

საყვარელი თავზე ხელაღებულივით უპასუხებდა:

— რა უნდა ვქნა! რა თქმა უნდა, დაგიცავ.

ასეთი პასუხით გახარებული დე-მარელი ხელზე ხელს უჭერდა და შეიძლება იღუმალი სურვილიც ჰქონდა, რათა მას უპტიურად მოჰყრობოდნენ და გამოსარჩლებოდნენ. შეიძლება, უნდოდა ენახა, როგორ დაეტაკებოდა ერთმანეთს იმის გულისთვის ეს ხალხი, სწორედ ეს გაუთლელი ხალხი და მისი საყვარელი.

ასე დაეხეტებოდნენ კვირაში ორჯერ-სამჯერ. ბოლოს დეურუას მობეზრდა და, გარდა ამისა, უკანასკნელ დროს ძალიან გაუძნელდა ყოველთვის ათ-ათი ფრანკის შოვნა ეტლებისა და სასმელისათვის.

ახლა მას მუდმივი საზრუნავი გაუჩნდა — უფრო მეტიც, ვიდრე იმ დროს, როცა ჩრდილოეთის რკინიგზაზე მსახურობდა. პირველ თვეებში, ახალ სამსახურში რომ გადმოვიდა, ძალიან ბევრს ხარჯავდა, უანგარიშოდ ფანტავდა, თანაც მუდამ იმედი ჰქონდა, რომ მალე დიდ ფულს იშოვიდა, და ამრიგად თავის მარაგსა და ფულის მოგების ფანდებს სწურავდა.

ყველაზე მარტივი ხერხი — საღაროდან სესხის გამოტანა — მალე ამოიწურა და ახლა ოთხი თვის ჯამაგირი და მომავალი ჰონორარის ექვსასი ფრანკი დაედო ვალად. გარდა ამისა, ასი ფრანკი ფორესტიესი ემართა, სამასი — ჟაკ რივალისა, რომელსაც ყველასთვის მუდამ ღია ჰქონდა ჯიბე, და კიდევ მრავალი წვრილი ვალი — ხუთ-ხუთი და ოც-ოცი ფრანკი.

სენ-პოტენს რჩევა ჰკითხა, სად და როგორ ეშოვა კიდევ ასი ფრანკი, მაგრამ იმანაც ვერაფერი მოუგონა, თუმცა მეტად მოხერხებული კაცი იყო. ასეთი გაჭირვების გამო დეურუა სასოწარკვეთილებამ მოიცვა: მისი მოთხოვნილება თანდათან მატულობდა და გაჭირვებაც თანაბრად აწვებოდა. ამიტომ ყველას მიმართ გულში ბრაზი და მუდმივი სიანხლე დაუგუბდა, რაც ხშირად, მცირე საბაბის და უმცირესი მიზეზის გამო უმაღ გარეთ გამოხეთქავდა ხოლმე.

ზოგჯერ თავის თავს ეკითხებოდა, როგორ შეეძლო თვეში საშუალოდ ათასი ფრანკი დაეხარჯა, თუმცა არაფერს ზედმეტს არა ფლანგავდა და არავითარ გულისთქმას ან ჟინს არ იკმაყოფილებდა. და ითვლიდა: რვაფრანკიანი საუზმე და თორმეტფრანკიანი სადილი ბულვარის რომელიმე კაფეში უკვე ლუიდორს შეადგენდა. ამას რომ მივუმატოთ დღეში ათი ფრანკი, რომელიც არასოდეს არ იცი, სად და როგორ იხარჯება, დღეში ოცდაათი ფრანკი გამოვა, რაც თვეში ცხრაას ფრანკს

შეადგენს. ამას უნდა დაემატოს ტანისამოსი, ფეხსაცმელი, უბრალო და გახამებული საცვალი, გასართობი, ოთახი და სხვა მრავალი წვრილმანი.

და აი, 14 დეკემბერს უკვე ჯიბეში გროშიც აღარ აღმოაჩნდა და ცოტაოდენი ფულის საშოვნელად ვერც რამე მოიგონა. ამ დღესაც ისე მოიქცა, როგორც უწინ იქცეოდა: საუზმეს აღარ ჭამდა, ხოლო ნასადილევს რედაქციაში მიდიოდა და გაბოროტებული მუშაობდა.

ოთხ საათზე საყვარლისაგან დეპეშა მიიღო: „არ გინდა, ერთად ვისადილოთ? შემდეგ ცოტას ვისეტივალვით ტავერნებში“.

უმალვე უპასუხა: „სადილი შეუძლებელია“. შემდეგ საამურად დროს გატარებაზე უარის თქმა უგუნურებად მოეჩვენა და მიუმატა: „სამაგიეროდ, ცხრა საათზე ჩვენს ბინაზე გელოდები“.

ხარჯის ასაცილებლად დეპეშა რედაქციის მოსამსახურეს გაატანა და ფიქრს შეუდგა, ვასშმისთვის საჭირო თანხა სადღა ეშოვა.

სადამოს შვიდი საათისათვის ჯერ არაფერი ჰქონდა მოხერხებული. ძლიერი შიმშილით კუჭი ეწვოდა. ბოლოს თავგანწირულის ხერხი იხმარა: ჯერ მოიცადა, და როცა ყველა თანამშრომელი ზედიზედ წავიდა და მარტო დარჩა, ზარი დარეკა. შემოვიდა პატრონის მეკარე, რომელიც რედაქციის სადარაჯოდ დარჩენილიყო.

დღურუა იდგა და ნერვიულად იქოთებდა ჯიბეებს, მერე გულდაწყვეტილი ხმით მიმართა მეკარეს:

— ფუკარ, საფულე შინ დამვიწყებია, ლუქსემბურგის ბაღში კი სადილი მომელის. ორმოცდაათი სუ მასესხეთ ეტლისთვის.

მეკარემ სამი ფრანკი ამოიღო და ჰკითხა:

— მეტი ხომ არა გნებავთ, ბატონო დღურუა?

— არა, საჭირო არ არის. მეყოფა.

ფული გამოსტაცა, სირბილით დაეშვა კიბეზე, სადილად იმ ლუქანში გაიქცა, სადაც გაჭირვების ჟამს შეირბენდა ხოლმე.

ცხრა საათზე პატარა სასტუმრო ოთახში იჯდა, ბუხართან თბებოდა და საყვარელს ელოდებოდა. მალე მოუვიდა — მეტად ცოცხალი, მხიარული და სიცილისგან შეწითლებული.

— არ გინდა, გავისეირნოთ? — ჰკითხა დე-მარელმა. — თერთმეტზე დავბრუნდებით. საუცხოო ჰაერია.

დღურუამ ბუზღუნით უპასუხა:

— რა საჭიროა? აქაც კარგია.

დე-მარელი შლიაპას არ იხდიდა:

— რომ იცოდე, რა მშვენიერად ანათებს მთვარე! ასეთ დარში სეირნობა ნამდვილი განცხრომა იქნება.

— შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ სეირნობის გუნებაზე არა ვარ, — უხასიათოდ უპასუხა დღურუამ.

დე-მარელს ეწყინა და გაუკვირდა:

— რა დაგემართა? რა კილოთი ლაპარაკობ? გასეირნება მინდა. არ მესმის, რა არის აქ გასაჯავრებელი?

დღურუა გაბრაზდა. წამოდგა და

— მე გაჯავრებული არა ვარ. ყველაფერი მომბეზრდა, მორჩა და გათავდა!

დე-მარელი ისეთი ხასიათის დედაკაცი იყო, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა უარესად ამწარებდა ხოლმე. ხოლო უზრდელობა — აკაპასებდა. ზიზლით და ცივი სამღურავით უპასუხა:

— მე მაგისტანა მოპყრობას შეჩვეული არა ვარ. მაშ მარტო წავალ. მშვიდობით!

დღურუა მიხვდა, რომ საქმე გამწვავდა, სწრაფად მივარდა საყვარელს და ორივე ხელი ჩამოართვა, თან უკოცნიდა და თანაც ფორხილით ეხვეწებოდა:

— შემინდე, ძვირფასო, შემინდე. დღეს მეტისმეტად აშლილი, მეტისმეტად გამწარებული ვარ. უამრავი უსიამოვნება, სამსახურის დავიდარაბა და საზრუნავი დამატყდა... ალბათ, შენც გეცოდინება...

კლოტილდა ოდნავ მოღბა, მაგრამ ჯერ არ დამშვიდებულიყო, და მიუგო:

— ეგ ჩემი საქმე არ არის. სულაც არა მსურს, რომ ჩემზე ამოიყაროთ ჯავრი.

ჟორუმა მკლავები მოხვია და სავარძლისაკენ წაიყვანა:

— გეყოფა, ჩემო ძვირფასო, ყური მიგდე. მე შენი წყენა არ მინდოდა... არც კი მესმოდა, რას გეუბნებოდი.

დასვა და დაუჩოქა:

— ხომ შეძინდე? ხომ მაპატიე? მითხარი, მითხარი, მიპატიებია-თქო.

კლოტილდამ ჩუმი, მაგრამ ცივი ხმით უპასუხა:

— კარგი, მიპატიებია. იცოდე, ასეთი ამბავი აღარ გაიმეორო. — მერე წამოდგა და დაურთო: — ახლა კი სასეირნოდ წავიდეთ.

დღურუა ისევ დაჩოქილი იდგა. ხელები ქალის წელზე ჰქონდა მოხვეული და ლულულულებდა:

— ძალიან გთხოვ, ნუ წავალთ. გეხვეწები, დავრჩეთ. გემუდარები, დამითმე. ნეტა იცოდე, რა ბედნიერი ვიქნები, რომ ეს საღამო შენს გვერდით გავატარო... განმარტოებით... აი აქ, ბუხრის პირას. მითხარი, ჰო-თქო, მითხარი.

საყვარელმა მოკლედ და მტკიცედ უპასუხა:

— არა. მე სეირნობა მინდა და შენს ჟინს არ ავყვები.

დღურუა მაინც თავისას თხოულობდა:

— გეხვეწები. დამიჯერე, საბუთიც მაქვს, ძალიან სერიოზული საბუთი, ძალიან, ძალიან!

კლოტილდამ ხელახლად მიუგო:

— არა. თუ არ წამომყვები, მარტო წავალ. მშვიდობით!

ხელიდან გაუსხლტა და ერთი ნახტომით კართან გაჩნდა. ჟორჟი მივარდა და ისევ მოეხვია:

— ყური მიგდე, კლო, ჩემო პატარა კლო... დამითმე-მეთქი, ერთხელ მაინც დამითმე.

კლოტილდა საუაროდ იქნევედა თავს, კოცნას ერიდებოდა და გასხლტომას ღამობდა, ჟორჟი კი კვლავ ლულულულებდა:

— კლო, ჩემო პატარა კლო, დამიჯერე, საპატიო მიზეზი მაქვს-მეთქი.

დე-მარელი შედგა, თვალეში ჩახედა:

— სტყუი... რა მიზეზი გაქვს?

დღურუა გაწითლდა, ველარ მოიგონა, რა ეთქვა. ხოლო აღშფოთებულმა კლოტილდამ ამხილა:

— ხომ გითხარი, სტყუი-მეთქი, ტურტლიანო პირუტყვო!

და გამწარებით გაიწია, გაუსხლტა. თვალეზე ცრემლი უბრწყინავდა.

დღურუა ერთხელ კიდევ ეცა მხრეებში და მზად იყო გამოტეხილიყო, ოღონდ საყვარელი არ დაეკარგა, და უიმედო ხმით უთხრა:

— მაშ კარგი. იცოდე, ერთი გროშიც არ მაქვს ჯიბეში... აჰა, ხომ გითხარი.

კლოტილდა უცებ გახევედა და სიმართლის გასაგებად თვალეში ჩააშტერდა:

— რაო, რა სოქვი?

დღურუა თმის ძირამდე გაწითლდა:

— ისა ვოქვი, ფული არა მაქვს-მეთქი... გაიგე? ერთი ფრანკიც არა მაქვს, არც ნახევარი, რომ ერთი აღუბალი მაინც დაგაღვეინო, თუ შევედით სადმე. აჰა, ისეთი რამე მათქმევინე, რომ სირცხვილით ვიწვი. ხომ არ შემეძლო წამოგყოლოდი, და როცა მოგვიტანდნენ რამეს, გულდინჯად მეთქვა, დანახარჯს ვერ გადავიხდი-მეთქი.

კლოტილდა კვლავ შეჰყურებდა თვალეში:

— მაშ... მართალია?

დღურუამ ერთ წუთში ამოიბრუნა ყველა ჯიბე შარვლის, ჟილეტის, ზედატანისა და წაიხურჩულა:

— აჰა!.. ახლა ხომ კმაყოფილი ხარ?

კლოტილდამ მკლავები გაშალა და მხურვალედ გადაეხვია:

— ვაი შე საწყალო! შე საბრალოვ, შენა! ნეტა მცოდნოდა მაინც. მიამბე, მიამბე, როგორ მოხდა?

დასვა, მუხლებზე ჩამოუჯდა, კისერზე მოეხვია. უღვაშს, თვალეებს, ტუჩებს უკოცნიდა და აამბობინებდა, თუ როგორ მოუვიდა დღურუას ასეთი მარცხი.

ჟორჟმა გულამაჩუყებელი შემთხვევა მოიგონა. ის იძულებული იყო მამისთვის ეშველა, რომელსაც გაჭირვება მიადგა, რაც შენახული ჰქონდა, სულ მისცა და დიდ ვალშიც ჩავარდა.

უამბო და დაუმატა:

— ნახევარ წელიწადს მაინც უნდა გავუძლო შიმშილს. რადგან ყველა ჩემი წყარო ამოვწურე. აბა რა ვუყო, თითო გაჭირვება ყველას მიადგება ხოლმე. თუმცა — რის მაქნისია ფული! დემეტრე, იმად არა ღირს, რომ ამდენი ვიზრუნოთ მასზე.

კლოტილდამ ყურში ჩასჩურჩულა:

— გინდა გასესხო?

ჟურნალისტმა მედიდურად უპასუხა:

— ძალიან გულკეთილი ხარ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ გთხოვ, ამაზე ნურაფერს მეტყვი, რადგან შეურაცხყოფას მაყენებ.

საყვარელი გაჩუმდა. მერე მძლავრად მოეხვია, მიიზიდა და ჩუმი ხმით უთხრა:

— შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ, როგორ მიყვარხარ.

ეს სადამო უბედნიერესი გამოდგა მათი სიყვარულის ისტორიაში, წასასვლელად რომ ემზადებოდნენ, კლოტილდამ გაიღიმა და ისევ ჩამოუგდო სიტყვა:

— როგორ გაეხარდება, ვინც შენს დღეშია, ჯიბეში დავიწყებული ფული რომ იპოვოს, რომელიც შემთხვევით სარჩულის ქვეშ მოჰყოლია!

— რა თქმა უნდა! — მიუგო ჟურნალსტი.

კლოტილდას უნდოდა ფეხით წასულიყო, თქვა, მთვარეს კაშკაში გააქვს და მისი მხერა მეტად საამური რამ არისო.

ცივი და სუფთა ღამე იდგა. ასეთი დარი დეკემბრის დასაწყისში იცის ხოლმე. გამკვლელები და ცხენები ფიცხლად დადიოდნენ, რადგან მცირე ყინვა ერეკებოდა მათ, ფეხის ნაბიჯს მაღალი ხმა ჰქონდა. კლოტილდამ ჰკითხა:

— გინდა ზეგ მნახო?

— რა თქმა უნდა.

— ისევ ცხრაზე არა?

— ცხრაზე იყოს.

— მაშ მშვიდობით, ჩემო ძვირფასო.

და ერთმანეთი ნაზად დაკოცნეს.

დღურუა უკანვე წამოვიდა. განიერი ნაბიჯით მოალაჯებდა და თანაც ფიქრობდა, რა მოესაზრებინა ხვალ წყეული უფულობის გამო. როცა თავის ოთახში კარი შეაღო და ასანთის ამოსაღებად ჯიბეზე ხელი მოისვა, უცებ გაოცდა: ჟილეტის ჯიბეში რაღაც ფულს წააწყდა.

ღამეა რომ აანთო, საჩქაროდ ამოიღო და დახედა: ლუიდორი იყო, ოცფრანკიანი ოქრო!

ჯერ ეგონა, გავვიჟდით. ოქროს ხელში ატრიალებდა და ღამობდა გამოეცნო, რა სასწაულით აღმოაჩნდა იგი ჯიბეში. ბოლოს და ბოლოს, ციდან ხომ არ ჩაუვარდა!

უცებ მიხვდა და საშინელმა შფოთმა მოიცვა. კლოტილდას ნათქვამიც გაახსენდა: ზოგჯერ, გაჭირვების დროს, სარჩულის ქვეშ ფულს პოულობენო. რა თქმა უნდა, მოწყალებას მიუხვდა. ვაი სირცხვილო! დღურუას ღანძღვა აღმოხდა და დაემუქრა:

— მაშ კარგი! ზეგ გავახსენებ, და მერე როგორ! დამაცადოს!

და გასრესილ-გაჯავრებული, სწრაფად ჩაწვა ლოგინში.

გვიან გაიღვიძა და შიმშილი იგრძნო. ღამობდა ხელახლა დაეძინა და ორზე ამდგარიყო. მერე თავისთავს უთხრა:

„არა, ასე შორს ვერ წავალ. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვიშოვო თუ არა ფული?“ და დაიმედებული გამოვიდა გარეთ: იქნებ ქუჩაში მაინც მოვიგონო რამეო.

მაგრამ თავში არაფერი მოსდიოდა. რესტორანს რომ ჩაუვლიდა ხოლმე, მწვავე შიმშილისგან პირი ნერწყვით ევსებოდა. რადგან შუადღემდე ვერაფერი მოიგონა, უცბად გადაწყვიტა: „რა ბედენაა! კლოტილდას ფულით ვისაუზმებ და ხვალ დავუბრუნებ“.

ორ-ნახევარი ფრანკი ჭამაზე დახარჯა და რედაქციაში შევიდა. სამი ფრანკი მეკარეს მისცა და უთხრა:

— აი, ფუკარ, გუშინ რომ გზის ფული მასესხეთ.

შვიდამდე იმუშავა. მერე სადილად წავიდა და იმავე ფულიდან სამი ფრანკი კიდევ დახარჯა. სადამოზე ორი ჭიქა ლუდიც დალია და დათვალია: იმ დღეს კლოტილდას ნამოწყალებს ცხრა ფრანკი და ოცდაათი სანტიმი დააკლდა.

და რადგან ერთ დღე-ღამეში ვერც კრედიტს აღიდგენდა და ვერც ახალ წყაროს იშოვიდა, მეორე დღეს ექვს-ნახევარი ფრანკი კიდევ დააკლო იმ ფულს, რომელიც იმ სადამოს უნდა დაებრუნებინა. დანიშნულ პაემანზე რომ მივიდა, ჯიბეში ოთხი ფრანკი და ოცი სანტიმილა ჰქონდა.

ძალღვივით გაანჩხლებული იყო და გადაწვევითა ყოველივე უმაღლეს გამოერკვია. საყვარელს სათქმელიც შეუმზადა: „გუშინწინ რომ ოცი ფრანკი ჩამიდე ჯიბეში, იცოდე, ვიპოვე. დღესვე ვერ გიბრუნებ, რადგან ჩემი საქმე არ შეცვლილა და აგრეთვე იმიტომ, რომ დღეს ფულისთვის არ მეცალა. მაგრამ შეგხვდები თუ არა მეორეჯერ, უეჭველად დაგიბრუნებ“.

კლოტილდაც მოვიდა — ნაზი, თავმდაბალი და ქლესა. როგორ დაუხვდება ჟორჟი? საყვედურები რომ თავიდან აეცილებინა, დიდხანს ჰკოცნიდა და ეხვეოდა.

დღურუა კი თავისთავს ეუბნებოდა: „ჯერ კიდევ მაქვს დრო. საბაბს ვუპოვი და ვეტიყვი“.

მაგრამ საბაბი ვერ იპოვა და არაფერიც არ უთხრა, თანაც ასეთ საჩოთირო საქმეზე ლაპარაკის ჩამოგდებაც ეხამუშებოდა. კლოტილდა სეირნობაზე აღარაფერს ამბობდა და ჟორჟის გულის მოგებას ლამობდა.

ერთმანეთს შუადამეზე გაშორდნენ და შემდეგი პაემანი მხოლოდ მომავალი კვირის ოთხშაბათისთვის დანიშნეს: ქ-ნ დე-მარელს მრავალგან ელოდა სანადიმო სადილი.

მეორე დღეს, სადილი რომ გაათავა და გადარჩენილ ოთხ ფრანკს დაუწყო ძებნა, დღურუას ჯიბეში ხუთი ცალი მონეტა აღმოაჩნდა და ერთი მათგანი ოქროსი გამოდგა. ჯერ ეგონა, ეს ოცი ფრანკი ალბათ გუშინ ხურდას გადმოჰყვაო. მაგრამ შემდეგ მიხვდა და ამ ახალი ნამოწყალევის გამო გული დამცირებით აუჩქროლდა.

როგორ ნანობდა ახლა, რომ გუშინ კლოტილდას არაფერი უთხრა! მაშინ რომ სუსხინად გაეკიცხა, დღურუას ასე აღარ დაამცირებდნენ. ოთხ დღეში ხუთი ლუიდორის ძებნაში მრავალი ხერხი და ძალღონე დახარჯა ამოდ და კლოტილდას მეორე ლუიდორიც ჭამაზე გაანიავა.

საყვარელს რომ შეხვდა, მტკიცედ უთხრა: „იცი რას გეტყვი: ხუმრობას თავი დაანებე, თორემ გამაბრაზებ“. და მეორე დღეს შარვლის ჯიბეში ისევ ლუიდორი იპოვა.

„დასწყევლოს ეშმაკმა!“ — წამოიძახა და ის ოქრო შარვლის ჯიბიდან ჟილეტის ჯიბეში გადმოიღო, რადგან ერთი სანტიმიც აღარ ჰქონდა, თან მშფოთავ სინდისს იმშვიდებდა: „მთელ ვალს ერთად დავუბრუნებ. მართალი რომ ვთქვათ, ვალად მაძლევს, მეტი ხომ არაფერია!“

ბოლოს გაზეთის მოღარემ მისი ვაება და მუდარა შეიწყნარა და დღეში ხუთი ფრანკის მიცემას დაჰპირდა. სადილისთვის საკმარისი იყო, მაგრამ ამ ფულით სამოც ფრანკს ვალს ვერ გადაიხდიდა.

კლოტილდას ხეტიალის ჟინი დაუბრუნდა. წინანდებურად პარიზის საეჭვო ალაგებში დაქროდა და ასეთი გაბედული ღამის შემდეგ დღურუა ყოველთვის ერთ ოქროს პოულობდა — ან ჯიბეში, ან ფეხსაცმელში, ან კიდევ საათის ბუდეში, და ამას ისე შეეჩვია, რომ აღარც კი ბრაზობდა.

რადგან მის საყვარელს ხეტიალის ისეთნაირი ჟინი ჰქონდა, რომ დღურუა ამჟამად ვერ შეუსრულებდა, განა ბუნებრივი არ იყო, რომ კლოტილდა ამჯობინებდა თვითონვე ეხარჯა ფული, ვიდრე ხელი აეღო სასიამოვნო ცხოვრებაზე?

ასე მსჯელობდა ჟურნალისტი, და რადგან ამგვარად მიღებული ფული სესხად მიაჩნდა, წიგნაკში იწერდა და განზრახული ჰქონდა, ოდესმე დაებრუნებინა. ერთხელ, საღამო ჟამს, კლოტილდამ უთხრა:

— დამიჯერებ თუ არა, „ფოლი-ბერჟერში“-ში ერთხელაც არ ვყოფილვარ. არ გინდა, წამიყვანო?

დღურუა შეყოყმანდა, რადგან რაშელთან შეხვედრისა ეშინოდა. შემდეგ მოისაზრა: „სისულელეა! ბოლოს და ბოლოს, ცოლიანი ხომ არა ვარ. თუ რაშელმა დაგვინახა, მიხვდება და არ დამელაპარაკება. ესეც რომ არ იყოს, ლოჟას ავიღებ“. და ერთმა აზრმაც აიძულა დათანხმებულიყო: სასიამოვნო იყო, შემთხვევით ესარგებლა, ქ-ნ დე-მარელისთვის უფასო ლოჟა მიერთმია და, ამრიგად, მადლობა გადაეხადა.

კლოტილდა კარეტაში დატოვა და ბილეთის ასაღებად წავიდა, რათა საყვარელს არ დაენახა, რომ უფასოდ შეჰყავდა. მერე ჩამოსვა და თეატრში შეიყვანა.

კონტროლიორმა დაბლა დაუკრა თავი.

ფოიე საესე იყო და მოყაყანე ხალხში ძლივს გაიკვლიეს გზა. ბოლოს თავიანთ ლოჟაში შევიდნენ და ჩაკეტილში დასხდნენ: ერთი მხრივ, უძრავი პარტერი ჰქონდათ, ხოლო მეორე მხრივ — აჩოჩქოლებული ტალანები.

ქნი დე-მარელი სულ არ უყურებდა სცენას და გართული იყო მხოლოდ კახპებით, რომელიც მის ზურგს უკან ლაპარაკობდნენ. წამდაუწუმ უკან იხედებოდა, ათვლიერებდა და წყურვილი ჰკლავდა, გახახუნებოდა და ხელით გაესინჯა მათი კორსეტები, ლოყები, თმა და გაეგო, რა სულიერები იყვნენ ეს ქალები.

უცებ დღურუას უთხრა:

— აქ ერთი მსუქანი და შავგვრემანი ქალი დადის და დაჟინებით გვათვლიერებს. მომეჩვენა კიდევაც, თითქოს ჩვენთან მოსვლა და დალაპარაკებაც უნდოდეს. იცნობ?

დღურუამ მიუგო:

— არა. ალბათ შეცდი.

ნამდვილად კი დიდი ხანია თვალი მოჰკრა რაშელს, რომელიც იქვე ახლოს დაეთრეოდა, თანაც გაბოროტებულ თვალებს აელვებდა და ენაზე მომდგარ წყევლას ძლივს იმაგრებდა.

ხალხს რომ მიაპობდა, დღურუამ ოდნავ გაჰკრა მკლავი, რაშელმა კი დაბალი ხმით უთხრა: „გამარჯობა!“, თანაც თვალი ჩაუკრა: „მესმისო“. დღურუას ეშინოდა, მის საყვარელს არ შეემჩნია, და ამიტომ თავაზიან სალამზე პასუხი არ მისცა: თავაწულებმა ტუჩები ზიზღით ჩაიკეცა და გვერდზე ცივად გაუარა.

რაშელი უნებურად ეჭვმა მოიცვა. გამობრუნდა, მკლავი გაჰკრა და უფრო ხმამაღლა მიაძახა: „ჟორჟ, გამარჯობა!“

დღურუამ ისევ არაფერი უპასუხა. მაშინ რაშელმა გადაწყვიტა გამოცნაურებოდა და საღმის მოცემა აეძულებინა, ამიტომ დღურუას ლოყის ირგვლივ დაიწყო სიარული და ხელსაყრელ დროს ეძებდა.

შეამჩნია თუ არა, რომ ქ-მა დე-მარელმაც თვალი აადევნა მას, რაშელმა დღურუას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— გამარჯობა! როგორა ხარ?

ჟურნალისტმა არც კი მოიხედა.

— ჰა, რა მოგივიდა? — ხმას აუმაღლა რაშელმა, — ხუთშაბათს აქეთ დაყრუვდი თუ სხვა რამე დაგემართა?

დღურუამ ისევ არ უპასუხა. ლამობდა, შეენარჩუნებინა ღირსება, რომელიც ნებას არ აძლევდა ამ გასასყიდი დედაკაცის წინაშე თუნდაც ერთი სიტყვით დაემცირებინა თავი.

რაშელმა ბრაზით გადიხარხარა და უთხრა:

— მაშ, მუნჯი ხარ? ამ ქალბატონმა ხომ არ მოგაკვნიტა ეგ ენა?

დღურუა ფიცხლავ შეინძრა და გამწარებით შესძახა:

— ვინ მოგცათ ნება, ეგრე რომ მელაპარაკებით! აქედან დამეკარგეთ, თორემ ახლავე დაგაპატიმრებთ.

რაშელს თვალები აენტო, კისერი გაუსივდა და

— მაშ, აგრე? — შეჰყვირა. — ჰაი, შე სალახანავ, შენა! რაკი ქალთან იწეკი, სალამი მაინც მიეცი. და თუ დღეს სხვა გომბიო მოიყვანე, თავი მაინც არ უნდა მომარიდო. წელან რომ ჩემთვის ცოტაოდენი ყურადღება მოგექცია, როცა გვერდზე გაგიარე, თავს დაგანებებდი. მაგრამ შენ ყოყლოინობა ირჩიე. მაშ, დამაცადე! მე შენ გაჩვენებ ამპარტაუნობას! მაშ, საღამის მოცემაც აღარ გეკადრება?!

კიდევ დიდხანს იყვირებდა, მაგრამ ამ დროს ქ-მა მარელმა ლოყის კარი გააღო და ხალხში შევარდა, თან დაბნეული ეძებდა გამოსასვლელ კარს. დღურუა დაედევნა და ლამობდა დასწეოდა. რაშელმა რომ გაქცეულები დაინახა, მეტი რიხით შეუტია:

— დაიჭით! დაიჭირეთ! საყვარელი მომპარა!

ირგვლივ ხარხარი ატყდა. ორმა მამაკაცმა დე-მარელს ხუმრობით მხრებში წაავლო ხელები და ორივემ საკოცნელად მიიწია. მაგრამ დღურუამ დროზე მიუსწრო, ქალი ძალით გააგდებინა ხელიდან და ქუჩაში გაიყვანა.

დე-მარელი თეატრის წინ მდგარ ცარიელ ეტლში ახტა. დღურუაც აჰყვა, და როცა მეეტლემ ჰკითხა, საით გნებავთო, უპასუხა: „საითაც გინდოდეთ“.

ეტლი ძუნძულით მიგორავდა. კლოტილდას ნერვული კრუნჩხვა დაემართა.

პირისახეზე ხელები აიფარა და იხრჩობოდა. დღურუამ აღარ იცოდა, რა ეთქვა და რა ექნა. ბოლოს, მისი ტირილი რომ მოესმა, აღუდღუღდა:

— ყური მიგდე, კლო, ჩემო პატარა კლო... მათქმევინე... მე უბრალო ვარ... ის ქალი დიდი ხანია გავიცანი... უწინ გავიცანი.

უცებ კლოტილდამ სახე გამოაჩინა და მოტყუებული შეყვარებული ქალის საშინელი ბრაზით შეპყრობილმა, რომელმაც ენა ძლივს ამოიდგა, ბორძიკით, სხაპუნით, ნაწვევებად და ხრჩობით დაიწყო:

— ოოჰ, შე უბედურო!.. უბადრუკო!.. მასხარად მიგდებ, განა! შესაძლებელია? დასაჯერებელია? ვაი სირცხვილო!.. ღმერთო ჩემო, ეს რა სირცხვილი ვჭამე! ეს რა საშინელებაა!

და რაც უფრო უნათლდებოდა გონება და თავშიც ახალი აზრები ებადებოდა, იმდენად უფრო მეტი სიანხხლით ჰკიოდა:

— მაშ, ჩემი ფულით ყიდულობდი იმ გომბიოს, განა! და მეც ამისთვის გაძღვედი ფულს? ჰოი, საძაგელო! საზიზღარო! საღახანავ!

რამდენიმე წამს თითქო მეორე სიტყვას, უფრო მაგარს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. შემდეგ ისე აღმოხდა გულიდან, თითქო გადაფურთხება ეწადაო: „ოოჰ, ღორო!.. ღორო!.. ღორო!.. ღორო!“ და მეტი რომ ვეღარაფერი მოიგონა, ისევ გაიძახოდა: „ღორო!.. ღორო!“

სარკმელში გადმოეყუდა, მეეტლეს სახელოზე მისწვდა და მიადახა:

— შესდევით! — თან კარი გააღო და ქუჩაში გადახტა.

ჟორჟსაც უნდოდა გადმოსულიყო, მაგრამ გააფთრებულმა საყვარელმა ისეთი ძალით მიადახა: „არ გაბედო!“ რომ გამგლელებმა მის გარშემო შექუჩება დაიწვეს. დღურუას ალიაქოთის შეეშინდა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა.

კლოტილდამ საფულე ამოიღო, ფარნის შუქზე გავიდა, ორ-ნახევარი ფრანკი გადმოსთვალა, მეეტლეს გადასცა და მთრთოლვარე ხმით უთხრა:

— აი, აიღეთ... ერთი საათისას გაძღვეთ... მე ვიხდი... ეს არამზადა კი ბურსოს ქუჩაზე წაიყვანეთ, ბატინიოლში.

თავმოყრილ ხალხში სიცილი მოისმა. ერთმა ვაჟბატონმა თქვა: „ყოჩაღ, კოხტა ქალო!“, ხოლო მეორე ავარა ყმაწვილმა ეტლის ღია კარებში თავი შეჰყო და წვრილი ხმით შესძახა: „საღამო მშვიდობისა, ბიბი!“

მერე ეტლიც დაიძრა და ხალხის სიცილი თან გაიყოლა.

თავი მეექვსე

მეორე დღით ჟორჟ დღურუამ დადგრემილი თვალები ძლივს გაახილა. ნელა ჩაიცვა, სარკმელს მიუჯდა და ფიქრს მიეცა.

სულ დამტვრეული იყო, თითქოს წინა დღეს ვინმეს ძლიერ დაებეჯა.

ფულის შოვნის საჭიროებამ შეანჯღღრია, წამოაყენა და ფორესტიესთან წაიყვანა. მეგობარი კაბინეტში იჯდა და ბუხართან თბებოდა.

— რამ აგაყენა ასე ადრე? — ჰკითხა.

— ძალიან საჭირო საქმემ. გადაუდებელმა ვალმა.

— ქაღალდის ვალმა? — დღურუა შეირყა. მერე უპასუხა:

— ჰო, ქაღალდის ვალმა.

— ბევრია?

— ხუთასი ფრანკია.

ნამდვილად კი მხოლოდ ორასოთხმოცი ემართა.

ფორესტიემ უნდობლად ჰკითხა:

— ვისი გმართებს?

დღურუამ უცებ ვერ უპასუხა:

— ერთისა... ვინმე კარლვილისა.

— ჰოო, სადა ცხოვრობს?

— იქ... იმ ქუჩაზე.

ფორესტიემ გაიცინა:

— „შარშანდელი თოვლის ქუჩაზე, არა? მეც ვიცნობ იმ ვაჟბატონს, ჩემო კარგო. თუ გინდა, ოცი ფრანკი კიდევ მომეპოვება შენთვის, ამაზე მეტს კი ვერ მოგცემ“.

დღურუამ ერთი ოქრო ჩამოართვა.

შემდეგ ყველა თავის ნაცნობს ჩამოუარა, ყველას შინ ეწვია და ბოლოს, ხუთ საათზე, ოთხმოცი ფრანკი ძლივს მოაგროვა.

რადგან ორასიც სჭირდებოდა, გადაწყვიტა, ეს ფული ხელუხლებლივ შეენახა და თავისთავს უთხრა: „აბა რა ვუყო! ასეთი ფესუსტი ქალისთვის ჭკუაზე ხომ ვერ შევიშლები. როცა მექნება, მივცემ“.

ორ კვირას მომჭირნედ და თავშემაგრებით ცხოვრობდა, თანაც მეტად მტკიცე განზრახვით იყო შეჭურვილი. მაგრამ მერე ისევ მწვავე სიყვარულმა შეიპყრო. ეჩვენებოდა, თითქო ძალიან ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქალი ეჭირა მკლავებში, და როგორც ხმელეთის დანახვაზე მეზღვაურს გიჟური ფორიაქი აიტაცებს ხოლმე, ასეთივე თრთოლა აწვალებდა დედურუასაც ყოველი კაბის დანახვაზე.

ერთ საღამოს ხელახლა შეიხედა „ფოლი ბერჟერში“ იმ იმედით, რომ იქ რაშელს იპოვიდა. შევიდა თუ არა, უმაღვე თვალი მოჰკრა.

ღიმილით და გაწვილილი ხელით გაემართა მისკენ, მაგრამ რაშელმა თავითფეხამდე აავლო თვალი და ცივად ჰკითხა, რა გნებავთ?

დედურუამ გაღიმება სცადა.

— გეყო, ნუ იპრანჭები.

კახპამ ზურგი შეაქცია და თქვა:

— მე აღფონსებთან საქმე არა მაქვს.

რაშელმა ყველაზე მწვავე სიტყვა იპოვა. დედურუას სისხლი ეცა თავში და შინ მარტო დაბრუნდა.

დაოსებული, დასუსტებული და მუდმივი ხველით დაძაბუნებული ფორესტიე დედურუას სიცოცხლეს უმწარებდა რედაქციაში და მისთვის თითქოს განგებ ეძებდა ყველაზე საზიზღარსა და სათაკილო საქმეს. ერთხელ დედურუამ საჭირო ცნობები ვერ მოუტანა. ფორესტიე კინალამ დაიხრჩო ხველით. ნერვები აფორიაქებული ჰქონდა და წაიბურტყუნა:

— დემეტო ჩემო, შენ უფრო სუფელი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა.

დედურუამ კინალამ სილა გაართვა, მაგრამ თავი შეიმაგრა და მუქარით წავიდა: „მაშ დამაცა, მალე გადაგიხდი!“ ერთმა აზრმა გაურბინა თავში და დაუმატა: „რქებს დაგადგამ, ჩემო კარგო, ჯავრს შენს ცოლზე ამოვიყრი“. ახალმა გეგმამ სიხარულით აავსო და ხელების ფშენებით წავიდა.

გადაწყვიტა საწადელის შესრულებას ხვალვე შესდგომოდა და მეორე დღეს ნიადაგის მოსასინჯად ქ-ნ ფორესტიეს ეწვია.

მისი მეგობრის ცოლი საგარძელში იჯდა და წიგნს კითხულობდა. ადგილიდან არც კი დაიძრა. მხოლოდ თავი მოიბრუნა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— გამარჯობა, ლამაზო მეგობარო.

დედურუას თითქოს სილა გააწნესო:

— მაგ სახელს რად მეძახით?

ღიასახლისმა ღიმილით უპასუხა:

— წარსულ კვირას ქ-ნ დე-მარელს შევხვდი და გავიგე, რომ იქ თქვენთვის ასეთი სახელი შეურქმევიათ.

ახალგაზრდა ქალის ღმობიერმა კილომ სითამამე დაუბრუნა. თუმცა რისი უნდა შინებოდა?

ქალბატონმა ფორესტიემ განაგრძო:

— ჩემს მეგობარ დე-მარელს ანებიერებთ, მე კი მხოლოდ თვის ოცდათექვსმეტში გაგონდებით ხოლმე, განა!

დედურუა გვერდით მიუჯდა და ისე დაუწყო სინჯვა, როგორც ოსტატი ლამაზ ნახელავს ათვალიერებს ხოლმე.

ქ-ნი ფორესტიე იყო მშვენიერი, ნაზი, მხურვალე, ქერა და მხოლოდ აღერსისთვის დაბადებული. „იმას, უეჭველად, სჯობია“, — ფიქრობდა სტუმარი და გამარჯვების სრული რწმენა ჰქონდა. „ოღონდ ხელი უნდა გავიშვირო და მწიფე ხილი მოვწვიტო“.

და მტკიცე ხმით უთხრა:

— იმიტომ არ მოვდივარ თქვენთან, რომ ვფიქრობ, ასე აჯობებს.

— როგორ? რატომ?

— რატომ? ვერ მიმიხვდით?

— ვერა, ვერ მიგიხვდით.

— იმიტომ, რომ... მიყვარხართ... ოდნავ, სულ ოდნავ, და არ მინდა სულ ჩავეფლო სიყვარულში.

ქ-ნ ფორესტიეს არც გაოცება დაეცო, არც გაჯავრება, არც პირფერობის სიამე. ისევ თავისი გულგრილი ღიმილით იღიმებოდა. მერე დინჯი კილოთი მიუგო:

— მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ზოგჯერ ჩემთანაც შემოიხედოთ ხოლმე. ჩემი ხანგრძლივ შეყვარება ყოვლად შეუძლებელია.

მისმა კილომ უფრო გააოცა დედურუა, ვიდრე სიტყვამ, და ჰკითხა:

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამაოდ ჩაივლის, და მეც მოარწიყეს უმაღვე ვაგრძნობინებ ხოლმე ამას. თქვენი შიში ადრევე რომ გეთქვათ ჩემთვის, მაშინვე გაგამხნევებდით და გთხოვდით, რაც შეიძლება ხშირად შემოგვევლოთ ხოლმე ჩემთან.

დედურუამ აწეული ხმით შესძახა:

— კარგი იქნებოდა, ჩვენი გრძნობა ჩვენს ბრძანებას ემორჩილებოდეს.

ღიასახლისი მიუბრუნდა:

— ძვირფასო მეგობარო, შეყვარებული მამაკაცი ჩემთვის ამოშლილია ცოცხალთა სიიდან. ჩემის აზრით, ის ტუტუცდება, და მარტო ტუტუცი კი არ არის, არამედ სახიფათოც. ყველას, ვინც შემოყვარებს, ან მარწმუნებს, ვითომ ვუყვარდე, უმაღვე სამუდამოდ ვშორდები ხოლმე: ასეთი ადამიანი ჯერ უსიამოვნოდ მეჩვენება, შემდეგ კი — საეჭვოდაც. ასეთი კაცი მომაგონებს ცოფიან ძაღლს, რომელსაც შეიძლება უცებ დაემართოს ბნელა. ამიტომ მას მორალურ კარანტინს ვუმართავ იმ დრომდე, სანამ სენი არ გაუვლის. დაიხსომეთ ჩემი ნათქვამი. ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენთვის სიყვარული კარგ მადას უდრის, ჩემთვის კი, პირუკულმა, შეიძლება, თავისებური... სულთა ურთიერთობაც იყოს, რომელიც მამაკაცის გრძნობისთვის მიუღწეველია. თქვენ მხოლოდ სიტყვა გესმით, მე კი — სიტყვაც და სულიც. მაგრამ... აბა კარგად შემომხედეთ თვალებში...

ღიასახლისი აღარ იღიმებოდა. სახე დინჯი და ცივი ჰქონდა. მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო, თანაც ყოველ სიტყვას ხაზგასმით ამბობდა:

— არასოდეს, არასოდეს თქვენი საყვარელი არ გავხდები, გესმით? ამიტომ სრულებით უსარგებლო, თქვენთვის ცუდიც კი იქნება, თუ ამის შემდეგაც თქვენს სურვილს დაიჟინებთ და მასზე ხელს არ აიღებთ. ახლა კი... ამ ოპერაციის შემდეგ, დაემეგობრდეთ, ნამდვილად დაემეგობრდეთ და ყველა ბიწიერი ზრახვა მოვიშორეთ.

დედურუა მიხვდა, რომ ასეთი უდავო განჩინების შემდეგ ყოველგვარი ხრიკი უნაყოფო იქნებოდა, და უმაღვე უყოყმანოდ დასთანხმდა, თანაც აღტაცებული იყო იმის გამო, რომ ცხოვრების გზაზე ასეთ მოკავშირეს შოულობდა.

დედურუამ ორივე ხელი გაუშვირა და უთხრა:

— განაგეთ ჩემი თავი, როგორც გსურდეთ.

დედურუას ხმაში მადლენას წრფელი კილო მოეჩვენა და თვითონაც ორივე ხელი გაუწოდა.

დედურუამ ორივე ზედიზედ დაუკოცნა და თავი რომ ასწია, უბრალოდ უთხრა:

— ოჰ, თქვენისთანა ქალი რომ მეპოვა, რა სიხარულით შევირთავდი!

ახლა კი მისმა ნათქვამმა გასჭრა და ქ-ნ ფორესტიეს გული აუტოკა: ასეთ გრძნობას იწვევს ხოლმე ქალის გულში მიზანს მონახვედრი ქათინაური, და იმანაც ისეთი სწრაფი და მადლიერი თვალი აავლო ახალ მეგობარს, რომელიც ჩვენ, მამაკაცებს, დედაკაცის მონად გვხდის ხოლმე.

რადგან დედურუამ აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი, მადლენა მის სახელოს თითით შეეხო და ტკბილად უთხრა:

— მე ახლავე უნდა შევუდგე მეგობრის მოვალეობას. თქვენ, ჩემო ძვირფასო, საკმაოდ გაქნილი არ ყოფილხართ... — და ყოყმანის შემდეგ ჰკითხა: — ნება მეძლევა გულახდილად გითხრათ?

— დიას.

— სრულებით გულახდილად?

— სულ, სრულებით.

— მაშ, აი, რას გეტყვით. სადარბაზოდ მიბრძანდით ქალბატონ ვალტერთან, რომელიც ძალიან გაფასებთ, და თავი მოაწონეთ. თქვენი ქათინაურები იქ თავის ადგილზე დაიხარჯება, თუმცა ის პატიოსანი დედაკაცია, გესმით, სრულებით პატიოსანია-მეთქი. ეს კი იცოდეთ: იმედი... ტაცობის იმედი ნურც იქ გექნებათ, სამაგიეროდ, თუ ხშირად ივლით, საუკეთესო რამეს იპოვით. მე ვიცი, რომ რედაქციაში ჯერჯერობით მცირე ალაგი გიჭირავთ, მაგრამ ნუ გეშინიათ: გაზეთის ყველა

თანამშრომელს ვალტერის ოჯახში თანაბარი თავაზით ხვდებიან ხოლმე. მაშ დამიჯერეთ და შეიარეთ.

დღურუამ ღიმილით უპასუხა:

— დიდად გმადლობთ. თქვენ ანგელოზი ბრძანდებით... ჩემი მფარველი ანგელოზი. მერე საუბარი სხვა საგანზე გადავიდა.

დღურუა დიდხანს დარჩა: სურდა მადლენასათვის ენიშნებინა, რომ მასთან ყოფნა სასიამოვნო იყო, და წასვლა რომ დააპირა, ხელახლა ჰკითხა:

— მაშ მეგობრები ვართ?

— მეგობრები ვართ.

და რადგან დღურუამ თავიდანვე იგრძნო მის მიერ ნათქვამი პირველი ქათინაურის ძალა და გავლენა, ახლაც მნიშვნელოვანი კილოთი უთხრა:

— და თუ ოდესმე დაქვრივდებით, პირველ კანდიდატად მიგულისხმებ.

თქვა და სწრაფად გავიდა, რათა მისთვის გაჯავრების დრო არ მიეცა.

ქ-ნ ვალტერთან დარბაზობას მაინც ერიდებოდა: დაპატიჟებული არ იყო და არ სურდა ეს მისვლა უზრდელობაში ჩამოერთვიათ. პატრონი მისი მწყალობელი იყო, მის სამსახურსაც აფასებდა და გაჭირვების დროს მას მუდამ გამოიყენებდა ხოლმე. მაშ რატომ არ უნდა ისარგებლოს დღურუამ ამ გარემოებით და არ შევიდეს იმის ოჯახში?

და ერთ მშვენიერ დღეს დილით ადრე ადგა, ბაზარში გავიდა და ათ ფრანკად ოცი საუცხოო მსხალი იყიდა. მერე გულმოდგინედ ჩააღაგა მოგრძო კალათში, შორიდან მოტანილის იერი მისცა და ქალბატონ ვალტერის მეკარეს გადასცა, თანაც სადარბაზო ბარათი დააყოლა, რომელზედაც ეწერა:

ჟორჟ დღურუა

უმორჩილესად სთხოვს ქალბატონ ვალტერს, ძღვნად მიიღოს მსხალი, რომელიც მან დღეს დილით მიიღო ნორმანდიიდან.

და მეორე დღეს რედაქციაში, თავის საფოსტო ყუთში საპასუხო ბარათი მიიღო ქ-ნ ვალტერისაგან, „რომელიც ჟორჟ დღურუას გულწრფელ მადლობას უხდის და სტუმრებს შაბათობით იღებს“.

და დღურუაც იმავე შაბათს ესტუმრა.

ვალტერი საკუთარ სახლში, მალხებრის ბუღვარზე ცხოვრობდა, და რადგან საქმიანი და მომჭირნე კაცი იყო, სახლის ნახევარი გაქირავებული ჰქონდა. ერთადერთი მეკარე ორივე ბინის შუა ცხოვრობდა და ორივე ბინის კარებს აღებდა ხოლმე. ტანად ეკლესიის მეკარეს ჰგავდა: მსუქან წვივებზე თეთრი, მაღალყელიანი წინდები ჰქონდა გამოწკეპილი, ხოლო მისი ოქროსღილებიანი და წითელსარწმულიანი ლივრეა იმ სახლს მდიდრულ იერს აძლევდა.

სასტუმრო ოთახი ზემო სართულში იყო, ხოლო მისადებ ოთახს ქსოვილი ჰქონდა აკრული და ფარდებით იყო მორთული. სკამებზე ორი ლაქია თვლემდა. ერთმა დღურუას პალტო ჩამოართვა, მეორემ კი — ჯოხი, კარი გაუღო, რამდენიმე ნაბიჯით წინ გაუსწრო, მერე გვერდზე გადაგა, წინ შეუშვა და ცარიელ დარბაზში მისი სახელი და გვარი დაიძახა.

ახალგაზრდა კაცი იქაურობას მოკრძალებით ათვალიერებდა და უცებ სარკეში რამდენიმე კაცი დაინახა, რომლებიც, ალბათ შორს ისხდნენ. რადგან სარკემ მოატყუა, ჯერ ყალბი გეზით წავიდა, მერე ორი ცარიელი ოთახიც გაიარა და შევიდა რაღაც პატარა ბუღვარში, რომელიც ყვითელყვავილებიანი ცისფერი აბრეშუმით იყო აკრული. მრგვალი მაგიდის ირგვლივ ოთხი ქალი იჯდა და ხმადაბლა საუბრობდა.

მაგიდაზე ჩაი ედგათ ფინჯნებით.

დღურუა გულდაჯერებული კაცი იყო. პარიზული ცხოვრებისა და ნამეტნავ კი თავისი ხელობის წყალობით საკმაო სითამამეც ჰქონდა: დიდ ვაჟბატონებს ხშირად ხვდებოდა და გაიწვრთნა, მაგრამ დარბაზობის თავისებური იერის და ცარიელ ოთახებში მოგზაურობის გამო მაინც დაიბნა და მორცხვი თვალებით დიასახლისს დაუწყო ძებნა.

— ჩემს თავს ნება მივეცი და... — წაიღულღულა.

ქ-მა ვალტერმა გაუწოდა ხელი, რომელიც ახალმოსულმა თავდახრით ჩამოართვა.

— დიდად დავალებული ვარ თქვენს მიერ, რადგან ჩემ სანახავად მობრძანდით, — უთხრა ქალბატონმა და სავარძელზე მიუთითა. დღურუა უფრო დაეცა ზედ, ვიდრე დაჯდა: უფრო მაღალი ეგონა, ვიდრე ნამდვილად იყო.

სიხუმე ჩამოვარდა. ბაასი ერთმა დედაკაცმა განაახლა. ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დიდი სიცივე დაიწყო, მაგრამ არც იმდენად ძლიერი, რომ სახადი შეეჩერებინა და შესაძლებელი ყოფილიყო ციგურებით ესრიალათ. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა ყინვის როლის შესახებ პარიზის ცხოვრებაში. შემდეგ გადავიდნენ იმაზე, თუ წლის რომელი დრო სჯობია, და ყველამ ჩვეულებრივი საბუთი მოიტანა, რომელიც ისე ავსებს ხოლმე თავს, როგორც მტვერი ოთახს.

კარი ჩუმად შემოადგეს. დღურუამ თავი მიიბრუნა და მინიან კარში სქელი დედაკაცი დაინახა. შემოვიდა თუ არა ბუღუარში, ერთი სტუმარი ქალი წამოდგა, ყველას ხელი ჩამოართვა და გავიდა. როცა მიდიოდა, ახალგაზრდა კაცმა სარკეებში იმის ზურგს აადევნა თვალი და გიშრის მძივთა კრიალი დაინახა.

როცა ხელახლა დასხდნენ, უცებ ბაასი გააბეს საზღვაო შეიარაღებაზე, აღმოსავლეთის ომსა და ინგლისის გაჭირვებაზე სამხრეთ აფრიკაში. ქალები ისე ლაპარაკობდნენ ამაზე, თითქო დახეპირებულ გაკვეთილს იმეორებდნენ, ან მრავალჯერ შესრულებულსა და საზოგადოებაში მიღებულ ზრდილობიან კომედიას თამაშობდნენ.

ერთი პატარა და დახუჭუჭებული ქერა ქალბატონიც შემოვიდა. მისმა მოსვლამ ერთი მაღალი, შუახნის, გამხდარი დედაკაცის წასვლა გამოიწვია.

ახლა იმაზე ჩამოვარდა საუბარი, თუ რამდენი შანსი ჰქონდა ბ-ნ ლინეს, აკადემიის წევრად აერჩიათ. ახალმოსულს მტკიცედ სჯეროდა, რომ ამ ალავს ბ-ნი კაბანონ-ლება წაართმევდა, რომელმაც „დონ კისოტი“ მშვენივრად გააღქსა და პიესად გადააკეთა.

— არ იცით? მომავალ ზამთარს „ოდეონში“ დადგამენ.

— მართლა? უეჭველად ვნახავ, თუ როგორ დასრულდა ასეთი ლიტერატურული ცდა.

ქ-ნი ვალტერი ყველაფერზე შესაფერ პასუხს იძლეოდა, — საამურს, დინჯსა და მოხდენილს, თანაც სათქმელზე სულაც არ ჰფიქრობდა: პასუხი წინდაწინვე ჰქონდა მომზადებული.

ოთახებში ბინდი წვებოდა. დიასახლისმა დარეკა და ლამპების ანთება უბრძანა, თანაც ყურს უგდებდა საუბარს, რომელიც მოჩუხჩუხე წყაროსავით არც ერთი წუთით არა წყდებოდა, და ამავე დროს იმაზედაც ფიქრობდა, რომ მომავალი სადილისათვის მოსაწვევი ბარათების დასაბეჭდად ლითოგრაფიაში შევლა არ დავიწყებოდა.

ჯერ ისევ ლამაზი იყო, თუმცა ოდნავ სისრულე დატყობოდა. იგი ახლოს იდგა იმ ხნოვანებასთან, როცა საბედისწერო ცვლილება ხდება ხოლმე, და ამ სილამაზეს ჯერჯერობით მრავალნაირი მზრუნველობით, სიფრთხილით, ჰიგიენითა და კანის საღებუნით ინახავდა. ეტყობოდა, გონიერი, ჭკვიანი და ზომიერი იყო და იმ დედაკაცებს ჰგავდა, რომელთაც ფრანგული ბალივით მოვარცხნილ-მოლოკილი ჭკუა აქვთ. იქ მოულოდნელს ვერაფერს წააწყდებით, სამაგიეროდ, ერთგვარ სიტურფეს იპოვით. ჭკუა პრაქტიკული და მახვილი ჰქონდა, რომელიც ფანტაზიის, გულკეთილობისა და თავდადების მაგივრობას უწევდა და, გარდა ამისა, არც დინჯი კეთილმოსურნეობა აკლდა, რომელსაც ყველაზე და ყველაფერზე ხარჯავდა.

დიასახლისმა შენიშნა, რომ დღურუას ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვა, რომ მას არავინ ელაპარაკებოდა და, როგორც ეტყობოდა, ამის გამო დარცხვენილი იყო. რაკი სტუმრები ისევ აკადემიაზე მსჯელობდნენ, რომელიც მათ შორის მუდამ ხანგრძლივ დავას იწვევდა, დიასახლისმა ჰკითხა:

— ბატონო დღურუა, თქვენ ვის მისცემდით უპირატესობას? ამ მხრივ ჩვენზე მეტი უნდა გესმოდეთ.

მან უყოყმანოდ უპასუხა:

— მე კანდიდატების სადავო დამსახურებას უფრო ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, ვიდრე მათს ხნოვანებას და ჯანმრთელობას. მე მათი მოღვაწეობა კი არ მაინტერესებს, არამედ მათი ავადმყოფობა. ჩემის აზრით, უმნიშვნელოა, გადათარგმნეს თუ არა ლექსად ლოპე დე ვეგა. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორი თირკმელი აქვს მათ, ან გული, ღვიძლი და ხერხემლის ტვინი. გულის სიგანიერეს ან დაწვებულ სიდამბლეს, ჩემის მოსაზრებით, ასჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ორმოცტომიან გამოკვლევას — „სამშობლოს იდეა ბარბაროსთა პოეზიაში“.

ამგვარმა მსჯელობამ ყველა გააოცა.

ქალბატონმა ვალტერმა ღიმილით ჰკითხა:

— რატომ?

დღურუამ მიუგო:

— იმიტომ, რომ მე მუდამ ქალების ინტერესებზე ვზრუნავ. აკადემია მხოლოდ მაშინ გაინტერესებთ, როცა აკადემიკოსი მოკვდება ხოლმე, და რაც უფრო ხშირად იხოცებიან, თქვენც უფრო ხშირად გსიამოვნებთ. მაშასადამე, რათა ხშირ-ხშირად დაიხოცონ, საჭიროა აკადემიაში უფრო ხნიერი და დაავადებული ავირჩიოთ ხოლმე.

და რადგან ყველა მოსაუბრე ისევ გაოცებული იყო, დღურუამ დაუმატა:

— ამ მხრივ მე თქვენგან არაფრით არ გამოვირჩევი. პარიზულ ქრონიკაში სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე ცნობას რომელიმე აკადემიკოსის გარდაცვალებაზე და ჩემ თავს ვეკითხები: „ნეტა ვინ დაიჭერს იმის ალაგს?“, თან ჩემებურ სიას შევადგენ ხოლმე. ეს თავისებური თამაშია, საამური თამაში, რომელსაც პარიზის ყველა სალონში თამაშობენ მუდამ, როცა რომელიმე აკადემიკოსი უკუნეთში გადასახლება. აი ამას ჰქვია „სიკვდილის და ორმოცი ბებრის თამაში“.

თუმცა ქალები ჯერ მხოლოდ ვერ დაეთანხმნენ, მაგრამ თანდათან მაინც ღიმილი მოერიათ: დღურუას შედარება მეტად მახვილი ეჩვენათ.

შემდეგ წამოდგა და დაასრულა:

— აკადემიის წევრებს თქვენ ირჩევთ, ქალბატონებო, იმისათვის ირჩევთ, რათა მალე დაიხოცონ. მაშ ისევ ბებრები აირჩიეთ, ძალიან ბებრები, ყველაზე უფრო ბებრები და მეტს ნურაფერზე იზრუნებთ.

და მოხდენილად, რხევით, მარდი ნაბიჯით გავიდა.

ერთმა სტუმარმა განაცხადა:

— ძალიან სასიამოვნო ვაჟია, ვინ არის?

ქმა ვალტერმა უპასუხა:

— ჩვენი თანამშრომელია. ჯერჯერობით წვრილმან საგახეთო საქმეს ასრულებს, მაგრამ ეჭვი არა მაქვს, მალე დაწინაურდება.

კმაყოფილი დღურუა მხიარულად მოალაჯებდა მალხერბის ბულვარზე და ფიქრობდა: „კარგი დასაწყისია“.

იმ საღამოს რაშელს შეურიგდა.

მეორე კვირას ორი ამბავი მოხდა: დღურუა „გამომდახილების“ განყოფილების გამგედ დანიშნეს და ქ-ნ ვალტერთან სადილად მიიწვიეს. უმალვე მიხვდა, რომ ორივე ამბავი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

„საფრანგეთის ცხოვრება“, უპირველეს ყოვლისა, ფულის გაზეთი იყო და მისი პატრონიც ფულის კაცი იყო, რომელიც გაზეთსაც და დეპუტატობასაც მხოლოდ საშუალებად იყენებდა.

ვალტერი გულმარტივობას ეფარებოდა, ზრდილობიანი და პატიოსანი კაცის ნიღბის ქვეშ მუშაობდა, მაგრამ ყველა თავის საქმეს, რანაირიც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ისეთ კაცს ანდობდა, ვინც შესწავლილი, გამოცდილი და დადგენილი ჰყავდა და ვინც გაქნილად, გამბედავად და გაიძვერად მიაჩნდა. „გამომდახილის“ განყოფილების გამგედ დანიშნული დღურუაც მისი აზრით სწორედ ასეთი კაცი იყო.

ამ თანამდებობას აქამდე რედაქციის მდივანი ბუარენარი ასრულებდა — ძველი ეურნალისტი, თავაზიანი, გულმოდგინე და მოხელესავით მორიდებული. ოცდაათი წლის განმავლობაში მან თერთმეტი გაზეთის მდივნობა მოასწრო და არც თავის ყოფაქცევას გადაუხვია და არც აზრები გამოიცვალა. ერთი რედაქციიდან ისე გადადიოდა მეორეში, როგორც რესტორანში გადადიან ხოლმე. და არც კი ამჩნევდა, რომ საჭმელს მეორეში სხვანაირად ამზადებენ. პოლიტიკურ და რელიგიურ აზროვნებასთან არავითარი დავა და საქმე არა ჰქონია და მუდამ იმ გაზეთის ერთგული იყო, სადაც მუშაობდა. თანაც თავისი საქმე კარგად ესმოდა, დიდი გამოცდილება ჰქონდა და ფასიც ამით დაიდო. მუშაობდა ბრმასავით, რომელიც არაფერს ამჩნევს, ყრუსავით, რომელსაც არაფერი ესმის და მუნჯივით, რომელიც არასოდეს არაფერზე არ ლაპარაკობს. ამავე დროს, დიდი პროფესიული პატიოსნებაც ჰქონდა და არასოდეს ისეთ რამეს არ ჩაიდენდა, რაც თავისი სპეციალური და პროფესიული თვალსაზრისით უკადრისობად, უპატიოსნობად და უსინდისობად მიაჩნდა.

თუმცა ვალტერი აფასებდა მას, მაინც ხშირად ფიქრობდა, „გამომდახილი“ სხვისთვის მიენდო, რადგან ეს განყოფილება, მისივე სიტყვით, გაზეთის ნამდვილი

გული იყო. სწორედ აქ იქმნება ახალი ამბები და ხმები, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ხალხზე და რენტაზე. ორ საზეიმო ნადიმს შუა მოხერხებულად უნდა ჩაურთო მეტად მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც პირდაპირ კი არ უნდა გამოთქვა, არამედ მხოლოდ ანიშნო და გადაკვრით აგრძნობინო. მკითხველი საჭირო ცნობას უნდა მიახვედრო, ჭორი ისე უარყო, რომ სიმართლეს ემსგავსოს, და ისე დაასაბუთო, რომ მომხდარი ამბისა არავის სჯეროდეს. ყოველმა მკითხველმა ქრონიკაში ერთი საინტერესო სტრიქონი მაინც უნდა იპოვოს, რომელსაც ამის გამო ყველა მოეჭიდება. მუდამ უნდა გახსოვდეს ყველა და ყველაფერი, საზოგადოების ყოველი ზოლი და ყოველი ხელობა, პარიზიც და პროვინციაც, ჯარიც და მხატვრებიც, სამღვდლოებაც და უნივერსიტეტიც, ქალაქებიც და კახპებიც.

ვინც ქრონიკას და რეპორტიორების ბატალიონს განაგებს, მუდამ უნდა ფხიზლობდეს, გუშაგად იდგეს, არავის არ ენდობოდეს და ყველაფერს წინდაწინვე ხედავდეს. უნდა იყოს ეშმაკი, ფრთხილი, ცოცხალი, მოსწრებული. შეჭურვილი უნდა იყოს მზაკვრობით, უტყუარი ყნოსვით და აღლოთი, რათა ჭორი ერთი შეხედვით იცნოს, სათქმელი დასამაღისაგან გაარჩიოს და გამოიცნოს, რას ექნება გავლენა მკითხველზე და, გარდა ამისა, მან უნდა შეძლოს, ყველაფერი ისეთნაირად მიართვას მკითხველს, რომ შთაბეჭდილება რამდენიმეჯერ უფრო მეტად გაუღიზიანოს.

ბუარენარი დიდი ხნის ნავარჯიშევი იყო, მაგრამ სიმარდე, ფახი და ნამეტნავ ის ბუნებრივი ეშმაკობა აკლდა, რომლის მეოხებით პატრონის იდუმალი ზრახვები უნდა გამოეცნო ხოლმე.

დღურუას კი ეს საქმე ზედმიწევნით უნდა შეესრულებინა და ძვირფას კაცად მოვლენოდა გაზეთს, რომელიც, ნორბერ დე ვარენის თქმისა არ იყოს, „სახელმწიფოებრივ სიღრმეებსა და პოლიტიკურ ფონებში მიცურავდა“.

„საფრანგეთის ცხოვრების“ ნამდვილ შთამაგონებლად და თანამშრომლად ექვსი დეპუტატი ითვლებოდა. ისინი მოზიარენი იყვნენ გაზეთის გამომცემლის ყველა სპეკულაციისა, რომელსაც ვალტერი ან თაოსნობდა, ან მხარს უჭერდა. პალატაში ამ ჯგუფს „ვალტერის ბანდა“ დაარქვეს და თანაც მისი მოშურნენი იყვნენ, რადგან ეს ექვსი კაცი ვალტერთან ერთად და მისივე დახმარებით დიდ ფულს იკებდა.

გაზეთის პოლიტიკური რედაქტორი ფორესტიე მხოლოდ თაღლითი მონაცვლე იყო ამ საქმიანი ხალხისა, მხოლოდ მათ ნაკარნახევს ასრულებდა და მათ მიერ ჩაბარებულ მეთაურებს წერდა, მისივე თქმით — შინ წერდა, მოსვენებით და ნათელი გონებით ასრულებდა.

გაზეთისთვის ლიტერატურული და პარიზული კილო რომ მიეცათ, ორი განთქმული მწერალი მოიწვიეს: ფელეტონისტი ჟაკ რივალი და ნორბერ დე ვარენი — პოეტი, ბელეტრისტი, უფრო კი ახალი სკოლის ნოველისტი.

შემდეგ იშოვეს იაფი კრიტიკოსებიც: სალიტერატურო, სამხატვრო, სამუსიკო და სათეატრო. მოიწვიეს სისხლის სამართლის ქრონიკის მცოდნეც, დოდის რეპორტიორი და ყოველნაირი ხელობის მრავალი გაყიდული მჯღაბნელი.

ორი წარჩინებული ქალბატონი — „ვარდისფერი დომინო“ და „თეთრი თათი“ — წერდა ყოველნაირს ზემოურ ნარევს და პაწაწა წერილებს „მოდის“ გემოვნების, ყოფაქცევის წესების, ცხოვრების ხერხის შესახებ და, როცა საჭირო იყო, ზოგ დიდებულ ქალბატონს გადაკვრით სახელსაც უტეხდა ხოლმე.

და ამ მარდი ხელებით განგებული და მომართული „საფრანგეთის ცხოვრება“ „სიღრმეებსა და ფონებში მიცურავდა“.

დღურუა ჯერ კიდევ სიხარულით თრთოდა ახალი წარჩინების გამო, როცა პატარა ლითოგრაფიული ბარათი მიართვეს: „ბ-ნი და ქ-ნი ვალტერები ბატონ დღურუას სთხოვენ ეწვიოს სადილზე 20 იანვარს, ხუთშაბათს“, — წაიკითხა ჟურნალისტმა.

დღურუა ამ ახალი წყალობის გამო, რომელიც პირველს მოჰყვა, იმდენად გახარებული იყო, რომ ბარათს სასიყვარულო წერილივით აკოცა. მერე მოლარესთან ჩავიდა, რათა საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — ფინანსური საკითხი — გამოერკვია.

ქრონიკის გამგეს საკუთარი ხარჯთაღრიცხვა აქვს და ამ თანხიდან ხარჯავს ახალ ამბებზე — კარგზედაც და მდარეზედაც, ხან ერთის მიერ მონატანზე, ხან მეორეს მიერ მონარბენზე. სწორედ ასე უზიდავენ ხოლმე მებაღეები ხილს ვაჭარს.

დღურუამ თავიდანვე ათასორასი ფრანკი მოითხოვა და იმედი ჰქონდა, რომ ამ ფულის უმეტეს ნაწილს თვითონ დაიტოვებდა, მაგრამ ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ

მხოლოდ ოთხასი ფრანკი მიიღო ავანსად. ჯერ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ქ-ნ დე-მარელის ვალი — ორასოთხმოცი ფრანკი — გადაეხადა, მაგრამ მაშინვე გამოიანგარიშა, რომ მხოლოდ ასოცი ფრანკი დარჩებოდა, ხოლო ეს თანხა მეტად მცირე იყო იმისათვის, რომ ახალი სამსახური ხეირიანად წარემართა, და ვალის გადახდა ერთხელ კიდევ გადასდო.

რადგან ფართო, საერთო სარედაქციო დარბაზში ცალკე მაგიდა და წერილების უჯრები მისცეს, დედურა ორ დღეს მოუნდა მოწყობა-დალაგებას. ამ ოთახში მან ერთი კუთხე დაიჭირა, ხოლო მეორე ეკუთვნოდა ბუარენარს, რომელსაც, მიუხედავად მისი ხნოვანებისა, კუპრით შავი თმა ჰქონდა და ეს თმა მის წინაშე მდებარე თეთრ ქალღღზე ბნელ დამესავით მოჩანდა.

შუაში იდგა გრძელი მაგიდა, რომელიც „მფრინავ“ თანამშრომლებს ეკუთვნოდა. ჩვეულებრივ, იგი საჯდომ სკამად იყო გადაქცეული და ზედმსხდომებს ფეხები ჩამოკიდული ჰქონდათ, მაგრამ ზოგნი ფეხმოკეცით, თათრულად ისხდნენ, ზოგჯერ კი ხუთი-ექვსი კაცი ჩინური კერპებით იჯდა ზედ და ბილბოკეს თამაშობდა.

ბოლოს ამ გასართობს დედურაც შეეჩვია და, სენ-პოტენის დახმარების და რჩევის წყალობით, საუკეთესო შედეგსაც მიაღწია.

ფორესტიეს გაუარესება ეტყობოდა, შედარებით იშვიათად თამაშობდა და თავისი ლამაზი, წითელი ხის ბილბოკე, რომელიც უკანასკნელ დროს იყიდა, დედურას დაუთმო სათამაშოდ, რადგან იგი მძიმე ეჩვენებოდა, მისი მეგობარი კი ზორტზე ჩამოკიდებულ შავ ბურთს ძლიერი მკლავით ადვილად ათამაშებდა და ჩუმი ხმით ითვლიდა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი“.

სწორედ იმ დღეს, როცა ქ-ნ ვალტერთან უნდა ესადილა, მან პირველად დათვალა ზედიზედ ოცდაექვსი.

„დღეს ბედი მწყალობს, — გაიფიქრა, — ყველაფერში ვიმარჯვებ“. და, მართლაც, ბილბოკეს თამაშის დროს ხელმარჯვობა გახუთის თანამშრომელთა შორის ერთგვარ უპირატესობად ითვლებოდა.

დედურა რედაქციიდან ადრე გავიდა, რადგან ტანისამოსის გამოცვლას აპირებდა. ლონდონის ქუჩაზე რომ ადიოდა, წინ ერთ დაბალ და სწრაფად მიმავალ ქალს მოჰკრა თვალი, რომელიც დე მარელს ჰგავდა. იგრძნო, რომ პირისახეში სისხლი აუვარდა და გული მძლავრად აუჩქროლდა. ქალის სახის დასანახად გეზი იბრუნა და ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა. თურმე მხოლოდ მოეჩვენა, და შვებით ამოიოხრა.

ხშირად ეკითხებოდა ხოლმე თავისთავს, როგორ მოიქცეოდა, დე-მარელს პირისპირ რომ შეხვედროდა, სალამს მისცემდა, თუ თავს მოიკატუნებდა და უხმოდ გაუვლიდა გვერდზე?

„არ შევამჩნევ, მორჩა და გათავდა“, — ფიქრობდა თავისთვის.

ციოდა. არხებს ყინულის ქერქი გადაჰკვროდა, ტროტუარები გამშრალიყო და ფარნების შუქზე ნაცრის ფერი ედოთ.

თავის ოთახში რომ შევიდა, გაიფიქრა: „დროა, ბინა გამოვიცვალო. ეს ბინა აღარ გამომადგება“. უცებ ისეთმა ნერვულმა სიხარულმა აიტაცა, ეგონა, სახლების სახურავებზეც კი შევძლებ ხტომას,ო. ფანჯარასა და საწოლს შორის დაბორიანებდა და ხმამაღლა გაიძახოდა: „ნუთუ მართლა ბედი მეწვია? ჰო, ბედია, ბედი! მამას უნდა მივწერო“.

დროგამოშვებით ლურჯი წერილები მოსდიოდა. მისამართი უხეში და მთრთოლვარე ხელით იყო დაწერილი და ჟორჟი მუდამ ერთსა და იმავე სტრიქონებს კითხულობდა: „ჩემო ძვირფასო შვილო! გატყობინებთ, რომ ჩვენ, მე და დედაშენი, კარგადა ვართ. საყურადღებო ამბები არაფერი გვაქვს. მაინც გაუწყებ, რომ“...

დედურას ახლაც აინტერესებდა სოფლის საქმეები, მეზობლების ბედი, მიწის და მოსავლის ამბები.

პატარა სარკის წინ თეთრ ყელსაკრავს იკეთებდა და იმეორებდა: „ხვალვე მივწერ მამას. დღეს სადამოს რომ დამინახოს იქ, როგორ გაოცდება ჩემი ბებრუცუნა! დავიფიცავ, რომ ასეთი სადილი მას ნანახი არ ექნება“. უცებ დიდი და ცარიელი ოთახის უკან ნათლად დაინახა თავიანთი შავი სამზარეულო და ყვითელი ქვაბები, კედლებზე არეკლილი მათი ყვითელივე შუქი. ღუმელზე კატა იჯდა, თავი ცეცხლისკენ ჰქონდა მიბრუნებული და მოკუზულ ქიმერას ჰგავდა. დაინახა ხის მაგიდაც, რომელსაც ზედ დაღვრილ სითხეთა და დროის მეოხებით მსუყე იერი ჰქონდა; დაინახა წვნით საესე თასიც მაგიდის შუაში, იქიდან ამომავალი ორთქლი და ორ მათლაფას შუა

ჩადგმული სანთელიც. მისი დედ-მამა დინჯად, გლეხურად, პატარა ყლუპებით ხვრეპდა ამ წვნიანს. ჟორუს მათი ბებრული პირისახის ყოველი ნაოჭი და მათი თავების და ხელების ოდნავი მიმოხვრაც კი ახსოვდა. ისიც კი იცოდა, რას ეუბნებოდნენ ყოველდღე ერთმანეთს, როცა ურთიერთის პირდაპირ ვახშამზე ისხდნენ.

„დროა იქაურობას ვეწვიო, დავხედო“, — გაიფიქრა. ტანისამოსი გადაიცვა, სანთელი ჩააქრო და გამოვიდა. გარე ბუღვარზე რომ მიდიოდა, კახპები აეკიდნენ. დეურუა ხელს ითავისუფლებდა და ისეთი ზიზლით ამბობდა, „თავი დამანებეთ!“ თითქოს ისინი შეცდომით აედევნენ და შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ. მართლაცდა, ვინა ჰგონიათ მათ ეს ახალგაზრდა? ან იქნებ ეს მეძავეები პატიოსან ხალხს სალახანებისგან ვეღარ არჩევენ? ფრაკი იმიტომ ჩაიცვა, რომ მდიდარ ოჯახში მიდიოდა სადილად, განთქმულ და პატივცემულ ხალხთან, და ამ ფრაკმა ისეთი გრძნობა აღუძრა, თითქოს თვითონაც სხვა ადამიანად გარდაქმნილიყო და მაღალი საზოგადოების ნამდვილ წევრად ქცეულიყო.

ბრინჯაოს მაღალი შანდლებით განათებულ კარებში შევიდა და ორ ლაქიას პალტო და ჯოხი თავისებური მიმოხვრით გადასცა.

ყველა დარბაზი განათებული იყო. ქნი ვალტერი სტუმრებს მეორე ოთახში, დიდ დარბაზში უხვდებოდა. დეურუა მომხიბლავი ღიმილით მიიღო. ახალმოსულმა ორ მამაკაცსაც ჩამოართვა ხელი — ფირმენს და ლაროშ-მატიეს — დეპუტატებს და „საფრანგეთის ცხოვრების“ ანონიმურ თანამშრომლებს. ლაროშ-მატიეს რედაქციაში განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონდა, რასაც სარჩულად პალატაში მისი დიდი გავლენა ედო, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის მინისტრიც გახდებოდა.

შემდეგ ფორესტიე მოვიდა თავის მეუღლესთან ერთად. ქნი მადლენა ვარდისფერ კაბაში იყო მორთული და საუცხოო ლამაზი იერი ჰქონდა. დეურუამ შენიშნა, რომ ორივე დეპუტატი მადლენას მეგობრულად დაუხვდა, და გაიკვირვა. მადლენა ერთ კუთხეში, ბუხართან, ხუთიოდე წუთს ჩუმად ელაპარაკებოდა ლაროშ-მატიეს. იმის ქმარს — შარლს — ტანჯული იერი ჰქონდა. ერთ თვეში ძლიერ გახდა, გამუდმებით ახველებდა და იმეორებდა: „როგორც ჩანს, ზამთარი სამხრეთში უნდა გავატარო“.

ნორბერ დე ვარენი და ჟაკ რივალი ერთად მოვიდნენ. შემდეგ ოთახის სიდრმეში კარი გაიღო და ვალტერი გამოვიდა, თან ორი ქალიშვილი გამოიყვანა, ერთი თექვსმეტი წლისა, მეორე კი — თვრამეტისა. ერთი — უშნო, ხოლო მეორე — ლამაზი.

თუმცა დეურუამ იცოდა, რომ გამომცემელს ოჯახი ჰყავდა, მაინც განცვიფრდა, რადგან გამომცემლის ქალიშვილებზედაც იმდენს ფიქრობდა, რამდენსაც ფიქრობენ ხოლმე შორეულ ქვეყნებზე, რომელთა ნახვას არასოდეს არ მოელოან. გარდა ამისა, ეს ქალები სულ პატარები ეგონა, ახლა კი უცებ გასათხოვრები დაინახა. ამის გამო ისევე აიშალა, როგორც ასეთი შემთხვევის დროს აირევიან ხოლმე.

ჯერ ერთმა ქალმა ჩამოართვა ხელი, მეორე მეორემ, შემდეგ ორივენი უეჭველად მათთვის მომზადებულ პატარა მაგიდას მიუსხდნენ და უჯრაში დაიწყეს ფუსფუსი, სადაც აბრეშუმის ძაფის გორგლები და კოჭები ელაგა.

კიდევ ვიღაცას ელოდებოდნენ. ყველანი ჩუმად იყვნენ და იმნაირ უხერხულობას გრძნობდნენ, რომელიც წინ უძღვის ხოლმე სადილს, ისეთ სადილს, სადაც მოსადილენი ერთმანეთს არ იცნობენ და თავიანთი სამსახურიდან და საქმიდან პირდაპირ აქ მოვიდნენ და ურთიერთი აქ გაიცნეს.

დეურუა მოწყვნილი იყო და კედლებს ათვალიერებდა. ვალტერმა შორიდანვე უთხრა კვეხნით:

- ჩემს სურათებს ათვალიერებთ, არა?
- და სიტყვამ „ჩემს“ დეურუას ყური გაჰკაწრა.
- ახლავე გაჩვენებთ.

და ლამპა წამოიღო, რათა „მისი“ სურათები ლამპის შუქზე უფრო უკეთ გამოსჩენილიყო.

- აქ პეიზაჟები ჰკიდია, — თქვა ვალტერმა.

კედელზე შუაში ეკიდა გიომეს დიდი ტილო, რომელზეც გამოსახული იყო ნორმანდიის სანაპირო ქარიშხლის მოლოდინში. მის ქვემოთ — არპინის „ტყე“, შემდეგ — გიომეს „ალჟირის ველი“. ველის ტატნობზე მოჩანდა აქლემი, რომელიც რაღაც უცნაურ ძეგლს ჰგავდა.

მერე ვალტერი მეორე კედელს მიადგა და სერიოზულად, ცერემონიებისტერის კილოთი თქვა:

— აქ კი დიდი ტილოები ჰკიდია. კედელზე ოთხი სურათი ეკიდა: ჟერვეს „სამკურნალოში“, ბასტიენ-ლეჰაჟის „ჟანის მომკვლი დედაკაცი“, ბუგროს „ქვრივი“ და ჟან-პოლ ლორანსის „სიკვდილით დასჯა“. ამ უკანასკნელზე ეხატა ვანდელი მღვდელი, რომელსაც „ცისფერი“ რაზმი ეკლესიის კედელთან თოფებით ხვრეტდა.

და როცა პატრონი მესამე კედელს მიადგა, მის სახეზე ღიმილმა შეითამაშა:

— აქ კი მხიარული სურათები ჰკიდია.

ჯერ ჟან ბეროს პატარა სურათის წინ შედგნენ — „ზემთ და ქვემთ“. ლამაზი პარიზელი ქალი კიბით ომნიბუსის სახურავზე ადის, მისი თავი უკვე იმპერიულს გაუსწორდა და იქ მსხდომი მამაკაცები მათკენ ამაველ ახალგაზრდა პირისახეს სიამით სინჯავენ, ხოლო სხვები, ქვემო ბაქანზე რომ დგანან, სხვადასხვანაირად შესცქერიან ქალის კანჭებს, ერთნი — გულნაკლულად, მეორენი კი — გულისთქმით.

ვალტერი ლამპას სურათისკენ იშვერდა და სიცილით ამბობდა:

— ჰა? რას იტყვით? შესაქცევია თუ არა? სასაცილოა თუ არა? — და შემდეგ წარმოთქვა: — აი, მხატვარ ლამბერის „დაღუპულის გადარჩენა“.

მაგიდაზე კატა იჯდა და ჭიქაში ჩავარდნილ ბუხს გაოცებით დასცქეროდა. ერთი თათი უკვე მომართული ჰქონდა და მზად იყო მწერი სწრაფი მოქნევით დაეჭირა, მაგრამ ჯერ მაინც ვერ გაუბედა და ყოყმანობდა. ნეტა როგორ მოიქცევა?

შემდეგ პატრონმა დეტაის „გაკვეთილი“ აჩვენა — ყაზარმაში სალდათი გომიას დოლის დაკვრას ასწავლის — და თქვა:

— მშვენიერია!

დეურუა სიცილითა და აღტაცებით უდასტურებდა:

— საუცხოოა! რა დიდებუ...

და უცებ ენა ჩაუვარდა: უკნიდან ქნ დე მარელის ხმა მოესმა, რომელიც ესაა მოსულიყო. პატრონი კი ისევ სურათებს აჩვენებდა და განმარტებას აძლევდა. ახლა ის მორის ლელუარის აკვარელის წინ იდგა — „დაბრკოლება“. ქუნაში ტახტრევანი შედგა, რადგან ორმა ყოჩაღმა ბიჭმა გზა გადაუღობა. ჭაბუკები ჰერკულესებით ჭიდაობენ. ტახტრევანის სარკმლიდან ქალის ულამაზესი სახე იცქირება და ორი გოლიათის შეჯიბრებას მოთმინებით, უშიშრად და ოდნავ აღტაცებითაც კი უმზერს... უმზერს... მოთმინებით უმზერს.

ვალტერი განაგრძობდა:

— სურათები სხვა ოთახებშიც მაქვს, მაგრამ ამდენად ცნობილი მხატვრებისა არ არის, აქ კი შერჩეული სალონი გაემართე. ამჟამად ახალგაზრდა მხატვრების სურათებს ვყიდულობ, სულ ახალგაზრდებისას, და მარაგად ვინახავ, სხვა ოთახებში ვათავსებ და ველოდები იმ დროს, როცა მათი ავტორები სახელს მოიხვეჭენ. — შემდეგ სულ ჩუმად დაუმატა: — ახლა სურათების საყიდლად ძალიან ხელსაყრელი დროა. მხატვრები შიმშილით იხოცებიან და ერთი გროშიც აღარ აქვთ, ერთი გროშიც.

დეურუა უსმენდა ვალტერს, მაგრამ ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა, რადგან ქნი დე მარელი იქვე იყო, იმის ზურგსუკან იდგა. როგორ მოიქცეს? თავი დაუკრას? მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მან ზურგი შეაქციოს ან თავხედური სიტყვაც აკადროს? ან რას იფიქრებენ სხვები, დეურუამ რომ სალამი არ მისცეს?

და თავის თავს უთხრა: „უნდა ვცადო და დრო მოვიგო“. ერთ წამს ისე აღელდა, რომ აზრმა გაუეღვა, იქნებ ავად გავხდე და ამ საბაბით გავიპარო.

სურათების დათვალიერება გათავდა. პატრონმა ლამპა თავის ალაგას დადგა და ახალი სტუმრის მისასალმებლად წავიდა, დეურუა კი მარტო დარჩა და ხელახლა შეუდგა სურათების სინჯვას, თითქოს მათი ხილვით წვლან საკმაოდ ვერ დატკბაო.

ველარაფერი მოისაზრა და სულ აირია. უკნიდან ხმები და ცალკეული სიტყვები ესმოდა. უცებ ქმა ფორესტიემ დაუძახა:

— ბატონო დეურუა!

დეურუა მივიდა. მადლენას სურდა, მისთვის გაეცნო ერთი თავისი მეგობარი, რომელიც საჭველმოქმედო სადამოს მართავდა და უნდოდა, ეს ამბავი „საფრანგეთის ცხოვრების“ ქრონიკაში ყოფილიყო დაბეჭდილი.

დეურუამ წაილულლუდა:

— რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა...

ახლა დე მარელი სულ ახლოს იდგა, ამიტომ ჟურნალისტმა გაბრუნება და წასვლა ვეღარ გაბედა.

— უცებ, — ეგონა, ვგიჟდებიო, — უცებ კლოტილდამ ხმამაღლა დაუძახა:

— გამარჯობა, ლამაზო მეგობარო! ვეღარა მცნობთ?

დეურუა უმაღლეს მიბრუნდა. კლოტილდა მის წინ იდგა, იღიმებოდა და თვალებში სინაზე და სიხარული ეხატებოდა. ხელი გამოუწოდა.

დეურუამ კანკალით ჩამოართვა ხელი და მაინც რაღაც ეშმაკობის, რაღაც მზაკვრობისა ეშინოდა. კლოტილდამ კი განათებული სახით განაგრძო:

— რა დაგემართათ? აღარსად ჩანხართ.

დეურუას ჯერ გონება ვერ მოეკრიბა და წაიღულღულდა:

— ბევრი სამუშაო მაქვს... ძალიან ბევრი. ბატონმა ვალტერმა ახალი საქმე მომანდო, რომელსაც ძალიან ბევრი დრო მიაქვს.

დე მარელი კვლავ უმზერდა, ხოლო ჟურნალისტი იმის თვალებში სიხარულის გარდა ვერაფერს პოულობდა. მერე კლოტილდამ უთხრა:

— უკვე ვიცი, მაგრამ ეგ საკმაო საბუთი არ არის საიმისოდ, რომ მეგობრები დაივიწყოთ.

ერთმანეთს ახალმა სტუმარმა დააშორა: შემოვიდა სქელი, მკერდგახსნილი დედაკაცი, რომელსაც წითელი ხელები და წითელი სახე ჰქონდა და პრანჭიასავით იყო დავარცხნილი და ჩაცმული, თანაც ისეთი მძიმე ნაბიჯით მოდიოდა, რომ ეს სიარული იმის ფეხების წონას და სისქეს საქვეყნოდ ამჟღავნებდა. რაკი იმ დედაკაცს, როგორც ჩანდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, დეურუამ ქ-ნ ფორესტიეს ჰკითხა:

— ვინ არის?

— ჰერცოგ დე პერსემიურის ქალი, რომელიც „თეთრი თათის“ ფსევდონიმით წერს. დეურუას გაუკვირდა და სიცილი მოერიო.

— თეთრი თათი! თეთრი თათი! მე კი ეს „თათი“ თქვენსავით ახალგაზრდა მეგობანამდვილად კი, აი, თურმე ვინ ყოფილა! დემეტრე, მომწონს, ძალიან მომწონს!

კარებში ლაქია გამოჩნდა და მოახსენა:

— სადილი მზად გახლავთ.

სადილმა მხიარულად, ხალვათად ჩაიარა. იგი იმ სადილთაგანი იყო, სადაც არც არაფერზე, და იმავე დროს, ყველაფერზედაც ლაპარაკობენ. დეურუა პატრონის უფროს ქალიშვილს, უშნო როზასა და დე მარელს შორის მოექცა. ნასაყვარლევის მეზობლობა ოდნავ აკრთობდა, დე მარელი კი კარგ გუნებაზე იყო და ჩვეულებრივი ენამახვილობით საუბრობდა. ჟურნალისტი სწუხდა და იმ მომდერალივით იქცეოდა, რომელმაც სიმღერის დროს კილო დაკარგა. მაგრამ თანდათან რწმენა დაუბრუნდა და მათ თვალებშიც, როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ ხოლმე, კითხვა-პასუხი მოჩანდა. ბოლოს ეს თვალები ერთმანეთს უწინდელი ვნებიანი ინტიმობით ჩაეხლართა.

უცებ დეურუამ იგრძნო, თითქოს მაგიდის ქვეშ ფეხზე რაღაცა მოელამუნა. ფეხი ოდნავ გასწია და მეზობლის ფეხს შეახვედრა, რომელმაც უკან არ დაიხია. ამ წამს ერთმანეთს არ უმზერდნენ და თავიანთ მეზობლებს ელაპარაკებოდნენ.

დეურუას გული უფანცქალებდა. მუხლი ერთხელ კიდევ წასწია და პასუხად მუხლზე მუხლი მიადეს. მაშინ დეურუა მიხვდა, რომ მათი სიყვარული განახლდა. რაზე ლაპარაკობდნენ ამის შემდეგ? სულ უბრალოზე, მაგრამ როდესაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდა ხოლმე, მათ ტუჩებსაც თრთოლა ემჩნეოდა.

ახალგაზრდა კაცს სურდა, პატრონის ქალიშვილისთვის თავაზიანი მეზობლობა გაეწია, ამიტომ დროუამოშვებით მისთვის რამდენიმე სიტყვას იმეტებდა, ქალბატონი როზაც დედასავით უმაღლეს აძლევდა პასუხს.

ვალტერის მარჯვნივ იჯდა ჰერცოგ დე პერსემიურის ქალი, რომელსაც პრინცესას იერი ჰქონდა. დეურუას ამის გამო გულში ეცინებოდა. მერე დე მარელს ჩუმად ჰკითხა:

— მეორესაც იცნობთ, „ვარდისფერი დომინოს“ ფსევდონიმით რომ წერს ხოლმე?

— ბარონესა ლივარისა? დიახ, ძალიან კარგად.

— ისიც ამასა ჰგავს?

— არა, მაგრამ ისიც ამასავით სასაცილოა. ხმელი და მაღალი ბებრუცუნაა, სამოცი წლისა, ხელოვნური კავები აქვს, კბილები — ინგლისური და ტანისამოსი — რესტავრაციის დროინდელი.

— ნეტა სად იპოვეს ასეთი სალიტერატურო ჯოჯოები?

— თავდაზნაურულ ნაკაცარებს გამდიდრებულ ბურჟუაზიაში მუდამ კარგი გასაგალი აქვთ.

— ვითომ ეგ არის ერთადერთი მიზეზი?

— სხვა მიზეზი არ არსებობს.

შემდეგ ვალტერმა, ორივე დეპუტატმა, ნორბერ დე ვარენმა და ჟაკ რივალმა გამართეს პოლიტიკური კამათი, რომელიც ტკბილეულის მოტანამდე გაგრძელდა. როცა სტუმრები ისევ სასტუმროში გადავიდნენ, დეურუა დე მარელს მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

— ნება მეძლევა ბინამდე მიგაცილოთ?

— არა.

— რატომ?

— როცა აქ ვსადილობ, მუდამ ჩემი მეზობელი ლაროშ-მატიე მაცილებს ხოლმე.

— მაშ როდის გნახოთ?

— ხვალ, საუზმის დროს მობრძანდით.

და ერთმანეთს მოშორდნენ.

დეურუა დიდხანს აღარ დარჩენილა, რადგან ეს საღამო მოსაწყენი იყო. კიბეზე რომ ჩამოდიოდა, დაეწია ნორბერ დე ვარენს, რომელიც ის-ის იყო გამოსულიყო. მოხუცმა პოეტმა მკლავში ხელი გაუყარა. დეურუა მას მოქიშპედ აღარ მიაჩნდა, რადგან გახეთის სხვადასხვა დარგში მუშაობდნენ, ამიტომ ახლა ახალგაზრდა კაცს ბებრულ მფარველობასაც კი უწევდა ხოლმე.

— ცოტაზე ვერ გამაცილებთ? — ჰკითხა დეურუას.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა.

და მალხებრის ბულვარს ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ. იმ ღამეს პარიზის ქუჩები დაცარიელდა. ცივი ღამე იდგა, ისეთი ღამე, როცა ქვეყანა ჩვეულებრივზე ფართო მოჩანს, როცა ვარსკვლავები თითქოს უფრო მაღლა დგანან და ადამიანი ჰაერის ცივ სუნთქვაში რაღაც შორეულს, ვარსკვლავებზე უფრო შორეულს გრძნობს.

ჯერ ორივე მგზავრი დუმდა, შემდეგ დეურუამ სიხუმის დასარღვევად ჩაილაპარაკა:

— როგორც ეტყობა, ლაროშ-მატიე ძალიან ჭკვიანი და განათლებული კაცი უნდა იყოს.

მოხუცმა წაიღულულა:

— ვითომ?

გაკვირვებულმა ახალგაზრდამ გაუბედავად უპასუხა:

— დიახ. საერთოდ ცნობილია, რომ პალატაში ერთი უნიჭიერესთაგანია.

— შეიძლება, რადგან ბრძების სამეფოში ცალთვალა მეფედ მოჩანს ხოლმე. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ ხალხს მოკლე ჭკუა აქვს: მათი თვალი ფულისა და პოლიტიკის იქით ვერაფერს ხედავს. ესენი, ჩემო კარგებო, ჭკუათხელები არიან, რადგან მათთან არაფერზე არ შეიძლება ლაპარაკი, არაფერზე, რაც კი ჩვენთვის ძვირფასია. მათი გონება მოფონებულია და შეთხელებული, როგორც მდინარე სენა ანიერთან. ოჰ, რა ძნელია ისეთი კაცის პოვნა, რომელსაც შეუძლია აზრის ფართე მოქნევა და დიდების და ხალვათობის შთაბეჭდილების მოხდენა, სწორედ ისეთი შთაბეჭდილებისა, რომელსაც ადამიანი ზღვის ნაპირზე გრძნობს ხოლმე. მე რამდენიმე ასეთ ადამიანს ვიცნობდი, მაგრამ ერთიც აღარ დარჩა ცოცხალი.

ნორბერ დე ვარენი მკაფიოდ ლაპარაკობდა, მაგრამ მოშთობილი ხმით, რომელიც ღამის სიჩუმეში მაღლა დარეკავდა, მისთვის რომ თავისუფლება მიეცათ.

მეტად აღელვებული და დატყვევებული იყო ისეთნაირი კაეშნით, რომელიც ზოგჯერ სულს ხუთავს და ისე აწკრიალებს, როგორც მიწა წკრიალებს ხოლმე დიდ ყინვაში.

პოეტმა განაგრძო:

— ბოლოს და ბოლოს, რა ბედენაა, ოდნავ მეტი ჭკუა გექნება თუ ნაკლები; სულ ერთია, მაინც ყველაფერი გაქრება.

და გაჩუმდა. დეურუა ამ საღამოს ძალიან მხიარულად იყო.

— დღეს ყველაფერი შავად გეჩვენებათ, ძვირფასო მეტრ, — შენიშნა.

— მე მუდამ ასე მეჩვენებოდა, ყმაწვილო, — უპასუხა პოეტმა, — რამდენიმე წლის შემდეგ თქვენც იგივე დაგემართებათ. ცხოვრება მთას ჰგავს. მანამ აღმა მიდიხარ, მწვერვალს შესცქერი და შენი თავი ბედნიერად გეჩვენება. მაგრამ თხემზე

რომ ახვალ, უცებ თვალწინ დაღმართი, დასასრული, სიკვდილი გადაგეშლება. მანამ წინ აღმართი გიდევს, ყველაფერი ნელა მიდის, ხოლო დაღმა რომ დაეშვები, ყოველივე სწრაფად მირბის. თქვენს ხნოვანებას სიხარული და უამრავი იმედი შეშვენის, რომელიც, მართალი რომ მოგახსენოთ, არასოდეს არ მართლდება. ჩემს ხანში კი აღარაფერს არ ელოდები... გარდა სიკვდილისა.

ღმურუას გაეცინა:

— დასწყევლო ეშმაკმა! თქვენმა სიტყვებმა კანკალი მომგვარა.

ნორბერ დე ვარენმა განაგრძო:

— არა, თქვენ ჯერჯერობით ჩემი არ გესმით, შემდეგში კი ჩემს ნათქვამს გაიხსენებთ. ოდესმე შეჭველად დადგება ის დღე, — ზოგისთვის კი ძალიან ადრეც, — როცა სიცილს ბოლო ედება, რადგან ყველაფრის უკან, რასაც კი შეჰყურებ, უკვე სიკვდილს ამჩნევ. ვიცი, თქვენ არც კი გესმით ეს სიტყვა — სიკვდილი! თქვენს ხანში მას ჯერ აზრი არა აქვს, ჩემს ხანში კი — საშინელია!

ღიახ, ადამიანი ამ აზრს უცბად გაიგებს ხოლმე — არავინ იცის, რატომ და რა საბაბის გამო, და ამის შემდეგ ცხოვრებაში ყველაფერს ფერი და იერი ეცვლება. უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც ჩემს თავზე სიკვდილი მატლივით მუშაობს. მე ვგრძნობდი, რომ თვედათვე, საათობითაც კი, დანგრეული სახლივით ვდაბლდებოდი, და ამ ხნის განმავლობაში ისე დავმახინჯდი, რომ ჩემს თავს თვითონაც ვეღარა ვცნობ. აღარაფერი დარჩა ჩემს ნამდვილ „მეს“-გან, იმ მხიარულ, ცოცხალ და ძალოვან კაცისგან, რომელიც ოდესღაც ოცდაათი წლისა იყო. მე თვალყურს ვადევნებდი სიკვდილს, რომელიც საოცარი გონიერებით და ბოროტი სიღინჯით ათეთრებდა ჩემს შავ თმას. მან წამართვა მოქნილი კანი, კუნთები, კბილები და მთელი ტანი, რომელიც ოდესღაც მე მეკუთვნოდა. სასოწარკვეთილი სულის გარდა არაფერი აღარ დამიტოვა და საცაა ამასაც წარიტაცებს.

ღიახ, იმ საბაგელმა ჩემი არსის დანგრევაზე განუწყვეტლივ იმუშავა და ნელ-ნელა საშინლად დამღრღნა, ამჟამად კი, რასაც უნდა ვაკეთებდე, ან სადაც უნდა ვიყო, ყველგან და მუდამ ჩემს სიკვდილს ვხედავ ხოლმე. ყოველ ნაბიჯზე მას ვუახლოვდები და ყოველი ჩემი ამონასუნთქი და მოძრაობა სიკვდილის საზიზღარ საქმეს აჩქარებს. სუნთქვა, ძილი, ჭამა, სმა, მუშაობა, ოცნება და უკლებლივ ყველაფერი, რასაც კი ვაკეთებთ, სიკვდილისთვის კეთდება და მასვე ემსახურება. თვითონ სიცოცხლეც მხოლოდ სიკვდილია და მეტი არაფერი.

მოიცაო, თქვენც გაიგებთ ამას. თხუთმეტი წუთი იფიქრეთ ამაზე და თქვენც ყველაფერს აშკარად დაინახავთ. ახლა რას ეძებთ? რაღას ელით? სიყვარულს? კიდევ რამდენჯერმე აკოცებთ და ძალაც დაგელევათ.

კიდევ რა გნებავთ? ფული? რისთვის გინდათ? ქალების საყიდლად? რა ბედენაა! ან იმისთვის, რომ ბევრი ჭამოთ, გასუქდეთ და ნიკრისის ქარის წყალობით გათენებამდის იკვნესოთ?

კიდევ რა გსურთ? კიდევ რაღას ელოდებით? სახელი? დიდება? რისთვისღა გინდათ, უკეთუ სიყვარული უკვე გაფრინდა!

მერე? დასასრული? მხოლოდ სიკვდილი.

მე ახლა ისე ახლო მეჩვენება ის, რომ ხშირად სურვილი მებადება, ხელი ვკრა და მოვიშორო. იგი მთელ დედამიწას ჰფარავს და ირგვლივ მთელ სივრცეს ავსებს. მე ყველგან ვბოულობ მას: გზაზე გასრესილი მწერი, ჩამოცვენილი ფოთოლი და მეგობრის წვერში გარეული ჭაღარა — ყველაფერი გულს მიკლავს და მიკვივის: „აჰა, აი, სიკვდილი!“

იგი მიწამლავს ნამუშევარს და ყველაფერს, რასაც კი ვხედავ, ვჭამ, ვსვამ, და რაც მიყვარს: მთვარის შუქიც, მზის ამოსვლაც, ღიადი ზღვაც, მშვენიერი მდინარეც და ზაფხულის საღამოს ჰაერიც, რომელსაც ასე ტკბილად ვისუნთქავ ხოლმე.

ისევ ნელი ნაბიჯით მიდიოდა, ოდნავ ქშინავდა, თითქოს ხმამაღლა ოცნებობდა და თითქმის აღარც კი ახსოვდა, რომ გვერდით მსმენელი ჰყავდა.

— და არასოდეს, — განაგრძო, — არასოდეს არც ერთი არსება აღარ ბრუნდება. შეიძლება ძეგლების ჩამოსასხმელი ყალიბი შევინახოთ, რომელიც მუდამ ერთნაირ ნივთს იძლევა, მაგრამ ჩემი სხეული, ჩემი სახე, ჩემი აზრები და ჩემი სურვილი არასოდეს აღარ გამოჩნდება. მართალია, მილიონი და მილიარდი სულიერი იბადება, რომელთაც რამდენიმე კვადრატული სანტიმეტრის არეზე ჩემისთანა ცხვირი, ჩემისთანა თვალები, შუბლი, ღოყები, პირი და სულიც კი ჩემისთანა ექნებათ, მაგრამ მე, — მე

აღარ დავბრუნდები და არც ერთი ისეთი წვრილმანი რამეც აღარ გაჩნდება, რომ ჩემი თავი იმ ნიშნით მაინც ვიცნო. აღარ გამოჩნდება იმ უთვალავ ქმნილებათა შორის, დაუსრულებელივ სხვანაირთა შორის, რომელნიც ასე ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ყოველი მათგანი მაინც სახსრებით დამოუკიდებელია და განუმეორებელი.

რას მოგჭიდა ხელი? ვის მივმართო ჩემი ურვის კივილი? ვის დაეუჯერო და რა ვირწმუნო? ყველა რელიგია, მათი მორალი და მათი ეგოისტური დაპირებანიც სულელურია, შესაზარდ უხამსურია. მხოლოდ სიკვდილია ცხადი და უეჭველი.

უცებ შედგა, დღურუას პალტოს საყელოზე მოჰკიდა ხელები და ნელა წარმოთქვა:

— ამაზე იფიქრეთ, ყმაწვილო, — იფიქრეთ მთელი დღეობით, თვეობით, წლოვით და სიცოცხლეც სულ სხვანაირად მოგეჩვენებათ. სცადეთ მოიშორეთ ყველაფერი, რაც კი ირგვლივ გარტყიათ. ზეკაცური ძალით ცოცხლადვე ამოვარდით თქვენივე ტანიდან და დაივიწყეთ თქვენი ინტერესებიც, აზრებიც და მთელი კაცობრიობაც. მერე უკან მიიხედეთ და მიხედვით, თუ რამდენად უმნიშვნელოა რომანტიკოსების და ნატურალისტების დავა, ან ხარჯთაღრიცხვის განხილვა და ანგარიშების ქექვა.

ნაბიჯს მოუმატა და განაგრძო:

— და, გარდა ამისა, სასოწარკვეთილების საშინელ ძალასაც იგრძნობთ. დაიკარგებით, დაიდუპებით და ეჭვით გაიწეწებით. ოთხივე მხრივ აკივლდებით: „მიშველეთ!“ — და არსაიდან პასუხს არ მიიღებთ. ხელებს გაიშვევრთ, მშველელს დაუძახებთ და სიყვარულს, ნუგეშსა და გადარჩენას მოითხოვთ, მაგრამ ამოღ, არავინ გამოჩნდება.

რა გვაწვალებს? რად ვიტანჯებით? იმიტომ, რომ სულიერი ცხოვრებისთვის კი არა ვართ გაჩენილი, არამედ ხორციელისთვის, მაგრამ ბუნების მიერ ნაჩუქარმა აზროვნებამ განვითარებულ ჭკუასა და ცხოვრების უცვლელ პირობათა შორის გარდუვალი ხრამი გათხარა.

აბა შეხედეთ მდაბიო ხალხს, სანამ რომელიმე დიდი უბედურება არ დაატყდებათ, კმაყოფილი არიან და საერთო სენით არ იტანჯებიან, ხოლო პირუტყვი მათზე ნაკლებად წვალობს.

ერთხელ კიდევ შედგა, რამდენიმე წამს იფიქრა და მორჩილი კილოთი განაგრძო:

— მე კი... მე დაღუპული კაცი ვარ. არც მამა მყავს, არც დედა, არც ძმა, არც და, არც ცოლი, არც შვილები და არც ღმერთი.

ცოტა ხანს იყუჩა და დაუმატა:

— და პოეზიის მეტი აღარაფერი დამრჩა.

მერე შეხედა ცას, სადაც მთვარის მკრთალი ბაკი ციმციმებდა, და ლექსად თქვა:

და ურვით ვლამობ გაგალო იღუმალი მარად კარი
უდაბურ ცაში, სადაც ძრწის ნახტომი ირემი-ხარის.

თანხმობის ხიდს მიადგნენ, უხმოდ გავიდნენ და ბურბონების სასახლეს გაუყვნენ. ნორბერ დე ვარენმა ხელახლა დაიწყო:

— ჩემო კარგო, გირჩევთ ცოლი შეირთოთ. ვერც კი წარმოიდგენთ, ჩემი ხნის კაცისთვის რა საზარელია მარტობა. ახლა იგი საშინელ სევდას მგვრის. საშინელია სადამოობით ოთახში ბუხრის წინ მარტო ჯდომა. ასეთ დროს მეჩვენება ხოლმე, თითქოს მთელ ქვეყანაზე მარტოდმარტო ვიყო და ყოველი მხრიდან გარს მერტყას ათასი უცნაური ხიფათი და რაღაც საშინელი იღუმალება. მგონია, რომ ჩემსა და ჩემ უცნობ მეზობელს შორის, რომელიც თხელი კედლის იქით ცხოვრობს, იმდენივე მანძილია, რამდენიც ჩვენი მნათობიდან სხვა რომელიმე ვარსკვლავამდე.

ასეთ ჟამს რაღაც ციება შემიაყრობს ხოლმე. სევდის და კაეშნის ციება, და ვშფოთავ იმის გამო, რომ კედლები დამუნჯებულან და ხმას არ იღებენ. მარტოხელა კაცის ოთახის დუმილში იმალება უღრმესი ურვა, რომელიც მხოლოდ ტანს კი არ იმორჩილებს, არამედ სულსაც. სადღაც ავეჯი რომ გაიჭრაჭუნებს, მთელი არსებით შეგკრთები ხოლმე: იმ შავ ბინაში ყოველგვარი ხმაური უცნაურია და მოულოდნელი.

ისევ იყუჩა და შემდეგ დაურთო:

— რა კარგია სიბერის დროს შვილები!

ბურგუნდიის ქუჩის ნახევარი გალიეს. პოეტი მაღალი სახლის წინ შედგა, ზარი ჩამოჰკრა, დღურუას ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— დაივიწყეთ, ყმაწვილო, ჩემი ბებრული ყბელობა და ახალგაზრდულად იცხოვრეთ. მშვიდობით იყავით.

და ბნელ ტალანში მიიმალა.

გულშეწუხებულმა დღურუამ გზა გააგრძელა. თანაც ეჩვენებოდა, თითქო მისთვის რაღაც ორმო ეჩვენებინათ, ჩონჩხებით სავსე ორმო, სადაც ოდესმე უცილობლივ თვითონაც უნდა ჩავარდნილიყო.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — წაიბურტყუნა. — იმ კაცს სულში მაჯლაჯუნა უზის. მე არ წავიდოდი იმის აზრების გამოფენაზე, თანაც საუკეთესო ალაგიც რომ დამითმონ.

მან გზა დაუთმო ეტლიდან გადმოსულ შინ მიმავალ ქალს და ხარბად შეისუნთქა ვერბენისა და ზამბახის სურნელი, რომელიც იმ ქალისაგან დაიღვარა.

უცებ გული სასიხარულო იმედით აუტოკდა და მთელი მისი არსება შეიპყრო დე მარელის გახსენებამ, რომელსაც ხვალ უნდა შეხვედროდა. დღურუას ყველაფერმა გაუღიმა, ცხოვრება ნაზ დახვედრას პირდებოდა. რა საამურიო ხორცშესხმული იმედი!

ბედნიერებით შეზარხოშებულმა დღურუამ მალე ჩაიძინა და ადრე წამოდგა, რადგან ეწადა, პაემანზე წასვლამდე ბულონის ტყის პროსპექტზე გასულიყო სასეირნოდ.

დამით ნიაგმა პირი იცვალა. დარი შერბილდა და ჰაერში იანვრის სუსხის მაგივრად აპრილის მზის სითბო დაიღვარა. ამ დილას ბულონის ტყის მუდმივი სტუმრები ნათელი და ნაზი დარის მოწოდებას დამორჩილებოდნენ და სასეირნოდ გამოსულიყვნენ.

დღურუა ნელა მიდიოდა და ხარბად ისრუტავდა გაზაფხულის ცვრიანსა და მსუბუქ ჰაერს. „ეტუალის“ ტრიუმფალურ თაღს გასცდა და დიდ ხეივანს დაჰყვა, რომელიც ცხენოსნების გზას მისდევდა, თანაც ნავარდით ან ჩორთით მიმავალ მდიდარ ქალ-ვაჟებს შესცქეროდა და თითქოს მათი სიმდიდრე აღარ შურდა. თითქმის ყველას იცნობდა და ყველაფერი იცოდა: მათი სახელი, მათი სიმდიდრე და მათი ცხოვრების საიდუმლოებანიც, რადგან მისმა ხელობამ პარიზელ სახელოვან ადამიანთა და მათი სკანდალების ცნობარად გადააქცია.

ტანწვრილი და შავი კაბით გამოწკეპილი ამორძალები ისეთი ამპარტანული და მიუკარებელი იერით მოჰგოგავდნენ, როგორც ცხენოსან ქალს ემჩნევა ხოლმე. დღურუა სიამოვნებით და ნელი ხმით — ისეთი ნელი ხმით, როგორც ეკლესიაში ადაპების კითხვის დროს ისმის ხოლმე — ჩამოთვლიდა იმ ამორძალების ნამდვილსა და სათუო საყვარლების სახელს, გვარს, წოდებას და ტიტულს. ზოგჯერ „ბარონ დე ტანკლე“... ან „თავადი დე ლატურ ანგერანის“ მაგიერ ბუტბუტებდა: ღესბოსი!.. ლუიზა მიშო ვოდვეილის თეატრიდან... როზა მარკეტონ ოპერიდან.

და ეს თამაში ისე ართობდა დღურუას, თითქოს საქვეყნოდ ააშკარავებდა ზრდილობიანობის მკაცრი იერით დაფარულ სიმდაბლეს, ადამიანის მუდმივსა და უღრმეს სიმდარეს, და ეს გამომზეურება მას ახარებდა, აღელვებდა, ამხნევებდა.

შემდეგ ხმამაღლა წამოიძახა: „აი ფარისეველთა ბრბო!“ და თვალებით დაუწყო ძებნა იმ ცხენოსნებს, რომელთა შესახებ ყველაზე უფრო ჭუჭყიანი ხმები დადიოდა.

აქ ბევრი საეჭვო ვინმე დასეირნობდა. მათ ჯიბგირობაზე მთელი პარიზი ლაპარაკობდა. ერთი რამ იყო მაინც უეჭველი: კლუბები მათ დიდი შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ გადაქცეული და ეს წყარო ერთადერთი და მეტად მღვრიე შემოსავალი იყო.

მეორენი, მეტად გამოჩენილი მამაკაცები, მხოლოდ თავიანთი ცოლების ხარჯზე ცხოვრობდნენ, და ესეც ყველამ იცოდა, ხოლო მესამენი თავიანთი საყვარლების ფულით დაპარპაშებდნენ. ბევრი მათგანი ვალსაც კი იხდიდა (ფრიად საქებარია), მაგრამ ვერავინ მიხვედრილიყო, საიდან მოულოდბდნენ საამისო ფულს (ფრიად საეჭვო საიდუმლოება). აქვე მოჩანდა ფინანსისტებიც, რომელთაც უამრავი სიმდიდრე ქურდობით ჰქონდათ შეძენილი, და მათს წინაშე მაინც ყველა კარი, არისტოკრატიული ოჯახების კარებიც კი, მუდამ ღია იყო. აქ იმდენად საპატიო პირებიც კი დასეირნობდნენ, რომ გამვლელები ქუდს უხდიდნენ, მაგრამ ვინც საქმის სარჩული იცოდა, იმან ისიც იცოდა, რომ ფრიად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეებში ესენიც ურცხვად თაღლითობდნენ. და უკლებლივ ყველას — ვინც უღვაშიანი ან ბაკენბარდიანი იყო — ყველას ამპარტანული იერი, ამაყურად შეკეცილი ტუჩები და თავხედური თვალები ჰქონდა.

დღურუა კვლავ იცინოდა გულში და იმეორებდა:

„ჯიბიგირების, თაღლითებისა და არამზადების დიდებული ხროვა გამოფენილა!“

მაგრამ ავერ მშვენიერი, დაბალი და ღია ეტლი მოჰქრის. შიგ ორი პატარა, ფაფარაყრილი, თეთრი ცხენი აბია. ეტლმა სწრაფად გაირბინა. ცხენებს ახალგაზრდა ქალი მართავდა — დაბალი, ქერა, განთქმული მეძავე. უკან ორი გრუმი ეჯდა. დედურუა შედგა. უცებ სურვილი აღეძრა ამ ქალისთვის სალაში მიეცა და ტაში დაეკრა, დაეკრა ტაში იმ მეძავისთვის, რომელმაც სიყვარულის ვაჭრობით გაიკვლია გზა და ასე თამამად გამოჰფინა კახობით ნაშოვნი მყვირალა სიმდიდრე — სწორედ აქ და სწორედ იმ დროს გამოჰფინა, როცა ფლიდი და პირმოთნე არისტოკრატია დასეირნობს. ვინ იცის, იქნებ დედურუა ბუნდოვნად გრძნობდა კიდევაც, რომ მას და იმ ქალს საერთო რაღაც ჰქონდათ, რომ მათ რაღაც ბუნებრივი კავშირი აერთებდა, რომ ორივენი ერთნაირ ჯიშს ეკუთვნოდა, ორივეს თანასწორი სულიერი სარჩული ედო და დედურუას გამარჯვებაც ასეთივე გაბედულ ყოფაქცევასზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

უკან გამობრუნდა, ნაბიჯი უფრო შეანელა და გული ღრმა სიამით გაეგსო, ხოლო როცა თავისი პირველი საყვარლის კარს მიაღვა, საათს დახედა: ჯერ ისევე ადრე იყო.

კლოტილდა ისეთი ხევენა-კოცნით დაუხვდა, თითქოს უსიამოვნება არც კი მოსვლოდეთ, ერთ ხანს გონიერი სიფრთხილევც კი უკუაგდო, რომელსაც თავის ბინაზე ჩვეულებრივ არ ივიწყებდა ხოლმე. შემდეგ ახვეული უღვაშის ბოლოები დაუკოცნა და უთხრა:

— არც კი იცი, ჩემო კეთილო, რა უსიამოვნება მეწვია. მეგონა, ამ თვეს ახლადჯვარდაწერილთა პირველ თვესავით გავატარებთ-მეთქი, ნამდვილად კი ჩემი ქმარი მოულოდნელად ექვსი კვირით დამატყდა... შეგებულება მიიღო. მაგრამ როგორ შემიძლია ექვსი კვირა გავძლო უშენოდ, ნამეტნავ ჩვენი მცირე ჩხუბის შემდეგ. ამიტომ აი რა მოვიგონე: ორშაბათს ჩემთან სადილად ხარ დაპატიუებული. უკვე ვუთხარი ქმარს და გაგაცნობ.

დედურუა ყოყმანობდა: ჯერ არასოდეს შეხვედროდა პირისპირ იმ მამაკაცს, რომელსაც ცოლს პარავდა. ეშინოდა, მორცხვობით, თვალის იერით ან სხვა რომელიმე წვრილმანით არ გაეცა თავისი თავი, და უარზე შესდგა:

— არა, მირჩენია მოვერიდო შენს ქმარს, არ გავიცნო.

კლოტილდა მის წინ განცვიფრებული იდგა და გულუბრყვილო თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი.

— რატომ? გამაგებინე, რატომ-მეთქი? რა სასაცილო ხარ! ეს ხომ სულ უბრალო ამბავია! ღმერთმანი, არ მეგონა, რომ ასეთი სულელი იქნებოდი, — დაჟინებით მოითხოვდა თავისას ახალგაზრდა ქალი.

ამან დედურუა ააფეთქა:

— მაშ კარგი. ორშაბათს სადილად მოვალ.

კლოტილდა კმაყოფილი იყო:

— მინდოდა, ამ სადილისთვის მეტი ბუნებრიობა მიმეცა, ამიტომ ორივე ფორესტივეც დავპატიე, თუმცა ასეთი შინაური სადილი მე სასიამოვნოდ არ მიმაჩნია.

ორშაბათამდე დედურუას ამ შეხვედრაზე არც კი უფიქრია, ორშაბათს კი, დე მარელის კიბეზე რომ აღიოდა, უცნაური სიმორცხვე იგრძნო. იმიტომ კი არ რცხვენოდა, რომ კლოტილდას ქმრისთვის ხელი უნდა ჩამოერთმია, მისი ღვინო დაეღია და მისი პური ეჭამა. არა, სხვა რაღაცისა ეშინოდა და თვითონაც არ იცოდა, რისა, ან ვისი.

სასტუმრო ოთახში შეაცილეს. დაჯდა და უწინდელივით ღოდინი დაიწყო. მერე მეორე ოთახის კარი გაიღო და დედურუამ მასპინძელი დაინახა: სრულებით ჭადარა, მაღალი, დარბაისელი და თავაზიანი კაცი შემოვიდა. სადილეში ორდენი ჰქონდა გაყრილი. სტუმარს ნატიფი ზრდილობით მიუახლოვდა და უთხრა:

— ჩემი ცოლისგან ბევრი მსმენია თქვენზე და ფრიად მოხარული ვარ, რომ გაგიცანით.

დედურუამ ერთი ნაბიჯი გადადგა, თან ცდილობდა სახეზე გულითადი იერი აესახა, და გამოწვდილი ხელი ზედმეტი ენერგიით ჩამოართვა. შემდეგ დაჯდა და აღარ იცოდა, რა ეთქვა.

დე მარელმა ერთი ნაჭერი შეშა შეაგდო ბუხარში და ჰკითხა:

— დიდი ხანია, რაც ჟურნალისტობთ?

— სულ რამდენიმე თვე იქნება.

— მართლა? მაშ მალე დაწინაურებულხართ.

— დიას, საკმაოდ მალე წავიწიე, — და მოურიდებელ ყბედობას მოჰყვა. ნათქვამს არც კი უფიქრდებოდა, გულუხვად ისროდა გაცვეთილ სიტყვებს, ისეთ სიტყვებს, რომელსაც უცნობი ხალხი ასე ადვილად ხარჯავს ხოლმე. ჟორჟს ჩვეულებრივი რწმენა დაუბრუნდა და თავისი მდგომარეობა თავშესაქცევად მოეჩვენა. ბ-ნ დე მარელის დარბაისელსა და დინჯ სახეს შესცქეროდა, სიცილს ძლივს იმაგრებდა და ფიქრობდა: „ეჰ, ჩემო ბებრუცანავ, რომ იცოდე, როგორ გატყუებთ!“ და თანაც უღრმეს ბიწიერ კმაყოფილებას გრძნობდა, ქურდის სიხარულს, მზაკვრულს და აღმაფრენ სიხარულს იმის გამო, რომ მან მოიპარა, ისე მოხერხებულად იქურდა, რომ მასზე ეჭვიც კი არ მიჰქონდათ. უეცრად სურვილი მოაწვა, ამ ადამიანს დამეგობრებოდა, მისი ნდობა დაემსახურებინა და მისი წარსულის საიდუმლოებანი გაეგო.

ქ-ნი დე მარელი გამოჩნდა, ორივეს მოლიმარე თვალი გადააგლო და მივიდა დღურუასთან, რომელმაც ქმრის თვალწინ ვერ გაბედა, საყვარლისათვის უწინდებურად ხელზე ეკოცნა.

დიასახლისი გულმშვიდად და მხიარულად ტიტინებდა, და რადგან ყველაფერს შეჩვეული და ბუნებითაც გარყვნილი იყო, ეს შეხვედრაც ბუნებრივი და უბრალო ეგონა. ლორინაც შემოვიდა და პაწაწინა შუბლი ჟორჟს ჩვეულებრივზე უფრო დარბაისლურად მიუშვირა: მამასთან გაუბედაობას გრძნობდა. დედამ ჰკითხა:

— რა მოხდა, რომ „ლამაზ მეგობარს“ აღარ უწოდებ?

ბავშვი გაწითლდა, თითქოს უხეშად მოქცეოდნენ, თითქოს ისეთი რამ ეთქვათ, რაც სათქმელი არ იყო, და თითქოს მისი ოდნავ სამარცხვინო საიდუმლოება გაემჟღავნებინოთ.

ბ-ნი და ქ-ნი ფორესტიე რომ შემოვიდნენ, ყველას შარლის იერისა შეეშინდა. ერთ კვირაში საშინლად გახდა, გაფითრდა და ახლაც შეუწყვეტილ ახველებდა. მან განაცხადა, რომ თანახმად ექიმების დაჟინებული მოთხოვნისა, მომავალ ხუთშაბათს იძულებულია კანში წავიდეს.

ცოლ-ქმარი ადრე წავიდა. დღურუამ თავი გააქნია და თქვა:

— ჩემის აზრით, შარლის საქმე ცუდად არის. დიდხანს ვეღარ გაატანს.

ბ-მა დე მარელმა დაუდევრად დაუდასტურა:

— მართალია, შარლი გათავებული კაცია. მაინც ბედი ჰქონია, რომ მადლენასნაირი ცოლი იშოვა.

— ძალიან შეგელის? — ჰკითხა დღურუამ.

— ნამდვილად ყველაფერს მადლენა აკეთებს. ყველაფერი იცის და ყველას იცნობს. თუმცა თითქოს არავის არა ჰხედავს ხოლმე, მაინც მუდამ აღწევს საწადელს. თქვენ არ იცნობთ: მადლენასავით მარჯვე და მარდი ინტრიგანი სხვა არავინ მეგულება. ვისაც წარმატება სურდა, იმისთვის ეს ქალი ნამდვილი განძია.

— რა თქმა უნდა, მალე გათხოვდება, არა? — ჰკითხა ჟორჟმა.

— ძალიან მალე. მე არც კი გამიკვირდება, რომ ახლავე ვინმე ჰყავდეს არჩეული... ერთ დეპუტატს დაადგა თვალი, მაგრამ... შეიძლება იმან არ ისურვოს, რადგან... რადგან... მგონი სერიოზული... მორალური დაბრკოლება უნდა არსებობდეს. თუმცა, სწორედ რომ ვთქვა, მე არაფერიც არ ვიცი.

ქმარმა მოუთმენლად და ნელა ჩაიბუზღუნა:

— შენ მუდამ ზედმეტ ეჭვებს აშლი ხოლმე. სხვის საქმეში ნურასოდეს ნუ გაერევი. ყოველ ჩვენგანს საკუთარ სინდისთანაც ბევრი რამე აქვს სადავიდარაბო.

დღურუა წამოვიდა, თან მოუსვენარი გული და ბუნდოვანი გეგმით დატვირთული თავი წამოიღო. მეორე დღეს ფორესტიეს ეწვია. ისინი თითქმის მზად იყვნენ წასასვლელად. შარლი სავარძელში გამოტილიყო, სუნთქვის სიძნელეს აზვიადებდა და იმეორებდა:

— ერთი თვით უფრო ადრე უნდა წავსულიყავი.

შემდეგ დღურუას გაზეთის შესახებ მრავალი დავალება მისცა, თუმცა ვალტერთან ბაასის დროს ყველაფერი უკვე გამორკვეული ჰქონდა. ჟორჟმა წამოსვლა დააპირა, მეგობარს მაგრად ჩამოართვა ხელი და გაამხნევა:

— აბა, ჩემო კარგო, ნახვამდის!

ხოლო ქ-ნი ფორესტიეს, რომელიც გამოსაცილებლად გამოჰყვა, სწრაფად მოაგონა:

— ჩვენი პირობა არ დაგავიწყდეთ. ჩვენ ხომ მეგობრები და მოკავშირენი ვართ? მაშ, რისთვისაც კი დაგჭირდეთ ჩემი თავი, ნუ მომერიდებით. წერილი ან დეპეშა გამოგზავნეთ და ყველაფერს შეგისრულებთ.

— მადლობელი ვარ, — წაიხურჩულა მადლენამ. — არ დაგივიწყებ.

და თვალებითაც „მადლობა“ უთხრა, ოღონდ სიტყვიერზე უფრო ღრმა და უფრო ნაზი.

კიბეზე რომ ჩამოდიოდა, შეხვდა ნელა ამომავალი დე ვოდრეკი, რომელიც ერთხელ მადლენამ გააცნო. გრაფი დაღვრემილი იყო, ნეტა იმის გამო ხომ არა, რომ მადლენა მიდიოდა?

და რათა ზრდილობა გამოეჩინა, ჟურნალისტმა გრაფს გულისთადი, თავაზიანი სალაპი მისცა.

იმანაც ზრდილობიანად, მაგრამ ოდნავ ამაყი იერით უპასუხა.

ცოლ-ქმარი ფორესტიე ხუთშაბათ საღამოს წავიდა.

თავი მეშვიდე

ფორესტიეს წასვლის შემდეგ რედაქციაში დღურუას ფასმა აიწია. რადგან პატრონი მოითხოვდა, რომ ყველას თავისი განყოფილებისათვის ეგო პასუხი, დღურუამ რამდენიმე მეთაური სტატია დაწერა და, ამავე დროს, ქრონიკასაც ადგენდა. ორჯერ საგაზეთო კამათშიც კი ჩაერია და ორჯერვე მარდად გამოსხლტა, ხოლო მუდმივი ურთიერთობა სახელმწიფო მოღვაწეებთან ამ ადამიანს თანდათან ხელმარჯვე და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მწერლად ამზადებდა.

დღურუა თავის ტატნობზე მხოლოდ ერთ პატარა შავი ღრუბლის ნაგლეჯს ხედავდა, ეს იყო მცირეტირაჟიანი და ჭირვეული გაზეთი, რომელიც მას მუდამ თავს ესხმოდა, უფრო სწორად კი — მისი სახით „საფრანგეთის ცხოვრების“ ქრონიკის გამგეს უმიზნებდა, „ბ. ვალტერის საოცარი ქრონიკის“ გამგეს, როგორც იმ გაზეთის — „კალმის“ ანონიმური ავტორი წერდა ხოლმე. დღურუა იმ გაზეთში თავის თავზე ყოველდღე შხამიან ისრებს და ყოველნაირ ცილისწამებას კითხულობდა.

ამის გამო ჟაკ რივალმა ერთხელ კიდევაც უთხრა მას:

— მართალი უნდა მოგახსენოთ, დიდი მოთმინება გქონიათ.

— აბა რა ვქნა, — უპასუხა მან, — პირდაპირ არ მიტყვს, თორემ...

ერთხელ, სადილის შემდეგ, რედაქციაში რომ შევიდა, ბუარენარმა „კალმის“ ნომერი გაუწოდა.

— აქ თქვენთვის ისევე უსიამოვნო შენიშვნაა დაბეჭდილი.

— მართლა? რის გამო?

— მიქარვაა. ზნეობის პოლიციის მიერ ვიღაც ქ-ნ ობერის დაპატიმრების გამოა დაწერილი.

ჟორჟმა გაზეთი გამოართვა და წერილის კითხვა დაიწყო.

„დღურუა თავს ირთობს“ — ასეთი სათაური ჰქონდა იმ წერილს.

„საფრანგეთის ცხოვრების“ სახელოვანი რეპორტიორი დღეს გვიცხადებს, რომ ქ-ნი ობერი, რომლის დაპატიმრება ზნეობის საზიზღარი პოლიციის მიერ უკვე შევატყობინეთ მკითხველებს, თითქოს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ნამდვილად კი ეს ქალბატონი ცხოვრობს მონმარტრზე, ეკურეილის ქუჩაზე, №18. სხვაფრივ ჩვენ კარგად გვესმის, რა ინტერესი ან რა ინტერესები აიძულებს ვალტერის ბანკის აგენტებს, მხარი მისცენ პოლიციის პრეფექტის აგენტებს, რომელნიც ამ დუქნის არსებობას ითმენენ. რაც შეეხება აქ ნაგულისხმევ რეპორტიორს, ისა სჯობია, მან რამდენიმე თავის სენსაციურ ახალ ამბავზე გვიამბოს, რომლის საიდუმლოებასაც ის ასე ხელმარჯვედ ხმარობს; ვურჩევთ. დაკმაყოფილდეს ვიღაც-ვიღაცეების გარდაცვალების ქრონიკით, რომელსაც მეორე დღესვე უარყოფენ. დაკმაყოფილდეს არსად არ მომხდარი ომებით და გვირგვინოსანთა მიერ წარმოთქმული მნიშვნელოვანი სიტყვებით, რომელიც არავის არ წარმოუთქვამს. ერთი სიტყვით, იკმაროს ის ამბები, რომელიც „ვალტერის მოგებას“ ამრავლებს. ან იქნებ ისიც გვიამბოს, თუ რა მოურიდებლად ამჟღავნებს მიზანს ზოგი ქალბატონის მიერ გამართული საზეიმო საღამო, რომელსაც დიდი გამარჯვება ჰქონდა. ან კიდევ აგვიხსნას, როგორ იწერება ზოგიერთი შენიშვნა სანოვაგის შესახებ და რამდენ შემოსავალს აძლევს ასეთი შენიშვნები ზოგ ჩვენს თანამოკალმეს.“

ახალგაზრდა კაცმა სირცხვილი უფრო იგრძნო, ვიდრე ბრაზი, და ისღა გაიგო, რომ იმისთვის აქ რაღაც მეტად უსიამოვნო რამ ეწერა.

— ვინ მოგვითხრობს ცნობა ამ საქმეზე? — ჰკითხა ბუარენარმა.

დღურუა ცდილობდა გაეხსენებინა, მაგრამ ვერ შეძლო.

მერე უცებ მოაგონდა:

— მართლა, სენ-პოტენმა მომცა.

შემდეგ „კალამში“ დაბეჭდილი წერილი ერთხელ კიდევ წაიკითხა და უცებ გაწითლდა, რადგან მიხვდა, რომ მექრთამეობას აბრალებდნენ.

— რაო?! — წამოიძახა. — ბრალს მდებენ, ვითომ მე ფულს მაძლევდნენ იმისთვის, რომ...

— დასწყევლოს ეშმაკმა, აგრეა! — გააწყვეტინა ბუარენარმა. — მეტად უსიამოვნო ბრალდებაა. ამ მხრივ ჩვენი პატრონი დაუნდობელი კაცია. ქრონიკაში ხშირად მოხდება ხოლმე, რომ...

ამ წამს სენ-პოტენი შემოვიდა. დღურუა მივარდა და

— წაიკითხეთ „კალმის“ შენიშვნა?

— ჰო, წავიკითხე და ეს-ეს არის ქალბატონ ობერთან ვიყავი. ეს ქალი მართლა არსებობს, მაგრამ დაპატიმრებული არ ყოფილა, ამიტომ ეს ხმა უსაფუძვლოდ დაირხა.

ამის შემდეგ დღურუა პატრონთან გაიქცა. ვალტერმა ცივად და ზიზლით გადმოხედა, და როცა ყველაფერი მოისმინა, განაცხადა: „იმ ქალბატონთან მიბრძანდით და ისეთი საპასუხო წერილი დაწერეთ, რომ თქვენზე ასეთი რამის დაწერა ვეღარ გაბედონ. მე ვგულისხმობ ყველაფერს, რაც იმ წერილშია. ეს ამბავი ყველასთვის უსიამოვნოა: ჩემთვისაც, გაზეთისთვისაც და თქვენთვისაც. ჟურნალისტი კეისრის ცოლივით უმწიკვლო უნდა იყოს“.

დღურუამ მსლებლად სენ-პოტენი წაიყვანა. ეტლში ჩაისვა და მეეტლეს მიაძახა:

— მონმარტრი, ეკურეილის ქუჩა №18.

უზარმაზარი სახლი იყო. იძულებული გახდნენ მეექვსე სართულზე ასულიყვნენ. კარი ვიღაც დედაკაცმა გაუღო. სენ-პოტენი რომ დაინახა, ჰკითხა:

— კიდევ რა გნებავთ ჩემგან?

— აი, ეს ბატონი მოვიყვანე, — უპასუხა მან. — პოლიციის ინსპექტორია და თქვენი საქმის გაცნობა სურს.

დედაკაცმა ორივე შეუშვა და უთხრა:

— თქვენს შემდეგ კიდევ ორი ჟურნალისტი მოვიდა, ის კი არ ვიცი, რომელმა გაზეთმა გამოგზავნა, — მერე დღურუას მიუბრუნდა და დაუმატა: — მაშ გნებავთ გაიგოთ, როგორ იყო საქმე?

— დიას, თქვენ პოლიციის აგენტმა დაგაპატიმრათ?

— არა, ჩემო ბატონო, — და ხელები ასწია. — არასოდეს არავისაც არ დაგუპატიმრებია. საქმე ასე იყო: ჩემი ყასაბი კარგ ხორცს მაძლევს, მაგრამ წონაში თაღლითობს ხოლმე. ამას ბევრჯერ მოვკარი თვალი, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. ერთხელ ორი ლივრი საკატლეტე ვთხოვე, რადგან ჩემს ქალიშვილს და სიძეს ველოდებოდი, და უცებ შევნიშნე, რომ ძვალეც გადმოაყოლა. მართალია, საკატლეტე ძვლები იყო, მაგრამ ჩემთვის აწონილი კატლეტისა არ ყოფილა. ისიც მართალია, ამ ხორცისაგან რაღუს გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ მე იმიტომ კი არ მოვთხოვე საკატლეტე, რომ სხვისი ძვლები მოეცათ ჩემთვის. მე უარი ვუთხარი ხორცზე. მაშინ ყასაბმა ბებერი ვირთაგვა დამიძახა, მე კი: — ბებერი ჯიბგირი ხარ-მეთქი! სიტყვა სიტყვას მივაყოლეთ და ისეთი ჩხუბი ავტეხეთ, რომ საყასბოს წინ ასიოდე კაცი მოგროვდა და ხარხარი ატყდა.

ბოლოს, პოლიციელი მოვიდა და ორივე კომისართან მიგვიპატიუა. წავედით, მაგრამ არც ერთი არ გაგვამართლეს და გამოგვიშვეს. ახლა მე მეორე ყასაბთან ვყიდულობ, იმას კი, დავიდარაბა რომ ავიცილო თავიდან, ახლოსაც აღარ ვეკარები.

და გაჩუმდა. დღურუამ ჰკითხა:

— მეტი არაფერი?

— სრული სიმართლე მოგახსენეთ, ჩემო ბატონო, — და მოხუცებულმა შესთავაზა ერთი ჭიქა არაყი, რომელიც დღურუამ არ მიიღო, და „ინსპექტორს“ სთხოვა, სადაც ჯერ არს, მოეხსენებინა, რომ ყასაბი წონაში თაღლითობდა.

დღურუა რედაქციაში დაბრუნდა და ასეთი პასუხი დაწერა:

„კალმის“ ვიღაც ანონიმურმა მჯღაბნელმა კალამი იშოვა და ამაზე უკეთესი საქმე ვერ მოიგონა: შარი მომლო ერთი დედაკაცის გამო, რომელიც ამ მჯღაბნელის სიტყვით, თითქოს ზნეობის პოლიციის მიერ ყოფილიყოს დაპატიმრებული. მე უარყოფ ამას. მე პირადად ვინახულე ქნი ობერი, რომელიც, სულ ცოტა, სამოცი წლისა მაინც იქნება. მან დაწერილებით მიაბო ამბავი ჩხუბისა, რომელიც მას ორი ლიფრი საკატლეტე ხორცის გამო მოუვიდა ყასაბთან და შემდეგ უნებურად იძულებული გახდა პოლიციის კომისრისათვის განმარტება მიეცა. ეს იყო და ეს.

რაც შეეხება „კალმის“ დანარჩენ ცილისწამებას, იგი მხოლოდ ზიზღის ღირსია. შეუძლებელია ვუპასუხო ასეთ რამეზე, რადგან ეს ცილი ანონიმის ამოძახილია.

ქორჟ დღურუა“.

ვალტერმა და ახალშემოსულმა ჟაკ რივალმა თქვეს, ეს პასუხი საკმარისიაო, და დაადგინეს, იმავე დღეს ქრონიკის ბოლოში დაებეჭდათ.

ღურუა შინ ადრე დაბრუნდა. ცოტათი უკმაყოფილო და შემფოთებული იყო. რას უპასუხებს მტერი? ან ვინ არის ის? სად არის ასეთი ბრიყვეული თავდასხმის მიზეზი? ჟურნალისტებში არსებული მოურიდელობის გამო, ამ სისულელეს შეიძლებოდა სერიოზული შედეგი მოჰყოლოდა. იმ დამეს ღურუამ კარგად ვერ გამოიძინა.

მეორე დღით თავისი პასუხი გაზეთში ამოიკითხა და დარწმუნდა, რომ მას, დაბეჭდილს, ხელნაწერზე უფრო მეტბოლი კილო ჰქონდა, ზოგი სიტყვა შესარბილებელიც კი იყო.

ცივი დღე იყო და ძლიერი ყინვა იდგა. ქუჩის ორივე მხარეზე რუ ტროტუარებს ყინულის ორი ზონარით მისდევდა. გაზეთი ჯერ არ მოეტანათ. უცებ ღურუას გაახსენდა ის დღე, როცა მისი პირველი წერილი — „აფრიკელი სალდათის მოგონებანი“ — დაიბეჭდა. ხელ-ფეხი ეყინებოდა, ნამეტნავად კი — თითები, ამიტომ სირბილი დაიწყო საგაზეთო კიოსკის ირგვლივ, სადაც გამყიდველი დედაკაცი მაყალზე დაყუდებულიყო და სარკმელში მარტო ცხვირი და წითური ლოყები გამოეყო.

ბოლოს, როცა გაზეთის დამტარებელმა იმ სარკმელში გაზეთების დასტა შესდო, დედაკაცმა ღურუას დაუკეცავი „კალმის“ ნომერი გადმოაწოდა.

მან თვალი ააგლო და თავისი გვარის ძებნა დაიწყო, მაგრამ ჯერ ვერაფერი იპოვა. უკვე შვებით ამოისუნთქა, მაგრამ უცებ ორ ხაზს შუა პასუხი შეამჩნია.

ეწერა: „საფრანგეთის ცხოვრების“ ბანაკიდან ბ. ღურუა უარყოფს ჩვენს ბრალდებას, მაგრამ, ამავე დროს, სტყუის. მიუხედავად ამისა, მაინც გვიდასტურებს, რომ ქნი ობერი არსებობს და აგენტმა იგი მართლა გაგზავნა პოლიციაში. მას ისღა დარჩენია, რომ „აგენტს“ ორი სიტყვაც მიუმატოს — „ზნეობის პოლიციის აგენტმა“, და მაშინ ყველაფერი აღიარებული იქნება.

სამწუხაროდ, ზოგი ჟურნალისტის სინდისი მის ნიჭზე მაღლა არა დგას.

ახლა კი ხელს ვაწერ: ლუი ლანგრემონ“.

ღურუას გული აუჩქროლდა. შინ დაბრუნდა და ტანისამოსის გამოცვლას შეუდგა, ის კი არ იცოდა, რისთვის და რატომ.

მაშ ასე: ღურუა შეურაცხვეს და იმდენად უპატიურად მოეპყრნენ, რომ ყოყმანიც კი აღარ შეიძლებოდა. მერე რისთვის? არაფრისთვის. ვიღაც მოხუცებული დედაკაცისთვის, რომელსაც ყასაბთან ჩხუბი მოუვიდა. სწრაფად გადაიცვა ტანისამოსი და, თუმცა ჯერ რვა საათიც ძლივს იქნებოდა, ვალტერის სანახავად წავიდა. პატრონი უკვე ზეზე იყო და „კალამს“ კითხულობდა.

— აბა, რას იტყვით? — სთქვა მან სერიოზულად, ღურუა რომ დაინახა. — უკან ვედარ დაიხვეთ. — ახალგაზრდა კაცმა არაფერი უპასუხა, გამომცემელმა კი განავარძო: — ახლავე მიბრძანდით რივალთან. თქვენს საქმეს ის მოაგვარებს.

ღურუამ რამდენიმე ბუნდოვანი სიტყვა წაილულულა და ფელეტონისტთან წავიდა. ჟაკ რივალი ჯერ ისევ ლოგინში იწვა და ზარმა ააყენა. „კალმის“ შენიშვნა რომ წაიკითხა, წამოიძახა:

— დასწყევლოს ეშმაკმა! მეტი გზა არ არის, უნდა ვეწვიო. მეორე სეკუნდანტად ვინა გყავთ?

— ჯერ არავინ.

— ბუარენარი რომ მოვიწვიოთ, რას იტყვით?

— კეთილი, ბუარენარი იყოს.

- კარგად ფარიაობთ?
- ფარიაობა სულაც არ ვიცი.
- ეგ კი არ მომწონს. დამბახის სროლა მაინც გეცოდინებათ.
- ცოტაოდენი.
- მაშ, კარგი. მანამ ამ საქმეს მოვაგვარებდეთ, თქვენ ვარჯიშობას შეუდექით. ერთ

წუთს მომიცადეთ.

თავის საპირფარეშოში გავიდა. ისევ მალე დაბრუნდა პირდაბანილი, გაპარსული, გამოწყობილი, და თქვა:

- წავიდეთ.

რივალი პატარა სასტუმროს ქვემო სართულში ცხოვრობდა და დღურუაც იმავე შენობის დიდ სარდაფში ჩაიყვანა, რომელიც ყოველმხრივ ჩაკეტილი იყო და სროლა-ფარიაობის სავარჯიშო დარბაზად იყო გადაქცეული.

ფელეტონისტმა აანთო აირის ფარნების რიგი, რომელიც ჩარიგებული იყო მეორე სარდაფის უკანა კედლამდე, სადაც ლურჯად და წითლად შეღებილი რკინის კაცის ფიტული იდგა. შემდეგ მაგიდაზე დადო ორი ახალი სისტემის დამბახა, რომელიც ჩახმახის მხრიდან იტენებოდა, და იმნაირად დაიწყო მბრძანებლობა, თითქოს უკვე ბარიერთან მდგარიყო:

- მზადა ხართ? ერთი, ორი, სამი! ესროლეთ!

დღურუა უსიტყვოდ ემორჩილებოდა: მკლავს მადლა სწევდა, უმიზნებდა, ესროდა და ხშირად მუცლის შუაში ახვედრებდა: ნასაღდათარი იყო და, გარდა ამისა, ბაღლობისას მამის ძველ დამბახას ეზოში ჩამოფრენილ ფრინველს ხშირად ესროდა ხოლმე. ჟაკ რივალი კმაყოფილებით იმეორებდა:

— კეთილი, კარგი, ძალიან კარგი! ყოჩაღ, ყოჩაღ! ასე ისროლეთ შეადღემდის. აი გაზნები, ნუ მომერიდებით, სულ დახარჯეთ. როცა დაგებრუნდები, ერთად ვისაუზმებთ და ყველაფერს გვიამბობთ.

მარტო დატოვა და წავიდა. დღურუამ კიდევ რამდენიმეჯერ გაისროლა, მერე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

რა სულელური ამბავია! მერე ამით რას მიაღწევს? განა დუელის შემდეგ არამზადა ისევ არამზადად არ რჩება? განა გონივრულია, რომ პატიოსანმა კაცმა თავისი სიცოცხლე განსაცდელში ჩააგდოს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ვიღაც სალახანა უდიერად მოექცა? და დღურუას დაბინდულ გონებაში უცებ გაცოცხლდა ნორბერ დე ვარენის სიტყვები ადამიანის გონების უძღურების, ჩვენი ინტერესებისა და აზრების უბადრუკობის, ჩვენი მორალის სიდატაკის შესახებ, და ხმამაღლა წარმოსთქვა:

- ღმერთმანი, დე ვარენი მართალია!

შემდეგ წყურვილი იგრძნო. უკნიდან წყლის წვეთების ხმა მოესმა. ონკანი დაინახა, მოუშვა და წყალი დალია. მერე ისევ ჩაფიქრდა. სარდაფი საფლავივით სევდიანი იყო. ეტლების შორეული და ყრუ ხმაურობა შორიდან მომავალ ქარიშხალს ჰგავდა. ნეტა რამდენი საათი იქნება ახლა? დრო ამ ნესტიან ჯურღმულში ისე მიიზლახნება, როგორც, ალბათ, საპატიმროში მიდის ხოლმე, სადაც არაფერი არა თვლის და არ აღნიშნავს მის დენას, გარდა ზედამხედველის გამოჩენისა, როდესაც საჭმელი მოაქვს. და ჟორჟი იცდიდა, დიდხანს იცდიდა.

ბოლოს, ნაბიჯის ხმა და ლაპარაკი მოესმა. ჟაკ რივალი და ბუარენარი ჩამოვიდნენ. რივალმა შორიდანვე დაუძახა:

- ყველაფერი გავათავე.

დღურუას ეგონა, მოპირდაპირემ რამდენიმე სტრიქონით ბოლიში უნდა მოიხადოს. გული სიხარულით აუფანცქალდა და წაიღულღულა:

- მართლა? მადლობელი ვარ.

ფელეტონისტმა კი განაგრძო:

— ლანგრემონმა ყველა ჩვენი პირობა მიიღო: ოცდახუთი ნაბიჯი, სროლა — ბრძანებისამებრ, დამიზნება — ქვევიდან ზევით. ასე ხელი უფრო მარჯვედ გექნებათ, ვიდრე ზევიდან ქვევით დამიზნებისას. შეხედეთ, ბუარენარ, და დარწმუნდები, რომ მართალი ვარ.

აიღო რევოლვერი და ისროლა, თანაც აჩვენებდა, რაოდენ ადვილია მოახვედრო მიზანს, თუ ქვევიდან ზევით უმიზნებ.

- ახლა კი წავიდეთ და ვისაუზმოთ. უკვე თორმეტი დაჰკრა.

და იქვე რესტორანში შევიდნენ. დღურუა ჩუმი იყო და იმიტომ ჭამდა, რომ შიში არ გამოემჟღავნებინა. მერე ბუარენარს რედაქციაში გაჰყვა და იქ მაშინაღურად, დაბნეულად მუშაობდა. ყველამ დაადასტურა, რომ ჟორჟი ძალიან ყოჩაღად იყო.

სადილის შემდეგ ჟაკ რივალი ხელის ჩამოსართმევად შემოვიდა და შეუთანხმდა, რომ ხვალ, დილის შვიდ საათზე, სეკუნდანტები ეტლს მიუყვანდნენ და ყველანი ბეზინეს ტყეში წავიდოდნენ, სადაც დუელი უნდა შემდგარიყო.

ყველაფერი უცბად და იმგვარად მოხდა, რომ მას, ჟორჟ დღურუას, მონაწილეობა არ მიუღია. მას ერთი სიტყვის თქმაც არ ერგო, არც აზრის გამოთქმა, არც თანხმობის მიცემა ან უარზე დადგომა. ყოველივე ისეთი სისწრაფით დატრიალდა, რომ დღურუა თავზარდაცემული, დაბნეული იყო და არა ესმოდა რა, რაც ირგვლივ ხდებოდა.

ბუარენარი სადილაც გაჰყვა, რადგან მეგობარი იყო და მთელ დღეს არ მოშორებია. ცხრა საათზე დღურუა თავის ოთახში მიდი-მოდოდა. იმდენად აღელვებული იყო, რომ ფიქრიც აღარ შეეძლო. ერთი აზრიდა უტრიალებდა თავში: „ხვალ დუელია“, და ეს აზრი ბუნდოვნად და მძლავრად აღელვებდა. დღურუა ნასაღდათარი კი იყო და ხშირადც ესროდა არაბებს, მაგრამ ასეთი სროლის დროს მას დიდი ხიფათი არ მოელოდა: ისე ისროდა, თითქოს ტახებზე ნადირობსო.

ბოლოს და ბოლოს, მან ის ჩაიდინა, რაც უნდა ჩაედინა, და ქვეყანას ისე აჩვენა თავი, როგორც უნდა ეჩვენებინა. მასზე ლაპარაკს ასტეხენ, გაამხნევენ, მიულოცავენ. შემდეგ შედგა და ხმამაღლა წამოიძახა, სწორედ ისე, როგორც ძლიერი სულიერი ფორიაქის დროს იძახიან ხოლმე: „რა პირუტყვი ვინმე ყოფილა!“

მერე ჩამოჯდა და ფიქრში ჩაყვინთა. მაგიდაზე მის მიერ გადასროლილი მტრის სავიზიტო ბარათი ეგდო. რივალმა მისამართის შესანახად მისცა, და იმ ერთ დღეში მეოცეჯერ წაიკითხა: „ლუი ლანგრემონ, მონმარტრის ქუჩა, 176“. და მეტი არაფერი. ზედიზედ ჩარიგებულ ასოებს ჩასცქეროდა და ეჩვენებოდა, თითქოს იქ რაღაც იდუმალი რამ იმალებოდა, თითქოს შიგ რაღაც საფორიაქო აზრი იყო ჩაღვრილი. „ლუი ლანგრემონ!“ ვინ არის, რა კაცია? რამდენი წლისაა? რა სიმაღლისაა? როგორი იერი აქვს? განა აღმაშფოთებელი არ არის, რომ ვიღაც უცნობი, უცხო კაცი მოდიოდეს და ყოველად უაზროდ, მხოლოდ ჟინისათვის, ვიღაც დედაკაცის გულისათვის, რომელიც ეასაბს წაეჩხუბა, სიცოცხლეს გიწამლაგდეს?“ და ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— რა პირუტყვი ვინმე ყოფილა!

უძრავად, ჩაფიქრებით იჯდა და ბარათს დაჟინებით დასცქეროდა. უცებ ქაღალდის ამ ნაფლეთის მიმართ ბრაზი მოერია, ბრაზი და სიძულვილი, რომელთაც რაღაც უსიამოვნო მოუსვენრობა დაერთო. „ტუტუცური ამბავია!“ მაგიდიდან ფრჩხილების მაკრატელი აიღო და ისე გახვრიტა დაბეჭდილი გვარი, თითქო ადამიანი ხანჯლით განგმირაო.

მაშ, ასე: უნდა იბრძოლოს, დამბახით უნდა იომოს! ნეტა რატომ დაშნა არ აირჩია? მხარში ან სადმე ძვალში უჩხვლეტდნენ და ამით გადარჩებოდა, ტყვიანზე კი ვერავინაც ვერ იტყვის, სად მოხვდება და როგორ გათავდება.

„კმარა! ყოჩაღად უნდა იყო, ჟორჟ დღურუა!“ გაამხნევა თავისივე თავი და საკუთარი ხმისა შეეშინდა. გარშემო მიმოიხედა. შემდეგ მიხვდა, რომ ნერვები აეშალა, ერთი ჭიქა წყალი დალია და დაწვა. მერე სანთელი ჩააქრო და თვალები დახუჭა.

თუმცა ოთახში ციოდა, მაინც დასცხა და ვერ დაიძინა. ერთი გვერდიდან მეორეზე ბრუნავდა, ხუთიოდე წუთს პირაღმა იწვა, მერე მარცხნივ გადატრიალდა, შემდეგ მარჯვნივ გადმობრუნდა და ისევ მოსწყურდა. წამოიწია და უცებ ხელახლა დაუდგებრობა მოერია: „ნუთუ მეშინია?“ რად უჩქროლა ახე გაშმაგებით გული, როცა ოთახში ნაცნობ ჭრაჭუნს ან ფაჩუნს მოჰკრავდა ხოლმე ყურს? როცა მისი გუგულა საათი დასარეკად ემზადებოდა და ჭრიალს იწყებდა, ჟორჟი შეკრთებოდა ხოლმე და ისე შეძრწუნდებოდა, ჰაერის ჩასასუნთქად პირი რამდენიმე წამს ღია უნდა ჰქონოდა. შემდეგ ფილოსოფიურად შეუდგა მსჯელობას, მართლა შეშინებული იყო თუ არა?

რა თქმა უნდა, არა. სილაჩრე არ შეჰპარვია: გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ საქმეს ბოლომდე მიჰყოლოდა, მტკიცედ ჰქონდა დადგენილი — ებრძოლა და არ შეეკრთაო. მაგრამ, ამავე დროს, გულის დეღვამ ისე დაჰრია ხელი, რომ დღურუამ თავის თავს ჰკითხა: „განა შეიძლება, გინდოდეს, შიშს არ დაემორჩილო და მაინც გეშინოდეს?“ და ეჭვმა და მოუსვენრობამ საბოლოოდ დარია ხელი. რა დაემართება მას, თუ იმის ნებისყოფაზე უფრო ძლიერმა ძალამ, მოურიგებელმა და უძლეველმა ძალამ დაიმორჩილა იგი? დიახ, რა მოხდება მაშინ?

რა თქმა უნდა, ბარიერთან გავა: გასვლა უკვე გადაწყვეტილი აქვს. მაგრამ ვაითუ სწორედ იმ დროს შეკრთეს? იქნებ გონებაც დაკარგოს? და ნათლად წარმოუდგა, რა დაემართებოდა მაშინ მის სამსახურს, სახელსა და მომავალს. უცებ ჟინიანმა სურვილმა შეიპყრო: თავისი თავი სარკეში დაენახა. სანთელი აანთო და, ნატიფად გაჩარხულ მინაში თავისი სახის ანარეკლი რომ დაინახა, შეკრთა: საკუთარი თავიც ვეღარ იცნო; მოეჩვენა, თითქოს თავისი თავი არასოდეს ჰქონოდა ნანახი. თვალები უზარმაზარი ჰქონდა და სახეზე ზაფრანის ფერი ედო. ცხადია, მკრთალი ფერი, ძალიან მკრთალი!

ანაზღად თავში ერთმა აზრმა ელვასავით გაჰკრა: „ხვალ ამ დროს შეიძლება უკვე მკვდარი ვიყო“, და გული ხელახლა საშინლად აუძგერდა. ლოგინისკენ მიბრუნდა და თავისი თავი მასზე ცხადად დაინახა: გულაღმა იწვა ლოგინზე. მას, ცხედარს, ისეთივე ჩაწეული პირისახე ჰქონდა, როგორც მკვდრებს აქვთ ხოლმე, ხოლო ხელების სითეთრე აშკარად ამტკიცებდა, რომ ისინი ვეღარასოდეს გაინძრეოდა.

ჟურნალისტს თავისავე საწოლისა შეეშინდა, თვალის მოსარიდებლად ფანჯარა გამოაღო და გაღმა დაიწყო ცქერა. მაგრამ, როდესაც გაყინული ჰაერი თავითფეხამდე მოეხვია, უკან დაიხია და ძლივსდა სუნთქავდა. აზრად მოუვიდა, ბუხარი ანთო. ნელ-ნელა უკიდებდა ცეცხლს და უკან ვეღარ იხედებოდა. ხელები უთრთოდა, თავბრუ ეხსმოდა, აზრი აერია, მიჰქროდა და დღურუას თავს ატკივებდა. რაღაც უცნაურ ზარხოშს გრძნობდა, თითქოს ნასვამი და მთვრალი ყოფილიყო, და განუწყვეტლივ თავის თავს ეკითხებოდა: „რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ნეტა რა დამემართება?“

და ისევ სიარულს მოჰყვა, თანაც გაუთავებლივ და უნებურად იმეორებდა: „უნდა მხნედ და ენერგიულად მოვიქცე, ძალიან ენერგიულად“. შემდეგ გაიფიქრა: „დედ-მამას მივწერ, თუ ვინიცობაა, უბედურება შემემთხვა“...

ხელახლა დაჯდა, საფოსტო ქაღალდი აიღო და დაწერა: „ძვირფასო მამილო, ძვირფასო დედილო“. შემდეგ გაიფიქრა, ამგვარი ტრაგიკული შემთხვევისათვის ასეთი დასაწყისი ლაზღანდარობა იქნებოდა, ამიტომ ფურცელი დახია და მეორეზე დაიწყო:

„ძვირფასო მამა, ძვირფასო დედა! დღეს რიურაჟზე დუელში უნდა გავიდე და რადგან შეიძლება“...

გამბედაობა არ ეყო, ბოლომდე დაეწერა, და ზეზე წამოხტა. წამოხტა და სულის ამაფორიაქებელი აზრიც აჰყვა: „დუელი მოელის. იგი აუცილებელია. ახლა კი რა ემართება? აკი ბრძოლა სურდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი“. და მოეჩვენა, ვითომ ნებისყოფის დაჭიმვის მიუხედავად, ბარიერთან მისვლის ძალაც კი აღარ შესწევდა.

ხანგამოშვებით კბილებს ადრტენდა, ჩუმ და ხმელ ხმას ადებინებდა და ისევ თავის თავს ეკითხებოდა:

„ნეტა ჩემს მტერს ოდესმე გამოუცდია დუელი? დადიოდა თუ არა სასროლად და სავარჯიშოდ? ცნობილია თუ არა? ეკუთვნის თუ არა კარგ საზოგადოებას?“

არავისგან არასოდეს მისი სახელი არ გაეგონა, და ესეც ცხადია, დამბაჩას კარგად რომ არ ისროდეს, ამ სახიფათო იარაღის არჩევაზე ასე ადვილად, უყოყმანოდ და უდავოდ არ დათანხმდებოდა. და დღურუა თვითონვე ხატავდა მომავალ შეჯიბრებას: როგორ დაიჭერდა თავს თვითონაც და მისი მოპირდაპირეც, და აზრს ძალას ატანდა, რათა ბრძოლის ყოველი წვრილმანიც კი როგორმე დაენახა. უცებ თვალწინ პატარა, ღრმა და შავი ღრუ დაუდგა, საიდანაც საცაა ტყვია უნდა გამოვარდნილიყო.

და დღურუა ერთბაშად საზარელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მთელი ტანი კანკალმა აიტანა და ვერაფრით შეეჩერებინა. ყვირილი რომ შეემაგრებინა, კბილებს მძლავრად უჭერდა, ამავე დროს, გიჟური სურვილიც მოერია: იატაკზე დავარდნილიყო, ეკოტრიალა, ეგლიჯა და ეკბინა. ბუხრის თავზე ჭიქას თვალი მოჰკრა და გაახსენდა, რომ განჯინაში დიდი ბოთლით არაყი ჰქონდა შენახული: მან აქამდე შეინარჩუნა სალდათური ჩვეულება და ყოველ დილით ერთ ჭიქას გადაჰკრავდა ხოლმე.

ბოთლს ხელი დასტაცა, მოიყუდა, ხარბად დაუწყო სმა და მაშინდა გადადგა, როცა სული შეუგუბდა. თურმე ბოთლის მესამედი დასცალა და მალე ისეთი სიცხე იგრძნო სტომაქში, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა. აქედან სითბო მთელ ტანს მოედო, გააბრუა და დღურუას სულიერი სიმშვიდე დაუბრუნა. „კარგი წამალი ვიპოვე“, — თქვა და, რადგან მთელი სხეული ეწვოდა, ხელახლა გააღო ფანჯარა.

სუსხიანი და წყნარი დილა თენდებოდა. ზევით, სულ ზევით, განათებული ზეცის სიღრმეში, ვარსკვლავების ხომლი თრთოდა და თითქოს კვდებოდა, ხოლო ქვევით, რკინიგზის ხრამში, მწვანე, წითელი და თეთრი სანიშნო ფარნების შუქმა დაიწყო ციმციმი. დეპოდან პირველი ორთქლმავლები გამოდიოდნენ და მატარებლებისკენ

სტვენით მიდიოდნენ, მეორენი კი სადღაც შორს განმეორებით კიოდნენ და მამლებივით წვრილად და მწვავედ უყიოდნენ ერთმანეთს.

დღურუა კი ისევ თავისას ფიქრობდა: „ეს სურათი მე შეიძლება ვეღარც კი ვნახო“. მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ საცაა ხელახლა ატირდებოდა თავის ბედზე, და მხნედ უთხრა თავის თავს: „ჰო, კმარა! სანამ მტერს შეხვედბოდე, ნურაფერზე ნულარ იფიქრებ, თუ გსურს ყოჩაღად დაუხვდე, ყველაფერი ამოიგდე თავიდან!“

და სამზადისს შეუდგა. წვერს რომ იპარსავდა, სისუსტემ ერთხელ კიდევ გაჰკრა. გაიფიქრა: „ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ვიხედები სარკეში“. ერთი ყლუპი არაყი კიდევ მოსვა და მოემზადა. ერთი საათი იყო დარჩენილი. ეს დრო საშინლად მიიმედ ეჩვენებოდა. კუთხიდან კუთხემდე დაბორიანებდა და აზრის ჩახრჩობას ღამობდა. კარზე რომ დააკაკუნეს, ისე შეხტა, კინაღამ გულადმა გადავარდა.

— დროა! — და მისი სეკუნდანტიები შემოვიდნენ. ორივეს ქურქი ეცვა. რივალმა ხელი ჩამოართვა და თქვა:

— ციმბირის სიცივეა, — შემდეგ ჰკითხა: — გუნებაზე როგორ ბრძანდებით?

— მშვენივრად.

— სიმშვიდე?

— სრულებით გულმშვიდად გახლავართ.

— კეთილი და პატიოსანი. შეჭამეთ ან დალიეთ რამე?

— დიახ. მეტი არაფერი მინდა.

ბუარენარს ამ შემთხვევისათვის უცხოეთის რაღაც ყვითელ-მწვანე ორდენი ჩამოეკიდა, რომელიც დღურუას ჯერ არ ენახა მის მკერდზე.

ქვევით ჩავიდნენ. ეტლში ვიღაც უცხოელი იჯდა. რივალმა დაასახელა: „ექიმი ლე-ბრეჟმანი“. დღურუამ ხელი ჩამოართვა და წაიღულღულა: „გმადლობთ“, წინა სკამზე უნდოდა დამჯდარიყო და რაღაც მაგარს — დამბახების ყუთს დააჯდა.

— აქ არა, აქ არა, — იმეორებდა რივალი. — დუელიანტი და ექიმი რბილ ალაგზე დაბრძანდით. — დღურუა ძლივს მიხვდა და ექიმის გვერდით ჩამოჯდა. შემდეგ ორი სეკუნდანიც დაჯდა და ეტლი დაიძრა. მეეტლემ უკვე იცოდა, სად უნდა წასულიყო. მაგრამ დამბახების ყუთი ყველას ავიწროებდა, ნამეტნავ კი დღურუას, რომელსაც ერჩივნა იგი სულაც არ დაენახა. ზურგსუკან გადადეს, მაგრამ ახლა უკან მსხდომებს უქლექავდა ზურგებს. მერე რივალს და ბუარენარს ჩაუდგეს შუაში, მაგრამ ქვევით ვარდებოდა. ბოლოს ფეხების ქვეშ დამაღეს. თუმცა ექიმი ანეგლოტებს ყვებოდა, ბაასი მაინც უნდილად მიდიოდა. მარტო რივალი აძლევდა პასუხს. დღურუას ძალიან უნდოდა გულდინჯობა გამოეჩინა, მაგრამ საუბრის ძაფის დაკარგვასა და სულის ფორიაქის გამჟღავნებას ერიდებოდა, თანაც მტანჯველ შიშს ებრძოდა, კანკალი არ ავარდნოდა.

ეტლი მალე გასცდა ქალაქს. ცხრა საათი იქნებოდა. ზამთრის გრილი დილა იყო. ერთი იმ დილათაგანი, როცა ბროლივით მაგარი მთელი ბუნება კრიალებს და ხრამუნებს, როდესაც თრთვილში ჩაცმულ მცენარეულობას თითქოს ყინულის ოფლი მოსდის, როცა ფეხქვეშ მიწას გუგუნის გააქვს და ხმელ ჰაერში ოდნავი ფაჩუნიც კი სადღაც შორს იბნევა, როცა ლურჯი ცა სარკესავით პრიალებს, ხოლო მბრწყინავი და ცივი მზე სივრცეში დაცურავს და მოყინულ ქვეყანას გრილ სხივებს ესვრის.

რივალმა უთხრა დღურუას:

— დამბახები გასტინ-რენეტს გამოვართვი. თვითონ იმან დატენა. ყუთი დაბეჭდილია. გარდა ამისა, წილი უნდა ვყაროთ, ვის ვისი დამბახა ერგება.

დღურუამ მექანიკურად მიუგო:

— მადლობელი გახლავართ.

შემდეგ რივალმა დაწვრილებით დაარია: მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დღურუა არაფერში არ შემცდარიყო და თავისი სეკუნდანიც არ შეერცხვინა, ამიტომ თითო დარიგებას რამდენიმეჯერ იმეორებდა:

— როცა გკითხავენ: „მზად ბრძანდებით?“ მტკიცე ხმით უპასუხეთ: „მზად გახლავართ!“ როცა დაიძახებენ: „ესროლეთ!“ მალე აწიეთ ხელი და, სანამ მბრძანებელი იტყოდეს: „სამი“, ესროლეთ.

და დღურუაც გულში იმეორებდა: „როცა დაიძახებენ: „ესროლეთ“, მე ხელს ავწევ... როცა დაიძახებენ: „ესროლეთ“, მე ხელს ავწევ... როცა დაიძახებენ: „ესროლეთ“, მე ხელს ავწევ... — და ისე იმეორებდა ამას, რგორც ბავშვი იხეპირებს ხოლმე

გაკვეთილს. იმეორებდა მანამ, სანამ გაძღებოდა და მობეზრდებოდა, რადგან სურდა დარიგება ტვინში ღრმად ჩაეჭვდა: როცა დაიძახებენ: „ესროლეთ“, მე ხელს ავწევ.

ეტლი ტყეში შევიდა, მარჯვნივ მოტრიალდა და ერთხელ კიდევ მარჯვნივ მოუხვია. მერე რივალმა უცებ კარი გამოაღო და მეეტლეს დაუძახა:

— აქეთ, აი ამ გზაზე წადით, — და ეტლიც ტყეში მიმავალ გზას გაჰყვა. ზემოთ ყინულის ფოჩებით შემოსილი მკვდარი ფოთლები თრთოდა, დღურუა კი ისევ თავისას იმეორებდა:

„როცა დაიძახებენ „ესროლეთ“, მე ხელს ავწევ“. ოჰ, ნეტა ეტლს რამე დამართოდა, დღურუა იმ დიდ ხიფათს გადურჩებოდა! ოჰ, ნეტა გამოძვრენა შეიძლებოდა! რა ბედნიერი იქნებოდა! ნეტა ფეხის მოტეხა მაინც შეეძლოს?!

აგერ, ტაფობის ბოლოში უკვე ეტლსა და ოთხ კაცს მოჰკრა თვალი. ოთხივე გასათბობად ხელ-ფეხს იბერტყავდა. დღურუას იმდენად გაუძნელდა სუნთქვა, რომ იძულებული იყო, პირი გაეღო. ეტლიდან ჯერ სეკუნდანტები ჩამოხტნენ, შემდეგ — ექიმი, ბოლოს — დღურუაც ჩამოვიდა. რივალმა დამბახების ყუთი აიღო და ბუარენარის თანხლებით მათკენ მომავალი უცნობებისკენ წავიდა. დღურუა ხედავდა, რანაირი თავაზით მიესალმნენ ერთმანეთს, როგორ გაიარეს კორდზე და როგორ ათვალიერებდნენ ხან მიწას, ხან ხეებს, თითქო ისეთ რამეს ეძებდნენ, რასაც ან ჩამოვარდნა, ან გაფრენა შეეძლო. შემდეგ ნაბიჯებით მიწა მოზომეს და გაყინულ მიწაში თავიანთი ჯოხები ძლივს ჩაარჭეს, მერე ისევ მოიყარეს თავი და ისე ამოძრავდნენ, თითქოს ბიჭები რაღაცას თამაშობენო.

ექიმიმ აჰკითხა დღურუას:

— გუნებაზე კარგად ბრძანდებით? ხომ არაფერი გინდათ?

— არა, არაფერი. გმადლობთ.

ეგონა, თითქოს ჭკუაზე შეშლილიყოს, თითქოს ძილში ყოფილიყოს და სიზმარს ხედავდეს, ან რაღაც ზებუნებრივი ემართებოდეს. ეშინოდა? შეიძლება... მაგრამ არ იცოდა, რადგან აღარც თავისი ესმოდა რამე, აღარც გარეშემოსი.

ჟაკ რივალი კმაყოფილი დაბრუნდა და ჩუმად უთხრა:

— ყველაფერი მზად არის. დამბახების არჩევაში ბედმა გაგვიღიმა.

დღურუასათვის კი ყოველივე სულ ერთი იყო. პალტოს რომ ხდიდნენ, განურჩევლად დაემორჩილა. მერე ჯიბეები მოუხსრიკეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ თან ქაღალდი ან საფულე არა ჰქონოდა, რადგან მათ შეეძლოთ ფარის მაგივრობა გაეწია. დღურუა კი ლოცვასავით იმეორებდა გულში: „როცა დაიძახებენ: „ესროლეს“, მე ხელს ავწევ“.

შემდეგ მიწაში ჩარჭობილ ერთ-ერთ ჯოხთან მიიყვანეს და დამბახა მიაწოდეს. მაშინდა შენიშნა, რომ მის წინ, სულ ახლო, პატარა, ღიპიანი, მელოტი და სათვალისანი კაცი იდგა. ეს იყო მისი მოშუღლარი. ძალიან კარგად ხედავდა მას, მაგრამ მხოლოდ ერთს ჰფიქრობდა: „როცა დაიძახებენ „ესროლეთ“, მე ხელს ავწევ და ვესვრი.

უცებ ღრმა სიჩუმეში ისე გაისმა ხმა, თითქოს შორიდან მოდიოდა:

— მზად ბრძანდებით, ბატონებო?

— მზად ვართ! — დაიძახა დღურუამ.

მაშინ იმავე ხმამ შესძახა:

— ესროლეთ!

დღურუას მეტი აღარაფერი გაუგია, არც დაუნახავს, არც შეუგნია. იმასდა გრძნობდა, რომ ხელს მადლა სწევდა და საჩვენებელ თითს მთელი ძალ-ღონით დამბახის ფეხს აჭერდა. დამბახის გავარდნის ხმაც არ გაუგია. სამაგიეროდ, ლულის ბოლოზე ავარდნილი ბოლი დაინახა. მის პირდაპირ მდგომი კაცი ისევ უძრავად იდგა, და ისიც დაინახა, რომ მოშუღლარის თავზედაც ღრუბლის თეთრი ქულა ავარდა. ორივემ გაისროლა და დუელიც დამთავრდა.

ექიმი და სეკუნდანტებმა დღურუას ტანზე ხელები მოუფათურეს და მოხსრიკეს, ტანისამოსიც გაუხსნეს, თან მღელვარე ხმით ეკითხებოდნენ:

— დაჭრილი ხომ არ ბრძანდებით?

— მგონი, არა ვარ, — უნებურად უპასუხა.

ლანგრემონიც უნებლად გადარჩა. ჟაკ რივალმა უკმაყოფილოდ წაილაპარაკა:

— მუდამ ასე ემართება ამ წყეულ დამბახებს: მისი ტყვია ან მოკლავს კაცს, ან ასცდება. საბაგელი იარაღია!

დღურუა ადგილიდან ვეღარ დაიძრა, რადგან გაცემით და სიხარულით დამბლადაცემული იყო: „გათავდა!“ მას ჩამოართვეს იარაღი, რომელიც ისევ ხელში ეჭირა. ჟურნალისტს ახლა ეჩვენებოდა, რომ ის მზად იყო თუნდაც მთელ ლაშქარს შებრძოლებოდა. უკვე გათავდა! რა ბედნიერია! და საკმაო გამბედაობას გრძნობდა, რათა რჩეული მსროლელიც კი გაეწვია ბრძოლაში.

სეკუნდანტებმა რამდენიმე წუთს ილაპარაკეს და ოქმის შესადგენად შეხვედრის ადგილი დანიშნეს. შემდეგ დღურუა და მისი მეგობრები ისევ ეტლში ჩასხდნენ. კოფოზე მეეტლე იღიმებოდა. შემდეგ შოლტი შეატკაცუნა და ცხენები გარეკა.

ოთხივემ ბულვარზე ისადილა, თანაც დუელზე საუბრობდნენ. დღურუამ თავისი შთაბეჭდილებანი გადმოაღაგა:

— ჩემთვის ეს დუელი მიქარვა იყო, ნამდვილი მიქარვა. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, თქვენც შენიშნავდით და დარწმუნდებოდით.

— ძალიან ყოჩაღად ბრძანდებოდი, — უპასუხა რივალმა.

შემზადებული ოქმი გაზეთში დასაბეჭდად დღურუას ჩააბარეს, რომელსაც ძალიან გაუკვირდა, როცა ამოიკითხა, ვითომ თითოს ორჯერ ესროლოს. ოდნავ შეშფოთდა და რივალს ჰკითხა:

— მგონი, თითოჯერ გავისროლეთ.

— დიახ, თითოჯერ, — ღიმილით უპასუხა რივალმა. — თითომ თითოჯერ, მაშასადამე, სულ ორჯერ.

დღურუა დაკმაყოფილდა ასეთი განმარტებით და აღარ აუხირდა. ბებერი ვალტერი გადაეხვია:

— ვაშა, ვაშა! თქვენ „საფრანგეთის ცხოვრების“ პატივი დაიცავით, ვაშა!

სალამოზე დღურუამ თავის გამოსაჩენად დიდი გაზეთების რედაქციაში და ბულვარის მთავარ ყავახანებში შეიხედა და რამდენიმეჯერ შეხვდა თავის მოშუღლარს, რომელიც იმავე მიზნით გამოსულიყო. ერთმანეთს სალაში არ მისცეს, მაგრამ რომელიმე მათგანი რომ დაჭრილიყო, ურთიერთს ხელს ჩამოართმევდნენ. ორივე ირწმუნებოდა, მოპირდაპირის ტყვიის ზუზუნი გავიგონეო.

მეორე დღეს, დილის თერთმეტ საათზე, დღურუას დეპეშა მოუვიდა: „ღმერთო, როგორ მეშინოდა! დაუყოვნებლივ მოდი კონსტანტინოპოლის ქუჩაზე. მინდა მოგეხვიო, ჩემო სიყვარულო. რა მამაცი ყოფილხარ! თავყანს გცემ. კლო“.

ჟორჟი პაემანზე წავიდა. კლოტილდა მკლავებში ჩაუვარდა, თანაც კოცნას აყრიდა და ტიტილებდა:

— ოოჰ, ჩემო ძვირფასო! რომ იცოდე, როგორ ვღელავდი დღეს დილით, როცა გაზეთებს ვკითხულობდი. მიაშბე, ახლავე მიაშბე! მინდა, ყველაფერი გავიგო.

და დღურუამაც ყველაფერი უამბო, წვრილმანიც არ დაავიწყდა. კლოტილდამ ჰკითხა:

— რა საბაგელ ღამეს გაატარებდი დუელამდე!

— სულაც არა. მშვენივრად მეძინა.

— მე კი თვალსაც ვერ მოვხუჭავდი. მერე, ბარიერთან? მიაშბე, როგორ მოხდა ყველაფერი?

დღურუამ მთელი დრამა მოიგონა:

— როცა ოცი ნაბიჯის მანძილზე დავექით პირისპირ, ე. ი. ოთხი ამ ოთახის სიგრძის მანძილზე, ჟაკმა გვითხრა, მზადა ვართ თუ არა, და ნიშანიც დაიძახა: „ესროლეთ!“, უმაღლე ხელი ავწიე და ზედმიწევნით დავუმიხნე. მაგრამ შევცდი, რადგან თავში ვუმიხნებდი. მეტად მაგარფხა დამბახა შემხვდა, მე კი მსუბუქს ვარ შეჩვეული. რომ დაიჭექა, ლულას მადლა აჰკრა. მაინც ოდნავ ავაცდინე. ის არამზადაც კარგი მსროლელი ყოფილა. ტყვია კინაღამ საფეთქელში მომხვდა. მისმა ნივმაც კი გამკრა.

საყვარელი მუხლებზე ეჯდა და ჟორჟი მკლავებში ჰყავდა ჩახვეული, თანაც თითქოს თვითონაც განიცდიდა მოშუღლარის სიფათს და წამდაუწუმ იმეორებდა:

— უჰ, ჩემო საცოდაო! უჰ, ჩემო ძვირფასო! — ხოლო, როცა დღურუამ ამბავი დაასრულა, უთხრა: — იცი რას გეტყვი: მე უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია. მინდა, მუდამ გხედავდე, ეს კი არ ხერხდება, რადგან ჩემი ქმარი ზოგჯერ პარიზშია ხოლმე.

მანამ შენ ადგებოდე, დილდილობით ერთი საათი თავისუფალი დრო მაქვს და ადვილად შემიძლია მოვიდე და ერთხელ მაინც მოგეხვიო ხოლმე. მაგრამ მე არა მსურს შენს საშინელ ბინაში მოსვლა.

— მაშ რა ვქნა?

დეურუას ერთმა აზრმა გაჰკრა და ჰკითხა:

— რამდენს აძლევ ამ ბინაში?

— თვეში ას ფრანკს.

— კეთილი, ამ ხარჯს მე ვკისრულობ და ამ ბინაში გადმოვივარ. ჩემი ძველი ბინა ჩემს ახალ თანამდებობას არ შეშვენის.

კლოტილდამ ცოტა მოიფიქრა და უპასუხა:

— არა, არ მინდა.

— რატომ? — გაოცდა ჟორჟი.

— იმიტომ...

— ეგ რა საბუთია! ეს ბინა ჩემზეა გამოჭრილი, აქა ვარ და აქვე ვრჩები, — გაიცინა და დაუმატა: — ისიც გაიხსენე, რომ ეს ბინა ჩემ სახელზეა დაქირავებული.

— არა, არა, არ მინდა, — ახირდა კლოტილდა.

— რატომ-მეთქი?

მაშინ საყვარელმა ჩუმად და ნაზად ჩასჩურჩულა ყურში:

— იმიტომ, რომ... აქ ქალებს მოიყვან.

— არასოდეს! — აღელდა ჟორჟი. — პატიოსან სიტყვას გაძლევ.

— არა მჯერა. მოიყვან.

— გეფიცები.

— მართლა?

— პატიოსნებას გეფიცები-მეთქი. ეს ჩვენი სახლი იქნება, მხოლოდ ჩვენი.

კლოტილდამ კინადამ დაახრჩო კოცნით:

— მაშ თანახმა ვარ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ, იცოდე: თუ მომატყუე, თუნდაც ერთხელ მომატყუე, ჩვენს შორის ყველაფერი სამუდამოდ გათავდება, ყველაფერი, ყველაფერი.

ჟორჟი წრფელი გულით ეფიცებოდა. შეთანხმდნენ, რომ დეურუა იმავე დღეს გადმოვიდოდა, რათა კლოს მუდამ შესძლებოდა შემოსვლა, როცა კი ამ სახლთან გაივლიდა. შემდეგ კლოტილდამ უთხრა:

— რაც უნდა იყოს, კვირას სადილად უნდა მოხვიდე. ჩემი ქმარი მოხიბლული გეყავს.

— მართლა? — მოეწონა ჟორჟს. — ჰო, იმის გული პირველივე ნახვით დაიპყარი. აი კიდევ რას გეტყვი: შენ მეუბნებოდი, სოფელში გაგიზარდევო, არა?

— აგრეთა. მერე?

— მაშ სასოფლო მეურნეობას მაინც უნდა იცნობდე.

— ჰო.

— მაშ ჩემ ქმარს ცოტა მაინც ესაუბრე მებაღეობაზე, მამულის საქმეზე. ძალიან უყვარს.

— კეთილი. არ დამავიწყდება.

დეურუა კლოტილდას ნამეტანი სინაზე გაუღვივა და ამიტომ უამრავი კოცნის შემდეგლა წავიდა.

დეურუა რედაქციაში მიდიოდა და ფიქრობდა: „რა სასაცილო არსებაა! ნამდვილი ჩიტის თავია! ვინ გამოიცნობს, რა უნდა და რა უყვარს! მერე რა სასაცილო წყვილია! ვის მოუვიდა ასეთი გასაშტერებელი აზრი — ის ბებერი და ეს ქარაფშუტა შეეუღლებინა? ნეტა რა მოსაზრების გამო შეირთო ბატონმა ინსპექტორმა ეს კუდრაჭა მოწაფე? აქ რაღაც საიდუმლო იმალება. ვინ იცის, იქნებ სიყვარულიც იყო?“

ბოლოს გაიფიქრა: „რაც უნდა იყოს, დიდებული საყვარელია და უდიდეს სისულელეს ჩავიდენ, თუ ოდესმე ხელიდან გავუშვებ“.

თავი მერვე

დეურუას წყალობით დეურუა „საფრანგეთის ცხოვრების“ მთავარ თანამშრომელთა რიგში ჩადგა, მაგრამ რადგან უამრავი შრომა დახარჯა რამე ორიგინალურის მოგონებაზე და მაინც ვერაფერი გააწყო, ამიტომ სპეციალობად ჭრელი და მედიდური მსჯელობა აირჩია ზნეობის დაცემის, ხასიათის გაფუჭების, პატრიოტიზმის შესუსტებისა და ფრანგული ღირსების ანემიის (სიტყვა „ანემია“ თვითონ შეიტანა საგაზეთო წერილებში და ამის გამო ძალიან ამაყობდა) შესახებ.

და როცა ქნი დე მარელი — ეს თვალსაჩინო ნიმუში დამცინავი, სკეპტიკური და ქარაფშუტა სულისა, რასაც „ფრანგულ ჭკუას“ უწოდებენ, მასხარად იგდებდა მის ტირადებს და ერთი მჭრელი სიტყვით ანადგურებდა, ჟორჟი ღიმილით ეუბნებოდა:

— მერე რა! სამაგიეროდ, მომავლისათვის კარგ სახელს ვიმზადებ.

ახლა უკვე კონსტანტინოპოლის ქუჩაზე ცხოვრობდა. მისი ბინის გამოცვლა იმაში გამოიხატა, რომ ჩემოდანი, საწმენდი, სამართებელი და საპონი გადაიტანა.

ახალგაზრდა ქალი კვირაში ორჯერ ან სამჯერ, დილით ადრე, ჟორჟის ადგომამდე, ახალ ბინაში შეირბენდა, წუთში გაიხდიდა და სიცივით აკანკალებული ლოგინში შეუგორდებოდა ხოლმე.

თავის მხრივ დღურუა ყოველ ხუთშაბათს მასთან სადილობდა, ქმარს ელაშუქებოდა და სასოფლო მეურნეობაზე ესაუბრებოდა. და რადგან თვითონაც ძალიან უყვარდა მიწა და ყოველივე, რასაც მიწასთან ჰქონდა კავშირი, ამიტომ ზოგჯერ ორივეს ისე გაიტაცებდა ხოლმე საუბარი, რომ სულ ავიწყდებოდათ ახალგაზრდა ქალი, რომელიც იქვე, სავარძელში თვლემდა.

ამ დროს ლორინასაც ეძინა ხოლმე, ზოგჯერ — მამის, ზოგჯერ კი ლამაზი მეგობრის მუხლებზე.

და როცა ჟურნალისტი წავიდოდა, ბ-ნი დე მარელი დარიგების კილოთი იტყოდა ხოლმე, რადგან ყოველნაირ წვრილმანხედაც კი ამავე კილოთი ლაპარაკობდა:

— ძალიან საინტერესო ახალგაზრდა ვაჟია, ძალიან საინტერესო და განვითარებული.

უკვე თებერვლის მიწურული იყო. ვინც დილით პატარა ორთვალეებს გაუფლიდა, რომელსაც მოვაჭრე დედაკაცები მიაგორებდნენ, უკვე იის სუნს შეიყნოსავდა.

დღურუას ცაზე ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არ მოჩანდა. და აი, ერთხელ, დამით რომ დაბრუნდა, კარის ქვეშ შემოცურებული წერილი იპოვა. დახედა ბეჭედს და წაიკითხა: „კანი“. წერილში ეწერა:

„კანი“, ვილა „ჟოლი“.

„ძვირფასო მეგობარო! ხომ გახსოვთ თქვენი სიტყვები: ჩემი იმედი გქონდეთო? აი, ახლა იძულებული ვარ დიდი დახმარება გთხოვოთ: შარლი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს განიცდის და ასეთ დროს მარტო ნუ დამტოვებთ. თუმცა ჯერ კიდევ დგება ლოგინიდან, ექიმმა მაინც გამაფრთხილა, ერთ კვირასაც ვეღარ გაძლებსო.

მე აღარც ღონე შემწევს და არც სულის ძალა, რომ დღედაღამ იმის სულის დაფვას ვადევნო თვალყური, და ზარდაცემული ვფიქრობ მომავალ უკანასკნელ წუთებზე. ასეთი თხოვნით შემძღვია მარტო თქვენ მოგმართოთ: ჩემს ქმარს მახლობელი ნათესავი არავინ ჰყავს. თქვენ მისი მეგობარი იყავით. შარლმა რედაქციაში მოგაწყოთ. გემუდარებით, ჩამოდით. სხვა ვეღარავინ მომიხმია.

თქვენი ერთგული მეგობარი მადლენა ფორესტიე“.

დღურუას გული უცნაურმა გრძნობამ მოიცვა — განთავისუფლების, გახსნილი ხალვათობის გრძნობამ — და თავის თავს უთხრა: „რა თქმა უნდა, წავალ. საწყალი შარლი! ასეთია ყველას ბედი“.

მადლენას წერილი პატრონს აჩვენა: რომელმაც ჟორჟი ბუზღუნით დაითხოვა და თან იმეორებდა:

— მალე დაბრუნდით. საჭირო ხართ.

მეორე დღეს დღურუამ თავისი წასვლა ორივე დე მარელს დეკემბით შეატყობინა, შვიდ საათზე სწრაფი მატარებლით კანში წავიდა და მეორე დღეს, ნაშუადღევს ოთხ საათზე, უკვე იქ იყო.

კომისიონერმა მთის კალთაზე აშენებულ ვილამდე მიაცილა, აიყვანა თეთრი სახლებით მიმობნეულ ნაძვნარში, რომელიც კანში იწყება და შუანში თავდება.

ვილა „ჟოლი“ (* ანუ „ლამაზი“ (ფრანგ.) იტალიური სტილის პატარა თეთრი სახლი იყო და გზის ნაპირას იდგა. ეს გზა ტყეში კლაკნით ადიოდა მთაზე და ყოველ მოსახვევზე საუცხოო სურათს გადასცქეროდა.

მსახურმა ჟორჟს კარი გაუღო და მიახალა:

— ბატონი და ქალბატონი მოუთმენლად მოგელიან.

— როგორ ბრძანდება თქვენი ბატონი? — ჰკითხა დღურუამ.

— ძალიან ცუდად. დიდხანს ვეღარ გაატანს.

ჟორჟი შევიდა. პირველი ოთახი ვარდისფერი ჩითით იყო აკრული და ლურჯი ყვავილებით დაწინწკლული. მაღალი და განიერი ფანჯარა ქალაქს და ზღვას გადასცქეროდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, მშვენიერი აგარაკია! ნეტა სად შოულობენ საამისო ფულებს? — წაიხურჩულა ჟორჟმა.

კაბის შრიალმა მოაბრუნა. ქალბატონმა ფორესტიემ ორივე ხელი გაუწოდა.

— რა სიკეთე მიყავით, რომ თხოვნა შემისრულეთ!

და უცებ გადაეხვია. მერე ერთმანეთი შეათვალიერეს, მადლენა ოდნავ გამხდარი და გაფითრებული იყო, მაგრამ წინანდელივით ქორფა იერი ჰქონდა, თითქოს უფრო განაზებულებოდა და გალამაზებულებოდა.

— შარლი საშინელებად გადაიქცა, — წაიხურჩულა მადლენამ. — გრძნობს, რომ მისი დღენი დათვლილია და საზარლად მაწვალებს. უკვე შევატყობინე თქვენი ჩამოსვლა. სად არის თქვენი ჩემოდანი?

— სადგურზე დავტოვე: არ ვიცოდი, რომელ სასტუმროში მირჩევდით დაბინავებას, რომ ახლო ვყოფილიყავი თქვენთან.

მადლენა შეყოყმანდა და უპასუხა:

— ამავე ვილაზე დაბინავდებით. ოთახი უკვე გავამზადებინე. შეიძლება უცებ გარდაიცვალოს, და თუ ეს უბედურება დამე მოხდა, მე მარტო ვიქნები. ბარგს ახლავე მოვატანინებ.

— როგორც გენებოთ, — და თავი დაუკრა.

— ახლა კი ზევით ადით.

დიურუა გაჰყვა. მადლენამ მეორე სართულზე შეაღო კარი და ჟორჟმა დაინახა: ფანჯარასთან სავარძელში ცოცხალი ლეში ზის — საბნებში გახვეული და ჩამავალი მზის შუქისგან ჯივარით გაწითლებული. ზის და დიურუას შესცქერის. ჟორჟმა ძლივს იცნო, უფრო კი მიხვდა, რომ მისი მეგობარი იყო.

ოთახში ეთერის, ფისის და წამლების შემაწეხებელი სუნი იდგა — მძიმე და გაურკვეველი სუნი ოთახისა, სადაც ჭლექიანი სუნთქავს ხოლმე.

ფორესტიემ ნელა და გაჭირვებით ასწია ხელი.

— ძლივს არ ჩამოხვედი! — თქვა, — მომაკვდავის სანახავად ჩამოხვედი, არა? გმადლობთ.

დიურუამ ნაძალადევად გაიცინა:

— მომაკვდავისა? სასიამოვნო არაფერია. ამის სანახავად კანში ჩამოსვლა არ ღირდა. უბრალოდ, შენს სანახავად და ცოტა დასასვენებლად ჩამოვედი.

— დაჯექი, — წაიხურჩულა ფორესტიემ, თავი ჩაქინდრა და შავმა ფიქრებმა მოიცვა. სწრაფად, ხშირად სუნთქავდა და დროგამოშვებით კვნესოდა, თითქოს სურდა, თავისი ტანჯვა სხვებისთვისაც გაეხსენებინა.

ფორესტიემ რომ დადუმდა, მადლენა ფანჯარასთან მივიდა, ჟორჟს თავის ქნევით ცის ტატნობზე მიუთითა და უთხრა:

— შეხედეთ, რა ლამაზია!

აგარაკებით მოფენილი მთის კალთები ქალაქამდე ეშვებოდა, რომელიც ზღვის ნაპირას ნალივით გადაშლილიყო. მარჯვნივ ის ნავსაყუდელს მიჰკროდა, რომელსაც ძველი ქალაქი და ძველი კოშკი დაჰყურებდა, ხოლო მარცხნივ ლორენის კუნძულებთან თავდებოდა. ეს კუნძულები ლურჯ მიდამოზე დაწინწკლულ ორ წერტილს ემსგავსებოდა და იმდენად თხელი იყო, რომ ორ უზარმაზარ წყალში მოცურავე ფოთოლს ჰგავდა.

შორს, ძალიან შორს, ყურეს მიღმა, თითქოს ჰორიზონტს ჩამოეფარაო, კრიალა ცის ფონზე მოჩანდა საუცხოო, ზღაპრული სილამაზის მოციისფრო ჯაჭვი მოხრილი, მრგვალი, დაკლაკნილი და წვეტიანი მთებისა, რომელიც პირამიდის მსგავსი მაღალი, ფრიალო კლდით მთავრდებოდა.

დაბურული მწვერვალების ზემოთ კი თვალისმომჭრელად გადაჭიმულიყო ცეცხლისფერი ცა.

დიურუა მოიხიბლა მზის ჩასვლის ამ დიდებული სანახაობით. — ჰო! ეს მართლაც რომ უმშვენიერესი რამაა! — წაიხურჩულა მან, სხვა უფრო ხატოვანი სიტყვა ვერ მონახა თავისი აღფრთოვანების გამოსათქმელად.

ფორესტიემ ცოლისკენ მოიხედა და ჩაილაპარაკა:

— ცოტა ჰაერი შემოუშვი.

— ფრთხილად იყავი, — უპასუხა. — მზე ჩადის, საღამოა და შეიძლება ხელახლა გაცივდეს. ეს კი, ხომ იცი, რას ნიშნავს შენთვის.

მან მარჯვენა ხელი ციებიანივით ოდნავ გაიქნია, და ამ მოძრაობით უნდა მიხვედრილიყავით, რომ მას მუშტის მოკუმშვა ეწადა, და თქვა მომაკვდავის მრისხანე ღმეჭით, რამაც მისი ტუჩების სითხელე, პირისახის სიგამხდრე და ძვლების წვეტები გამოაჩინა.

— გეუბნები, ვიხრჩობი-მეთქი. რაკი სიცოცხლე მითავდება, განა შენთვის სულ ერთი არ არის, ერთი დღით ადრე მოგკვდები თუ გვიან?

მადლენამ ფართოდ გააღო ფანჯარა. სუფთა ჰაერმა ყველაზე ალერსივით იმოქმედა. ოთახში შემოფუსფუსდა გაზაფხულის რბილი, თბილი, ნელი ნიაგი, რომელიც ბუჩქნარის და ყვავილების სუნით იყო გაჟღენთილი, ნამეტნავ კი ნაძვის ფისის მაგარი სურნელი და ევკალიპტების მწვავე სუნი იგრძნობოდა.

ამ ჰაერს ფორესტიე ხშირი სუნთქვით ყლაპავდა. ფრჩხილებით სკამის სახელურებს ჩაეჭიდა და მსტვენავი ხმით ყრუდ და ბრაზით წარმოთქვა:

— მისურე ფანჯარა, ჰაერმა ფილტვები მატკინა. ისევ მირჩვენია, სადმე სარდაფში ჩაეძაღლდე.

ცოლმა ფანჯარა ნელა მიკეტა, შემდეგ შუბლი მინას მიაღო და თვალებით შორეთს დააშტერდა.

დღურუას გონება დაუძიმდა. სურდა ავადმყოფისათვის რაიმე ეთქვა, გაემხნეებინა, მაგრამ სანუგეშო სიტყვა ვერ იპოვა. ბოლოს მაინც ჰკითხა:

— რაც პარიზიდან წამოხვედი, უკეთესობას ვერ ამჩნევ?

მან ნერვულად აიჩეჩა მხრები:

— შენვე ხედავ, — და თავი ხელახლა ჩაქინდრა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — განაგრძო დღურუამ, — პარიზთან შედარებაც არ შეიძლება. ეს მეტისმეტად კარგი ქვეყანა ყოფილა. იქ ჯერ ნამდვილი ზამთარია: თოვლი, ყინვა, წვიმა, ხოლო სამ საათზე უკვე ლამპების ანთება გეჭირდება.

— ახალი რა არის რედაქციაში?

— არაფერი. შენს მაგივრად დროებით ლაკრენი მოიყვანეს „ვოლტერიდან“, მაგრამ ჯერჯერობით საშინლად სუსტი მუშაკია. დროა, დაბრუნდე.

— მე? — წაიბურტყუნა ავადმყოფმა. — მე ჩემს წერილებს მალე მიწის ქვეშ დავწერ, ორი ადლის სიღრმეზე.

და ზარის რეკვასავით ხელახლა უბრუნდებოდა მტანჯველი, კვიატი იდეა ყოველი სიტყვის, საბაბის და აზრის გამო.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, — დრმა და სევდიანი. ჩამავალი მზის ღია ფერები თანდათან შემკრთაღდა. ხოლო შემუქებულ წითელ ცაზე აყუდებული მთები ბინდით იმოსებოდნენ. ღამის ჩრდილი ჯერ კიდევ შეზავებული იყო მიმქრალი მნათობის ფერადოვანი და სუსტი ანარეკლებით. ეს ჩრდილი ოთახშიც იპარებოდა და ავეჯს, კედლებსა და შპალერსაც შავი და ღვიძლის ფერით ნისლოვანად ღებავდა. საბუხრე სარკეში მოჩანდა ტატნობი, რომელიც სისხლისფრად იყო შეღებილი.

ქნი ფორესტიე სახით ისევ ფანჯრის მინაზე იყო მიყუდებული. ბოლოს ავადმყოფმა ნაწყვეტად, გულსაკლავად მიმხრჩვავი ხმით დაილაპარაკა:

— ნეტა კიდევ რამდენჯერ ვნახავ მზის ჩასვლას? რვაჯერ... ათჯერ...

თხუთმეტჯერ... ოცჯერ... შეიძლება ოცდაათჯერაც, მაგრამ მეტს ვეღარ ვნახავ. ყველას ჯერ კიდევ გაქვთ დრო, ჩემთვის კი ყველაფერი გათავდა... და როცა მე აღარ ვიქნები, ყველაფერი მაინც უცვლელი დარჩება.

რამდენიმე წუთით დადუმდა და განაგრძო:

— რასაც ახლა ვხედავ, ყველაფერი მეუბნება, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ამასაც ვეღარ ვნახავ... საშინელებაა... მე ვეღარაფერს ვერ ვნახავ, ვერაფერს, რაც კი არსებობს, სულ უბრალო ნივთებსაც კი ვეღარ ვიხილავ... ჭიქებს, თევშებს... ლოგინს, სადაც ასე კარგად ვისვენებდი ხოლმე... ვეღარც ეტლებს... რა კარგია საღამოობით ეტლით სეირნობა!.. როგორ მიყვარდა ყველაფერი!

ხელის თითებს ნერვულად უკაკუნებდა სკამის სახელურს, თითქოს პიანინოს უკრავსო. იმდენად ცხადი იყო მისი ნააზრვის საშინელება, რომ ავადმყოფის დუმილი მის ჩივილზე უფრო გულსაკლავი იყო. დღურუას უცბად ნორბერ დე ვარენის ნაუბარი გაახსენდა: „ახლა სიკვდილს იმდენად ახლო ვხედავ, რომ ხშირად სურვილი მებადება,

ხელი ვკრა და უკუვაგდო იგი. მას ყველგან ვხედავ. გზაზე გაჭყლეტილი მწერი, ჩამოცვენილი ფოთლები, მეგობრის წვერში გამოჩენილი თეთრი ბეწვი — ყოველივე ეს გულს მიკლავს და ჩამკივის — „აჰა სიკვდილი!“

მაშინ დღურუამ ვერ გაიგო ნათქვამის აზრი, ახლა კი, ფორესტიეს რომ უმხერდა, ყველაფერი იგრძნო, იგრძნო და უცნობმა კაეშანმა შეიპყრო. თითქოს ეს საზარელი სიკვდილი სულ ახლოს ეგრძნოს, ერთი ადლის მანძილზე, აგერ იმ სავარძელში, სადაც მისი მეგობარი იხრჩობოდა.

და მას ადგომის, წასვლის, გაქცევის და ახლავე პარიზში დაბრუნების სურვილი მოერია. ოჰ, რომ სცოდნოდა, არასგზით არ წამოვიდოდა.

ოთახში ღამის ბინდი ჩამოწვა და მომაკვდავი ნაადრევად შემოსა სამგლოვიარო სუდარით. მარტო ფანჯარაღა მოჩანდა და მის ნათელ ოთხკუთხედში ახალგაზრდა ქალის მუქი აჩრდილი ისახებოდა.

— რა ამბავია, დღეს ღამპას აღარ მოიტანენ? — ბრაზით იკითხა ფორესტიემ. — მაგათ რომ ჰკითხო, ამას ავადმყოფის მოვლა ჰქვია.

ფანჯრის მინებზე მოხატული ქალის ჩრდილი უმაღლე გაქრა და ელექტრონის ზარმა მკვახედ დაიწკარუნა.

მოსამსახურემ მალე შემოიტანა ღამპა და ბუხრის თავზე დადგა. ქმა ფორესტიემ ქმარს ჰკითხა:

— როგორ გინდა, დაწვები თუ სადილად ქვევით ჩამოხვალ?

— ჩამოვალ, — წაიხურჩულა ქმარმა.

სადილის მოლოდინში სამივენი ერთ საათს უძრავად ისხდნენ და დროგამოშვებით რამე სიტყვას ისროდნენ, ისეთ უსარგებლო, ზედმეტსა და გაცვეთილ სიტყვებს ამბობდნენ, თითქოს ხანგრძლივ დუმბილში რაღაც ხიფათი ყოფილიყო მიმალული, იღუმალი ხიფათი და საჭირო იყო, უტყვი ჰაერის შერყევა ამ ოთახში, სადაც უკვე ფუსფუსებდა სიკვდილი.

ბოლოს სასადილოდ ჩავიდნენ. დღურუას იგი გრძლად, დაუსრულებლად მოეჩვენა. აღარ ღამპარაკობდნენ, უხმოდ ჭამდნენ და თითებით პურის ნაჭრებს ფხვნიდნენ. მსახურიც ისე მოძრაობდა, ისე გადიოდა და შემოდიოდა, რომ მისი ფეხის ხმაც კი არ ისმოდა: ქეჩის ჩუსტები ეცვა, რათა ჩექმის კაკუნს შარლი არ შეეწუხებინა. მხოლოდ კედლის საათის მექანიკური რაკუნის არღვევდა სიჩუმეს.

გაათავა თუ არა დღურუამ ჭამა, დადლილობა მოიმიზეხა და თავის ოთახში გავიდა. იქ სარკმელს მიეყრდნო და მთვარეს დაუწყო ცქერა, რომელიც აგარაკის თეთრ კედელს ცაში ჩამოკიდებული უზარმაზარი, მრგვალი ფარანივით ოღნავი ნისლით მოცულ ხმელ შუქს ესროდა და ზღვის ზედაპირზე თევზის ნაზი ქერცლივით ბრწყინავდა. ჟორჟი უმხერდა ამ სურათს და ღამობდა წასასვლელი საბაბი ეპონა — რაიმე ეშმაკობა, ან დეპეშა მოეგონა ვინმესგან, თუნდაც ვალტერისაგან, რომელიც ვითომ სასწრაფოდ სთხოვდა მას პარიზში დაბრუნებას.

მაგრამ როცა მეორე დილით გაიღვიძა, დარწმუნდა, რომ გაქცევა შეუძლებელი იყო. ქნ ფორესტიეს ვერ მოატყუებდა, ხოლო სულმოკლეობის გამო შეიძლებოდა თავისი ერთგულების ნაყოფი სულაც დაეკარგა. „ღიახ, ძალიან ძნელია, — უთხრა თავისთავს, — მაგრამ მეტი გზა არ არის. ცხოვრებაში უსიამოვნო წუთებიც არსებობს, თუმცა, შეიძლება ამან დიდხანს არც კი გასტანოს“.

ელვარე დღე იყო. სამხრეთის ლაჟვარდი ცა გულს სიხარულით ავსებდა. დღურუა ზღვის ნაპირზე ჩავიდა: ფორესტიესთან შესვლა ჯერ აღრე იყო.

როცა საუზმის დრო მოვიდა, უკანვე დაბრუნდა. მსახურმა უთხრა:

— ბატონმა რამდენჯერმე გიკითხათ. თუ გნებავთ, შებრძანდით.

დღურუა ზევით ავიდა. ფორესტიე სავარძელში იჯდა და თითქოს ეძინა. მისი ცოლი იქვე ტახტზე წამოწოლილიყო და წიგნს კითხულობდა.

ავადმყოფმა თავი ასწია. დღურუამ ჰკითხა:

— ჰა, როგორა ხარ? დღეს უკეთესი ფერი გადევს.

— ჰო, დღეს უკეთა ვარ, — ჩაიხურჩულა მან. — ძალ-ღონე მიბრუნდება. შენ და მადლენამ მალე ისაუზმეთ, რადგან სასეირნოდ მივდივართ.

როცა ახალგაზრდა ქალი და დღურუა მარტონი დარჩნენ, მადლენამ უთხრა:

— დღეს ისევ ეჩვენება, გადავრჩიო. დილას აქეთ რაღაც გეგმებზე ფიქრობს. ახლა ქუანის ყურეში წავალთ და პარიზის ბინისთვის ფაიანსს ვიყიდით. მას უეჭველად სურს

წავიდეთ, მე კი საშინლად მეშინია, უბედურება არ მოხდეს. გზის ნჯღრევას ვერ გაუძლებს.

ეტლი რომ მოიყვანეს, ფორესტიე მსახურის დახმარებით ნელა ჩავიდა კიბეზე და, კარგა რომ დაინახა, სახურავის გადახდა მოითხოვა.

ცოლი ეუბნებოდა:

— გაცივდები. ნუ გაგიჟდი.

ქმარი კი უინიანობდა:

— არა, წინანდელზე გაცივებით უკეთა ვარ-მეთქი. მე ვგრძნობ ამას.

— ჯერ წავიდნენ ბინდიანი გზით, რომელიც ბაღებსშუა მიდიოდა და კანს ინგლისური ბაღის იერს აძლევდა, მერე ზღვის ნაპირზე მიმავალ ანტიპის გზაზე გავიდნენ. ფორესტიე დედურუას იქაურობას აჩვენებდა. გრაფ დე პარის ვილა დაანახა და სხვა აგარაკებიც დაასახელა. ავადმყოფს მხიარულად მოჰქონდა თავი, მაგრამ ეს განწირულის ნაძალადევი და საბრალო მოღსენა იყო. თითს ზევით იშვერდა, მაგრამ ხელის ასაწვეად ძალა აღარ შესწევდა.

— აგერ წმიდა მარგარიტას კუნძული და ციხე-დარბაზი. იქიდან გაიქცა მარშალი ბაზენი. კარგი დავიდარაბა კი აგვიტყვა იმ ამბავმა!

შემდეგ ერთად გატარებული სამხედრო ცხოვრება გაიხსენა და დაასახელა გვარი რამდენიმე ოფიცრისა, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევასთან იყვნენ დაკავშირებული. მაგრამ აი, გზამ მოუხვია და თვალწინ ქუანის მთელი ყურე, სიღრმეში მიკუნჭული თეთრი სოფელი და მის პირდაპირ მდებარე ანტიპის კონცხი გადაიშალა. უცებ ბავშვური სისხარულით აღტაცებულმა ფორესტიემ წაიღუღლულა:

— აჰა, ესკადრა! ახლავე დაინახავ ესკადრას!

ნავსაყუდელის შუაგულში მართლა მოჩანდა ექვსიოდე დიდი გემი, რომელნიც ტოტებით შემოსილ კლდეებს ჰგავდნენ. უცნაური, მახინჯი იერი ჰქონდათ: რაღაც დევები თუ იყვნენ — კოჟრიანი, კოშკიანი, დეზიანი დევები, და ისე ღრმად ისხდნენ წყალში, თითქო შიგ ფესვების გადგმას აპირებდნენ.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ უზარმაზარ, ფსკერზე მიკრულ გოლიათებს ადგილის გადანაცვლება და მოძრაობა შესძლებოდათ. მრგვალი, მაღალი და ობსერვატორიის მსგავსი მოძრავი ბატარეა ზღვის კლდეზე აშენებულ კანდელს ჰგავდა.

ამ ჯავშნოსნების გვერდით დიდი სამანძიანი ხომალდი გაშლილ ზღვაში გადიოდა. მას თეთრი და მორთული აფრები გაეშალა და მეტად კოხტა და ლამაზი ჩანდა რკინის საომარ გველეშაპების გვერდით, რომელნიც ასე გონჯად ისხდნენ წყალში.

ფორესტიე მათ გარჩევას ცდილობდა:

— აგერ „კოლბერი“, „სეფურენი“, „ადმირალი დეჰპრე“, „მრისხანე“, „განადგურება“, თუმცა არა, — გაასწორა, — შევცდი, „განადგურება“ აგერ ის არის. მალე დიდ შენობას მიაღვნენ. მასზე ეწერა: „ქუანის ყურის მხატვრული ფაიანსი“. ეტლმა მოღზე მოუხვია და შესავალთან შედგა.

ფორესტიეს უნდოდა, წიგნების კარადაზე დასადგმელად ორი ლარნაკი ეყიდა. რადგან ეტლიდან ვერ გადმოდიოდა, ორივე ნიმუში ეტლთან მიუტანეს. დიდხანს არჩევდა, თანაც ცოლს და დედურუას რჩევას ეკითხებოდა:

— იცი, შეიძლება, ეს ჩემი კაბინეტის სიღრმეში დავდგათ. ჩემი სავარძლიდან მუდამ დავინახავ ხოლმე. მე ძველი, ბერძნული ფორმა მირჩევნია.

ნიმუშებს გულდასმით სინჯავდა, ახალ-ახლებს თხოულობდა და ისევ პირველს უბრუნდებოდა. ბოლოს გაბედა, აირჩია, ფული გადაიხადა, უმაღვე აგარაკზე გააგზავნინა და დაასრულა:

— რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში ვბრუნდები.

ეტლი გამობრუნდა, მაგრამ ყურეს ნაპირზე ხეობიდან მოულოდნელად გამოსხლეტილ ცივი ქარის ნაკადს წააწყდა. ფორესტიეს ხველა აუვარდა.

ჯერ საიმისო არაფერი იყო. ოდნავ ახველებდა, მაგრამ შემდეგ თანადათან გაუძლიერდა და განუწყვეტელ სლოკინად და ხრიალად გადაექცა.

ფორესტიე იხრჩობოდა, და ყოველთვის, როცა კი მოისურვებდა ამოესუნთქა, გულის სიღრმიდან ამოვარდნილი ხველა ყელს უფხრეწავდა. ეს ხველა ველარც რითიმე შეანელეს და ვერც შეაჩერეს. ეტლიდან ოთახში ხელით გადაიყვანეს. დედურუას მისი ფეხები ეჭირა და გრძნობდა, რომ ყოველ დახველებაზე უფართხალებდა.

ლოგინის სითბომაც ვერ უშველა და ხველამ შუადამედე გასტანა. ეს მომაკვდინებელი ხრიალი მხოლოდ თრიაქით შეაჩერეს და ავადმყოფი დილაძე თვალდია იჯდა ლოგინში.

დილით თავდაპირველად პარიკმახერი მოითხოვა, რადგან წვერს ყოველდღე იპარსავდა. ლოგინიდან წამოდგა, მაგრამ მაშინვე ჩააწვინეს. წყვეტილი, მძიმე და სწრაფი სუნთქვა ჰქონდა. შეშინებულმა მადლენამ ახლადჩადინებული დეურუა გააღვიძებინა და სთხოვა, ექიმის მოსაყვანად წასულიყო.

ჟორჟმა უმაღლე მოიყვანა ექიმი გავო, რომელმაც წამალი გამოუწერა და რამდენიმე დარიგება მისცა, მაგრამ როცა გადიოდა, გასაცილებლად გაყოლილ დეურუას უთხრა:

— უკვე სულთმობრძავია, დილაძე ვეღარ გაატანს. მისი საბრალო ცოლი გააფრთხილეთ და მღვდელიც მოიყვანეთ. თუმცა მე თქვენს განკარგულებაში გახლავართ, მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ მე აქ საჭირო აღარ ვარ.

დეურუამ მსახურის პირით ქ-ნი ფორესტიე დაიბარა და უთხრა:

— შარლი კვდება. ექიმმა მირჩია, მღვდელი მოუყვანეთო. თქვენ რას მიბრძანებთ?

მადლენა დიდხანს ყოყმანობდა. შემდეგ ყველაფერი აწონა და ნელა თქვა:

— ჰო, ასე აჯობებს... ყოველ მხრივ. მე წავალ და შევამზადებ. ვეტყვი, შენი ნახვა თვითონ მღვდელმა მოისურვა-მეთქი, ან ამის მაგვარ რამეს მოვიგონებ. თქვენ კი სიკეთე მიყავით და ვინმე მღვდელი მოიწვიეთ... ისეთი აირჩიეთ, რომ ნამეტნავად არ იპრანჭებოდეს, ეცადეთ, აღსარებით დაკმაყოფილდეს და სხვა დანარჩენი თავიდან აგვაშოროს.

ახალგაზრდა კაცმა მოიყვანა ხნიერი, დარბაისელი მღვდელი, რომელიც ხალისით ეგუებოდა გარემოებას. მღვდელი რომ მომაკვდავთან შევიდა, ქ-ნი ფორესტიე გამოვიდა, დეურუასთან ერთად მეზობელ ოთახში დაჯდა და უთხრა:

— თავზარი დაეცა. მღვდლის მოყვანა რომ გაიგო, სახე შემაზრზუნად დაეღმიჯა, თითქოს... „მისი“ სუნთქვა ვერძნოს, ხომ გესმით? მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა, და რომ მისი ჟამი უკვე დათვლილია.

საშინლად ფერმკრთალმა მადლენამ განაგრძო:

— მისი სახის გამომეტყველება არასოდეს დამავიწყდება. ეჭვი არა მაქვს, იმწამს სიკვდილი დაინახა... ჰო, დაინახა.

მღვდელს ყურთ აკლდა და ხმამაღლა ღაპარაკობდა:

— არა, არა-მეთქი, — ამბობდა მოძღვარი. — არც ისე ცუდად არის თქვენი საქმე. რა თქმა უნდა, ავად ბრძანდებით, მაგრამ სერიოზული ხიფათი მაინც არ მოგელით. საამისო საბუთიც აქვე გაქვთ: მე გეახელით, როგორც მეგობარი და მეზობელი.

დეურუამ და მადლენამ შარლის პასუხი ვერ გაიგონეს.

— არა, არ გაზიარებთ, — განაგრძო მღვდელმა. — როცა მომჯობინდებით, ზიარებაზე მაშინ ვილაპარაკოთ. მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩემი მოსვლით ისარგებლებთ და აღსარებას მეტყვით. მე მოძღვარი ვარ და ყოველთვის ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ჩემი კრავები ჭეშმარიტ გზაზე დავაყენო ხოლმე.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ, ფორესტიე ღაპარაკობდა, თავისი მიმხრევალი და უსიცოცხლო ხმით აღსარებას ამბობდა. უცებ მღვდელი სხვანაირ კილოზე — საკურთხეველის კილოზე აღაპარაკდა:

— ღვთის მოწყალება უსაზღვროა, შვილო. წაიკითხეთ Confiteor* (* მონანიების ლოცვა: „ვაღიარებ...“ (ლათ.)) იქნება, დაგავიწყდათ... გაგახსენებთ. გაიმეორეთ: Confiteor Deo omnipotenti... Beatae Mariae semper virgini...** (** „ვაღიარებ ყოვლისმპყრობელი ღვთისა... (და) ნეტარი, მარად ქალწული მარიამის წინაშე...“)

და დროგამოშვებით ჩუმდებოდა, რათა ავადმყოფს გამეორება მოესწრო. მერე თქვა:

— ახლა აღსარება მითხარით.

ახალგაზრდა ქალი და დეურუა არ ინძრეოდნენ. უცნაური სიმორცხვითა და საშინელი მოლოდინის ღელვით იყვნენ შეპყრობილნი. ავადმყოფმა რაღაც თქვა. მღვდელმა გაიმეორა:

— თქვენ გარყვნილებას აქეზებდით... რანაირს, შვილო?

ახალგაზრდა ქალი წამოდგა და —

— ცოტა გავისეირნოთ ბაღში, — თქვა. — სხვის საიდუმლოს ყურს ნუ მიუვუგდებთ.

გავიდნენ და კართან სკამზე — აყვავებული ვარდისა და მისაკის ბუჩქებთან დასხდნენ. ჰაერში ყვავილების ძლიერი და ტკბილი სუნი იდგა. რამდენიმე წუთს იყუჩეს. მერე დღურუამ ჰკითხა:

— მალე აპირებთ პარიზში დაბრუნებას?

მან მიუგო:

— ჰო, მალე... როცა ყველაფერი გათავდება.

— ათიოდე დღის შემდეგ?

— მეტს არ დავრჩები.

მან განაგრძო:

— მაშ ნათესავი არავინა გყავთ?

— ბიძაშვილების გარდა — არავინ. ბავშვობაშივე დავობლდი.

ორივემ პეპელას შეხედა, რომელიც მისაკზე ნექტარს აგროვებდა, ფრთების სწრაფი ქნევით ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადიოდა, და როცა დაჯდებოდა ხოლმე, ფრთებს ისევ ნელა აქანავებდა. ასე გაყუჩებული ისხდნენ დიდხანს.

მსახური გამოვიდა და შეატყობინა — მღვდელმა თავისი საქმე გაათავაო. ორივენი ზევით ავიდნენ. ფორესტიე გუშინდელს აქეთ თითქოს უარესად დამდნარიყო. მღვდელს მისი ხელი ეჭირა.

— ნახვამდის, შვილო. ხვალ დილით მოვალ, — და გავიდა.

ავადმყოფმა უმაღვე სცადა ცოლისთვის ორივე ხელი გაეშვირა და ხნოლვით აღუღლულდა:

— მიშველე... მიშველე, ჩემო ძვირფასო... მე არ მინდა მოკვდე, არ მინდა... ოჰ, მიშველეთ-მეთქი... მითხარი, რა არის ამისათვის საჭირო... წადი, ექიმი მომიყვანეთ. ყოველნაირ წამალს მივიღებ, რასაც კი მიბრძანებს... არ მინდა, არ მინდა-მეთქი!

და ატირდა. ჩავარდნილ ლოყებზე მსხვილი კურცხლები სცვიოდა და გამხდარი პირის კუთხეები ისე ეღმიჭებოდა, როგორც ნაწყენ ბავშვებს ემართებათ ხოლმე.

საწოლზე დავარდნილმა ხელებმა გამოზომილად და წყნარად განუწყვეტლივი ფათური დაიწყეს, თითქოს საბანზე რაღაცას აგროვებდნენო. ცოლმაც ტირილი დაიწყო, თან ამშვიდებდა:

— ნუ, ნუ სწუხხარ... ეგ არაფერია. ეს კრიზისია... ხვალ უკეთ იქნები. გუშინდელმა სეირნობამ დაგლალა.

ფორესტიე ძლიერ დაქანცული ძაღლივით ქაქანებდა — ისე სწრაფად, რომ თვალის მიდევნებაც არ შეიძლებოდა, და ისე სუსტად, რომ შეუძლებელი იყო მისი სუნთქვის დათვლაც და ყურის მოკვრაც, თან ისევ იმეორებდა:

— არ მინდა სიკვდილი!.. ოოჰ, ღმერთო!.. ღმერთო ჩემო, რა მემართება?..

ველარაფერს ვერ ვხედავ... ველარაფერს... არასოდეს... არასოდეს... ოოჰ, ღმერთო ჩემო!

და თვალწინ ისეთ რამეს ხედავდა, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ — რაღაც საზიზღარს, რადგან უძრავ თვალებში ძრწოლა და ზარი ჰქონდა ჩასახლებული, ხოლო მისი ორივე ხელი ისევ საშინელ და დამქანცავ მოძრაობას განაგრძობდა.

უცებ მთელი ტანი მძლავრად აუკანკალდა, აეკლაკნა და ძლივსდა წარმოთქვა:

— მე... სასაფლაოზე... ოჰ, ღმერთო დიდებულო!

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა. გაინაბა და მღვრიე თვალები ააცეცა.

დრო მიდიოდა. მეზობლად მდებარე მონასტრის საათმა თორმეტი დაჰკრა. დღურუა ოთახიდან გამოვიდა. შიოდა და სურდა, ოდნავ დანაყრებულიყო. ერთი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა. ქ-მა ფორესტიემ ჭამაზე უარი თქვა. ავადმყოფი ისევ უძრავად იწვა და მხოლოდ მისი ხელები წელანდელივით აფხაჭუნებდა საბანს, თითქოს მისი წამოხურვა უნდოდა და ვერ წაეხურაო. ცოლი ავადმყოფის ფეხებთან იჯდა სავარძელში. დღურუა გვერდით მოუჯდა და ორივე ჩუმიად უცდიდა. ექიმის მიერ გამოგზავნილი ლალა წელანვე მოსულიყო და ფანჯარასთან თვლემდა.

დღურუასაც რული მოერია, მაგრამ იგრძნო, რომ რაღაც მოხდა. თვალები გაახილა და იმის დანახვად მოასწრო, თუ როგორ დაეხუჭა ფორესტიეს თვალები, ისე დაეხუჭა, თითქოს ორი ჭრაქი მიჰქრაო. მომაკვდავს ყელიდან ნელი სლოკინი აღმოხდა, პირის კუთხეებში სისხლის ორი ლივი გამოჩნდა და პერანგზე ჩამოსდინდა. ხელებმა შემზარავი მოძრაობა შეწყვიტა. ფორესტიე აღარ სუნთქავდა.

ცოლმა უცებ გაიგო, რაც მოხდა, შეჰკივლა, მუხლებზე დაეცა, სახე საბანში ჩამალა და აქვითინდა. მეხნაკრავმა, გაოცებულმა ჟორჟმა უნებურად გადაიწერა პირჯვარი. ლალამ გაიღვიძა, საწოლს მიადგა და თქვა:

— გათავდა.

დღურუამ, რომელსაც სიღინჯე დაუბრუნდა, შვების ოხვრით წაიჩურჩულა:

— უფრო ადრე გათავდა, ვიდრე მეგონა.

როცა პირველი შთაბეჭდილება გაქრა და პირველი ცრემლიც გაშრა, ჩვეულებრივ დავიდარაბას შეუდგნენ, რომელიც სიკვდილს მოსდევს ხოლმე. დღურუა კიდევ დიდხანს დარბოდა.

როცა დაბრუნდა, საშინლად შიოდა. ქნი ფორესტიე ოდნავ დანაყრდა. შემდეგ მთელი ორი ღამით განსვენებულის ოთახში გადავიდა. ღამის მაგიდაზე ორი სანთელი ენთო. აქვე თეფშით წყალი იდგა და შიგ მიმოხას ტოტი იღო, რადგან ბზა ვერ ეშოვნათ.

ახალგაზრდა კაცი და ახალგაზრდა ქვრივი განსვენებულის გვერდით მარტონი იყვნენ. ჩუმად ისხდნენ, თავიანთ ფიქრებში წასულიყვნენ და თვალებით ცხედარს მისწერებოდნენ.

ცხედრის ირგვლივ ჩაწოლილი ბინდი ჟორჟს მოსვენებას არ აძლევდა და მიცვალებულს ისიც დაჟინებით დასცქეროდა. სანთლის მოციმციმე შუქზე ეს გამხდარი პირისახე ნამდვილზე უფრო მეტად ჩანგრეული მოჩანდა და მის თვალებს და გონებას იზიდავდა, აჯადოებდა. ეს იყო შარლ ფორესტიე, მისი მეგობარი, რომელიც მას ჯერ კიდევ გუშინ ესაუბრებოდა! რა უცნაური, რა საშინელი რამ არის სულიერის სრული გაქრობა! ოჰ, რა ცხადად გაახსენდა ახლა სიკვდილის შიშით შეპყრობილი ნორბერ დე ვარენის სიტყვები: „არასოდეს არც ერთი სულიერი აღარ ბრუნდება“. მილიონი და მილიარდი მსგავსი ადამიანი იბადება — თვალებით, ცხვირით, პირით, თავის ქალით, აზრებით, ყველაფრით მსგავსი, მაგრამ აი ეს, აქ რომ წევს ლოგინში, არასოდეს აღარ დაბრუნდება.

რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა, ჭამდა, იცინოდა, უყვარდა და სხვებივით იმედოვნებდა. ახლა კი ყოველივე გათავებულია მისთვის, გათავებულია სამუდამოდ. მაშ აი, რა ყოფილა სიცოცხლე! რამდენიმე საათი და — აღარაფერი! იბადები, იზრდები, ტკბები, ელოდები და კვდები. მშვიდობით! მამაკაცი ხარ თუ დედაკაცი, სულ ერთია, დედამიწაზე აღარ დაბრუნდები. და მაინც ყველა ჩვენგანის სულში მარადიულობის მღუღარე და განუხორციელებელი სურვილი ცოცხლობს. ყველა ჩვენგანი ცალკე პაწაწა ქვეყანაა დიდ ქვეყანაში, ყველა სწრაფად ჰქრება და ალაგს ახალ სულიერს უთმობს. მცენარეს, ცხოველს, ადამიანს, ვარსკვლავს და მთელ ქვეყანასაც — უკლებლივ ყველას სიცოცხლე ეძლევა, შემდეგ კი ყოველივე კვდება და იხრწნება. და არასოდეს სიცოცხლეს აღარ დაუბრუნდება — არც მწერი, არც ადამიანი, არც მნათობი.

და დღურუას სულს გაურკვეველი, საზარელი, აუტანელი საშინელება ღოღოვით დააწვა — საშინელება არარაობისა, რომელიც უცილობლად და მარად ანადგურებს ყოველივე წარმაგალს და უმწეო არსებობას. დღურუა თვითონაც უკვე კისერს იდრეკდა მისი მუქარის წინაშე, თან ფიქრობდა ბუზებზე, რომელნიც რამდენიმე საათს ცოცხლობენ, და მნათობებზე, რომელნიც რამდენიმე საუკუნეს არსებობენ. რით განსხვავდება ერთი მეორისაგან? რამდენიმე ზედმეტი ცისკრით — მორჩა და გათავდა!

და თვალი მოარიდა, რათა ცხედრისთვის აღარ ემზირა. ქნი ფორესტიეც თავნაქინდრული იჯდა და ისიც სევდიან ფიქრებს მისცემოდა. მისი ქერა თმა ისე ღამაზად ეწყო დაღვრემილი პირისახის ირგვლივ, რომ ახალგაზრდა კაცს გულში რაღაც საამურმა გრძნობამ გაჰკრა, რომელიც იმედის სუნთქვას ჰგავდა, ან რად უნდა გაჰყოლოდა სასოწარკვეთილებას, როდესაც წინ ამდენი წლის სიცოცხლე ჰქონდა?

დღურუამ ახალგაზრდა ქვრივს მხერა დაუწყო. მადლენა საკუთარ ფიქრებში იყო გართული და მას ვერ ამჩნევდა. ის კი თავის თავს ეუბნებოდა: „სიყვარული — აი, ცხოვრების ერთადერთი სიტკბოება! საყვარლის ყოლა მკლავებში — აი, ადამიანის ბედნიერების უკანასკნელი საზღვარი. რა ბედი ხვდა განსვენებულს, რომ ასეთ საუცხოო და ჭკვიან მეგობარს წააწყდა! ნეტა როგორ გაიცნეს ერთმანეთი? ნეტა რად გაჰყვა მადლენა ასეთ უჩინარ და ღარიბ ჭაბუკს? ნეტა როგორ გამოიყვანა მან კაცად ეს ჭაბუკი?“

შემდეგ ყოველი პიროვნების ცხოვრებაში ჩამალულ საიდუმლოებაზე ჩაფიქრდა. გაახსენდა ყველაფერი, რასაც კი ჩურჩულებდნენ გრაფ დე ვოდრეკზე, რომელსაც მადლენასათვის ვითომ მზითვეიც მიეცეს და ქმარიც ეშოვნოს.

ნეტა როგორ მოიქცევა ახლა მადლენა? ვინ მისთხოვდება, დეპუტატს, როგორც ქნი დე მარელი ფიქრობდა, თუ საიმედო მომავლით შეჭურვილ ვინმე უმადლეს

ფორესტიეს? უკვე აქვს თუ არა რაიმე პროექტი, გეგმა, განზრახვა? ნეტა სცოდნოდა დღურუას! მაგრამ რად დასჭირდა მას ასე უცბად ამ საქმეზე თავის მტვრევა? — ჰკითხა თავის თავს და დარწმუნდა, რომ მისი შფოთი იმ გაურკვეველი, იდუმალის და ბუნდოვანი აზრის ნაყოფი იყო, რომელშიც ადამიანი არა ტყდება და რომელსაც მაშინდა პოულობს, როცა თავისი სულის ჯურღმულში ჩაიხედავს ხოლმე.

მაგრამ რატომ თვითონაც არ უნდა სცადოს გამარჯვება? რამდენი ძალა და მრისხანება მიემატება მას, თუ მადლენა ეყოლება მოკავშირედ! რა სწრაფად, რა შორს და რა იმედიანად წავა მაშინ წინ ჟორჟ დღურუა!

ან რატომ არ უნდა გაიმარჯვოს? ძალიან კარგად ხედავდა, რომ მადლენასაც მოსწონდა, რომ ამ ქვრივის გრძნობა მისდამი უბრალო გულმისაველობაზე მეტი იყო, რომ ეს იყო ერთადერთი იმ გრძნობათაგანი, რომელიც თანაბარ ხასიათებს შორის იბადება და მარტო ერთმანეთის მიმზიდველობაზე კი არ არის ხოლმე დამყარებული, არამედ ჩუმ შეთანხმებაზეც. მადლენა იცნობდა მას, როგორც ჭკვიანს, გაბედულს, ენერგიულს, და შეეძლო მისი რწმენა ჰქონოდა.

განა ასეთ სერიოზულ დროს მადლენამ მას, ჟორჟ დღურუას, არ მოუწოდა? რაღა ის აირჩია დამხმარედ? განა უფლება არა აქვს ეს ამბავი ერთგვარ უპირატესობად, გრძნობის გამჟღავნებად, ნიშნის მიცემად მიიჩნიოს? თუ მადლენამ სწორედ იმ დროს, როცა დაქვრივება მოელოდა, ჟორჟი გაიხსენა, იქნებ იმ წამს სწორედ იმაზე ფიქრობდა, ვინც მომავალში შესაძლებელია მეგობრად და მოკავშირედ გამოსდგომოდა?

ჟურნალისტი მოუთმენელმა გრძნობამ მოიცვა — გაეგო მისი ზრახვები, გამოეტყუა, გამოეკითხა. ზეგ დღურუა უნდა წავიდეს: ამ ახალგაზრდა ქვრივთან მარტო დარჩენა უხერხულია. მაშ, საჭიროა აჩქარდეს და პარიზში წასვლამდე ხელმარჯვედ და ზრდილობიანად დასტყუოს გეგმა, ვინმე სხვა მეტოქეს დაასწროს და მადლენა პირობის ჩამორთმევით შებოჭოს.

ოთახში ღრმა სიჩუმე იდგა. მხოლოდ ბუხრის თავზე საათის წიკწიკი ისმოდა. დღურუამ წაიჩურჩულა:

— ალბათ, ძალიან დაიღლებოდით.

მადლენამ მიუგო:

— დიახ, მაგრამ უფრო მეტად მორალურად დავიღალე.

მათი ხმა ისე უცნაურად ისმოდა ამ ოთახში, რომ თვითონვე გაუკვირდათ. უცებ განსვენებულის სახეს ისე გადახედეს, თითქოს მოელოდნენ, რომ ის მათ ლაპარაკს გაიგებდა და შეინძრეოდა — სწორედ ისე, როგორც რამდენიმე საათის წინ შეირხა. დღურუამ განაგრძო:

— ძალიან დიდი უბედურებაა თქვენთვის, ნამდვილი შემუსურაა. იგი თქვენს ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლის.

მადლენამ ღრმად ამოიოხრა, მან კი განაგრძო:

— რა ძნელია თქვენისთანა ახალგაზრდა ქალისთვის მარტო დარჩენა!

და გაჩუმდა. მადლენა პასუხს არ აძლევდა. მაშინ დღურუამ ენის ბორძიკით დაუმატა:

— ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენი პირობა გახსოვდეთ და ჩემი თავი ისე გამოიყენეთ, როგორც გნებავდეთ. მე სავესებით თქვენ გეკუთვნივით.

მადლენამ ხელი გაუწოდა და ისეთი სევდიანი და ნაზი თვალით შეხედა, რომელიც მამაკაცს შიგ გულში ჩასწვდება ხოლმე.

— მადლობელი ვარ. თქვენ ძალიან გულკეთილი ხართ, ძალიან. რომ შემიძლოს გაგებდოდ და რამენაირად გადაგიხადოთ, მეც გეტყოდით: ჩემი იმედიც გქონდეთ.

ჟორჟმა ხელი ჩამოართვა და დიდხანს ეჭირა, თან უჭერდა და გულით სურდა ეკოცნა. ბოლოს გაბედა: ნელა აიტანა ტუჩებთან და ოდნავ ცხელ, თხელსა და სურნელ კანს ხანგრძლივი კოცნით დაეწაფა.

როცა იგრძნო, რომ ეს მეგობრული აღერსი მეტისმეტად გაგრძელდა, ქალის პატარა ხელი გაუშვა, რომელიც ახალგაზრდა ქვრივის მუხლებზე რბილად დაეცა. მადლენამ სერიოზულად უთხრა:

— დიახ, მარტო ვიქნები, მაგრამ ვეცდები, მხნეობა არ დაგვკარგო.

დღურუამ არ იცოდა, როგორ გაეგებინებინა, რომ ის ბედნიერი იქნებოდა, ძალიან ბედნიერი, თუ მადლენა ცოლობაზე დათანხმდებოდა. ცხადია, არ შეიძლება ეს ახლავე, აქ, ფორესტიეს წინაშე უთხრას. მაინც — ეგონა — შეიძლებოდა ისეთი ორაზროვანი,

თავაზიანი და დახლართული სიტყვები ეპოვნა, საცა ჩუმი აზრი იქნებოდა დამალული, სრული სათქმელი კი — ნაგულისხმევი.

მაგრამ მათ წინაშე გაჭიმული და გახევებული ცხედარი დედურუას სირცხვილს ჰგვრიდა და ორთა შუა ზღუდესავით იყო გახირული. გარდა ამისა, ერთი ხანია ეჩვენებოდა, თითქოს ამ ჩაკეტილი ოთახის ჰაერში საეჭვო სუნს დაებეროს, მიცვალებულის გახრწნილი ფილტვების შარავიან ღპობას, ცხედრის პირველ და საშინელ სუნს, რომელსაც საბრალო განსვენებულნი უგზავნიან ხოლმე მათ თავზე ფხიზლად მდგომ ნათესაებს, სანამ ამ სუნით თავიანთ კუბოს გაავსებენ. დედურუამ ჰკითხა:

— შეიძლება, ფანჯარა ოდნავ გავაღო? მგონი, ოთახში მძიმე ჰაერი უნდა იდგეს. მადლენამ უპასუხა:

— გაადეთ. მეცა ვგრძნობ.

დედურუა სარკმელთან მივიდა და გამოაღო. ღამის სურნელოვანი სიგრილე უმაღლ შემოიჭრა ოთახში და საწოლთან მდგარი ორი სანთლის შუქი შეარხია. მთვარე თავის უხვ და ნელ სინათლეს წინა ღამესავით აგარაკების თეთრ კედლებსა და ზღვის დიდ კრიალა ზეწარზე ჰღვრიდა. დედურუამ მთელი მკერდით დაიწყო სუნთქვა და უცებ იგრძნო, რომ იმედმა ხელახლა მოიცვა იგი. ახალგაზრდა ჟურნალისტს ბედნიერების მოახლოების გრძნობა თითქოს მადლა ეწეოდა.

მოიხედა და უთხრა:

— აქ მოდით, ცოტაოდენი სუფთა ჰაერი შეისუნთქეთ. დიდებული ღამეა.

მადლენა წყნარად მივიდა და მის გვერდით სარკმელს მიეყრდნო. მაშინ მან ჩუმი ხმით დაიწყო:

— მომისმინეთ და ეცადეთ ჩემი ნათქვამი სწორად გაიგოთ. ოღონდ ნუ აღშფოთდებით იმის გამო, რომ ასეთ რამეს ასეთ დროს გეუბნებით. მაგრამ მე ზევ მივიღივარ, ხოლო, როცა თქვენ პარიზში დაბრუნდებით, ალბათ, გვიანდა იქნება. მაშ ასე... თქვენც მოგეხსენებათ, რომ მე საბრალო ღატაკი ვარ, მეტი არაფერი, და ჯერ კიდევ ვერ მიმიღწევია მდგომარეობისათვის. სამაგიეროდ, ნებისყოფა და, მგონი, მცირეოდენი ჭკუაც უნდა მქონდეს. უმთავრესი კი ის არის, რომ მე სწორ გზაზე ვდგავარ. როდესაც თვალწინ ისეთი ადამიანი გიდგას, რომელმაც უკვე მიაღწია წარმატებას, წინდაწინვე იცი, ვის აბარებ შენს ბედს, ხოლო, როცა ადამიანი მხოლოდ ახლა იწყებს თავის გზას, წინასწარ ვერ გაიგებ, როგორ დაასრულებს იგი ამ გზას. ეს კარგიც არის და, ამავე დროს, სახიფათოც. ერთხელ, თქვენთან რომ ვიყავი, გითხარით, ჩემი უდიდესი ნატვრა ის არის, რომ თქვენისთანა ქალი შევირთო-მეთქი. დღეს ხელახლა ვიმეორებ ამავეს. ნუ მიპასუხებთ, ჯერ მათქმევიინეთ. ამჟამად ამ სათხოვნელს არა გუთხოვთ, ეს ახლა სამარცხვინოც იქნებოდა. მინდა მხოლოდ შეგატყობინოთ, რომ თქვენ ერთ სიტყვას ჩემი გაბედნიერება შეუძლია, რომ თქვენ შეგიძლიათ ან ძმასავით ერთგულ მეგობრად გამიხადოთ, ან ქმრად გამომიყენოთ, — როგორც თქვენი სურვილი იქნება, რადგან ჩემი ტანიც და ჩემი სულიც თქვენ გეკუთვნით. მე არ მინდა, ახლავე მივიღო პასუხი. მე აქ ლაპარაკი კი აღარა მსურს ამაზე, როცა ხელახლა მნახავთ პარიზში, თქვენი პასუხიც მაშინ მაგრძნობინეთ. მანამდე კი ერთ სიტყვასაც ნუ მეტყვით, ხომ მეთანხმებით?

და სათქმელი ისე გაათავა, მადლენას არც კი შეხედა, თითქო სიტყვებს ღამის წყვილადში ისროდაო. ახალგაზრდა ქალი ისე უძრავად იდგა, თითქო ნაუბარი არ ესმოდა: ისიც გარეთ იხედებოდა და დაშტერებით უმზერდა მთვარის მკრთალი ნათელით შემოსილ ფართო არეს.

დიდხანს იდგნენ გაუნძრევლად, ერთმანეთის გვერდით, მდუმარენი და ჩაფიქრებულნი. მერე მადლენამ ნელი ხმით თქვა:

— აგრილდა.

მიბრუნდა და ცხედართან მივიდა. დედურუაც გაჰყვა. როცა მიუახლოვდა, დარწმუნდა, რომ ცხედარს მართლა სუნი ასდიოდა, და თავისი სავარძელი გასწია: აღარ შეეძლო გვამის სუნი აეტანა, მერე თქვა:

— დილაზე კუბოში უნდა ჩავასვენოთ.

მან უპასუხა:

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, მეკუბოე დილის რვა საათზე მოვა. — და რადგან დედურუამ ოხვრით თქვა:

— საწყალი, — იმანაც, თავის მხრივ, ურვით ამოიოსრა, და ამ ოხვრაში ბედისადმი მორჩილება გამოკრთა.

ახლა ისინი იშვიათად იხედებოდნენ ცხედრისკენ. უკვე შეეჩვივნენ მას და გულში თანაგრძობობაც კი დაებადათ მისდამი, რომელიც მათ ჯერ კიდევ აშფოთებდა და თან აბრაზებდა, რადგან ისინიც მოკვდავნი იყვნენ.

ადარ ლაპარაკობდნენ და ზრდილობიანად, უძილოდ ფხიზლობდნენ. მაგრამ შუალაშემ რომ მოატანა, დღურუას ჩასთვლიდა. როცა გაიღვიძა, დაინახა, რომ ქნ ფორესტიეს ეძინა. შემდეგ უფრო მყუდროდ მოკალათდა სავარძელში და წაიღუღლულა: „რაც უნდა თქვან, ღმერთმანი, ისევ ლოგინი ჯობია“.

უცებ მოულოდნელმა ხმაურმა შეაკრთო. მოწყალების და შემოსულიყო. გარეთ განთიადი იდგა. ახალგაზრდა ქვრივი მეორე სავარძელში იჯდა ჟორჯის წინ და ისიც დღურუასავით იყო შეშინებული. ოდნავ გაფითრებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ღამის თვეისა, უწინდელივით ღამაში, ქორფა და მშვენიერი იყო.

დღურუამ ცხედარს გადახედა და ძრწოლით წამოიძახა:

— შეხედეთ, წვერი!

გახრწნილ ცხედარს რამდენიმე საათში იმოდენივე წვერი ამოსვლოდა, რამოდენაც ცოცხალ ადამიანს რამდენიმე დღეში ეზრდება ხოლმე. შეშინებულები ისე იდგნენ ამ სიცოცხლის წინაშე, რომელიც ჯერ კიდევ პღვიოდა მკვდარ სხეულში, თითქოს რაღაც საშინელი სასწაული, რაღაც ზებუნებრივი მუქარა ყოფილიყო მკვდრეთით აღდგომისა, რაღაც უჩვეულო და ზარდამცემი, რომელიც ადამიანს თავბრუს ასხამს და აზრებს უხლართავს. შემდეგ ორივენი დასასვენებლად წავიდნენ და თერთმეტ საათზე დაბრუნდნენ. როცა შარლი კუბოში ჩაასვენეს, ორივემ შეება და მოსვენება იგრძნო. საუზმის დროს ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ და მოუხდათ, რამე სამხიარულო, გასამხნევებელი ეთქვათ და, რაკი სასიკვდილო საქმეები დაასრულეს, დრო იყო, სასიცოცხლოს დაბრუნებოდნენ.

ღია ფანჯარაში გაზაფხულის ნაზი სითბო იღვრებოდა და კარის წინ გაფურჩქნილი მიხაკის ტკბილი სუნნი შიგნით შემოჰქონდა.

ქმა ფორესტიემ დღურუა ბაღში გაიპატიჟა. ორივენი ვიწრო გზას დინჯი ნაბიჯით გაჰყვნენ და ნაძვებისა და ევკალიპტების სუნით გაჟღენთილ პაერს სიამით ისუნთქავდნენ.

უცებ მადლენა თავმოუბრუნებლივ ალაპარაკდა, როგორც ჟორჯი ლაპარაკობდა წუხელის, დინჯად, ჩუმად და სერიოზული ხმით:

— მომისმინეთ, ძვირფასო მეგობარო, მე უკვე ვიფიქრე იმაზე, რაც გუშინ მითხარით. არ მინდა, უპასუხოდ გავისტუმროთ. არც პოს გეუბნებით, არც — არას. მოვიცადოთ, მოვითმინოთ და ერთმანეთი უფრო ახლო გავიცნოთ. თქვენი მხრივაც გულდასმით მოისაზრეთ. ნუ აჰყვებით მარტო გულისთქმას, რომელიც ასეთ დროს ადვილად მოდის და ადვილადვე ჰქრება. მაგრამ ჩვენი საბრალო შარლის დასაფლავებამდე იმიტომ გელაპარაკებით ამაზე, რომ თქვენი სიტყვების შემდეგ ჩემთვის მეტად საჭიროა, იცოდეთ, ვინა ვარ მე: დაივიწყეთ, რაც მითხარით, თუ თქვენც არ ეკუთვნით იმათ... ისეთ ხალხს, ვისაც შეუძლია ჩემი ხასიათის გაგება და ჩემი შეთვისება. ეცადეთ, ჩემი სათქმელი კარგად გაიგოთ. ქორწინება ჩემთვის ხუნდი კი არ არის, არამედ კავშირი. მე მსურს თავისუფალი ვიყო, სულ თავისუფალი. თავისუფლად ვიმოქმედო, ჩემს საქმეებს მოვუარო, თავისუფლად ვიარო და ყველაფერში ჩემ თავს ვეკუთვნოდე. მე არ შემიძლია არც კონტროლი, არც ეჭვიანობა და არც ჩემი ყოფაქცევის კრიტიკა მოვითმინო. რა თქმა უნდა, ვალად ვიღებ, არ შეურაცხვეო იმ კაცის სახელი, ვისაც მივთხოვდები, და სირცხვილი არ ვაჭამო. მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა იმ კაცმაც ვალად იდოს, რათა ჩემი თავი თანასწორ მოკავშირედ მიიჩნიოს და ისე არ მომექცეს, როგორც თავის თავზე უფრო დაბალს, მორჩილსა და ხელქვეით ცოლს ეპყრობიან ხოლმე. ვიცი, ჩემს აზრს ყველა არ იზიარებს, მაგრამ მე მას არ ვუღალატებ, მორჩა და გათავდა. ერთსაც დაუშობატებ. ნუ მიპასუხებთ, თქვენი პასუხი უაღაგო და უნაყოფო იქნება. ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს და ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ შემდეგში. ახლა კი წადით და გაისეირნეთ. მე კი „იმასთან“ წავალ. ერთმანეთს საღამოზე ვნახავთ.

ჟორჯმა მადლენას ხანგრძლივი კოცნით აკოცა ხელზე და უსიტყვოდ წავიდა.

მხოლოდ სადილის დროს შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი, რადგან მეტად დადლილ-მოთენთილები იყვნენ, თავ-თავიანთ ოთახებში წავიდნენ.

შარლ ფორესტიე მეორე დღეს კანის სასაფლაოზე უხეიმოდ დამარხეს. ჟორჟ დეურუამ გადაწყვიტა, პარიზში დაბრუნებულიყო სწრაფი მატარებლით, რომელიც ორის ნახევარზე გადიოდა. ქმა ფორესტიემ სადგურამდე გააცილა. მატარებლის წასვლის მოლოდინში დინჯად მიდი-მოდიოდნენ ბაქანზე და უმნიშვნელო რამეზე ლაპარაკობდნენ.

ნამდვილი ექსპრესი, ხუთი ვაგონისაგან შედგენილი მატარებელი მოვიდა. ჟურნალისტმა ალაგი დაიჭირა და ხელახლა გამოვიდა სალაპარაკოდ. რამდენიმე წუთს ესაუბრა მადლენას და უცებ სევდა და სინანული იგრძნო იმის გამო, რომ იძულებული იყო, ეს ქალი დაეტოვებინა, თითქოს თავს სამუდამოდ ანებებდაო.

კონდუქტორმა დაიძახა: „მარსელი, ლიონი, პარიზი, ალაგები დაიჭირეთ!“ დეურუა ვაგონში შევიდა და რამდენიმე სიტყვის სათქმელად სარკმლიდან გამოიხედა. ორთქლმა ვალმა დაუსტვინა და მატარებელი დაიძრა.

ახალგაზრდა კაცი ვაგონიდან იცქირებოდა და უმზერდა მადლენას, რომელიც ბაქანზე უძრავად იდგა და ჟორჟს თვალს აყოლებდა. უცებ, სანამ თვალიდან დაჰკარგავდა, დეურუამ ორივე ხელით კოცნა გაუგზავნა.

მადლენამ უფრო მორიდებულად, გაუბედავად და ნაზად უპასუხა.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ჟორჟ დეურუა უწინდელ ცხოვრებას შეუდგა.

ბევლ ბინაზე, კონსტანტინეპოლის ქუჩაზე დასახლდა და ფხიზელი ცხოვრება დაიწყო, რადგან მდგომარეობის შეცვლას მოელოდა. ჟურნალისტის და ქნ დე მარელის ურთიერთობამ თითქმის ცოლ-ქმრული ხასიათი მიიღო, თითქოს დეურუა მომავლისთვის წინდაწინვე ემზადებო: მის საყვარელს მათი კავშირის სიძინჯე და განზომილება ხშირად ანცვიფრებდა და სიცილით იმეორებდა ხოლმე:

— შენ ჩემს ქმარზე უარესი ბურჟუა ყოფილხარ. ღმერთმანი, არ ღირდა გაცვლა.

ქნი ფორესტიე ჯერ არ დაბრუნებულიყო, რადგან კანში შეჰკვიანებოდა. ჟორჟმა მისგან წერილი მიიღო, იწერებოდა, აპრილის შუა რიცხვებში დაებრუნდებიო, და მათ გამოთხოვებას ერთი სიტყვითაც არ იხსენებდა. ჟორჟი იცდიდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ახალგაზრდა ქვრივი შეყოყმანდებოდა, ყოველი ღონე ესმარა, რათა მადლენა შეერთო, მაგრამ მას თავის ბედისა სჯეროდა და სწამდა, რომ მას, ჟორჟ დეურუას, მიმზიდველი, გაურკვეველი და უძლეველი ძალა ჰქონდა, რომელიც ყოველ ქალს იზიდავდა და იპყრობდა.

მოკლე ბარათმა აუწყა, რომ მისი ბედის საათს საცაა უნდა დაეკრა.

„მე პარიზში ვარ, მნახეთ. — მადლენა ფორესტიე“.

და მეტი არაფერი. ეს ბარათი დილის ცხრა საათის ფოსტამ მოუტანა, სამ საათზე კი დეურუა უკვე მადლენას კიბეზე ადიოდა, ახალგაზრდა ქალმა ორივე ხელი გაუწოდა და თავისი ლამაზი, სანდომიანი ღიმილით გაუღიმა. რამდენიმე წამს ერთმანეთს დაჟინებით ჩასცქეროდნენ თვალებში.

მერე მადლენამ ჩურჩულით უთხრა:

— რომ იცოდეთ, რამდენი სიკეთე მიყავით, იმ საშინელ დღეებში მარტო რომ არ დამტოვეთ.

ჟორჟმა მიუგო:

— რასაც კი მიბრძანებდით, ყველაფერს შეგისრულებდით.

დასხდნენ. მადლენამ ახალი ამბების, ვალტერისა და გაზეთის ყველა თანამშრომლის ამბავი გამოჰკითხა. თურმე იმ ხანებში ხშირად იგონებდა გაზეთს.

— გულნაკლულად ვიყავი, თითქოს რაღაც მაკლდა, — ამბობდა. — სულით და გულით ჟურნალისტად გადავიქცევი. რაც უნდა თქვან, ეს ხელობა მაინც მიყვარს.

შემდეგ დადუმდა. ჟორჟს მოეჩვენა, თითქოს მის ღიმილში, მის კილოსა და სიტყვებში რაღაც შენიშნა და რაღაც დაპირება ამოიკითხა, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, წინ არ გამხტარიყო, მაინც ჰკითხა ბორძიკით:

— მაშ რატომ... რატომ ხელახლა არ დაუბრუნდები ამ ხელობას... დეურუას... დეურუას სახელით?

მადლენამ უცებ ღიმილი ჩამოიხსნა, ხელი სახელოზე დაადო და დაბალი ხმით უთხრა:

— მაგაზე ჯერ ნურაფერს ვიტყვით.

მაგრამ ჟორჟი მიხვდა, რომ მადლენა მის სურვილს არ უარყოფდა, დაუწოქა და ხელები ვნებით დაუკოცნა, თან იმეორებდა:

— მადლობელი ვარ, მადლობელი, რარიგ მიყვარხართ!

მადლენა წამოდგა, დღურუაც აჰყვა და შეამჩნია, რომ ქალი ძლიერ გაფითრდა, მაშინ მიხვდა, რომ მას მოსწონდა, იქნებ დიდი ხანიც არის, რაც მოსწონდა. და რადგან ამ წუთს პირისპირ იდგნენ, ჟორჟმა მკლავები მოხვია და შუბლზე აკოცა — გრძელი და ნაზი კოცნით აკოცა.

მადლენამ თავი გაითავისუფლა და სერიოზულად უთხრა:

— ყური მიგდეთ, მეგობარო. ჯერ ვერაფერი გადაგწყვიტე, მაგრამ შეიძლება „პო“ — გითხრათ. პირობა მომეცით, რომ ამას საიდუმლოდ შეინახავთ, მანამ ლაპარაკის უფლებას არ მოგცემთ.

ჟორჟმა შეფიცა და სიხარულით სავსე გული წაიღო შინ. მას შემდეგ, როცა კი მადლენას სანახავად მივიდოდა ხოლმე, ცდილობდა თავი შეემაგრებინა და გარკვეული თანხმობა არ მოეთხოვა, მით უფრო, რომ მადლენა მომავალზე ლაპარაკის და გეგმის შემუშავების დროს ორივეს ცხოვრებას მუდამ აკავშირებდა, და ეს სიტყვები დღურუასთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ფორმალური თანხმობა.

დღურუა გულმოდგინედ მუშაობდა, ცოტას ხარჯავდა და ცდილობდა ცოტაოდენი ფული დაეგროვებინა, რათა ქორწილისათვის უფულოდ არ დარჩენილიყო. რამდენადაც უწინ ხელგაშლილი იყო, ახლა იმდენადვე გაძუნწდა.

ზაფხული გავიდა, შემოდგომაც გაჰყვა, და მაინც არავის ეჭვიც არ ჰქონდა, რადგან ერთმანეთს იშვიათად და ჩვეულებრივ პირობებში ხვდებოდნენ.

ერთ საღამოს მადლენამ ღრმად ჩახედა თვალებში და ჰკითხა:

— ქნ დე მარელისთვის ჯერ არაფერი გითქვამთ?

— არა, მეგობარო, არ მითქვამს, რადგან დაგპირდით, ეს ამბავი საიდუმლოდ შემენახა, ამიტომ არავის არ ვუთხარი.

— მაშ დროა, შეატყობინოთ, მე კი ვალტერს და იმის ცოლს ვეტყვი. ეს საქმე ამ კვირას გავათავოთ, კარგი?

დღურუა გაწითლდა.

— კეთილი, თუნდაც ხვალვე გავათავოთ.

მადლენას თითქოს არ სურდა მისი დარცხვენის დანახვა, ამიტომ ნელა მოაშორა თვალი და განაგრძო:

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ჯვარი მაისის დასაწყისში დავიწეროთ. ხელსაყრელი დროა.

— ყველაფერში სიხარულით გემორჩილებით.

— ათი მაისი შაბათს მოდის. მინდა ეს დღე ავირჩიო, რადგან სწორედ ამ დღეს დავიბადე.

— თანახმა ვარ, ათ მაისს იყოს.

— თქვენი მშობლები რუანის ახლო ცხოვრობენ, არა? მგონი, ასე მითხარით.

— დიახ, რუანის ახლო, კანტელეში.

— რით ცხოვრობენ?

— მამაჩემს წვრილი... ცოტაოდენი რენტა აქვს.

— მართლა? ძალიან მინდა გავიცნო.

ჟორჟს ძალიან შეერცხვა და შეეყოყმანდა:

— კეთილი, მაგრამ... მაგრამ...

და რადგან მტკიცე ხასიათი ჰქონდა, უცებ გადაწყვიტა:

— ძვირფასო მეგობარო, ჩემი მშობლები გლეხები არიან, დუქანი აქვთ და ჩემს გაზრდაზე არაფერი არ დაიშურეს. არ მეთაკილება, მაგრამ მათი... მათი უბრალო... შეიძლება მათი სოფლური ყოფაქცევა გეხამუშოთ.

მადლენამ გულკეთილი ღიმილით უპასუხა:

— არა უშავს რა, შევიყვარებ. ვესტუმრებით, ასე მსურს, ამაზე კიდევ ვისაუბრებთ. მეც ღარიბი ხალხის შვილი ვარ... მაგრამ ობოლი ვარ. ამქვეყნად აღარავინა მყავს, — ხელი გაუწოდა და დაუმატა: — თქვენს მეტი.

ჟორჟმა დიდი სინაზე იგრძნო და გული აუწუყდა. ეს ახალგაზრდა კაცი ამ დედაკაცივით ჯერ არც ერთ ქალს არ დაემორჩილებინა.

— ერთი აზრი მაწუხებს, — თქვა მადლენამ, — მაგრამ მისი განმარტება მეძნელება.

— რა მოხდა, რა გაწუხებთ? — ჰკითხა დედურუამ.

— იცით, რას გეტყვით, მეგობარო, მეც სხვა ქალებივით... სხვა ქალებივით სუსტი ვარ, მე ჩემი ჟინი მაქვს, ყველაფერი ბრწყინვალე და საზეიმო მიყვარს. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, აზნაურის გვარი რომ მქონოდა. იქნებ მოახერხოთ და ჩვენი დაქორწინების გამო თქვენს გვარს არისტოკრატიული იერი მისცეთ? — და ისე გაწითლდა, თითქოს მისი თხოვნა სამარცხვინო ყოფილიყო.

დედურუამ უბრალოდ უპასუხა:

— ამაზე ხშირად მიფიქრია, მაგრამ, მგონი, ადვილი არ უნდა იყოს.

— რატომ?

ჟორჟმა გაიცინა:

— იმიტომ, რომ მეშინია, ჩემი თავი მასხარად არავის ავაგდებინო.

მადლენამ მხრები აიხეჩა:

— სულაც არა, სულაც არა, ყველა ასე იქცევა და არავისაც არ დასცინიან.

თქვენი გვარი ორად გაჰყავით: „დედურუა“-დ და სულ სხვა რამ გამოვა.

ჟორჟმა მაშინვე იმ კაცივით უპასუხა, ვინც ეს საქმე ძალიან კარგად იცის:

— არა, არ ივარგებს, ეგ ხერხი მეტისმეტად უბრალოა, ნათრევი და გაცვეთილი. ვფიქრობდი, ჩემი სოფლის სახელი ამელო, ჯერ სალიტერატურო ფსევდონიმად გამეხდა, შემდეგ უცებ ჩემი სახელისთვის მიმემატებინა და მერე, დრო რომ გავიდოდა, როგორც თქვენც მირჩიეთ, შუაზე გამეყო.

მადლენამ ჰკითხა:

— თქვენს სოფელს კანტელე ჰქვია, არა?

— დიახ.

ქალი ჩაფიქრდა.

— არ ივარგებს, სიტყვის დასასრული არ მომწონს, აბა ვცადოთ, იქნებ როგორმე ოდნავ შევცვალოთ... კანტელე?

მაგიდიდან კალამი აიღო და ქაღალდზე სახელები ჩამოწერა, თანაც სინჯავდა, თითო სახელი როგორ ესმოდა სმენას. მერე უცებ წამოიძახა:

— მზად არის, ვიპოვე!

და ფურცელი გაუწოდა. ჟორჟმა წაიკითხა: „ქალბატონი დედურუა დე კანტელე“, რამდენიმე წამს იფიქრა და სერიოზულად უპასუხა:

— დიახ. ძალიან კარგია.

მადლენა აღტაცებული იყო და იმეორებდა:

— დედურუა დე კანტელე... დედურუა დე კანტელე... ქალბატონი დედურუა დე კანტელე. დიდებულია! მშვენიერია! — და დარწმუნებული კილოთი დაუმატა: — ნახავთ, ყველას რა ადვილად მივადლებინებთ ამ გვარს. შემთხვევას გამოყენება უნდა. ხვალინდელი დღიდან თქვენს წერილებს ასე მოაწერეთ: „დედურუა დე კანტელე“, ქრონიკას კი — მხოლოდ „დედურუა“. ეს პრესაში სულ უბრალო ამბავია და არავინ არ გაოცდება იმის გამო, რომ ფსევდონიმი აირჩიეთ. ქორწინებამდე კიდევ ოდნავ შევცვლით და ნაცნობებს ვეტყვით, რომ თქვენი სამსახურისა და თავმდაბლობის წყალობით უწინ ნაწილაკ „დედურ“-ს არ აწერდით, ან სულაც არაფერს არ ვეტყვით. მამათქვენს რა ჰქვია?

— ალექსანდრე.

მადლენამ რამოდენიმეჯერ გაიმეორა: „ალექსანდრე... ალექსანდრე...“ და მის ხმოვანებას ყური მიუგდო, მერე სუფთა ქაღალდზე დაწერა: „ბ-ნი და ქ-ნი ალექსანდრე დედურუა დე კანტელე პატივისცემით აუწყებენ მათ შვილის ბ-ნ ჟორჟ დედურუა დე კანტელის და ქ-ნ მადლენა ფორესტიეს ქორწინებას“.

ნაწერს შორიდან დახედა და აღტაცებით თქვა:

— მარდი და ჭკვიანი ადამიანი ყველაფერს მიაღწევს.

ქუჩაში რომ გამოვიდა, დედურუას მოეჩვენა, თითქოს გაზრდილიყო და ნამდვილ ვაჟბატონად გადაქცეულიყო, რადგან მტკიცედ გადაწყვიტა, ამიერიდან აზნაურულად „დედურუა“ შუაზე გაეყო, ეს გვარი დაეწებებინა და უფრო მეტიც: „დედურუა დე კანტელი“ დაესაკუთრებინა. იგი უფრო ყოჩაღი ნაბიჯით მიაბიჯებდა, თავიც უფრო

მალღა აეწია, უღვაში ამაყად აიგრიხა და ნამდვილი აზნაურის ნირი აისახა, გამხიარულებულს მოუნდა გამგლელებისთვის ეთქვა:

— მე დღე რუა დე კანტელი მქვია.

მაგრამ შინ რომ დაბრუნდა, მტკივნეული აზრი აეკვიტა: ქნი დე მარელი უნდა შეემზადებინა, მაშინვე დაჯდა, წერილი დაწერა და ხვალისთვის დაიბარა.

„ადვილი საქმე არ არის... ძლიერ ქარიშხალს უნდა გავუძლო“.

ქორჟი აუცილებელ მოსახდენს ბუნებით თანდაყოლილი უზრუნველობით ემორჩილებოდა, რაც ცხოვრების გზაზე უსიამოვნებათა გადალახვაში შეელოდა ხოლმე. ამიტომ ფელეტონის დასაწერად დაჯდა, რაც ახალი გადასახადების შემოღებას შეეხებოდა.

წერილში დღურუა, სხვათა შორის, გამოთქვამდა აზრს, გადასახადი დაედოთ გვარის აზნაურულ ნაწილაკზე. „დე“ ან „დღე“ — ასი ფრანკი წელიწადში, ხოლო ტიტულზე, ბარონიდან თავადამდე — ხუთასიდან ათასამდე, და მოაწერა: „დ.დე კანტელ“.

მეორე დღეს საყვარლისგან საქალაქო დეპეშა მიიღო. კლოტილდა ატყობინებდა, რომ პირველ საათზე მოვიდოდა.

ქორჟი ციებიანი დღევით უცდიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ყველაფერი უცებ გადმოელაგებინა, უცებ ეთქვა საუბრის დასაწყისშივე. შემდეგ, პირველი ფორიაქი რომ გაივლიდა, კლოტილდა დაეჯერებინა, დაემტკიცებინა, რომ მას არ შეეძლო სამუდამოდ დარჩენილიყო უცოლოდ, და რადგან ბ-ნ დე მარელს დაჟინებით სურს ჯერ ცოცხალი იყოს, დღურუას არ შეეძლო სხვა ვინმე ქალზე არ ეფიქრა, რათა იგი ცხოვრების კანონიერ მეგობრად გაეხადა.

მაინც დიდ აღელვებას გრძნობდა. ზარმა რომ ჩამოჰკრა, გული აუფანცქალდა, კლოტილდა მივარდა და გადაეხვია.

— გამარჯობა, ლამაზო მეგობარო! — და ქორჟის მკლავების სიცივე რომ იგრძნო, შეხედა და კითხა:

— რა დაგემართა?

— დაჯექი, — უთხრა. — სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ.

კლოტილდამ პირბადე აიწია, შლიაპა არ მოიხადა, დაჯდა და ლოდინი დაიწყო.

დღურუამ თვალები დახარა და სალაპარაკოდ მოემზადა, მერე ნელა დაიწყო:

— ძვირფასო მეგობარო, შენვე ხედავ, როგორ მაწუხებს, მაწვალებს და მტანჯავს ჩემი სათქმელი, ძალიან მიყვარხარ, სულთ და გულით მიყვარხარ, ამიტომ უფრო შენი დატანჯვის შიში მიკლავს გულს, ვიდრე თვითონ ამბავი, რომელიც ახლა უნდა შეგატყობინო.

კლოტილდას ფერი ეცვალა, კანკალი იგრძნო და ძლივს წაიხურჩულა:

— რა მოხდა? მალე მითხარი!

მან სევდიანად, მაგრამ მტკიცედ უთხრა იმ ნაძალადეგად მწუხარე კილოთი, რომლითაც საამურ უბედურებას ატყობინებენ ხოლმე:

— ის მოხდა, რომ ცოლს ვირთავ.

კლოტილდას ოხვრა აღმოხდა, გულის სიღრმიდან ამოვარდნილი სევდიანი ოხვრა ქალისა, რომელსაც გული მისდის. იხრჩობოდა, ხმა ვერ ამოეღო; მხოლოდ ხშირად სუნთქავდა. და რადგან დე მარელი სდუმდა, დღურუამ განაგრძო:

— ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯებოდი, სანამ ამას გავხედავდი. მე არც ფულიანი კაცი ვარ და არც თვალსაჩინო ალაგი მიჭირავს. მე მარტო ვარ, დაკარგული ვარ პარიზში და საჭიროა ისეთი ვინმე მყავდეს გვერდით, ვინც დამარიგებს, გამამხნევებს, მხარს მომცემს ხოლმე. მე მოკავშირეს, მეუღლეს, მეგობარს ვეძებდი და კიდევაც ვიპოვე.

და იმ იმედით დაჩუმდა, რომ რაიმე პასუხს მიიღებდა, და უკვე მძვინვარე ბრაზის და შეურაცხყოფის მოსასმენად შეემზადა.

კლოტილდამ ხელი გულზე მიიღო, თითქოს მისი შემაგრება უნდოდა, იგი ისევ ძლივს სუნთქავდა. მკერდი ძლიერ უღელავდა და თავი უცანცარებდა.

ქორჟმა გამოართვა ხელი, რომელიც სავარძელზე ედო, მაგრამ კლოტილდამ უმაღვე გამოჰკვლიჯა. შემდეგ, გაცბუნებულმა წაიხურჩულა:

— ოოჰ, ღმერთო ჩემო!

ქორჟმა ფეხებთან დაუწოქა, მაგრამ ვერ გაუბედა მიჰკარებოდა. მისი დუმილი უფრო აღელვებდა, ვიდრე გრიგალისებური აფეთქება აადელვებდა.

— კლო, ჩემო პატარა კლო, გაიგე, რა დღეში ვარ, ოჰ, ნეტა შენი შერთვა შემეძლოს, რა ბედნიერი ვიქნებოდი! მაგრამ შენ ქმარი გყავს. მაშ რაღა მექნა? მოიფიქრე, შენ თვითონვე მოიფიქრე, მე საზოგადოებაში ჩემი ალაგი უნდა მოვძებნო, ეს კი შეუძლებელი საქმეა, სანამ ოჯახს არ გაიჩინე. გარწმუნებ, ისეთი დროც იყო, როცა შენი ქმრის მოკვლაც კი მინდოდა.

დღურუა რბილი, სვედიანი და ტკბილი ხმით ლაპარაკობდა, რომელიც ყურს მუსიკასავით ელამუნებოდა. მისი საყვარლის თვალებიდან ორმა კურცხალმა ნელა გამოჟონა, ლოყებზე ჩამოცურდა. მერე წამწამებზე კიდევ ორი გამოჩნდა. ჟორჟმა დაინახა და წაიხურჩულა:

— ოოჰ, კლო, ნუ სტირი, კლო, გეხვეწები, ნუ სტირი-მეთქი, შენი ცრემლი გულის მიკლავს.

მაშინ კლოტილდამ თავს ძალა დაატანა, რათა სიამაყე და პატივი შეენარჩუნებინა, და მთრთოლვარე ხმით, იმ ქალის ხმით, რომელიც საცაა უნდა აქვითინდეს, ჰკითხა:

— ვინ არის... ვის ირთავ?

დღურუა წამით შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ თქმა საჭირო იყო, და უპასუხა:

— მადლენა ფორესტიეს ვირთავ.

კლო მთელი ტანით აცახცახდა, მაგრამ ისევ უსიტყვოდ იჯდა ღრმად ჩაფიქრებული, თითქოს დავიწყებოდა, ვინ იყო მის წინაშე მუხლმოყრილი. მის თვალბეჭდებში ახალ-ახალი გამჭვირვალე წვეთები ჩნდებოდა, ცვიოდა და მომდევნო კურცხლებს უთმობდა ალაგს.

კლოტილდა წამოდგა. დღურუა მიხვდა: ისე წავიდოდა, რომ ერთ სიტყვასაც არ ეტყოდა — არც სამღურავს, არც შესანდობარს. ამან ჟორჟს გულის სიღრმემდე გაჰკრა და დამცირება აგრძნობინა. არ უნდოდა, უხმოდ გაეშვა, და კაბას მოეჭიდა, საგსე ფეხებს მოეხვია, გრძნობდა, რომ ეს ფეხები დაჭიმული იყო და უძალიანდებოდა.

— გემუდარები, აგრე ნუ წახვალ, — ეაჯებოდა.

მაშინ კლოტილდამ ზევიდან ისეთი უიმედო, სველი, მომაჯადოებელი და სვედიანი თვალბეჭდით გადმოხვდა, რომ ქალის გულის გოდება სავსებით გამოჩნდა, და ლულულად უთხრა:

— მე, მე სათქმელი არაფერი მაქვს... მე... რა გიყო... შენ მართალი ხარ. შენ... შენ... რაც გინდოდა, იპოვე.

მერე დაუსხლტა და წავიდა. ჟორჟი აღარ ცდილა კლოტილდა დაეტოვებინა. მარტო რომ დარჩა, წამოდგა. გაბრუებული იყო, თითქოს თავში მაგრად ჩაარტყესო. შემდეგ გარემოებას შეურიგდა და გაიფიქრა:

„მაშ რა მექნა, მეტი რაღა შემეძლოს! კიდევ კარგი, რომ აღიაქოთი არ ამიტეხა“, — და თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოეხსნაო, უცებ შევებით იგრძნო, რომ თავისუფალი იყო, რომ ისევ თავის თავს ეკუთვნოდა და მზად იყო ახალი ცხოვრება დაეწყო. კედელს მუშტები დაუშინა. თითქოს ბედს ებრძოდა, რადგან გამარჯვებით და ძალ-ღონით იყო შეზარხოშებული.

როცა მადლენამ ჰკითხა: „ქალბატონი დე მარელი გააფრთხილეთ?“, მან გულმშვიდად უპასუხა: „რა თქმა უნდა“, ქმა ფორესტიემ თავისი ნათელი თვალბეჭდით შეხდა, თითქოს სცდიდა, და ჰკითხა:

— არ აღელდა?

— არა, სულაც არა. პირუკუდმაც მოხდა, კიდევაც მომიწონა.

ახალი ამბავი მალე გავრცელდა. ზოგს უკვირდა. ზოგი ირწმუნებოდა: წინათვე ვიცოდითო, ხოლო ზოგი ისე იღიმებდა, თითქოს ამბობდა: ჩვენ ეგ ამბავი სულაც არ გვაოცებსო.

ახლა ახალგაზრდა კაცი თავის ფელეტონებს ასე აწერდა: „დ. დე კანტელ“, ქრონიკას — „დღურუა“, იშვიათად დაწერილ პოლიტიკურ წერილებს კი — „დღურუა“. ნახევარ დროს დანიშნულთან ატარებდა. მადლენა ძმასავით ელაზღანდარებოდა, რომელსაც ჭეშმარიტ და ჩუმ სინაზეს რაღაც სურვილს უმატებდა და ამ გრძნობას ნაკლსავით მაღავდა. საცოლეს გადაწყვეტილი ქონდა, საიდუმლოდ დაეწერათ ჯვარი და იმავე საღამოს რუანში წასულიყვნენ. ჯვრისწერას მხოლოდ საჭირო მოწმენი უნდა დასწრებოდნენ. მეორე დღეს ახალგაზრდები ჟურნალისტის მშობლებს გადაეხვეოდნენ და იქ რამდენიმე დღეს დარჩებოდნენ.

დედურეა ცდილობდა, საცოლესათვის ამ გეგმაზე ხელი აეღებინებინა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და ბოლოს თანხმობა მისცა.

ათი მაისიც მოვიდა. ახალგაზრდებს ეკლესიური ჯვრისწერა და წესი ზედმეტად მიაჩნდათ, რადგან, სულ ერთია, სტუმრები არ ეყოლებოდათ, ამიტომ მერს ესტუმრნენ, ჩაქვირნენ, დაბრუნდნენ, წასასვლელად მოემზადნენ და საღამოს ექვს საათზე სენ-ლაზარეს სადგურიდან ნორმანდიაში წავიდნენ.

სანამ ვაგონში მარტონი დარჩებოდნენ, ერთმანეთს ათიოდე სიტყვაც ვერ უთხრეს. ხოლო შემდეგ, გზაში ყოფნა რომ იგრძნეს, ურთიერთს გადახედეს და გაიცინეს: რაღაც სირცხვილი იგრძნეს და მისი გამომჟღავნება ეთაკილებოდათ.

მატარებელი ბატინიოლის სადგურს ნელა გასცდა და გადაჭრა უდაბური მინდორი, რომელიც პარიზის ზღუდედან სენამდე გადაჭიმულა.

დედურეა და მისი ცოლი დროგამოშვებით რამდენიმე სიტყვას იტყვოდნენ ხოლმე და მერე ფანჯრიდან ისევ ბუნებას ათვალიერებდნენ. ანიერის ხიდზე რომ გადიოდნენ, მებადურნი, მენავენი და ნავ-ხომალდით მოფენილი მდინარე დაინახეს და ძალიან გაეხარდათ. მაისის მძლავრი მზე ცერად ნასროლი სხივებით წყნარ, თითქმის უძრავ მდინარეს და ნავეებს ღეკავდა. არც წყლის დინება მოჩანდა, არც მოქცევა, იგი თითქოს საღამოს სითბოში და სინათლეში გახევებულიყო, ერთი აფრიანი ნავი წყლის შუაგულში გასულიყო, ორივე ბოლოში თეთრი სელის ორი დიდი სამკუთხედი აფრა გაეშალა, ოდნავ ნიავსაც კი გრძნობდა და საფრენად შემზადებულ უზარმაზარ ფრინველს ჰგავდა.

დედურეამ წაიხურჩულა:

— გაგიჟებით მიყვარს პარიზის მიდამოები და აქაურ შემწვარ თევზზე უკეთესი მოგონება არ მომეპოვება,

მადლენამ უპასუხა:

— ნავეები? რა მშვენივრად მოცურავენ წყლის ზედაპირზე მზის ჩასვლის დროს და რა საუცხოოა ამ დროს შიგ ჯდომა.

შემდეგ გაჩუმდნენ, თითქოს თავიანთი წარსულის გახსენებას ვეღარ ბედავდნენ, ღუმდნენ, ისხდნენ და, შესაძლებელია, სინანულის პოეზიითაც ტკებოდნენ.

დედურეა ცოლის პირდაპირ იჯდა. ხელი გამოართვა და აკოცა.

— როცა დავბრუნდებით, — უთხრა, — ზოგჯერ შატში ვისადილებთ ხოლმე.

მადლენამ წაიხურჩულა:

— ბევრი საქმე გვექნება. — თითქოს უნდოდა ეთქვა: „სასარგებლოს სიამისთვის ვერ გავწირავთ“.

ჟორჟს მისი ხელი ისევ ეჭირა და გულისფანცქალით ფიქრობდა, როგორ დაეწყო აღერსი. ვინმე უმანკო ქალი ისე არ შებოჭავდა მას, როგორც მადლენას ცოცხალი და ცბიერი ჭკუა უძნებებდა საქმეს. ეშინოდა, ცოლს სულელი არ ჰგონებოდა ან მხდალი, ან ნამეტნავ გამბედავი, ან სულწასულივით არ აჩქარებულიყო, ან კიდევ უნდილად არ დაჰკვიანებოდა. ხელს ოდნავ უჭერდა, მაგრამ მადლენა ძახილზე პასუხს არ აძლევდა. მერე უთხრა:

— სასაცილოა, თქვენ რომ ჩემი ცოლი ხართ.

მადლენას გაუკვირდა.

— რატომ?

— არ ვიცი, რაღაც მეჩითირება. მინდა გაკოცოთ და მიკვირს, რომ ამის უფლება მაქვს.

მადლენამ გულმშვიდად მიუშვირა ლოყა. დედურეამ დასავით აკოცა და განაგრძო:

— პირველად რომ გნახეთ, — ხომ გახსოვთ ის ადგილი, ფორესტიემ რომ დამპატიჟა? — გავიფიქრე: „ოჰ, მეც რომ ასეთი ცოლი შემხვდეს!“ და აი, ნატვრა ამისრულდა: თქვენ ჩემი ცოლი ბრძანდებით.

მადლენამ წაიხურჩულა:

— ძალიან მომწონს, — და ცბიერი თვალებით, მუდმივ მოღიმარე თვალებით დააშტერდა.

ჟორჟი ფიქრობდა: „სულელი ვარ, თავს რომ ვიმაგრებ, მეტი გამბედაობაა საჭირო“, და ჰკითხა:

— როგორ გაიცანით ფორესტიე?

მადლენამ დაცინვით უპასუხა:

— განა იმისთვის მივდივართ რუანში, რომ ამაზე ვილაპარაკოთ?

ქმარი გაწითლდა:

— გავსულელდი. ძალიან მრცხვენია, თქვენს გვერდით რომ ვარ.

— მართლა? — გაეხარდა მადლენას. — რად? რისთვის?

ჟორჟი გვერდით მიუჯდა, უცებ მადლენამ დაიძახა:

— შეხედეთ, ირემი!

მატარებელი სენ-ჟერმენის ტყით მიდიოდა და მადლენამ თვალი მოჰკრა ირემს, რომელიც ერთი ნახტომით გადაეწვლო გაკაფულ გზას.

სანამ მისი ცოლი სარკმელში იხედებოდა, დეჟურუა დაიღუნა და მის კისერს შეეყვარებულის კოცნით დაეწაფა.

მადლენა ერთ წუთს განაბული იყო, შემდეგ თავი ასწია და

— მეღიტინება, ხელი გამიშვით!

ქმარმა ტუნები არ მოაშორა და ქონორა უღვაშით თეთრ კისერზე ალერსი დაუწყო. მადლენა გათავისუფლებას ლამობდა:

— თავი დამანებეთ!

ხოლო მან ცოლის თავს ხელი მოხვია, სახე თავისკენ მოიბრუნა და ისე დააკვდა მის ტუნებს, როგორც შევარდენი ნანადირევს. მადლენა იგერიებდა, ხელს ჰკრავდა და გამოსხლტომას ლამობდა. ბოლოს მაინც გათავისუფლდა და გაუმეორა:

— თავი დამანებეთ-მეთქი!

მაგრამ ქმარი ყურს აღარ უგდებდ, მაგრად ეხვეოდა, მთრთოლვარე ტუნებით ჰკოცნიდა და ლამობდა სავარძელზე გადაებრუნებინა. მადლენამ ძალა მოიკრიბა, ხელიდან გაუსხლტა, ადგა და მკაცრად უთხრა:

— ჟორჟ, კმარა, გაათავეთ. ბავშვები ხომ აღარა ვართ, რომ რუანამდე ვეღარ მოვითმინოთ.

ასეთი გონიერებით გაგრილებული და ვნებით გაწითლებული ქმარი სავარძელზე დარჩა. შემდეგ ნელ-ნელა დაწყნარდა და—

— კეთილი, მოვითმენ, — თქვა, — მაგრამ რუანამდე ხმასაც აღარ ამოვიღებ. ახლა კი, იცოდეთ, მხოლოდ პუასისთან ვართ.

— მე კი ვილაპარაკებ, — უპასუხა ცოლმა და დინჯად მიუჯდა ქმარს. მერე დაწვრილებით მოუყვა, რას გააკეთებენ დაბრუნების შემდეგ. საჭიროა, ის ბინა დაიტოვონ, სადაც მადლენა ცხოვრობს. ჟორჟი გაზეთში ფორესტიეს ალაგს დაიჭერს და იმის ჯამაგირს მიიღებს.

მადლენამ დაქორწინებამდე საქმიანი კაცის სიმარდით გამოარკვია მათი საფინანსო საქმენი. თანახმად საქორწინო პირობისა, მას საკუთარი ქონება უნდა ჰქონოდა. იმავე პირობაში ყოველგვარი შემთხვევა წინდაწინვე იყო გათვალისწინებული: სიკვდილი, გაყრა, ერთის ან რამდენიმე შვილის დაბადება. ახალგაზრდა კაცს ოთხი ათასი ფრანკი ჰქონდა, აქედან ათას ხუთასი ვალად ჰქონდა აღებული, დანარჩენი კი ერთ წელიწადში ამ ბედნიერი დღისათვის დააგროვა, ხოლო ახალგაზრდა ქალს ორმოცი ათასი ფრანკი ჰქონდა, რომელიც, იმის თქმით, ქმარმა დაუტოვა.

მადლენამ ფორესტიე გაიხსენა და ქება შეასხა:

— მეტად მომჭირნე, პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო. რომ დასცლოდა, შეეძლო მოკლე დროში გამდიდრებულიყო.

დეჟურუა სხვა აზრებს გაჰყვა და ყურს აღარ უგდებდა. მადლენა კი ზოგჯერ განჟმებოდა, რომელიმე აზრს ჩაუფიქრებოდა და მერე აგრძელებდა.

— ორი-სამი წლის შემდეგ თქვენ წელიწადში ოცდაათ-ორმოც ათასს იშოვით. ეს იმდენი ფულია, რამდენსაც შარლიც გააკეთებდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო.

დეჟურუას ეს გაკვეთილი მოხეზრდა და უპასუხა:

— მე კი მეგონა, რუანში იმისთვის არ მივდიოდით, რომ მკვდარ შარლზე გველაპარაკა.

მადლენას ოდნავ გაჰკრა ლოყაზე:

— მართალია, დავაშავე, — და გაიცინა.

ჟორჟმა ხელები მედიდურად დაიწყო მუხლებზე, როგორც კარგად გაზრდილი ბიჭები იწყობენ ხოლმე, და გახევედა.

— რა სულელური იერი გაქვთ! — უთხრა ცოლმა.

— მაშ რა ვქნა, — უპასუხა, — ასეთია ჩემი როლი. თქვენ ეს-ეს არის გამახსენეთ იგი და მეც ვასრულებ.

მადლენამ ჰკითხა:

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ კისრულობთ, ხელმძღვანელობა გაუწიოთ თქვენს ოჯახს და ჩემს თავსაც. რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა, რადგან ქვრივი ბრძანდებით.

ცოლი გაოცდა:

— რისი თქმა გნებავთ?

— იმისა, რომ თქვენი გამოცდილება ჩემს უმეცრებას გაფანტავს, რომ თქვენი ცოლქმრული პრაქტიკა ჩემს მარტოხელობის უმანკობას გაანათლებს, აი, ამის თქმა მინდოდა.

მადლენამ წამოიძახა:

— ეგ კი მეტი სმეტია!

მან მიუგო:

— არა, სწორედ ასეა, მე ქალებს არ ვიცნობ, თქვენ კი მამაკაცებს იცნობთ, რადგან ქვრივი ბრძანდებით. დიახ, თქვენ შეუდგებით ჩემს განათლებას... ამდამ, დიახ, ამდამ-მეთქი. და თუ გნებავთ, თქვენ შეგიძლიათ ამ აღზრდას ახლავე შეუდგეთ, ახლავე, დიახ!

მადლენა გამხიარულდა და წამოიძახა:

— იცით რა, თუ ამ მხრივ ჩემი იმედი გაქვთ...

ჟორჟმა ბავშვივით წარმოსთქვა, რომელიც დახეპირებულ გაკვეთილს იმეორებს:

— რა თქმა უნდა, იმედი მაქვს. მე ისიც მჯერა, რომ საფუძვლიან განათლებას მიმცემთ, ოციოდე გაკვეთილს მიბოძებთ: ათს — ელემენტარულ საგნებისას... კითხვისას და გრამატიკისას, ათს კი ვარჯიშობის და რიტორიკისას... მე ხომ სრული უმეცარი ვარ.

მადლენამ გადიკისკისა და თქვა:

— სულელი ყოფილხარ.

ქმარმა უპასუხა:

— რაკი „შენ“-ობით დამიწყე ლაპარაკი, მეც მოგბაძავ და გეტყვი, საყვარელო, რომ ჩემი სიყვარული წუთით წუთამდე მატულობს და... და რუანამდე გზა მეტად გრძლად მეჩვენება.

დღე-რეა ახლა მსახიობის კილოთი ლაპარაკობდა და სახეს მოხდენილად ათამაშებდა, ეს კი მეტად მოსწონდა და აცინებდა ქალს, რომელიც შეჩვეული იყო სალიტერატურო ბოჰემის პრანჭობას. ქმარს გვერდიდან უმზერდა, გაგიჟებით მოსწონდა და ისეთ დღეში იყო, როცა ადამიანს, ერთი მხრივ, ნაყოფის მოგლეჯა უნდა, მეორე მხრივ კი გონიერება ურჩევს, მოითმინოს, რათა იგი სადილზე მიირთვას. ასეთმა აზრმა მადლენა გააწითლა, და თქვა:

— ჩემო კარგო შეგირდო, დაუჯერეთ ჩემს გამოცდილებას, ჩემს დიდ გამოცდილებას. კოცნას ვაგონში არავითარი ფასი არა აქვს. კუჭის მოშლა იცის. — მერე კიდევ უფრო გაწითლდა და წასჩურჩულა: — ხილს ნურასოდეს მკვახეს ნუ მოგლეჯთ.

მისი ლამაზი პირიდან ამოსულმა ორზროვნებამ ჟორჟი გააღიზიანა და გააცინა. პირჯვარი გადიწერა და ტუჩები ააცმაცუნა, თითქო ლოცვას კითხულობსო, და განაცხადა:

— ამ წუთს ჩემი თავი ყველა ცდუნებულის მფარველს – წმინდა ანტონს მივაბარე. ახლა ბრინჯაოსავით მტკიცე ვარ.

ღამე ნელა ეშვებოდა ძირს და მარჯვნივ გადაშლილ ველებს გამჭვირვალე ბინდით ჰბურავდა. მატარებელი სენის ნაპირს მისდევდა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეჰყურებდა მდინარეს, რომელიც გზის გვერდით მიედინებოდა და გაელვარებული ლითონის ვეება ბაფთას ჰგავდა. მდინარეზე მოლაპლაპე წითელი ანარეკლები ციდან ჩამოვარდნილ ლაქებს მოგაგონებდნენ, რომლებიც ჩამავალი მზის მიერ მეწამულად და ცეცხლისფრად იყვნენ შეღებილი. ეს ლაქები თანდათან ქრებოდა, მოქმედებდა, სეველიანად ბნელდებოდა და მინდვრებიც წყვდიადში ინთქმებოდა, იმ ავი და სასიკვდილო თრთოლვით იყვინთებოდა, რომელიც მუდამ უკლის მიწას, როცა ბინდი წვეება ხოლმე.

სარკმლიდან საღამოს მწუხრი შემოვიდა, ახალგაზრდა წყვილის ესოდენი სიხარულით სახსე გულშიც შეიპარა და გააჩუმა. ერთმანეთს ეკვროდნენ და მაისის მშვენიერს, სულთმობრძავ საღამოს უმზერდნენ.

ქალაქ მანტში აანთეს ზეთის პატარა ფარანი, რომელმაც კუპეში აკრული რუხი მაუდი ყვითლად მოკანკალე შუქით გაანათა.

დიუ-რუამ ცოლს მკლავები მოხვია და მკერდზე მიიზიდა. წელანდელი ვნებიანი უინი ახლა კდემამოსილ სინაზედ გადაექცა და მსუბუქი, უმანკო ალერსის ნელი სურვილი აღეძრა — ისეთი ალერსის, რომელიც ბავშვებს ნანასავით აძინებს ხოლმე.

ჟორჟი მიბნედილი ხმით ლაპარაკობდა:

— ძალიან, ძალიან მეყვარები, ჩემი პატარა მად.

ნაზმა ხმამ ქალს გული აუჩუყა და ტანში თრთოლვა ჩაუღვარა. და რადგან ქმარს ლოყა მის ძუძუზე ჰქონდა მიბჯენილი, მადლენამ თავი დახარა და ტუჩები მიაწოდა.

გრძელ, უნჯსა და ღრმა კოცნას მკვეთრი ბრძოლა, უცაბედი გიჟური ხვევნა და ხანმოკლე ფიცხელი ჭიდილი მოჰყვა. შემდეგ ერთხანს ჩახვეულები იწვნენ და ოდნავ გულგატეხილები, დაღლილები და ჯერ კიდევ გულთბილნი იყვნენ. მერე ორთქლმავალმა სტვენით შეატყობინა სადგურის სიახლოვე.

ცოლმა განაცხადა, თან საფეთქლებზე აწეწილ თმას თითებით ისწორებდა.

— რა სისულელეა! ბავშვები ხომ არ ვართ!

ჟორჟი ხელებს უკოცნიდა და ტუჩები მოუთმენლად ერთიდან მეორეზე გადააქონდა:

— გაღმერთებ, გაღმერთებ, ჩემო პატარა მად.

რუანამდე თითქმის უძრავად ისხდნენ. ლოყა ლოყაზე ჰქონდათ მიდებული და სარკმლიდან გაჰყურებდნენ ღამის სიბნელეს, სადაც ხანგამოშვებით შენობების სინათლე ლივლივით გაირბენდა ხოლმე. ისხდნენ, ზმანებაში დაცურავდნენ და სიახლოვის გრძნობით უფრო თავისუფალი და უფრო მჭიდრო ხვევნის მოლოდინით ტკბებოდნენ.

ქალაქ რუანში ერთ სასტუმროში ჩამოხტნენ, ოთახი სანაპირო ქუჩის მხარეზე დაიჭირეს, მსუბუქად, სწრაფად ივანშემეს და დასაძინებლად წავიდნენ. დილით, რვა საათი რომ დარეკა, მოახლემ გაადვილა და ღამის მაგიდაზე ორი ფინჯანი ყავა დაუდგა. როცა ყავა გაათავეს, დიუ-რუამ ცოლს გადახედა და უცებ ისეთი სიხარულით მივარდა და ჩაეკონა, თითქოს ხაზინა იპოვაო: „ჩემო პატარა მად... ისე მიყვარხარ... ისე მიყვარხარ, ისე, ისე, რომ“...

მადლენა სანდო, მადლიერი დიმილით იღიმებოდა და კოცნას უბრუნებდა:

— მეც... ალბათ. მეც.

მაგრამ ჟორჟს მშობლებთან მისვლა აწუხებდა. ცოლი უკვე რამოდენიმეჯერ გააფრთხილა, შეამზადა, და ერთხელ კიდევ დაუბრუნდა:

— ხომ გესმის, გლეხები არიან. საოპერო კი არა, უბრალო, ნამდვილი გლეხები არიან-მეთქი.

მადლენამ გაიცინა:

— ვიცი, მრავალჯერ მითხარი. აბა, ადექი და მეც ამაყენე.

ქმარი წამოხტა და წინდების ჩაცმას შეუდგა.

— იმ ბებრებთან ცუდად მოვეწყობით, ძალიან ცუდად. ჩემს ოთახში მარტო ერთი ძველი საწოლია, ისიც ჩალის ლეიბიანი. სხვანაირი ნალი კანტელეში არც კი უნახავთ.

ცოლი აღტაცებული იყო:

— მაგას რა სჯობია! ცუდი ძილი შენთან... შენთან ერთად... მამლის ყვილი გამადვილებს... დიდებულისა!

მადლენამ მატინე ჩაიცვა, — ხალვათი, თეთრი ფლანელის ხალათი, რომელიც ქმარმა მაშინვე იცნო და არ მოეწონა. რატომ? ძალიან კარგად იცოდა, რომ მადლენას თორმეტოდუ ამგვარი დილის ტანისამოსი ჰქონდა. მაშ თავის მზითევს ხომ არ გადაჰყრიდა და ახლებს არ იყიდდა? მაგრამ ჟორჟს სურდა, რომ მის ცოლს დილის კაბები და ღამის საცვალი, სასიყვარულო საცვალი, იგივე არ სცმოდა, რაც „იმის“ დროს ეცვა, და ელანდებოდა, რომ რბილსა და თბილ ქსოვილს თითქოს რაღაც აჩნდა ფორესტიესი.

ფანჯარას მიადგა და პაპიროსი გააბოლა. ნავსადგური და განიერი მდინარე სავსე იყო მსუბუქაფრიალი ხომალდებით და ღიპიანი გემებით, რომელნიც სანაპიროზე მქშინავი მანქანების მიერ დიდი ხმაურობით იტვირთებოდა და იცვლებოდა. ჟორჟს ყოველივე ეს დიდხანია ნანატრი ჰქონდა, მაგრამ ამ სურათმა მასზე ახლაც შთაბეჭდილება მოახდინა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — წამოიძახა, — რა მშვენიერია!

მადლენა ფანჯარას მივარდა, ორივე ხელი ქმარს მხრებზე დაუწყო, მეგობრული ნდობით მიეყუდა და აღტაცებული, გაცოცხლებული გაინაბა.

— ოჰ, რა ლამაზია! რა დიდებული! — იმეორებდა, — არც კი ვიფიქრებდი, რომ ერთ ალაგზე ამდენი გემი და ხომალდი იქნებოდა თავმოყრილი.

ერთი საათის შემდეგ იმ იმედით გავიდნენ, რომ სოფელში საუზმემდე ავიდოდნენ. ჟორჟმა თავისი მშობლები რამდენიმე დღის წინ გააფრთხილა.

ისინი წაიყვანა ჟანგიანმა, ღია ეტლმა, რომელსაც რვალის ქვაბით გუგუნე გაჰქონდა. გაიარეს გრძელი, უშნო ბუღვარი, გადალახეს მინდვრები, სადაც მდინარე მოედინებოდა, და აღმართს შეუდგნენ. მზის სხივებით დაქანცულმა მადლენამ ჩათვლიდა, მყუდროდ იჯდა კუთხეში და ისე გრძობდა თავს, თითქოს მზის შუქის და თბილი ჰაერის აბანოში ყოფილიყო.

ქმარმა გააღვიძა:

— შეხედე.

აღმართზე ორ-სამჯერ მოუხვიეს და შედგნენ. აქედან განთქმული სანახაობა იშლებოდა და ყველა მოგზაური აქ მოჰყავდათ ხოლმე. მათ წინაშე გადაიშალა უზარმაზარი, განიერი და გრძელი ველი, რომელსაც ტალღოვანი ხეულებით კიდით კიდემდე მოლაპლაპე მდინარე სერავდა. ერთ მხარეს, სადაც ველზე გამოდიოდა, მრავალი კუნძულით იყო დაწინწკლული და, სანამ რუანამდე მივიდოდა, ფართოდ ირკალებოდა. შემდეგ მარჯვენა ნაპირზე ქალაქი იშლებოდა. იგი დილის ნისლით ოდნავ იყო შემოსილი, მზე სახურავებზე და სამრეკლოთა ტყეზე კრიალებდა — მსუბუქზე და წვეტიანზე, ან ვეება განძივით მძიმეზე და მჩატეზე. მოჩანდა ოთხკუხედი და მრგვალი კოშკები, ჰერალდიკური გვირგვინებით მოსილი მრავალი ჯიხური, საზვერავი და საეკლესიო გოთიკური სტილის სამრეკლოები. ხოლო ყველას ზევიდან დედა-ტადრის წვრილად გათლილი წვეტი დასცქეროდა — გასაოცარი, მახინჯი, უცნაური, უზომო და მთელ ქვეყანაზე ყველაზე უფრო მაღალი.

მის პირდაპირ, წყლის გაღმა, სენ-სევერის მოზრდილი გარეუბნის საქარხნო საკვამურები იყო აღმართული — მრგვალი, ვიწრო, ამობურცული. ამ საკვამურთა ჯარი კი მათ მოყმეთა — საეკლესიო კოშკების ლაშქარზე მეტი მოჩანდა. აგურის მაღალი სვეტები დიდ მანძილებზე გაშლილიყვნენ, წერწეტად ასვეტილიყვნენ და ლაჟვარდ ცას თავიანთ შავს ნახშირიან სუნთქვას აბოლებდნენ.

მათ შორის ყველაზე მაღალი, ქარხანა „ელვას“ უზარმაზარი საკვამური, ხეოფსის პირამიდის ტოლი იყო და ადამიანის ნახელავთა შორის სიმაღლით მეორე ადგილი ეჭირა. იგი თითქმის ეთანაბრებოდა თავის ამაყ მოძმეს — დედა-ტადრის გუმბათის წვერს, და ისევე დიდებულად ამართულიყო მბოლავი ფაბრიკების ვეება ბრბოში, როგორც ის, მეორე, — საეკლესიო ძეგლების წვეტიან ტყეში.

შემდეგ, მუშათა გარეუბნის უკან, ნაძვნარი გაჭიმულიყო. ამ ორ ქალაქში ჩამომავალი სენა თავისი გზით მიდიოდა, ტყით დაფარულ დაკლაკნილ და ფრიალო ნაპირს ეთამაშებოდა, ალაგ-ალაგ მისი ქვიანი თეთრი ჩონჩხი ჩამოერეცხა, შემდეგ, ერთხელ კიდევ ვეებერთელა ნახევარწრედ მორკალული შორს იკარგებოდა.

მდინარეზე რამდენიმე კარჭაპი ჩანდა, მათ პაწაწა გემი მიათრევდა, რომელიც ხშირად ბოლავდა და შორიდან ბუხს ჰგავდა. კუნძულები ერთ ლარზე იყო გაჭიმული, მწვანე კრიალოსანის უსწორო მძივებს მოგაგონებდათ და ერთმანეთს დაშორებული იყო.

სანამ მგზავრები სანახაობით გაძლებოდნენ, მეეტლე იცდიდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ყველანაირი ტურისტის ამ გადასახედით დიდხანს ტკებოდა ხოლმე.

როცა ხელახლა გაუდგნენ გზა, დეურუამ რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე უცებ დაინახა ორი ბებერი, რომლებიც შესახვედრად მოდიოდნენ, და ეტლიდან ყვირილით გადმოხტა:

— აგერ, მოდიან! ვიცანი.

მისი დედ-მამა უბრალო გლეხები იყვნენ. არეული ნაბიჯით მოდიოდნენ, ბარბაცებდნენ და ზოგჯერ ერთმანეთს მხრებით ეჯახებოდნენ. მამაკაცი შუა ტანისა იყო, მკვრივი, ლამაზი, ოდნავ ღიპიანი და, მიუხედავად ხნოვანებისა, ჯერ კიდევ მხნე და შენახული დედაკაცი კი — მაღალი, ხმელი მოხრილი, პირქუში და სოფლური ჯაფის ნამდვილი ნიმუში. ის ბავშვობიდან მუშაობდა და არასოდეს მოლხენა არა

ჰქონდა, არ ჰქონდა მაშინაც კი, როცა მისი ქმარი მუშტართან ერთად სვამდა ლაყობდა ხოლმე.

მადლენაც გადმოვიდა ეტლიდან და, ახლოს მოსული საწყალი წყვილი რომ დაინახა, გული აუტოკდა და მოულოდნელი სევდა მოერია. ცოლ-ქმარს ეს ლამაზი ვაჟბატონი შეილად არ ემცნაურა და არასოდეს აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ეს კოხტა ქალბატონი მათი რძალი იქნებოდა.

შვილის დასახვედრად ჩუმი და სწრაფად მოდიოდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ ორ ქალაქელ ვაჟბატონს, რომელთაც ეტლი მოსდევდა. როცა გაუსწორდნენ, ჟორჟმა სიცილით შესძახა:

— მამა, გამარჯობა!

— შვილო, შენა ხარ?

ახალგაზრდა ვაჟმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, მე ვარ, დედი! — მივიდა და ორივე ლოყაზე აკოცა. შემდეგ მამის საფეთქლებს თავისი საფეთქლები გაუხახუნა. ბებერმა გლეხმა მძალი, აბრეშუმის ქუდი მოიშვლია, რომელსაც იმ დროს რუანში გასაყალი ჰქონდა და, ჩვეულებრივ, ფეხზე მოვაჭრენი ატარებდნენ ხოლმე.

მერე ჟორჟმა უთხრა:

— ეს ჩემი ცოლი გახლავთ.

სოფლელებმა მადლენა რაღაც სასწაულივით და შიშნარევი უნდობლობით შეათვალიერეს, რასაც მამის მხრივ კმაყოფილი დასტური და გამხნელება დაემატა, ხოლო დედის მხრივ — მტრული ეჭვიანობა.

ჟორჟის მამა, ცუდლუტი მოხუცი, მთლად გაჟღენთილი იყო მსუბუქი სიდრისა და ალკოჰოლის სიმხიარულით. მან სული მოითქვა და ეშმაკური ღიმილით ჰკითხა:

— შეიძლება ერთი ვაკოცო?

შვილმა მიუგო:

— რა თქმა უნდა!

მადლენამ ორივე ლოყა გულგრილად მიუშვირა, გლეხმა ხმამაღლა აკოცა და ტუჩები მაშინვე ხელით მოიწმინდა. დედამთილმა მტრული სიცილით აკოცა რძალს. არა, ის ასეთ რძალს კი არ ნატრობდა, არამედ — რომელიმე ფერმერის მოსულსა და ქორფა ქალიშვილს, რომელიც თურაშაული ვაშლივით წითელი და ჯიშინი ჭაკივით მრგვალი უნდა ყოფილიყო. ეს ქალბატონი კი თავისი ქობებით, ნაწიბურებითა და მუშკის სუნით ნამდვილ ფოლორცის ქალს ჰგავდა. ბებრუცუნა ყოველგვარ ნელსასუნებელს მუშკს უწოდებდა და ახლაც ეს სახელი გაიფიქრა.

ყველა დაიდრა და გაჰყვა ეტლს, რომელსაც ახალგაზრდების ბარგი მიჰქონდა.

მამამ შვილს ხელი გაუყარა, დედაკაცებს ჩამოაშორა და ცნობისმოყვარე ხმით ჰკითხა:

— ჰა, როგორა ხარ, საქმე როგორ მიდის?

— ძალიან კარგად.

— მართლა? მაშ, კარგი. ახლა მითხარი, შენს ცოლს აქვს რამე?

ჟორჟმა მიუგო:

— ორმოცი ათასი ფრანკი.

მამამ გაოცების ნიშნად ოდნავ დაუსტვინა და ისე გაუკვირდა ეს თანხა, რომ მხოლოდ წაიხურჩულა:

— ბიჭოს! — და შემდეგ სერიოზული გულდაჯერებით დაუმატა: — თქმა არ უნდა, მზეთუნახავია, — მას მადლენა თვალში მოუვიდა, რადგან თავის ღროზე ქალების დიდ მცოდნედ ითვლებოდა.

მადლენა და დედამთილი ერთად მიდიოდნენ და დაჟინებით დუმდნენ. მამაკაცები წამოეწივნ. პატარა სოფელი ახლოს იყოს და გზის აქეთ-იქით ათ-ათი სახლი ძლივს იდგა, ზოგი პატარა ქალაქის შენობას ჰგავდა, ზოგი კი — უბრალო ქოხს. ერთი — აგურისა, მეორე — ალიზისა, ის — ფიქალით დახურული, ეს კი — ჩალით მობურული. ბებერ დეურუას დუქანი „ლამაზი ხედი“ — ერთსართულიან სახლში იყო და მარცხენა მხარეს იდგა. კარზე ნაძვის ტოტი ჰქონდა მიკრული, რომელიც, თანახმად ძველი ჩვეულებისა, მსმელებს ანიშნებდა, რომ ისინი ამ დუქანში ძვირფას სტუმრებად ითვლებოდნენ.

დუქანში ორი მაგიდა ერთმანეთს მიადგეს და ორი ხელსაწმენდი გადააფარეს. ერთი მეზობელი დედაკაცი მოიშველიეს. ასეთი ლამაზი ქალი რომ დაინახა, ღრმად დაუკრა თავი, მაგრამ მერე ჟორჟი იცნო და შესძახა:

— იესო ქრისტე! ბიჭო, შენა ხარ?

ჟორჟმა მხიარულად უპასუხა:

— დიახ, ძალუა ბრძეულენ, მე გახლავარ! — აკოცა და შემდეგ ცოლს მიუბრუნდა: — ჩვენს ოთახში შედი. შეიძლება იქ შლიაპაც მოიხადო.

და მარჯვენა კარით გრილ, ფილაქნით დაგებულ ოთახში შეიყვანა. კედლები თეთრად იყო შეღებილი და საწოლსაც თეთრი სუზანები ეფინა. ამ პირქუს ოთახს მხოლოდ სამი სამკაული ჰქონდა. სააიაზმეს თავზე აღმართული ჯვარცმა და ორი ფერადი სურათი: ერთზე დახატული იყო პოლი და ვირჟინი, რომელნიც ლურჯი პალმის ძირში სხედან, ხოლო მეორეზე — თაფლისფერ ცხენეზე მჯდარი ნაპოლეონ I.

მარტო რომ დარჩნენ, ჟორჟი მადლენას მოეხვია:

— გამარჯობა, მად. მე ჩემი ბებრუცანების ნახვა გამეხარდა. მანამ პარიზში ვიყავი, აღარ მახსოვდა, ახლა კი მათი ხილვის ბედნიერება ისევ ვიგრძენი.

მაგრამ მამა მეორე ოთახიდან უკვე ურაკუნებდა კედელს:

— ჩქარა, ჩქარა! წვნიანი მოიტანეს.

იძულებული გახდნენ, გასულიყვნენ და ხანგრძლივ გლეხურ საუზმეს შედგომოდნენ. საჭმელი უხერხულად იყო შერჩეული: ბატკანს ძეხვი მოსდევდა, ძეხვს — ტაფამწვარი. ბებერი დედურუა სიდრმა და ღვინის რამდენიმე ჭიქამ გაამხიარულა. მან შერჩეული ოხუნჯობის ნაკადი გადმოუშვა, რომელიც დიდი უქმეებისთვის ჰქონდა ხოლმე შენახული, ერთიმეორეზე ჭუჭყიანი და ცხარე ამბავი გაადმოალგა, რომელიც, ოხუნჯი ბებრის სიტყვით, მის მეგობრებს დაემართა.

ჟორჟმა ეს ამბები ზეპირად იცოდა და იცინოდა, ნამდვილად კი მშობლიური ჰაერით და იქაურობის თანდაყოლილი სიყვარულით იყო დამთვრალი და ამიტომ იღხენდა. უცებ წარსული გრძობანი მოასკდა, ძველი მოგონებანი აეშალა, რომელიც ნაცნობმა ნივთებმა, სხვადასხვა წვრილმანმა, კარებზე ჭდეულის ან კოჭლი სკამის დანახვამ აღუძრა. ყოველივე წვრილ ოჯახურ ამბავს მოაგონებდა; ჟორჟმა ყველაფრის მკვეთრი სუნი და მწვავე არომატი იგრძნო: მიწის, ტყის, სოფლური კუპრის, ბინების, წყაროსი და სასუქის.

მუდამ სევდიანი და სუსხიანი დედა კი დუმდა და რძალს უცებ გაღვიძებული სიძულვილით ადევნებდა თვალყურს. ეს იყო სიძულვილი მუშის, დაკორძებული ხელებისა და მძიმე შრომით დაგონჯებული კუნთებისა ქალაქელი ქალბატონის მიმართ, რომელიც მას ზიზღს ჰგვირდა როგორც ვინმე შეჩვენებული, განკიცხული, უწმინდური სულიერი, უსაქმურობისა და გარყვნილებისათვის გაჩენილი. მოხუცი პირქუსად იბღვირებოდა და ყოველ წუთს მაგიდიდან დგებორდა, რათა საჭმლის ახალი თავი მოეტანა, ჭიქაში სურიდან მოყვითალო მწკლარტე ღვინო გადმოესხა, ხოლო ბოთლიდან წითელი, მსუსხავი და ტკბილი სიდრა, რომელსაც ისეთივე ტლაშუნით ამოჰქონდა კორპი, როგორც აირით გაუღენთილ ღიმონათს ამოაქვს ხოლმე.

მადლენა არა ჭამდა, დუმდა და მოწყენით იყო, ხოლო მის ჩვეულებრივ გაყინულ ღიმილს ბნელი და მორჩილი იერი მიეცა. გუული გაუტყდა და თავმოყვარეობაც შელახული ჰქონდა. რისთვის? რატომ? ხომ თვითონვე უნდოდა მათი ნახვა და ისიც იცოდა, რომ გლეხებთან, დარბი გლეხებთან მიდიოდა? მაშ, როგორი ეჩვენებოდა ეს ხალხი მას, ვინც ჩვეული არ იყო გატაცებას და გადაჭარბებას?

და რა იცოდა? განა ქალებს მუდამ ნამდვილზე მეტის იმედი არა აქვთ? იქნებ ეს ხალხი შორიდან უფრო პოეტური ეჩვენებოდა? არა, მაგრამ შეიძლება უფრო კეთილშობილურს, უფრო გულითადასა და უფრო ფეროვანს მოელოდა, ვიდრე წიგნებშია ხოლმე აღწერილი. მიუხედავად ამისა, მადლენას სულაც არ სწადდა, რომ ეს ხალხი ისევე თავაზიანი და მოპრანჭული ყოფილიყო, როგორც რომანისტები გვანჩვენებენ ხოლმე. მაშ როგორ უნდა აეხსნა, რომ ასე ეთაკილებოდა ეს მდაბიო ბებრები, ათასი ხელშეუხებელი წვრილმანი, ათასი უხილავი სისულელე, მათი გლეხური მიმოხრა, სიტყვა, იერი და სიცილი?

და მადლენას მოაგონდა საკუთარი დედა, რომელიც

არავისთვის არ ჰქონდა აწერილ-ნაამბობი — შეცდენილი მასწავლებელი, რომელიც სენდენში აღიზარდა, და როცა მადლენა თორმეტი წლისა იყო, სიდატაკითა და დარდით გარდაიცვალა. ვიღაც უცნობმა მამაკაცმა იკისრა პატარა ქალის აღზრდა. ვინ იყო მამამისი? არაფერი იცოდა, მხოლოდ ბუნდოვანი ეჭვი ჰქონდა.

საუზმე ველარ გათავდა, მეზობლები შემოდრიოდნენ, მამა დედურუას ხელს ართმევდნენ, მისი შვილის ნახვის გამო რაიმეს წამოიყვირებდნენ და, ახალგაზრდა

ცოლს რომ გადახედავდნენ, ერთმანეთს ცუდლუტად თვალით ანიშნებდნენ ხოლმე. ეს თვალის ჩაკერა ასეთ აზრს გამოსახავდა — „დასწყვევლოს ეშმაკმა, რა ლამაზი ცოლი ჩაუგდია ხელში ჩვენს ჟორჟ დეურუს!“

ვინც ამ ოჯახის მახლობელი არ იყო, ის მაგიდას მიუჯდებოდა და იძახდა: „ერთი ლიტრა! — ერთი ჭიქა!“ „ორი პატარა!“ თან დომინოს თამაშობდნენ და სწორკუთხა შავ და თეთრ ძველებს მაგრად აჭახუნებდნენ.

ჟორჟის დედა ისევ ფეხზე ტრიალებდა, მუშტარს პირქუშად ემსახურებოდა, ფულს იღებდა და მაგიდებს თავისი ლურჯი წინსაფრის ბოლოთი ასუფთავებდა.

ოთახი თიხის ჩიბუხების და იაფი სიგარების ბოლმა გააფსო. მადლენამ ხველება დაიწყო და ქმარს ჰკითხა:

— მეტი აღარ შემიძლია.. თუ შენც გინდა, გავიდეთ სადმე.

საუზმე ჯერ არ დაემთავრებინათ, მოხუცმა დეურუამ უკმაყოფილება გამოთქვა. მადლენამ გადაწყვიტა, მაგიდიდან ამდგარიყო და გასასვლელ კარებთან მოეცადა, სანამ მამაკაცები ყავას მიირთმევდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მას ჟორჟი მიუახლოვდა.

— ხომ არ ინებებთ სენაზე გასეირნებას?

— სიამოვნებით! — სიხარულით დაეთანხმა მადლენა.

დაღმა დაეშვნენ, კრუასეში ნავი დაიჭირავეს და დღის მეორე ნახევარი ერთ კუნძულზე, ტირიფების ქვეშ გაატარეს, საცა გაზაფხულის ტკბილი სითბო და ტალღების მთვლემარე ტიტინი ახალგაზრდებს ნანას ეუბნებოდა.საღამო ჟამს დაბრუნდნენ. ქონის სანთლით გაშუქებული ღამის სერობა მადლენას წელანდელზე უფრო გულსაკლავად ეჩვენა. დეურუს მამა მთვრალი იყო და დუმდა, დედა ისევ ისე პირქუშად იჯდა.

სუსტი შუქი ნაცრისფერ კედლებზე ჩრდილებს ისროდა. თავებს ვეება ცხვირები ებათ და ყოველი მოძრაობა საზარლად იყო გადაჭარბებული. ზოგჯერ დეურ ხელს ორთითის ოდენა ჩანგალი ზევით აჰქონდა და ურჩხულის მსგავსი პირისაკენ მიჰქონდა. ამისათვის საკმარისი იყო, მოყვითალო და მთრთოლვარე სანთლისკენ ვინმე ოდნავ მაინც მიბრუნებულიყო.

გათავდა თუ არა სადილი, მადლენამ ქმარი შინიდან გაიყვანა, რათა ამ შავბნელ დარბაზში აღარ დარჩენილიყო, სადაც გამუდმებით ძველი ჩიბუხების მწვავე სიმყრალე და დაღვრილი სასმელების სუნი იდგა. როცა გამოვიდნენ, ჟორჟმა ცოლს უთხრა:

— როგორც ვატყობ, უკვე მოგწყინდა.

მადლენა უარზე იდგა, მაგრამ ქმარმა გააწყვეტინა:

— არა, მშვენივრად ვატყობ. თუ გინდა, ხვალვე წავიდეთ.

ცოლმა წაილაპარაკა:

— ჰო, ძალიან მინდა.

ჩუმად გაჰყვნენ გზას. თბილი ღამე იდგა და მისი ღრმა და ალერსიანი სიბნელე თითქოს რაღაც ოდნავი ხმაურით, ფაჩუნით და შრიალით იყო სავსე. ცოლ-ქმარი ვიწროდ გაკაფულ ტყეში შევიდნენ, რომელიც განუჭკვრეტელი წყვილიადაც იყო დაბურული და მადალი ხეებით გარემოცული.

მადლენამ კითხა:

— სადა ვართ?

მან მიუგო:

— ტყეში.

— დიდა?

— ძალიან: ერთი უდიდესთაგანია საფრანგეთში.

ტყის ხეივანში თითქოს ყველაფერი თვლემდა: სუნი მიწის, ხეებისა და ხავსის, ბებრული სუნი დატოტვილი ხეებისა, რომელსაც კვირტებისა და დამჭკნარი, ობმოკიდებული ფოთლის არომატი ჰქონდა შერეული.

მადლენამ თავი ასწია და ხეების წვეროებშუა ვარსკვლავები დაინახა. თუმცა ჰაერი უძრავად იდგა და ნიავი ტოტებს არ არხევდა, ირგვლივ მაინც ფოთლის ოკეანის გაურკვეველ თრთოლვას გრძნობდა.

უცნაურმა კანკალმა ჩაურბინა ტანში და სულში ჩასწვდა. გული რაღაც ბუნდოვანმა კაემანმა შეუკუმშა. რატომ? ვერ იტყოდა. მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს დაკარგულიყოს, გზა არეოდეს, ხიფათი მოხვეოდეს, მისთვის ყველას თავი მიენებებინოს

და მთელ ქვეყანაზე, სადღაც მაღლა მოციმციმე და ცოცხალი თადის ქვეშ, მარტოღმარტო დარჩენილიყოს.

- ცოტა მეშინია, — წაიხურჩულა. — დაგბრუნდეთ.
- კეთილი, დაგბრუნდეთ.
- მაშ, პარიზში ხვალ წავალთ?
- ჰო, ხვალ წავალთ.
- დილით?
- თუ გინდა, დილით.

შინ რომ დაბრუნდნენ, მოხუცები უკვე დაწოლილიყვნენ. მაღლენას ცუდად ეძინა, რადგან მისთვის უცნობი სოფლური ხმაურობა აწუხებდა: ჭოტის კივილი, კედელს უკან ჩაკეტილი ღორის ჭყვიტინი და ყივილი მამლისა, რომელმაც შუადამიდანვე დაიწყო ძახილი და ხმის მიცემა. ცისკარი რომ დგებოდა, ისინი უკვე მზად იყვნენ წასასვლელად.

ჟორჟმა მშობლებს უკან დაბრუნება შეატყობინა. დედ-მამას ჯერ ზარი დაეცა, მერე კი მიხვდნენ, ვისი გადაწყვეტილი იქნებოდა ეს მოულოდნელი წასვლა. მამამ უბრალოდ ჰკითხა:

- როდისღა გნახავთ ხელახლა?
- რა თქმა უნდა, ამავე ზაფხულში.
- მაშ, კარგი.

დედამ წაიბურტყუნა:

- გისურვებ, რომ ეგ ნაბიჯი სანანებლად არ გაგხდომოდეს.

მათი წყენა რომ დაეშოშმინებინა, ჟორჟმა საჩუქრად ორასი ფრანკი დაუტოვა. ეტლისთვის ბიჭი გაგზავნეს. ათ საათზე მოიყვანა. ახალგაზრდებმა მოხუცები დააკოცნეს და წამოვიდნენ.

თავქვე რომ დაეშვნენ, დეჟ-რუამ გაიცინა:

- აჰა, — უთხრა, — აკი გაფრთხილებდი! სულაც არ იყო საჭირო გამეცნო შენთვის უფროსი თაობა, ბატონი და ქალბატონი დეჟ რუა დე კანტელთა წინაპრები.

მაღლენამაც გაიცინა და თქვა:

— მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, უკვე მიხნდება ამ კეთილი ხალხისადმი სიყვარული. პარიზიდან საჩუქარსაც გამოვუგზავნი. — შემდეგ წაიხურჩულა: — დეჟ რუა დე კანტელ... აი, ნახავ? ჩვენი მოსაწვევი ბარათის წარწერა არავისაც არ გაუკვირდება. ყველას ვუამბობთ, რომ შენი მშობლების მამულში ერთი კვირა გავატარეთ.

მერე ზედ მიეკრა და უღვაშის ბოლო დაუკოცნა:

- გამარჯობა, ჟო!

ჟორჟმა უპასუხა:

- გაგიმარჯოს, მად! — და წელზე ხელი მოხვია.

შორს, ველის სიღრმეში, ვეება მდინარე დილის მზეში ვერცხლის ბაფთასავით გაჭიმულიყო, საქარხნო საკვამურნი ცას ბოლის ღრუბლებს ესროდნენ. საეკლესიო სამრეკლოები უძველესი ქალაქის თავზე აღმართულიყვნენ.

თავი მეორე

ცოლ-ქმარი დეჟ-რუა უკვე ორი დღეა, პარიზში დაბრუნდა. ჟურნალისტი ხელახლა შეუდგა თავის საქმეს იმ დღის მოლოდინში, როცა ქრონიკის წერას თავს დაანებებდა, საბოლოოდ დაიჭერდა ფორესტიეს ალაგს და თავის თავს მხოლოდ პოლიტიკას შესწირავდა.

სადამოს ჟორჟი გახარებული ადიოდა თავისი წინამორბედის ბინაში და თან აჰქონდა სადილის ძლიერი მადა, და წყურვილი მოხვეოდა ცოლს, რომელიც ფიზიკურად მალე მოაჯადოვა და შეუმჩნეველად დაიმორჩილა. ნოტრ დამ დე ლორეტის ქუჩის დასაწყისში ყვავილების მაღაზიას ჩაუარა და აზრმა გაჰკრა, მაღლენასთვის რაიმე ეყიდა. შევიდა და გაუშლელი ვარდების, სურნელოვანი კოკრების დიდი თაიგული აირჩია.

კიბის ყოველ ბაქანზე დიდ სარკეში თავის თავს სიამოვნებით ათვალიერებდა და ის დრო აგონდებოდა, როცა ამ სახლში პირველად შემოდიოდა.

ზარი დარეკა, რადგან გასაღები შინ დაავიწყდა. კარი წინანდელმა მოსამსახურემ გაუღო, რომელიც მან ცოლის რჩევით დაიტოვა. ჟორჟმა ჰკითხა:

— ქალბატონი დაბრუნდა?

— დიას, ბატონო.

სასადილო რომ გაიარა, შენიშნა: სუფრა სამისთვის იყო გაშლილი, და გააკვირვებული შედგა. სასტუმროს ფარდა აწეული იყო და ჟორჟმა თვალი მოჰკრა მადლენას, რომელიც ბუხრის თავზე, ვარდის ისეთსავე თაიგულს დგამდა ლარნაკში, როგორც მან მოუტანა. დღურუას ჯავრი მოერიდა, თითქოს მისი აზრი, ყურადღების ნიშანი და ის სიამე მოეპარათ, რომელსაც თაიგულის მოტანის გამო მოელოდა.

რომ შედიოდა, ჰკითხა:

— ვინმე მოიწვიე?

მადლენა ყვავილებს დატრიალებდა და მოუბრუნებლივ უპასუხა:

— ვერ ვიტყვი, რომ მომეწვიოს. ჩემი ძველი მეგობარი, გრაფი დე ვოდრეკი ჩვეულებრივ ორშაბათობით სადილობდა ჩვენთან და დღესაც მოვა, როგორც უწინ მოდიოდა ხოლმე.

ჟორჟმა მხოლოდ ესა თქვა:

— ჰოო? მაშ კარგი.

ცოლის უკან იდგა, ხელში თაიგული ეჭირა და სურდა დაეშალა, ან გადაეგდო, და მაინც უთხრა:

— მოიხედე, ვარდები მოგიტანე.

ცოლმა სწრაფად მოიხედა და ღიმილით წამოიძახა:

— ოჰ, რა კარგად მოქცეულხარ!

და ისეთი გულითადი სიხარულით გაუწოდა ხელი და ტუჩები, რომ ჟორჟმა უმაღლე იგრძნო ნუგეში. მადლენამ ვარდები აიღო და აღტაცებული ბავშვის სიმკვირცხლით ჩააღაბა ცარიელ ლარნაკში, რომელიც პირველის პირდაპირ იდგა. შემდეგ ტრფივად აათვალიერა და ჩუმად თქვა:

— რა კმაყოფილი ვარ! ახლა რა კარგად არის მორთული ჩემი ბუხარი! — და მაშინვე დაუმატა: — იცი, ეს ვოდრეკი ძალიან კარგი კაცია. მალე დამეგობრდებით. ზარმა გრაფის მოსვლა შეატყობინათ.

ისე შემოვიდა, როგორც საკუთარ ბინაში, დინჯად და კმაყოფილი სახით. ახალგაზრდა ქალს თლილი თითები დაუკოცნა, ქმარს მოუბრუნდა, გულითადი იერით ჩამოართვა ხელი და კითხა:

— როგორ ბრძანდებით, ძვირფასო დღურუა?

უწინდელივით მედიდური და მიუკარებელი აღარ იყო. მისი სახე ახლა ნათლად ამბობდა, რომ ახლანდელი ვითარება სულ სხვანაირია, ვიდრე ადრე იყო. გაოცებულმა ჟურნალისტმა თანაბარი თავაზით უპასუხა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ ათი წლის ნაცნობებს ჰგავდნენ.

მადლენამ სხივმოსილი ღიმილით უთხრა:

— სამზარეულოში უნდა გავიდე, მარტო დაგტოვებთ, — და მიიშალა. ორივემ თვალი გააყოლა.

როცა დაბრუნდა, სტუმარ-მასპინძელი თეატრზე და რომელიღაც ახალ პიესაზე ლაპარაკობდა და მათი თვალაზრისი იმდენად თანაბარი იყო, რომ მათ თვალეებში ურთიერთისადმი მეგობრობა ბრწყინავდა.

სადილმა თავისუფლად, მხიარულად, გულლიად ჩაიარა, გრაფი ისეთ სიამეს გრძნობდა ამ სახლში, მოსიყვარულე ახალგაზრდა მასპინძელთა შორის, რომ გვიანობამდე დარჩა. როცა ვოდრეკი წავიდა, მადლენამ ქმარს ჰკითხა:

— აკი გითხარი, კარგი კაცია-მეთქი. რაც უფრო ახლო გაიცნობ, უფრო მეტად მოგეწონება. საიმედო, გულითადი და მშვენიერი მეგობარია. ოჰ, ეგ რომ არ ყოფილიყო... — და სათქმელი აღარ დაამთავრა. ჟორჟმა უპასუხა:

— მართალია, მეც ძალიან მომეწონა, მგონი, ერთმანეთს დავუახლოვდებით.

ცოლმა საბაასო თემა გამოცვალა:

— იცი, სანამ დავიძინებდეთ, ერთი საქმე უნდა შევასრულოთ. ვერ მოვასწარი სადილობამდე მეთქვა შენთვის, რადგან ვოდრეკი ფეხდაფეხ მოგყვა. დღეს მაროკოს შესახებ დიდი ამბები შემატყობინეს. დეპუტატმა ლაროშ-მატიემ მითხრა, მომავალმა მინისტრმა. უნდა დიდი სენსაციური წერილი დავწეროთ, ციფრებიც და ფაქტებიც მზადა მაქვს. აბა, დავსხდეთ და საქმეს შევუდგეთ. აჰა, ლამაჰა!

ჟორჟმა ლამპა აიღო და კაბინეტში გავიდნენ. თაროებზე იგივე წიგნები ეწყო, ზევით კი სამი ლარნაკი იდო, რომელიც ფორესტიემ ჟუანის ყურეში სიკვდილის წინა დღეს იყიდა. განსვენებულის კუთვნილი ტყავის ფარდაგი დედურუას მაგიდის ქვეშ უცდიდა. ჟორჟი მიუჯდა და სპილოს ძვლის კალმისტარი აიღო, რომელსაც ბოლო უწინდელი პატრონის მიერ ოდნავ დაკენტილი ჰქონდა.

ბუხრის თავზე ჩამოყრდნობილმა მადლენამ პაპიროსი გააბოლა, ახალი ამბები გადმოალაგა, შემდეგ თავისი აზრები გამოთქვა და წერილის გეგმაც გააცნო.

ჟორჟი გულდასმით უგდებდა ყურს, შენიშვნებს წერდა და, როცა ცოლმა გაათავა, ზოგი რამ უპასუხა, მთავარ საგანს დაუბრუნდა, გააფართოვა და, არა მარტო წერილის გეგმა, არამედ ახლანდელი სამინისტროს საწინააღმდეგო ბრძოლის გეგმაც კი განავითარა. ეს წერილი თავდასხმის ნიშანი უნდა ყოფილიყო. ჟორჟის აზრმა იმდენად დააინტერესა მისი ცოლი, ისეთი ფართო და შორეული სურათი გადაუშალა, რომ მადლენამ პაპიროსის წვევა შეწყვიტა და ყური მიუგდო. მხოლოდ დროგამოშვებით ჩაურთავდა დაბალი ხმით:

— ჰო... ჰო... ძალიან კარგი... მშვენიერია... დიდებულია, — და როცა ჟორჟმა გაათავა, უთხრა: — ახლა წერას შევუდგეთ.

ჟორჟს ჯერ კიდევ ეძნელებოდა დაწყება და შესაფერი სიტყვების შერჩევა. მაშინ ცოლი მივიდოდა, მხარზე ნაზად დაეყრდნობოდა და ჩუმად, სულ ჩუმად დაუწყებდა ხოლმე კარნახს. ზოგჯერ გაუბედავად შედგებოდა და ჰკითხავდა:

— ამის თქმა გინდოდა, არა?

ქმარი უპასუხებდა:

— ჰო, ჰო.

მადლენა კაბინეტის მეთაურის წინააღმდეგ მოხერხებულად პოულობდა გესლიან, ნამდვილ ქალურ სიტყვებს, და მისი გარეგნობის გამო პოლიტიკურ შხამს ჩაურთავდა ხოლმე. ასეთი ადგილები მკითხველს აცინებდა და, ამავე დროს, სიმართლეშიც აჯერებდა.

დეურუა რომელიმე შეტევის აზრს ზოგჯერ რამდენიმე სიტყვით გააღრმავებდა და გააძლიერებდა ხოლმე. გარდა ამისა, მარჯვედ ხმარობდა თავისებურ ხელოვნებას — სათქმელი თქვა და ვერაგულად ბოლომდე არ მიიყვანო! ეს ხერხი მან ქრონიკის გამოკვეთის დროს ისწავლა. როცა მადლენა ლამობდა რომელიმე ამბავი ნამდვილ ფაქტად ეჩვენებინა, ჟორჟს კი საეჭვოდ ან უხერხულად მიაჩნდა, მაშინვე შეცვლიდა: მოსხლეტით, ხელმარდად გადაჰკრავდა, მხოლოდ ანიშნებდა და მკითხველს უფრო მოხერხებულად ჩააგონებდა, ვიდრე პირდაპირი მხილებით იტყოდა.

წერილი დაასრულა და ხმამაღლა წაიკითხა გამოთქმით. ორივე შეთანხმდა, რომ იგი მშვენივრად იყო დაწერილი, და აღტაცებულნი, გაკვირვებულნი ისე უდიდოდნენ ერთმანეთს, თითქოს ეს-ეს არის გაეცნოთ ურთიერთი. გაოცებით და ნაზად უმხერდნენ ერთმანეთს თვალეში და ისეთი გატაცებით ჰკოცნიდნენ, თითქოს მათი ჭკუის ნათესაობა მათს სხეულებსაც გადასდებოდეს.

დეურუამ ხელახლა აიღო ლამპა.

— ახლა კი ნანინას შევუდგეთ, — თქვა და აღმოდებული თვალეები შეანათა.

ცოლმა მიუგო:

— წინ მიბრძანდით, ძვირფასო მასწავლებელო, რადგან გზას თქვენ მინათებთ.

ჟორჟი საწოლი ოთახისკენ წავიდა, მადლენა კი უკან მისდევდა, თმასა და საყელოს შუა უღიბინებდა. ჟორჟი გაურბოდა: ღიბინისა ეშინოდა.

„ჟორჟ დეურუა დე კანტელ“-ის წერილმა ალიაქოთი გამოიწვია. პალატაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბებერმა ვალტერმა მიულოცა და პოლიტიკური განყოფილება ჩააბარა, ხოლო ქრონიკა ისევ ბუარენარს მიაწოდო.

ამის შემდეგ გაზეთმა სამინისტროს მოხერხებული და მკაცრი ომი დაუწყო. იერიში მარჯვე იყო და საბუთიანი. ხან ირონიას მიუშვებდნენ, ხან სერიოზულად უტევდნენ, ზოგჯერ ხუმრობის კილოს იშველიებდნენ და გესლს ანთხევდნენ. შეტევა იმდენად დამაჯერებელი და მძაფრი იყო, რომ ყველა გაოცებას ეძლეოდა. დანარჩენი გაზეთები გამოუდმებით ბეჭდავდნენ „საფრანგეთის ცხოვრების“ წერილების ამონაწერებს, ხოლო მთავრობის წევრები ცდილობდნენ გაეგოთ, ხომ არ შეიძლებოდა ამ უცნობის მკაცრი მტრისათვის პრეფექტურის საშუალებით ჩაეკმენდინებინათ ხმა.

დეურუამ პოლიტიკურ მოდგაწეთა შორის სახელი მოიხვეჭა. თავისი გავლენის ზრდას იგი იმით გრძნობდა, თუ როგორ ართმევდნენ ხელს და როგორ უხდიდნენ ქუდს.

მეორე მხრივ, მას აოცებდა ცოლის მოხერხებული ჭკუა, ნაცნობთა სიმრავლე და ის სიმარჯვე, რომლის მეოხებითაც ასე ადვილად შოულობდა მასალას და ცნობებს.

როცა კი უნდა დაბრუნებულიყო შინ, სასტუმრო ოთახში მუდამ პოულობდა სენატორს, დეპუტატს, ვინმე დიდ მოხელეს, და ყველანი მადლენას ძველ ნაცნობსავით, სერიოზულად, მაგრამ შინაურულად ექცეოდნენ. ნეტა სად გაიცნო ამოდენა ხალხი? „საზოგადოებაში“, — ამბობდა მისი ცოლი. მაგრამ როგორ მოიპოვა მათი ნდობა და მეგობრობა — ეს კი ვერ გაიგო ქმარმა.

— „მეტად მოხერხებული დიპლომატი დადგებოდა“, — ფიქრობდა.

მადლენა ხშირად იგვიანებდა სადილად და ახენეშებული, გაწითლებული, აღელვებული ბრუნდებოდა. მანამ პირბადეს მოიხსნიდა, იტყოდა ხოლმე:

— დღესაც ახალი ამბები მოვიტანე. წარმოიდგინე, იუსტიციის მინისტრმა ორი ისეთი პირი დანიშნა მოსამართლედ, რომელიც შერეულ კომისიაში მონაწილეობდა. ისეთ სეირს ვაჩვენებთ, რომ დიდხანს აღარ დაივიწყოს.

და მინისტრს სეირს აჩვენებდნენ, მეორე დღესაც იმეორებდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ხელახლა ახსენებდნენ.

დღე-რუას ოჯახში სადილების კვირას ორშაბათობით გრაფი დე ვოდრეკი იწყებდა, სამშაბათობით დეპუტატი ლაროშ-მატიე სადილობდა, ცოლ-ქმარს მაგრად ართმევდა ხელს, ნამეტან სიხარულს ამჟღავნებდა და განუწყვეტლივ იმეორებდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ნამდვილი ომია! ნუთუ ვერ ჩამოყვრით?

მას იმედი ჰქონდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი ერგებოდა, რომელიც დიდი ხანია ნიშანში ჰქონდა ამოღებული.

ლაროშ-მატიე იმ პოლიტიკოსთაგანი იყო, ვისაც არც გარკვეული სახე აქვს, არც რწმენა, არც დიდი ნიჭი, არც გამბედაობა და არც საფუძვლიანი ცოდნა. ის პროვინციელი ვეჭილი იყო. ლამაზ ვაჟკაცად ითვლებოდა, მოქიშპე პარტიებს შორის ქანაობდა და წონასწორობას მარდად იცავდა. ის რესპუბლიკური იეზუიტობის წარმომადგენელი იყო და საეჭვო ლიბერალური სოკო, როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლების სახელოვან სასუქზე ასობით იზრდება ხოლმე.

თავისი სოფლური მაკიაველობის წყალობით, ლაროშ-მატიე ჭკვიან კაცად ითვლებოდა თავისიანებშიც და იმ განდევნილთა და კლასობრივი ჯგუფიდან ამოვარდნილ ადამიანებს შორისაც, ვისაც ჩვეულებრივ დეპუტატებად ირჩევენ ხოლმე. მას საკმაოდ გამოჩენილი გარეგნობა, თავაზიანობა და ზრდილობა გააჩნდა საიმისოდ, რომ გამარჯვება მოეპოვებინა. და, მართლაც, წარმატება ჰქონდა საზოგადოებაშიაც და იმდროინდელ სახელმწიფო მოღვაწეთა შერეულ, გაურკვეველსა და საეჭვო წრეებშიც.

მასზე ყველა ამბობდა:

— ლაროშში მინისტრი გახდება, — და თვითონ მასაც სჯეროდა, ყველაზე მტკიცედ სჯეროდა, რომ მინისტრობა არ ასცდებოდა.

ეს დეპუტატი ბებერი ვალტერის გაზეთის მთავარი აქციონერთაგანი, ვალტერის ამხანაგი და მოკავშირე იყო სხვადასხვა ფინანსურ საქმეებში.

დღე-რუას მისი სჯეროდა, თან იმედიც ჰქონდა, რომ ოდესმე გამოადგებოდა, ამიტომ მხარს უჭერდა. სხვაფრივ ჟორჟი მხოლოდ ფორესტიეს საქმეს აგრძელებდა, რომელსაც ლაროშ-მატიე საპატიო ლეგიონის ორდენს ჰპირდებოდა, როცა ლაროშის დრო დადგებოდა. ახლა კი ამ ორდენს მადლენას ახალი ქმრის მკერდი უნდა დაემშვენებინა და მეტი არაფერი. ამრიგად, არაფერიც არ შეცვლილიყო.

ამას ყველა ნათლად ხედავდა, და გაზეთის თანამშრომლებმა დღე-რუას ისეთი სახელი შეარქვეს, რომელიც მას აბრაზებდა: ახლა მას ყველანი ფორესტიეს უწოდებდნენ. რედაქციაში შევიდოდა თუ არა, მაშინვე ვინმე მიჰმართავდა:

— ერთი მითხარი, ფორესტიე...

ჟორჟი თავს იკატუნებდა, თითქოს არ ესმოდა, და ხელებს უჯრებში აფათურებდა, მაგრამ ის ვიდაც უფრო მაღალი ხმით იმეორებდა:

— შენ, ფორესტიე!

აქა-იქ ჩუმი სიცილი გაისმოდა. როცა დღე-რუა დირექტორის ოთახისკენ წავიდოდა, მას ვინმე შეაჩერებდა და ეტყოდა:

— მაპატიე, გენაცვა, ერთი წუთით მჭირდება. უცნაურია, მაგრამ საწყალი შარლის და თქვენი სახელები მუდამ მერევა. ეს იმით აიხსნება, რომ თქვენი წერილები მეტისმეტად ჰგავს შარლისას, სხვებსაც ასე ჰგონიათ.

დღუ-რუა პასუხს არ აძლევდა, მაგრამ სიმწრით იწურებოდა და გულში განსვენებულის მიმართ ყრუ ბრაზი უგუბდებოდა. ხოლო როცა ერთხელ ბებერ ვალტერსაც გამოუცხადეს განცვიფრება იმის გამო, რომ ახალი პოლიტიკური რედაქტორის წერილები აზროვნებითაც და სტილისტურადაც ძველისას ჰგავდა, ისიც დაეთანხმა და თქვა:

— დიახ, ფორესტიე გახლავთ, მაგრამ ეს ფორესტიე უფრო ჯანმრთელია, უფრო ნერვული და უფრო ვაჟკაცური.

მეორეჯერ დღუ-რუამ შემთხვევით გამოაღო კარადა, სადაც ბილბოკე ეწყო, და დაინახა: მისი წინამორბედის ბილბოკეს შავი ბაფთა ჰქონდა მიკერებული, ხოლო თავის ბილბოკეს, სენ-პოტენის ხელმძღვანელობით რომ ხმარობდა ხოლმე — ვარდისფერისა. ყველა ბურთი ერთ თაროზე ეწყო ზომის მიხედვით. ქაღალდის ნაგლეჯს, რომელიც ისე იყო მიკრული, როგორც მუზეუმში, ასეთი წარწერა ჰქონდა: „ფორესტიესი და ამხანაგობის ყოფილი კოლექცია. მკვიდრი საქონელია და ხელსაყრელია ყველგან, მოგზაურობაშიც და სხვაგანც“.

დღუ-რუამ კარი დინჯად მიხურა და საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვა, რათა ყველას გაეგონა:

— ყველგან არიან ტუტუცები და მოშურნენი.

მაგრამ ჟურნალისტმა თავმოყვარეობის კბენა იგრძნო, კბენა მწერლის სიამაყის და პატივმოყვარეობისა, რომელიც ნერვულ ფხუკიანობას იწვევს და რაც თანაბრად სჭირთ რომელიმე რეპორტიორსაც და გენიალურ პოეტსაც.

სახელი „ფორესტიე“ ჟორჟს სმენას სჭრიდა, მისი გაგონებისაც კი ეშინოდა და, როცა სადმე ყურს მოჰკრავდა, გრძნობდა, რომ სახეზე ალი ეკიდებოდა. ეს სახელი გესლიან მასხრობად ეჩვენებოდა, უფრო მეტიც: შეურაცხყოფდა და უყვიროდა მას:

„შენი ცოლი იმის მაგივრად მუშაობდა, ახლა კი შენს მაგივრობასაც ეწევა. უიმისოდ არარაობა იქნებოდი“.

ჟორჟი თანახმა იყო, რომ ფორესტიე უმადლენოდ ვერაფერს მიაღწევდა, მაგრამ თვითონ... არა, აქ კი სულ სხვანაირად იყო საქმე. შინ რომ ბრუნდებოდა, ეს აზრი აეკვიატებოდა ხოლმე. ახლა მთელი ბინა, ავეჯი, ყოველი უბრალო და მცირე რამ, რასაც კი ხელს შეახებდა — ყველაფრის გამო განსვენებული მეგობარი აგონდებოდა. პირველ ხანებში ამაზე არც კი ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ, როცა თანამშრომლებმა ზედმეტი სახელი მიაკერეს, გულში ჭრილობის მსგავსი რამ გაუჩნდა, რომელსაც მანამდე შეუმჩნეველი წვრილმანიც კი უღიზიანებდა.

მას აქეთ ერთ ნივთსაც ვეღარ მიჰკარებოდა, რომ იმ ნივთზე შარლის ხელიც არ მოსჩვენებოდა. რასაც კი ხედავდა, რასაც კი ხელს მიაკარებდა, უკლებლივ ყველაფერი „იმას“ ეკუთვნოდა, ოდესღაც შარლს ემსახურებოდა, შარლის ნაყიდი და მისივე საყვარელი რამ იყო. და ჟორჟი მალე იმ აზრმაც კი ააღელვა, თუ რანაირი ურთიერთობა ჰქონდათ მის მეგობარს და მის ცოლს.

ზოგჯერ თავისი გულის აჯანყება აოცებდა, მისი ფორიაქისა არაფერი გაეგებოდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: „დასწყველოს ეშმაკმა, ეს რა ამბავია? მადლენას მეგობრებზე არ ვეჭვიანობ. მათდამი არავითარი ეჭვი არა მაქვს. არც ის აზრი მაწუხებს, თუ რას სჩადის მადლენა. როცა მოისურვებს, წავა, როცა მოინდომებს, დაბრუნდება, ხოლო იმ წყეულის მოგონება, იმ პირუტყვი შარლის გახსენება ბრაზით მკლავს!“ და გულში დაუმატებდა ხოლმე: „ნამდვილად რომ ვთქვა, ტუტუცი იყო, გამოტვინებული, და სწორედ ეს მიღახავს თავმოყვარეობას, ის მამწარებს, რომ მადლენა ასეთ სულელს გაჰყვა ცოლად“. და განუწყვეტლივ ეკითხებოდა თავის თავს: „ნეტა ასეთი დედაკაცი, თუნდაც ერთ წუთს, როგორ უძლებდა ასეთ ცხოველს“.

დღითიდღე ათასი უმნიშვნელო წვრილმანის გამო ბრაზი ემატებოდა, იგი ნემსივით კბენდა, სიმწარე ახრჩობდა მკვდრის გაუთავებელი გახსენების გამო, რომელსაც მადლენას, ლაქიას ან მოახლის რომელიმე სიტყვა უღვიძებდა ხოლმე.

ერთ საღამოს დღუ-რუამ იკითხა, რადგან ტკბილეული უყვარდა:

— რატომ არასოდეს ტკბილი ნამცხვარი არა გვაქვს ხოლმე?

ახალგაზრდა ცოლმა მხიარულად მიუგო:

— მართლა, აღარ გამახსენდა, იმიტომ, რომ შარლს ეჯავრებოდა.

ჟორჟი მოუთმენლად შეტოკდა. თავი ვეღარ შეიმავრა და მიახალა:

— კმარა, შენმა შარლმა თავი მომაბეზრა. მუდამ ერთი და იგივე მესმის: აქაც შარლი, იქაც შარლი, შარლს ეს უყვარდა, შარლს ის უყვარდა. შარლი ჩაძაღლდა, დროა დაივიწყო!

მადლენა თავის ქმარს განცვიფრებით შესცქეროდა და მოულოდნელი აფეთქების მიზეზი არ ესმოდა. მაგრამ ჭკვიანი იყო და მიხვდა, რაც ხდებოდა ჟორჟის სულში, მიხვედრილი იყო ეჭვიანობის ჩუმსა და ნელ მუშაობას, რომელიც ფორესტიეს სიკვდილის შემდეგ დღითიდღე იზრდებოდა ყველაფრის გავლენით, რაც კი მის ქმარს მიცვალებულს გაახსენებდა ხოლმე.

ეს ამბავი ბალღობად მოეჩვენა, მაგრამ რადგან მისი ქალური თავმოყვარეობა ამის გამო დაამდა, არაფერი აღარ უპასუხა და გაუჩუმდა. ქმარი კი უარესად გაწყრა იმიტომ, რომ თავისი ბრაზი ვერ დამალა. საღამოზე, სადილის შემდეგ, ხვალინდელი ნომრისთვის წერილს რომ წერდნენ, ჟორჟს ბეწვიან ფარდაგში ფეხები გაეხლართა, და რადგან ვეღარ გადააბრუნა, ფეხის მოქნევით იქით გადააგდო და სიცილით ჰკითხა:

— შარლს მუდამ ცივი ფეხები ჰქონდა?

მადლენამ სიცილითვე უპასუხა:

— მუდამ გაციებისა ეშინოდა: სუსტი ფილტვები ჰქონდა.

დღუ-რუამ მძვინვარე კილოთი შენიშნა:

— და კიდევაც დაამტკიცა. — და თავაზიანად დაუმატა: — ჩემდა საბედნიეროდ.

— და ცოლს ხელი დაუკოცნა.

მაგრამ როცა წვებოდა, იგივე აზრი აეკვიატა და ჰკითხა:

— თქვი, ორპირი ქარის შიშით თავზე ქალაღდის ჩანს ხომ ამ იხურავდა ხოლმე? ცოლმა ამ ოხუნჯობაზე უპასუხა — არა, აბრეშუმის თავსახვევს იკრავდა ხოლმე. ჟორჟმა მხრები აიყარა და ჯანმრთელი ადამიანის ზიზღით შენიშნა:

— სულელი!

მას შემდეგ შარლი მუდმივ სალაპარაკოდ გადაექცა. დღუ-რუა მას ყოველი საბაბით, უზომო გულისტკივილით იხსენებდა და ამ სახელს სხვანაირად არ იტყოდა, თუ არა „საწყალი შარლი“. მას შემდეგ, რაც ჟორჟს რედაქციაში მხოლოდ ფორესტიეს გვარით ახსენებდნენ ხოლმე, დღუ-რუა სამაგიეროს მიცვალებულს უხდიდა: შინ რომ დაბრუნდებოდა, თავის წინამორბედზე შურს იძიებდა და სიძულვილით, გამასხრებით და გესლის შესხმით დასდევდა. ჟურნალისტს ცისმარე დღეს აგონდებოდა განსვენებულის ყოველი ნაკლი, მისი სასაცილო თვისებანი, მისი წვრილმანი ხასიათი, და ისეთი სიამით ითვლიდა თითებზე ამას, ისეთნაირად ახასიათებდა და აჭარბებდა, თითქოს მიზნად ჰქონოდა თავისი ცოლის გულში საშინელი მოპირდაპირის გავლენის გაქარწყლება,

და იმეორებდა:

— მად, მითხარი, გახსოვს თუ არა, როგორ ცდილობდა ის ბრიყვი დაემტკიცებინა ჩვენთვის, ვითომ მსუქანი კაცი გამხდარზე უფრო გამძლე ყოფილიყო?

ქმარს სურდა, განსვენებულის ყველა საიდუმლოება, ყველა ნაჩუმარი წვრილმანი გაეგო. ცოლი უარზე იდგა, რადგან რცხვენოდა, მაგრამ ჟორჟი დაჟინებით იმეორებდა აკვიატებულს:

— მად, მითხარი, შარლი ალბათ ძალიან სასაცილო რამ იყო იმ დროს, არა?

ცოლი ჩურჩულებდა:

— გეყოფა, თავი დაანებე.

მაგრამ ქმარი ისევ თავისას გაიძახოდა:

— მითხარი-მეთქი, ის პირუტყვი ლოგინში ალბათ ხელმარჯვე ვერ იყო, არა?

და ნათქვამს მუდამ ასე ათავებდა:

— რა პირუტყვი იყო!

ერთ საღამოს, ივლისის დამლევს, ჟორჟი ფანჯარასთან იდგა და პაპიროსს აბოლებდა, მეტად ცხელი საღამო იყო და გასეირნება მოუნდა.

— მად, ჩემო ძვირფასო, — ჰკითხა, — გინდა ბულონის ტყეში გავისეირნოთ?

— რა თქმა უნდა.

ღია ეტლი დაიჭირავეს და წავიდნენ. ჯერ ელისეს მინდვრები გაიარეს, შემდეგ ბულონის პროსპექტზე გავიდნენ. ჰაერი უძრავად იდგა და ერთი იმ ბუდიან ღამეთაგანი იყო, როცა პარიზის აღმურიანი ჰაერი ფილტვებში ცხელი ორთქლივით ჩადის. მრავალათას ეტლს შეყვარებულები მიჰყავდა, ერთმანეთს მისდევდა და ბოლო აღარ ჩანდა. ჟორჟს და მადლენას ართობდათ ჩახუტებულთა ხილვა, რომელნიც ეტლებით მათი

გვერდით მიჰქროდნენ. ქალებს ღია ფერის ტანისამოსი ეცვათ, მამაკაცებს კი მუქი ერწინათ. შეყვარებულთა ვეება ნაკადი ბულონის ტყისკენ მიიღვროდა და ლხენას, შვებას და სიამეს თბილსა და ვარსკვლავებით მოფენილი ცის ქვეშ ეძებდა. ირგვლივ თვლების ყრუ გუგუნის მეტი არაფერი ისმოდა. ეტლები ერთმანეთს მისდევდნენ და თითოში ერთი წყვილი იჯდა — ბალიშებზე მიყუდებული, გაჩუმებული, თითქმის ჩახუტებული, ვნებით გაბრუნებული და მომავალი ხვევნის მოლოდინით აკანკალებულნი. თბილი ბინდი თითქოს კოცნით იყო გაჟღენთილი. ჰაერიც ირგვლივ დაგუბებული აღერსითა და ცხოველური ვნებით თითქოს დამძიმდა, შეგუბდა, შედუღდა. ყოველი წყვილი ერთი აზრით, ერთი ჟინით იყო დამთვრალი და გარშემო რაღაც აღვლევით ღელვას ჰღვრიდა, ყოველი ეტლი — სიყვარულით დატვირთული და აღერსის წყურვილით გარემოცული — გავლის შემდგომ რაღაც მხურვალეს, ხელშეუხებელსა და ამაფორიაქებელ კვალს ტოვებდა.

ჟორჟმა და მადლენამ იგრძნეს, რომ ეს ფუფუნის იმათაც გადაედოთ, და სიცხით კდემამოსილებმა, იღუმალის ღელვით გაჟღენთილებმა, ერთმანეთს ხელი ხელში ჩასჭიდეს.

როცა სანგრების გასწვრივ მოსახვევთან მივიდნენ, ერთმანეთს ჩაეხვივნენ. მადლენამ მორცხვად თქვა:

— დემეტრე, ბავშვები ვართ. ისე ვიქცევით, როგორც რუანის გზაზე მოვიქცეით.

ტყის შესავალთან ეტლების ნაკადი ორად გაიყო. ტბის ხეივანში, სადაც დღუ-რუას ეტლი მიჰკორავდა, ეტლებს შუა ერთგვარი მანძილი რჩებოდა, მაგრამ ყოველივე ირგვლივ — ხეების ხშირი ბინდიც, ფოთლისა და მოჩუხჩუხე ნაკადულების მიერ გასუფთავებული ჰაერიც, ღრმა მოკამკამე ცაც და ღამის ჰაერის რაღაც სიგრილვეც — მოსეირნეთა ხვევნა-კოცნას უღრმეს მშვენებას და იღუმალების იერს აძლევდა.

ჟორჟმა წაიხურჩულა:

— ოჰ, ჩემო საყვარელო მად, — და მიიზიდა.

ცოლმა უთხრა:

— გახსოვს თქვენი ტყე? რა ბნელი და პირქუში იყო! მეჩვენებდა, თითქოს სახიფათო მხეცებით ყოფილიყოს სავსე და არც დასასრული ჰქონოდა, აქ კი მშვენიერია, ჰაერში აღერსია დაღვრილი, და ისიც ვიცი, რომ ტყის იქითა მხარეს სერი იქნება.

მან მიუგო:

— ჩვენს ტყეში ირმის, მელის, შველისა და გარეული ღორის მეტი სხვა მხეცი არ მოიპოვება და ტყის მცველის* (*ფორესტიე — ფრანგულად ტყის მცველს ნიშნავს.) ქონსაც კი იშვიათად წააწყდები.

და ეს სიტყვა, განსვენებული შარლის გვარი რომ წარმოთქვა, გაცოცხლებული დარჩა, მოეჩვენა, თითქოს თვითონ კი არ ეთქვას იგი, არამედ მისთვის დაეძახათ ტყის სიღრმიდან. უცებ დადუმდა, რადგან ის საოცარი და შეუპოვარი მტრული გრძნობა მოერია. უცბად ისევ ეჭვიანმა, მქენჯნავმა და უძლეველმა სიანხსლემ დაიპყრო, რაც, ერთი ხანია, სიცოცხლეს უწამლავდა.

ერთი წუთის შემდეგ ცოლს ჰკითხა:

— სადამოობით შარლთან ერთადაც ასე დასეირნობდი ხოლმე, არა?

მადლენამ უპასუხა

— ჰო, ხშირად.

ჟორჟს უცებ შინ დაბრუნების სურვილი გაუჩნდა, იმდენად ძლიერი, რომ გული შეეკუმშა, თავში ფორესტიეს სახე გაუცოცხლდა. ამ სახემ შეიპყრო იგი, ახრჩობდა, მხოლოდ ამაზე შეეძლო ამჟამად ფიქრიც და ლაპარაკიც.

— მად, მითხარი... — დაიწყო დაგესლილი ხმით.

— რა, გნაცვალე, რა გითხრა?

— როდესმე გიღალატია საწყალი შარლისთვის?

ცოლმა ზიზღით უპასუხა:

— სულ გასულელებულხარ, მუდამ ერთი და იგივე გაგონდება.

მაგრამ ქმარი არა ცხრებოდა:

— შენი ჭირიმე, მად, მითხარი, გამოტყევი: უღალატე თუ არა, მოატყევე თუ არა?

მადლენა სდუმდა, რადგან ეს სიტყვა როგორც ყველა ქალს, მასაც ეხამუშებოდა, ჟორჟი კი ისევ აჩემებულად იმეორებდა:

— ღმერთმანი, შარლის თავი ზედგამოჭრილი იყო რქებისთვის. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! რა სიამოვნებით გავიგებ, რომ იმ თავზე რქები დაადგი, ჰა? ღმერთო ჩემო, რა დოყლაპია იყო!

და რადგან ცოლის სახეზე ღიმილს მოჰკრა თვალი, — ვინ იცის, რა მოაგონდა? — ისევ აღევნებულ კვიატს ჩააცივდა:

— მად, გენაცვალე, თქვი, საიმისო არაფერია, თქვი-მეთქი. პირიქით, ძალიან სასაცილოც იქნება, თუ გამოტყდები და მეტყვი, სწორედ მე მეტყვი, რომ შარლს დალატობდი, ატყუებდი.

და მოუთმენლად, წყურვილით კანკალებდა გაეგო, რომ შარლი, საზიზღარი შარლი, საძაგელი ცხედარი, ასეთი სასაცილო და სამარცხვინო სამკაულით იყო დამშვენებული. მაგრამ, ამასთან ერთად... ამასთან ერთად, კიდევ ერთი ბუნდოვანი გრძნობა უღვივებდა ცნობისმოყვარეობას.

— მად, შენი ჭირიმე, მად, მითხარი, შარლმა ხომ სავსებით დაიმსახურა რქები. ძალიან დააშავებდი, რომ მისი თავი ამ საჩუქრით არ დაგემშვენებინა. მად, მითხარი, რაღა!

ასეთი ჟინიანობა ცოლს, ალბათ, მოეწონა, რადგან მოკლე და დაფლეთილი სიცილით გაიცინა.

ჟორჟი მის ყურთან დაიხარა და —

— აბა, ჰა, გამოტყდი, რაღა!

მადლენამ მკვეთრად გაიწია განზე და თქვა:

— სულ გაგიჟებულხარ. მაგისტანა კითხვაზე აბა ვინ გიპასუხებს?

ისეთი უცნაური კილოთი თქვა ეს სიტყვები, რომ ჟორჟს სუსხმა ჩაურბინა, მენაკრავი, გაოცებული ქმარი გახევდა და, თითქოს ელდა ეცაო, სული შეუგუბდა.

ეტილი ახლა ტბის გასწვრივ მიდიოდა. ცას ტბაში თითქოს ვარსკვლავები დაეფანტა. მის ზედაპირზე ორი გელი დაცურავდა, რომლებიც სიბნელეში თითქმის არ მოჩანდა.

ჟორჟმა მეეტლეს შესძახა:

— უკან დაბრუნდი!

ეტილი გამობრუნდა და გაჰყვა ნელა მიმავალი ეტილების ფარანთა რიგს, რომელნიც ტყეში მოციმციმე თვალებს ჰგავდა.

რა უცნაურად უპასუხა ცოლმა! დღე-რეუა თავის თავს ეკითხებოდა: „თითქმის გამოტყდა, თითქმის აღიარა?“ ამან თითქმის დააჯერა, რომ მადლენა პირველ ქმარს დალატობდა, და ჟორჟი ამ აზრმა სიმწრით გააგიჟა. სურვილი ჰკლავდა, ცოლისთვის გაერტყა, დაეხრჩო, თმა დაეგლიჯა!

ოჰ, ნეტა ნაქვრივალს ასეთი პასუხი მიეგო: „გენაცვალე, ჟორჟ, შარლისთვის დალატი რომ შემძლებოდა, მხოლოდ შენთან ვუდალატობდი“. როგორ დაჰკოცინდა მაშინ მადლენას, როგორ მოეხვეოდა, როგორ შეიყვარებდა!

უძრავად იჯდა, გულხელდაკრეფილი და ცას უმზერდა, მაგრამ აზრები ისე ჰქონდა დახლართული, რომ ფიქრი აღარ შეეძლო. მხოლოდ იმასა გრძნობდა, რომ ბრაზი და ჯავრი უგუბდებოდა — ის ბრაზი, რომელიც ყოველი მამლის გულში ბუუტავს და მაშინ აფეთქდება მძვინვარედ, როცა დედლის გაუტანლობას წააწყდება ხოლმე. ჟორჟმა პირველად იგრძნო გაურკვეველი სევდა ქმრისა, რომელსაც ცოლის დალატის ეჭვი შეეპარა. ის უკვე ეჭვიანობდა, — მიცვალებულის, ფორესტიეს მაგიერ ეჭვიანობდა, და ამ გრძნობას, რაღაც უცნაურსა და მტანჯველს, უცებ მადლენასადმი სიძულვილიც მიემატა. თუ ამ ნაქვრივალმა პირველ ქმარს უდალატა, მაშ, როგორღა ენდოს მას მეორე ქმარი?

ფორიაქი ნელ-ნელა დაიწყნარა, მაგრამ აშლილ გრძნობას ჯერ კიდევ ებრძოდა და ფიქრობდა: „ყველა ქალი გარყვნილია. უნდა გამოიყენო, მაგრამ არასოდეს შენი თავი სავსებით არ უნდა დაუთმო მას“.

სულიერი სიმწარე ლამობდა, გარეთ გამოფეთქილიყო, და დღე-რეუა გადმოსასკდომად შემზადებულ ზიზღსა და სიძულვილის სიტყვებს ძლივს იმაგრებდა. მაგრამ გულს ილაგმავდა და თავისთავს აჯერებდა: „ეს ქვეყანა ძლიერებს ეკუთვნის, საჭიროა მეც ძლიერი ვიყო და ყველაფერზე მადლა ვიდგე“.

ეტილი საკმაოდ სწრაფად მიდიოდა.

სანგრებს გასცდა. დღე-რეუა წინ, ცაში ხედავდა რაღაც მოწითალო სინათლეს, რომელიც უზარმაზარი ქურის შუქს ჰგავდა. თანაც რაღაც ბუნდოვანი, ღრმა და

განუწყვეტელი გუგუნი ესმოდა. მას ერთოდა უამრავი მრავალნაირი ხმა, რაღაც ყრუ, ახლობელი და თან შორეული ხმაური, უზარმაზარი სიცოცხლის იდუმალი ფეთქვა — სუნთქვა პარიზისა, რომელიც ზაფხულის ამ ღამეს დადლილობისაგან უილაჯო და ქანცმიღეული იყო.

ჟორჟი ფიქრობდა: „რა სისულელეს ჩავდივარ, რომ ამის გამო სისხლს ვიშრობ! ყველა თავის თავისთვის ცხოვრობს. გამარჯვება მამაცს ეკუთვნის, ეგოიზმი ყველაფერია. ეგოიზმი პატივმოყვარეობის და ფულის საქმეში უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეგოიზმი ქალის და სიყვარულის საქმეში“.

ქალაქის შესასვლელთან „ეტუალის“ ტრიუმფალური თაღი გამოჩნდა ურჩხულის ორ ფეხზე იდგა და საზარელ, უშნო და ბრგე გიგანტს ჰგავდა, რომელიც მზად იყო მის წინაშე გაშლილ ფართო გზაზე გადმოელაჯებინა და წამოსულიყო.

ჟორჟი და მადლენა ისევ ეტლების ნაკადში მოხვდნენ, ეტლებს ახლა მდუმარე და ჩახვეული ქალ-ვაჟები შინისკენ, სანეტარო ლოგინისკენ მიჰყავდა. ცოლ-ქმარს ეჩვენებოდა, თითქოს მათ გვერდით სიხარულით, სიამითა და ბედნიერებით დამთვრალი მთელი კაცობრიობა მიჰქროდა.

ახალგაზრდა ქალმა ალბათ, გუმანით მიაგნო ქმრის მქენჯნავ ფიქრებს და თავისი რბილი ხმით ჰკითხა:

— გეთაყვა, გამაგებინე, რაზე ფიქრობ? ნახევარი საათი იქნება, ერთი სიტყვაც არ ვითქვამს.

ქმარმა ღრეჭით მიუგო:

— მე ამ სულელებზე ვფიქრობ, ახლა რომ ჰკოცნიან და ეხვევიან ერთმანეთს, და ჩემს თავს ვეუბნები: ღმერთმანი, ცხოვრებაში ამის გარდა სხვა რამეც მოიპოვება-მეთქი.

ცოლმა წაიჩურჩულა:

— ჰო... მაგრამ ზოგჯერ ესეც კარგია,

ჟორჟი ცხოვრებას წელანდელივით პოეტურ სამოსელს ხდიდა და თითქოს გამწარებული ბრაზით ამბობდა: „რა ტუტუცი ვარ, რომ უკანასკნელ დროს სირცხვილით ვიტანჯები, ჩემს თავს სიამოვნებას ვაკლებ, ვღელავ, ვცოდვილობ და სულს ვიწეწავ?“ თავში ფორესტიეს სახემ გაურბინა და სულაც აღარ გაადიზინა. კიდევაც მოეჩვენა, თითქოს შერიგებულიყვნენ, დამეგობრებულიყვნენ, და სურვილი ჰქონდა დაეძახა:

„გამარჯობა, ძველო მეგობარო!“

ღუმიღღით შეშფოთებულმა მადლენამ ჰკითხა:

— იქნებ შინ დაბრუნებამდე ტორტონის შევუაროთ და ნაყინით გავგრილდეთ?

ღმურუამ გვერდულად გახედა და რომელიღაც კაფე-შანტანის შუქზე — აირის ფარების ძლიერ სინათლეზე — მკაფიოდ დაინახა მისი თხელი, ქერა ქალის თხელი, უნაკლო სახე, დაინახა და გაიფიქრა: „ლამაზია, მით უკეთესი. როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო, ჩემო კეთილო. მაგრამ აბა ამას იქით შენი გულისთვის გამაჯავრონ, დედას ვუტირებ!“ და შემდეგ უპასუხა:

— რა თქმა უნდა, გენაცვალე, შევიაროთ, — და მადლენას რომ მისი ფიქრი არ გამოეცნო, აკოცა.

ახალგაზრდა ქალს ქმრის ტუნები ყინულივით ცივი ეჩვენა. ეტლი კაფეს წინ შედგა. ჟორჟმა ცოლს ხელი მიაწოდა, მადლენამ ჩამოართვა და თავისი ჩვეულებრივი ღმიღღით გაუდიმა.

თავი მესამე

მეორე დღეს, რედაქციაში რომ შევიდა, ღმურუა პირდაპირ ბუარენართან მივიდა:

— ძვირფასო მეგობარო, — უთხრა, — გთხოვ, სამსახური გამიწიო. ერთი ხანია, ზოგ ვაჟბატონს სასიამოვნოდ მიაჩნია, ფორესტიე დამიძახოს. ეს მასხრობა მომბეზრდა. იქნებ დამავალო და ეს ვაჟბატონები გააფრთხილო: ვინც ასეთ ოხუნჯობას კიდევ გაბედავს, სილას გავაწნავ. მერე თვითონვე განსაჯონ, ღირს თუ არა ეს ხუმრობა დუელში გასვლად. შენ იმიტომ მოგმართე, რომ დინჯი კაცი ხარ, შეგიძლია უსიამოვნება აგვაცილო თავიდან, და კიდევ იმიტომ, რომ ჩემი სეკუნდანტი იყავი.

ბუარენარმა ეს დავალება იკისრა. ღმურუა საქმეზე გავიდა და ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. აღარავის მისთვის ფორესტიე არ დაუძახნია. შინ რომ დაბრუნდა, სასტუმროდან ქალების ხმა მოესმა და იკითხა:

— ვინ არიან?

მსახურმა მიუგო:

— ქალბატონი ვალტერი და ქალბატონი დე მარელი.

გული ოდნავ აუფანცქალდა, შემდეგ გაიფიქრა: „აბა, ვნახოთ“, და კარი შეადო. კლოტილდა ბუნხართან, კუთხეში იჯდა და ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლის სხივებში იყო გახვეული. ჟორჟს მოეჩვენა, თითქოს მის დანახვაზე ნასაყვარლევით ოდნავ გაფითრდა. დიუ-რუა ჯერ ქ-ნ ვალტერს მიესალმა, მერე მის ქალიშვილებს, რომელნიც დედის გვერდით დარაჯებივით ისხდნენ, შემდეგ კლოტილდასკენ გაემართა და გამოწვილი ხელი რაღაც სხვანაირად ჩამოართვა, თითქოს ეუბნებოდა: „ისევ უწინდებურად მიყვარხარო“. კლოტილდამაც ასეთივე ხელმოჭვრით უპასუხა.

დიუ-რუამ ჰკითხა:

— როგორ ბრძანდებით? მას აქეთ, რაც უკანასკნელად გნახეთ, მთელი საუკუნე გავიდა.

ნასაყვარლევით ლაზღანდარულად უპასუხა:

— მე ძალიან კარგად გახლავარ. თქვენ როგორ გიკითხოთ, ლამაზო მეგობარო?

— მადლენას მიუბრუნდა და დაუმატა: — ნებას მაძლევ, უწინდელივით ლამაზი მეგობარი ვუწოდო?

— რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო. ყველაფრის ნებას გაძლევ, რასაც კი მოისურვებ.

და მის სიტყვებს გესლის ოდნავმა ჩრდილმა ჩაურბინა.

ქ-მა ვალტერმა სიტყვა ერთ სადამო-სეირნობაზე ჩამოაგდო, რომელსაც ჟაკ რივალი თავის მარტოხელა ბინაზე მართავდა. წარჩინებულ ქალთა თანდასწრებით დიდი ფარიკაობა უნდა მოწყობილიყო. ქ-ნი ვალტერი ამბობდა:

— დიდი სეირი იქნება. მაგრამ ძალიან შეწუხებული ვარ იმის გამო, რომ გამცილებელი არავინა მყავს. ჩემი ქმარი სწორედ ამ დროს არ იქნება პარიზში.

დიუ-რუამ უმაღლესი თავი შესთავაზა. ქ-ნი ვალტერი სიამოვნებით დაეთანხმა. მე და ჩემი ქალები დიდი მადლობელი ვიქნებით.

ჟორჟმა უმცროს ქალს გადახედა და გაიფიქრა: „არა უშავს რა. დემეტრისი, ეს სუზანა კოხტა ქალია“. სუზანა მსუბუქ დედოფალას ჰგავდა: ძალიან პატარა და ტურფა ქერა ქალი იყო, წვერილი წელი, ვიწრო თეძოები და თხელი მკერდი ჰქონდა. მოლურჯო თვალებს მინანქარი გადაჰკრავდა, თითქოს მხატვრის მიერ გულმოდგინედ და საუცხოოდ იყო მოხატული. კანი მეტად თეთრი, სიპი, მბრწყინავი და უხადო, მაგრამ, ამავე დროს, უფერული ჰქონდა, თმა — დაკულულებული და აპენტილი, მაგრამ აპენტილი მარჯვედ, მსუბუქად, მომხიბლავი ღრუბელივით. ამავე დროს, იგი კაცს მოაგონებდა დიდი და ლამაზი დედოფალას თმას. ასეთ დედოფალას ხშირად შეხედებით ქუჩაში პაწაწა ქალიშვილების ხელში, რომელნიც თავიანთ სათამაშოებზე უფრო დაბლები არიან ხოლმე.

უფროსი და როზა იმდენად უშნო და ულამაზო იყო, რომ, ჩვეულებრივ, ასეთ ქალს არც ვინმე ამჩნევს ხოლმე, არც ესაუბრება და მასზე არც საზოგადოებაში ლაპარაკობენ.

დედა წამოდგა და დიუ-რუას მიუბრუნდა:

— მაშ, თქვენი იმედით ვიქნები, ხუთშაბათს, ორ საათზე.

მანაც მიუგო:

— უეჭველად.

წავიდა თუ არა, ქ-ნი დე მარელიც წამოდგა:

— ნახვამდის, ლამაზო მეგობარო, — და ხელი მძლავრად მოუჭირა. ჟორჟს ეს ჩემი აღიარება გულში მოხვდა და უცებ უწინდელი ნაზი ტალღა მოაწვა, მიმხიდველი ტალღა ამ პატარა ქარაფშუტა ბურჟუა ქალისადმი, რომელსაც ნასაყვარლევით შესაძლებელია მართლა უყვარდა, და გაიფიქრა: „ხვალვე შევიხედავ“.

მარტო რომ დარჩნენ, მადლენამ ქმარს თვალი თვალში გაუყარა, მხიარულად გაუცინა და უთხრა:

— განა ვერ ხვდები, რომ შენ ქ-ნ ვალტერს ნამდვილი სიყვარული ჩაუნერგე?

ქმარმა უნდობლად მიუგო:

— კარგი, შენი ჭირიმე, აბა რა სათქმელია!

— დამიჯერე, აგრე, გიჟური აღტაცებით ლაპარაკობდა შენზე. ამან ძალიან გამაოცა. მას სურს, თავის ქალებს ორი შენისთანა საქმრო უშოვოს. საბედნიეროდ, ასეთი აღმაფრენა მისთვის სახიფათო არ არის.

ქმარმა ვერ გაიგო:

— როგორ თუ სახიფათო არ არის.

მადლენამ რწმენით მიუგო, იმ დედაკაცის რწმენით, რომელმაც იცის, რასაც ლაპარაკობს:

— ქალბატონი ვალტერი იმ ქალების რიცხვს ეკუთვნის, ვისზედაც ცუდს ვერაფერს იტყვი, ხომ გესმის, ვერაფერს სათაკილოს, ვერც ერთ სიტყვას, ვერასოდეს. ყოველმხრივ უნაკლოა. მის ქმარს ჩემსავით კარგად იცნობ, მაგრამ მისი ცოლი სულ სხვა ვინმეა. მართალია, საკმაოდ იტანჯება იმის გამო, რომ ებრაელს მისთვისოვდა, მაგრამ მაინც ნამუსი და ერთგულება შეუნახა. ძალიან პატიოსანი ქალია.

დღუ-რუას გაუკვირდა:

— მე კი ვალტერის ცოლიც ებრაელი მეგონა.

— მართლა? სულაც არა. წმინდა მადლენას უბნის ყველა საქველმოქმედო ჯგუფის თავმჯდომარეა, ჯვარიც ეკლესიაში დაიწერეს. ის კი არ ვიცი, ქმარი მონინათლა, თუ სამღვდლოებამ წაუყრუა.

ჟორჟმა წაიბურტყუნა:

— ჰოო?... მაშ, შენ ამბობ... ამბობ, ვითომ შევუყვარდი?

— უეჭველად, ძალიან შეუყვარდი. ცოლი რომ არა გყოლოდა, გირჩევდი, გეთხოვა... სუზანა გეთხოვა. ხომ სჯობია როზას?

ქმარმა უღვაშის გრეხით უპასუხა:

— ჰმ... შეიძლება დედასაც გაეუარშიყდეთ.

მადლენა გაწყრა:

— იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო? თუ დედაზე ჩაფიქრდი, გამარჯვებას გისურვებ. მისი არ მეშინია. იმ ხნისა არ არის, როცა სულს პირველად წაიწყმედენ ხოლმე. უფრო ადრე უნდა დაეწყო.

ჟორჟმა გაიფიქრა: „ნუთუ მართლა შემეძლო, სუზანა შემერთო? — მხრები შეიშმუშნა და თავისთვის დაუმატა: „რა სისულელეა! განა მამამისი ოდესმე მომცემდა თანხმობას?“

მაინც გადაწყვიტა, ყურადღებით ედევნებინა თვალი, თუ როგორ მოეპყრობოდა მას ქნი ვალტერი. იმაზე არც კი ფიქრობდა, თუ რა სარგებლობას გამოიტანდა აქედან.

მთელი საღამო კლოტილდას სიყვარულის მოგონება არ შორდებოდა და ეს მოგონება ერთსა და იმავე დროს სინაზითაც იყო სავსე და ვნებითაც. მოაგონდა მისი ოხუნჯობა, კუდრაჭობა, გაახსენდა მათი ხეტიალი ღამის დუქან-კაბარეებში, და იმეორებდა:

„ღმერთმანი, ძალიან სანდომიანია, ძალიან მიმზიდველია. ჰო, ხვალ წავალ და ვნახავ“.

და მეორე დღესვე, სამხრის შემდგომ მართლა წავიდა ვერნეილის ქუჩაზე. იმავე მოახლემ გაუღო კარი. მოახლეს ლაზღანდარულად ჰკითხა:

— როგორ ბრძანდებით?

მან მიუგო:

— ძალიან კარგად.

და სასტუმროში შევიდა. იქ ვიდაცის მოუქნელი ხელი პიანინოზე სავარჯიშოს უკრავდა. ლორინა გამოდგა. ჟორჟი მოელოდა, რომ ბავშვი კისერზე მოეხვეოდა, მაგრამ პატარა ქალი ქალბატონივით წამოდგა, მედიდურად დაუკრა თავი და ამაყად გავიდა.

დღუ-რუა გაოცებას იყო იმის გამო, რომ ბავშვს შეურაცხყოფილი ქალივით ეჭირა თავი. კლოტილდა შემოვიდა. ჟორჟი ხელზე ემთხვია.

— ნეტა იცოდეთ, რამდენი ვიფიქრე თქვენზე! — უთხრა დღუ-რუამ.

— მეც, — მიუგო ნასაყვარლემა.

დასხდნენ. ერთმანეთს თვალებში უმზერდნენ და ხვეწის სურვილით იწვოდნენ.

— ჩემო ძვირფასო კლო, ისევ მიყვარხართ.

— მეც მიყვარხართ.

— მაშ... მაშ... ძალიან არ მიწყრებოდი?

— ჰო, და არც... ჯერ ძალიან მეტკინა გული, მაგრამ მერე დავიჯერე, რომ მართალი იყავი, და ჩემს თავს ვუთხარი: „ეჰ, ისევ დამიბრუნდება. დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაბრუნდება-მეთქი“.

— ვერ გაგებდე დაბრუნება, რადგან არ ვიცოდი, როგორ დამიხვდებოდი. ვერ გაგებდე, მაგრამ ძალიან მინდოდა. მართლა, ერთი მითხარი, ლორინას რა დაემართა? საღამო ძლივს მომცა და გაჯავრებული გავიდა.

— არ ვიცი. მაგრამ რაც ცოლი შეირთე, შენზე ხმა ვეღარ გამიცია. მგონი, ნამდვილად ეჭვიანობს იმის გამო, რომ ცოლი შეირთე.

— რას ამბობ!

— დამიჯერე, მართალს გეუბნები. შენ ლამაზ მეგობარს კი არ გეძახის, არამედ ფორესტიეს.

დღე-რეა გაწითლდა, მაგრამ მერე კლოტილდასკენ მიიწია:

— ტუჩები!

კლოტილდამ ტუჩები შეაგება.

— სად შეიძლება ვნახოთ ერთმანეთი? — ჰკითხა ჟორჟმა.

— ისევ... ისევ იქ... კონსტანტინოპოლის ქუჩაზე.

— რაო? მაშ ჩემი ბინა გაქირავებული არ არის?

— არ არის... ისევ მე დავიქირავე.

— შენ დაიქირავე?

— ჰო, რადგან ვიცოდი, რომ დამიბრუნდებოდი.

— ნამდვილი, ერთგული და უდრმესი სიყვარულით ჰყვარებია. და წაინურჩულა:

— თაყვანსა გცემ, კლო, — მერე ჰკითხა: — შენი ქმარი როგორ არის?

— ძალიან კარგად. ერთ თვეს დაჰყო აქ და მხოლოდ გუშინ წავიდა.

დღე-რეამ სიცილი ვეღარ შეიმაგრა:

— მაშ დროზე მოუსწრია წასვლა!

მან გულუბრყვილოდ უპასუხა:

— დროზე წვიდა, მაგრამ ხომ იცი, არც მაშინ გვიშლიდა ხელს, როცა აქ იყო ხოლმე.

— ეგეც მართალია. საერთოდ, მშვენიერი ადამიანია.

— მითხარი, ახლა როგორა ხარ?

— არც კარგად, არც ცუდად. ჩემი ცოლი მეგობრობას მიწევს, ნამდვილი

მოკავშირეა.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი... სიყვარული კი...

— ძალიან კარგად მესმის, მაგრამ მაინც მშვენიერი ქალია.

— ჰო, მაგრამ... ვერ მალეღვებს, — კიდევ მიიწია და ჩურჩულით ჰკითხა: — მაშ როდის გნახო?

— თუგინდ... თუნდაც ხვალ, თუ გინდა.

— მაშ ხვალ იყოს. ორ საათზე?

— ორზე.

ჟორჟი წასასვლელად წამოდგა და მორცხვად უთხრა:

— მე მინდა, ის ბინა ისევ ჩემ სახელზე გადმოვიტანო, აგრე მსურს. ეგლა მაკლია, ქირა შენ გადაიხადო.

კლოტილდამ ნაზად დაუკოცნა ხელები და უთხრა:

— ისე მოიქეც, როგორც გინდოდეს, მე ისიც მეყოფა, რომ აქამდე შევინახე და ხელახლა შეგვიძლია იმავე ბინაზე ვნახოთ ხოლმე ერთმანეთი.

დღე-რეა სრულებით კმაყოფილი წავიდა. ფოტოგრაფის გვერდით რომ გაიარა, ჩარჩოში დიდთვალა და სრული დედაკაცის სურათი დაინახა, რომელმაც ქ-ნი ვალტერი გაახსენა. „არა უშავს რა, — გაიფიქრა, — არც იმდენად მობერებულია. ნეტა როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ შევამჩნიე? ნეტა ვიცოდე, როგორ მომექცევა ხუთშაბათს საღამო-სეირნობაზე?“

ხელებს იფშვნეტდა და, შინაგანი სიხარულით აღსავსე, თავისი გზით მიაღაჯებდა, თანაც ყველა თავისი გამარჯვება უხაროდა — უხაროდა ხელმარჯვე კაცის ეგოისტური სიხარულით და იმ ნაზი სიამით, რომელსაც ქალის მხურვალე გული

ჰქმნის, როცა იგი ჩვენს პატივმოყვარეობას უღაქუცებს და აფორიაქებულ ჟინს გვიკლავს ხოლმე.

სუთშაბათი რომ დადგა, ჟორჟმა მადლენას ჰკითხა:

— შეჯიბრებაზე არ წამოხვალ, რივალის ბინაზე რომ იმართება?

— არა, არავითარი ხალისი არა მაქვს. ისევ დეპუტატების პალატაში წავალ.

და რადგან საუცხოო დარი იდგა, დეჟ-რუა ვალტერის ბინაზე ღია ეტლით წავიდა.

ქნი ვალტერი რომ დაინახა, იმდენად ლამაზი და ახალგაზრდა ეჩვენა, რომ გაოცდა.

მკერდამოჭრილი ღია ფერის კაბა ეცვა, ყვითელი არშიების ქვეშ საესე ძუძუები გამოსჭვიოდა, დეჟ-რუას იგი არასოდეს ენახა ასეთი უმჭკნარი. დინჯი და თითქმის მკაცრი სახე და ორი შვილის დედის მიხრა-მოხრა ჰქონდა. ამის გამო მამაკაცები თითქმის არ ამჩნევდნენ მას. გარდა ამისა, ლაპარაკში მხოლოდ ცნობილ, საყოველთაო და ზომიერ აზრებს გამოთქვამდა ხოლმე, რადგან ყველა მისი აზრი იყო გონიერი, მეთოდური, სანიმუშოდ დალაგებული და ყოველგვარ უკიდურესობას მოკლებული.

მისი ქალიშვილი სუზანა ვარდისფერი კაბით იყო და ვატოს გაკრიალებულ სურათს ჰგავდა, ხოლო უფროსი — გამზრდელს ან გადიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ ქალისთვის, სათამაშოსავით ლამაზი ქალისათვის, თვალყური ედევნებინა.

რივალის ბინის კარებთან ეტლების გრძელი რიგი იდგა. დეჟ-რუამ ქნი ვალტერს ხელი მიაშველა და ჩამოიყვანა.

ეს შეჯიბრება პარიზის მეექვსე უბნის ობოლთა სასარგებლოდ იმართებოდა, რომელთაც მზრუნველობას „საფრანგეთის ცხოვრების“ მახლობელი დეპუტატების და სენატორების ცოლები უწევდნენ.

ქნი ვალტერი მოსვლას და თავისი ქალიშვილების მოყვანას დაჰპირდა, მაგრამ დიასახლისობაზე უარი განაცხადა: თავის სახელს მხოლოდ სამღვდელოების მიერ გამართულ საქველმოქმედო საქმეებს ათხოვებდა ხოლმე, და ამას იმიტომ კი არ სჩადიოდა, რომ მორწმუნე იყო, არამედ იმიტომ, რომ, მისი აზრით, ებრაელის ცოლობა რელიგიური მოვალეობის შესრულებაში მისგან მეტად დიდ სიმკაცრეს მოითხოვდა, ხოლო ჟურნალისტის მიერ გამართულ ამ სადამოს რესპუბლიკური ხასიათი ჰქონდა და შეიძლებოდა ვინმეს ანტიკლერიკალურიც მოსჩვენებოდა.

ჯერ კიდევ სამი კვირის წინ სხვადასხვა მიმართულების გაზეთებში დაახლოებით ასეთი შინაარსის შენიშვნა იყო დაბეჭდილი:

„ჩვენს პატივცემულ თანამოკალმეს, ბ-ნ ჟაკ რივალს მახვილი და ადამიანური აზრი მოუვიდა: პარიზის მეექვსე უბნის ობოლთა სასარგებლოდ ბ-ნი რივალი თავის მარტოხელა ბინაზე, მშვენიერ საფარიკაო დარბაზში, დიდ შეჯიბრებას მართავს დაშნებით.“

„მისაპატიუბელ ბარათებს გზავნიან ქები ლალუაგი, რემონტელი, რისოლენი, სენატორების და ცნობილი დეპუტატების მეუღლენი, ქები ლაროშ-მატიე, პერსეროლი, ფირმენი. შესვენების დროს შემოწირულება მოგროვდება და მთელი თანხა დაუყოვნებლივ მეექვსე უბნის მერს ან მის წარმომადგენელს გადაეცემა“.

ასეთი შენიშვნა უდრიდა უზარმაზარ რეკლამას, რომელიც მარჯვე ჟურნალისტმა მოიგონა.

ჟაკ რივალი სტუმრებს უხვდებოდა შესავალ კართან, სადაც მსუბუქი სასადილო იყო გამართული. ეს ხარჯი საერთო შემოსავალს უნდა გაესტუმრებინა. მასპინძელი სტუმრებს ესალმებოდა და შემდეგ თავაზიანად უჩვენებდა პატარა კიბეს, რომელიც სარდაფში ჩადიოდა, საცა საფარიკაო და სასროლი დარბაზი იყო გამართული, თანაც ეუბნებოდა:

— ქვევით, ბატონო, ქვევით მიბრძანდით. შეჯიბრება სარდაფში მოხდება.

თავისი გამომცემლის ცოლი რომ დაინახა, ფიცხლავ დაუხვდა, შემდეგ დეჟ-რუას მიმართა:

— გამარჯობა, ლამაზო მეგობარო!

მას გაუკვირდა:

— ვინ გითხრათ, რომ...

რივალმა შეაწყვეტინა:

— ქალბატონმა ვალტერმა. ეს სახელი ძალიან მომწონს.

ქნი ვალტერი გაწითლდა:

— მართალია, გამოვტყდები და მოგახსენებთ: უფრო ახლო რომ გიცნობდეთ, მეც ლორინასავით ამ სახელს გიწოდებდით. ჩემი აზრით, ეს სახელი ზედგმოჭრილია თქვენზე.

დიუ-რუამ გაიცინა:

— გთხოვთ, აგრე მიწოდოთ, ქალბატონო, ნუ მომერიდებით.

მან თვალები დახარა:

— არა, ჩვენ ჯერ საამისოდ ვერ ვიცნობთ ერთმანეთს.

ჟორჟმა ჩურჩულით მიუგო:

— შეიძლება იმედი ვიქონიო, რომ დაგმეგობრდებით?

— ვნახოთ, — მიუგო მან.

და ვიწრო კიბისკენ წავიდნენ, რომელიც აირის ფარნით იყო განათებული. დღის სინათლიდან უცებ აირის ყვითელ შუქზე გადასვლა გულშესაღონებელი იყო, ხვეულ კიბეზე უკვე სარდაფის სუნი იდგა, სუნი ნესტის, დაობებული კედლების, რომელნიც მხოლოდ ამ დღისთვის იყო გამომშრალი; სუნი საკმევლის, რომელიც ეკლესიას გაგახსენებდათ, და ბოლოს სუნი ნელსასუნებლის, ღებუნის ოდეკოლონის, ვერბენის, იისა და ირისის.

ქვევიდან გუგუნის და შეგულიანებული ხალხის დეღვა ისმოდა.

მთელი სარდაფი განათებული იყო აირისა და ვენეტიკური ფარნების კრიალა ღარებით. ეს ღარები ჩამალული იყო მწვანე ფოთლიანში, რომელიც ქვის კედლებს ვაზივით ეხვეოდა.

ყველგან ტოტები მოჩანდა. ჭერიც კი გვიმრით იყო შემკული, ხოლო იატაკზე ფოთოლი და ყვავილები უხვად იყო გაბნეული.

ყველა ამბობდა, საუცხოოდ არის მოგონილი და მშვენიერი რამ გამოვიდაო. სარდაფის უკანა კუთხეში შეჯიბრის მონაწილეთათვის პატარა ესტრადა გაემართათ, ხოლო იქვე, ორივე მხარეზე, მსაჯთათვის სკამების რიგი იდგა.

სარდაფი საკმე იყო სკამებით, თითო რიგში ათი სკამი იდგა. სულ ორასი იქნებოდა, ხოლო მოწვეულთა რიცხვი ოთხასს უდრიდა.

ახალგაზრდა ვაჟები ესტრადის წინ იდგნენ საფარიკაო ტანისამოსში გამოწყობილები, ხმელ-ხმელები, წერწეტები, გრძელი ხელფეხიანები და უღვაშაგრეხილები. საზოგადოებაში მათი სახელი და გვარი ისმოდა, ფარიკაობის ყველა სახელოვან მოღვაწეზე უთითებდნენ — დილეტანტებზეც და სპეციალისტებზეც. მათ ირგვლივ ვიდაც სერთუკიანი ვაჟბატონები იდგნენ — ახალგაზრდებიც და ხნიერებიც. ეტყობოდათ, მოფარიკავეთა შინაურები უნდა ყოფილიყვნენ.

ეს ვაჟბატონები კიდევაც ცდილობდნენ, რომ ისინი ყველას დაენახა, ეცნო, დაესახელებინა, რადგან ისინი ნამდვილი ოსტატები და დღევანდელი შეჯიბრების ექსპერტები იყვნენ.

თითქმის ყველა სკამზე ქალები ისხდნენ, რომელნიც სარდაფს კაბების შრიალით და ჩურჩულთ ავსებდნენ, თანაც მარაოებს ანიაკებდნენ, თითქოს თეატრში ყოფილიყვნენ, რადგან ფოთლით შემოსილ გვირაბში უკვე აბანოსავით დაცხა.

ვიდაც ოხუნჯი დროგამოშვებით ყვიროდა:

— ორშადი, ლიმონათი, ლუდი!

ქნი ვალტერი და მისი ქალიშვილები პირველ რიგში დასხდნენ, ადგილები წინდაწინვე ჰქონდათ მიჩენილი, დიუ-რუამ დააბინავა, წასვლა დააპირა და ჩუმად თქვა:

— იძულებული ვარ, თავი დაგანებოთ, რადგან მამაკაცებს ჯდომა აკრძალული აქვთ.

ქმა ვალტერმა გაუბედავად მიუგო:

— მე მინდა, რომ თქვენ ჩემთან იყოთ, მონაწილეთა გვარებს დამისახელებდით. ჩემ სკამთან დადექით. არავის არ შეაწუხებთ. — ნაზი და დიდი თვალებით უმზერდა და იმეორებდა: — დარჩით-მეთქი... ჩვენთან დარჩით, ბატონო... ბატონო... ლამაზო მეგობარო. თქვენი თავი დაგეჭირდება.

მან მიუგო:

— გემორჩილებით... სიამოვნებით გემორჩილებით, ქალბატონო.

ყოველი მხრიდან ისმოდა:

— ძალიან კარგია... მშვენიერი დარბაზია.

ამ მრგვალთადა სარდაფს ჟორჟი მშვენივრად იცნობდა. ის დილა გაახსენდა, რომელიც აქ დუელის წინ გაატარა, ის დილა, როცა მარტო დარჩა თეთრი ქალაქის ნიშის წინ, რომელიც მას სიდრმიდან საშინელი და ვეება თვალივით უმზერდა.

კიბეზე ჩამომავალმა ჟაკ რივალმა დაიძახა:

— ქალბატონებო, ახლავე დაიწყება!

ესტრადაზე ექვსი კაცი ავიდა და ექსპერტების სკამებზე დაჯდა. რათა თავიანთი მკერდები უფრო აშკარად გამოეჩინათ, ექვსივეს სერთუკი ვიწროდ ჰქონდა მოწკეპილი.

დარბაზში უმაღლეე გაისმა სახელები: მსაჯთა თავმჯდომარე, გენერალი დე რენალდი — დიდულვაშიანი პატარა კაცი; მხატვარი ჟოზეფ რუდე — გრძელწვერა, ვეება მელოტი კაცი; მატეო დე ჟუჟარი, სიმონ რამონსელი, პიერ დე კარვენი, სამი კონტა ახალგაზრდა ვაჟი და ფარიკაობის პროფესორი გასპარ მერლეონი.

სარდაფის ორივე მხარეზე ორი წარწერა გამოჩნდა: მარჯვნივ ეწერა: „ბ. კრეკერი“, ხოლო მარცხნივ: „ბ. პლემო“.

ორივე ფარიკაობის მასწავლებელი იყო — ორივე კარგი, მაგრამ მეორე რიგისა. ორივენი ესტრადაზე გამოვიდნენ. გამხდრები იყვნენ და სამხედრო იერი ჰქონდათ, მაგრამ მათი მოქნილობა სანიმუშოდ ვერ ჩაითვლებოდა. ერთმანეთს მექანიკურად დაუკრეს თავი და შეჯიბრი დაიწყო. ტილოსი და თეთრი ტყავის ტანისამოსი ეცვათ და ტიკინების თეატრიდან მოსულ საოხუნჯო სალდათებს ჰგავდნენ, რომელნიც მხოლოდ მასხრობისთვის ფარიკაობენ ხოლმე.

დროგამოშვებით ისმოდა: „მოხვდა!“ და ექვსივე მსაჯი ოსტატის იერით ხრიდა თავს. ხოლო საზოგადოება მხოლოდ ორ მარიონეტს ხედავდა, რომელიც მოძრაობდა და ხელებს იშვერდა. ხალხს ფარიკაობისა არაფერი ესმოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. ეს ორი უბრალო კაცი ხელმარჯვე მოფარიკავედ და, რატომღაც, სასაცილოდ ეჩვენებოდა, აქა-იქ გაიხსენეს ხის მოჭიდავენი, რომლებიც საახალწლოდ ბულვარებზე იყიდება ხოლმე.

ისინი რომ გავიდნენ, მათი ალაგი უმაღ ბ. პლანტონმა და ბ. კარიპენმა დაიჭირეს, ერთი სამხედრო მოფარიკავე იყო, ხოლო მეორე — სამოქალაქო. პლანტონი ჯუჯა კაცი იყო, კარიპენი — მეტად სრული და საშიში, რომ იგი პირველივე დაკვრით ბუშტივით არ გაეხეთქათ. ყველანი იცინოდნენ, პლანტონი მაიმუნივით დახტოდა, კარიპენი მხოლოდ ხელს ამუშავებდა, ხოლო მისი ტანი, სისრულის გამო, უძრავად იდგა. ყოველ ხუთ წუთში იგი ისე მოუხეშავად და მძიმედ უტევედა, თითქოს თავის სიცოცხლეში ყველაზე ენერგიულად ახლა მოძრაობდა. მართლაც, პოზის შეცვლა ძალიან უძნელდებოდა.

მცოდნენი ამტკიცებდნენ, მეტად მტკიცედ და მკაფიოდ ფარიკაობსო.

გულმართალმა ხალხმა ადვილად დაუჯერა.

შემდეგ პორიონი და ლაპალმი გამოვიდნენ — მასწავლებელი და დილეტანტი, და ცოფიანთა ჯამბაზობა დაიწყო. ერთი შმაგივით დასდევდა მეორეს და მსაჯებსაც არბენინებდა თავიანთი სკამებით. ესტრადაზე წინ და უკან დაქროდნენ, ერთი კუთხიდან მეორემდის დახტოდნენ, ერთი იერიშით მიდიოდა, მეორე თავს იცავდა. და ორივენი ძლიერი და სასაცილო ნახტომებით ტრიალებდნენ. უკან პატარა ნახტომით იხევდნენ და ქალებს აცინებდნენ, წინ კი უცაბედად, მძლავრად სხლტებოდნენ და სუსტ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ვიღაც უცნობმა ხუმარამ დარბაზიდან ეს სასაცილო შეჯიბრება ასეთი შეძახილით დაახასიათა: „კმარა, წელი არ მოიწყვიტო!“ ზოგს ეს უგემური შენიშვნა არ მოეწონა და აქეთ-იქიდან დაიძახეს: „ჩუმაღ!“ ექსპერტების აზრი საზოგადოებას გადასცეს: მოქიშპეებს თურმე დიდი ძალა და მცირე სიმარდე გამოეჩინათ.

პირველი განყოფილება ჟაკ რივალმა და სახელოვანმა ბელგიელმა პროფესორმა ლებეგმა დაასრულეს, რომელნიც საკმაოდ ლამაზად იბრძოდნენ. რივალი ქალებს ძალიან მოეწონათ. მართლაც, ლამაზი ვაჟკაცი იყო — კარგად ჩასხმული, მოქნილი, მოძრავი და ყველაზე სხარტი, ვინც კი მანამდე ესტრადაზე ასულიყო. იმის ფანდებს — დამხვდურის და მიმხდომის ხერხებს — ჯიშინი სიმკვირცხლე და სილამაზე ეტყობოდა, რომელიც ყველას მოსწონდა. სრულებით არ ჰგავდა მისი მოპირდაპირის ენერგიულ, მაგრამ გაცვეთილ ფანდებს.

რივალმა გაიმარჯვა. ყველამ ტაში დაუკრა. უკვე რამდენიმე ხანი იყო, ზემოდან რაღაც უცნაური ხმაურობა ჩამოდიოდა და საზოგადოებას აწუხებდა. ხშირი ფეხის ხმა და ხმამაღალი სიცილი ისმოდა. ორასმა სტუმარმა ქვევით ადგილი ვერ იშოვა და,

როგორც ეტყობოდა, გასართობი მოიგონა. პატარა კიბეზე ორმოცდაათამდე კაცი ირეოდა. ქვევით მეტად ცხელოდა. „ჰაერი! სასმელი!“ — იძახდნენ აქა-იქ. წელანდელი ხუმარა სხვების საუბარს წვრილი ჭყვივით ჰფარავდა: „ორშადი! ლიმონათი! ლუდი!“ რივადი გამოჩნდა. მთლად გაწითლებულიყო და ჯერაც საფარიკაო ტანისამოსი ეცვა.

— მე ბრძანება გავეცი, რომ გრილი რამე მოიტანონ, — თქვა და კიბეზე ავარდა. მაგრამ ზემო სართული ქვემოს მოწვევტილი იყო და კიბეზე აღმართული ადამიანთა კედლის გარღვევაც ისეთი ძნელი აღმოჩნდა, როგორც ჭერიდან ასვლა. მაშინ რივალმა დაიყვირა:

— ქალებისათვის ნაყინი ჩამოგზავნეთ!

და ორმოცდაათმა ხმამ გაიმეორა:

— ნაყინი!

ბოლოს სინი გამოჩნდა, მაგრამ ზედ ცარიელი ჭურჭელიდა ეწყო, რადგან ყველაფერი გზაშივე შეეჭამათ. ვიღაცამ დაიბღავლა:

— დავიხრჩობით, მალე გაათავეთ, წავიდეთ.

მეორემ დაიძახა:

— ფული მოაგროვეთ!

ილაჯგაწვევტილი ხალხი მაინც კმაყოფილი იყო და ყვიროდა:

— ფული მოაგროვეთ... მოაგროვეთ... მოაგროვეთ.

ექვსმა ქალმა სკამებს ჩამოუარა და ოქრო-ვერცხლის ხმა გაისმა, რომელსაც ქისებში ჰყრიდნენ.

დღურუა ქალბატონ ვალტერს სახელოვან პირებზე მიუთითებდა. აქ იყო არისტოკრატია, ჟურნალისტები, ძველი და დიდი გაზეთების თანამშრომლები, რომელნიც „საფრანგეთის ცხოვრებას“, თანახმად გამოცდილებისა, ზევიდან და თავდაჭერით დასცქეროდნენ. ბევრი ასეთი პოლიტიკურ-ფინანსური გაზეთი დაიღუპა მათ თვალწინ. საუკვო კომბინაციებზე აშენებული გაზეთები ზოგჯერ სამინისტროს უბრალო კრიზისის გამო იღუპებოდა. აქვე ნახავდით მოქანდაკეებს და მხატვრებსაც, რადგან მათ საერთოდ უყვარდათ სპორტი; რომელიდაც პოეტ-აკადემიკოსს, რომელსაც ყველანი თითოთ აჩვენებდნენ; ორ მუსიკოსს და მრავალ ცნობილ უცხოელს, რომელთა გვარებს დღურუა უმატებდა „პროტო“-ს (სიტყვიდან „პროტობესტია“) და თან დასძენდა, ამას ინგლისელთა მიბაძვით ვაკეთებო, რომლებიც თავიანთ გვარებს სადარბაზო ბარათებზე „ესკ“-ს ურთავდნენ ხოლმე.

ვიღაცამ დღურუას დაუძახა:

— გამარჯობა, ლამაზო მეგობარო!

გრაფი დე ვოდრეკი იყო. ჟორჟმა ვალტერის ოჯახის წინაშე ბოდიში მოიხადა და ვოდრეკისაკენ გაემართა. ხელი ჩამოართვა, დაბრუნდა და თქვა:

— ეს ვოდრეკი მომხიბლავი ადამიანია... აი, რას ნიშნავს შთამომავლობა!

ქმა ვალტერმა არაფერი უპასუხა. ოდნავ დაღლილი იყო. მისი მკერდი ყოველ ამოსუნთქვაზე ძაღდატანებით იბურცებოდა და ჟორჟის თვალებიც ამ მკერდზე იყო მიშტერებული. ეს თვალები დროგამოშვებით მის თვალებს ხვდებოდა — დაბინდულს, ლამუნიანს, გაუბედავს, ოდნავ მასზე აზიდულსა და უმაღლე მოშორებულს — და ფიქრობდა:

„აგრე, აგრე... ნუთუ ესეც დავიჭირე?“

ქალებმა ფულის მოგროვება დაასრულეს, ქისები ოქრო-ვერცხლით გაივსო. ესტრადაზე ახალი წარწერა გამოჩნდა: „დიდი სიურპრიზი“. ექსპერტები თავიანთ ადგილებზე დასხდნენ: ყველა ელოდა.

ორი ქალი გამოჩნდა. ხელში დაშნები ეჭირათ. მუქი საფარიკაო ტრიკო და მოკლე კაბები ეცვათ, რომელიც თეძოებს ძლივს უფარავდათ. სამკერდული ბალიშები იმდენად მაღალი ჰქონდათ, რომ ორივე იძულებული იყო, თავი მაღლა აეწია, ორივე ლამაზი და ახალგაზრდა იყო. ღიმილით დაუკრეს თავი საზოგადოებას, რომელიც მათ დიდხანს ესალმებოდა, და ბრძოლა ქათინაურებისა და ხუმრობის გუგუნში დაიწყო.

ექსპერტები თავაზიანად იღიმებოდნენ და ყოველ დაკვრას დაბალი „ვაშა“-თი ესალმებოდნენ. ეს ბრძოლა საზოგადოებას ძალიან მოეწონა და თავის აღტაცებას მებრძოლებს ხმამაღლა უცხადებდა. მებრძოლი ქალები მამაკაცებს აღელვებდნენ, ხოლო ქალებს პარიზელთა ბუნებრივი გემო გაუღვიძეს — გემო ორაზროვანი

ოსუნჯობის, იაფი სიკეკლეუცის, ყალბი სილამაზის და ყალბივე სინატიფის – საოპერეტო და საკაფეშანტანო მომღერალთა ცრუ მოხდენილობისა და მოქნილობის.

ყოველთვის, როცა რომელიმე მებრძოლი მეორეს მიუხეტებოდა, დარბაზში აღტაცების თრთოლება გაიბრუნდა ხოლმე. როდესაც ერთი მათგანი საზოგადოებას ზურგს შეაქცევდა ხოლმე, საკმაოდ ჯიშთან ზურგს, ყველა ამ ზურგს პირდაღებული აშტერდებოდა და მოძრაობის სიძარდეს ყურადღებას აღარ აქცევდა.

მებრძოლ ქალებს გიჟური ტაში მიაყარეს.

ამას ხმაღდახმაღ ბრძოლა მოჰყვა, მაგრამ თვალს აღარაფერ ადევნებდა: ყველას გულისყური ზემო სართულისკენ იყო მიპყრობილი. იქიდან რამდენიმე წუთს ავეჯის ფორიაქი მოისმოდა, ავეჯს იატაკზე დაათრევდნენ, თითქოს მდგმურები ბინას იცვლიანო. შემდეგ უცებ პიანინოს ხმა და ტაქტზე აყოლებული ფეხის რიტმული ფრატუნის მოისმა, ზემოთ დარჩენილმა სტუმრებმა დანაკლისი აინახლაურეს და ცეკვა გამართეს.

საფარიკაო დარბაზში ხალხმა ჯერ სიცილი ატეხა, მერე კი ცეკვის ჟინი ქალებსაც მოერიათ. ესტრადას ყური აღარ ათხოვეს და ლაპარაკს მოუხშირეს.

დაგვიანებულთა მიერ გამართულმა როკვამ ყველა გაართო. იქ, ზევით, როგორც ჩანდა, მოწყენით არ ისხდნენ, და ყველას ასვლა მოუნდა.

მაგრამ აი, ორი ახალი მებრძოლი გამოვიდა და ისე დაეტაკნენ ერთიმეორეს, რომ ყველა ისევე ესტრადას მიუბრუნდა. ისეთი კოხტა მოქნილობით, განზომილი ძალით კრავდნენ დაშნებს და იგერიებდნენ ნაკრავს, ისეთი სიზუსტე და მოძრაობის მკაფიობა, ფანდების ისეთი სიფაქიზე და ნაკრავის იმოდენა განზომილება გამოიჩინეს, რომ უმეცარი ბრბო განცვიფრებული და მოხიბლული დარჩა. მათი დინჯი სიძარდე, ზომიერი მოქნილობა და ესოდენ გამოზომილი სისწრაფე, ერთი შეხედვით, დარბისლურ შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, თვალს იზიდავდა და აჯადოებდა. ხალხი გრძნობდა, რომ რაღაც ლამაზ და იშვიათ სანახაობას ხედავდა, რომ ორმა დიდმა ხელოვანმა ყოველივე საუკეთესო გამოაჩინა, რაც კი ამ ხელოვნებაში მოეპოვებოდათ — ოსტატობის სრულყოფა, სრული მოხერხება, სრულიად გაზომილი ცოდნა და ფიზიკური სიძარდე, უკლებლივ ყველაფერი, რაც კი ორ სპეციალისტს შეეძლო საქვეყნოდ გამოეფინა.

მაყურებელი გაოცებული, უხმოდ მისჩერებოდა მათ. უკანასკნელი შეტაკების შემდეგ, როცა მოასპარეზებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, დარბაზში ყვირილი გაისმა: „ბრავო!“ ხალხი ღრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა. ყველამ გაიგო ამ ორი მებრძოლის გვარი, ესენი იყვნენ სერჟანი და რავინიაკი.

ყველას აღელვება მოედო, მამაკაცები ჩხუბის გუნებაზე დადგნენ და მეზობლებს უბღვერდნენ. შემთხვევით ღიმილსაც კი შეეძლო ჩხუბის ატეხა. ვისაც არასოდეს დაშნა არ სჭეროდა, ახლა ჯოხს იმარჯვებდა, უტევდა და იგერიებდა.

ხალხი ნელ-ნელა აჰყვა კიბეს და ზევით ავიდა. ახლა კი შეიძლებოდა რამე დაეღლიათ, მაგრამ ყველას ჯავრი მოედო: ზემოთ დარჩენილებს სასმელ-საჭემელი დაეცალათ და წასულიყვნენ, თანაც განეცხადებინათ: უპატიოსნოდ მოგვექცნენ: ორასი კაცი დაგვპატიუეს და არაფერიც არ გვიჩვენესო.

აღარაფერი დარჩენილიყო: არც ერთი ნამცხვარი, არც ერთი წვეთი შამპანურის, სიროფის, ლუდის, არც ერთი კანფეტი, არაფერი, სულ აღარაფერი.

მოსამსახურებმა დარჩენილებს ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. სახე სევდიანი ჰქონდათ, მაგრამ სიცილს ძლივს იმაგრებდნენ და ეუბნებოდნენ: „ქალები მამაკაცებზე მეტად მძინვარებდნენ. იმდენი სვეს და ჭამეს, რომ, ალბათ, ავად დახდებიანო“. მათი ნაამბობი ქალაქელების საჩივარს ჰგავდა, რომელთაც მტრისგან ძარცვა-გლეჯა და აოხრება განიცადეს.

ხელცარიელები წავიდნენ, მამაკაცებს შეწირული ოც-ოცი ფრანკი ენანებოდათ და შურდათ, რომ ზემოურებმა უფასოდ იქეიფეს.

ღიასახლისებმა სამი ათას ფრანკზე მეტი შეაგროვეს, ხარჯი გამოაკლეს და მეექვსე უბნის ობოლთა სასარგებლოდ ორასოცი ფრანკი და დარჩა.

ვალტერის ოჯახი დღე-რეჟამ თავისი ეტლით წაიყვანა. თვითონ ქ-ნ ვალტერის პირდაპირ დაჯდა და გზაში ერთხელ კიდევ დაიჭირა მისი თვალები — ალერსიანი, გაუბედავი და თითქოს მორცხვი თვალები. დღე-რეჟამ გაიფიქრა: „დასწყევლოს ეშმაკმა, მგონი, მართლა მოედო ანკესი!“ თან გუნებაში ეღიმებოდა: ქალებზე მართლა

იმარჯვებდა. ქალბატონი დე მარელიც გაახსენდა, რომელმაც ჟორჯი შერიგების შემდგომ გაგიჟებით შეიყვარა.

შინ გახარებული დაბრუნდა. მადლენა სასტუმრო ოთახში ელოდებოდა.

— ახალი ამბები მოგიტანე, — უთხრა ცოლმა. — მდგომარეობა მაროკოში რთულდება. ადვილი შესაძლებელია, რამდენიმე თვეში საფრანგეთმა ჯარი გაგზავნოს. ყოველ შემთხვევაში, აპირებენ ისარგებლონ ამით და მთავრობა ჩამოაგდონ. რა თქმა უნდა, ლაროშაც არა სძინავს და შეეცდება, საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს დაეპატრონოს.

დეურუამ თავი მოიკატუნა, ვითომ არა სჯეროდა, რადგან ცოლის გაჯავრების გუნებაზე იყო. ნუთუ ისე გაგიჟდებიან, რომ ტუნისის სისულელე გაიმეორონ. მადლენამ მოუთმენლად აიყარა მხრები:

— გეუბნები, ასეა-მეთქი, გესმის? ნამდვილ ამბავს გეუბნები. ნუთუ არ გესმის, რომ მათთვის ეს ფულის სერიოზული საკითხია? ამჟამად, მეგობარო, პოლიტიკურ კომბინაციებს რომ აკვირდები, „ქალი ეძიე“-ს ნაცვლად უნდა თქვა: „თაღლითობა ეძიე“.

დეურუამ ცოლის გასაჯავრებლად ერთიღა წამოიძახა:

— როგორ არა!

მადლენამ წყრომით მიუგო:

— დემეტრისი, შენც ფორესტიესავით გულუბრყვილო ყოფილხარ.

მას სურდა ქმრისთვის ეკბინა და რისხვას მოელოდა, მაგრამ ჟორჯმა გაიღიმა და უპასუხა:

— რქოსან ფორესტიესავით, არა?

ცოლი განცვიფრდა და ესლა მოახერხა:

— უჰ, ჟორჯ!

ხოლო მან კადნიერად და გესლიანად განაგრძო:

— რა იყო, რა მოხდა? განა ამას წინათ შენვე არ გამომიტყდი, რომ ფორესტიეს უღალატე? — და უდრმესი შებრალების კილოთი დაუმატა: — საწყალი შარლი!

მადლენამ პასუხი არ გასცა და ზურგი შეაქცია. ერთ წუთს სდუმდა, მერე უთხრა:

— სამშაბათს სტუმრები გვეყოლება. ქნი ლაროშ-მატიე და ვიკონტ დე პერსემურის მეუღლე გვეწვევიან. იქნებ შენ რივალი და ნორბერ დე ვარენი დაპატიყო? მე კი ხვალვე ქნი ვალტერს და დე მარელს შევუვლი. შეიძლება, ქნი რისოლენიც გვეწვიოს.

ერთი ხანია, მადლენა ცდილობდა საზოგადოებაში ნაცნობ-მეგობრები გაეჩინა. თავისი ქმრის პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა, და ნებისთ თუ უნებლიეთ, იმ სენატორების და დეპუტატების ცოლებს კვატიუბდა, რომელთაც „საფრანგეთის ცხოვრების“ დახმარება ესაჭიროებოდათ.

დეურუამ მიუგო:

— კეთილი, რივალდის და ნორბერ დე ვარენის დაპატიუებას მე ვკისრულობ.

თანაც სიამისაგან ხელებს იფშენებდა, რადგან კარგი ხერხი იპოვა ცოლის გასაჯავრებლად და იმ ბნელი ბრაზის, იმ იდუმალი და მქენჯნავი ეჭვის გამოსარკვევად, რომელიც ბულონის ტყეში სეირნობის დროს დაებადა. ამიერიდან ფორესტიეს სახელს ისე აღარ ახსენებს, თუ „რქოსანიც“ არ დაუმატა. ძალიან კარგად იცოდა, რომ მადლენა ბოლოს და ბოლოს უნდა გამწარებულიყო. დაღამებამდე დრო იხელთა და „რქოსანი ფორესტიე“ გულკეთილი გესლით ათჯერ მაინც გაიხსენა. ახლა მიცვალებულზე აღარ ჯავრობდა, არა, ის უკვე შურს იძიებდა.

მისი ცოლი თვალთმაქცობდა, თითქოს არ ესმოდა, და ვითომ გულგრილადაც იღიმებოდა. მადლენას მეორე დღეს ქნი ვალტერთან უნდა შეეველო და დაეპატიუებინა. ქმარს აზრად მოუვიდა ცოლისათვის დაესწრო და თვითონვე წასულიყო, რადგან იმედი ჰქონდა, პატრონის ცოლს მარტოკა ნახავდა და ეცდებოდა გაეგო, მართლა შეუყვარდა იმ დედაკაცს თუ არა. ეს აზრი თან ართობდა და თანაც უღაქუცებდა მას. ხოლო შემდგომ...

თუ მოხერხდა, ვითომ რატომ არაო?

და ორ საათზე მალზბერის ბულვარზე გაჩნდა. სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. დაელოდა. ქნი ვალტერი შემოვიდა და ბედნიერმა სწრაფად გაუწოდა ხელი.

— რომელმა კეთილმა ქარმა მომიტანა თქვენი თავი?

— მხოლოდ თქვენი ნახვის წყურვილმა, ქალბატონო. არ ვიცი რად, მაგრამ რომელიღაც ძალა მეწეოდა თქვენსკენ. მართალი რომ მოგახსენოთ, სათქმელი არაფერი

მაქვს. უბრალოდ მოვედი და მეტი არაფერი. გთხოვთ, მაპატიოთ ეს დარბაზობა, დილის დარბაზობა და პირდაპირობა.

ამას თავაზით და ხუმრობით ამბობდა, ტუნებზე ღიმილი უთრთოდა, მაგრამ ხმაში სერიოზული კილო ისმოდა. მასპინძელი ოდნავ გაოცდა, გაწითლდა. მერე ბორძიკით უპასუხა:

— კეთილი. მაგრამ... მე არ მესმის... ძალიან მაკვირვებთ.

ჟორჟმა დაუმატა:

— ხომ ხედავთ, სიყვარულს გიცხადებთ, მხიარულად გიცხადებთ, რადგან თქვენი შეშინება არ მინდა.

ერთმანეთის გვერდით დასხდნენ. მასპინძელმა ნათქვამი ხუმრობაში ჩაატარა:

— მაშ... თქვენი განცხადება სერიოზულია?

— რა თქმა უნდა! დიდი ხანია ვაპირებელი მეთქვა, მაგრამ ვერ გაგიბედეთ.

თქვენზე ამბობენ, მეტად მიუკარებელი და მკაცრი.

ქმა ვალტერმა ძალა მოიკრიბა და უპასუხა:

— რაღა დღევანდელი დღე აირჩიეთ?

— თვითონაც არ ვიცი. — შემდეგ ხმას დაუწია და: — სწორედ რომ მოგახსენოთ, იმიტომ ავირჩიე, რომ გუშინდელი დღიდან მხოლოდ თქვენზე ვფიქრობდი.

ქალი უცებ გაფითრდა და ძლივს გამოსთქვა:

— კმარა მასხრობა. ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

მაგრამ დღე-რუა ისე მოულოდნელად ჩაუვარდა ფეხებში, რომ ქნი ვალტერი შეშინდა. უნდა ამდგარიყო, მაგრამ ჟორჟმა ორივე ხელი წელზე მოხვია და ძალით დასტოვა სკამზე, თან ვნებით იმეორებდა:

— ოჰ, მართალია, მართალია! დიდი ხანია გაგიჟებით მიყვარხართ... ნუ, ნუ მიპასუხებთ. მე... მე გაგიჟდი. მიყვარხართ-მეთქი, ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ!

დედაკაცი იხრჩობოდა, დალაპარაკებას ლამობდა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერა თქვა. ორივე ხელი თმაში წაავლო და ცდილობდა, როგორმე მისი ტუნები აეცილებინა, რომელიც მისკენ მოიწვედა. თავს ხან მარჯვნივ გადაიგდებდა, ხან მარცხნივ, რადგან მისი სახის დანახვას ერიდებოდა.

ჟორჟი ტანზე ხელს უსვამდა, ეხვეოდა, ხოლო მამაკაცის ძლიერი და უხეში აღერსი ქნი ვალტერს თანდათან ძალას უღევდა. დღე-რუა უცებ წამოდგა და უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ დედაკაცმა წუთით თავისუფლება რომ იგრძნო, გაიწია, გაუსხლტა და გაექცა, თან ერთი სავარძლიდან მეორეზე გადადიოდა.

ჟორჟმა ასეთი დევნა იუკადრისა, სავარძელზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო და მოაჩვენა, თითქოს გულამოსკენით ქვითინებდა. მერე უცბად წამოდგა და გაიქცა, თანაც წამოიძახა: „მშვიდობით! მშვიდობით!“

ტალანში თავისი ჯოხი წყნარად მოძებნა, ქუნაში გამოვიდა, წაიბურცუნა: „დმერთმანი, მგონი, მზად არის“, და ტელეგრაფის კანტორისკენ წავიდა, რადგან სახვალოდ კლოტილდასთვის პაემანი უნდა დაენიშნა.

შინ დროზე დაბრუნდა და ცოლს უთხრა:

— რას იტყვი, შენი სტუმრები სადილად გვეწვევიან?

მადლენამ მიუგო:

— ჰო, ოღონდ ქნი ვალტერს ეშინია, რომ დროს ვერ გამოიხატავს. რაღაც გაუგებარს მეუბნებოდა, რაღაც მოვალეობაზე და სინდისზე ლაპარაკობდა, ვერაფერიც ვერ გავიგე. მაინც მგონია, რომ მოვა.

ქმარმა მხრები აიყარა:

— რა თქმა უნდა, მოვა.

მაინც მტკიცედ არ იყო დარწმუნებული და შფოთავდა. მეორე დილას ქნი ვალტერისაგან მადლენას ასეთი წერილი მოუვიდა:

„ძლივს გაეთავისუფლდი. მართო მოვალე. ჩემ ქმარს არა სცალია“.

დღე-რუამ გაიფიქრა: „ძალიან კარგად მოვიქეცი, რომ მეორედ აღარ წავედი. ახლა კი ფრთხილად!“ და სტუმრის მოსვლას გულის ფანცქალით დაელოდა. ქნი ვალტერი შემოვიდა. სახე მეტად წყნარი, ოდნავ ცივი და თითქმის ამპარტავნული ჰქონდა. დღე-რუა თავმდაბლად, მორიდებით და მორჩილად დაუხვდა.

ქ. ქ. ლაროშ-მატიეს და რისოლენს ქმრები მოჰყვნენ. ვიკონტ პერსემურის მეუღლე მადალ წრეებზე ლაპარაკობდა; ქნი დე მარელი საუცხოო რამ იყო: საოცარი, რაღაც

ჯადოსნური, ყვითელ-შავი ესპანური კაბა ეცვა, რომელიც მოხდენილად ანაკვეთებდა ღამაზე წელს, მაღალ მკერდს, საფეხ მკლავებს, და მის ფრინველის სახეს ენერგიულ იერს აძლევდა.

ქნი ვალტერი დღუ-რუას მარჯვნივ მოუჯდა. მასპინძელი სადილის დროს მხოლოდ სერიოზულ რამეზე ელაპარაკებოდა და მომეტებულად თავაზიანი იყო. დროგამოშვებით კლოტილდას გადახედავდა ხოლმე და ფიქრობდა: „რა თქმა უნდა, კლო უფრო ღამაშიც არის და უფრო ქორფაც“. შემდეგ ცოლს დაადგამდა თვალს, და თუმცა მასზე მალულად და უჯიათად იყო გაბრაზებული, მაინც ამბობდა: „ამასაც არა უშავსრა“. ქნი ვალტერი კი გამარჯვების სიძნელით და სიახლით იზიდავდა, რომელიც მამაკაცს მუდამ აცთუნებს და აღიზიანებს ხოლმე.

ქმა ვალტერმა ადრე მოინდომა წასვლა.

— გაგაცილებთ, — შესთავაზა მასპინძელმა.

ის უარზე იდგა. ჟორჟი დაჟინებით თხოვდა:

— რატომ არა გსურთ? ძალიან მაწყენინებთ, ქალბატონო. ნუ მაფიქრებინებთ, თითქოს ჩემი დანაშაული არ გეპატიებინოთ. ხომ ხედავთ, რა დამშვიდებული ვარ.

მან მიუგო:

— კეთილი, მაგრამ სტუმრებს ხომ თავს ვერ დაანებებთ.

დღუ-რუამ გაიდიმა:

— ეგ არაფერია. მხოლოდ ოციოდე წუთით მოვშორდები, ვერც კი შემაძინებენ. თუ უარს მეტყვით, გულს მომიკლავთ.

მან წაიჩურჩულა:

— მაშ, კარგი. თანახმა ვარ.

მაგრამ ჩასხდნენ თუ არა ეტლში, დღუ-რუა ხელზე ეცა და ვნებით დაუწყო კოცნა.

— მიყვარხართ, მიყვარხართ-მეთქი. ნება მიბოძეთ, გითხრათ, როგორ მიყვარხართ.

ხელს არ გახლებთ. მე მინდა გაუთავებელი ვიქნე, რომ გაგიჟებით მიყვარხართ.

მან ძლივს მიუგო:

— ოჰ!.. მას შემდეგ, რაც პირობა მომეცით... ეგ არ ვარგა, არ ვარგა-მეთქი.

ჟორჟმა თავის თავს თითქოს ძალა დაატანა და თავშეკავებული ხმით უპასუხა:

— აი, ხომ ხედავთ, თავი ავიღაგმე, და მაინც... მაგრამ ნება მიბოძეთ,

მოგახსენოთ... მიყვარხართ-მეთქი. ნება მიბოძეთ, ეს ერთი სიტყვა მაინც გავიმეორო.

ნება დამრთეთ თქვენთან მოვიდე, მუხლებში ჩაგივარდეთ და ეს ერთადერთი სიტყვა მოგახსენოთ.

ქნი ვალტერი ოხვრით სუნთქავდა. ხელი არ გამოართვა და უთხრა:

— არა, არ მინდა, არ შემიძლია. თქვენ თვითონვე იფიქრეთ. რას იტყვიან

მოსამსახურენი, ჩემი შვილები. არა, შეუძლებელია, შეუძლებელი!

ჟორჟმა კი განაგრძო:

— მე უთქვენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია. თქვენთან ან სხვაგან, სულ ერთია, მაინც უნდა გნახოთ. ყოველდღე თუნდაც ერთი წუთით და თუნდაც ერთხელ ამ ხელს უნდა შევეხო, თქვენს ახლოს ვისუნთქო, თქვენი ტანის მოხაზულობას ვუმზირო და თქვენს დიდრონს და მშვენიერ თვალებს ჩავხედო, რომელიც თავბრუს მახვევს და მაგიჟებს.

დედაკაცი ამ გაცვეთილ სასიყვარულო სიტყვებს ჟრჟოლით უგდებდა ყურს და ტიტინებდა:

— არა, არა... შეუძლებელია. გაჩუმდით!

ჟორჟი კი ისევ ყურში ჩასჩურჩულებდა. მან იცოდა, რომ ასეთი უბრალო დედაკაცი თანდათან უნდა დაეპყრო, რომ თავდაპირველად საპაემანოდ დაეთანხმებინა, — ჯერ იქ, სადაც თვითონ ქალი მოისურვებდა, შემდეგ კი — სადაც დღუ-რუა ინებებდა.

— ყური მიგდეთ, საჭიროა-მეთქი... მე მინდა უეჭველად გნახოთ! მათხოვარივით... თქვენს კართან დავდგები, და თუ არ ჩამობრძანდებით, მე თვითონვე ამოვალ და მაინც გნახავთ... ხვალვე გნახავთ.

ის კი იმეორებდა:

— ნუ მოხვალთ, ნუ... არ მივიღებთ. ჩემი ქალები გაიხსენეთ.

— მაშ მითხარით, სად შეიძლება შეგხვდეთ... თუნდაც ქუჩაში, სულ ერთია... როცა გენებოთ... ოღონდ კი გნახოთ. თავყანს გცემთ, გეტყვით: „მიყვარხართ“ და წავალ.

ქნი ვალტერი დაიბნა, შეეყოყმანდა. და რადგან ეტლი უკვე მის სახლთან იდგა, სწრაფად წაიწურჩულა:

— მაშ კარგი, ხვალ. ოთხის ნახევარზე სამების ეკლესიაში მოვალ. — შემდეგ ეტლიდან ჩამოხტა და მეეტლეს შესძახა: — ბატონი დედურა შინ წაიყვანეთ.

როცა დაბრუნდა, ცოლმა ჰკითხა:

— სად დაიკარგე?

მან ჩუმი ხმით უპასუხა:

— სასწრაფო დეპეშა მქონდა გასაგზავნი.

ქნი დე მარედი მიუახლოვდა და —

— ლამაზო მეგობარო, ვერ გამაცილებთ? ხომ გახსოვთ, მხოლოდ ამ პირობით მოვდივარ ხოლმე სადილად. — მერე მადლენას მიუბრუნდა: — ხომ არ ეჭვიანობ?

მადლენამ აუჩქარებელი უპასუხა:

— არა, არც იმდენად.

სტუმრები იშლებოდნენ. ქნი ლაროშ-მატიე პროვინციულ გადიას ჰგავდა. ნოტარიუსის ქალიშვილი იყო და ლაროშმა ჯერ კიდევ მაშინ შეირთო, როცა უსახელო ვეჟილად მუშაობდა.

ქნი რისოლენს, პრანჭია ბებრუცანას, ნაბებიევის იერი ჰქონდა, რომელსაც განათლება სამკითხველოში აქვს მიღებული. ვიკონტ დე პერსემურის მეუღლე მას ზევადან დასცქეროდა და მისი „თეთრი თათი“ ამ მდაბიო ხელებს ზიზღით ეკარებოდა ხოლმე.

მთლად არშიებში გახვეული კლოტილდა უკვე ღირეზე იყო, როცა მადლენას უთხრა:

— შესანიშნავი სადილი გქონდა. შენი პოლიტიკური სალონი მალე პირველ ადგილს დაიჭერს პარიზში.

და მარტონი რომ დარჩნენ, უორუი უმაღვე მკერდზე მიიკრა.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო ლამაზო მეგობარო, დღითიდღე სულ უფრო მეტად მიყვარხარ.

— ეტლი ჩვენი ოთახის მაგივრობას ვერ გასწევს, — თქვა კლოტილდამ.

— რა თქმა უნდა!

მაგრამ მისი აზრები უკვე ქნი ვალტერთან იყო.

თავი მეოთხე

ივლისის მცხუნვარე მზის ქვეშ სამების მოედანი უდაბურად მოჩანდა. პარიზში აღმური იდგა. თითქოს ქალაქს მძიმე, გახურებული, სქელი და მწვავე ჰაერი დასწოლოდა და მისთვის სუნთქვა შეეკრა.

ეკლესიის წინ შადრევანის ნაკადულებიც კი როგორღაც უნდილად გადმოდიოდა, თითქოს ღინებით დაღლილიყო, ილაჯი გამოსცლოდა და მოღუნებულიყო. აუზში ფოთლები და ქაღალდის ნაფლეთები ეყარა და მის მომწვანო ზედაპირს სქელი, ჭაობის მსგავსი სითხე მოსდებოდა.

ძაღლი ქვის გალავანზე გადამხტარიყო და აუზის ბინძურ წყალში ბანაობდა.

ეკლესიის კარიბჭის გარშემო გაშლილ პატარა მრგვალ ფორეზე სკამი იდგა, ზედ რამდენიმე კაცი იჯდა და ძაღლს შურით შესცქეროდა.

დედურამ საათი ამოიღო. ჯერ სამი იყო. ნახევარი საათით ადრე მოსულიყო.

ამ პაემანის გახსენებაზე გულში გაეცინა და გაიფიქრა: „ეკლესია ამ დედკაცისთვის ყველაფერში გამოსადეგი ყოფილა. იგი ანუგეშებს მას იმის გამო, რომ ებრაელს მისთხოვდა, პოლიტიკურ წრეებში პროტესტანტად გამოჰყავს, რჩეულ საზოგადოებაში ზრდილობიანი დედაკაცის სახელს აძლევს, და ბოლოს, საპაემანო ადგილსაც სთავაზობს. აი, ამაზეა ნათქვამი: რელიგია დასაკეცი ქოლგასავით გამოიყენო: დარის მიხედვით, იგი ჯოხად გამოგადგება ან წვიმისაგან და მზისაგან დაგიცავს, ხოლო შინ რომ დაბრუნდები, ტალანში მიაყუდებ. ასეთი ხალხი ასობით მონაპოვება. ღმერთს დასცინიან, მაგრამ სხვას არავის ცუდს არ ათქმევინებენ. თუ დასჭირდათ, ღმერთს მაჭანკლადაც გამოიყენებენ. თუ პაემანი სადმე სასტუმროში დაუნიშნე, ეწყინებათ და, ამავე დროს, კანკელი სასიყვარულო საქმისათვის მარჯვე ადგილად მიაჩნიათ“.

აუხის გასწვრივ ნელი ნაბიჯით დაიწყო სიარული, მერე ისევ სამრეკლოს საათს ახედა. მისი საათი ორი წუთით იდგა უკან, ზევით ოთხის ხუთი წუთი იყო. შემდეგ გაიფიქრა, რომ ეკლესიაში მოცდა აჯობებდა, და შიგ შევიდა. სარდაფის სივრცე შეისუნთქა. ამ ჰაერს ხალისით ყლაპავდა. მერე ეკლესია დაიარა და დაათვალიერა.

ფართო შენობის სიღრმეში ვიღაცის ფეხის ხმა ხან დროებით წყდებოდა, ხან ხელახლა ისმოდა და პასუხს აძლევდა საკუთარსავე ნაბიჯებს. მაღალი თაღის ქვეშ ჟორჟის ფეხის ხმასაც გუგუნნი გაჰქონდა. ცნობისმოყვარეობამ დღურუა ამ უჩინარი ხმაურის გასაგებად წაიყვანა. ვიღაც მელოტი კაცი იყო. ცხვირაწეული დადიოდა. ქუდი ზურგს უკან ეჭირა.

აქა-იქ რამდენიმე ბებერი დედაკაცი მოჩანდა, რომელიც მუხლმოდრეკით ლოცულობდა, თან სახე ხელებში ჰქონდათ ჩამალული. მათ სულს მარტოობის, განწირულების და სიმშვიდის გრძნობა ატყვევებდა. ფერადი მინების შუქი თვალს ელამუნებოდა.

დღურუას აზრით, აქ, შიგნით, „ძალიან კარგი იყო“. ისევ გამოვიდა და კომკს ახედა. მხოლოდ ოთხის თხუთმეტი წუთი იყო. კარიბჭესთან ჩამოჯდა და ინანა, რომ პაპიროსს ვერ მოსწევდა. ეკლესიის სიღრმიდან ისევ წელანდელი მსუქანი ვაჟბატონის ნაბიჯის ხმა მოდიოდა.

ვიღაც შემოვიდა. ჟორჟმა სწრაფად მოიხედა. უბრალო, ღარიბი დედაკაცი იყო. შალის კაბა ეცვა. პირველივე სკამთან დაიხოქა და გულხელდაკრეფილი გახევედა. თვალები ცაში ჰქონდა აპყრობილი, სული — ლოცვაში ჩახვეული.

დღურუა გულდასმით ადევნებდა თვალს და თავის თავს ეკითხებოდა: ნეტა რა კაემანი, რა ვარამი, რა უიმედობა აწვალებს ამ მდაბიო გულს? ცხადი იყო, შიმშილით კვდებოდა. იქნებ შინ ქმარიც ჰყავდა, რომელიც მას სცემს ხოლმე, ან ბავშვიც, რომელიც მალე უნდა მოუკვდეს? და გულში წაიხურჩულა: „საწყალი ხალხი, რამდენს ითმენს!“ და უწყალო ბედის წინააღმდეგ ბოღმა მოაწვა. შემდეგ გაიფიქრა: „ამ უბედურებს ის მაინც სწამთ, რომ ზეცაში მფარველი ვინმე ყოლებათ, რომ იქ აღაპებსა შინა მათი სიხარულიც იწერება და წამებაც, რომ იქ საბოლოოდ ანგარიშობენ და ჯამს უკეთებენ ყველაფერს, რაც ამათ უკვე მიღებული აქვთ და რაც კიდევ ერგება...“ იქ, ზეცაში! სად, სამყაროს რომელ კუთხეში?...

ეკლესიის დუმილმა დღურუა რაღაც ბუნდოვან ოცნებაში შეიყვანა. სიცოცხლეს ჩაუფიქრდა და ჩუმად წარმოთქვა:

„რა სისულელეა!“

კაბის შრიალმა შეაკრთო. ქ-ნი ვალტერი იყო. წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა მისკენ. მან ხელი არ გაუწოდა და ჩუმად უთხრა:

— სულ რამდენიმე წუთი მაქვს. ახლავე შინ უნდა დავბრუნდე. ჩემს გვერდით დაიხოქეთ. არ დაგვიანახონ.

მთავარი კარიბჭისაკენ წავიდა და იმ ადამიანივით მოიძია მარჯვე და წყნარი კუთხე, რომელიც ამ ეკლესიას კარგად იცნობდა. სახე სქელი პირბადით ჰქონდა ჩამობურული და ისე ჩუმად დადიოდა, რომ მისი ფეხის ხმა თითქმის არ ისმოდა. შანიშინთან რომ მივიდნენ, ქ-ნი ვალტერი მობრუნდა და ისეთი იდუმალი ჩურჩულით თქვა, როგორც მხოლოდ ეკლესიაში ისმის ხოლმე:

— სტოაში უკეთესი იქნება. აქ ყველა დაგვიანახავს.

მთავარი საკურთხეველის წინ მეტანიით დაიხოქა, მერე მარჯვნივ მოუხვია, ოდნავ უკანვე წამოვიდა და სადავითნოსთან დაიხოქა. ჟორჟი მუხლის თავებზე დაეცა, მლოცველის იერი მიიღო და დაიწყო:

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ. მე... გაღმერთებთ. მსურს ეს სიტყვა ყოველ საათს ვიმეორო და გიამბოთ, როგორ ჩამივარდით გულში, როგორ დაიპყარით იგი პირველივე შეხვედრის დროს. ნეტა ნებას მიბოძებთ, რომ ოდესმე ჩემი გული გადმოგიშალოთ და ყველაფერი გიამბოთ?

ქ-ნი ვალტერი ღრმად იყო ჩაფიქრებული და თითქოს არაფერი ესმოდა. ხელები პირზე ჰქონდა აფარებული და სიტყვებმა თითებს შუა გამოჟონა:

— ალბათ, გავგიჟდი, რომ მაგის თქმის ნებას გაძლევთ. სიგიჟე იყო ჩემი მოსვლა, სიგიჟეა მთელი ჩემი საქციელი: მე იმედს გაძლევთ, ვითომ შესაძლებელი იყოს ასეთი ამბის განმეორება. მაშ, დაივიწყეთ... ნურასოდეს ნულარ მეტყვით მაგას.

და პასუხს დაელოდა. დღე-რეუა საპასუხო სიტყვებს ეძებდა — გაბედულს და ვნებიანს, მაგრამ მოძრაობა შებორკილი ჰქონდა, თითქო დამბლადაცემული ყოფილიყო. მერე მიუგო:

— მე არაფერსაც არ მოველი... და არაფრის იმედი არა მაქვს. მაინც მიყვარხართ და, როგორც უნდა მოიქცეთ, მე მაინც ჩემსას გავიმეორებ ხოლმე — ისე ხშირად, ისეთი ძალით და სიმწვავეთ, რომ ჩემს გრძნობას, ბოლოს და ბოლოს, თქვენც გაიგებთ. მე საწადელს მივადწევ; ჩემი სიმხურვალე თქვენც მოგედებათ. ამ ნაზი გრძნობით თანდათან, თითქოს საათობით და დღითიდღე მაგ სულს გაგივსებთ, ნამივით გაგიჟდინთავთ, რომელიც წვეთ-წვეთად ჩაგესხმებათ. იგი დაგალობსთ, კდემით გაგავსებთ და ოდესმე გათქმევინებთ: „მეც მიყვარხართ“.

და გრძნობდა, თუ მის გვერდით როგორ უთრთოდა დედაკაცს მხარი და როგორ უღელავდა მაღალი მკერდი, და იმანაც წაიხურჩულა:

— მეც მიყვარხართ.

ჟორჟი შეერთა, თითქოს რაღაც დაარტყესო, და ოხვრა ამოუშვა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!

ხოლო დედაკაცმა მხრჩოლავე ხმით განაგრძო:

— განა უფლება მქონდა მეთქვა, რაც გითხარით? მე ვგრძნობ, ცოდვა ჩავიდინე და ზიზღის ღირსი ვარ... ორი ქალი მყავს, მაგრამ არ შემიძლია... არ შემიძლია-მეთქი... მე არ ვიცოდი... არ ვფიქრობდი... ეს გრძნობა ჩემზე... ჩემზე ძლიერი ყოფილა. ყური მიგდეთ... მომისმინეთ... არასოდეს არავინ არ მყვარებია... გეფიცებით, თქვენ პირველი ხართ, ერთი წელიწადია მიყვარხართ... ჩუმად, გულის სიდრმეში მიყვარხართ, ოჰ, როგორ ვიტანჯებოდი, როგორ ვიბრძოდი, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია... მეც მიყვარხართ-მეთქი.

სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული, ტიროდა და მთელი ტანი უკანკალებდა, დედასაგან უცახცახებდა. ჟორჟმა წაიხურჩულა:

— ხელი მომეცი. მსურს შევეხო, ჩამოვართვათ.

მან ნელა მოიშორა ხელი პირისახიდან. ჟორჟმა ლოყა დაუნახა. სულ სველი ჰქონდა, ხოლო წამწამებზე კურცხალი ეკიდა, რომელიც საცაა უნდა ჩამოვარდნილიყო. ხელი ჩამოართვა და მოუჭირა.

— ოჰ, ნეტა შემეძლოს თქვენი ცრემლი დაველიო!

მან ჩუმი და გაბრაზებული ხმით მიუგო, რომელიც უფრო კენესას ჰგავდა:

— ჩემს გრძნობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ, მე დაღუპული ვარ.

ჟორჟს კინაღამ გაეცინა: როგორ შეიძლებოდა ასეთი ადგილის ბოროტად გამოყენება? მისი ხელი მკერდზე დაიდო და უთხრა:

— ხომ გესმით, როგორ ფეთქავს?

და ვნებიანი სიტყვის მარაგი უკვე გამოეღია.

ერთი ხანია, მათ მსუქანი კაცის ნაბიჯი უახლოვდებოდა. მან საკურთხეველები მოიარა და პატარა, პირველი სტოლას მხრიდან უკვე მეორეჯერ ბრუნდებოდა, როცა ქ-მა ვალტერმა გაიგო, რომ უცნობი საძვიდის ახლოს იყო, რომელიც მათ ჰფარავდა. ჟორჟს ხელი გამოსტაცა და ისევ სახეზე აიფარა. უცნობმა ახლოს ჩაუარა, გულგრილად გადახედა მათ და ეკლესიის ბოლოსკენ წავიდა. თანაც ქუდი ისევ ზურგს უკან ეჭირა.

დღე-რეუა ფიქრობდა, როგორ მოეწყო სხვაგან სადმე პაემანი, და ჩასჩურჩულა:

— ხვალ სად გნახოთ?

მან არ უპასუხა. გახევებული იყო და „ლოცვას“ ქანდაკებას ჰგავდა.

დღე-რეუამ წაიხურჩულა:

— თუ გნებავთ, ხვალ ერთმანეთს მონსოს ბაღში შევხვდეთ.

მან ღია სახე მოიბრუნა. მკვდრის ფერი ედო და საშინელი წამებით ჰქონდა დაღმეჯილი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა:

— თავი დამანებეთ... მარტო დამტოვეთ... აქედან მომშორდით... ხუთი წუთით მაინც მომშორდით... თქვენს გვერდით ყოფნა მეტისმეტად მტანჯავს... მე ლოცვა მწადია... არ შემიძლია... წადი-მეთქი... შემავედრებინეთ უფალს, რათა ცოდვა მომიტეოს, რათა მისხნას განსაცდელისაგან... წადით, ხუთი წუთი მადროვეთ.

იმდენად სასომიხდილი იყო, ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა, რომ ჟორჟმა ვეღარ გაუძლო და უსიტყვოდ წამოდგა. მერე, ცოტა ყოყმანის შემდეგ ჰკითხა:

— ხომ მაძლევთ ნებას, რომ ისევ დავბრუნდე?

თანხმობა თავის დაქნევით მიიღო და შანიშინისკენ დაიხია.

მაშინ ქალმა სცადა, ლოცვას შესდგომოდა, ზეადამიანური ძალა იხმარა ღვთის მოსახმობად და, აკანკალებულმა, დაბნეულმა ზეცას შეჰლაღადა: „უფალო, შეგვიწყალებნ!“ თვალის ქუთუთოებს ძალით ხუჭავდა, რათა აღარ დაენახა ის, ვინც ეს-ეს არის მოიშორა. ცდილობდა, აზრიდან ამოეგდო. იგერიებდა, გაურბოდა, მაგრამ გულის კაეშანს ღვთის მადლი არ უქარვებდა: მის წინაშე მაინც ახალგაზრდა ვაჟის აგრეხილი უღვაში იდგა.

უკვე წელიწდი იყო, რაც ყოველდღე, ყოველ საღამოს ებრძოდა ამ სახეს, რომელიც აღარ შორდებოდა, იზრდებოდა, მისი ოცნებიდან აღარ ამოდიოდა. მან, რომელმაც დაიმორჩილა იგი და ძილი დაუფრთხო. და გრძნობდა, რომ ნადირივით ხაფანგში იყო დაჭერილი, შეკრული და ამ ხვადის ხელში მიგდებულ, რომელმაც იგი მხოლოდ უღვაშით და თვალების ფერით დაიპყრო და შებოჭა.

ახლა კი აქ, ეკლესიაში, ღვთის მახლობლად, თავისი თავი უფრო სუსტი, უფრო უძლეო, დაკარგული და მინებებულ ეგონა, ვიდრე შინ იყო ხოლმე. ლოცვა აღარ შეეძლო, მხოლოდ დღურ-რუახე ფიქრობდა და იტანჯებოდა იმის გამო, რომ წელან თავიდან მოიშორა. მიუხედავად ამისა, თავგანწირვით იბრძოდა, თავს იცავდა და მთელი ძალ-ღონით უხმობდა მშველელს. მზად იყო მომკვდარიყო, ოღონდ არ დაგრდომილიყო, რადგან ჯერ არასოდეს ემრუშა. აბდაუბდა მუდართი სავსე სიტყვებს ჩურჩულებდა, მაგრამ, ამავე დროს, ჟორჟის ფეხის ხმა ესმოდა, რომელიც შორს, თაღებქვეშ, თანდათან ნელდებოდა.

უცებ მიხვდა, რომ ყოველივე დასრულებული იყო, რომ ამას იყო ბრძოლა! დამორჩილება მაინც არ მოისურვა და ისეთმა ნერვულმა ბნედამ მოიცვა, რომელიც ქალებს მიწაზე ანარცხებს ხოლმე. მთელი ტანი უცახცახებდა და გრძნობდა, საცაა წაიქცეოდა და გმინვა-გოდებით გაგორდებოდა იატაკზე.

ვიღაც უახლოვდებოდა სწრაფი ნაბიჯით, მოიხედა და მღვდელი დაინახა. მაშინვე წამოდგა, მივარდა, ხელები გაუწოდა და შეევედრა:

— მიშველეთ, მამაო, მიშველეთ!

მღვდელი გაოცებით შესდგა:

— რა გნებავთ, ქალბატონო?

— მიშველეთ, მისხენით, შემობრალეთ, თუ არ დამეხმარებით, დავიღუპები.

მღვდელი შესცქეროდა და ფიქრობდა: გიჟი ხომ არ არისო, და ხელმეორედ

ჰკითხა:

— რით შემოძლია დაგეხმაროთ, ქალბატონო?

მადალი და საკმაოდ სრული ახალგაზრდა კაცი იყო, — მდიდარი მრევლის პატრონი, ლამაზი, ქალაქელი, და უკვე შეჩვეული შეძლებულთა ცოდვების მონანიებას. ლოყებიც სრული და ჩამოწოლილი ჰქონდა, თანაც ხშირი პარსვისაგან მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა.

— აღსარება მათქმევინეთ, მამაო, — უთხრა მღვდელს, — რჩევა, მხნეობა მომეცით და დამარიგეთ, როგორ მოვიქცე.

მან მიუგო:

— ქალბატონო, აღსარებას შაბათობით ვისმენ ხოლმე, სამი საათიდან ექვსამდე.

ქმა დე ვალტერმა ხელი გამოსტაცა, თან უჭერდა და იმეორებდა:

— არა, არა! ახლავე, ახლავე! საჭიროა, ახლავე მათქმევინოთ! ის აქ არის, ამ

ეკლესიაშია და მელოდება.

მღვდელმა ჰკითხა:

— ვინ გელოდებათ, ქალბატონო?

— ის კაცი... ვინც უნდა დამღუპოს... უნდა დამიმორჩილოს. თუ არ დამეხმარებით, ვეღარ გავექცევი... მეტად დავიტანჯე, მეტისმეტად... ისეთი სუსტი ვარ... ისე დავსუსტდი, რომ... — და ქვითინით ჩაუვარდა ფეხებში: — მამაო, შემობრალეთ! ღვთის გულისათვის, მიშველეთ!

ქალი მოძღვრის შავ ანაფორას ებღაუჭებოდა, რათა არ გაჰქცეოდა, ხოლო მღვდელი ირგვლივ იხედებოდა: ვინმე მორწმუნე ან ბოროტის თვალი ხომ არ ხედავს ჩემ ფეხებში ჩავარდნილ დედაკაცსაო?

ბოლოს მიხვდა, რომ ვერსად წაუვიდოდა, და უთხრა:

— აბრძანდით. სააღსარებოს გასაღები შემთხვევით თან მქონია.

ჯიბე მოიხსრიკა, გასაღებთა აკიდო ამოიღო, ერთი ამოირჩია და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ხის პატარა საკნებისაკენ, სულიერი ჭუჭყის სანაგვეებისკენ, სადაც მორწმუნენი თავიანთ ცოდვებს ჰყრიან ხოლმე.

შუა კარებში შევიდა და ჩაიკეტა. ქ-მა ვალტერმა იქვე ვიწრო ადგილზე დაიხოქა და მხურვალედ, თავგანწირვით წარმოსთქვა:

— მაკურთხე, მამაო, რამეთუ შევცოდე.

.

დიუ-რუამ მგალობელთა შანიშინს შემოუარა და მარცხენა სტოათი წავიდა. შუამდე რომ მივიდა, ისევ იმ მელოტ კაცს შეხვდა, რომელიც წვლანდელივით ნელი ნაბიჯით დადიოდა, და გაიფიქრა:

„ამ კაცს აქ რა უნდა?“

იმანაც უკლო ნაბიჯს და ჟორჟს შეხვდა. ეტყობოდა, დალაპარაკება სურდა. სულ ახლოს რომ მივიდა, თავი დაუკრა და დიდი თავაზით ჰკითხა:

— გთხოვთ მაპატიოთ, ბატონო ჩემო, გაწუხებთ. იქნებ იცოდეთ, როდის ააშენეს ეს ტაძარი?

დიუ-რუამ მიუგო:

— ღმერთმანი, არ ვიცი. მგონი, ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ. თუმცა, ამ ეკლესიაში პირველად გახლავართ.

— მეც აქამდე არ მენახა.

მაშინ ცნობისმოყვარე ჟურნალისტმა ჰკითხა:

— მგონი, ძალიან გულდასმით სინჯავთ. ალბათ, მისი შესწავლა გნებავთ.

მან მორჩილი ხმით უპასუხა:

— არა, არა ვსინჯავ. ცოლს ველოდები, რომელმაც პაემანი აქ დამინიშნა, მაგრამ ძალიან დაიგვიანა. — მერე დადუმდა და რამდენიმე წამის შემდეგ დაუმატა: — ქუჩაში საშინელი სიცხეა.

დიუ-რუა ამ კაცს უმხერდა, გულკეთილ ადამიანად ეჩვენებოდა, და უცებ აზრად მოუვიდა, ფორესტიეს ძალიან ჰგავსო.

— პროვინციელი ბრძანდებით? — ჰკითხა.

— დიახ, რენიდან გახლავართ. თქვენ რაღას აკეთებთ აქ, ეკლესიას ათვალიერებთ?

— არა. მეც ქალს ველოდები, — თავი დაუკრა და ღიმილით მოშორდა.

კარიბჭეს რომ მიუახლოვდა, ხელახლა დაინახა მეტანიით მლოცველი ღარიბი დედაკაცი და გაიფიქრა: „რა მოთმინება ჰქონია!“ და ის ღარიბი გულში თანაგრძნობას უკვე აღარ აღუძრავდა. გვერდით გაუარა და მარჯვენა სტოას გაჰყვა, სადაც წვლან ქ-ნი ვალტერი იდგა.

შორიდანვე ეძებდა და უკვირდა, რომ ქალი იქ აღარ იყო. გაიფიქრა, ალბათ, სხვა სტოაში შევიდაო, ყველას შემოუარა და იმავე ადგილას დაბრუნდა. მაშ, წასულა! და განცვიფრებული, გამწყრალი შედგა. შემდეგ აზრად მოუვიდა, იქნებ თვითონაც მეძებსო, და ეკლესია ხელახლა მოიარა. ისევ ვერ იპოვა და ისევ იქ დაბრუნდა, საცა წვლან დასტოვა, და ლოდინი დაუწყო. იმედი ჰქონდა, მოვიდოდა.

მაღე ჩურჩულს მოჰკრა ყური. მიმოიხედა, მაგრამ ეკლესიის იმ კუთხეში ვერავინ დაინახა. მაშ, საიდან მოდის ეს ჩიფჩიფი? სკამიდან ადგა და ძებნა დაუწყო. იქვე, სამლოცველოში, სააღსარებოს კარს მოჰკრა თვალი. ერთ ადგილს კაბის ბოლო გარეთ დარჩენილიყო და მიწაზე ეგდო. მივიდა და იცნო. მაშ, აღსარებაზე მდგარა!

სურვილმა მოუარა, მხრებში ხელი ჩაეველო და ამ ყუთიდან გამოეთრია. მერე გაიფიქრა: „არა ღირს. დღეს მღვდლის ჯერია, ხვალ კი ჩემი დადგება“. სააღსარებოს მთაჯირთან გულმშვიდად ჩამოჯდა და თავის ჯერს დაუცადა, თან ამ თავგადასავალზე გულში ეცინებოდა.

დიდხანს ელოდა. როგორც იყო, ქ-ნი ვალტერი წამოდგა, მობრუნდა და მისკენ წამოვიდა. სუსხიანი და მკაცრი სახე ჰქონდა.

— მოწყალეო ხელმწიფეო, — უთხრა, — გთხოვთ, არ გამაცილოთ; ნურც ამეღვენებით და ნურც მარტო მობრძანდებით ჩემს სახლში. არ მიგიღებთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

და ამაყი ნაბიჯით წავიდა.

დღუ-რუამ წასვლა არ დაუშალა. წესად ჰქონდა, არასოდეს მოსახდენი არ დაექარებინა. ხოლო შემდეგ, როცა ოდნავ არეული მღვდელი თავშესაფრიდან გამოვიდა, მისკენ გაემართა, თვალეში ჩააშტერდა და პირში მიახალა:

— ეგ კაბა რომ არა გცმოდათ, მაგ საზიზღარ დინგში ორ სილას გაგაწნავდით. უცბად მოტრიალდა და ეკლესიიდან სტვენით გამოვიდა.

კარიბჭესთან ერთხელ კიდევ დაინახა მსუქანი კაცი, ქუდი დაეხურა და ხელები ზურგზე დაეწყო. იდგა მოლოდინით მოქანცული და ფართო მოედანს და მასზე გამომავალ ქუჩებს ათვალიერებდა. დღუ-რუამ გვერდით გაუარა. ერთმანეთს მიესალმნენ.

ჟურნალისტი ახლა თავისუფალი იყო და რედაქციაში წავიდა. ტალანშივე მიხვდა, როცა მსახურებს აავლო თვალი, რომ რაღაც უჩვეულო რამ მოხდა, და სწრაფი ნაბიჯით წავიდა დირექტორის ოთახისაკენ.

ბებერი ვალტერი ფეხზე იდგა და წერილს ნერვულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უკარნახებდა აბზაციდან აბზაცამდე, თანაც გარშემო მდგარ რეპორტიორებს დავალებას აძლევდა. ბუარენარს არიგებდა და ახლად მოსულ ფოსტაში გაკვრით იხედებოდა.

— აჰა, ლამაზი მეგობარიც დროზე მოვიდა! — უცებ მორცხვად დადუმდა და ბოდიში მოიხადა: — ბოდიშს ვიხდი ამ სახელისთვის. ახალმა ამბებმა ამაღელვა. გარდა ამისა, ჩემი ცოლი და ქალებიც სულ ამ სახელს გეძახიან, ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, მეც შევეჩვიე. ხომ არ მიწყრებით?

— რა ბრძანებაა! ეგ სახელი სულაც არ მეჩოთირება.

ბებერმა ვალტერმა განაგრძო:

— ძალიან კარგი. მაშ, სხვებთან ერთად მეც ლამაზ მეგობარს დაგიძახებთ. ახლა კი, აი რას გეტყვით: ძალიან დიდი ამბები მოხდა. სამინისტრო წაიქცა. ას ორი თეთრი მიიღო და სამას ათი შავი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე ოცდარვა ივლისია, დეკუბატების შვებულება ხელახლა გადაიღო, არავინ იცის, რამდენი ხნით გადაიღო. ესპანეთი მაროკოს გამო გვიწყრება და სწორედ ამან ჩამოაგდო დურან დე ლ'ენა და მისი დამქაშები. ყელამდე ვართ ჩაფლული. ახალი კაბინეტის შედგენა მარროს მიანდეს. მან ბუტენ დაკრს სამხედრო მინისტრის პორტფელი შესთავაზა, ხოლო ჩვენს მეგობარ ლაროშ-მატიეს — საგარეო საქმეთა მინისტრისა. თავისთვის მარრომ შინაგან საქმეთა მინისტრობა და საბჭოს თავმჯდომარეობა აირჩია. ამას იქით ჩვენი გაზეთი ოფიცოზად გადაიქცევა. ახლა მოწინავეს, ჩვენი პრინციპების უბრალო დეკლარაციას ვწერ და სამინისტროს პროგრამას ვხაზავ, — გულმართლად გაიღიმა და დაუმატა: — თავისთავად იგულისხმება, ისეთ პროგრამას ვწერ, რომ მათ მისი განხორციელება სჯეროდეთ. მაგრამ მაროკოს გამო მე საინტერესო რამ მინდა, რაიმე ფელეტონი — ცხელ-ცხელი, სადღეისო, სენსაციური, ერთი სიტყვით, ამის მსგავსი რამ მჭირდება.

დღუ-რუა წამით ჩაფიქრდა. მერე მიუგო:

— რაც გჭირდებათ, მომეპოება. მოზრდილ წერილს მოგცემთ ყველა ჩვენი აფრიკული კოლონიის — ტუნისის, ალჟირისა და მაროკოს პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამ წერილში აღწერილია ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მოსახლე ერთა ისტორია და მოთხრობილია ამბავი ექსპედიციისა მაროკოდან ფიგიჯის ოაზისამდე, სადაც ჯერ არც ერთ ევროპელს არ დაუდგამს ფეხი და რომელიც დღევანდელი კრიზისის საბაბად გადაიქცა. გამოგადგებათ?

ბებერმა წამოიძახა:

— დიდებულია! სათაური?

— „ტუნისიდან ტანჟერამდე“.

— მშვენიერია!

დღუ-რუა წავიდა და გაზეთის ძველი ნომრების ჩხრეკას შეუდგა, სადაც მისი პირველი წერილი — „აფრიკელი სალდათის მოგონებანი“ — იყო დაბეჭდილი. სათაური რომ გამოუცვალოს, ხელახლა შეაკეთოს და თავით ბოლომდე შეცვალოს, იგი ავტორს დიდ სამსახურს გაუწევს, რადგან იქ სწორედ სადღეისო მასალა მოიპოვება: კოლონიალური პოლიტიკა, ალჟირის მოსახლეობა და ორანის პროვინციაში ექსპედიციის გაგზავნა.

ერთი საათიც არ დასჭირდა. ის წერილი გადააკეთა, ხელახლა გამოჭრა, გაწმინდა, სადღეისო მასალა ჩაურთო და ახალ კაბინეტსაც ქება შეასხა.

დირექტორმა წაიკითხა და თქვა:

— მშვენიერია... საუცხოოა... ნამდვილი განძი ხართ ჩვენთვის. დიდებულად არის დაწერილი.

იმ დღის ნაყოფით აღტაცებული დღუ-რუა სადილად შინ დაბრუნდა. მიუხედავად მარცხისა, რომელიც სამების ეკლესიაში განიცადა, მაინც გრძნობდა, რომ ბრძოლა მოგებულ იქონდა. ცოლი მოუთმენლად ელოდა. ქმარი რომ დაინახა, საჩქაროდ შეატყობინა:

— იცი, რომ ლაროში საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს?

— ვიცი. ამის გამო ეს არის ახლა წერილიც დავწერე ალჟირის შესახებ.

— როგორ?

— ხომ გახსოვს პირველი წერილი, ერთად რომ დავწერეთ, „აფრიკელი სალდათის მოგონებანი?“ დავათვალიერე და მომენტის მიხედვით გადავაკეთე.

მადლენამ გაიღიმა:

— ჰო, მართლა! სწორედ დღევანდელზეა გამოჭრილი. — შემდეგ ცოტა მოიფიქრა და დაუმატა: — მაგონდება, მაშინ წერილების მთელი რიგი გინდოდა დაგეწერა და... არ დაამთავრე. ხელსაყრელი დროა. მოდი, ამ წერილებს ხელახლა დავუბრუნდეთ. მეტად დროული რამ გამოვა.

ჟორჟი მაგიდას მიუჯდა.

— ძალიან კარგი, — უპასუხა. — ამაჟამად, რქოსანი ფორესტიეს სიკვდილის შემდეგ, ხელს ვეღარავინ შეგვიშლის.

მადლენამ მშრალი, ნაწყენი და მკაცრი ხმით მიუგო:

— შენი ხუმრობა საზღვარს გადასცდა და მეტისმეტად გაგრძელდა. გთხოვ, ბოლო მოუღო.

ჟორჟი აპირებდა, რაიმე გესლიანი პასუხი გაეცა, მაგრამ სწორედ ამ დროს ხელმოწერილი დეკემბა მიაწოდეს, სადაც ეწერა: „არ ვიცი, რა მემართება. შემინდეთ და ხვალ ოთხ საათზე მონსოს ბაღში მოდი“.

უმაღვე მიხვდა და ცოლს გახარებული გულით მიუგო, თანაც ლურჯი ფურცელი ჯიბეში ჩაიცურა:

— აღარ ვიზამ, გენაცვალე. გამოვტყდები, სისულელეს ვროშავ ხოლმე.

სადილს შეუდგა და ჭამის დროს ამ რამდენიმე სიტყვას გამუდმებით იმეორებდა: „არ ვიცი, რა მემართება, შემინდეთ და ხვალ ოთხ საათზე მონსოს ბაღში მოდი“. მაშ ასე, დათმო, განა! დეკემბა ამას ნიშნავდა: „გნებდებით, გეკუთვნით, საცა და როცა გნებადეთ“.

ჟორჟმა გაიცინა. მადლენამ ჰკითხა:

— რა დაგემართა?

— საიმისო არაფერი. დღეს ერთ მღვდელს შევხვდი და ის გამახსენდა. საოცარი დინგი ჰქონდა.

მეორე დღეს დღუ-რუა პაემანზე სწორედ დანიშნულ დროს მივიდა. ყველა სკამზე სიცხით მოთენთილი ზანტი გაღიები ისხდნენ და თითქმის თვლემდნენ ბავშვების გვერდით, რომლებიც ქვიშაში თამაშობდნენ.

დღუ-რუამ ქნი ვალტერი ძველ ნანგრევებთან იპოვა, სადაც ნაკადული მოსჩქეფდა. შემფოთებული და სევდიანი, მცირე სვეტების ირგვლივ მიდი-მოდოდა. ჟორჟმა სალაში მისცა. მან უმაღვე შესჩივლა:

— რა ბევრი ხალხია ამ ბაღში!

დღუ-რუამ შემთხვევით ისარგებლა:

— დიახ, ბევრი ხალხია. სადმე სხვაგან წავიდეთ.

— სად?

— განა სულ ერთი არ არის? თუ გნებაეთ, კარვით გავიაროთ, თქვენს მხარეზე ფარდა ჩამოუშვით და არავინაც არ დაგინახავთ.

— ჰო, აგრე აჯობებს, აქ კი შიშით ვკვდები.

— მაშ, კეთილი. ხუთი წუთის შემდეგ იმ კართან მიპოვით, რომელიც გარე ბულვარზე გადის. კარეტას ახლავე მოვიყვან.

და სირბილით წავიდა. ქნი ვალტერი კარეტაში ჩაჯდა, თავის მხარეზე სარკმელი ფარდით ჩამოაბნელა და დღუ-რუას მიუბრუნდა:

— სად უბრძანეთ მეეტლეს წასვლა?

ჟორჟმა მიუგო:

— ნუ წუხდებით, თვითონ იცის.

წელან დღე-რე დღე მკვლევარს კონსტანტინოპოლის ქუჩის მისამართი მისცა, ქ-მა ვალტერმა განაგრძო:

— ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები თქვენი გულისთვის. გუშინ ეკლესიაში მკაცრად მოგეპყარით, მსურდა შეჭველად გაგქცეოდით. რომ იცოდეთ, თქვენთან მარტო დარჩენის როგორ მეშინია! ხომ მაპატიეთ?

ჟორჟმა ორივე ხელზე მოუჭირა:

— დიახ, დიახ. ისე მიყვარხართ, რომ ყველაფერს გაპატიებთ.

მან დღე-რე მუდარით შეანათა თვალები:

— ყური მიგდეთ. პირობა მომეცით, რომ ნამუსს შემინახავთ და არ... არ... თორემ ვერასოდეს ვეღარ მნახავთ.

ჟორჟმა ჯერ არაფერი უპასუხა და უღვაწში ისეთი ღიმილი აათამაშა, რომელიც ქალებს სისხლს უფორიაქებდა ხოლმე. მერე დაბალი ხმით უპასუხა:

— მე თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ.

შემდეგ ქ-მა ვალტერმა უამბო, თუ როგორ და როდის იგრძნო პირველად სიყვარული. ეს მაშინ მოხდა, როცა გაიგო, რომ ჟორჟი მადლენა ფორესტიეს ირთავდა, და სხვადასხვა წვრილმანს იგონებდა, უამბობდა.

უცებ დადუმდა. კარგა შედგა. დღე-რე კარი გააღო.

— სადა ვართ? — ჰკითხა ქალმა.

მან მიუგო:

— ეტლიდან ჩამობრძანდით და ამ სახლში შებრძანდით. აქ უფრო არხეინად ვიქნებით.

— კეთილი, მაგრამ სადა ვართ-მეთქი?

— ჩემთან. აქ ჩემი უწინდელი ბინა გახლავთ. ხელახლა დავიქირავე... რამდენიმე დღით, რათა შესახვედრი კუთხე გექნოდეთ.

ქ-ნი ვალტერი ზარდაცემული იყო იმის გამო, რომ დღე-რე მისთან ერთად პირისპირ უნდა დარჩენილიყო. კარგის შპალერს მოეჭიდა და აღუღლულდა:

— არა, არა... არ მინდა, არ მინდა!

დღე-რე მტკიცე ხმით მიუგო:

— გეფიცებით, პატივს არ შეგიღახავთ. ჩამობრძანდით, თორემ აქეთ-იქიდან უკვე გეციქვრიან და მალე ხალხიც მოგვეხვევა. ჩქარა... ჩქარა... გადმობრძანდით. — და გაიმეორა: — ფიცს გაძღვევთ, რომ პატივს შეგიინახავთ-მეთქი.

სირაჯი დუქნის წინ იდგა და მათ ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. ქ-ნი ვალტერი დაფრთხა, ჩამოხტა და სახლში შევარდა. უნდოდა კიბეზე ასულიყო, მაგრამ დღე-რე ხელი სტაცა.

— აქეთ, ქვემო სართულში.

და თავის ბინაში შეაგდო. კარი ჩაკეტა და ისე დაეცა, როგორც მხეცი ნანადირევს ეცემა ხოლმე. დედაკაცი იბრძოდა, გასხლტას ლამობდა და გამუდმებით იმეორებდა: „ოჰ, ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო!“ .. ხოლო ჟორჟი ვნებით უკოცნიდა კისერს, თვალებს, ტუჩებს. ქალი აღერსის ქარიშხალს ვეღარ უძალიანდებოდა, იგერიებდა, ხელს ჰკრავდა, გაუბოლოდა, კოცნის არიდებას ლამობდა, მაგრამ, ამავე დროს, უნებურად კოცნითვე უპასუხებდა.

უცებ ბრძოლა შეწყდა და, დამარცხებულმა, დამორჩილებულმა, ტანისამოსის გახდა დაანება. ჟორჟმა გამოცდილ მოახლესავით მარჯვედ და სწრაფად გახადა.

დედაკაცმა თავისი კორსაჟი გამოგლიჯა, პირისახეზე აიფარა. ახლა იგი ფეხებთან ჩაცვივრულ კაბა-საცვალში სულ მთლად თეთრი იდგა.

ჟორჟმა ფეხგაუხდელი ქალი ლოგინზე გადაიტანა, მან კი მოდუნებული ხმით ყურში წასჩურჩულა:

— გეფიცებით, რომ არასოდეს... საყვარელი არა მყოლია, — როგორც ახალგაზრდა ქალიშვილი იტყვის ხოლმე: „გეფიცებით, უმანკო ვარო“.

ჟორჟ დღე-რე კი გაიფიქრა: „ეგ ჩემთვის სულ ერთია“.

თავი მესუთე

შემოდგომა დადგა. ჟორჟმა და მადლენამ მთელი ზაფხული პარიზში გაატარეს და ახალ მთავრობას მცირე სადემოკრატიო არდადეგების დროს „საფრანგეთის ცხოვრებაში“ ენერგიულად იცავდნენ.

თუმცა ჯერ ოქტომბრის დასაწყისი იყო, ორივე პალატამ უკვე თავი მოიყარა და სხდომებს შეუდგა, რადგან მაროკოს საქმე სერიოზულად გართულდა.

ექსპედიციის გაგზავნა არავის სჯეროდა, თუმცა პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე მემარჯვენე დეპუტატმა გრაფ დე ლამბერ-სარაზენმა ჭკუამახვილი სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც ცენტრშიც კი ტაში გამოიწვია, და დეპუტატებს სანაძლეოს დადება შესთავაზა. მან ინდოეთის ერთ განთქმულ მეფისნაცვალს მიჰბაძა და თქვა: მე ჩემს უღვაშს დავდებ სანაძლეოდ, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავისი ბაკენბარდები დადოს, თუ ახალმა კაბინეტმა წინანდელს არ მიბაძოს და მაროკოში ჯარი არ გაგზავნოს, როგორც უწინ გაგზავნეს ტუნისში. ამას ჩვენგან, — ამბობდა გრაფი, — თუნდაც სიმეტრიის ადლო მოითხოვს, რომელიც გვაიძულებს ბუხრის თავზე ერთი ლარნაკის მაგივრად ორი დავდგათ ხოლმე.

— მართლაც, ბატონებო, — დაასრულა, — აფრიკა საფრანგეთის ბუხრის როლს ასრულებს, იმ ბუხრისა, სადაც ჩვენი საუკეთესო შეშა იწვის, სადაც ჰაერი ძლიერ უბერავს და რომელსაც, შეშის გარდა, საზანკო ბილეთებიც უკეთია. თქვენ, კეთილი ინებეთ და, ამ ბუხრის მარცხენა კუთხე ტუნისის მეტად ძვირი სამკაულით დაამშვენეთ. ახლა კი იმასაც ნახავთ, რომ ბატონი მაროკო თავის წინამორბედს მიბაძავს და მარჯვენა კუთხეს მაროკოს ლარნაკით შეამკობს.

ამ სიტყვამ დიდი ხმაური ატეხა და დღურუას თემა მისცა, ალჟირზე ათიოდე წერილი დააწერინა, ის წერილები, რომელთაც წინ უძღოდა ერთი წერილი, დაბეჭდილი იმ დროს, როცა ის „საფრანგეთის ცხოვრების“ რედაქციაში მუშაობას იწყებდა. ავტორი ენერგიულად მოითხოვდა სამხედრო ექსპედიციის გაგზავნას. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ეს არ მოხდებოდა. ერთი მხრივ, ის პატრიოტულ სიმებს აჟღერებდა, მეორე მხრით კი — ესპანეთის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ზიზღიანი სიტყვების უღვევლ მარაგს ხარჯავდა, რომელსაც ყოველ ერს დააყრიან ხოლმე, თუ იმისი ინტერესები თქვენი ერის ინტერესებს უპირდაპირდება.

„საფრანგეთის ცხოვრებას“ დიდი წონა დაედო, რადგან ყველამ იცოდა, რომ მას მთავრობასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. პოლიტიკური ახალი ამბები ამ გაზეთში უფრო ადრე იბეჭებოდა, ვიდრე დანარჩენ სერიოზულ გაზეთებში. რედაქცია ხშირად ნართაული სიტყვებით აგრძნობინებდა ხოლმე მკითხველს თავისი მეგობარი მინისტრების სურვილებსა და გეგმებს. პარიზის და პროვინციის ყველა გაზეთი აქედან ჰკრეფდა ცნობებს. მას ასახელებდნენ, მისი შიში ჰქონდათ და ნელ-ნელა პატივსაც სდებდნენ. იგი პოლიტიკური აფერისტების საეჭვო ორგანოდ კი აღარ ითვლებოდა, არამედ კაბინეტის გაზეთად გადაიქცა. ლაროშ-მატიე გაზეთის სული იყო, დღურუა კი — მისი საყვირი. ბებერი ვალტერი იმ დეპუტატების ტიპს ეკუთვნოდა, რომელნიც ტრიბუნაზე არსად არ ადიან ხოლმე. მარჯვე გამომცემელი ისე ახერხებდა ყველაფრის მოგვარებას, რომ თვითონ არასოდეს მოჩანდა და, როგორც ამბობდნენ, ამჟამად ჩუმ-ჩუმად აწყობდა მაროკოს სპილენძის დიდ საქმეს.

მადლენას სალონი გავლენიან ბუდედ იქცა, სადაც კვირაში ერთხელ კაბინეტის მრავალი წევრი იყრიდა თავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აქ ორჯერაც კი ისაღილა, ხოლო სახელმწიფო მოღვაწეთა ცოლები, რომელნიც ოდესღაც თავს იკავებდნენ, რათა წვეოდნენ ამ ოჯახს, ახლა მის მეგობრობას იკვებდნენ და ამ ოჯახში უფრო ხშირად დადიოდნენ, ვიდრე მადლენა დადიოდა მათთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი ამ სახლში მასპინძელი გეგონებოდათ. როცა მოისურვებდა, მაშინ შემოვიდოდა, და თანაც დეპეშები, ცნობები, მოხსენებანი მოჰქონდა და პასუხს ქმარს ან ცოლს ისე უკარნახებდა, თითქო მისი მდივნები ყოფილიყვნენ.

როცა მინისტრის წასვლის შემდგომ ცოლ-ქმარი მარტო რჩებოდა, ქმარი ამ მატრაკეცა ადამიანის ყოფაქცევის გამო ბრაზს ვეღარ იმაგრებდა ხოლმე. მის ხმაში მუქარა ისმოდა, ხოლო სიტყვებში — ვერაგული ნართაული. მაგრამ მადლენა მხარს ათვალწუნებით აიყრიდა და ეტყოდა ხოლმე:

— შენც მიაღწიე, რასაც მან მიაღწია; შენც მინისტრობა იშოვე და მაშინ გამოიჩინე ამპარტავნობა, მანამდე კი სჯობია, გაჩუმდე.

ჟორჟი უღვაშს იგრეხდა, ცოლს ცერად შეჰყურებდა და ამბობდა:

— ჯერ არავინ იცის, რა შემიძლია მე, მაგრამ ოდესმე ყველანი გაიგებთ.

ცოლი ფილოსოფიური სიღინჯით მიუგებდა ხოლმე:

— ვნახოთ.

იმ დილას, როცა პალატამ სხდომები განაახლა, ახალგაზრდა ქალმა ლოგინშივე მისცა ათასი დავალება თავის ქმარს, რომელიც ამ დროს ტანთ იცვამდა: სხდომის დაწყებამდე ლაროშ-მატიესთან უნდა წასულიყო და მისგან „საფრანგეთის ცხოვრების“ ხვალისნდელი მეთაური წერილისთვის დარიგება მიეღო. ეს წერილი კაბინეტის ნამდვილი ზრახვების დეკლარაცია უნდა ყოფილიყო.

მადლენა ამბობდა:

— უმთავრესი არ დაგავიწყდეს. ჰკითხე, გაგზავნიან თუ არა ორანში, როგორც განზრახული იყო, გენერალ ბელონკლს? ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჟორჟმა ნერვულად უპასუხა:

— შენზე უკეთ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. შენი ჭირიმე, თავი დამანებე. რამდენჯერ გითქვამს ეგ ამბავი!

ცოლმა წყნარად მიუგო:

— ჩემო კარგო, შენ მუდამ გავიწყდება იმის ნახევარი, რასაც მინისტრთან დაგავალებ ხოლმე.

ჟორჟმა წაიბურტყუნა:

— შენმა მინისტრმა თავი მომაბეზრა! ტუტუცია, მეტი არაფერი!

მადლენამ მშვიდად უპასუხა:

— თუ ლაროშში ჩემი მინისტრია, შენიც არის. ბოლოს და ბოლოს, შენთვის უფრო სასარგებლო კაცია, ვიდრე ჩემთვის.

ქმარმა ერთი გამოსედა და ჩაცნვით მიუგო:

— ბოდიშს ვიხდი, ლაროშში მე არ მეარშიყება.

ცოლმა წყნარად უპასუხა:

— არც მე. მაგრამ ორივე წინ მიყვევართ, ორივეს გვეხმარება.

დღუ-რუამ იყუნა და შემდეგ შენიშნა:

— შენი მოთაყვანეთა არჩევა რომ მომანდონ, ისევ ბებრუცანა ვოდრეკს ავირჩევდი. მართლა, რა დაემართა? ერთი კვირაა, აღარ მინახავს.

ცოლმა აუღელვებლად მიუგო:

— ავად არის, მწერდა, ნიკრისის ქარმა შემომიტია და ლოგინად ჩავვარდიო. კარგს იზამდი, რომ შეირბენდე და გაიგებდე. ხომ იცი, ძალიან უყვარხარ და შენი ნახვაც ესიამოვნება.

ჟორჟმა მიუგო:

— ჰო, აგრეთა. უეჭველად დღესვე შევირბენ.

ჩაცმა დაასრულა, ცილინდრი დაიხურა და სარკის წინ ერთხელ კიდევ მოტრიალდა. ყველაფერი რიგზე რომ იპოვა, ლოგინთან მივიდა და ცოლს შუბლზე აკოცა:

— მშვიდობით იყავი, ჩემო კარგო. ალბათ, შვიდზე ადრე ვერ დავბრუნდები.

და წავიდა. ლაროშ-მატიე უკვე ელოდებოდა. ამ დღეს მინისტრი საუზმეს ათზე მიირთმევდა, რადგან მთავრობას თორმეტზე — პალატის სხდომის დაწყებამდე უნდა მოეყარა თავი.

რადგან მისმა მეუღლემ არ მოისურვა ჭამის დრო შეეცვალა, სუფრაზე მინისტრისა და პირადი მდივნის მეტი არავინ იყო. დასხდნენ თუ არა, დღუ-რუამ თავის წერილზე ჩამოუგდო ლაპარაკი, თანაც ამ წერილის მთავარ აზრებს ეძებდა და დროგამოშვებით შენიშვნებში იხედებოდა, რომელიც სადარბაზო ბარათზე ჰქონდა ჩაწერილი; როცა დაასრულა, ჰკითხა:

— ძვირფასო მინისტრო, ხომ არ ინებებთ შეცვალთ რამე?

— შესაცვლელი თითქმის არაფერია, ჩემო მეგობარო. მხოლოდ ერთს ვიტყვი: იქნებ მაროკოს შესახებ ზედმეტი დამაჯერებლობით ადასტურებთ ზოგიერთ ამბავს. ისე დაწერეთ, თითქოს ექსპედიცია მოსალოდნელი ყოფილიყოს, მაგრამ, ამავე დროს, მკითხველს აგრძნობინეთ, რომ იგი არ შედგება, რომ თქვენ მისი გაგზავნა არ გჯერათ. ერთი სიტყვით, იქნებ მოახერხოთ და საზოგადოებას სტრიქონებშუა ამოაკითხვინოთ, რომ მთავრობას ამ ავანტიურაში ჩარევის სურვილი არა აქვს-თქო.

— ძალიან კარგი. მეც გავიგე და ვეცდები სხვებსაც გავაგებინო. გარდა ამისა, ცოლმა დამავალა გავიგო, გაგზავნით თუ არა გენერალ ბელონკლს ორანში? თქვენ ნათქვამიდან ჩანს, რომ არ გაგზავნით.

სახელმწიფო მოღვაწემ უპასუხა:

— არა, არ გაგვზავნით.

შემდეგ სიტყვა მომავალ სესიაზე ჩამოაგდეს. ლარომ-მატიე ორატორობას მოჰყვა და მქუხარე სიტყვა წარმოთქვა, რომელიც რამდენიმე საათის შემდგომ პალატაში უნდა გაემორებინა. მარჯვენა ხელს ახანზარებდა და ჰაერში ხან დანას იქნევდა, ხან ჩანგალს, ხან კიდევ პურის ნატეხს. ეს ლამაზი და კარგად დავარცხნილი ვაჟკაცი თითქოს უჩინარ სხდომას მიმართავდა და თავის წყალწყალა ენამჭევრობას ღვართქაფივით ასხამდა. მისი მეტად მოკლე უღვაშის ბოლოები ტუჩზე მორიელის ნესტარით ადიოდ-ჩამოდოდა. ბრილიანტივით მოლოკილ-მოვარცხნილი და შუაზე გაყოფილი თმა საფეთქლებზე პროვინციულ კოპწიასავით ჰქონდა დახუჭუჭებული. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ოდნავ მსუქანი იყო და ჟილეტის ქვეშ მუცელი თვალსაჩინოდ ებერებოდა. მისი პირადი მდივანი ენამჭევრობის ასეთ ნაკადს, ალბათ, უკვე შეეჩვია და სასმელ-საჭმელს წყნარად შეექცეოდა. დღუ-რუას კი ლარომ-მატიეს გამარჯვების გამო შურით გული უკვნესოდა და ფიქრობდა: „რა არარაობაა! ღმერთო, რა ტუტუცები არიან პოლიტიკური მოღვაწენი“.

თავის თავს ამ ყბედ მინისტრს ადარებდა და ამბობდა: „დასწყევლოს ეშმაკმა! მე რომ ნაღდი ასი ათასი ფრანკი მქონოდა, რათა ჩემს საყვარელ რუანში ჩემი დეპუტატობის კანდიდატურა გამომეცხადებინა და ჩვენი ყოჩალი, ბეყჩა ნორმანდიელები, მიუხედავად მათი ეშმაკობისა, ხელში დამეჭირა, — ამ ბეცებში და ბრიყვებში რა სახელმწიფო მოღვაწედ გამოვჩნდებოდი!“

სანამ ყავას მოუტანდნენ, ლარომ-მატიე ყბედობდა. ხოლო შემდეგ, როცა შეამჩნია, რომ იგვიანებდა, ეტლი გამოიწვია ტელეფონით და ჟურნალისტს ხელი გაუწოდა:

— ძვირფასო მეგობარო, ყველაფერი გაიგეთ?

— ყველაფერი, ძვირფასო მინისტრო, ჩემი იმედი იქონიეთ.

და რადგან ოთხ საათამდე საქმე არა ჰქონდა რა, ძალიან ნელი ნაბიჯით წავიდა რედაქციაში წერილის დასაწერად, ხოლო ოთხზე კონსტანტინოპოლის ქუჩაზე უნდა გასულიყო, სადაც ამჟამად ქ-ნ დე მარელს კვირაში ორჯერ ხვდებოდა — ორშაბათობით და პარასკეობით.

შევიდა თუ არა რედაქციაში, დაბეჭდილი დეპეშა მიაწოდეს. იგი ქ-ნ ვალტერისგან იყო. სწერდა:

„ძალიან მინდა შენი ნახვა დღესვე, ფრიად დიდი საქმისათვის. ორ საათზე კონსტანტინოპოლის ქუჩაზე მელოდებოდე. დიდ სამსახურს გაგიწევ.“

მარად შენი ერთგული ვირჟინი“.

ჟორჟი გაწერა: „დასწყევლოს ღმერთმა, რას ჩამომეკიდა!“ უცებ ავმა გუნებამ მოიცვა და, რადგან სიანხლის გამო მუშაობა აღარ შეეძლო, მაშინვე ქუჩაში გამოვიდა. ექვსი კვირა იქნება, რაც ამ დედაკაცისთვის თავის დანებებას ლამობდა, მაგრამ მისი მოტმასნებული ვნება ვერაფრით ვერ შეასუსტა. მას დანებების შემდეგ, ჯერ სინდისის ქენჯნის შეუკავებელი ჟინი აუვარდა. პაემანზე რომ მოვიდოდა, საყვარელს საყვედურს და კრულვას აყრიდა ხოლმე. ჟორჟს ეს წყევლაც მობეზრდა და ეს ნაჭარბევად მწიფე, თეატრალურ-მედიდური დედაკაციც მოსწყინდა, რადგან მეტისმეტად გაძდა. ეგონა, კავშირის ძაფები თავისთავად დაწყდებოდა, და თანდათან განზე გადგა. მაგრამ ამის შემდგომ დედაკაცი გიჟივით აედევნა და ამ სიყვარულს ისეთივე თავგანწირვით მისცა თავი, როგორც ის ადამიანი, კისერზე ლოდს რომ მოიბამს და წყალში გადავარდება ხოლმე. დღუ-რუა სისუსტის, ღმობიერებისა და სიბრალულის გამო ისევ დაუბრუნდა მას, მაგრამ მან იგი თავის შმაგიანი და დამქანცავი ჟინის ყმად გადააქცია და მუდამ გახელებული აღერსით დასდევდა.

მას სურდა თავისი ჟორჟი ყოველდღე, ყოველ წუთს ენახა და სანახავად ერთი წუთით სადმე ქუჩის კუთხეში, რომელიმე მაღაზიაში ან ქალაქის რომელიმე ბაღში დეპეშით იბარებდა ხოლმე.

ამ პაემანის დროს დედაკაცი ერთსა და იმავე უცვლელი სიტყვებით გამუდმებით იმეორებდა, რომ მას ჟორჟი უყვარდა, კერპივით თავგანს სცემდა, წასვლისას კი ევიცებოდა, რომ „ბედნიერი იყო იმის გამო, რომ ჟორჟი ნახა“.

ქ-ნი ვალტერი სულ სხვანაირი აღმოჩნდა, ვიდრე ჟორჟს ეგონა. ეს დედაკაცი ლამობდა საყვარელი ბაღდური სინაზითა და სასიყვარულო ანცობით დაეპყრო, ეს ფანდი კი იმ ხნის ადამიანისთვის მხოლოდ სასაცილო იყო. სანამ ჟორჟს წააწყდებოდა, ის მკაცრპატიოსანი დედაკაცი იყო და ქალწულის გული ჰქონდა, რომელიც

სიყვარულისთვის მიუკარებელი და ვნებისთვის სრულიად უცნობი იყო. და ამ კეთილგონიერ, მშვიდსა და ორმოცი წლის დედაკაცს, რომელიც გრილი ზაფხულის შემდეგ თითქოს უფერულ შემოდგომაში გადადიოდა, უცებ დაუბრუნდა დამტკნარი გაზაფხულის მსგავსი დარი, რომელმაც უხვად მოუტანა ცუდად გაფურჩქნილი ყვავილები და დაუმწიფებელი კვირტები. მის გულში როგორღაც უცნაურად იფეთქა უმანკო ქალის სიყვარულმა — ნაგვიანევმა, ფიცხმა და გულუბრყვილო სიყვარულმა, მოულოდნელმა ქროლვამ, თექვსმეტი წლის ქალის კვილმა, მოსაბეზრებელმა ღულუნმა და ნაზმა ალერსმა. ეს ქალი ისე დაბერდა, რომ ახალგაზრდობა არც კი ჰქონდა განცდილი. საყვარელს დღეში ათ წერილს სწერდა, ერთი მეორეზე საშინლად სულელურს. ეს წერილები დაწერილი იყო რაღაც უცნაური, პოეტური, სასაცილო სტილით და მოქარგული იყო ინდური ნაწერებივით, რომლებიც მხეცებისა და ფრინველთა სახელებით არის ხოლმე სავსე.

როცა მარტო დარჩებოდნენ, ქალი ისე დაუწყებდა კოცნას, როგორც მსუქანი, მოუხეშავი და ცველქი ყრმა ჰკოცნის ხოლმე, თანაც ტუნები ოდნავ სასაცილოდ ემანჭებოდა, ხოლო სავსე ძუძუები ხტუნვის დროს კორსაყის ქვეშ უნდილად უფამფალვებდა. ჟორჟს ნამეტნავ ეზიზღებოდა მისი საალერსო ტიტინი: „ჩემო დათუნავ“, „ჩემო ტუვაავ“, „ჩემო ხაზინავ“, „ჩემო ლურჯო ჩიტო“, „ჩემო თვალისჩინო“, და აგრეთვე დანებების იერი: ყოველთვის, როცა ნებდებოდა, უმანკო ქალის მორცხვობის პატარა კომედიას ასრულებდა ხოლმე: შეშინებულებით კრთოდა, და ეს შეკრთომა სიტურფედ მიანნდა, თანაც გაფუჭებული პანსიონერივით ცველქობდა.

ხშირად ეკითხებოდა საყვარელს: „ეს ტუნები ვისია?“ და თუ ჟორჟი არ ეტყოდა: „ჩემია“, მანამდე ჩააცივდებოდა, სანამ მისი საყვარელი სიმწრით არ გაფითრდებოდა ხოლმე.

ამ დედაკაცს უნდა ესმოდეს, — ფიქრობდა ჟორჟი, რომ სიყვარული დიდ ზომიერებას, სიმარჯვეს, კეთილგონიერებასა და, უმთავრესად, უტყუარ კილოს მოითხოვს. ქნი ვალტერი მწიფე დედაკაცი იყო, ოჯახის დედა, წარჩინებულთა წევრი, და საყვარელს ღირსეულად, ალაგმური გატაცებით, პირსუსხიანად უნდა დანებებოდა, შეიძლება ცრემლიც დაეღვარა, მაგრამ ჯულიეტას ცრემლი კი არა, არამედ დიდონასი. ის კი გამუდმებით იმეორებდა:

როგორ მიყვარხარ, ჩემო ბიჭიკო! მითხარი, ჩემო პაწაწავ, შენც აგრე გიყვარვარ?

ჟორჟს აღარ შეეძლო იმის მოსმენა, რა კილოთიც ამბობდა: „ჩემო ბიჭიკო“, „ჩემო პაწაწავ“, და ძლიერ სურდა, თვითონაც მიეგო: „ჩემო ბებრუცანავ!“

ქნი ვალტერი ზოგჯერ ეტყოდა ხოლმე:

— რამ გამაგიჟა, რომ დაგნებდი! მაგრამ მაინც არა ვნანობ. სიყვარული მეტად ტკბილი რამ ყოფილა.

მისი ნათქვამი: „სიყვარული მეტად ტკბილი რამ ყოფილა“, ჟორჟს ბრაზს ჰგვრიდა, რადგან ამ სიტყვებს თეატრალური აღმაფრენით ამბობდა ხოლმე.

მამაკაცს მისი მოუხეშავი ალერსიც აანჩხლებდა. ზოგჯერ ამ ლამაზი ვაჟკაცის კოცნა სისხლში უცებ ცეცხლს უნთებდა, სისხლს უმღვრევდა. მაშინ მისი ხვევნა უეცურად მწვავე და უალაგოდ დარბაისლური გამოდიოდა. ამის გამო დეურუას გულში ეცინებოდა და ის ბერიკაცი აგონდებოდა, რომელიც ანბანის სწავლას იწყებდა.

იმ წუთებში ამ დედალს საყვარელი ხვევნით უნდა დაეხრჩო, მიმტკნარი დედაკაცის ღრმა და საშინელი თვალეები მისთვის უნდა მიენათებინა. უნდა უკანასკნელი სიყვარულის სიდიადე გამოეჩინა, ჟორჟი უნჯი და მთრთოლვარე ტუნებით უნდა დაეკბინა. მიიმე, მხურვალე და დაქანცული, მაგრამ მაინც გაუმადლარი ხორციით უნდა დაეხრჩო, ის კი ამის მაგიერ ბავშვივით ფიცხობდა და ტიტინებდა, რათა მისთვის უფრო მეტი სურვილი აღედრა:

როგორ მიყვარხარ, ჩემო ბიჭიკო! რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! აკოცე, გენაცვალე, მაგრად აკოცე შენს ცოლიკოს!

ჟორჟს ასეთ ჟამს გიჟური სურვილი ახრჩობდა: შეეგინებინა, ქუდი აეღო, გარეთ გავარდნილიყო და კარი მოუჯახუნებინა. პირველ ხანებში ერთმანეთს საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ხოლმე კონსტანტინოპოლის ქუჩაზე, მაგრამ დეურუას ეშინოდა, ქალბატონ დე მარელს არ წაწყდომოდა, და ათას საბაბს პოულობდა, რათა პაემანი აერიდებინა. მაგრამ სანაცვლოდ თითქმის ყოველდღე ვალტერის ბინაზე უნდა მისულიყო, ხან სამხრად და ხან სადილად. დიასახლისის მაგიდის ქვეშ ხელზე ხელს უჭერდა, სადმე კარების უკან ტუნებს უშვერდა, მას კი უფრო ეხალისებოდა თამაში

სუზანასთან, რომელიც მას თავისი ანცობით ამხიარულებდა ხოლმე. ეს ახალგაზრდა ქალი გარეგნობით დედოფალს ჰგავდა, ნამდვილად კი მეტად ცოცხალი, მახვილი, ჟინიანი და ცუდლუტი ჭკუა ჰქონდა, იგი მარიონეტებით დაუღალავი იყო. ყველას და ყოველივეს მწვავე გესლით დასცინოდა. ჟორჟი მას შთაგონებას უნერგავდა. ქალის დაცინვა მაშინ ირონიად გადაქცეოდა ხოლმე და ორთავეს ერთმანეთისა ძალიან კარგად ესმოდათ.

ქალი ყოველ წუთს თავისკენ მოუწოდებდა ხოლმე:

— გესმით, ლამაზო მეგობარო?... აქ მოდიო, ლამაზო მეგობარო.

ჟორჟი დედას მაშინვე თავს ანებებდა და შვილთან მიბობდა, რომელიც მას ყურში რაიმე გესლიან ოხუნჯობას ჩააწვეთებდა ხოლმე, და ორივენი გულიანად იცინოდნენ.

გულაცრუება დედისადმი ჟორჟს თანდათან დაუძლეველ ზიზღად გადაექცა. მისი დანახვა, მოსმენა და მასზე ფიქრიც კი ბრაზის გარეშე აღარ შეეძლო, ამიტომ აღარც მის სახლში მოდიოდა, აღარც წერილებზე აძლედა პასუხს და აღარც მისი პატიჟი სურდა.

ქალბატონი ვალტერი ბოლოს მიხვდა, რომ ჟორჟს აღარ უყვარდა, და მისთვის საშინელი ტანჯვის ხანა დაიწყო. მაგრამ მაინც არ დაცხრა. უჯიათი ჟინიანობით უჯჯაშუშებდა, დასდევდა და ფარღანამოშვებულ კარეტაში უცდიდა: რედაქციის შესავალთან, საცხოვრებელ ბინასთან და ყველა იმ ქუჩაზე, სადაც კი შესაძლებელი იყო შეხვედროდა. ჟორჟს სურდა, საყვარელი გაელანძღა, ეცემა და პირდაპირ ეთქვა: „კმარა, მეყოფა, თავი მომაბეზრე!“ მაგრამ ინდობდა და არც ის ავიწყდებოდა, რომ თვითონ „საფრანგეთის ცხოვრების“ თანამშრომელი იყო. მხოლოდ ცდილობდა სუსხით, ზრდილობიანი უხეშობით, ზოგჯერ კი კადნიერებითაც ეგრძობინებინა, რომ დრო იყო, ყველაფერი გაეთავებინათ.

ის მაინც არ ისვენებდა და განსაკუთრებული თავგამოდებით იგონებდა მრავალ ეშმაკობას, რათა საყვარელს კონსტანტინოპოლის ქუჩაზე შეხვედროდა, ჟორჟი კი შიშით კანკალებდა იმის გამო, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმ ბინის კართან ორივე დედაკაცი შესაძლებელია ერთმანეთს პირისპირ შესჯახებოდა.

მეორე მხრივ, ჟორჟი ზაფხულში ქ-ნ დე მარელს უფრო მეტად შეეზარდა, რომელსაც „ჩემი ავარა“ დაარქვა. ეს „ავარა“ ნამდვილად შეუყვარდა. ორივეს ხასიათს ბევრი რამ ჰქონდა საერთო და ორივენი იმ ბოგანოთა ავანტიურულ ჯიშს ეკუთვნოდა, წარჩინებულ ბოგანობებს, რომელნიც შარავზის უსახლკარო მაწანწალებს მოგვაგონებენ, და ეს მსგავსება თვითონ მათ ეჭვადაც არ მოსდიოდათ.

ზაფხული მოქეიფე სტუდენტებით საუცხოოდ გაატარეს. ხან სამხრად და ხანაც სადილად მიდიოდნენ არჟანტეილში, ბუჟივალს, მეზონს, პუასში და რამდენიმე საათით ან ნაევში ისხდნენ, ან წყლის ნაპირზე ყვავილებს ჰკრეფდნენ ხოლმე. ორთავეს გაგიჟებით უყვარდათ მდინარე სენას მოხრაკული თევზი, კურდღლის რაგუ, მეზღვაურთა მიერ შემზადებული თევზეული, სადმე დუქნის საბაასოში ჯდომა და მენავეთა შეძახილი. ჟორჟისთვის საამური იყო კლოტილდასთან ერთად უნაკლო დარში გარეუბნის ომნიბუსის იმპერიულზე ჯდომა, სამხიარულო სისულელის როშვა და პარიზის დასახიჩრებულ მიდამოებში გავლა, სადაც საძაგელი ბურჟუაზიული აგარაკები მრავლად იყო გაშენებული.

და როცა ასეთი გასეირნების შემდეგ საჭირო იყო ქ-ნ ვალტერთან სადილად დაბრუნებულიყო, მას თავისი ბებერი და მოუშორებელი საყვარელი სძულდა ხოლმე, რადგან სავსე იყო იმ მეორის მოგონებით, რომელსაც ეს-ესაა დაშორდა და რომელმაც წედან იქ, წყლის ნაპირას, ბალახებში მოზღვავებული ჟინი მოუკლა.

ბოლო დროს იმედი ჰქონდა, რომ პატრონის ცოლს თავიდან მოიშორებდა, რადგან მეტად მკაფიოდ და თითქმის ტლანქად ამცნო, თავს განებებო. მაგრამ დღეს რედაქციაში უცებ ხელახლა მიიღო დეპეშა, რომელიც ორი საათისთვის კონსტანტინოპოლის ქუჩაზე იბარებდა.

დეფურა მიდიოდა და დეპეშას კითხულობდა: „ძალიან მინდა შენი ნახვა დღესვე, ძალიან დიდი საქმისთვის. ორ საათზე კონსტანტინოპოლის ქუჩაზე მელოდებოდე. დიდ სამსახურს გაგიწევ. მარად შენი ერთგული ვირჟინი“.

მიდიოდა და ფიქრობდა: „კიდევ რა უნდა ჩემგან ამ ბებერ ჭოტს? სანაძლეოს დავდებ, რომ სათქმელი არაფერი აქვს. ხელახლა მოჰყვება, გაღმერთებო. მაინც უნდა მივიდე. რაღაც საჭირო საქმეს და დიდი სამსახურის გაწევაზე იწერება. იქნებ

მართალიც იყოს? ოთხ საათზე კი კლოტილდა უნდა მოვიდეს. სამ საათამდე უნდა მოვიშორო. დასწყევლოს ეშმაკმა, ერთმანეთს მაინც არ შეხედებოდნენ! რა საძაგლები არიან ეს ქალები!“ და გაიფიქრა, რომ მხოლოდ ერთადერთი ქალი — მისი ცოლი — არასოდეს არ ტანჯავდა მას. ის თავისთვის ცხოვრობდა და, როგორც ეტყობოდა, ძალიან უყვარდა ჟორჟი ისეთ დროს, რომელიც მისთვის ჰქონდა ხოლმე გადადებული, ნებას არავის არ აძლევდა, საცხოვრებელი საქმიანობის ურყევი წესრიგი დაერღვიათ.

ჟორჟი თავის საპაემნო ბინისკენ მიდიოდა ნელი ნაბიჯით და თავის თავს პატრონის ცოლის საწინააღმდეგოდ ამზადებდა. „თუ ტყუილა დამიძახა, დიდებულად დაუხვდება. კამბრონის ენა ჩემთან შედარებით თავაზიანობად მოეჩვენება. თავდაპირველად გამოუცხადებ, რომ იმის სახელში ფეხსაც აღარ შევდგამ“.

ბინაში შევიდა და ლოდინი დაუწყო. საყვარელიც თითქმის მაშინვე შემოვიდა და, დაინახა თუ არა, უთხრა:

— დეპეშა მიიღეთ? ძალიან კარგი.

დეურუამ პირი მოიღუშა:

— დიახ, მივიღე. რედაქციაში გადმომცეს, როცა პალატაში წასასვლელად ვემზადებოდი. კიდევ რა გინდა ჩემგან?

მან პირბადე აიხადა, რათა ეკოცნა, და შიშნაჭამ, მორჩილი ძაღლის იერით მიუახლოვდა, რომელსაც ხშირად სცემენ ხოლმე.

— რა მკაცრად მექცევი!.. რა მკვახედ მელაპარაკები! რა დაგიშავე? ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯები შენთვის.

ჟურნალისტმა წაიბურტყუნა:

— ისევ დაიწყო?

ის კი იდგა მის წინაშე და ღიმილს ან რაიმე ნიშანს ელოდებოდა, რათა მაშინვე გადახვეოდა. მერე დაბალი ხმით დაიწყო:

— მაშ რაღად დამდევი, თუკი აგრე მომექცეოდი? რატომ არ დამტოვე ისევე ბედნიერი და მშვიდი, როგორც უწინ ვიყავი? უკვე დაგავიწყდა, რას მეუბნებოდი ეკლესიაში? დაგავიწყდა, რომ ამ სახელში ძალით შემომიყვანე? ახლა კი ასე მელაპარაკები, ასე მიხედები! ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ ვიტანჯები!

ჟორჟმა იატაკს ფეხი დაჰკრა და წყრომით მიუგო:

— გეყო, გაჩუმდი! კმარა-მეთქი! ერთი წუთითაც ვერ შეგიწყვეტია ეგ სიმღერა. გეგონება, მაშინ ანგელოზით უმანკო, ცხრაშეტი წლის გამოუცდელი იყავი. არა, ჩემო კარგო, სიმართლეს ნუ დავივიწყებთ. უბიწო ქალის ცთუნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. შენ რომ დამნებდი, საკმაოდ მწიფე ხნისა ბრძანდებოდი. დიდად გმადლობ. უეტველად მადლიერი ვარ შენი, მაგრამ ჩემი თავი მოვალედ არ მიმანია, კუბომდე შენს კაბაზე ვიყო ჩამოკიდებული. შენ ქმარი გყავს, მე კი — ცოლი. თავისუფალი არც შენ ხარ და არც მე. ცოტაოდენი ვიცუდლუბტეთ, ეს ამბავი არავინაც არ იცის, ახლა კი მორჩა და გათავდა!

დედაკაცმა უპასუხა:

— ოჰ, რა მკაცრი ადამიანი ყოფილხარ! რა ტლანქად და უპატიოსნოდ ლაპარაკობ! მართალია, მაშინ გასათხოვარი არ ვყოფილვარ, სამაგიეროდ, არც ვინმე მყვარებია და არც ოდესმე შემიცოდი...

ჟორჟმა გააწყვეტინა:

— ეგ საბუთი ოცჯერ მაინც გითქვამს და მეც ძალიან კარგად დავიხსომე. მაგრამ შენ ორი შვილი გყავს... ამდენად, უმანკოება მე არ ამირთმევია შენთვის.

ქმა ვალტერმა უკან დაიხია:

— ოჰ, ჟორჟ, ეგ სიმდაბლეა!

ორივე ხელი მკერდზე იტაცა. ქვითინით იხრჩობოდა.

დეურუამ რომ დაინახა, საცაა ცრემლი უნდა დაღვრილიყო, ბუხრის თავიდან ქუდი აიღო და, —

— მაშ, ტირილს აპირებ? თუ აგრეა, მშვიდობით იყავი. ამ კომედის სანახავად დამიძახე?

დედაკაცმა ნაბიჯი გადადგა, გზა გადაუღობა, ჯიბიდან სწრაფად ამოიღო ხელსახოცი და უცებ შეიშრო ცრემლი. თავისთავს შეებრძოლა და, თუმცა ქვითინით ბორძიკობდა, მაინც ხმას სიმტკიცე მისცა და უთხრა:

— არა... იმისთვის მოვედი, რომ... რომ ახალი ამბავი მეთქვა... პოლიტიკური ამბავი... რომ შენთვის ორმოცდაათათასი ფრანკი მომეგებიანებინა... ან უფრო მეტიც... თუ გინდა...

მოულოდნელად მორბილებულმა ჟორჟმა ჰკითხა:

— რა ამბავი მოხდა? რის თქმას აპირებ?

— გუშინ ჩემი ქმარი და ლაროში ლაპარაკობდნენ. უნებურად რამდენიმე სიტყვას მოვკარი ყური, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მაინცდამაინც არ მერიდებოდნენ. ვალტერი ურჩევდა მინისტრს, საიდუმლო შენთვის არ გაემხილა, მთელ ქვეყანას მოედებო.

დეჟურუამ ქუდი სკამზე დადო და გულდასმით მიუგდო ყური.

— გამაგებინე, რა მოხდა?

— მაროკოს დაპყრობას აპირებენ.

— კარგი, შენ ჭირიმე, რა დასაჯერებელია! სამხარი ლაროშთან ერთად ვჭამე და მან თითქმის მიკარნახა კაბინეტის ზრახვანი.

— არა, გენაცვა, გვერდი ავიქციეს, რადგან ეშინიათ, კომბინაცია არავინ გაგვიგოსო.

— დაჯექი, — უთხრა ჟორჟმა.

თვითონ სავარძელში ჩაჯდა, იმან კი დაბალი სკამი მოიდგა და ახალგაზრდა კაცის ფეხებთან მოიკალათა. მერე ლაქუცით განაგრძო:

— რადგან ამჟამად მუდამ შენზე ვფიქრობ, ამიტომ ყურს ვუბდებ ყველაფერს, რასაც ირგვლივ ლაპარაკობენ ხოლმე.

და აუხსნა, თუ როგორ მიხვდა, რომ ერთი ხანია საიდუმლოდ რაღაცას ამზადებდნენ. თუ როგორ იყენებდნენ დეჟურუას და ამავე დროს მისი ჩარევისაც ეშინოდათ.

— ხომ იცი, — ეუბნებოდა ჟორჟს საყვარელი, — როცა ვინმე გიყვარს, ეშმაკობასაც ასერხებ.

ბოლოს, გუშინ, ყველაფერი გაიგო. უზარმაზარ საქმეს, საიდუმლო საქმეს ხლართავდნენ. მთხრობელი თავის სიმარჯვით ბედნიერი იყო და ახლა უკვე იღიმებოდა. ისიც გაიტაცა ამ საქმემ, ეტყობოდა, ფინანსისტის ცოლი რომ ლაპარაკობდა, რომელიც შეჩვეული იყო საბირჟო ხრიკებს, ფასიანი ქაღალდების რყევას, მათს ციებცხელებიან აფრენას და დაქვეითებას. მან ისიც იცოდა, რომ ორი საათის სპეკულაციაც საკმარისი იყო, რათა გაეკოტრებინათ მრავალი ათასი ბურჟუა და რანტიე, გაეკოტრებინათ ყველა, ვინც თავისი დანაზოგი აქციებში ჩაჰყარა და მიენდო ისეთს საქმეს, რომელსაც თავდებად ედგა სახელი პატივცემული, დარბაისელი ადამიანებისა, ბანკირებისა და პოლიტიკური მოღვაწეებისა.

გამომცემლის ცოლი იმეორებდა:

— ძალიან დიდი საქმე დაიწყო, ძალიან. ყველაფერს სათავეში ვალტერი უდგას, მას კი ძალიან კარგად ესმის ასეთი საქმე. დმერთმანი, დიდებული რამ არის.

ამ წინასიტყვაობამ დეჟურუას მოთმინება გამოუღია:

— მალე თქვი, რაღა!

— მაშ ასე. ტანჟერში ექსპედიციის გაგზავნა იმ დღესვე გადაწყვიტეს, როცა ლაროშმა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი მიიღო, და თანდათან შეისყიდეს მაროკოს სესხის ქაღალდები, რომელიც სამოცდახუთ ფრანკამდე დაეცა. მეტად ხელმარჯვედ ყიდულობდნენ, ვიღაც უცნობი ხალხის ხელით იძენდნენ, რომელნიც არავის საეჭვოდ არ მიაჩნდა. როტშილდები გაოცდნენ იმის გამო, რომ მაროკოს აქციებს ასე უხვად მოითხოვდნენ, მაგრამ ისინიც კი მოატყუეს. ამ ბანკირებს პასუხად აგენტების სია წარუდგინეს. რადგან ის ხალხი უკვე სახელგატეხილი საბირჟო წვრილფეხობა იყო, ეს დიდი ბანკიც კი დამშვიდდა. ახლა ექსპედიციას გაგზავნიან, და როცა ჩვენი ჯარი ჩავა, საფრანგეთის მთავრობა მაროკოს ვალს მაშინვე თავდებად დაუდგება. ჩვენი მეგობრები ამ საქმეზე ორმოცდაათ-სამოც მილიონს მოიგებენ. ახლა მიხვდი? მაშ იმასაც გაიგებ, როგორ ეშინიათ მათ ყველასი და ამ ამბის უბრალო განუხუნებასაც კი როგორ ერიდებიან.

თავი ახალგაზრდა კაცის ჟილეტს მიაყრდნო და ხელები მუხლებზე დაუწყო. მიეკრო, მიელამუნა, გრძნობდა, რომ იგი ახლა ჟორჟისთვის საჭირო იყო, და ამიტომ თუნდაც ერთი მცირე ღიმილისთვის, ალერსისთვის ყველაფერს ჩაიდენდა, რასაც კი დეჟურუა მოსთხოვდა.

— მტკიცედ ხარ დარწმუნებული? — ჰკითხა ჟურნალისტმა.

მან შეჯერებული ხმით მიუგო:

— რა თქმა უნდა, ძალიან მტკიცედ.

— დიახ, ძალიან მოხერხებულად მოუწყვიათ, — შენიშნა ჟორჟმა. — იმ ქვემძრომს კი, ლაროშს, სამაგიეროს გადაუხდი. ოოჰ, სალახანავ ახლა კი მიფრთხილდეს, მომერიდოს! ეს მინისტრი ოდესმე ხელში ჩამივარდება და მისგან ბევრი აღარაფერი დარჩება. — შემდეგ ისევ ჩაფიქრდა და თქვა: — ეს ამბავი მაინც უნდა გამოვიყენო.

— შენ ჯერ კიდევ შეგიძლია ეს ქაღალდები შეიძინო, — მიუგო მან. — მათი ფასი სამოცდათორმეტზე შეჩერდა.

დედურუამ უპასუხა:

— კეთილი, მაგრამ თავისუფალი ფული არა მაქვს.

საყვარელმა დადადით სავსე თვალები შეანათა:

— მე უკვე ვიფიქრე ამაზე, ჩემო კატუნო, შენ რომ ჰკვიანი ბიჭი იყო, ოდნავ მაინც რომ გიყვარდე, არ დამიშლიდი შენთვის ცოტა ფული მესესხებინა.

ჟორჟმა მკაცრად, თითქმის მკვახედ მიუგო:

— არასოდეს, მაგაზე ლაპარაკიც არ შეიძლება!

ქმა ვალტერმა დაბალი ხმით დაუწყო მუდარა:

— ყური მიგდე. შეიძლება ისეც მოხერხდეს, რომ ფულის სესხად აღებაც არ დაგჭირდეს. მეც მინდოდა საკუთარი ფული გამეჩინა და ათი ათასი ფრანკის აქციები მეყიდა. ახლა ოცი ათასისას ვიყიდი, მაგრამ იმ პირობით, რომ შენ მონახევრედ მეყოლები. ხომ გესმის, ვალტერს ამ ფულს არ გადაუხდი. ჯერჯერობით ერთ ფრანკსაც არ მივცემთ. თუ ეს ამბავი გამართლდა, შენ სამოცდაათ ათასს მოიგებ, თუ არა და — ათი ათასი ფრანკი გემართება ჩემი, როცა მოისურვებ, მაშინ გადამიხდი.

დედურუა ისევ უარზე იდგა:

— არა, არც ეგ კომბინაცია მომწონს.

შემდეგ გამომცემლის ცოლი საყვარლის დაჯერებას შეუდგა. არწმუნებდა, რომ ის, ჟორჟი, პატიოსანი სიტყვით იკისრებდა ათი ათასი ფრანკის გადახდას, ამ თანხას ალაღბედზე აგდებდა, მაშასადამე, ვალად თავის საყვარლისაგან არც არაფერს იღებდა, რადგან ფულს ვალტერის ბანკი იხდიდა.

გარდა ამისა, ისიც გაახსენდა, რომ სწორედ მან გადაიტანა გაზეთში ეს პოლიტიკური ლაშქრობა, რომელმაც შესაძლებელ ჰყო ამ საქმის მოწყობა, და გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ ნაყოფით არ ესარგებლა. ყოყმანი რომ შეამჩნია, ქმა ვალტერმა განაგრძო:

— აბა მოიფიქრე, ამ ფულს სესხად ნამდვილად ვალტერის ბანკი გაძლევს. შენ მას ისეთი სამსახური გაუწიე, რომ იგი გაცილებით უფრო ძვირად უნდა დაფასებულყო.

— მაშ კარგი! — დაეთანხმა დედურუა. — შენი მონახევრე ვარ. თუ წავაგეთ, ათი ათას ფრანკს გიხდი.

ქნი ვალტერი გახარებული წამოდგა, ორივე ხელი თავზე მოხვია და ხარბად დაუწყო კოცნა.

ჟორჟი ჯერ არ ეურჩებოდა, შემდეგ კი, როცა საყვარელი გათამამდა, როცა აღერსი დააყარა და ხრჩობა დაუწყო, გაახსენდა, რომ საცაა მეორეც უნდა მოსულიყო, და ამ დედაკაცს რომ აჰყოლოდა, დროს დაჰკარგავდა, ბებრუცუნას მკლავებში დასტოვებდა იმ ხოშს, რომელიც სჯობდა ისევ ახალგაზრდასთვის შეენახა.

ნელა მოიშორა და უთხრა:

— კმარა, გონებას ნუ დაკარგავ.

მან სასოწარკვეთილი თვალი შეავლო:

— ჟორჟ, ნუთუ კოცნის უფლებაც აღარ მაქვს?

— არა, დღეს არა, — მიუგო მან. — ოდნავ თავი მტკივა და აღერსის გამო

უარესად ვხდები ხოლმე.

საყვარელი ისევ მორჩილებით მიუჯდა ფეხებთან და ჰკითხა:

— ხვალ სადილად მოხვალ ჩვენსას? დიდად მასიამოვნებდი.

ჟორჟი შეყოყმანდა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა:

— ჰო, რა თქმა უნდა, მოვალ.

— გმადლობ, ჩემო ძვირფასო.

და თავის ლოყას მის მკერდზე თანასწორი მოძრაობით უხახუნებდა. ერთი გრძელი ბეწვი ჟილეტში გაიხლართა. ქმა ვალტერმა შენიშნა და თავში გიჟურმა აზრმა გაუფლვა, ერთმა იმ ცრუმორწმუნე აზრთაგანმა, რომელსაც ქალის გონება ხშირად ემორჩილება ხოლმე. ეს ბეწვი ნელ-ნელა ჟილეტის დილს შემოახვია. შემდეგ მეორე დილსაც მეორე ბეწვი მოახვია და არც მესამეს დააკლო — თითო დილს თითო ბეწვი მიუზღო.

როცა ჟორჟი წამოიწევს, ამ თმებს ამოჰგლეჯს. მას ეტკინება — რა ბედნიერი იქნება! სამაგიეროდ, საყვარელს უნებურად რაღაცას გაატანს. მას არც კი ეცოდინება, მაგრამ ჟორჟი საყვარლის რამენიმე ბეწვს წაიღებს, რომელიც არასოდეს არ უთხოვნია მისთვის. ეს იქნება ჯადო, რომელიც მას შეჰკრავს. ფარული ჯადო, შელოცვა, ნამდვილი თილისმა, რომელიც საყვარელს მოხიბლავს. ამის შემდეგ ჟორჟი უნებურად მასზე იფიქრებს ხოლმე, სიზმარშიც ნახავს და ხვალვე წინანდელზე მეტად შეიყვარებს.

უცებ დღე-რუამ თქვა:

— დროა, უნდა წავიდე, რადგან სხდომის დასასრულს პალატაში მელოდებიან.

ქმა ვალტერმა ამოიხრა:

— უკვე? — და მორჩილად დაუმატა: — წადი, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ხვალ სადილად მოდი.

და თავი სწრაფად გაიქნია. მწვავე ტკივილი იგრძნო, თითქო კანში ქინძისთავი უჩხვლიტესო. გული აუფანცქალდა, გაეხარდა, რომ ეს ტკივილი მისგან იგრძნო, და უთხრა:

— მშვიდობით.

ჟორჟმა ქნი ვალტერი სიბრაღულის დიმილით ჩაიკრა მკერდში და თვალებში ცივად აკოცა. ხოლო იმან ამ მიკარებისაგან გონება დაკარგა და ერთხელ კიდევ ჩასწურწულა: „უკვე?“ ხოლო თვალებით მეორე ოთახზე ანიშნა, რომელიც იმ დღეს ჩაკეტილი დარჩა.

ჟორჟმა მოიშორა და აჩქარებით უთხრა:

— უნდა აჩქარდე, თორემ დამიგვიანდება.

მაშინ ქმა ვალტერმა ტუჩები გაუშვირა, ჟორჟი ოდნავ მიეკარა. კინაღამ ქოლგა დააიწყდა. დღე-რუამ მიაწოდა და ააჩქარა:

— ჩქარა, ჩქარა, მეოთხე საათია.

ქნი ვალტერი გავიდა. ჟორჟიც გაჰყვა.

— ხვალ, შვიდ საათზე? — განმეორებით ჰკითხა ქნმა ვალტერმა.

— ხვალ, შვიდ საათზე.

და ერთმანეთს დაშორდნენ. ქნი ვალტერი მარჯვნივ წავიდა, დღე-რუამ მარცხნივ გაუხვია. გარეუბნის ბულვარზე რომ მივიდა, მაზერბის ბულვარზე ჩაუხვია.

საკონდიტროს რომ გაუარა, ბროლის ლარნაკში დაშაქრული წაბლი დაინახა და გაიფიქრა: „ერთ კოლოფს კლოტილდას წავუღებ“. ტკბილეული იყიდა, რადგან დე მარელს გაგიჟებით უყვარდა. ოთხზე ისევ დაბრუნდა და ახალგაზრდა საყვარლის მოლოდინს შეუდგა.

მან ოდნავ დაიგვიანა, რადგან ქმარი ერთი კვირით მოუვიდა, და ჰკითხა:

— შეგიძლია ხვალ სადილად მოხვიდე? ძალიან გაეხარდება.

— ვერ მოვალ. ხვალ პატრონთან ვსადილობ. აუარებელი პოლიტიკური და ფინანსური საქმე გვაქვს.

კლოტილდამ შლიაპა მოიხადა და კორსაჟის გახსნას შეუდგა. რომელიც გულზე უჭერდა.

ჟორჟმა ბუხრის თავზე მიუთითა:

— აგერ, დაშაქრული წაბლი მოგიტანე.

კლოტილდამ ტაში დაუკრა:

— რა კარგია! რა კეთილი ხარ!

ერთი შეჭამა და განუცხადა:

— მშვენიერია. ვგრძნობ, ერთიც არ გადამიჩნება. — შემდეგ საყვარელს გადახვდა და ხოშნარვეი სიხარულით დაუმატა: შენ ყველა ჩემს ბიწიერ ჩვეულებას აქეზებს ხოლმე.

წაბლს დინჯად ჭამდა. თან ხშირად იხედებოდა პარკში, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, შიგ კიდევ იყო დარჩენილი ტკბილეული თუ არა.

— აბა, სავარძელში ჩამოჯექი, — უთხრა ჟორჟს, — მეც შენს ფეხებთან დაფეხდები და წაბლს გავათავებ. აგრე ჯდომა მომწონს.

დიდურუამ გაიღიმა, სავარძელში ჩაჯდა და ფეხებთან მოისვა იგი ისე, როგორც ეს-ეს იყო ვჯდა ქ-ნი ვალტერი. კლოტილდამ პირისახე აუშვირა და უთხრა:

— იცი რა, გენაცვა, წუხელ სიზმარში გნახე. თითქოს ორივენი აქლემზე ვისხედით და სადღაც შორს სამოგზაუროდ მივდიოდით. აქლემს ორი კუზი ჰქონდა. თითო კუზზე ვისხედით და უდაბნოში მივდიოდით. ქალაქში შეხვეული ბუტერბროდები და ერთი ბოთლი ღვინო გვქონდა. კუზებზე ვისხედით და ვსაუზმობდით. მე მომწყინდა, რადგან შორს იჯექი და ვერ გკოცნიდი. მე ჩამოსვლა მომიინდა.

ჟორჟმა მიუგო:

— მეც მინდა ჩამოვიდე.

და გაიცინა. ეს ამბავი ართობდა მას. ჟორჟი თავის საყვარელს მრავალ სისულელეს ალაპარაკებდა და ყოველნაირ სამასხროს აყბედებდა, რაც კი შეეყარებულეს ენაზე მოადგებათ ხოლმე. ჟორჟს დე მარელის ასეთი თამაში ძალიან მოსწონდა. ხოლო ქ-ნი ვალტერის ასეთივე სიანცე მას უზომოდ აბრაზებდა.

კლოტილდაც წამდაუწუმ ეუბნებოდა: „ჩემო ძვირფასო“, „ჩემო ბიჭიკო“, „ჩემო კატუნი“, და ეს სიტყვები ჟორჟს ნაზ აღერსად მიაჩნდა, იმ მეორეს ნათქვამი კი მხოლოდ აანჩხლებდა, აკაპასებდა. სასიყვარულო სიტყვარი მუდამ უცვლელია. საქმე მხოლოდ ის არის, ვისი ბაგე გამოსთქვამს ხოლმე ამ სიტყვებს.

ეს ცუდლუტობა მას ძალიან ამხიარულებდა, მაგრამ მოსაგებ სამოცდაათ ათასს მაინც ვერ ივიწყებდა. უცებ მეგობარს თითი კეფაზე ჩაუკაკუნა და უთხრა:

— ყური მიგდე, კატუნი. ერთი რამ უნდა დაგავალო ქმართან. ჩემ მაგივრად უთხარი, რომ ხვალვე იყიდოს ათი ათასი ფრანკის მაროკოს აქციები. ახლა სამოცდაათორმეტი ღირს, მაგრამ პირობას ვაძლევ, რომ სამიოდე თვის შემდეგ სამოცოთხმოც ათასს მოიგებს. გადაეცი, რომ ეს საქმე არავის გაუმჟღავნოს, და ჩემ მხრივ დაუმატე, რომ ტანჟერში ექსპედიციის გაგზავნა უკვე გადაწყვეტილია, მაროკოს სესხს მთავრობა დაუდგება თავდებად. მაგრამ არსად წამოაყრანტალო, იცოდე, სახელმწიფოებრივი საიდუმლოება გაგანდე.

კლოტილდა გულდასმით უსმენდა. მერე ჩუმად უთხრა:

— გმადლობთ, ჟორჟ. დღეს საღამოს გადავცემ ჩემს ქმარს. იმედია ანაღ იყავი, არავისაც არ ეტყვის. ძალიან საიმედო კაცია. შიში ნუ გექნება.

წაბლი სულ შეჭამა, პარკი დაჭმუჭნა და ბუხარში შეაგდო. შემდეგ თქვა:

— აბა, ახლა კი დავწვეთ.

და როგორც იჯდა, ისევე დაუწყო საყვარელს ჟილეტის გახსნა.

უცებ შედგა. ჟილეტზე მოდებული გრძელი ბეწვი ორი თითით გამოსწია და სიცილი ასტეხა:

— უყურე, მადლენას თმა წამოვიღია. რა ერთგული ქმარი ხარ!

შემდეგ სახე მოედრუბლა. ნაპოვნ თმას დიდხანს სინჯავდა ხელისგულზე, მერე წაიწურჩულა:

— არა, მადლენასი არ არის. მუქია.

ჟორჟმა გაიღიმა:

— ალბათ, ჩვენი მოახლის იქნება.

კლოტილდა კი პოლიციელის გულმოდგინებით შეუდგა ჟილეტის დათვალიერებას და ერთი თმა მეორე ღილზედაც იპოვა. შემდეგ მესამესაც მოჰკრა თვალი და, გაფითრებულმა, ოდნავი შეჟრჟოლებით წამოიძახა:

— ვაიმე! შენ ვიღაც დედაკაცთან გეძინა. იმან თავისი თმა ყველა ღილზე დაგახვია.

განცვიფრებულმა დიდურუამ მხოლოდ წაილულულა:

— არა, არა-მეთქი. ხომ არ გაგიჟდი!

უცებ გაახსენდა, მიხვდა. ჯერ შერცხვა, მერე ღიმილით იუარა. სულაც არ ჯავრობდა იმის გამო, რომ მისი საყვარელი ეჭვიანობდა.

ხოლო კლოტილდა ისევ ეძებდა, ახალ-ახალს პოულობდა, ხელის ერთი მოქნევით გამოჰქონდა და ხალიჩაზე ყრიდა. ყველაფერს ქალური აღლოთი მიხვდა, გაწყრა, გაგულისდა, მზად იყო ატირებულყოფილ, და ძლივსლა გამოთქვა:

— იმ ქალს უყვარხარ... მას უნდოდა შენთვის რაიმე საკუთარი გამოცემებისა და აი... ოჰ, მოღალატე!

უცებ ნერვული სიხარულის კივილით შესძახა:

— აჰა, ბებერი ყოფილა!.. აი ჭადარა ბეწვი! მაშ ახლა ბებერი დედაკაცებიც მოგწონს? ფულს გაძლევენ, განა! თქვი, ხომ გაძლევენ?.. მაშ ბებერთა ჯერიც მოვიდა?! მაშ მე საჭირო აღარ ვყოფილვარ... იმ ბებრუცანასთან იცხოვრე...

წამოხტა, სკამზე მიგდებულ კორსაჟს მივარდა და სწრაფად შეიკრა.

ჟორჟი მის შეჩერებას ლამობდა და მორცხვად ლუღლუღებდა:

— არა-მეთქი... კლო, სისულელეა... არც კი ვიცი, საიდან გაჩნდა... ყური მიგდე... გაათავე... გეყოფა. გაათავე-მეთქი.

ის კი თავისას იმეორებდა:

— შენ ბებრუცანასთან იცხოვრე... აეკიდე... იმის თმის ბეჭედი შეუკვეთე... იმის ჭადარა თმის ბეჭედი... შენგან ესეც მოსალოდნელია.

სწრაფი და მძაფრი მიხრა-მოხრით ჩაიკვა, დაივარცხნა, პირბადე აიხვია და, როცა დეურუამ მისი შეკავება სცადა, ერთი ძლიერი სილა გააწნა. გაბრუებული ჟორჟი შედგა, ხოლო ქმა დე მარელმა კარი გამოაღო და გავარდა.

მარტო რომ დარჩა, იმ ბებრუცანა ქნ ვალტერზე მძვინვარე ბრაზი მოუვიდა. აჩვენებს იმ ჯოჯოს, აჩვენებს და სამაგიეროს მიუზღავს!

შეწითლებული ღოყა მოიბანა და გამოვიდა, თანაც შურისძიების ხერხს ეძებდა. ახლა კი აღარ აპატიებს. არა, აღარ აპატიებს!

ბულვარამდე მივიდა და ხეტიალის დროს საათების მაღაზიის წინ შედგა, რათა ქრონომეტრი გაესინჯა, დიდი ხანია უნდოდა ეყიდა. ათას რვაას ფრანკს აფასებდნენ.

უცბად ერთმა აზრმა გაჰკრა და გული აუფანცქალდა: „ის სამოცდაათი ათასი რომ მოვიგო, ამ საათს ვიყიდი“. და ოცნებას გაჰყვა. რას იზამდა, ამოდენა ფული რომ მოეგო.

დეურუას დეპუტატად აირჩევენ, ამ ქრონომეტრს იყიდის, მერე ბირჟაზე ბედს გამოცდის და შემდეგ... მერე კი...

რედაქციაში წასვლა აღარ მოუნდა, რადგან ჯერ მადლენასთან მოლაპარაკებას აპირებდა, მერე ვალტერი უნდა ენახა და წერილსაც შემდეგ დაწერდა. იგი შინისკენ გაემართა.

უკვე დიუოს ქუჩაზე იყო გასული, რომ უცებ შედგა. გრაფ დე ვოდრეკთან შევლა დაავიწყდა, რომელიც შოსე დანტენის ქუჩაზე ცხოვრობდა. უკანვე გამობრუნდა, თანაც ათას სამურ ოცნებას მისცა თავი და მომავალ სიმდიდრეს, ლაროშის არარაობას და საძაგელ ბებრუცანა ქნ ვალტერს გაჰყვა. კლოტილდას რისხვა არ აშინებდა: იცოდა, რომ მალე აპატიებდა.

გრაფ დე ვოდრეკის მეკარეს ჰკითხა:

— ბატონი დე ვოდრეკი როგორ ბრძანდება? ამ დღეებში გავიგე, ავად ყოფილა. მან მიუგო:

— ძალიან ცუდად გახლავთ, ბატონო. ალბათ, დილამდე ვეღარ გაატანს: ქარი თურმე გულში ეცა.

დეურუა დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. მაშ, ვოდრეკი კვდება?! მრავალმა მღელვარებამ და ბუნდოვანმა აზრმა გაურბინა, ისეთმა აზრმა, რომ მან მათი აღიარებაც კი ვერ გაბედა. მხოლოდ წაიბურტყუნა: „გმადლობთ... დავბრუნდები“, და თვითონაც აღარ ესმოდა, რას ამბობდა.

შემდეგ პირველივე ეტლზე ახტა და შინ წავიდა. ცოლი შინ დაუხვდა. ხვნეშით შევარდა მის ოთახში და უმალვე შეატყობინა:

— გაიგე? ვოდრეკი კვდება.

მადლენა იჯდა და წერილს კითხულობდა. ქმარს ახედა და სამჯერ ზედიზედ ჰკითხა:

— რაო? რა თქვი... რა თქვი?... რა თქვი-მეთქი?

— გეუბნები, ვოდრეკი კვდება-მეთქი. ნიკრისის ქარი თურმე გულში სცემია. — მერე დაუმატა: — რას აპირებ?

მადლენა წამოდგა. თვალებს უაზროდ აცეცებდა. სახეზე ნერვულმა კანკალმა გადაურბინა. უცებ ხელები თვალებზე აიფარა და მწარედ ატირდა. დიდხანს იდგა და კვითინებდა, თან ცახცახებდა და მწუხარებით იტანჯებოდა.

მერე უცებ ჩაიკლა დარდი, ცრემლი შეიშრო და თქვა:

— მე წავალ... იქ წავალ... ჩემთვის ნუ შეწუხდები... არ ვიცი, რომელ საათზე დაებრუნდები... ნუ დამელოდები...

ქმარმა მიუგო:

— კარგი, წადი.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და მადლენა ისე ჩქარა გავიდა, რომ ხელთათმანების ჩაცმაც კი დაავიწყდა.

ჟორჟმა მარტო ისადილა. შემდეგ წერილს ჩაუჯდა და ისე დაწერა, როგორც მინისტრს სურდა: მკითხველს გარკვევით აგრძნობინა, რომ ექსპედიცია არ შედგებოდა. მერე ის წერილი რედაქციაში წაიღო, პატრონს რამდენიმე წუთს ელაპარაკა და შინ დაბრუნდა, არხეინად აბოლებდა პაპიროსს და თვითონაც არ იცოდა, ასე გულმშვიდად რად იყო.

ცოლი ჯერ არ დაბრუნებულყო. დღე-რუამ გაიხადა და მიიძინა. მადლენა შუადამეს დაბრუნდა; ჟორჟს უცბად გაეღვიძა, ლოგინში წამოჯდა და იკითხა:

— ამბავი?

თავისი ცოლი არასოდეს ასეთი ფერწასული და მღელვარე არ ენახა. მადლენამ წაიჩურჩულა:

— მოკვდა.

— მართლა? და... არაფერი გითხრა?

— არაფერი. როცა მივედი, გონზე აღარ იყო.

ჟორჟი ჩაფიქრდა. ენაზე ისეთი კითხვები უტრიალებდა, რომ თქმა ვერ გაუბედა. მადლენამ სწრაფად გაიხადა და გვერდით მიუწვა. ქმარმა განაგრძო:

— ჰყავდა ვინმე ნათესავი სასიკვდილო სარეცელთან?

— დისწულის გარდა არავინ.

— ჰოო?! ის დისწული ხშირი სტუმარი იყო ხოლმე?

— არასოდეს. ათი წელიწადია ერთმანეთი არ უნახავთ.

— სხვა ნათესავებიც ჰყავდა?

— არა... არა მგონია.

— მაშ... ყველაფერი იმ დისწულს დარჩება?

— არ ვიცი.

— ვოდრეკი ძალიან მდიდარი იყო?

— ძალიან.

— არ იცი, რამდენი ექნებოდა დაახლოებით?

— არა, ნამდვილად არ ვიცი. ერთი ან ორი მილიონი ექნებოდა.

ქმარმა მეტი აღარაფერი თქვა. მადლენამ სანთელი ჩააქრო. სიბნელეში ისევ ერთმანეთის გვერდით იწვნენ — უძილონი, მღუმარენი და ჩაფიქრებულები.

ჟორჟს აღარ ეძინებოდა. ქ-ნი ვალტერის მიერ შეპირებული სამოცდაათი ათასი ფრანკი ახლა ჯიბის ფულადლა მიაჩნდა. უცებ მოეჩვენა, თითქოს მადლენა ტიროდა. რათა დარწმუნებულიყო, ჰკითხა:

— გძინავს?

— არა.

ხმაში ცრემლი და თრთოლა ისმოდა. ჟორჟმა განაგრძო:

— მართლა, კინაღამ დამავიწყდა: შენმა მინისტრმა მოგვატყუა.

— როგორ?

ქმარმა ვალტერ-ლაროშის კომბინაცია დაწვრილებით უამბო. როცა გაათავა, ცოლმა ჰკითხა:

— ვისგან გაიგე?

მან უპასუხა:

— ნება მიბოძე, არ გიპასუხო. შენ შენი წყაროდან მოგდის ცნობები და მე არაფერს მეუბნები. მეც ჩემი წყარო მაქვს და ჩემთვისვე შევინახავ. ყოველ შემთხვევაში, მე პასუხს ვაგებ, რომ ჩემი წყარო ნამდვილია.

— ჰო, შეიძლება... მეც ეჭვი ავიღე, რომ უჩვენოდ რაღაც კეთდებოდა, — უთხრა ცოლმა ჩუმი ხმით.

ჟორჟს ძილი არ ეკარებოდა. ცოლისკენ მიიწია და ჩუმად ყურში აკოცა. მადლენამ უმაღლე წაჰკრა მუჯღუგუნის.

— თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე! სისულელის გუნებაზე არა ვარ.

— ჟორჟი არხეინად გადაბრუნდა კედლისკენ, თვალები დახუჭა და მალე ჩაიძინა.

თავი მეექვსე

ეკლესია შავით იყო შემოსილი, შესავალის თავზე აღმართული გვირგვინიანი ფარი აუწყებდა ხალხს, რომ ვიღაც დიდებულს მარხავდნენ.

წესის აგება დასრულდა და ხალხმა ნელა დაიწყო დაშლა. ყველა კუბოსთან და გრაფ დე ვოდრეკის დისწულთან მიდიოდა, რომელიც მოსამძიმრებს ხელს ართმევდა და სალამზე პასუხს აძლევდა.

ჟორჟ დეჟურა და მისი ცოლიც გამოვიდნენ და შინისაკენ წამოვიდნენ. ორივე თავის ფიქრში იყო გართული და დუმდა. ბოლოს, ჟორჟმა თითქო თავის თავს უთხრა:

— დემეტრისი, საკვირველია!

მადლენამ ჰკითხა:

— რა არის საკვირველი, მეგობარო?

— რომ ვოდრეკმა არაფერი დაგვიტოვა.

მადლენა უცებ ისე გაწითლდა, თითქოს ყელიდან შუბლამდე ვარდისფერი პირბადე ააფარეს და პირისახის თეთრი კანიც შეუღებესო.

— რად უნდა დაეტოვებინა ჩვენთვის? — იკითხა. — არავითარი საამისო საბუთი არა ჰქონდა. — მერე ცოტა ხანს იყუნა და განაგრძო: — შეიძლება რომელიმე ნოტარიუსთან ანდერძი ინახებოდეს. ჯერ არაფერი ვიცი.

ჟორჟი ჩაფიქრდა. შემდეგ დაბალი ხმით დაიწყო:

— დიახ, შეუძლებელია, არ დაეტოვებინა, რადგან განსვენებული, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი საუკეთესო, ჩვენი საერთო მეგობარი იყო, კვირაში ორჯერ სადილობდა ჩვენთან და როცა მოისურვებდა, მოდიოდა, ისე მოდიოდა, როგორც საკუთარ ოჯახში. შენ მამასავით უყვარდი. მას ოჯახი არა ჰყავდა, არც შვილები, ძმები ან დები, არავინ, გარდა შორეული დისწულისა. დიახ, ანდერძი უნდა არსებობდეს. მე ბევრი არაფერი მინდა. მცირეოდენი საკმარისი იქნება. იგი გვიჩვენებდა, რომ ის კაცი ჩვენზე ფიქრობდა, რომ ვუყვარდით და მადლობელი იყო ჩვენი ზრუნვისათვის. რაც უნდა იყოს, ჩვენ მეგობრობის მცირე ნიშანი მაინც დავიმსახურეთ.

ჩაფიქრებულმა მადლენამ გულგრილად უპასუხა:

— შეიძლება მართლა რაიმე ანდერძი არსებობდეს.

შინ რომ შედიოდნენ, მსახურმა მადლენას წერილი მიაწოდა. მან გახსნა და შემდეგ ქმარს გადასცა.

ნოტარიუსის, მეტრ ლამანერის კანტორა.

ვოჟის ქუჩა, 17

„მოწყალეო ხელმწიფე!“

პატივისცემით გთხოვთ სამშაბათს, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ორიდან ოთხ საათამდე ჩემს კანტორაში მობრძანდეთ ერთი საქმის გამო, რომელიც თქვენ შეგეხებათ.

მიიღეთ და სხ.

„ლამანერი“.

ახლა ჟორჟი გაწითლდა:

— ალბათ, ანდერძის გამო გიბარებს. ერთი რამ მეუცხოება: მე კი არ მიბარებს, ოჯახის კანონიერ მეთაურს, არამედ შენ.

ქალმა ჯერ არაფერი უპასუხა. ცოტა მოიფიქრა და შემდეგ მიუგო:

— თუ გინდა, ახლავე წავიდეთ.

— კეთილი. წავიდეთ.

საუზმე ჭამეს და ნოტარიუსისკენ გაემართნენ. ლამანერის კანტორაში რომ შევიდნენ, უფროსი კლერკი ცხადი მოწიწებით წამოდგა და პატრონის კაბინეტში შეაცილა.

ნოტარიუსი პატარა და მრგვალი კაცი იყო. თავი დიდ ბურთს მიუგავდა, რომელიც კიდევ უფრო დიდ ბურთზე იყო დამაგრებული, ხოლო იგი იმდენად მოკლე და პატარა ფეხებზე იდგა, რომ ისინიც ოდნავ ჰგავდნენ ბურთებს.

შემოსულებს თავი დაუკრა, სავარძელზე მიუთითა და მადლენას მიმართა:

— ქალბატონო, მე იმისთვის მოგიწვიეთ, რომ გრაფ დე ვოდრეკის ანდერძი გამოვიცხადოთ, რომელიც თქვენ შეგეხებათ.

ჟორჟმა თავი ველარ შეიმაგრა და წაიხურჩულა:

— მეც აგრე მეგონა.

ნოტარიუსმა დაუმატა:

— მაშ, ამ მოკლე დოკუმენტს წაგიკითხავთ.

მის წინ მდებარე ყდიანი პორტფელიდან ქალაქი ამოიღო და წაიკითხა:

„მე, ქვემოთ ამის ხელისმომწერი, პოლ-ემილიენ-სიპრიენ-გონტრან გრაფ დე ვოდრეკი, ჯანსაღ ჭკუაზე და მტკიცე მეხსიერებაში მყოფი, ჩემს უკანასკნელ სურვილს გამოვთქვამ.

„ვინაიდან სიკვდილი შეიძლება ყოველ წუთს გვეწვიოს, მე კეთილგონიერებად მიმანია მისი მოსვლის მოლოდინში დაწვერო ჩემი ანდერძი, რომელიც მეტრ ლამანერთან იქნება შენახული.

„რადგან პირდაპირი მემკვიდრე არა მყავს, ამიტომ ყოველ ჩემს სარჩოს — ექვსას ათას ფრანკად ღირებულ საბირჟო ქაღალდებს და დაახლოებით ხუთასათასად ღირებულ უძრავ ქონებას — ანდერძად ვუტოვებ ქალბატონ კლარა-მადლენა დეუ-რუას მის უზრუნველსაყოფად და იმის მხრივ რაიმე ვალდებულების დაუდებლად. მე ვთხოვ მას, მიიღოს ეს საჩუქარი განსვენებული მეგობრისაგან, ნიშნად ჩემი უღრმესი მადლობისა და მოწიწებითი ერთგულებისა“.

ნოტარიუსმა დაურთო:

— მეტი არაფერი. ეს დოკუმენტი წელს, აგვისტოს თვეში არის დათარიღებული და დაწერილია ნაცვლად მეორესი, ასეთივე ანდერძისა, რომელიც შედგენილი იყო ორი წლის წინათ ქ-ნ კლარა-მადლენა ფორესტიეს სახელზე. ისიც ჩემთან ინახება, და თუ გრაფი ვოდრეკის ნათესავები საჩივარს აღძრავენ, იმის საბუთად გამოდგება, რომ განსვენებულის ნება შეუცვლელი დარჩა.

მადლენა მეტად ფერწასული იყო და ქვევით იხედებოდა. ჟორჟი თითებით უღვაშის ბოლოებს იგრეხდა ნერვულად. მცირე დუმილის შემდეგ ნოტარიუსი დეუ-რუას მიუბრუნდა და დაუმატა:

— თავისთავად იგულისხმება, რომ ქ-ნ დეუ-რუას ნება არა აქვს ნაანდერძევი მიიღოს, თუ თქვენი თანხმობაც არ ექნება.

დეუ-რუა წამოდგა და ცივად მიუგო:

— დრო მჭირდება, უნდა მოვისაზრო.

ნოტარიუსმა ღიმილით დაუკრა თავი და თავაზიანი ხმით უპასუხა:

— თქვენი ხამუში და ყოყმანი მეც მესმის. ერთიც უნდა მოგახსენოთ: დე ვოდრეკის დისწულმა დღეს დილით თავისი ბიძის უკანასკნელი სურვილი რომ გაიგო, თანხმობა გამოაცხადა დაემორჩილოს, თუ მას ასიათას ფრანკს დაუთმობენ. ჩემის აზრით, ანდერძი სადავო არ არის, მაგრამ საჩივარი აღიაქოთს გამოიწვევს, ამიტომ, შესაძლებელია, უკეთესიც იყოს, იგი თავიდან აიშოროთ. ხალხი ხშირად ბოროტად მსჯელობს. ყოველ შემთხვევაში, შეგიძლიათ თუ არა შაბათამდე დაწერილებითი პასუხი შემატყობინოთ?

ჟორჟმა თავი დაუკრა:

— დიახ.

შემდეგ ზრდილობიანად დაემშვიდობა, წინ ცოლი წაიმძვარა, რომელმაც ერთი სიტყვაც არ დასძრა, და ისე პირქუშად გამოვიდა, რომ ნოტარიუსი ღიმილს ველარ უბედავდა.

დაბრუნდნენ თუ არა შინ, დეუ-რუამ მძაფრად მოიჯახუნა კარი, ქუდი ლოგინზე დააგდო და ჰკითხა:

— შენ ვოდრეკის საყვარელი იყავი?

მადლენა პირბადეს იხსნიდა. შეკრთა და მობრუნდა:

— მე?

— დიახ, შენ. ვინ დაუტოვებს ქალს მთელ სარჩოს, თუ ის ქალი...

მადლენა აცახცახდა და ველარ გამოიღო ქინძისთავი, რომელიც პირბადის გამჭვირვალე ქსოვილს იმაგრებდა. ცოტა ჩაფიქრდა და მღელვარედ წაიღულულა:

— აბა... აბა მოიფიქრე... გაგიჟდი... შენ... შენ... განა შენ თვითონ... ეს არის ახლა... განა შენ იმედი არა გქონდა, რომ... რომ რამეს დაგიტოვებდა?

ჟორჟი ისევ წინ ედგა და მის ყოველ სულიერ რყევას ისე ადევნებდა თვალს, როგორც გამომძიებელი, რომელიც ცდილობს ეჭვიმტანილი სისუსტის დროს დაიჭიროს და გამოსტეხოს.

მერე უთხრა, თანაც ყოველ სიტყვას ხაზი გაუსვა:

— დიახ... მას შეეძლო ჩემთვის დაეტოვებინა რამე, ჩემთვის... შენი ქმრისთვის... ჩემთვის, თავის მეგობრისთვის... ხომ გესმის, მაგრამ არა შენთვის... არა თავის მეგობრისთვის, რადგან შენ ჩემი ცოლი ხარ. აქ ძირითადი, უმთავრესი განსხვავებაა ზრდილობის თვალსაზრისით და აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისითაც.

თავის მხრივ, მადლენაც ჩაციებით შესცქეროდა მას, ღრმა და უცნაური თვალთვლით აშტერდებოდა, თითქოს მის თვალეში რაღაცის წაკითხვას ლამობდა, ყოველი ადამიანის იმ შეუცნობელი არსის გახსნას ცდილობდა, რომლის შეცნობა ჩვენ არასოდეს ძალგვიძს. მხოლოდ თვალის დახამხამებაზე ვახერხებთ ხოლმე შიგ ჩახედვას, ისიც მაშინ, როცა ადამიანს უზრუნველობა, სილაღე, დაუდევრობა მოერევა ხოლმე, რომელიც ნახევრად ღია კარია ადამიანის სულის იდუმალ არსში მიმავალი. მადლენამ აუჩქარებლივ და დამარცვლით წარმოთქვა:

— მე მაინც მგონია, რომ თუ... ყოველ შემთხვევაში, ასევე უცნაური იქნებოდა, რომ დე ვოდრეკს... ასეთი დიდი თანხა შენთვის დაეტოვებინა.

დეჟურუამ მძაფრი კილოთი ჰკითხა:

— ვითომ რატომ?

ცოლმა მიუგო:

— იმიტომ, რომ... — უცებ ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ დაასრულა: — რადგან შენ ჩემი ქმარი ხარ... იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, შენ მხოლოდ ახლახან გაიცანი ეს კაცი... იმიტომ, რომ მე დიდიხანია მისი მეგობარი ვიყავი... კიდევ იმიტომ, რომ მაშინ დაწერილი პირველი ანდერძი, როცა ფორესტიე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჩემ სახელზე იყო შედგენილი.

ჟორჟმა დიდი ნაბიჯებით დაიწყო სიარული და განაცხადა:

— შენ ამ შემკვიდრეობას ვერ მიიღებ.

მადლენამ გულგრილად მიუგო:

— ძალიან კარგი. მაშ, შაბათსაც ნუ მოვუცდით. ჩვენ შეგვიძლია პასუხი ახლავე შევატყობინოთ ლამანერს.

ქმარი ცოლის წინ შეჩერდა. კიდევ რამდენიმე წუთს იდგნენ, ერთმანეთს თვალებით ჰგმირავდნენ, ლამობდნენ ურთიერთის ტვინის და გულის იდუმალ სიღრმეებზე ჩამკვრალიყვნენ და იქ მქროლავი აზრები მოეფათურებინათ. ამ მწვავე და უნჯი დაკითხვით ყოველ მათგანს სწადადა მეორის სინდისი გაეშიშვლებინა. ეს იყო ჩუმი ჭიდილი ორი ადამიანისა, რომელიც თუმცა ერთად ცხოვრობს, მაგრამ ურთიერთისა არ ესმის, მუდამ ეჭვიანობს, უთვალთვალებს, უსაფრდება და მაინც ერთიმეორეს არ იცნობს, მის გულის სიღრმეს ვერა სწვდება.

უცებ ქმარმა დაბალი ხმით მიუგო:

— გამოტყედი-მეთქი, რომ შენ ვოდრეკის საყვარელი იყავი.

მან მხრები აიყარა:

— სისუღელეს როშავ... ვოდრეკი ძალიან თავდადებული იყო ჩემთვის, ძალიან, მაგრამ მეტი აღარაფერი... არასოდეს...

ჟორჟმა ფეხი დაუბრაგუნა:

— სტყუი! შეუძლებელია!

ცოლმა დინჯად მიუგო:

— მაინც ისეა, როგორც გითხარი.

დეჟურუამ სიარული განაახლა, მერე ხელმეორედ შესდგა:

— მაშ ამიხსენი, რაღა მარტო შენ გიანდერძა თავისი ქონება.

მან დაუდევრად და გულგრილად უპასუხა:

— სულ უბრალოდ. ეს-ეს არის შენცა თქვი, ჩვენს გარდა მას სხვა მეგობარი არა ჰყავდაო, უფრო სწორად რომ ვთქვა — ჩემს გარდა, რადგან მე ბავშვობიდანვე მიცნობდა. დედაჩემი იმის ნათესავის ოჯახში კომპანიონი იყო. ვოდრეკი ხშირად

მიდიოდა იქ, და რადგან პირდაპირი მემკვიდრე არა ჰყავდა, ამიტომ მე მომაქცია ყურადღება. შეიძლება ოდნავ კიდევ ვუყვარდი. მაგრამ რომელ ქალს არა ჰყავდა ასეთი მოთაყვანე? და როცა მან განიზრახა უკანასკნელი განკარგულება გაეცა, შეიძლება ამ მალულმა, ამ იდუმალმა ნაზმა გრძნობამ სწორედ ჩემი სახელი ჩააგონა. რატომ არა? ყოველ ორშაბათს ჩემთვის ყვავილები მოჰქონდა, ხომ მართალია? ახლა მან ამავე მიზეზით დამიტოვა თავისი ქონება, და კიდევ იმიტომ, რომ სხვას ვეღარავის მისცემდა. პირუკულმა რომ ჩაედინა, შენთვის რომ გადმოეცა, სწორედ ეს იქნებოდა ფრიად საოცარი. რატომ? ვინა ხარ მისთვის?

მადლენა ისე თავისუფლად და ბუნებრივად ლაპარაკობდა, რომ ჟორჟიც შეეყოყმანდა და მიუგო:

— სულ ერთია. ამგვარ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია ეს ნაანდერძევი მივიღოთ. იგი მეტად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ყველას გარკვეული აზრი მოუვა, ყველა გამჭორავს და მასხარად ამიგდებს. ჩვენს თანამშრომლებს ისედაც შურთ ჩემი დაწინაურება და ცდილობენ, როგორმე მიკბინონ ხოლმე. ამიტომ ყველაზე მეტად სწორედ მე უნდა ვიზრუნო ჩემს პატივზე და ჩემს სახელს გავუფრთხილდე. მე არ შემიძლია ნება დავრთო ჩემს ცოლს, მიიღოს საჩუქარი იმ კაცისგან, ვინც ჭორიკანების მიერ მის საყვარლად არის დასახული. შესაძლებელია, ფორესტიე დათანხმებულიყო, ეს იმის საქმე იქნებოდა, მე კი არავითარ შემთხვევაში დასტურს არ მოგცემ.

ცოლმა თავმდაბლად უპასუხა:

— მაშ უარი ვთქვით, ჩემო კარგო. ჩვენს ჯიბეს ერთი მილიონი დააკლდება, მეტი არაფერი.

ქმარი სიარულს განაგრძობდა და ხმამაღლა ფიქრობდა. რასაც ამბობდა, ცოლისთვის იყო ნათქვამი, მაგრამ პირდაპირ მას არ ეუბნებოდა.

— დიახ, მილიონი!.. რა ვქნათ? ანდერძს რომ წერდა, ვერ მიხვდა, რა უხერხულ დღეში გვაყენებდა? რატომ ზრდილობაც არ იანგარიშა? ვერ ხედავდა, რომ ყალბ მდგომარეობაში მაგდებდა და საქვეყნოდ სასაცილოდ მხდიდა... ცხოვრებაში უმთავრესი იერი, ფერის გადანაკრავი... ნახევარი რომ ჩემთვის დაეტოვებინა, საქმე გაჩარხული იქნებოდა.

დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და უღვაშის გრეხა დაიწყო, რადგან ეს დარდის, შფოთისა და მძიმე ფიქრების დროს ჩვეულებად ჰქონდა.

მადლენამ ქარგა აიღო, რომელსაც დროგამოშვებით მისდევდა. ძაფების შერჩევას შეუდგა და უთხრა:

— დუმილის მეტი არაფერი დამრჩენია. ყველაფერი შენს ხელშია და, როგორც გინდოდეს, ისე გადაწყვიტე.

ქმარმა კარგა ხანს არაფერი უპასუხა, შემდეგ კი გაუბედავად უთხრა:

— ხალხი ვერც იმას შეურიგდება ოდესმე, რომ ვოდრეკმა შენ ერთადერთ მემკვიდრედ დაგნიშნა, და ვერც იმას, რომ მე ამის თანხმობა მოგეცი. ამ ანდერძის მიღებით შენ დაადასტურებდი, რომ... ბილწი კავშირი გქონდა მასთან, მე კი — ვითომ სამარცხვინო თანხმობას გაძლევდი. ახლა ხომ გესმის, როგორ გაიგებენ ჩვენ მიერ ამ ანდერძის მიღებას? საქმის გამოსაკეთებლად რამე ფანდი, რაღაც ხერხი უნდა მოვიგონოთ. მაგალითად, ხმა უნდა დავარხიოთ, ვითომ მას თავისი ქონება შუაზე გაეყოს, ვითომ ნახევარი ქმრისთვის დაეტოვებინოს, ნახევარი — ცოლისთვის.

მადლენამ ამის გამო განაცხადა:

— ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოხერხდეს ეგ საქმე, რაკი ფორმალური ანდერძი არსებობს.

— სულ ადვილად, — მიუგო ქმარმა. — შენ შეგიძლია მემკვიდრეობის ნახევარი იქვე ჩემს სახელზე გადმოწერო. შვილები არა გვყავს, ამიტომ არც არავის გაუკვირდებოდა. ამ ხერხით ადვილად შეიძლება ჭორიკანებს პირში ბურთი ჩაეჩაროთ.

ცოლმა ოდნავი ბრაზით მიუგო:

— მაინც არ მესმის, როგორ უნდა გავაჩუმოთ ჭორიკანები, როცა ვოდრეკის მიერ ხელმოწერილი საბუთი არსებობს?

ქმარმა რისხვით უპასუხა:

— მერე ვინ გვაიძულებს, ეგ საბუთი ყველას ვაჩვენოთ ან კედლებზე გავაკრათ? სისულელეს ამბობ. ჩვენ ვიტყვით, რომ გრაფმა დე ვოდრეკმა მთელი ქონება შუაზე გაგვიყო, მორჩა და გათავდა! შენ ამ ქონებას ჩემს ნებადართულად მაინც ვერ მიიღებ,

მე კი იმ პირობით გაძღვევ მას, თუ შუაზე გავყოფთ, ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ ხალხის თვალში მასხარად არ გადავიქცევი.

ცოლმა ერთხელ კიდევ განგმირა თვალებით.

— როგორც გნებავდეს. თანახმა ვარ.

ჟორჟი წამოდგა და ხელახლა შეუდგა სიარულს. თითქო ისევ ყოყმანობდა და ცოლის მჭრელ თვალებს ერიდებოდა, თანაც ამბობდა:

— არა, არასგზით... არასოდეს... იქნებ ისევ უარის თქმა ჯობდეს. ეს უფრო ლამაზი, უფრო სუფთა, უფრო ღირსეული საქმე იქნება. თუმცა, რომ მივიღოთ, მაინც ვერაფერს იფიქრებენ, სულ ვერაფერს. და ყველაზე უფრო ფაქიზ ხალხს იმაზე მეტი რაღა დარჩება, რომ ჩვენს წინაშე ქუდი მოიხადოს!

მადლენას წინ გაჩერდა:

— მაშ ასე, ჩემო ძვირფასო. თუ გინდა, მარტო მე წავალ ნოტარიუს ლამანერთან, რჩევას ვთხოვ და ყველაფერს ავუხსნი. ჩემს ყოყმანზე ვუამბობ და დავუმატებ, რომ ზრდილობის დასაცავად და ჭორიკანების დასადუმებლად ჩვენ გადავწყვიტეთ ეგ ქონება შუაზე გავყოფთ. იმ წამიდან, როცა მონახევრე გაგიხდები, ყველასთვის აშკარა გახდება, რომ არავის გაღიმების ნებაც კი აღარ ექნება. ეს ჩემ მხრივ ასეთ საქვეყნო განცხადებას უდრის: „ჩემმა ცოლმა იმიტომ მიიღო მემკვიდრეობა, რომ მეც მივიღე და მე, მისი ქმარი, მარტო მე ვარ იმის მსაჯული, თუ რა შეიძლება ჩაიდინოს ჩემმა ცოლმა თავისი სახელის გაუტეხავად“. და თუ ასე არ მოვიქცევი, უეჭველად, ალიაქოთი ატყდება.

მადლენამ მხოლოდ ჩაიჩურჩულა:

— როგორც გინდოდეს.

ქმარმა კი განაგრძო:

— დიახ, გაყოფის შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდება-მეთქი. ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობა მეგობრისაგან, რომელსაც არ სურდა ორში ერთ-ერთი გამოერჩია, არ უნდოდა ერთისთვის უპირატესობა მიენიჭებინა, არ სურდა ამ ანდერძით ეთქვა: „მე ჩემი სიკვდილის შემდეგ ერთს ან მეორეს უპირატესობას ვაძლევ, რადგან სიცოცხლის დროსაც მასვე ვაძლევდი“. რა თქმა უნდა, მისთვის ჩემი ცოლი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე მე, მაგრამ ქონების განაწილებით მან ნათლად თქვა, რომ ეს უპირატესობა მხოლოდ პლატონურია. დარწმუნებული იყავი, ეს რომ ადრევე მოეფიქრა, სწორედ ასე მოიქცეოდა. მაგრამ მან არ მოისაზრა, შედეგი არ გაზომა. შენ სრული სიმართლე თქვი ახლა: ყოველ კვირას შენთვის ყვავილები მოჰქონდა და უნებურად ხსოვნის უკანასკნელი ნიშანიც მარტო შენ დაგიტოვა.

ცოლმა ბრაზნარევი ხმით შეაწყვეტინა:

— კმარა. მაგოდენა განმარტება საჭირო არ არის. გავიგე. ახლავე წადი ნოტარიუსთან.

ქმარი გაწითლდა და წაიღულღულა:

— მართალი ხარ, ახლავე მივდივარ.

ცილინდრი აიღო და წასვლისას დაუმატა:

— ვეცდები, ვოდრეკის დისწულს ორმოცდაათ ათასზე მოვურიგდე, კარგი?

მადლენამ ამპარტავნული კილოთი მიუგო:

— არა. ასი ათასს თხოულობს და ასი ათასივე მიეცი. თუ გინდა, ეს თანხა ჩემი წილიდან გამომიბარე.

ჟორჟს უცებ შერცხვა და ჩუმი ხმით უთხრა:

— არა, ამ ხარჯს შუაზე გავყოფთ; თუ თითო ჩვენგანი ორმოცდაათ ათასს მისცემს, ერთი მილიონი მაინც დაგვრჩება. — შემდეგ დაუმატა: — მაშ ნახვამდის, ჩემო მად.

და ნოტარიუსთან წავიდა ამ კომბინაციის შესატყობინებლად, რომელიც, მისივე სიტყვით, ვითომ ცოლმა მოიგონა.

მეორე დღეს მადლენამ საჩუქრის საბუთს ხელი მოაწერა და თავის ქმარს ორმოცდაათათასი ფრანკი დაუთმო.

როცა კანტორიდან გამოვიდნენ, ჟორჟმა ფეხით გასეირნება მოინდომა ბულვარამდე და ცოლსაც შესთავაზა, თანაც ცდილობდა თავაზიანობა, მზრუნველობა, ყურადღება და სინაზე გამოეჩინა. ქმარი კმაყოფილი იყო და იცინოდა, ცოლი კი ჩაფიქრებული და პირსუსხიანი მოდიოდა.

შემოდგომის საკმაოდ ცივი დღე იყო. ხალხი თითქოს ჩქარობდა და სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. დედურამ ცოლი იმ იუველირთან წაიყვანა, სადაც ქრონომეტრით ასე ხშირად ტკებობდა ხოლმე.

— იცი რა, გინდა გიყიდო რამე? — ჰკითხა.

მან უხალისოდ მიუგო:

— როგორც გინდოდეს.

— რა გირჩევნიათ, მანიაკი, სამაჯური თუ საყურეები?

ოქროულობამ და პატიოსანი თვლების სიმრავლემ მადლენას განგები სიცივე გაუღლხო. თვალები აენტო და განძეულს ხარბად დაუწყო სინჯვა. უცებ მათი შეძენის წყურვილი მოერია და თქვა:

— აი, ლამაზი სამაჯური.

ეს სამაჯური უცნაური ჯაჭვი იყო. ყველა რგოლი სხვადასხვანაირი პატიოსანი თვალისაგან შედგებოდა.

ქორუმა იკითხა:

— ეს სამაჯური რა ღირს?

— სამი ათასი ფრანკი, — მიუგო პატრონმა.

— ორ-ნახევრად დამითმეთ და ნაღდი მიიღეთ.

იუველირი შეყოყმანდა:

— არა, არ შემიძლია.

დედურამ განაგრძო:

— აი, რას გეტყვით: ეს ქრონომეტრიც ათას ხუთასად ჩამითვალეთ და ორივე ოთხი ათასად მიანგარიშეთ. თანახმა ხართ? თუ არა და, სხვა მაღაზიაში წავალ.

იუველირი დიდხანს იდგა უარზე, მაგრამ ბოლოს დაეთანხმა:

— თქვენი ნება იყოს.

ქურნალისტმა თავისი მისამართი მისცა და დაუმატა:

— ქრონომეტრზე სამი ასო ამოჭერით: „ჟ. რ. კ.“, მონოგრამასავით გააკეთეთ და ზევიდან ბარონის გვირგვინი დაადგით.

გაოცებულმა მადლენამ გაიღიმა.

ვაჭარმა თავი დაუკრა:

— ბატონო ბარონ, არხეინად ბრძანდებოდეთ. ხუთშაბათს მზად იქნება.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ცოლმა მკლავში ოდნავი სინაზით გაუყარა ხელი.

ფიქრობდა, რა ენერგიული და მარჯვე ქმარი მყავსო. ფული რომ გაუჩნდა, ტიტულიც მოუნდა — აგრეც უნდა ყოფილიყო.

ვოდვეილის თეატრს ჩაუარეს. ახალ პიესას დგამდნენ.

— გინდა დღეს საღამოს თეატრში წავიდეთ? — ჰკითხა ქორუმა. — ვცადოთ, იქნებ ლოჟა ვიშოვოთ.

ლოჟა იშოვეს და იყიდეს. ქმარმა დაუმატა:

— იქნებ რესტორანში ვისადილოთ?

— სიამოვნებით.

ქორუმი მეფესავით ბედნიერად გრძნობდა თავს, სულ იმის ცდაში იყო, კიდევ რამე მოეგონა.

— მოდი, ქნ დე მარელს შევუაროთ და ვთხოვოთ, საღამო ჩვენთან გაატაროს. თურმე ქმარი აქა ჰყავს, სიამოვნებით ჩამოვართმევდი ხელს.

წავიდნენ. ქორუს საყვარლის ნახვისა ოდნავ ეშინოდა და ისიც უხაროდა, რომ ცოლი თან ჰყავდა, რადგან ახსნა-განმარტებებს თავიდან აიცილებდა.

მაგრამ კლოტილდას, როგორც ჩანდა, ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, და ქმარიც დაითანხმა. სადილი ძალიან მხიარულად და საუცხოოდ გაატარეს.

ქორუმი და მადლენა შინ გვიან დაბრუნდნენ. კიბეზე აირი აღარ ენთო.

საფეხურების გასანათებლად ქურნალისტი დროგამოშვებით ცვილის ასანთს ანათებდა.

მეორე სართულის ბაქანზე რომ ავიდნენ, ასანთი გაჰკრა და უცბად აპრიალებულ სინათლეში კედლის სარკიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი წამოვიდა. ორივე მოჩვენებას ჰგავდა, რომელიც საიდანღაც ამოლივლივდა და საცაა ისევ ღამის წყვდიადში უნდა შთანთქმულიყო.

დედურამ ის ხელი ასწია, რომელშიც ასანთი ეჭირა, რათა ისინი სარკეში უფრო ნათლად გამოჩენილიყვნენ, და რიხიანი სიცილით თქვა:

— განი, მილიონერები მოდიან!

თავი მეშვიდე

მარკოს დაპყრობის შემდეგ უკვე ორი თვე გავიდა. ტანჟერის მპყრობელი საფრანგეთი ახლა ხმელთაშუა ზღვის მთელ იმ სანაპიროზე ბატონობდა, რომელიც აფრიკას ეკვრის მაროკოდან ტრიპოლამდე.

ამბობდნენ, ორმა მინისტრმა ამ საქმეზე ოც-ოცი მილიონი გააკეთაო, და ლარომ-მატიეს სახელსაც თითქმის საქვეყნოდ ახსენებდნენ. ხოლო ვალტერმა ორმაგად მოიგო: სესხზე — ოცდაათიდან ორმოც მილიონამდე, ხოლო რკინის და სპილენძის მადარობზე — რვა თუ ათი მილიონი, და აგრეთვე ვეებერთელა მამულზედაც, რომელიც ექსპედიციის გაგზავნამდე თითქმის უფასოდ იყიდა და ოკუპაციის შემდეგ საკოლონიზაციო საზოგადოებას მიჰყიდა. ეს ამბავი მთელმა პარიზმა იცოდა.

ვალტერი რამდენიმე დღეში ამ ქვეყნის მპყრობელთა შორის მოექცა და ერთი იმ ფინანსისტთაგანი გახდა, ვინც მეფეზე უფრო ძალოვანია და რომელთა წინაშე ყველა კისერი იდრიკება, ყოველი ენა დუმდება და საქვეყნოდ აშკარავდება ადამიანთა გულში მიჩქმალული სიმდაბლე, სიმხდალე და შური.

ის ამჟამად უწინდელი უბრალო ვალტერი კი აღარ იყო, — საეჭვო ბანკის დირექტორი, საფრთხილო გაზეთის დირექტორი, ეჭვმიტანილი დეპუტატი, არამედ ბატონი ვალტერი, მდიდარი ბანკირი!

და ერთხელ თავისი ძალის გამომზეურება მოიწადინა.

თავადი კალსბურგელი, რომელსაც ფობურგ სენტჰონორეს და ელისეს მინდვრებს შუა ულამაზესი სასახლე ჰქონდა, გაჭირვებაში ჩავარდა. ვალტერმა გაიგო და ამ ქონებაში, უკლებლივ ყველაფერში, სამი მილიონი შეაძლია, ოღონდ იმ პირობით, რომ სკამებიც კი თავის ალაგას დარჩენილიყო. თავადს ესოდენი თანხა ეხარბა და დათანხმდა.

ვალტერი ახალ ბინაზე მეორე დღესვე გადავიდა.

შემდეგ მეორე აზრიც დაებადა, ნამდვილი აზრი დამპყრობლისა, რომელსაც მიზნად პარიზის აღება დაუსახავს — ჭეშმარიტად ბონაპარტული აზრი.

იმ ხანებში მთელი ქალაქი ჟან ლენობლის გალერეაში მიდიოდა უნგრელი მხატვრის კარლ მარკოვიჩის დიდი სურათის სანახავად, რომელიც წყლის ზედაპირზე მიმავალ იესო ქრისტეს გამოხატავდა.

აღფრთოვანებულმა სამხატვრო კრიტიკამ ეს სურათი საუკუნის შედეგად გამოაცხადა. ვალტერმა ეს სურათი ნახევარ მილიონ ფრანკად იყიდა და მაშინვე წაიღო. ამის გამო მეორე დღეს მისული ხალხის ნაკადი დაუკმაყოფილებელი გამობრუნდა და მთელი პარიზი ალაპარაკდა. ერთს შურდა, მეორე გმობდა, მესამეს მოსწონდა.

შემდეგ ბანკირმა გაზეთში გამოაცხადა: რათა არ თქვან, ვითომ მას ეს სურათი მარტო თავისთვის დაეჩემებინოს, მას განზრახული აქვს ერთ საღამოს თავის ბინაზე მოიწვიოს პარიზის ცნობილი საზოგადოება და უცხოელი მხატვრის კლასიკური ნაწარმოები აჩვენოს. მისი სახლი ღია იქნება ყველასათვის, ვინც შესავალ კარში მოსაწვევ ბარათს წარადგენსო.

ხოლო ეს ბარათი ასე იყო შედგენილი: „ბ. და ქ-ნი ვალტერები გთხოვენ პატივი სცეთ მათ და ეწვიოთ 30 დეკემბერს საღამოს 9 საათიდან 12-მდე კარლ მარკოვიჩის სურათის „ქრისტე წყალზე“ სანახავად, რომელიც ელექტრონის შუქზე იქნება ნაჩვენები“. და ქვევით პოსკრიპტუმში სულ პაწაწინა ასოებით იყო დაბეჭდილი: „12 საათის შემდეგ — ცეკვა“.

ვინც მოისურვებს დარჩენას, დარჩება, და მათ შორის ვალტერები ახალ ნაცნობებს შეარჩევნენ. სხვები იმ სურათს, სასახლესა და მათ პატრონებს ზრდილობიანი ცნობისმოყვარეობით შეხედავენ გულგრილად ან კადნიერად — და როგორც მოვიდნენ, ისევე წავლენ. მაგრამ ბანკირმა კარგად იცოდა, რომ ისინი შემდეგში კიდევ მოვიდოდნენ, როგორც უკვე მივიდნენ მისივე ტომის სხვა გამდიდრებულ წევრებთან.

ოღონდ საჭიროა, ყველა წარჩინებული, რომელთა გვარებს გაზეთში წერენ ხოლმე, ვალტერის სახლში შემოვიდეს.

და შემოვლენ კიდევაც: ზოგი იმისთვის, რომ ნახონ ის ადამიანი, რომელმაც ექვს კვირაში ორმოცდაათი მილიონი იშოვა, მეორენი, რათა ვალტერიც ნახონ და ისინიც,

ვინც იმის სანახავად მოვიდა, ხოლო მესამენი იმიტომ, რომ მან ისინი გაბედულად მოიწვია თავის სახლში, ებრაელის სახლში, ქრისტიანული სურათის სანახავად.

ვალტერი მათ თითქოს ეუბნებოდა: „აი ნახეთ, მარკოვიჩის რელიგიური შედეგრი „ქრისტე წყალზე“ ნახევარ მილიონად ვიყიდე, და ეს შედეგრი ჩემთან დარჩება, ჩემი ზედამხედველობის ქვეშ იქნება, ებრაელი ვალტერის სახლში დარჩება სამუდამოდ“.

ზემოურებში, ჰერცოგთა და ჟოკეი-კლუბის წევრთა შორის დიდხანს მსჯელობდნენ ამ დაპატიჟების გამო, რომელიც ბოლოს და ბოლოს, არავისთვის სავალდებულო არ იყო. იქაც ისევე შეიძლებოდა წასვლა, როგორც ბ-ნ პტის გაღერებაში აკვარელის სანახავად დადიან ხოლმე. ვალტერმა შედეგრი დაიჩემა და თავისი სახლის კარი ერთი დამით გააღო, რათა ხალხი იმ სურათით დამტკბარიყო. ამას რა სჯობია?

„საფრანგეთის ცხოვრება“ ამ სადამოს გამო ორ კვირას ყოველდღე რამე შენიშვნას ბეჭდავდა და საზოგადოების ცნობისმოყვარეობას აფორიაქებდა.

პატრონის ასეთი გამარჯვებით დღე-რუა ბრაზით იხრჩობოდა. აქამდე, სანამ ცოლს ნახევარ მილიონს დასტყუებდა, თავისი თავი მდიდრად მიაჩნდა, შემდეგ მის ირგვლივ მილიონების წვიმა წამოვიდა. ჟურნალისტი ლამობდა ამ წვიმისა ცოტა რამე მაინც დაეჭირა, მაგრამ მას არაფერი არ შეხვდა. აი, ამის შემდეგ მიიჩნია დღე-რუამ თავისი თავი დატაკად.

მისი შურიანი ღვარძლი დღითიდღე მატულობდა. ის ყველაზე იყო გაბრაზებული: ვალტერებზე — და მათ ოჯახში აღარ დადიოდა; ლაროშის მიერ მოტყუებულ ცოლზე, რომელმაც ურჩია მარკოს აქციები არ ეყიდა, და ნამეტნავ თვითონ ლაროშზე, რომელმაც მოატყუა, მიუხედავად იმისა, რომ დღე-რუას ძალ-ღონეს იყენებდა და კვირაში ორჯერ მის ოჯახშიც სადილობდა.

ჟორჟი მისი მდივანიც იყო, აგენტიც, გადამწერიც, და როცა მისი კარნახით წერდა, გიჟური სურვილი აღეძვროდა ხოლმე, როგორმე მიეხრჩო ეს ლამაზი და გამარჯვებული კაცი. ლაროშს, როგორც მინისტრს, მცირე გამარჯვება ერგო და, რათა პორტფელი შეენარჩუნებინა, იგი ოქროთი გატენა. დღე-რუა მაინც ყველაფერში გრძნობდა ამას: ამ მატრაკვეცა ვეჭილის კილოშიც, რომელსაც ამპარტავნული იერი მიეცა, მის თავხედურ მიხრა-მოხრაშიც, უფრო მეტად, გაბედულ ლაპარაკშიც და იმ ნდობაშიც, რომელსაც დღე-რუასადმი წინანდელზე უფრო მეტს იხენდა.

ლაროშს დღე-რუას ოჯახში ახლა მეფედ იქცა, ვოდრეკის ადგილი დაიჭირა და იმავე დღეებში მოდიოდა სადილად, როდესაც განსვენებული დადიოდა ხოლმე, ხოლო მოსამსახურეებს ისე ეპყრობოდა, თითქოს იმ ოჯახის პატრონი ყოფილიყო.

ჟორჟი ითმენდა და იმ ძალღივით ანხლოდა, რომელსაც კბენა სურს, მაგრამ ვერა ბედავს, ამიტომ ჯავრს ცოლზე იყრიდა ხოლმე: ხშირად მკაცრად და ტლანქად ეპყრობოდა. მადლენა მხოლოდ მხრებს იჩენავდა და ქმარს უზრდელი ბალღით ექცეოდა. უკვირდა, მისი ქმარი მუდამ ცუდ გუნებაზე რომ იყო, და იმეორებდა:

— მე შენი ხასიათისა აღარაფერი მესმის. მუდამ რამეს ჩივი, ნამდვილად კი არა გააკლია რა.

ქმარი ზურგს შეაქცევდა და არაფერს უპასუხებდა.

ჯერ გადაწყვიტა, პატრონის სადამოზე არ წასულიყო და ამ საძაგელი კაცის სახლში ფეხიც აღარ შეედგა. ორი თვე იქნებოდა, რაც ქ-ნი ვალტერი ყოველდღე სწერდა მას, ეხვეწებოდა, მოსულიყო ან სადაც მოისურვებდა, იქ დაენიშნა პაემანი, რადგან, — იწერებოდა, — ის სამოცდაათი ათასი ფრანკი უნდა გადმოგცე, რომელიც შენთვის მოვიგეო.

ის კი პასუხსაც არ აძლევდა და სასოწარკვეთით დაწერილ წერილებს ბუხარში ყრიდა. მოგების ნახევარზე სულაც არ ამბობდა უარს, ოღონდ უნდოდა ნასაყვარლენი დაეტანჯა, შეურაცხეყო, ზიზღითა და ფეხით გაეთელა. ქ-ნი ვალტერი მეტისმეტად გამდიდრდა და ჟორჟს სურდა, თავის ამპარტავნობა ეჩვენებინა.

იმ დღეს, როცა ვალტერს სადამო ჰქონდა დანიშნული, მადლენა ჟორჟს არწმუნებდა, არ წასვლა დიდი შეცდომა იქნებოდა, ის კი მხოლოდ ასეთ პასუხს აძლევდა:

— თავი დამანებე. მე შინ დავრჩები.

ხოლო სადილის შემდეგ უცებ განაცხადა:

— მაინც იძულებული ვარ, ეს ვალი მოვიხადო. მალე ჩაიცივო.

მადლენამ იცოდა, რომ საქმე ასე გათავდებოდა.

— თხუთმეტი წუთის შემდეგ მზად ვიქნები, — მიუგო.

ჟორჟი ჩაცმის დროს განუწყვეტლივ ბუზღუნებდა და გესლის ყრა კარეტაშიც არ მოიშალა.

კარლსბურგელის სასახლის საზეიმო ეზო ოთხივე კუთხივ ელექტრონის დიდი ფარნებით იყო განათებული, რომელნიც ოთხ ცისფერ მთვარეს ჰგავდა. სადარბაზო კარის წინ კიბეზე მდიდრული ხალიჩა ეგო, ხოლო ყოველ საფეხურზე ძეგლივით იდგნენ ლივრით მორთული მსახურები. დღე-რეჟამ წაიხურჩულა:

— რა უგემური რამ არის!

და მხრები შურით აიხეჩა. ცოლმა მიუგო:

— გაჩუმდი. შენც მიაღწიე.

ზემო ტანისამოსი ლაქიებს მისცეს და შევიდნენ. აქ უკვე ბევრი ხალხი ტრიალებდა. თავიანთ ქურქებს ისინიც აქ ტოვებდნენ. დროგამოშვებით ისმოდა:

— ძალიან ლამაზია, ძალიან!

უზარმაზარი ჰოლი გობელენის ხალიჩებით იყო აკრული და ზედ ვენერას და მარსის თავგადასავალი იყო გამოხატული. მარცხნივ და მარჯვნივ ორი საზეიმო კიბე აღიოდა, რომელიც მეორე სართულის ბაქანზე ერთდებოდა. ნაჭედი რკინის მოაჯირი დიდებული ნახელავი იყო. ოქროს უძველესი, ჩამუქებული ვარაყი წითელ მარმარილოს საფეხურებზე საამო კრიალს აბნევდა.

ოთახების შესასვლელში ორი პატარა ქალი იდგა, ერთს ვარდისფერი ეცვა, მეორეს — ცისფერი. ისინი სტუმარ ქალებს ყვავილებს სთავაზობდნენ. ყველა ამბობდა, დიდებულიაო.

უკვე საკმაოდ ბევრი ხალხი შეიკრიბა. ქალების უმრავლესობას კაბა კისრამდე ჰქონდა შეკრული, რაც იმის ნიშანი იყო, რომ აქაც ისე მოვიდნენ, როგორც რომელიმე სხვა გამოვენაზე დადიოდნენ ხოლმე. ხოლო იმათ, ვინც ნადიმზე აპირებდა დარჩენას, გულამოჭრილი კაბა ჩაეცვათ.

სტუმრებით გარემოცული ქნი ვალტერი მეორე ოთახში იჯდა და ახალმოსულთა სალამზე სალმითვე აძლევდა პასუხს. უმეტესობა დიასახლისს არ იცნობდა, არც ოდესმე ენახათ. მასპინძელი არ ეპრიანებოდათ და ისე დასეირნობდნენ, თითქოს მუზეუმში ყოფილიყვნენ. დიასახლისმა დღე-რეჟა რომ დაინახა, გაწითლდა და ისე შეინძრა, თითქოს ადგომა და მასთან მისვლა ეწადა. მაგრამ თავის ადგილზე დარჩა და მის მოახლოებას დაელოდა. ჟურნალისტმა საზეიმო სალამი მისცა, მადლენამ კი ქათინაურები მიაყარა. ჟორჟმა თავისი ცოლი პატრონის ცოლს დაუტოვა და ხალხს შეერია. უნდოდა ის გესლიანი სიტყვები მოესმინა, რომელსაც, თქმა არ უნდა, უხვად აბნევდნენ.

ხუთი სალონი ერთმანეთს მისდევდა და ხუთივე ძვირფასი ქსოვილით, იტალიური ნაქარგით და სხვადასხვა ფერისა და სტილის აღმოსავლური ხალიჩებით იყო აკრული და მოკაზმული. ყველგან კედლებზე ძველი მხატვრების ნახელავი ეკიდა. ყველანი უფრო მეტად ლუი XVI სტილის ერთ პატარა ოთახში ჩერდებოდნენ და იქაურობით ტკებოდნენ. იგი ბუღუარს ჰგავდა და ცისფერი ფარჩით იყო აკრული, რომელზედაც ვარდისფერი ყვავილები იყო მოქარგული. დაბალი და ოქროვარაყიანი ავეჯი, კედლისავე ქსოვილით შემოსილი, წვრილად და დიდებულად იყო ჩუქურთმებით მოხატული.

ჟორჟმა სახელოვანი ხალხი იცნო: ჰერცოგი დე ტერასინისა, გრაფი დე რაველენი თავისი მეუღლით, გენერალი, თავადი დ'ადრემონი, ძალიან ლამაზი მარკიზა დე ღუნი, და ყველა მამაკაცი და დედაკაცი, რომლებიც კი თეატრებში პრემიერაზე დადიან.

უცებ ვიდაცამ მკლავში ხელი სტაცა და ახალგაზრდულმა, მხიარულმა ხმამ ყურში ჩასჩურჩულა:

— ძლივს არ დაგიჭირეთ, ავგულო ლამაზო მეგობარო! რატომ აღარ მოჩანხართ? სუზანა ვალტერი იყო, რომელიც ჟორჟს ნატიფი მინანქრის თვალებით

შესცქეროდა.

დღე-რეჟა ამ შეხვედრით აღტაცებაში მოვიდა და მეგობრულად ჩამოართვა ხელი. მერე ბოდიში მოიხადა:

— არ შემეძლო, უკანასკნელ ორ თვეში იმდენი საქმე მქონდა, რომ ვეღარსად დავდიოდი.

— არ ვარგა, სულ არ ვარგა, — მიუგო მან სერიოზული ხმით. — ძალიან გვაწყენინეთ, რადგან მე და დედაჩემი გაღმერთებთ, ნამეტნავ კი — მე. უთქვენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია. როცა თქვენ არა გხედავთ, მოწყენილობით ვკვდები. ხომ

ხედავთ, ამას პირდაპირ გეუბნებით, რადგან მინდა, რომ შემდეგში ასე აღარ გადაიკარგოთ. ხელი მომეცით. მე თვითონ განწვენებთ სურათს „ქრისტე წყალზე“. აგერ იქ არის, სიღრმეში, ორანჟერეის იქით. მამამ იმიტომ გადაიტანა იქ, რომ მნახველმა ყველა ოთახი გაიაროს და დაათვალიეროს. საკვირველია, როგორ მოაქვს ამ სასახლით თავი, ნამდვილი ფარშევანგია.

ხალხში გზას ნელა მიიკვლევდნენ, ზოგნი უკან იხედებოდნენ, რათა ეს ლამაზი ვაჟკაცი და ეს ნაზი დედოფალი დაენახათ.

ერთმა ცნობილმა მხატვარმა თქვა:

— შეხედეთ, რა ლამაზი წყვილია! ქალი მეტად თვალწარმტაცი ვინმეა.

ჟორჟი კი ფიქრობდა: „მე რომ მართლა მარჯვე კაცი ვყოფილიყავი, აი, ვის შევირთავდი. კიდევაც შემეძლო. როგორ არ მოვიფიქრე? როგორ მოხდა, რომ მადლენა შევირთე? რა სისულელე ჩავიდინე! აღამიანი მუდამ ჩქარობს და თავის საქციელს არასოდეს ბოლომდე არ მოიფიქრებს ხოლმე“.

სულში წვეთ-წვეთად მწარე შური ეღვენებოდა და სიხარულს უწამლავდა, სიცოცხლეს აძულებდა. სუზანამ უთხრა:

— ლამაზო მეგობარო, უფრო ხშირად მოდით ხოლმე ჩვენსას: მამაჩემი ძალიან გამდიდრდა, ჩვენ შეგვიძლია ათასი სისულელე ჩავიდინოთ და გიჟებივით ვიმხიარულოთ.

ისევ წედანდელი აზრით აკვიტებულმა ჟორჟმა მიუგო:

— კჰ, თქვენ მალე გათხოვდებით. ვინმე მშვენიერს, ოდნავ გაკოტრებულ თავადს გაჰყვებით და ერთმანეთს ვეღარა ვნახავთ.

მან გულმართლივ წამოიძახა:

— არა, ჯერ არა! მე მსურს იმას მივთხოვდე, ვინც მომეწონება, ძალიან მომეწონება, სულ მომეწონება. ჩემი სიმდიდრე ორივეს გვეყოფა.

დღე-რეუამ ირონიულად, მედიდურად გაიღიმა და იქვე მოსიარულეთა ჩამოთვლა დაიწყო. უსახელებდა მეტად წარჩინებულ კაცებს, რომელთაც თავიანთი დაუანგული ღერბი სუზანასავით მდიდარ ქალებს მიჰყიდეს და ახლა არხეინად ცხოვრობდნენ, ზოგი ცოლთან, ზოგი ცალკე, ოღონდ — თავისუფლად, ურცხვად, პატივით და სახელით ცხოვრობდნენ.

— ექვსი თვეც არ გავა, რომ თქვენც იმავე ბადეში გაიხლართებით. ვინმე მარკიზის ან ჰერცოგის მეუღლედ, ან კნეინად გადაიქცევით და ზემოდან გადმომხედავთ.

მისი მეგობარი აღშფოთდა, ხელზე მარაო დაჰკრა და შეჰფიცა, რომ საქმროს არჩევაში მხოლოდ გულისთქმას დაუჟერებდა.

ჟორჟმა გაიცინა:

— კარგი, კარგი, ვნახოთ. საამისოდ თქვენ მეტისმეტად მდიდარი ბრძანდებით.

— მერე რა, თქვენც ხომ მიიღეთ ნაანდერძევი? — შენიშნა სუზანამ.

— იჰ! — ღრმა ზიზღით გადმოაგდო ჟურნალისტმა. — სათქმელადაც არა ღირს. რაღაც ორასი ათასი წლიური რენტა დღეს ბევრი არაფერია.

— სამაგიეროდ, თქვენმა ცოლმაც მიიღო მემკვიდრეობა.

— დიახ, ორივეს ერთი მილიონი გვერგო. წელიწადში ორმოცი ათასი მოგვივა. ამ ფულით იმდენსაც ვერ შევძლებთ, რომ საკუთარი ეტლი შევინახოთ.

ბოლო ოთახამდე რომ მივიდნენ, თვალწინ ორანჟერეა, ფართო საზამთრო ბაღი გადაეშალათ. იგი მოზრდილი ეგზოტიკური მცენარეებით იყო სავსე, რომელნიც იშვიათ ყვავილნარს ფარავდნენ. ამ მუქი ფოთლიანის ქვეშ, სადაც მუქი ვერცხლის ტალღასავით მიიპარებოდა, ნესტიანი მიწის თბილი სიგრილე და მცენარეთა მძიმე სურნელი იდგა. ეს ნახელოვნევი, მომქანცავი, ნებიერი ბუნება რაღაცნაირ უცნაურ, ნახსა და სნეულ თილისმას ჰქმნიდა. ხშირ ბუჩქნარს შუა ხალიჩები დაეგოთ, რომელიც ზედმიწევნით ჰგავდა ხავსს. უცებ დღე-რეუამ პალმების ვეება თაღის ქვეშ თეთრი მარმარილოს აუზი შენიშნა. იგი იმდენად დიდი იყო, რომ შიგ ბანაობაც კი შეიძლებოდა. ოთხივე კუთხეში დელფტის ფაიანსის ოთხი გედი იჯდა და ნახევრად ღია ნისკარტებიდან წყლის ნაკადულები გადმოსჩქეფდათ.

აუზის ფსკერი ოქროს ქვიშით იყო მოფენილი. წყალში ვეება წითელი თევზები დაცურავდა, რაღაც უცნაური ჩინური ურჩხულები ლივლივებდა, რომელთაც გადმოკარკლული თვალები ჰქონდათ და ცისფერი ქაცვით იყვნენ დაზოლილი. ეს თევზები — წყლის მანდარინები — ოქროს ფსკერის ფონზე გახვევებულნი ან

მოლასლასენი, ადამიანს იმ უცნაურ ნაქარგს მოაგონებდა, რომელსაც უცნაურსავე ჩინეთში ამზადებენ ხოლმე.

ჟურნალისტი გულის ფანცქალით შედგა და თავისთავს უთხრა: „აი, სად არის განცხრომა. რატომ მეც არ უნდა მივადწიო ამას?“ თან საამისო თანხაზე ფიქრობდა და საკუთარი უმწეობა აბრაზებდა.

მისი თანამგზავრი ჩაფიქრებული სდუმდა. ჟორჟმა გვერდულად გახედა და ერთხელ კიდევ გაიფიქრა: „ამის მისაღწევად საკმარისი იქნებოდა, ეს ცოცხალი მარიონეტი შემერთო“. სუზანა თითქოს უცებ გამოფხიზლდა:

— ყურადღება! — უთხრა და მეგობარი გზაზე გახირულ ხალხში გაიყვანა, მერე უცებ მარჯვნივ მოუხვია.

უცნაურ მცენარეთა შორის, რომელთაც მთრთოლვარე ფოთლები წვრილთითა გაშლილი ხელებივით გაეშვირათ ჰაერში, წყლის ზედაპირზე მიმავალი უძრავი კაცი მოჩანდა.

შთაბეჭდილება განსაცვიფრებელი იყო. სურათი, რომლის ნაპირები მოძრავი მცენარეულობით იყო დაფარული, ჯადოსნური შორეთის შესავალ კარს ჰგავდა.

უნდა დაკვირვებოდი, რათა ყველაფერი გაგეგო. ჩარჩო შუაზე ჭრიდა ნავს, შიგ მოციქულები ისხდნენ. ერთ მათგანს ფარანი ეჭირა. მისი ცერა სხივები მოციქულებს ოდნავ ანათებდა. ფარნიანი მოციქული ნავის კიდეზე იჯდა და მთელი შუქი წყალზე მიმავალ ქრისტეზე ჰქონდა მიბჯენილი.

ქრისტეს ერთი ფეხი ტალღაზე ედგა და ჩანდა, რომ ის ტალღა, — წყნარი, მორჩილი და მშვიდი ტალღა — ქრისტეს მთრგუნველი ფეხის ქვეშ როგორ ჩაზნექილიყო. დმერთკაცის ირგვლივ ყოველივე პირქუშად იყო. მხოლოდ უამრავი მნათობი ციალებდა ცაში.

ის მოციქული, რომელსაც ფარანი ეჭირა, დანარჩენებს ქრისტეზე მიუთითებდა. თითოეულის სახეზე, ამ შუქით ბუნდოვნად განათებულზე, გაოცება იყო გაყინული.

ეს სურათი მართლა ძლიერი, თავისებურად მოფიქრებული ნაწარმოები იყო, ერთი იმათგანი, რომელიც ჩვენს აზრს აცვიფრებს და ძალიან დიდხანს გვამახსოვრდება.

მნახველები უსიტყვოდ შესცქეროდნენ სურათს, ჩაფიქრებულნი ბრუნდებოდნენ და მხოლოდ შემდეგლა იწყებდნენ ნახატის შეფასებას.

დღუ-რუა რამდენიმე წუთს სინჯავდა. შემდეგ თქვა:

— იმას რა სჯობია, თუ შეგიძლია, თავს ნება მისცე და ასეთი რამე შეიძინო.

სურათის ნახვა სხვებსაც უნდოდათ, ჟორჟს ხელს ჰკრავდნენ და განზე აყენებდნენ, ამიტომ მალე წავიდა და სუზანაც თან წაიყვანა, თანაც გამუდმებით ოდნავ ხელს უჭერდა.

ვალტერის ქალიშვილმა ჰკითხა:

— გინდათ, თითო ჭიქა შამპანური დავლიოთ? სასადილოში შევიდეთ. მამაც იქ იქნება.

მათ ყველა ოთახი ხელახლა გამოიარეს. ხალხმა იმატა. საგანგებოდ, საზოგადო უქმეებისათვის მოკაზმული ბრბო მხიარულად ხმაურობდა და ისე ლაღად იყო, როგორც საკუთარ სახლში.

უცებ ჟორჟს ვიღაცის ხმა მოესმა:

— ეს ლაროშია, ქალბატონ დღუ-რუასთან რომ დადის.

ეს სიტყვები ქმარს შორეული ნიავეით ჩაეღვარა ყურში. ნეტა საიდან წამოვიდა ეს ნათქვამი? მადლენას ძებნა დაუწყო და მართლაც მალე მოჰკრა თვალი. ხელიხელგაყრილი მოსდევდა მინისტრს. ჩუმი ხმით, ინტიმურად ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს თვლებში უმზერდნენ და უღიმოდნენ.

დღუ-რუას მოეჩვენა კიდევ, ვითომ მათს გამოჩენაზე აქა-იქ ჩურჩული ატყდა, და უცებ მხეცურმა ჟინმა მოუარა: იმ ორ ადამიანს დასტაკებოდა და ორივე მუშტებით ჩაეხოცა.

მადლენა მას სასაცილოდ ხდიდა. დღუ-რუას ფორესტიე გაახსენდა. ვინ იცის, იქნებ ახლა მასზედაც ამბობენ: „ვინაა ეს რქიანი დღუ-რუა?“ ვინ არის ეს დედაკაცი? შეუმჩნეველი, მაგრამ საკმაოდ მარდი მატრაკვეცა, რომელსაც ნამდვილი არავითარი სერიოზული ქონება არა აქვს. ხოლო მის ქმართან სტუმრად იმიტომ დადიან, რომ მისი შიში აქვთ, იმის ძალას ჰგრძნობენ, მაგრამ, როცა ამ ჟურნალისტების უსაჩინო წყვილზე ლაპარაკობენ, ალბათ, აღარ ერიდებიან და შესაფერად ამკობენ ხოლმე. ამგვარ ცოლთან ერთად ჟორჟი შორს ვერ წავა. ასეთი ცოლი მის ოჯახს მუდამ

ჩრდილს მიაყენებს და თავის თავსაც სამუდამოდ სახელს გაუტეხს. მარტო მისი მიხრა-მოსრაც კი ამტკიცებს, რომ იგი ინტრიგანი დედაკაცია. ახლა მადლენა ჟორჟს წარმატების საქმეში მხოლოდ დააბრკოლებს. ოჰ, ნეტა ადრევე სცოდნოდა, ადრევე მიმხვდარიყო! მაშინ სხვანაირად წაიყვანდა საქმეს და ფრთებს უფრო ფართოდ, უფრო ლაღად გაშლიდა. სუზანასკენ რომ აეღო გეზი, რა მოგებაში იქნებოდა! რატომ ადრევე არ მოისაზრა ყველაფერი?!

სასადილოში შევიდნენ. ის უზარმაზარი ოთახი სვეტებზე იყო დაბჯენილი. კედლებზე უძველესი გობელენები ეკიდა. ვალტერმა თავის თანამშრომელს მოჰკრა თვალი და სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა, რათა მისთვის ხელი ჩამოერთმია. ბანკირი სინარულით იყო მთვრალი.

— ყველაფერი ნახეთ? სუზანა, მითხარი, ყველაფერი აჩვენე? ნახე, ლამაზო მეგობარო, რა საზოგადოებაა? თავადი დე კერში შეგხვდათ? ეს-ეს არის აქ იყო და პუნში დალია.

შემდეგ სენატორ რისოლენისკენ წავიდა, რომელსაც თავისი ცოლი მოჰყავდა — სრულებით ზარდაცემული და საბაზრო დუქანივით მოპრანჭული.

სუზანას ვიღაცამ საღამო მისცა. მაღალი და ხმელი კაცი იყო. ქერა ბაკენბარდები, ოდნავ მელოტი თავი და ისეთი მიხრა-მოსრა ჰქონდა, რომელსაც ყველგან იცნობდით. ჟორჟმა მის გვარს შემთხვევით მოჰკრა ყური — მარკიზ დე კაზოლი, და უცებ მისდამი ეჭვით აღივსო. დიდი ხანია, რაც სუზანა იცნობს ამ კაცს? ალბათ, გამდიდრების დღიდან, და ჟურნალისტმა გუმანით გამოიცნო: მარკიზი მას ალბათ სუზანას გულს ედავებოდა.

ვიღაცამ მკლავში ხელი წაავლო. ნორბერ დე ვარენი აღმოჩნდა. მოხუცებული პოეტი თავისი ქონიანი თმით და გაცვეთილი ფრაკით უნდილად და გულგრილად დაეხეტებოდა ხალხში.

— ამ ბრბოს ყოველივე ეს გასართობი ჰგონია, — წარმოსთქვა მან. — საცაა ცეკვას დაიწყებენ, შემდეგ დაიძინებენ და ქალიშვილები კმაყოფილნი იქნებიან. შამპანური მიირთვით, დიდებულთა.

ჭიქა აივსო, დე-რუას საესე ჭიქას მიუჯახუნა და თქვა:

— ეს სადღეგრძელო სულის გამარჯვებისა და მილიონების დათრგუნვისა იყოს, — შემდეგ ჩუმი ხმით დაუმატა: — იმიტომ კი არა, ვითომ სხვისი ჯიბის მილიონები მშურდეს, არც იმიტომ, ვითომ ამის გამო გაბრაზებული ვიყო, არამედ პრინციპის გამო.

ჟორჟი ყურს აღარ უგდებდა. ის სუზანას ეძებდა, რომელიც მარკიზ დე კაზოლთან ერთად გაჰქრა. ჟურნალისტმა ნორბერ დე ვარენს თავი მიანება და ახალგაზრდა ქალის საძებნელად წავიდა. ხალხის ხშირმა ნაკადმა შეაჩერა, რომელიც სასადილოსკენ რაიმეს დასაღწევად მოდიოდა. ეს ნაკადი რომ გაარღვია, ორივე დე მარელს წააწყდა. ცოლს უწინდელივით ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ ქმარი დიდი ხანია აღარ ენახა. მან ჟურნალისტს ორთავ ხელი ჩამოართვა:

— რა მადლობელი ვარ თქვენი, ძვირფასო, იმ რჩევისათვის, რომელიც კლოტილდას პირით შემომითვალეთ! მაროკოს სესხზე ასი ათასამდე მოვიგე, თქვენი წყალობით მოვიგე. მართლა ძვირფასი მეგობარი ყოფილხართ.

მამაკაცები უკან იხედებოდნენ, რათა ლამაზი და კოპწია, შავგვრემანი ქნი დე მარელი შეეთვალაიერებინათ. დე-რუამ მიუგო:

— ჩემო კარგო, ასეთი სამსახურის გაწევის გამო ცოლი უნდა მოგტაცოთ, ან უფრო სწორად რომ ვთქვა, მას ხელს ვთავაზობ. საჭიროა, ცოლ-ქმარი მუდამ გაჰყარო ხოლმე.

დე მარელმა თავი დაუკრა:

— სრული სიმართლეა. თუ დამკარგავთ, ერთი საათის შემდეგ აქვე მიპოვით.

— ძალიან კარგი.

ახალგაზრდა ქალი და კაცი ხალხის ნაკადს შეერივნენ. დე — მარელმაც მიჰბაძა. კლოტილდა იმეორებდა:

— რა ბედნიერები არიან ვალტერები! აი, რას ნიშნავს საქმის კაცი.

— ოღონდაც! ვისაც თავი აბია, მუდამ თავისას მიაღწევს — ან აეთი გზით, არ კიდევ სხვანაირად, მიუგო ჟორჟმა.

კლოტილდამ განაგრძო:

— აი, ორი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თითოს ოცი, ოცდაათი მილიონი ერგება. გარდა ამისა, სუზანა სანდომიანიც არის.

მან არაფერი უპასუხა. მისივე აზრი, სხვისი პირით გამოთქმული, ჟურნალისტს ბრახს ჰგვრიდა.

კლოტილდას ჯერ სურათი არ ენახა. ჟორჟმა შესთავაზა, გაგაცილებო. ორივენი უცნობ-ნაცნობებს დასცინოდნენ, ჰკილაგდნენ და ამრიგად ერთობოდნენ. სენ-პოტენმა გვერდით გაუარა. ფრაკზე მრავალი ორდენი და მედალი ეკიდა. ამან ძალიან გაამხიარულა ორივენი, რადგან უკან მომავალ ნაელჩარს გაცილებით ნაკლები ჯილდო ეკიდა.

— რა სასაცილო საზოგადოებაა! — სთქვა ჟორჟმა.

ბუარენარმა ხელი ჩამოართვა. ამასაც მკერდზე ყვითელ-მწვანე საჩუქარი დაეკიდა, რომელიც დუელის დღესაც ეკეთა.

ლუი XVI სტილის პატარა ბუდუარში ვეება, მორთულ-მოკაზმული ქ-ნი პერსემიური ვიდაც ჰერცოგს ელაპარაკებოდა.

ჟორჟმა წაიხურჩულა:

— ალბათ ინტიმური საქმეები ექნებათ.

ორანჟერეაში თავისი ცოლი ხელახლა დაინახა. ლაროშ-მატიეს გვერდით იჯდა და ორივეს თითქმის ფარავდა მცენარეულობა. ისინი თითქოს ყველას ეუბნებოდნენ: „ჩვენ აქ პაემანი დავნიშნეთ, საქვეყნოდ დავნიშნეთ, რადგან საზოგადოების აზრი ჩალადაც არ მიგვაჩნია“.

ქ-მა დე მარელმა აღიარა, რომ მარკოვიჩის „ქრისტე“ საოცარი რამ იყო, და ორივენი გამობრუნდნენ. ბ-ნი დე მარელი დაეკარგათ. ჟორჟმა ჰკითხა:

— მართლა, ლორინა ისევ მიწყრება?

— ისევ მწყრალად არის. შენი ნახვა აღარ უნდა, და როცა შენზე ლაპარაკობენ, ოთახიდან გადის ხოლმე.

მან არაფერი მიუგო. იმ პატარა ქალის მტრობა სევდას ჰგვრიდა და აწუხებდა.

როცა რომელიღაც კარებში გამოდიოდნენ, სუზანამ დაიჭირა და უთხრა:

— აი, სად ყოფილხართ! აბა, ლამაზო მეგობარო, მარტო უნდა დარჩეთ, მშვენიერი კლოტილდა ჩემი ოთახის საჩვენებლად მიმყავს.

და ორივენი სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ, თანაც სტუმართა ნაკადში ისეთნაირი ტაღლიანი და მოკლაკნილი მოძრაობით მიცურავდნენ, როგორსაც ხალხში სიარულის დროს მხოლოდ ქალები ახერხებენ ხოლმე.

თითქმის იმავე დროს ვიდაცის ხმა მოესმა:

— ჟორჟ!

ქ-ნი ვალტერი იყო. მან ჩუმი ხმით განავრძო:

— ოჰ, რა სასტიკად, რა მკაცრად მეპყრობით. რად მაწვალეთ ამოდ? იმ ქალბატონის წაყვანა სუზანას მე დავავალე, რადგან თქვენთვის ორიოდე სიტყვის თქმა მინდოდა. ყური მიგდეთ. უნდა... უნდა დღესვე მოგელაპარაკოთ, თუ არა და... თუ არა და, არ ვიცი, რას ჩავიდენ. ორანჟერეაში შევდივით. მარცხნივ კარს დაინახავთ. ბაღში გახვალთ. პირდაპირ ხეივანს გაჰყევით. სულ ბოლოს პატარა ფანჩატურს მიადგებით. იქ ათიოდე წუთი მომიცადეთ. თუ არ დამეთანხმებით, დმერთმანი, აქვე, ამავე წამს, სკანდალს გაგიმართავთ.

ჟორჟმა ზვიადი ხმით უპასუხა:

— კეთილი. ათი წუთის შემდეგ თქვენს მიერ ნაჩვენებ ალაგას ვიქნები.

და ერთმანეთს დაშორდნენ. მაგრამ უაკ რივალის მეოხებით ჟორჟმა კინაღამ დაიგვიანა. მან ხელი გაუყარა ჟორჟს და გატაცებით რაღაცას გაუთავებლივ უამბობდა. ეჭვი არ იყო, სასადილო ოთახიდან მოდიოდა. ბოლოს ბ-ნი დე მარელს შეხვდნენ. ჟორჟმა რივალი მიაჩნა და გაიქცა. საჭირო იყო გაფრთხილებულიყო, რათა ცოლსა და ლაროშს არაფერი შეემჩნიათ. დღე-რუამ გასხლეტა მოახერხა, რადგან ისინი რაღაცას გაეტაცა, და უკვე ბაღში გავიდა.

ცივმა ჰაერმა მასზე ყინულის აბაზანასავით იმოქმედა. „დასწყევლოს დმერთმა, არ გავცივდე!“ — გაიფიქრა და კისერზე ხელსახოცი შემოიხვია. შემდეგ ხეივანს გაჰყვა. კარგად ვერ ხედავდა, რადგან ძლიერ განათებული ოთახებიდან გამოვიდა. მარცხნივ და მარჯვნივ გაცრეცილ ბუჩქებს არკვევდა. ფოთოლი დაცვიფრული ჰქონდათ და წვრილი შტოები უცახცახებდათ. ტოტების ბურვილში სახლიდან გამონაჟონი სინათლე კამკამებდა. შუა გზაზე რაღაც მოთეთრო გაარჩია. ქ-ნი ვალტერი აღმოჩნდა. გულამოჭრილი კაბით იყო. ჟორჟს აკანკალებული ხმით ჩასჩურჩულა:

— აქა ხარ? ჩემი მოკვლა გინდა?

მან წყნარად მიუგო:

— თუ ღმერთი გწამს, ალიაქოტს ნუ ამიტყვ, თორემ ახლავე წავალ.

დედაკაცი კისერზე მოეხვია, ტუჩი ტუჩთან მიუტანა და უთხრა:

— თქვი, რა დაგიშავე, რომ ასე უპატიოსნოდ მექცევი? თქვი, რა დაგიშავე-მეთქი? ჟორჟმა მისი მოშორება სცადა:

— ბოლოს რომ გნახე, შენი თმა ყველა ღილაკზე დამახვიე. ამის გამო კინაღამ

ცოლს გავყვარე.

— შენს ცოლს ამასთან საქმე არა აქვს. ალბათ, რომელიმე საყვარელმა აგიტყეს ალიაქოტი.

— მე საყვარლები არა მყავს.

— სჯობს გაჩუმდე. ჩემთან რატომ აღარ მოდიხარ? კვირაში თუნდაც ერთხელ რატომ არ სადილობ ჩვენსას? ხომ იცი, როგორ ვიტანჯები. იმდენად მიყვარხარ, რომ შენს გარდა ერთი აზრიც აღარა მაქვს. რასაც შევხედავ, თვალწინ შენ მიდგახარ, ხოლო პირს რომ სათქმელად გავადებ ხოლმე, მეშინია, შენი სახელი არ წამომცდეს. შენ ამას ვერ გაიგებ. მეჩვენება, თითქო რაღაც, რაღაც ჭანგებში ჩავვარდი, რაღაც პირმოკრულ ტომარაში მოვექეცი. თვითონაც არ ვიცი, რა მომდის და რით გათავდება ყველაფერი. შენი ხსენება თავს არ მანებებს, ყელში მიჭერს, აი აქ, სადღაც გულში მახრჩობს და ფეხები მეკვეთება. მე შემოიძლია მთელ დღეს უგუნური პირუტყვივით ვიჯდე სავარძელში და მხოლოდ შენზე ვფიქრობდე.

ღღუ-რუა გაოცებით შესცქეროდა. ქნი ვალტერი იმ სქელს, პატარა და ანც ქალიშვილს აღარ ჰგავდა, როგორც აქამდის ეგონა. ეს უკვე სასოწარკვეთილი, იმედდაკარგული დედაკაცი იყო, რომელიც აღარაფერს არ მოერიდებოდა. თავში რაღაც ბუნდოვანი აზრი ჩაუვარდა და თქვა:

— ჩემო ძვირფასო, მარადიული სიყვარული არ არსებობს. ერთმანეთს ნებდებიან და შორდებიან. მაგრამ როცა მას დასასრული აღარ უჩანს, იგი საშინელ უღლად გადაიქცევა ხოლმე. მე ამაზე მეტი აღარ შემოიძლია. აი, სრული სიმართლე. მაგრამ თუ შენ გონზე მოხვალ, თუ მეგობარსავით დამიხვდები და მომეპყრობი, შენს სახლში ისევ წინანდელივით ვივლი. თქვი, შეგიძლია?

მან შიშველი ხელები შავ ფრაკზე დააწყო ჟორჟს და ჩურჩულით უთხრა:

— მე ყველაფერი შემოიძლია. ოღონდ გნახო ხოლმე.

— მაშ, გადაწყვეტილია, — მიუგო ჟურნალისტმა, — ჩვენ მეგობრები ვართ და მეტი არაფერი.

— გადაწყვეტილია, — მერე ტუჩები მიუშვირა: — ერთი კოცნაც და...

უკანასკნელია...

მან რბილად უარჰყო:

— არა. სიტყვა უნდა შეინახოთ.

ქნი ვალტერი მიბრუნდა. ცრემლი მოიწმინდა. მერე კორსაჟიდან ვარდისფერი ბაბთით შეხვეული პაკეტი ამოიღო და ღღუ-რუას გაუწოდა:

— აი, შენი წილი... მაროკოს ოპერაციისა. ძალიან მიხაროდა, რომ შენთვის ცოტა რამ მოვიგე. აჰა, აიღე, აიღე, რაღა...

ჟორჟს სურდა უარი ეთქვა:

— არა, ამ ფულს არ ავიღებ.

ყოფილი საყვარელი აღშფოთდა:

— რაო? შენ არ იზამ მაგას!.. არა, არა-მეთქი! ეს ფული შენ გეკუთვნის, მარტო შენ. თუ არ აიღებ, იცოდე, სანაგვეზე გადავავადებ! ჟორჟ, ნუ მაწყენინებ!

მან აიღო პაკეტი, ჯიბეში ჩაიღო და თქვა:

— დავბრუნდეთ, თორემ ფილტვების ანთება დაგემართება.

— ნეტა ეგ მოხდეს! ნეტა სიკვდილი შემეძლოს!

და დედაკაცმა ხელი ჩამოართვა, ჟინიანად, გიჟური სასოწარკვეთით დაკოცნა და შინ გაიქცა.

ჩაფიქრებული ჟორჟი ნელი ნაბიჯით გამობრუნდა, ორანჟერეაში ღიმილით და მედიდურად შევიდა. მისი ცოლი და ლაროში იქ აღარ იყვნენ. ცხადი იყო, საცეკვაოდ დარჩენა არავის არ სურდა. ჟორჟმა სუზანას და იმის დას მოჰკრა თვალი. ხელგაყრილი დადიოდნენ. მასთან მივიდნენ და თხოვეს, მათთან და გრაფ ლატურ-იველენთან ერთად პირველი კადრილი ეცეკვა. მან გაიკვირვა:

— ეგ ვიღა არის?

სუზანამ ოდნავი გესლით უპასუხა:

— ჩემი დის ახალი მეგობარია.

გაწითლებულმა როზამ ჩუმიად თქვა:

— ბოროტი ნუ ხარ, სუზანა. თუ ის ვაჟბატონი ჩემია, მაშ შენიც ყოფილა.

ღამ გაიღიმა:

— მე ვიცი, რასაც ვამბობ.

როზა გაუწყრა, ზურგი შეაქცია და წავიდა.

ჟორჟმა მასთან დარჩენილ ქალს შინაურულად წაავლო ხელი ნიდაყვში და თავისი ალერსიანი ხმით უთხრა:

— მითხარით, ჩემო ძვირფასო, მეგობრად მიგაჩნევართ თუ არა?

— რა თქმა უნდა, ლამაზო მეგობარო.

— მენდობით?

— სავსებით.

— გახსოვთ, რას გეუბნებოდით დღეს?

— რაზე?

— თქვენს გათხოვებაზე, ანუ, უფრო სწორედ რომ გითხრათ, იმ კაცზე, ვისაც მისთხოვდებით.

— ჰო.

— კეთილი. მაშ შეგიძლიათ ერთ რამეს დამპირდეთ?

— ჰო. რას?

— იმას, რომ მე უეჭველად მკითხავთ რჩევას, როცა ვინმე თქვენს თავს ითხოვს და უჩემოდ არავის თანხმობას არ მისცემთ.

— ძალიან კარგი.

— ოღონდ ეს ამბავი ჩვენში უნდა დარჩეს. ნურც თქვენს დედა-მამას ეტყვი.

— არც ერთ სიტყვას.

— მაძლევთ პატიოსან სიტყვას?

— გაძლევთ.

რივალი საქმიანი იერით მიუახლოვდა მათ:

— მამათქვენი გთხოვთ, ქალბატონო, დარბაზში მიბრძანდეთ.

სუზანამ თქვა:

— წავიდეთ, ლამაზო მეგობარო.

მაგრამ ჟორჟმა უარი უთხრა, რადგან შინ დაბრუნება და მარტო დარჩენა გადაწყვიტა. მას ახალი საფიქრალი გაუჩნდა და ცოლს დაუწყო ძებნა. მალე იპოვა. მადლენა დღე-რეა ორ უცნობ მამაკაცთან ერთად შოკოლადს სვამდა. იმ უცნობებს თავისი ქმარი გააცნო, მაგრამ მათი გვარი არ დაასახელა. ცოტა ხნის შემდეგ ქმარმა ჰკითხა:

— შინ არ წამოხვალ?

— როგორც გინდოდეს.

ქმარს ხელი გაუყარა და წამოვიდნენ. ოთახებში ხალხი შეთხელებულიყო.

— ქნი ვალტერი სად არის? — იკითხა მადლენამ. — უნდა ძილი ნებისა ვუსურვო.

— არ დირს. თხოვნას დაგვიწყებს, ცეკვაზე დარჩითო. მე კი უკვე ყველაფერი მომბეზრდა.

— აგრეა, მართალი ხარ.

შინ მისვლამდე დუმდნენ, მაგრამ ოთახში რომ შევიდნენ, მადლენამ ღიმილით უთხრა:

— იცი რა, შენთვის ახალი ამბავი მაქვს.

ცუდ გუნებაზე მყოფმა ქმარმა წაიბურტყუნა:

— რა ამბავია?

— გამოიცანი.

— სწორედ მაგისტრის მცალია.

— მაშ, გეტყვი. ზეგ პირველი იანვარია.

— აგრეა.

— საახალწლო საჩუქრების წესი არსებობს.

— ჰო.

— აი, ლაროშის საჩუქარი. წედან გადმომცა შენთვის.

და პატარა შავი კოლოფი გაუწოდა, სადაც ჩვეულებრივ ძვირფას ნივთს ინახავენ ხოლმე.

ჟორჟმა გულგრილად გახსნა და საპატიო ლეგიონის ჯვარი დაინახა. ოდნავ გაფითრდა, მერე გაიღიმა და თქვა:

- მე ათი მილიონი მერჩინა. ეს ჯვარი ლაროშს ძვირად არ უზის. მადლენას ეგონა, გავახარებო. ქმრის გულგრილობამ კი გააბრაზა და, —
- აუტანელი ხასიათი დაგჩემდა. ახლა აღარაფერი აღარ გაკმაყოფილებს. მან დინჯად მიუგო:

- ის კაცი მხოლოდ ვალს მიხდის და ჯერ კიდევ ბევრი მართებს ჩემი. ცოლს ამ სიტყვების კილო გაუკვირდა და შენიშნა:

- რაც უნდა იყოს, შენი ხნის კაცისათვის ეგ ჯილდო მცირე რამ არ არის.

- ყოველივე შედარებითია, — მიუგო ქმარმა. — მე შემეძლო მეტიც მქონოდა.

ჟორჟმა კოლოფი აიღო, გახსნა, ბუხრის თავზე დადგა და შიგ მბრწყინავ ვარსკვლავს რამდენიმე წუთს უმზერდა. შემდეგ ისევ დახურა, მხრები აიყარა და დაწვა.

მართლაც, „მთავრობის უწყებებში“ პირველ იანვარს დაბეჭდილი იყო, რომ ჟურნალისტ პროსპერ ჟორჟ დეჟურუას განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო ლეგიონის კავალერის წოდება ებოძაო. მისი გვარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ჟორჟს ეს უფრო ესიაძვნა, ვიდრე თვითონ ორდენი.

ერთი საათი ძლივს იქნებოდა გასული, რაც მან ეს ამბავი წაიკითხა და უკვე მოედო საზოგადოებას. ჟურნალისტს ქ-ნი ვალტერისაგან წერილი მოუვიდა.

ნასაყვარლვეი ეაჯებოდა, იმ დღესვე მისულიყო მათთან სადილად ცოლთან ერთად, რათა ეს დღესასწაული აღენიშნათ. ცოტა ხანს ყოყმანობდა, შემდეგ ორაზროვნად მონაწერი ბარათი ცეცხლში შეაგდო და მადლენას უთხრა:

- დღეს ვალტერთან ვსადილობთ.

ცოლს გაუკვირდა:

- რაო? მე მეგონა, შენ გადაწყვეტილი გქონდა, მათს სახლში ფეხიც აღარ შეგედგა.

მან კბილებში გამოსცრა:

- აზრი შევიცვალე.

როცა მივიდნენ, ქ-ნი ვალტერი მარტო იჯდა ღუი XVI სტილის პატარა ბუდეურში, სადაც ახლო მეგობრებს უხვდებოდნენ ხოლმე. შავი კაბა ეცვა, თმა შეეპურდა და მომხიბლავი იერი ჰქონდა. შორიდან მოხუცებულს ჰგავდა, ახლოდან — ახალგაზრდას, მაგრამ დაკვირვებულნი კაცი მაშინვე გაარჩევდა, რომ ეს მხოლოდ თვალის მოტყუება იყო.

- მგლოვიარედ ბრძანდებით? — ჰკითხა მადლენამ.

— ვარ კიდევაც და არცა ვარ, — მიუგო მან. — არავინაც არ მომკვდომია, მაგრამ ისეთ ხანში გადავდექი, როცა ადამიანს შეუძლია თავის სიცოცხლეზე უკვე შავები ჩაიცვას. მე დღეს ჩავიცვი, რათა მეკურთხებინა იგი. ამიერიდან შავი გულშიც მექნება ჩაცმული.

დეჟურუამ გაიფიქრა: „ეს გადაწყვეტილება ნეტა დიდხანს ეყოფა?“ სადილს სევდის იერი ჰქონდა. მარტო სუზანა ტიტინებდა შეუჩერებლივ. როზა ფიქრებში იყო წასული. ყველა ულოცავდა ჟურნალისტს. სადამოხე ყველანი ბაასითა და ხეტიალით დარბაზებში და ორანჟერეაში დაიფანტნენ. დეჟურუას ქ-ნი ვალტერი მიჰყავდა. მან ოდნავ შეაჩერა ჟორჟი.

— ყური მიგდეთ, — უთხრა დაბალი ხმით. — არასოდეს აღარაფერს გეტყვით, ოღონდ... ზოგჯერ მნახეთ ხოლმე, ჟორჟ. ხომ ხედავთ, „შენ“-ობითაც კი აღარ გელაპარაკებით. უთქვენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია, ეს ჩემთვის გამოუთქმელი წამებაა. მე ისე ვგრძნობ თქვენს თავს და ისე გინახავთ ჩემს თვალებში, გულში, ტანში, დღისით და ღამითაც, თითქოს ჩემთვის საწამლავი დაგეღვეინებინოთ, რომელიც შიგნეულობას მიმდუღრავს. მე არ შემიძლია, არა, აღარ შემიძლია. მე მხოლოდ ხნიერი ქალი შემიძლია ვიყო თქვენთვის. თმა განგებ შევიჭაღარავე, რათა ჩემი სიბერე თქვენთვის მეჩვენებინა, ოღონდ ზოგჯერ მნახეთ ხოლმე, ხანგამოშვებით მეგობრულად შემოიხედე ხოლმე.

ჟორჟს ხელი ჩამოართვა და მოუჭირა, ფრჩხილები ჩააჭდო. მან წყნარად მიუგო:

- ჩვენ ყველაფერი უკვე ნათქვამი გვაქვს და საჭირო აღარ არის განმეორება.

ხომ ხედავთ, მივიღე თუ არა წერილი, უმაღვე გეახელით.

ბ-ნი ვალტერი ქალიშვილებთან და მადლენასთან ერთად მიდიოდა წინ და ჟურნალისტს „ქრისტესთან“ უცდიდა.

— წარმოიდგინეთ, — სთქვა მან სიცილით, — გუშინ ჩემი ცოლი ამ სურათის წინ მუხლმოყრილი ვიპოვე. ისე ლოცულობდა აქ, როგორც სამლოცველოში. რამდენი მაციანა!

ცოლმა მტკიცე ხმით უპასუხა, მის კილოში ჩუმი აღტაცება გამოსჭვიოდა.

— ეს ქრისტე სულს მიცხონებს. როცა ვუმზერ, სიმხნევეს და ძალას მაძლევს, — წყალზე შემდგარი ქრისტეს წინ გაჩერდა და ჩურჩულით დაუმატა: — რა ლამაზია! როგორ ეშინიათ ადამიანებს მისი და როგორ უყვართ! შეხედეთ მის თავს, თვალებს, რა უბრალოა და იმავე დროს რა საუცხოო!

სუზანამ წამოიძახა:

— თქვენა გგავთ, ლამაზო მეგობარო! თქვენ რომ წვერი გქონდეთ, ან მას რომ მოპარსოთ, ტყუპები იქნებოდით. ღმერთმანი, საოცარი მსგავსებაა!

სუზანას უნდოდა, დღე-რეა სურათთან დამდგარიყო და მაშინ მართლაც ყველანი დარწმუნდებოდნენ, თუ რაოდენ დიდი მსგავსება იყო მათ შორის.

ყველას გაუკვირდა. ვალტერს ეს მსგავსება უცნაურობად მოეჩვენა. მადლენამ კი ღიმილით თქვა: ქრისტეს უფრო ვაუკაცური იერი აქვსო.

ქ-ნი ვალტერი უძრავად იდგა, ქრისტეს გვერდით მდგომ თავის ყოფილ საყვარელს ჩაშტერებით უმზერდა, სახეზე თავისივე თმის ფერი ედო.

თავი მერვე

მთელი ზამთრის მანძილზე დღე-რეა ხშირი სტუმარი იყო ვალტერის ოჯახისა. ზოგჯერ მარტო მივიდოდა ხოლმე სადილად, რადგან მადლენა დადლილობას უჩიოდა და შინ დარჩენა ერჩივნა. ჟორჟმა სტუმრად მისასვლელად პარასკევი დაიხემა და ქ-ნი ვალტერი იმ დღეს არავის იღებდა ხოლმე, რადგან პარასკევი მარტო მას, მარტო ლამაზ მეგობარს ეკუთვნოდა. სადილის შემდეგ ქალაქს თამაშობდნენ, ჩინურ თევზებს პურს აჭმევდნენ, ისვენებდნენ და შინაურულად ერთობოდნენ.

ხშირად სადმე კარს უკან, ორანჟერეაში, ბუჩქთან, ან სადმე ბნელ კუთხეში დიასახლისი ჟორჟს მოულოდნელად გულზე მიიკრავდა, მთელი ძალ-ღონით მიიხიდავდა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— მიყვარხარ... მიყვარხარ-მეთქი... სიკვდილამდე მიყვარები...

მაგრამ ყოფილი საყვარელი მუდამ ცივად იშორებდა და მკვახედ ეტყოდა ხოლმე:

— თუ წინანდებურად მომექცევით, სულაც აღარ მოვალ.

მარტის დასასრულს უცებ ხმა დაირხა, ორივე და თხოვდებო: როზა გრაფ დე ლა ტურ იველინზე, სუზანა კი — მარკიზ დე კაზოლზე. ეს ორი კაცი გაუშინაურდა ვალტერის ოჯახს, უბრალოდ კი არ გაუშინაურდა, არამედ ისე, რომ მათ აშკარა უპირატესობას აძლევდნენ და განსაკუთრებულ პატივს დებდნენ.

ჟორჟი და სუზანა ერთმანეთს ისევ მეგობრულად, ისევ და-ძმური სილადით ეპყრობოდნენ. საათობით ყბედობდნენ, ყველას დასცინოდნენ და, როგორც ეტყობოდათ, ერთმანეთიც მოსწონდათ. ამავე დროს, არასოდეს არ უხსენებიათ არც ახალგაზრდა ქალის გათხოვება და არც დროგამოშვებით შემოსული მთხოვნელი.

ერთხელ ვალტერმა დღე-რეა საუზმედ მოიყვანა შინ. საუზმის შემდეგ ქ-ნი ვალტერი მოსაღლაპარაკებლად გაიხმეს. მაშინ ჟორჟმა უთხრა სუზანას:

— წამო, თევზებს ვაჭამოთ.

თითომ პურის დიდი ნაჭერი აიღო და ორანჟერეაში გავიდნენ. მარმარილოს აუზის ირგვლივ ბალიშები ეწყო, რათა ზედ დაეჩოქათ და მოცურავე თევზებთან ახლო ყოფილიყვნენ. ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა ბალიშები აიღეს, ერთმანეთის გვერდით დაიხოქეს, აუზზე დაიხარნენ და დასორსლილ პურს წყალში ყრა დაუწყეს. დაინახეს თუ არა თევზებმა, ბოლოების ქნევით ახლო მოცურდნენ, დიდსა და გადმოკარკლულ თვალებს ატრიალებდნენ, იყვინთებოდნენ, ფსკერისკენ მინადენ დავლას იჭერდნენ და ახლის მოლოდინით უმაღლეს ამოტივტივდებოდნენ ხოლმე.

პირს მეტად სასაცილოდ აღებდნენ, სწრაფად და მოულოდნელად ხტოდნენ განზე, უცნაურად იბრანჭებოდნენ და რაღაც პატარა ურჩხულებს ემსგავსებოდნენ.

ჟორჟი და სუზანა წყალში თავიანთ სახეებს ხედავდნენ და უღიმოდნენ. უცებ დღე-რეა ჩუმი ხმით უთხრა:

- სუზანა, კარგს არ სჩადიხართ, რომ მიმალავთ...
- რა მოხდა, ლამაზო მეგობარო? — ჰკითხა მან.
- დაგავიწყდათ, რას შემიპირდით, აი, ამავე ადგილზე, იმ საღამოს?
- აღარ მახსოვს.
- უნდა ჩემთვის რჩევა გეკითხათ, როცა კი ვინმე თქვენს თხოვას მოისურვებდა.
- მერე რა?
- თქვენი თავი უკვე ითხოვეს.
- ვინ?
- თქვენც კარგად იცით.
- გარწმუნებთ, არ ვიცი.
- იცით-მეთქი, იმ გრძელფეხა მარკიზმა, პრანჭია დე კაზოლმა გითხოვათ.
- ჯერ ერთი, პრანჭია არ არის.
- შესაძლებელია, სამაგიეროდ, სულელია, თამაშით გაკოტრებული და ქეიფით

ქანცმიღებული. ღმერთმანი, ძალიან კარგი ქმარი გეყოლებათ — ლამაზი, ქორფა და ჭკვიანი.

ქალმა ღიმილით ჰკითხა:

- მაინც რას უწუნებთ?
- მე? არაფერს.
- არა, გულში რაღაც გიდევთ. ის სულაც არ არის ეგეთი, როგორც გგონიათ.
- აბა რა სათქმელია! ინტრიგანია და სულელი.

სუზანამ წყალს თვალი მოსწვივია და ოდნავ მობრუნდა.

— მითხარით, რა დაგემართათ?

ჟორჟმა ისე უპასუხა, თითქოს სიღრმიდან საიდუმლო ამოგლიჯესო:

- მე... მე... ის დამემართა, რომ ეჭვი მტანჯავს.

ქალს ოდნავ გაუკვირდა:

- თქვენ?
- დიახ, მე.
- რატომ?
- იმიტომ, რომ... მიყვარხართ და ჩემი სიყვარული თქვენც კარგად იცით,

აგებულ.

მაშინ სუზანამ სუსხით მიუგო:

- გაგიჟებულხართ, ლამაზო მეგობარო.
- მეც ვიცი, რომ სიგიჟეს ვროშავ, — მიუგო მან, — მეც არ ვიცი, როგორ გიბედავთ ამის თქმას. მე ცოლი მყავს, თქვენ კი ახალგაზრდა ქალიშვილი ბრძანდებით. გიჟზე მეტიცა ვარ. ბოროტმოქმედი, მდაბალი ბოროტმოქმედი ვარ. მაგრამ მე იმედი აღმეკვეთა და ამან გონებაც დამიკარგა. და როცა თქვენზე მესმის, თხოვდებო, ისე გხედლები, რომ ლამის ვინმე შემომაკვდეს. შემინდეთ ეს სიგიჟე, სუზანა.

და დადუმდა. თევზები გახევდნენ, რადგან საკვებს აღარ უყრიდნენ, ერთ წყებაზე გამწკრივდნენ, ინგლისელ სალდათებს ჰგავდნენ და ახალგაზრდების დახრილ სახეებს შესცქეროდნენ, მაგრამ მათ თევზებისათვის აღარ ეცალათ.

ქალმა ნახევრად მხიარული კილოთი და ჩუმი, სევდანარევი ხმით უთხრა:

- ძალიან ვნანობ, რომ ცოლიანი ხართ. მაგრამ რა ვქნა. გვიანდაა, საქმე

გათავებულა.

ჟორჟი უცებ მიუტრიალდა, თავი ახლო მიუტანა და თითქმის პირში უთხრა:

- უცოლო რომ ვყოფილიყავი, გამომყვებოდით?

მან წრფელი გულით მიუგო:

- ჰო, ლამაზო მეგობარო, გამოგყვებოდით, ყველაზე მეტად თქვენ მომწონხართ.

ჟორჟი წამოდგა და ბორძიკით მიუგო:

- გმადლობთ... გმადლობთ. გემუდარებით, ნურავის ნუ მისცემთ თანხმობას. ცოტა კიდევ მოიცადეთ. გეხვეწებით. პირობას მაძლეეთ?

ქალს მისი ზრახვა არ ესმოდა. ოდნავ დარცხვენილი იყო და ჩურჩულით მიუგო:

- ჰო, გაძლევთ.

ღღუ-რუამ პურის დიდი ნატეხი თევზებს მიუგდო, ქალს არც კი გამოეთხოვა და გახედებულებით გამოიქცა.

თევზები ეცნენ პურს, რომელიც დახედილი არ იყო და წყლის ზედაპირზე დაცურავდა, და თავიანთი გაუმაძღარი პირებით ხარბად დაუწყეს გლეჯა. აუზის მეორე

კუთხეში წაათრიეს და მის ქვეშ მოძრავი მტვეანივით შეიკვრნენ, რაღაც ცოცხალ და მბრუნავ ყვავილს დაემგავსნენ, რომელიც თითქოს ყირამალა ჩავარდნილიყო წყალში. გაოცებული და შემკრთალი სუზანა წამოდგა და ნელი ნაბიჯით გამობრუნდა. უერნალისტი აღარსად იყო.

ჟორჟი გულდამშვიდებული დაბრუნდა შინ. მადლენა წერილს წერდა. ცოლს ჰკითხა:

— პარასკევს ვალტერთან ვსადილობ. შენც ხომ წამოხვალ?

მადლენა ჩაფიქრდა:

— არა. ოდნავ უქეიფოდ ვარ და შინ ჯდომა მირჩევნია.

— როგორც გსურდეს. ძალას არ დაგატან.

ქული აიღო და მაშინვე გამოვიდა. დიდი ხანია დღე-რუა თავის ცოლს თვალს ადევნებდა, მის კვალს დასდევდა და ყოველი მისი ნაბიჯი იცოდა. ბოლოს, დიდი ხნის ნალოდინევი ჟამიც დაუდგა, ცოლის ნათქვამის კილომ, — „შინ ჯდომა მირჩევნიაო“, — ქმარი ვერ მოატყუა.

მომდევნო დღეების განმავლობაში ცოლს თავაზიანად ეპყრობოდა. მხიარულადაც იყო, ეს კი იმ ხანებში იშვიათად ემჩნეოდა.

ცოლმა შენიშნა:

— შენ ისევ წინანდელ ჟორჟად გადაიქეცი.

პარასკევს საკმაოდ ადრე ჩაიცვა, რადგან, მისივე სიტყვით, სანამ პატრონს ეწვეოდა, რამდენიმე ადგილას უნდა შეეველო. ექვს საათზე ცოლს აკოცა და კარგის დასაქირავებლად ნოტრ დამ დე ლორეტის ფორზე გავიდა. მეეტლეს უთხრა:

— ფონტენის ქუჩაზე მე-17 ნომრის წინ განჩერდებით და იმდენ ხანს იდგებით, სანამ წასვლას არ გეტყვით. შემდეგ ლაფაეტის ქუჩაზე რესტორან „ხოხობში“ წამიყვანთ.

ეტლი ნელი ჩორთით დაიძრა. დღე-რუამ ფარდები ჩამოშშვა, კარეტა თავისი სახლის წინ შეაჩერა და შესასვლელს დაუწყო თვალთვალი. ათი წუთის ლოდინის შემდეგ იქიდან გამოსული მადლენა დაინახა, რომელიც გარეუბნის ბულვარისაკენ წავიდა. როცა მან დიდი მანძილი გაიარა, დღე-რუამ სარკმელში თავი გამოჰყო და შესძახა:

— აბა, წადი!

კარეტა დაიძრა და მგზავრი იმ უბანში ცნობილ საშუალო რესტორან „ხოხობში“ მიიყვანა. ჟორჟი საერთო დარბაზში შევიდა, სადილი შეუკვეთა და აუჩქარებლივ შეჭამა, თანაც დროგამოშვებით საათზე იხედებოდა. შემდეგ ყავა დალია, ორი მცირე ჭიქა კონიაკი დააყოლა, ერთი კარგი სიგარა მოსწია, რვის-ნახევარზე გამოვიდა, იქვე მიმავალი ცარიელი ეტლი დაიქირავა და ლა რომ ფუკოს ქუჩაზე წასვლა უბრძანა.

ერთი პატარა სახლის წინ გააჩერა, მეკარეს არ დაეკითხა, მეოთხე სართულზე ავიდა და, როცა მოახლემ კარი გაუღო, ჰკითხა:

— ბატონი ჟილბერ დე ლორში შინ ბრძანდება?

— დიახ, ბატონო.

და სასტუმროში შეაცილა. ცოტა ხანს აცდევინეს. შემდეგ ვინმე მაღალი და ორდენიანი კაცი გამოვიდა, რომელსაც ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე ჭაღარა ერია და მხედრული მიმოსვრა ჰქონდა.

დღე-რუამ საღამო მისცა და უთხრა:

— ბატონო კომისარო, როგორც მეგონა, ჩემი ცოლი ამჟამად მართლა თავის საყვარელთან სადილობს მარტირის ქუჩაზე, დაქირავებულ ბინაზე.

მოსელემ თავი დაუკრა:

— მიბრძანეთ, ბატონო ჩემო.

— თქვენ, მეგონი, — განავრძო ჟორჟმა, — მეგონი, მხოლოდ ცხრა საათამდე გაქვთ დრო. შემდეგ კი კერძო ბინაში შესვლისა და მრუშობის დადასტურების უფლება აღარა გაქვთ, არა?

— ზამთრობით მხოლოდ შვიდ საათამდე, ხოლო 31 მარტიდან — ცხრა საათამდე. დღეს ხუთი აპრილია, მაშასადამე, დრო გექნია.

— კეთილი, ბატონო კომისარო. ქვევით ეტლი გველოდება. შეიძლება აგენტები ვიახლოთ. შემდეგ კი კარებთან მოვიცდით. რაც უფრო გვიან შევალთ, უფრო ადვილად დავიჭერთ.

— როგორც გნებავდეთ.

კომისარი გავიდა, მერე პალტოგადაცმული დაბრუნდა, რომელიც სამფერა სარტყელს ჰფარავდა. მან უკან დაიხია, რათა დეჟურუა გაეშვა წინ, მაგრამ ჟურნალისტი ფიქრებში იყო გართული და იმეორებდა:

— თქვენს შემდეგ, ბატონო, თქვენს შემდეგ გავივლი.

მოსვლემ მიუგო:

— გთხოვთ მიბრძანდეთ, ბატონო ჩემო. მე ჩემს სახლში გახლავართ.

ჟორჟმა თავი დაუკრა და ღირეს გადმოალაჯა. ჯერ კომისარიატში წავიდნენ, სადაც სამოქალაქო ტანისამოსით გამოწყობილი სამი აგენტი იცდიდა, რადგან დილასვე გააფრთხილა, რომ ის სადამოს ცოლის დაჭერას აპირებდა მრუშობაზე. ერთი აგენტი მეეტლეს გვერდით მიუჯდა კოფოზე, ხოლო ორი კარეტაში ჩაჯდა, რომელიც მარტირის ქუჩისკენ წავიდა.

დეჟურუამ კომისარს შეატყობინა:

— მე ბინის გეგმა მაქვს, მესამე სართულზეა. ჯერ მცირე ტალანი იქნება, შემდეგ სასადილო, ბოლოს კი — საწოლი ოთახი. გასაქცევად სხვა კარი არა აქვთ. იქვე ახლო ზეინკალი ცხოვრობს. თუ დაგვჭირდა, მზად იქნება.

როცა ნაჩვენებ სახლთან მივიდნენ, ცხრის თხუთმეტი იყო. გაჩუმებულები ისხდნენ და ოციოდე წუთს იცდიდნენ. როცა დეჟურუამ დაინახა, რომ ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა, თქვა:

— ახლა კი შევიდეთ.

მეკარეს ყური არ ათხოვეს, რომელმაც ისინი ვერც კი დაინახა, და კიბეზე ავიდნენ. ერთი აგენტი გამოსავალი კარის დასაცავად დარჩა გარეთ.

მესამე სართულის ბაქანზე ოთხი კაცი შედგა. დეჟურუამ კარს ჯერ ყური მიაღო, შემდეგ კლიტეს ნაჩურეტში შეიხედა. არც რაიმე მოჩანდა, არც ხმაური ისმოდა. ზარი დარეკა.

კომისარი აგენტებს მიუბრუნდა:

— თუ დაგიძახოთ, მზად იყავით. ჯერ აქ იდექით.

და ლოდინი დაიწყო. ორი-სამი წუთის შემდეგ ჟორჟმა ზარის დილს ზედიზედ რამდენჯერმე ოდნავ დააჭირა თითი. ბინის სიღრმეში ხმაურობა მოისმა, შემდეგ ვიღაც მსუბუქი ნაბიჯით მოახლოვდა. მაშინ ჟურნალისტმა ხის კარზე მოკაკული თითით დაარახუნა მძლავრად.

ქალმა ოდნავ შეცვლილი ხმით ჰკითხა:

— რომელი ხართ?

პოლიციის კომისარმა განუცხადა:

— კანონის ძალით, კარი გააღეთ!

— ვინ ბრძანდებით? — გაიმეორა ქალის ხმამ.

— პოლიციის კომისარი გახლავართ: გააღეთ, თორემ შემოვამტვრევ.

— რა გნებავთ? — მოისმა შიგნიდან.

— ეს მე ვარ, — შესძახა დეჟურუამ. — ტყუილადღა ეცდებით, დაგვემალეთ.

კარს შიშველი ფეხის ხმა მოშორდა, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ ისევ მოახლოვდა.

ჟორჟმა უთხრა:

— თუ არ გააღებთ, კარს გავტყხავთ.

ხელს სახელურზე უჭერდა და კარს მხრით აწვეებოდა. რადგან პასუხი არ იყო, უცებ ისე მძლავრად დაეტაკა, რომ მორთული ოთახების ძველმა კლიტემ ვედარ გაუძლო. კარს ხრახნილები მოსწყდა და ჟორჟი კინადამ მადლენას დაეცა, რომელიც მხოლოდ პერანგისა და ქვემო კაბის ამარა იდგა. თმა გაწეწილი ჰქონდა, ფეხშიშველა იყო და ხელში სანთელი ეჭირა.

ჟორჟმა შესძახა:

— ის არის, დავიჭირეთ! — და ოთახებს ეცა.

კომისარმა ქუდი მოიხადა და გაჰყვა. შეშინებული ახალგაზრდა დედაკაცი უკან მისდევდა და გზას უნათებდა. სასადილო გაიარეს, რომელიც აულაგებელი იყო და მაგიდაზე ნასუფრალი ეყარა: შამპანურის ცარიელი ბოთლები, პაშტეტის ნარჩენი, ქათმის ძვლები და პურის ნატყეხები. ორ თეფშზე ოსტრაკუს ნიჟარა ეყარა.

ოთახი ისე იყო არეული, თითქოს მდგმურებს ეს არის ახლა ჩხუბი ჰქონდათ. კაბა სკამის საზურგეზე ეკიდა, შარვალს სავარძლის სახელურზე გადაელაჯებინა. ორი

წყვილი ფეხსაცმელი — ერთი მოზრდილი და ერთიც პატარა — საწოლი ტახტის ფეხებთან გვერდზე გადაბრუნებული ეყარა.

მორთული სახლის ჩვეულებრივი ოთახი იყო, უბრალო ავეჯით შემკული.

ყველაფერს სასტუმროს საძაგელი, საზიზღარი სუნი ასდიოდა, — ფარდებს, ლეიბებს, კედლებს, სკამებს, — იმ ადამიანთა სუნი, ვისაც ოდესმე ამ ბინაში ეცხოვრა, ან მხოლოდ სძინებოდა, ზოგს ერთი დღე, ზოგს ექვსი თვე, და ყველას საკუთარი სუნი დაეტოვებინა. ეს სუნი წინამორბედი მდგმურების სუნში ირეოდა და თანდათან რაღაც გაურკვეველ უხამსურ და აუტანელ სიმყრალედ გადაქცეულიყო, რომელიც ყველა ასეთ ალაგას ერთნაირია ხოლმე.

ბუხრის თავზე უწესრიგოდ იდგა ტკბილი ნამცხვრით სავსე თევზში, ერთი ბოთლი შარტრეზი და ორი გამოუცვლელი პატარა ჭიქა, ხოლო ქუდი საათზე ჩამოეფხატათ.

კომისარი სწრაფად მობრუნდა, მადლენას თვალებში შეხედა და ჰკითხა:

— თქვენ ქნი კლარა-მადლენა დღე-რუა ბრძანდებით, აქ მყოფი პუბლიცისტის პროსპერ ჟორჟის კანონიერი მეუღლე, არა?

მან შეხუთული ხმით უპასუხა:

— დიახ.

— აქ რას აკეთებთ?

მან არაფერი მიუგო. ხოლო კანონის მცველმა განაგრძო:

— აქ რას აკეთებთ-მეთქი? მორთულ ოთახებში გხედავთ, თითქმის გახდილი ბრძანდებით. აქ რისთვის მობრძანდით? — ერთ წუთს მოუცადა, და რადგან მადლენა ისევ დუმდა, დაუმატა: — რადგან არა გსურთ განმარტება მიზოძით, იძულებული ვარ ოქმის შედგენას შევეუდგე.

ლოგინში, საბნის ქვეშ, ადამიანის ტანი მოჩანდა. კომისარი მივიდა და დაუძახა:

— მოწყალეო ხელმწიფე!

საბანში გახვეული უცნობი არ ინძრეოდა. როგორც ჩანდა, კედლისკენ იწვა და თავი სასთუმლის ქვეშ ჰქონდა ჩამალული. ხელისუფალმა იმ ალაგას დაადო ხელი, რაც, ალბათ, მხარი უნდა ყოფილიყო, და გაუმეორა:

— გთხოვთ, ძალას ნუ მახმარებინებთ.

მაგრამ გახვეული კაცი კვლავ მკვდარივით უძრავად ეგდო. დღე-რუაც მივიდა. სწრაფად დასტაცა ხელი, საბანი ახადა, ბალიშიც ააგლიჯა და ლაროშ-მატიეს ჯივრისფერი სახე გამოაჩინა. ჟორჟი დაიღუნა, თან წყურვილით კანკალებდა, რათა ყელში სწვდომოდა და მიეხრჩო, და კბილების კრაჭუნით უთხრა:

— იმდენი გამბედაობა მაინც გამოიჩინეთ, რომ თქვენს არამზადობაში გამოტყდეთ.

კანონის დარაჯმა ერთხელ კიდევ ჰკითხა:

— ბატონო, ვინ ბრძანდებით-მეთქი? — და რადგან მეხნაკრავი საყვარელი პასუხს არ იძლეოდა, განაგრძო: — მე პოლიციის კომისარი გახლავარ და თქვენს ვინაობას მოვითხოვ.

ცხოველური სიბრაზით აცახცახებულმა ჟორჟმა შესძახა:

— ლაჩარო, უპასუხეთ რაღა, თორემ მე თვითონ დაგასახელებთ!

მაშინ მწოლიარემ ხმა ამოიღო:

— ბატონო კომისარო, ამ კაცს ნებას ნუ მისცემთ სასაცილოდ ამიგდოს. ვისთან მაქვს საქმე, თქვენთან თუ ამასთან? თქვენ უნდა გიპასუხოთ, თუ ამას?

ხახა თითქოს სულ გამშრალი ჰქონდა.

— თქვენ ჩემთან გაქვთ საქმე, — მიუგო კანონის მცველმა, — მარტო ჩემთან. ისევ გეკითხებით, ვინ ბრძანდებით-მეთქი?

ის მაინც დუმდა. საბანი ნიკაპამდე მოიბურა და თვალებს აბნეულად აცეცებდა.

მისი აგრეხილი პატარა უღვაში სულ შავად მოსჩანდა. კომისარმა განაგრძო.

— პასუხის მოცემა არა გსურთ? მაშ იძულებული ვარ, დაგაპატიმროთ. ასეა თუ ისე, დროა წამოდგეთ. როცა აღგებით, დაგკითხავთ.

ლოგინში მწოლიარე სხეული შეინძრა, ხოლო მისმა თავმა წაიწურჩულა:

— კეთილი, მაგრამ არ შემიძლია თქვენს თვალწინ...

— რატომ? — იკითხა მოხელემ.

— რადგან... რადგან მე... მე... სულ ტიტველი ვარ.

დღე-რუამ გადიხარხარა, იატაკზე ჩავარდნილი პერანგი აიღო, ლოგინზე მიუგდო და უთხრა:

— აბა, წამოდექით. რაკი ჩემი ცოლის თვალწინ გახდა შესძელით, ჩემს თვალწინ ჩაცმასაც მოახერხებთ.

მერე მობრუნდა და ბუხართან შედგა.

მადლენას სიღინჯე დაუბრუნდა. რადგან ყველაფერი გათავებული იყო, გადაწყვიტა, აღარაფერს მორიდებოდა. თვალეები გამომწვევი სითამამით აენტო. ქალაღლი დაახვია და ბუხრის თავზე მახინჯ შანდლებში ათივე სანთელი თითქოს საზეიმოდ აანთო. შემდეგ მარმარილოს ბუხარს მიეყუდა, ქვედა კაბა უკნიდან ზევით აიწია, შიშველი ფეხი ბუხარს მიუშვირა, ვარდისფერი კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

კომისარი ახლა მას მიუბრუნდა, სანამ მადლენას თანაზიარი ჩაიცვამდა.

მან კადნიერად ჰკითხა მოხელეს:

— ხშირად გიხდებათ ასეთი საქმის შესრულება?

კომისარმა მკაცრად უპასუხა:

— რაც შეიძლება იშვიათად, ქალბატონო.

— თქვენს მაგიერ მე მიხარია, — პირში გაუცინა კომისარს, — არც იმდენად სუფთა საქმეა.

მადლენა თავს იკატუნებდა, თითქო თავის ქმარს არ ამჩნევდა. ლოგინში მწოლიარე ვაჟბატონი ტანს იმოსავდა, ფეხსაცმელი და შარვალი ჩაიცვა და მიუახლოვდა, თანაც ჟილეტს იკრავდა. პოლიციის ოფიცერმა მიმართა:

— გნებავთ ახლა თქვენი გვარი დაასახელოთ?

მან არ უპასუხა. კომისარმა წარმოთქვა:

— მაშ იძულებული ვიქნები, დაგაპატიმროთ.

მაშინ უცნობმა უეცრად წამოიძახა:

— ხელს ნუ მახლებთ, ჩემი პიროვნება შეუხებელია.

დღუ-რუა ისე ეცა, თითქოს მისი დაბეგვა უნდაო, და შიგ პირში ჩაუსისინა:

— თქვენ წაგასწრეს. ბოროტმოქმედებაზე წაგასწრეს. თუ მოვისურვე, დაგაპატიმრებენ... დიახ, თუ მე მოვისურვე... — მერე მართლვარე ხმით დაუმატა: — ეს კაცი ლაროშ-მატიე გახლავთ, საგარეო საქმეთა მინისტრი.

განცვიფრებულმა პოლიციის კომისარმა უკან დაიხია და წაიბუტბუტა:

— ახლა კი სერიოზულად გეკითხებით, გნებავთ თუ არა თქვენი ვინაობა დაასახელოთ?

მან გაბედა და ძაღდატანებით წარმოთქვა:

— ამ არამზადამ ახლა კი სიმართლე თქვა: მე მართლა მინისტრი ლაროშ-მატიე გახლავართ. — შემდეგ დღუ-რუას მკერდზე მიუთითა, საცა პატარა ხალი ცეცხლივით მოჩანდა, და დაურთო: — აი ეს სალახანა იმ ჯილდოს ატარებს თავის ფრაკზე, რომელიც მე მივეცი.

დღუ-რუას ჭარხლის ფერი დაედო. საპატიო ლეგიონის ლენტი უმაღვე მოიგლიჯა, ცეცხლში შეაგლო და მიაყოლა:

— აი, რა ფასი აქვს თქვენისთანა ქვემდრომის საჩუქარს!

ორივენი პირისპირ იდგნენ, ორივე გაანჩხლებული იყო და მუშტები შემზადებული ჰქონდათ, ერთი — გამხდარი და უღვაშდაწეული, მეორე კი — სრული და უღვაშაგრეხილი.

კომისარი სწრაფად ჩადგა შუაში და თქვა:

— ბატონებო, გონიერებას ნუ დაკარგავთ!

ისინი დადუმდნენ და ერთმანეთს ზურგი შეაქციეს. მადლენა უძრავად იდგა, იღიმებოდა და ისევ პაპიროსს აბოლებდა.

პოლიციის მოხელემ განაგრძო:

— ბატონო მინისტრო, თქვენ და აქ მეოფ ქალბატონ დღუ-რუას მარტო მოგასწარით. თქვენ ლოგინში იწეკით, ეს კი თითქმის ტიტველი ბრძანდებოდა. ორივეს ტანისამოსი არეულია და უწესრიგოდ ყრია ამ ბინაში. ეს ყოველივე პირდაპირი საბუთია მრუშობისა. თქვენ ვერ უარყოფთ. რას მიბრძანებთ ამის საპასუხოდ?

ლაროშ-მატიემ წაიწურწულა:

— არაფერს. შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

კომისარი მადლენას მიუბრუნდა:

— ქალბატონო, აღიარებთ, რომ ეს ბატონი თქვენი საყვარელია?

მან გამომწვევი ხმით მიუგო:

— უარს არ ვამბობ: ჩემი საყვარელია.

— სრულებით საკმარისია.

შემდეგ კომისარმა რამოდენიმე შენიშვნა ჩაიწერა იმის შესახებ, თუ ოთახები როგორ იყო არეული და მოწყობილი. როცა წერა დაასრულა, მინისტრი უკვე ჩაცმული იყო. პალტო ეცვა, ხელში ჯოხი ეჭირა და მოხელეს უცდიდა. მერე ჰკითხა:

— კიდევ გჭირდებით? ხომ აღარაფერი მევალება? შემიძლია წავიდე?

დღუ-რუა მიუბრუნდა, კადნიერად გაუღიმა და უთხრა:

— რად მიდიხართ? ჩვენ ჩვენი შევასრულეთ და ისევ დაგტოვებთ, შეგიძლიათ ისევ ლოგინში ჩაწვეთ. — კომისარის სახელოს შეეხო და დაუმატა: — წავიდეთ, ბატონო კომისარო. აქ არავითარი საქმე აღარ გვაქვს.

ოდნავ გაოცებული კომისარი გამოჰყვა ყორუს, რომელიც კარის დირეზე შედგა, რათა კანონის მცველისთვის გზა დაეთმო. მან თავაზიანად დაიწია, დღუ-რუა თავის ნათქვამზე იდგა:

— გთხოვთ, ბატონო.

კომისარმა მიუგო:

— თქვენს შემდეგ, ბატონო ჩემო.

მაშინ ჟურნალისტმა თავი დაუკრა და ირონიული თავაზით უპასუხა:

— ახლა თქვენი ჯერია, ბატონო კომისარო. მე ამ სახლში თითქმის შინ გახლავართ.

შემდეგ კარი ნელა და მორიდებით გამოიხურა.

ერთი საათის შემდეგ დღუ-რუა „საფრანგეთის ცხოვრების“ რედაქციაში შედიოდა. ვალტერი უკვე იქ იყო: თავის გაზეთს უწინდელივით განაგებდა და ბეჯითად აღევნებდა თვალყურს. მას უამრავი მკითხველი მიემატა და იგი ვალტერის ბანკის გაფართოებულ ოპერაციებს დიდად უმაგრებდა ზურგს.

გამომცემელმა თავი ასწია და ჰკითხა:

— აქ ბრძანდებით? რაღაც უცნაური იერი გაქვთ. რატომ დღეს სადილად არ მოხვედით? საიდან მოდიხართ?

ახალგაზრდა კაცმა სათქმელის ძალა გაზომა და ყოველი სიტყვა ხაზგასმით გამოთქვა:

— ეს-ეს არის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვაგდე.

ვალტერს ჯერ ხუმრობა ეგონა:

— ჩამოვაგდე... ნეტა როგორ?

— მე კაბინეტს ვცვლი, მორჩა და გათავდა! ის ქვემძრომი დიდი ხანია გასაგებები იყო.

ბებერი გამომცემელი განცვიფრებული იყო და გაიფიქრა: ალბათ, დათვრაო, და წაიხურჩულა:

— კარგი, გაათავეთ. უცნაურ რაღაცას მეუბნებით.

— სულაც არა. ბატონი ლაროშ-მატიე და ჩემი ცოლი დავიჭირე. პოლიციის კომისარმა ოქმი შეადგინა. ჩვენი მინისტრის საქმე გათავებულა.

ვალტერი გაშტერებული იყო. სათვალე შუბლზე აიზიდა და ჰკითხა:

— ხომ არ დამცინით?

— სულაც არა. ახლავე შესაფერ ქრონიკასაც დაეწერ.

— კეთილი, მაგრამ... მიზნად რა გაქვთ?

— ამ ქურდის, ამ საღახანას, საზოგადოების ამ მავნე კაცის მოსპობა. — ქუდი სკამზე დადო და მიუმატა: — გაფრთხილდეს, ვინც გზაზე გადამეღობება! არასოდეს არავის არ დავინდობ.

გამომცემელს მაინც არ ესმოდა.

— მაგრამ... მაგრამ თქვენი ცოლი? — წაიხურჩულა.

— ხვალ დილით განცხადებას შევიტან და გაყრას მოვითხოვ. დეე, ისევ განსვენებული ფორესტიეს ცოლად გადაიქცეს.

— მაშ გაყრა გსურვებით.

— რა თქმა უნდა. ქვეყნის მასხარად გამხადა. საჭირო იყო, თავი სულელად მომეჩვენებინა, რათა ისინი მრუშობაში დამეჭირა. ახლა კი საქმე გათავებულა და საქმის მბრძანებელი ამჟამად მე გახლავართ.

ვალტერი ჯერ გონს ვერ მოსულიყო და თანამშრომელს გაოცებული თვალებით შესცქეროდა, თანაც ფიქრობდა: „დასწყევლოს ღმერთმა, ამ ეშმაკთან მორიგებით უნდა ვიცხოვრო!“

— ამიერიდან თავისუფალი ვარ, — განაგრძო ჟორჟმა. — მცირედენი ფული მაქვს. ოქტომბრის დასაწყისს არჩევნებში კანდიდატად გამოვალ ჩემს ოლქში, იქ ძალიან კარგად მიცნობენ. ასეთ ცოლთან ერთად, რომელსაც ყველა ეჭვის თვალით უყურებდა, ღირსეულ ალაც ვერ დავიჭერდი და ვერც შესაფერ პატივს მოვიპოვებდი. გამატუტუცა, მომატყუა, მომხიბლა და ტყვედ ჩამიგდო. მაგრამ გავუგე თუ არა გველობა, უმაღვე თვალი ავადევენე. — გაიცინა და დაუმატა: — საწყალი ფორესტიე ნამდვილი რქოსანი გამოდგა... მინდობილი, გულმართალი და ბეყენა კაცი იყო. მაგრამ ის სამკაული, რომელიც მან ანდერძად დამიტოვა, თავიდან მოვიშორე. ახლა ხელ-ფეხი გახსნილი მაქვს. ამიერიდან მე შორს წავალ.

სკამს გადააღაჯა და ჩაფიქრებით გაიმეორა:

— დიახ, ახლა კი შორს წავალ.

ბებერი ვალტერი ისევ ფართოდ გახელილი თვალებით უმზერდა და თავისთავს ეუბნებოდა: „დიახ, ეს გაიძვერა შორს წავა“.

ჟორჟი წამოდგა:

— ახლა საქრონიკო შენიშვნას დავწერ. დარბაისლურ კილოზე უნდა შევადგინო. მაგრამ იგი მინისტრისთვის საშინელი რამ იქნება. ლაროში გათავებული კაცია. ვერაფერიც ვეღარ უშველის. აღარც ჩვენმა გახეთმა უნდა დაინდოს, აღარ გეჭირდება.

ვალტერი რამდენიმე წუთს ყოყმანობდა. შემდეგ კი გაბედა:

— მაშ დავწერეთ! ახია! ბრალი მისი, ვინც ასეთ საქმეში ჩაერია.

თავი მეცხრე

სამი თვე გავიდა. დღე-რეა ის-ის იყო ცოლს გაეყარა, რომელმაც ისევ ფორესტიეს გვარი დაიბრუნა.

რადგან 15 ივლისს ვალტერები ტრუვილში უნდა წასულიყვნენ, გადაწყვიტეს, ერთი დღე ქალაქგარეთ გაეტარებინათ და ხუთშაბათს, დილის ცხრა საათზე ექსადგილიანი ეტლით გავიდნენ, რომელშიც ოთხი ცხენი ება. განზრახული ჰქონდათ, სამხარი სენ-ჟერმენში, ანრი მეოთხის პავილიონში ეჭამათ. რადგან ლამაზ მეგობარს მარკოზ დე კაზოლის ნახვა ეზარებოდა, ვალტერებს სთხოვა, ის არ დაეპატიჟათ. მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, სამაგიეროდ, გრაფი დე ლა ტურ-იველენი პირდაპირ ლოგინიდან მოეტაცათ და წინა დღეს იგი გააფრთხილეს კიდევაც.

ეტლი გაკრული ჩორთით გავიდა ელისეს მინდვრებზე და შემდეგ ბულონის ტყე გადაჭრა.

ზაფხულის მშვენიერი დღე იდგა. ძალიან არ ცხელოდა. მერცხლები ლაჟვარდ ცაში განიერ რკალებს ხაზავდნენ და მათ ნაფრენზე ერთ წამს თითქოს მართლა შავი კვალი რჩებოდა.

ეტლის უკანა რბილ სკამზე ქალები ისხდნენ: ქნი ვალტერი შუაში, აქეთ-იქით — ქალიშვილები, ხოლო პირდაპირ — ვალტერი, მხარს სტუმრები უმშვენებდნენ.

სენას გავიდნენ, მონ-ვალერიენს მოუარეს, ბუჟივალს მიაღწიეს და წყლის ნაპირით პეკამდე მივიდნენ.

გრაფი ლა ტურ-იველენი შუახნის კაცი იყო, გრძელი და თხელი ბაკენბარდები ჰქონდა, რომელსაც უბრალო ნიავიც კი არხევდა, და დღე-რეა ოხუნჯობდა: „მისი წვერი ქარს ძალიან ლამაზად ამოსახავს“. გრაფი ნაზად უმზერდა როზას, რომელიც ერთი თვის წინ დანიშნა.

ჟორჟი ძალიან ფერმკრთალი იყო და ასევე ფერწასულ სუზანას შესცქეროდა. მათი თვალები ერთმანეთს ხვდებოდა, ურთიერთისა ესმოდათ და თითქოს რაღაც საიდუმლოს უზიარებდნენ, რაღაც პირობას აძლევდნენ და ხელახლა შორდებოდნენ. ქნი ვალტერი ღინჯად და ბედნიერად გამოიყურებოდა.

დიღხანს სამხრობდნენ. პარიზში დაბრუნების წინ ჟორჟმა ყველანი სენ-ჟერმენის ერდოზე მიიპატიჟა. ჯერ შედგნენ და სანახაობით ტკბებოდნენ, ყველანი კედელთან გამწკრივდნენ და ხალვათ მიდამოს აღფრთოვანებით მიაცქერდნენ. გრძელი სერის ტერფში მეზონ-ლაფიტისკენ მიიკლაკნებოდა სენა, რომელიც მწვანეზე გამოტილ უზარმაზარ მცურავს ჰგავდა. მარჯვნივ, ქედის თხემზე, მარლის წყალსადენი მოჩანდა.

მისი უშველებელი პროფილი ცაზე მკვეთრად ისახებოდა და ვეებაფეხებიან მუხლუხო ჭიას ჰგავდა, ხოლო ქვემოთ მარლი სიმწვანეში იკარგებოდა.

მათ წინ გაშლილ ველზე აქა-იქ სოფლები მოჩანდა. ვეზინეს გუბეები მცირე ტყის თხელ ფოთლიანში მკაფიოდ მოხაზულ და ღია ფერის ლაქებს ემსგავსებოდა. სულ შორს, მარცხნივ, ჰაერში, სარტრუვილის სამრეკლოს წვეტი აღმართულიყო.

ვალტერმა თქვა:

— ქვეყანაზე ასეთ სანახაობას ვერსად ნახავთ. ვერც შვეიცარიაში იპოვით. მერე ნელი ნაბიჯით წავიდნენ, რათა ერთსადაიმავე დროს სანახაობითაც დამტკბარიყვნენ და სეირნობითაც მოღლილიყვნენ.

ჟორჟი და სუზანა ჩამორჩნენ. დაშორდნენ თუ არა დანარჩენებს რამდენიმე ნაბიჯით, ჟურნალისტმა ჩუმი და შეკავებული ხმით უთხრა:

— სუზანა, გაღმერთებო... სუზანა, გაგიჟებით მიყვარხართ.

— მეც მიყვარხართ, ლამაზო მეგობარო. — ჩასჩურჩულა მან.

— თუ ცოლად არ გამომყვებით, — განაგრძო დეჟურამი, — პარიზიდან და საფრანგეთიდან გადავიხვეწები.

— სცადეთ და მამაჩემს ჩემი თავი სთხოვეთ, — მიუგო მან. — იქნებ დათანხმდეს.

ჟორჟმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი:

— არა, უკვე მრავალჯერ გითხარით, თქმა ამას იქნება-მეთქი. ამის შემდეგ თქვენს სახლშიც აღარ შემომიშვებენ, რედაქციიდანაც დამითხოვენ და ერთმანეთის ნახვასაც ვეღარ მოვახერხებთ. თუ თქვენი თავი წესიერად ვითხოვე, ასეთ მშვენიერ პასუხს მომცემენ. მათ უნდათ მარკიზ დე კაზოლს მიგათხოონ, იმედი აქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს „ჰოს“ ეტყვიან და ამ დღეს ელოდებიან.

— მაშ რა ვქნა? — ჰკითხა ქალმა.

მან გაუბედავად გადახედა გვერდულად და უთხრა:

— სუზანა, იმდენად გიყვარვართ, რომ გაბედოთ და ერთი ხელაღებული ნაბიჯი გადადგათ?

მან თამამად უპასუხა:

— ჰო!

— ძალიან გაბედული ნაბიჯი რომ იყოს?

— ჰო.

— ყველა სხვა ნაბიჯზე ხელაღებული რომ გამოდგეს?

— ჰო-მეთქი.

— გაჰბედავთ დედ-მამას წინ აღუდგეთ?

— ჰო.

— მართლა?

— ჰო.

— მაშ ერთადერთი გზაა დაგვრჩენია. საჭიროა, რომ საქმის მეთაური მე კი არ ვიყო, არამედ თქვენ. თქვენ განებივრებული ჰყავხართ, თქვენ ნებას გაძლევენ, ყველაფერი თქვათ, რაც მოგესურვებათ, ამიტომ ერთი კადნიერი საქციელიც უნდა ჩაიდინოთ, დიდ გაოცებას არ გამოიწვევს. მაშ ყური მიგდეთ. დღეს საღამოს, როცა დაებრუნდებით, დედათქვენთან მიდით, როდესაც მარტო იქნება, და გამოუტყდით, რომ გსურთ ცოლად გამომყვით. დედათქვენი ძალიან აღელდება და ძალიან გაწყდება...

სუზანამ შეაწყვეტინა:

— დედას დავითანხმებ.

მან ფიცხლად მიუგო:

— არა, დედათქვენს არ იცნობთ. გაწყდება-მეთქი და მამათქვენზე უფრო მეტად გაჯავრდება. აი ნახავთ, უარს გეტყვით. მაგრამ თქვენ მაგრად იდექით, არ დაუთმობთ და იმეორეთ, რომ გსურთ მხოლოდ მე მომთხოვდეთ და სხვას არავის. ეტყვით ამას?

— ვეტყვი.

— მერე მამასთან გახვალთ და ამავეს გაიმეორებთ, მეტად მტკიცედ და გადაჭრით გაუმეორებთ.

— ჰო, ჰო. მერე?

— მერე? აი ახლა იწყება ყველაზე სერიოზული საქმე. თუ მართლა მტკიცედ გადაწყვიტეთ, მტკიცედ, მტკიცედ, თუ სულ მტკიცედ გადაჭრით გადაწყვიტეთ, ცოლად გამომყვით, ჩემო ძვირფასო, ძვირფასო, სუზანა, მაშ მე... მაშ მოგიტაცებთ.

საშინლად გახარებულმა ქალმა კინაღამ ტაში დაუკრა:

— უჰ, რა ბედნიერებაა! მაშ მომიტაცებთ? როდისღა?

და ქალის სულში სიზმარივით გამოცოცხლდა ღამით მოტაცების მთელი ძველი ძველი პოეზია — საფოსტო კარეტებით, დუქნებით და ყველა მწიგნობრული საუცხოო თავგადასავლით, რომელსაც საცაა ხორცი უნდა შესხმოდა. გაიმეორა:

— როდის იქნება-მეთქი?

დღუ-რუამ მეტად დაბალი ხმით უპასუხა:

— დღესვე საღამოს... ამაღამ.

— მერე... სად წავალათ? — ხმის კანკალით იკითხა მან.

— ეგ ჩემი საიდუმლოებაა. მოიფიქრეთ, რასაც სწადიხართ. ესეც იცოდეთ, რომ გაქცევის შემდეგ თქვენ ჩემი ცოლობის მეტი სხვა გზა აღარ გექნებათ. ეს ერთადერთი გზა არის-მეთქი და იგი... ძალიან სახიფათოა... თქვენთვის.

მან უპასუხა:

— გათავებულა... სადა გნახოთ?

— შეგიძლიათ მარტო გამოხვიდეთ შინიდან?

— ჰო. ვიცი, როგორ უნდა გავაღო პატარა ჭიშკარი.

— მაშ ასე: როცა მეკარე დაწვება, დაახლოებით შუადღამეს, თანხმობის ფორზე გამოდით. იქ კარეტაში მიპოვით, რომელიც საზღვაო სამინისტროსთან იდგება.

— მოვალ.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

ჟორჟმა მაგრად ჩამოართვა ხელი და, —

— ოჰ, სუზანა, როგორ მიყვარხართ! რა საუცხოო და გამბედავი ხართ! მაშ არ გინდათ დე კაზოლს გაჰყვით?

— არა.

— მამას რომ „არა“ უთხარით, ძალიან გაჯავრდა?

— მაშ! უნდოდა მონასტერში გავეგზავნე.

— ხომ ხედავთ, რომ გამბედაობა ყოფილა საჭირო?

— გამოვიჩენ კიდევ.

სუზანა ფართო ტატნობს გაჰყურებდა და მისი ფიქრები მომავალი მოტაცებით იყო შეპყრობილი. ის და ჟორჟი შორს, ძალიან შორს წავლენ... ის და ჟორჟი! დღუ-რუა მას მოიტაცებს! და უკვე ამაყობდა! სულაც არ ფიქრობდა თავის სახელზე, შესაძლებელ სირცხვილზე. იცოდა რამე ქალმა ამის შესახებ? გუმანი მაინც ჰქონდა ალებული?

ქმა ვალტერმა მოიხედა და მიიძახა:

— აქ მო, პატარავ! რას აკეთებ ლამაზ მეგობართან?

ორივე დანარჩენებს შეუერთდა, ლაპარაკობდნენ ზღვაზე, სადაც ვალტერის ოჯახი უნდა წასულიყო.

რათა უკანვე იმავე გზით არ დაბრუნებულყვნენ, შატუს გზაზე მოუხვიეს და წამოვიდნენ.

ჟორჟი ჩუმად იჯდა და ფიქრობდა. მაშ აგრე: თუ ამ ქალს გამბედაობა აღმოაჩნდა, მას გამარჯვება მოეღის. სამი თვის განმავლობაში ნაზი თილისმის უძლეველ ბადეში აბამდა: აცთუნებდა, იპყრობდა, ატყვევებდა, ნაგეში ხერხებით აყვარებდა თავს და ბოლოს, ამ ქარაფშუტა ტიკინას სული გაუჭირვებლივ დაიმორჩილა. ჯერ აიძულა დე კაზოლისთვის უარი ეთქვა, ახლა კი, რადგან მეტი გზა არ იყო, გაქცევაზეც დაითანხმა. ძალიან კარგად იცოდა, ოღმ ქნი ვალტერი თავის ქალს არასოდეს მას არ მიათხოვებდა, რადგან თვითონვე უყვარდა დღუ-რუა და შემდეგაც ეყვარებოდა ძლიერ და უჯიათად. ეს ნასაყვარლევი ჟორჟს განზომილი გულცივობით ეჭირა ხელში, მაგრამ გრძნობდა, რომ იმის გულში უძღური და მსახურელი ვნება დღუდა. ჟორჟი მას ვერასოდეს ვერ მოსტეხავს. ქნი ვალტერი არასოდეს არ მოითმენს, რომ სუზანა ჟორჟ დღუ-რუას ერგოს.

მაგრამ როცა ქალიშვილი სადმე შორს ეყოლება, დღუ-რუა მამასთან გამართავს მოლაპარაკებას, როგორც თავის თანასწორთან.

ამ ფიქრებში იყო ჟორჟი, სხვის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, ნათქვამზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად პასუხობდა და გონზე მაშინდა მოვიდა, როცა პარიზში შემოვიდნენ.

სუზანაც ჩაფიქრებული იყო. ოთხი ცხენის ეჟენები ყურებში უწკრივლებდა და თვალწინ უქროდა განიერი, დაუსრულებელი გზა, მთვარის უღეველი შუქი, ზოგჯერ

ტვერი, ბნელი ტყე, დუქნები გზის ნაპირას და მეეტლენი, რომელნიც სწრაფად ცვლიან ცხენებს, რადგან ყველა მიხვედრილია, რომ მათ უკნიდან მდეგარი მოსდევს.

როცა ეტლი კარლსბურგელის სასახლეს მიაღდა, ჟორჟს თხოვეს, სადილად დარჩენილიყო, მაგრამ მან უარი უთხრა და შინ დაბრუნდა.

ოდნავ დანაყრდა და, თითქოს შორ მგზავრობას აპირებდნენ, თავისი ქაღალდები მოაწესრიგა. სახიფათო წერილები დაწვა, დანარჩენი გადამალა და ზოგიერთ მეგობარს მისწერა. დროდადრო საათს დახედავდა და გაიფიქრებდა: „ახლა იქ, ალბათ, დიდი ბრძოლაა გაჩაღებული“ და გულს მოუსვენრობა უწევდა. რა იქნება, რომ ჩაეფუშოს? მაგრამ რისა უნდა ეშინოდეს? თავს ყოველთვის დაიძვრენს, რაც უნდა იყოს, დღევანდელი თამაში მაინც მეტად სერიოზულია.

თერთმეტზე ხელახლა გამოვიდა, ცოტა ხანს იბორიალა, კარეტა დაიქირავა და თანხმობის ფორზე საზღვაო სამინისტროს კამარასთან გაჩერდა. დროგამოშვებით წუმწუმას ანათებდა და საათს დაჰყურებდა. თორმეტი რომ მოახლოვდა, მოუსვენრობის ციებამ აიტანა. ყოველ წუთს სარკმლიდან იხედებოდა, ხომ არავინ მოდისო.

სადღაც შორს საათმა თორმეტი დარეკა, მერე მეორემ უფრო ახლო გაიმეორა, შემდეგ ორმა ერთდროულად ჩამოჰკრა, ბოლოს კიდევ სადღაც, მეტად შორს, ერთი კიდევ გამოეხმაურა. უკანასკნელმა რომ გაათავა, ჟორჟმა გაიფიქრა: „გათავებულა. ჩაიფუშა. არ მოვა“.

მაინც გადაწყვიტა გათენებამდე მოეცადა, რადგან „ასეთ დროს საჭიროა მოთმინებით აღიჭურვო“, — ფიქრობდა.

მაღე საათებმა პირველის თხუთმეტი დარეკეს, მერე — ნახევარი, შემდეგ — სამი მეოთხედი, და ბოლოს, ყველამ იმავე წყებაზე ჩამოჰკრა პირველი, როგორც წელან დაჰკრეს თორმეტი. ჟორჟი ქალის მოსვლას კი აღარ ელოდა, არამედ უბრალოდ იჯდა გაყურებული და დაჟინებით ფიქრობდა, რა უნდა მომხდარიყო ვალტერის ოჯახში. უცებ ქალმა სარკმელში თავი შემოყო და ჰკითხა:

— თქვენა ხართ, ლამაზო მეგობარო?

— მე ვარ, მე.

კარის სწრაფად გაღება ვეღარ მოახერხა და იმეორებდა:

— ოჰ, თქვენა ხართ... თქვენა ხართ... შემობრძანდით.

სუზანა შემოვიდა და გვერდით მიუჯდა. ჟორჟმა მეეტლეს შესძახა:

— გასწი!

ეტლი დაიძრა. სუზანა აჩქარებით სუნთქავდა და არაფერს ამბობდა.

— აბა მიაშბეთ, როგორ მოხდა? — ჰკითხა მან.

ქალს თითქმის გული მისდიოდა. ძლივს წაიხურჩულა:

— უჰ, საშინელება რამ იყო, ნამეტნავ დედასთან.

ჟორჟი მოუსვენრად იყო და კანკალებდა.

— დედათქვენთან? რაო, რა თქვა? ჩქარა მიაშბეთ.

— უჰ, საშინელება რამ იყო-მეთქი! სათქმელი წინდაწინვე კარგად მოვიფიქრე,

მერე შევედი და ვუთხარი. ფერი დაეკარგა და შესძახა: „არასოდეს! არასოდეს!“, მე ვტიროდი, ვჯავრობდი, ვეფიცებოდი, რომ თქვენს გარდა სხვას არავის მივთხოვდებოდი.

ერთხანს მომეჩვენა კიდევაც, თითქოს ჩემი ცემაც კი უნდოდა. შეშლილივით იყო და განაცხადა, ხვალვე მონასტერში გაგზავნიო. არასოდეს მინახავს დედაჩემი ასე აღშფოთებული, არასოდეს! მამასაც გაეგონა მისი სულელური კივილი და შემოვიდა.

დედასავით არ გამწყრალა, მაგრამ თქვა, დეურუა შენი შესაფერი საქმრო არ არისო.

რადგან გამაჯავრეს, იმათზე მეტად მე აგვივლდი. მამამ ტრაგიკული ხმით

გამომისტუმრა, რომელიც მას სულაც არ უხდება. ყველაზე მეტად ამან გადამაწყვეტინა თქვენთან ერთად გაექცეულიყავი, და აი, უკვე აქა ვარ. მაგრამ მითხარით, საით მივდივართ?

სანამ სუზანა ლაპარაკობდა, ჟორჟმა წელზე ჩუმად მოხვია ხელი და, გაძაფრული, გულის ფანცქალით უგდებდა ყურს, თანაც ვალტერისადმი სიძულვილი ეღვიძებოდა. მაგრამ მათი ქალიშვილი ახლა ხომ ხელში ჰყავს! მაშ, ვნახოთ!

— მატარებელზე დავიგვიანეთ, — უპასუხა ჟორჟმა, — ამიტომ ამ ეტლით სევრში ჩავალთ. იქ დამეს გავათევთ, ხვალ კი ლაროშგიონში ჩავალთ. ძალიან ლამაზი სოფელია, მანტის და ბონიერის შუა, სენის ნაპირზეა.

სუზანამ წაიხურჩულა:

— არაფერი არა მაქვს თან, არაფერი არ წამომიღია.

მან უზრუნველად გაიღიმა:

— არა უშავს რა. ყველაფერს იქვე მოვაგვარებთ.

ეტილი ერთი ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა. ჟორჟმა ახალგაზრდა ქალს ხელი ჩამოართვა და წყნარად, თავაზიანად დაუწყო კოცნა. არც კი იცოდა, რა ეთქვა, რადგან პლატონურ ალერსს შეჩვეული არ იყო. უცებ მოეჩვენა, თითქოს ქალი ტიროდა, და შიშით ჰკითხა:

— რა მოგივიდათ, ჩემო ძვირფასო?

მან ცრემლნარევი ხმით უპასუხა:

— საწყალი დედილო! თუ შეამჩნია, რომ იქ აღარა ვარ... ალბათ, აღარა სძინავს. მის დედას მართლა აღარ ეძინა.

როცა სუზანა მისი ოთახიდან გავიდა და ცოლ-ქმარი მარტო დარჩა, დაბნეულმა და გულმოკლულმა ცოლმა ქმარს ჰკითხა:

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია?

ვალტერმა ბრაზით წამოიძახა:

— ის ამბავია, რომ იმ ინტრიგანმა შვილი გადაგვირია. დე კახოლს რომ უარი უთხრა, ესეც იმის ბრალია. დასწყევლოს ეშმაკმა! ცხადია, სუზანას მზითვეი ჭკუაში დაუჯდა. — ბრაზმორეულმა სიარული დაიწყო და განაგრძო: — რა თქმა უნდა, შენც კარგად იქცეოდი! მუდამ ეარშიყებოდი, ეფერებოდი, ელოლიავებოდი. დიდიდან სადამომდე მარტო ამას გაიძახოდი: „აქ — ლამაზი მეგობარი, იქ — ლამაზი მეგობარი“. აი, ხომ გადაგიხდა!

გაწითლებულმა ცოლმა უპასუხა:

— მე ვეარშიყებოდი?

ქმარმა პირში მიახალა:

— დიახ, შენ, შენ! ყველანი გადარეულები იყავით — დე-მარელიც, სუზანაც, ყველა, ყველა! შენ გგონია, მე არა ვხედავდი, რომ ორ დღესაც ვერ გაძლებდი, თუ ის კაცი არ გენახა?

ცოლი მედიდურად გასწორდა:

— მე ნებას არ მოგცემთ, ასეთი რამე მითხრათ. ნუ გავიწყდებათ, რომ მე თქვენსავით დუქანში არა ვარ გაზრდილი.

ვალტერი შედგა, გოცებით გახევედა. მერე ბრაზით გადმოაგდო: „უჰ, დასწყევლოს ეშმაკმა!“ — და კარი გაიჯახუნა.

მარტო რომ დარჩა, ქ-ნი ვალტერი უნებურად სარკეს მიადგა, რათა გაესინჯა, სახე ხომ არ შეეცვალა, რადგან ყოველივე ეს დაუჯერებელი და საზარელი იყო. სუზანას ლამაზი მეგობარი უყვარს! და ლამაზ მეგობარსაც სურს სუზანა შეირთოს! არასოდეს! ცხადია, ქ-ნი ვალტერი შეცდა. ყველაფერი ტყუილია! მისმა ქალიშვილმა ამ ლამაზი ვაჟკაცისადმი სრულებით ბუნებრივი მიმზიდველობა იგრძნო და თავი მოინუგეშა: მიმათხოვებენო. ცხადია, თვითონვე მოიგონა! მაგრამ ამ საქმეში ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას! ქ-ნი ვალტერი კატასტროფის მოახლოებისას ბუნდოვანი შიშით ფიქრობდა ამას: არა, ლამაზმა მეგობარმა სუზანას ქარაფშუტული განზრახვისა, ალბათ, არაფერი იცოდა.

და დიდხანს ეჭიდებოდა აზრს: თუ რა საბუთით შეიძლებოდა ამ კაცის ვერაგობაში ეჭვის შეტანა, ან რამდენად უცოდველი იყო იგი. მაგრამ რა არამზადა ყოფილა, თუ მართლა მან შეამზადა ეს ამბავი! ნეტა რა მოჰყვება ამას? და წინ უამრავ ხიფათსა და წვალებას ხედავდა.

თუ ჟორჟმა ჯერ არაფერი იცის, შეიძლება ყველაფერი როგორმე მოგვარდეს, სუზანას ნახევარი წლით სადმე წაიყვანს და ყველაფერი თავისთავად გათავდება, მაგრამ მერე ჟორჟს როგორღა შეხედოს თვალებში? ჯერ ხომ ისევ უყვარდა ნასაყვარლვე. ეს ვნება გულში ისარივით ჩაუჯდა და ვერასგზით ვედარ ამოიღებდა.

უამისოდ სიცოცხლე აღარ შეეძლო და ისევ სიკვდილი ერჩივნა. მისი ფიქრი არცოდნისა და კაემნის ბრჭყალებში ფართხალებდა, თავი ისე ასტკივდა, თითქოს ნემსებით ჩხვლეტენო. აზრები დაუძიძიდა, დაუბინდდა, გაუმწვავდა. ძალა ელეოდა, ლამობდა, ეჭვები გაეფანტა და, რადგან ამ ჭიდილში ვერ იმძლავრა, სასოწარკვეთილებით იტანჯებოდა. საათს დახედა, უკვე მეორე დაიწყო. გაიფიქრა: „არ შემიძლია. უნდა გავიგო. სუზანას გავადვიძებ და გამოვკითხავ“.

და რათა ხმაურობა არ აეტეხა, ფეხთ არ ჩაიცვა, სანთელი წაიღო და სუზანას ოთახისკენ წავიდა. კარი ძალიან ნელა შეაღო, შევიდა და ლოგინს დახედა. იგი

მთელი იყო. ჯერ ვერ გაიგო და ეგონა, ჩემი ქალი, ალბათ, მამას ედავებო. მაგრამ თავში უცებ საშინელმა ეჭვმა გაუელვა და ქმართან გაიქცა. ერთი წამის შემდეგ უკვე იქ იყო. ფერი აღარ ედო და იხრჩობოდა. ვალტერი ლოგინში იწვა და წიგნს კითხულობდა. ცოლს არეულად ჰკითხა:

— რა ამბავია? რა დაგემართა?

— სუზანა არ გინახავს? — წაიხურჩულა მან.

— მე? არა. რად მეკითხები?

— მაშ... მაშ წავიდა... მგონი, გაიქცა, ოთახში აღარ არის.

ვალტერი ერთი ნახტომით ხალიჩაზე განწნდა, ფეხები ღამის ფოსტლებში ჩაჰყო და პერანგისამარა ქალიშვილის ოთახისაკენ გაექანა. ცარიელი ოთახი რომ დაინახა, ეჭვიც კი გაეფანტა: ცხადია, გაიქცა. სავარძელზე დაეშვა და ლამპა იატაკზე დადგა. ცოლიც შემოვიდა და ამის თქმაღა მოხერხდა:

— ჰა? — ვალტერს არც საპასუხოდ ეყო ძალა, არც გაბრაზებისთვის. მხოლოდ ამოიკვნესა:

— რა თქმა უნდა, იმასთან არის. ყველაფერი დაიღუპა.

— როგორ თუ დაიღუპა? — ვერ გაუგო ცოლმა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა თქმა უნდა, დაიღუპა! ახლა კი შეირთავს!

ზარდაცემულმა ცოლმა შეჰკივლა:

— იმან უნდა შეირთოს? გაგიჟდი?

ქმარმა სევდით მიუგო:

— გვიანდაა ყვირილი. მოიტაცა, პატივი ახადა. უნდა მივცეთ, მეტი გზა აღარ გვაქვს. თუ ხეირიანად მოვიქცევით, ამ ამბავს ვერავინ გაიგებს.

ცოლი საშინლად ღელავდა და იმეორებდა:

— არასოდეს! არასოდეს სუზანას ის არ შეირთავს! არასოდეს თანხმობას არ მივცემ!

ღონემიხდილმა ვალტერმა ჩაიხურჩულა:

— გაიგე, ხელში ჰყავს-მეთქი. საქმე გათავებულია, იქამდე შეინახავს სადმე ჯურღმულში, სანამ არ დავთმობთ. ამიტომ საქვეყნო ალიაქოთის ასაცილებლად უნდა დაუყოვნებლივ დავეთანხმოთ.

ცოლი ნაწუმარით ვარამით იწვევებოდა და იმეორებდა:

— არა, არა-მეთქი! არასოდეს არ დავთანხმდები!

ქმარმა მოუთმენლად მიუგო:

— სალაპარაკოც კი აღარაფერია. საჭიროა-მეთქი. უყურე იმ სალახანას, როგორ გაგვაცურა! თქმა არ უნდა, ძალიან მარჯვე ვინმე ყოფილა! საზოგადოებრივი თვალსაზრისით, უკეთეს სიძეს ვიშოვიდით, მაგრამ ამაზე მოხერხებულსა და საიმედო მომავლიანს ვერსად მოვძებნიდით. ეს კაცი ძალიან შორს წავა. დეპუტატიც გახდება და მინისტრიც.

ქმა ვალტერმა უდრეკი ენერგიით განაცხადა:

— არასოდეს ნებას არ მივცემ, რომ სუზანა შეირთოს... გესმის, არასოდეს-მეთქი!

მაშინ ვალტერი გაწყრა და, როგორც საქმის კაცმა, ლამაზი მეგობრის დაცვა იკისრა:

— კმარა, გაჩუმდი... ერთხელ კიდევ გეუბნები, ახლა კი საჭიროა-მეთქი, აუცილებლივ საჭიროა. გარდა ამისა, ვინ იცის, შეიძლება, არც კი ვინანოთ. ჯერ არავინ იცის, რა შეუძლია ასეთ გამობრძმედილ კაცს! ხომ ნახე, ერთი დაკვრით როგორ დასცა ის სულელი ღაროშ-მატიე და, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის, ქმრისთვის, ეს საქმე ძნელზე უძნელესი იყო, მაინც ღირსეულად მოიქცა. ერთი სიტყვით, ვნახავთ. მხოლოდ ერთია მართალი: ხელში ვყავართ და სხვა გზით ამ საქმეს თავს ვერ დავაღწევთ.

ცოლს სწადდა ეკივლა, ეგორავა და თმა დაეგლიჯა. ერთხელ კიდევ წარმოთქვა უიმედობით სავსე ხმით:

— სუზანას ვერ მიიღებს... მე... მე არ მინდა! არ მინდა-მეთქი!

ვალტერმა ლამპა აიღო, წამოდგა და სთქვა:

— შენც დანარჩენი ქალებივით სულელი ყოფილხარ. თქვენ მარტო გრძნობა გალაპარაკებთ. გარემოებას არავითარ ანგარიშს არ უწევთ... თქვენ ბოლომდე სულელები ყოფილხართ. გეუბნები, შეირთავს-მეთქი, საჭიროა! — და ჩუსტების

ფრატუნით გავიდა. ღამის პერანგით რაღაც სასაცილო მოჩვენებას ჰგავდა. მიძინებული სახლის განიერი ტალანი გაიარა და თავის ოთახში შეიმაღლა.

ქნი ვალტერი მარტო დარჩა საშინელი ურვით გაწამებული. ყოველივე ჯერ კიდევ კარგად არ ესმოდა. ჯერ მხოლოდ იქენჯნებოდა. შემდეგ აზრად მოუვიდა, რომ შეუძლებელი იყო დილაზე ასე დარჩენილიყო, ერთ ალაგზე მჯდარიყო, და ძალიან მოუნდა, სადმე მიმალულიყო, გაქცეულიყო, წასულიყო, შეველა ეძებნა და როგორმე მიეღო.

ღამობდა ვინმე მშველელი გაეხსენებინა, მაგრამ ვერ პოულობდა. მღვდელი? ჰო, მართლა, მღვდელი! მუხლებში ჩაუფარდება, ცოდვაში გამოუტყდება, აღსარებას ეტყვის და თავის უკურნებელ ამბავს უამბობს. ის გაიგებს და მიხვდება, რომ ასეთი ვერაგი სუხანას ვერ შეერთავს, და მღვდელი ხელს შეუშლის მას.

მღვდელი ახლავე სჭირდება. მაგრამ ამჟამად სად იპოვოს? სად მოძებნოს? მაგრამ არც ასე შეიძლება დარჩენა.

მაშინ მას წყალზედ მიმავალი ქრისტეს ნათელმა სახემ მოჩვენებასავით გაუარა. ისე მკაფიოდ ხედავდა მას, თითქოს სურათის წინ მდგარიყო. ქრისტე ეუბნებოდა: „მოვედ ჩემდა და ფეხთა წინაშე მუხლი მოიყარე და მე გასწავო შენ გზანი სიმართლისანი“.

მან სანთელი აიღო, ოთახიდან გავიდა და, ორანჟერეაში რომ შესულიყო, ქვევით ჩავიდა. „ქრისტე“ სულ ბოლოს, პატარა ოთახში იყო. ოთახი მინის კარით იკეტებოდა, რათა ორანჟერეას ნესტს ტილო არ გაეფუჭებინა, ამიტომ უცნაურ მცენარეთა ტყეში აგებულ სამლოცველოს ჰგავდა.

სახამთრო ბაღში რომ შევიდა, რომელიც მანამდე მხოლოდ სავსე შუქით განათებული ენახა, მისმა პირქუშმა სიღრმემ გააოცა და შედგა. ვეება ტროპიკულ მცენარეებს ჰაერი თავიანთი მიძიმე ამონასუნთქით გაეცსოთ. ყველა კარი მიხურული იყო. მინის თალის ქვეშ ჩაკეტილ მცენარეთა უცნაური სურნელი სუნთქვას აძნელებდა, თავბრუს ახვევდა, ათრობდა, იგი ერთსა და იმავე დროს საამურიც იყო და მიძიმეც, და ტანში სიკვდილის დამასუსტებელი ნებივრობის შერეულ გრძნობას იწვევდა.

საბრალო დედაკაცი წყნარად მიდიოდა. შემაზრხენი წყვდიადიდან სანთლის მოციმციმე შუქზე ლივლივით ამოდრიდნენ ხან ურჩხულების მსგავსი, ხან რაღაც ცოცხალ სულიერთა მინაგვანი უცნაური მცენარენი, რომელთაც ჯადოსნური იერი ელოთ.

უცვებ ქრისტე დაინახა. კარი გამოაღო, რომელიც მას სურათს აშორებდა, და ფეხებში ჩაუფარდა. ჯერ ქადაგივით ღოცულობდა, ღმერთკაცს მხურვალე თავგანწირულობით უხმობდა, ხოლო შემდეგ, როცა სასოება ჩაუნელდა, შეხედა და, უღრმესი კაეშნით მოცულმა, სული განაბა. ქვევიდან მორთოლვარე სანთლით ოდნავ განათებული ქრისტე ისე ჰგავდა ღამაზ მეგობარს, რომ ის, ვისაც ახლა უმზერდა, უკვე ღმერთი კი აღარ იყო, არამედ მისი საყვარელი. ის ხედავდა მის თვალებს, მის შუბლს, მის სახის მეტყველებას, მის ცივსა და მედიდურ იერს, და უმწეოდ ლუღლუღებდა: „უფალო!.. უფალო!.. უფალო!..“, თან ჟორჟის სახელი ენაზე უტრიალებდა. უცვებ გაიფიქრა, რომ ახლა, აი, ამ წამს, ჟორჟი და მისი სუხანა, მისი ქალიშვილი, შეიძლება სადმე ოთახში, სადმე განმარტოებით იყვნენ. ჟორჟი! ჟორჟი და სუხანა!

და იმეორებდა: „უფალო! უფალო!“, მაგრამ ფიქრით ისევ იმათთან, ჟორჟთან და თავის შვილთან იყო. სადმე ოთახში მარტონი არიან. ახლა დამეა, და ორივეს ხედავდა, ისე ნათლად ხედავდა, თითქოს აქვე სურათის მაგიერ მდგარიყვნენ. ერთმანეთს უღიმიან, ჰკოცნიან. ოთახში ბნელა. საწოლ ტახტზე საბანი ნახევრად გადაკეცილია. დედამ წამოიწია, რათა მივარდნილიყო, შვილს თმაში დასწვდომოდა და ჟორჟის მკლავეებიდან გამოეთრია. უნდოდა ქალისთვის ყელში წაეჭირა და დაეხრჩო. მას ამჟამად უკვე სძულდა თავისი ქალიშვილი, რომელიც მის ნასაყვარლევს დანებდა. თავის შვილისკენ ხელი გაიშვირა და... ტილოს შეეხო, ქრისტეს ფეხს შეხვდა, მაღალი ხმით შეჰკვივლა და გულადმა დაეცა. სანთელი იატაკზე დაუვარდა და ჩაქრა.

რა მოხდა შემდეგ? დიდხანს ელანდებოდა უცნაური და საზარელი უკმური. მუდამ ეჩვენებოდა, ვითომ ჟორჟი და სუხანა ქრისტეს ჩახვეოდნენ, რომელიც მათ საშინელ სიყვარულს კურთხევით ღოცავდა.

ბუნდოვნად გრძნობდა, რომ თავის ოთახში აღარ იყო. სურდა ამდგარიყო, გაქცეულიყო, მაგრამ არ შეეძლო. რაღაცნაირად გაცბუნებული იყო. ამ ცბუნებამ

მთელი ტანი გაუხევა და მხოლოდ ფხიზელი და ბინდით მოსილი აზრი დაუტოვა. ახლა მას რაღაც საშინელი, დაუჯერებელი, ფანტასტიკური უქმური აწვალებდა. იგი შეეპყრო უცნაურ, ავადმყოფურ, თითქმის მომაკვდინებელ ლანდებს. ამგვარ ლანდებს ადამიანის ტვინში აჩენენ ხოლმე ცხელი ქვეყნის ძილისმომგვრელი მცენარეები, რომელთაც რაღაც თილისმური იერი და ძლიერი სურნელი აქვთ.

მეორე დილას ქნი ვალტერი „ქრისტეს“ წინ იპოვეს გართხმული — უგონო და თითქოს მიმხრჩვალნი. მძიმედ გახდა ავად და მისი სიცოცხლე ბეწვზედა ეკიდა. მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა სრულ გონებაზე და აქვითინდა.

მსახურებისთვის სუზანას დაკარგვა რომ აეხსნათ, უთხრეს, ვითომ იგი მოულოდნელად მონასტერში გაეგზავნათ. ხოლო ვალტერმა დეუ-რუას გრძელ წერილზე უპასუხა, რომ ის თანახმა იყო თავისი ქალიშვილი მისთვის მიეთხოვებინა.

ლამაზმა მეგობარმა გაქცევის წინა ღამეს წერილი დაწერა და საფოსტო ყუთში პარიზიდან გასვლის დროს ჩააგდო. თავაზიანად სწერდა ვალტერს, რომ დიდი ხანია მისი ქალი უყვარდა, რომ მათ არასოდეს არაფერში პირი არ შეუკრავთ. მაგრამ სუზანა თვითონ მივიდა მასთან, რათა თავისივე ნებით ეთქვა: „მე თქვენი ცოლი ვიქნები“. მაშინ მან იგრძნო, რომ უფლება ჰქონდა, ქალი თავისთან დაეტოვებინა და დაემალა კიდევაც, სანამ პასუხს მიიღებდა ქალის მშობლებისაგან, რომელთა თანხმობას ის თავის საბედოს სურვილზე ნაკლებ ფასს არ აძლევს. დეუ-რუა, ამასთან ერთად, სთხოვდა ვალტერს — საპასუხო წერილზე „მოკითხვამდე“ წაეწერა, და მიუმატა, რომ ამ წერილს ერთი მისი მეგობარი მიიღებდა ფოსტაში და მას, ჟორჟ დეუ-რუას, გადაუგზავნიდა.

საცოლემ და საქმრომ ლაროშ-გიიონში ექვსი დღე გაატარეს სენას ნაპირზე. არასოდეს ახალგაზრდა ქალს ასე კარგად არ გაეტარებინა დრო. თავისი თავი მწყემსი ქალი ეგონა. ჟორჟი სუზანას თავის დად ასაღებდა, მრუშობას ერიდებოდა, უბიწოს ინახავდა და მისი ხელუხლებლივ დატოვება უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა.

ჟორჟმა მეორე დღესვე საცვალი და გლეხური ტანისამოსი იყიდა, მინდვრის ყვავილებით მორთული ვეება ჩალის ქუდი დაიხურა და თევზაობას შეუდგა. ეს სოფელი სუზანას დიდებულ ადგილად ეჩვენებოდა. იქ იდგა ძველი კოშკი და ციხე-დარბაზი, სადაც საოცარი შპალერის ნახვა შეიძლებოდა.

ჟორჟი საცოლეს სენას ნაპირებზე ფეხით ასეირნებდა, ხან ნავით. ერთმანეთს ყოველ წამს მღელვარებით კოცნიდნენ, სუზანა — უმანკოებით, ჟორჟი კი — თავალაგმით. საქმროს შეეძლო თავდაჭერა. როცა მან საცოლეს უთხრა, „ხვალ პარიზში ვბრუნდებით, მამათქვენმა თანხმობა მოგვცაო“, სუზანამ გულუბრყვილოდ წაიწურჩულა: „ასე მალე? მე კი ძალიან მხიარულად გავატარე დრო და არ მეგონა, ჩემი ცოლობა ასე ადრე გათავდებოდა“.

თავი მეათე

კონსტანტინოპოლის ქუჩაზე პატარა ბინაში ბნელოდა, ჟორჟი და კლოტილდა ერთმანეთს კარებში შეხვდნენ და სწრაფად შემოვიდნენ. სანამ დეუ-რუა ფანჯრის დარაბებს გამოაღებდა, საყვარელმა ჰკითხა:

— მაშ სუზანა ვალტერს ირთავ?

ჟორჟმა თავმდაბლად აღიარა და დაუმატა:

— აქამდე არ იცოდი?

ბრაზით სავსე, მრისხანე კლოტილდა წინ ედგა.

— სუზანა ვალტერს ირთავ? ეს კი მეტისმეტია! ეს კი ნამეტანია! მაშ სამ თვეს მხოლოდ იმიტომ შეაღწეხვები, რომ ეგ ამბავი დაგემალა? ჩემს გარდა ყველას სცოდნია, მე კი ჩემი ქმრისგან გავიგე, ჩემი ქმრისგან!

დეუ-რუამ გაიცინა, თუმცა დარცხვენილიც იყო. ქუდი ბუხარზე დასდო და სავარძელში ჩამოჯდა. კლოტილდამ თვალელებში შეხედა და ჩუმი, მაგრამ ბრაზიანი ხმით უთხრა:

— მას შემდეგ, რაც ცოლი მიატოვე, ამ ბედნიერი დღის მოლოდინში იყავი, ამ საჩუქარს მიმზადებდი და, ამავე დროს, ისევ მე მყვარობდი? რა მზაკვარი ყოფილხარ!

— რათა? — ჰკითხა მან. — ცოლი მყავდა და მღალატობდა. დავიჭირე, გავყვარე და ახლა სხვას ვირთავ. ამაზე უბრალო რაღა იქნება?

მან ხმის კანკალით ჩასწურჩულა:

— ოჰ, რა ცბიერი და რა სახიფათო კაცი ყოფილხარ?

ჟორჟმა გაიღიმა:

— დასწყევლოს ეშმაკმა! სულელი მუდამ გაცრელებული დარჩება!

მაგრამ კლოტილდა თავისას არ იშლიდა:

— არა, თავიდანვე როგორ ვერ გავიგე, რა ვაუბატონიც ბრძანდებოდი! იმას მაინც ვერ ვიფიქრებდი, რომ ასეთი არამზადა გამოდგებოდი.

მან შედიდური იერი აისახა და, —

— გთხოვ, თავი აილაგმო!

ამან კლოტილდა შეაშფოთა:

— რაო? ისღა დამრჩენია ხელთათმანი ჩავიცვა და ისე გელაპარაკო? მას აქეთ, რაც გიცნობ, ავარასავით გიჭირავს თავი და ამის თქმასაც მიკრძალავ? ყველას ატყუებ, ყველას ჰყვლეფ, ყველგან ფულსა ხვეტ, სიამის ყვავილებს ჰკრეფ და ისიც გინდა, რომ პატიოსანსავით მოგექცე?

ჟორჟი წამოდგა. ტუჩი აუთრთოლდა:

— გაჩუმდი, თორემ აქედან გაგაგდებ.

— აქედან გამაგდებ... — წაილულულა მან. — აქედან გამაგდებ. შენ გამაგდებ აქედან?.. შენ გამაგდებ?.. შენა?..

მეტი ველარაფერი თქვა, რადგან ბრაზი ახრჩობდა, და უცებ ამოხეთქა:

— აქედან გამაგდებ? დაგავიწყდა, რომ ამ ბინის ქირას პირველივე დღიდან მე ვიხდიდი? მართალია, დროგამოშვებით შენც გადავიხდი, მაგრამ ვინ დაიქირავა? მე. ვინ შეინახა? ისევ მე და შენ მე მიპირებ გაგდებას? ხმა გაიკმინდე, შე სალახანავ! შენა გგონია, არ ვიცი, როგორ მოპარე მადლენას ვოდრეკის ქონების ნახევარი? შენა გგონია, არ ვიცი, როგორ გააბრიყვე სუზანა, როგორ იწეპი მასთან, რომ აგეძულებინა, ცოლად გამოგეყოლოდა?

ჟორჟმა მხრებში ხელები ჩაავლო და ნჯღრევა დაუწყო:

— იმაზე ლაპარაკი არ გაბედო! გიკრძალავ!

— სუზანასთან იწეპი-მეთქი, ვიცი! — მაინც ყვიროდა კლოტილდა.

დღუ-რუა ყველაფერს მოისმენდა და მოინელებდა, მაგრამ ამ სიცრუემ მოთმინება დაუკარგა, კლოტილდას მიერ ნასროლმა სიმართლემ გული ბრაზით აუცახცახა, მაგრამ იმ ქალზე, საცოლეზე ცილის წამებამ ამ დედაკაცის ცემის ჟინი გაუღვიძა. დღუ-რუამ გაუმეორა:

— გაჩუმდი, გაფრთხილებ... გაჩუმდი-მეთქი, — და იმ ხესავით ანჯრევდა, რომელსაც ხილის ჩამოსაყრელად არხევენ ხოლმე.

კლოტილდას თმა ჩამოეშალა, პირი ფართოდ დაეღო, თვალები გიჟსავით გაყინოდა და იმეორებდა:

— იწეპი-მეთქი!

ჟორჟმა ხელი გაუშვა და ისეთი სილა გააწნა, რომ კლოტილდა კედელს მიასკდა და წაიქცა. მერე ხელებზე დაებჯინა, წამოიწია, მიუბრუნდა და ერთხელ კიდევ მიახალა:

— იწეპი, იწეპი-მეთქი!

ჟორჟი ეცა, ჩაბუნბა და ისე დაუწყო ცემა, როგორც მამაკაცს სცემენ ხოლმე. კლოტილდა უცებ გაჩუმდა და აკუნესდა. აღარ ინძრეოდა, პირისახე იატაკსა და კედელს შუა ჰქონდა ჩარგული და საბრალოდ კრუსუნებდა.

ჟორჟმა ცემა შეწყვიტა და წამოიწია. მერე რამდენჯერმე გაიარა, რათა სიდინჯე აღედგინა. თავში ერთი აზრი მოუვიდა. საწოლ ოთახში გავიდა, ტაშტში ცივი წყალი ჩაასხა და თავი შიგ ჩაჰყო, შემდეგ ხელი დაიბანა, ფრჩხილები გულდასმით გაიწმინდა და საყვარლის სანახავად დაბრუნდა. კლოტილდა არ ინძრეოდა, ისევ იატაკზე ეგლო გაშოტილი და წედანდელივით გულამოსკენილი ტიროდა.

— მალე გაათავებ კრუსუნს? — ჰკითხა.

მან არაფერი მიუგო. ჟორჟი შუა ოთახში იდგა და იატაკზე გაწოლილი სხეულის წინაშე რაღაც სირცხვილს გრძნობდა. შემდეგ უცბად გადაწვიტა და ბუხრის თავიდან თავისი ქუდი მოიტაცა:

— მშვიდობით, როცა მოსულიერდები, გასაღები მეკარეს გადაეცი. მე ვერ მოვიცდი, სანამ ადგომის გუნებაზე მოხვიდოდე.

გამოვიდა, კარი გამოიხურა, მეკარესთან შეიხედა და უთხრა:

— ქალბატონი ჯერ იქ დარჩა, მაგრამ ისიც ახლავე გამოვა. გადაეცი სახლის პატრონს, რომ პირველი ოქტომბრიდან ბინაზე უარს ვამბობ. დღეს აგვისტოს თექვსმეტია, მაშასადამე, ვადას ჯერ არ გადავცილებივარ.

და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას, რადგან კიდევ რამდენიმე ალაგას უნდა შეეველო და ქორწილისთვის უკანასკნელი საყიდელი ეყიდა.

ჯვრისწერა ოცი ოქტომბრისთვის იყო დანიშნული, საპარლამენტო სესიის განახლების შემდეგ. წესი წმ. მადლენას ეკლესიაში უნდა შეესრულებინათ. ამ ქორწილზე ბევრი ხმა დადიოდა, მაგრამ ნამდვილი არაფერი იცოდა, ჭორი მაინც დაცოცავდა. მოტაცებაზედაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ მართალი და მოგონილი ვერავის გაერჩია.

მსახურები ამბობდნენ, რომ ქ-მა ვოლტერმა, რომელიც სასიძოს ხმას არ სცემდა, იმ დღეს, შუაღამეს, სუზანას გათხოვება რომ გადაწყვიტა, ქალიშვილი მონასტერში გააცილა და თვითონ სიმწრით ავად გახდაო. ორანჟერეადან მეორე დღეს თითქმის მკვდარი გამოიტანეს. უეჭველია, არასოდეს აღარ მომჯობინდება. თმა სულ გაუთეთრდა და მოხუცებულს დაემგვანა. ღვთისმოსავად იქცა და ყოველ სამშაბათს ზიარებას იღებდა.

სექტემბრის დასაწყისში „საფრანგეთის ცხოვრებამ“ გამოაცხადა, რომ ბარონი დე-რუა დე კანტელი ამიერიდან ამ გაზეთის მთავარ რედაქტორად ინიშნებოდა, ხოლო ვალტერი გამომცემლის სახელწოდებას ინარჩუნებდა. რედაქციამ სამსახურში ცნობილი ფელეტონისტების, პოლიტიკური რედაქტორებისა და სამხატვრო-სათეატრო კრიტიკოსთა ჯარი მოიწვია. ეს ლაშქარი ფულის მეოხებით გადმოიბირეს დიდი გაზეთებიდან, ძველი და მძლავრი რედაქციებიდან, რომელთაც მკვიდრი ადგილები ეჭირათ.

ხნიერი, დარბაისელი და პატივცემული ჟურნალისტები მხრებს აღარ იჩენავდნენ, როცა „საფრანგეთის ცხოვრების“ შესახებ ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი. სწრაფი და სრული გამარჯვების წყალობით ამ გაზეთს სერიოზული მწერლებიც კი აღარ თაკილობდნენ, თუმცა იგი მანამდე ათვალწუნებული ჰქონდათ.

ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის ქორწინება პარიზის ცხოვრებაში დიდ ამბად გადაიქცა, რადგან ჟორჟ დე-რუა და ვალტერი, ერთი ხანია, საერთო ცნობისმოყვარეობას აღვივებდნენ.

ეს ამბავი შემოდგომის მოწმენდილ დღეს მოხდა.

წმ. მადლენას ეკლესიის მსახურნი წითელ, განიერ ხალხიას დიდიდანვე კარიბჭის მაღალ კიბეზე ჰყენდნენ, რომელიც როიალის ქუჩას გადასცქერის. მოსიარულენი უნებურად ჩერდებოდნენ და უყურებდნენ. პარიზელებმა მაშინვე დაასკვნეს, რომ აქ დიდი ამბავი უნდა მომხდარიყო.

თავიანთ საქმეებზე მიმავალი კანტორის მოსამსახურენი, მუშა ქალები და ნოქრები ტაძრის წინ ჩერდებოდნენ, შეჰყურებდნენ და მდიდრებზე ფიქრობდნენ, რომელნიც ცოლის შერთვაზე ამოდენა ფულს ხარჯავდნენ. საათის ათიდან აქა-იქ ცნობისმოყვარეთა ჯგუფებიც გაჩნდა, ყველა რამდენიმე წუთს იცდიდა იმ იმედით, რომ საცაა დაიწყებაო, და შემდეგ ისევ თავისი გზით მიდიოდნენ.

თერთმეტ საათზე პოლიციის რაზმი მოვიდა და უმაღვე წესრიგის აღდგენას შეუდგა, რადგან ყოველ წუთს ახალ-ახალი ჯგუფი ჩნდებოდა. მალე მოვიდნენ პირველი სტუმრებიც, რომელნიც საუკეთესო ადგილებს იჭერდნენ: მათ ყველაფრის ნახვა სურდათ. ესენი სტოას გასწვრივ დასხდნენ.

ნელ-ნელა სხვა სტუმრებიც გამოჩნდნენ: აბრეშუმის კაბებით მოშრიალე ქალები და დარბაისელი მამაკაცები. თითქმის ყველა მამაკაცი მელოტი იყო და სიარულის იერი განზომილი ჰქონდა, ტაძარს კი უფრო მეტი მედიდურება მიეცა.

ეკლესია თანდათან ივსებოდა. უზარმაზარ ღია კარში მზის შუქის ნაკადი შემოდინდა და სტუმართა პირველ რიგებს ანათებდა. ოდნავ ბნელ კანდელებზე ცვილის სანთლებით მოფენილი საკურთხეველი ისროდა ყვითელ შუქს, რომელიც დიდი კარიდან შემოსულ სინათლესთან შედარებით მეტად უძალო იყო.

მოსულნი ერთმანეთს თვალს რომ მოჰკრავდნენ, ნიშანზე მოიწვევდნენ, ჯგუფებად იკრიბებოდნენ, რადგან ლიტერატორებს საზოგადოების სხვა წევრებზე ნაკლები სასოება ჰქონდათ, ისინი სხვებზე უფრო მაღალი ხმით ლაპარაკობდნენ.

ნორბერ დე ვარენი ვინმე მეგობარს ეძებდა. სკამებს შუა რიგში ჟაკ რივალს მოჰკრა თვალი და მივიდა.

— ხომ ხედავთ, — უთხრა, — მომავალი მარჯვე ხალხს ეკუთვნის.

რივალს ჟორჟისა არა შურდა რა და უპასუხა:

— ბედი ჰქონია. მოახერხა და ცხოვრებაც მოიწყო.

მერე საზოგადოებას დაუწვეს სინჯვა.

— ხომ არ იცით, რას აკეთებს ჟორჟის ნაცოლარი?

პოეტმა გაიღიმა:

— ვიცი კიდევაც და არც ვიცი. თურმე მეტად განმარტოებით ცხოვრობს მონმარტრის უბანში, მაგრამ... მაგრამ მცირეოდენი „მაგრამ“ არსებობს. ერთი ხანია, გაზეთ „La plume“-ში პოლიტიკურ წერილებს ვკითხულობ, რომელიც ძალიან ჰგავს ფორესტიეს და დეუ-რუას წერილებს. ვინმე ჟან დე დოლი აწერს ხელს. ახალგაზრდა, ლამაზი და ჭკვიანი ვაჟია, რომელიც თურმე ჩვენი მეგობრის, ჟორჟის ჯიშისა ყოფილა და მის ნაცოლარსაც იცნობს. აქედან ასეთი დასკვნა გამოვიტანე: იმ ქალბატონს ძალიან ჰყვარებია დამწვებნი და მომავალშიც ეყვარება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ის ქალბატონი ძალიან მდიდარია. ვოდრეკი და ლაროშ-მატიე მის სახლში ტყუილად კი არ იყვნენ გაშინაურებული.

რივალმა შენიშნა:

— მადლენა სანდომიანი, ცბიერი და მარჯვე ქალია. როცა სამოსელს იხდის, ალბათ, მშვენიერი ვინმეა. მაგრამ ერთი ეს მიაძბეთ, გეთაყვა, დეუ-რუა გაყრის შემდეგ როგორ ახერხებს ეკლესიური წესით მეორე ცოლის შერთვას?

— იმიტომ ირთავს ეკლესიური წესით, — მიუგო ნორბერ დე ვარენმა, — რომ მისი პირველი ქორწინება სამღვდლოებისათვის ჯვრის წერად არ ითვლება.

— რატომ?

— გულგრილობით თუ მომჭირნეობისათვის, ჩვენმა ლამაზმა მეგობარმა იფიქრა, საკმარისი იქნება მადლენა ფორესტიეს შერთვა მარტო მერიაში იყოს აღნიშნული, საეკლესიო კურთხევას თავი მოარიდა. ამის გამო, ჩვენი წმინდა დედა-ეკლესიის აზრით, მათი ქორწინება უბრალო სქესობრივი კავშირი იყო და მეტი არაფერი. იმიტომ მისთვის ჟორჟი დღეს უცოლო ვაჟია და საქმროს ნებაზეა ეკლესიის ყველა საზეიმო განრიგება, რომელიც ვალტერს იაფი არ დაუჯდება.

მომატებული ხალხის გუგუნის თაღის ქვეშ თანდათან ძლიერდებოდა. ზოგიერთი თითქმის ხმამაღლა ლაპარაკობდა, სტუმრები ერთმანეთს აჩვენებდნენ სახელოვან ახალმოსულებს, რომელნიც კმაყოფილი იყვნენ, რომ მათ ათვალირებდნენ, და იტიმებოდნენ. თანაც ცდილობდნენ, ჩვეულების მიხედვით, კვლავ პირველ რიგში მდგარიყვნენ. ეს სახელოვანი ხალხი უკვე დაჩვეული იყო ყველა დღესასწაულზე თავიანთი თავი ამრიგად ეჩვენებინათ და ეგონათ, რომ ისინი ყოველი ზეიმის უცვლელ სამკაულს, მხატვრულ მოკაზმულობას შეადგენდნენ.

რივალმა განაგრძო:

— ერთი მიბრძანეთ, თქვენ ხომ ხშირად დაბრძანდებოდით პატრონთან: მართალია თუ არა, ვითომ ქ-ნი ვალტერი და დეუ-რუა ერთმანეთს ხმას აღარ სცემენ?

— დიახ, მართალია. მას არა სურდა თავისი ქალი დეუ-რუასთვის მიეთხოვებინა, მაგრამ ჟორჟმა მათ მიერ მაროკოში ჩამარხული ცხედრები აღმოაჩინა და ამით ვალტერი ხელში დაიჭირა. ბებერს საშინელ გამხილებას ემუქრებოდა. ვალტერს ლაროშის მაგალითი გაახსენდა და უცბად დანებდა. ხოლო ყველა ქალივით ჯიუტმა დედამ ფიცი დასდო, რომ სიძეს ერთ სიტყვასაც აღარ ეტყოდა. ერთად რომ ვხედავ, საშინლად მეცინება ხოლმე. ქ-ნი ვალტერი იმ დროს ნემეზიდას ძეგლს ჰგავს, ის კი ძალიან დარცხვენილია, თუმცა ამას არ ამუღავენებს, რადგან მშვენივრად სცოდნია თავისი გრძნობების ალაგმვა.

სალიტერატურო თანამოკალმენი დეუ-რუას ხელს ართმევდნენ, აქა-იქ პოლიტიკური საუბრის ნაწვევებები ისმოდა. ტაძრის კარიბჭესთან თავმოყრილი ხალხის ლაპარაკი, შორეული ზღვის გუგუნით ბუნდოვანი, მზის სინათლესთან ერთად კარებში შემოდის, თაღებში აღიოდა და ეკლესიაში თავმოყრილ რჩეულთა დაბალ ხმაურს ჰფარავდა.

უცებ მეკარემ ხის იატაკს სამჯერ დაჰკრა კვერთხი. ყველამ სკამების მიწვე-მოწვევით და კაბების შრიალით მიიხედა იქით. კარიბჭის ნათელ შუქში გამოჩნდა დედოფალი, რომელიც თავის მამას ხელგაყრილი მოსდევდა. სუზანა უწინდელივით საუცხოო თეთრ სათამაშოს ჰგავდა. თმაში თეთრი, წვრილი ყვავილი ჰქონდა გაყრილი.

რამდენიმე წამით დირეზე შედგა, როცა ფეხი ტაძარში შემოდგა, ორღანმა მძლავრად დაიგუგუნა და თავისი ძლიერი ლითონის ხმით ყველას დედოფლის მოსვლა აუწყა.

საცოლვე თავჩაღუნული მოდიოდა, თუმცა არავითარი სიძაბუნე არ ეტყობოდა, მაინც გაურკვეველ მღელვარებას ჰგრძნობდა, და იყო მშვენიერი, პატარა და თვალწარმტაცი. ხალხს რომ ახლო გაუარა, ქალები ღიმილით ჩურჩულებდნენ; ხოლო მამაკაცები ერთმანეთს დაბალი ხმით ეუბნებოდნენ: „საუცხოოა! დვთაებრივია!“ მამა ჭარბი მედიდურობით მოაბიჯებდა, ოდნავ ფერმკრთალი იყო და ცხვირზე სათვალე უკრიალებდა.

მათ ოთხი დობილი მოსდევდა, ოთხივე ლამაზი, ოთხივე ვარდისფერი კაბით გამოწყობილი. ეს იყო მართლა სათამაშო დედოფალას მშვენიერი ამაღა. ოთხი მეჯვარეც ერთიმეორის შესაფერისად იყო შერჩეული და ისე მოდიოდნენ, თითქოს ბალეტმეისტერის მიერ ყოფილიყვნენ დაგეგმილი.

შემდეგ დედა მოჰყვა სიმამრს. მარკიზ დე ლა ტერ-იველენს, სამოცდათორმეტი წლის მოხუცს, ხელგაყრილი მოსდევდა. ქნი ვალტერი კი არ მოდიოდა, მოლასლსებდა და ყოველ ნაბიჯზე თითქმის გული მისდიოდა, თითქოს მისი ფეხისგულები იატაკს ეწებებოდა, ფეხებიც სიარულზე უარს ამბობდნენ და საგულეში გული იმ მხეცივით უფართხალებდა, რომელიც ნახტომებით ლამობს დამალვას. გამხდარიყო, ხოლო ჭადარა თმის გამო მისი პირისახე უფრო ფერმკრთალი და მიმჭკნარი მოჩანდა. არავინ რომ არ დაენახა, პირდაპირ იხედებოდა და იმაზელა ფიქრობდა, რაც მას აწვალებდა.

მერე ჟორჟ დე-რუა და ვილაც უცნობი ხნიერი დედაკაცი გამოჩნდნენ. სასიძოს თავი მალლა ეჭირა, წარბშეკრული იყო და მტკიცე და უძრავი თვალით პირდაპირ იხედებოდა. ზემო ტუჩზე უღვაში თითქოს ბრაზით აყრილიყო. ყველას ლამაზ ვაჟკაცად მოეჩვენა. წვრილი, ნელი, უცხო სიარული და წერწეტა ფეხები ჰქონდა. ფრაკი კოპწიად ჰქონდა გამოწყობილი, ხოლო ზედ სისხლის წვეთივით მიცხებული საპატო ოდენის პაწაწა ნიშანი ყველას თვალში სცემდა.

მერე ნათესავები მოდიოდნენ. როზა სენატორ რისოლენს მოჰყვებოდა. უკვე თვე-ნახევრის წინათ იყო გათხოვილი. გრაფი ლა ტურიველენი და გრაფი დე პერსემურას მეუღლე ხელიხელ-გაყრილი შემოვიდნენ.

სულ ბოლოს დე-რუას მოჰყვა ნაცნობ-მეგობართა ჭრელი რიგი, რომელიც მან თავის ახალ ნათესავებს გააცნო. ეს ხალხი ცნობილი იყო პარიზის ნახევრად წარჩინებულთა შორის, ყველას ადვილად ეცნობოდა, ადვილადვე უმეგობრდებოდა, თუ საჭირო იყო, კიდევაც უნათესავდებოდა. აქ იყვნენ მდიდარი მეტიჩრები, დავრდომილი, გაკოტრებული, სახელგატეხილი თავადაზნაურები. ზოგიერთებს, ყველაზე უარესებს — ცოლ-შვილიც კი ჰყავდათ. აქ ნახავდით დე ბელვინს, მარკიზ ბანჟოლენს, გრაფ დე რაველენს თავისი ცოლით. აქვე მოჩანდნენ ჰერცოგი დე რამორანო, თავადი კრავალოვი, კავალერი ვალრუალი, შემდეგ ვალტერის სტუმრები: თავადი დე გეში, ჰერცოგი დე ფერასინი თავისი ცოლით და მშვენიერი მარკიზა დე დუნისა. ამ ჯგუფში ქნი ვალტერის რამდენიმე ნათესავს კარგა პროვინციალური იერი ჰქონდა.

ორღანი გალობდა. მისი კრიალა საყვირები ზეცას ადამიანთა სიხარულს და ურვას უზაზნიდნენ და უზარმაზარ შენობას მაღალი, რიტმული ხმებით ავსებდნენ. კარიბჭე დაკეტეს და იქაურობა უცებ ისე ჩამოაბნელეს, თითქოს იმ ტაძრიდან მზე გაეგდოთ.

ახლა მეფე-დედოფალი საკურთხეველის წინ იდგა მუხლ-მოყრილი. ტანყურის ახალი ეპისკოპოსი საკურთხეველიდან კვერთხით და მიტრით გამოვიდა, რათა ახალი წყვილი სამარადისოს სახელით შეეერთებინა.

ჩვეულებრივი საკითხველი გამოჰკითხა, ბეჭდები შეუცვალა, ჯაჭვივით შემბოჭავი სიტყვები წარმოთქვა და ახლად ჯვარდაწერილებს ქადაგება უთხრა. დიდხანს ილაპარაკა შემკული სიტყვები ერთგულებაზე. ეპისკოპოსი დიდი, სრული და ერთი იმ პრელატთაგანი იყო, რომელსაც მუცელი დიდებულის იერს აძლევს ხოლმე.

უცაბედი ქვითინის ხმაურმა ზოგიერთი მოახედა. დედოფლის დედას პირისახე ხელებში ჩაემაღა და ტიროდა, ბოლოს ის იძულებული იყო, დაეთმო. ან რა ექნა? დღიდან სუზანას დაბრუნებისა დედა აუტანელი და დაუსრულებელი ვარამით ეწვალებოდა. ქალიშვილი არ დალოცა და თავისი ოთახიდან გამოაგდო, ხოლო სახეიმო საღმრთო შემოსულ დე-რუას ჩუმი ხმით უთხრა:

— თქვენისთანა ვერაგი ჩემს სიცოცხლეში ჯერ არ შემხვედრია. ნურასოდეს ნურაფერზე ნუღარ მომმართაეთ. იცოდეთ, არ გიპასუხებთ.

სუზანა მწვავე სიძულვილით შეიძულა, და ამ ავ გრძნობას უიმედო ვნება და უწყალო ეჭვი დაერთო, უცნაური ეჭვი დედის და საყვარლისა ახალი ჭრილობისათვის მწვავე და საზარელი, რომელშიც შეუძლებელი იყო გამოტეხილიყო.

და აი, ეპისკოპოსი ჯვარს სწერდა მათ, მის შვილს და მის საყვარელს, სწერდა ეკლესიაში, ორიათასი კაცის თანდასწრებით და მისივე თვალ-წინ! დედას კი ვერაფერი უთქვამს! მას არ ძალუხს ხელი შეუშალოს! არ ძალუძს დაიყვიროს: „ეგ კაცი მე მეკუთვნის, ეგ კაცი ჩემი საყვარელია! თქვენ მიერ ნაკურთხი შეუძლება სამარცხვინოა!

ზოგ ქალს გული აუწუყდა და წაიწურა:

— საწყალი დედა, როგორი ადელვებულია!

ხოლო ეპისკოპოსი ენამჭევრობდა:

— თქვენ ამ ქვეყნის ბედნიერებს ეკუთვნით, მდიდრებსა და პატივცემულებს. თქვენმა ნიჭმა, მოწყალო ხელმწიფევე, სხვებზე მაღლა აგამაღლათ. თქვენ ხალხისათვის სწერთ, ასწავლით, არიგებთ, გზას უჩვენებთ და თქვენს წინაშე დიდებული ასპარეზია გადაშლილი. თქვენ მშვენიერი ვალი გეკისრებათ, თქვენ შეგიძლიათ საუცხოო მაგალითი აჩვენოთ.

დედურა ყურს უგდებდა და სიამაყის გრძნობა თავბრუს ახვევდა: რომის ეკლესიის პრელატი ასე ელაპარაკებოდა მას! ხოლო ზურგსუკან ის ხალხს გრძნობდა, რჩეულ ხალხს, რომელიც აქ ისევე მისთვის, დედურასთვის მოსულიყო, თანაც ეჩვენებოდა, რომ მას რაღაც ძალა ჰკრავდა ხელს და ზევით ეწეოდა, ის უკვე შევიდა იმ წრეში, რომელიც ამ ქვეყანას განაგებდა — ის, სოფელ კანტელის დარიბი გლეხის შვილი!

უცებ თვალწინ დედ-მამა წარმოუდგა იქ დაბალჭერიან დუქანში. მთის კალთის თხემზე, რომელიც რუანის დიდ ველს დაჰყურებს, ცხადად ხელავდა, გლეხებს როგორ უსხამდნენ სასმელს. როცა ჟორჟი ვოდრეკის მემკვიდრედ გადაიქცა, მშობლებს ხუთი ათასი ფრანკი გაუგზავნა. ახლა კი ორმოცდაათათასს გაუგზავნის, პატარა მამულს იყიდიან და გაბედნიერდებიან.

ეპისკოპოსმა სიტყვა დაასრულა. ფარჩის ოღარით მოსილი მღვდელი საკურთხეველში შევიდა. ორდანი ხელახლა შეუდგა მეფე-დედოფლის ქება-დიდებას, ახლა იგი გრძელი და მაღალი ხმით გალობდა. მისი ტალღისებური გალობა ისეთი ხმოვანი და მძლავრი იყო, თითქოს სურდა ჭერი აეგლიჯა და ლაჟვარდ ცაში აფრენილიყო. ეს იდუმალი ხმა მთელ ტაძარს ავსებდა და მისგან ყოველი სხეული და ყოველი სული უნებურად თრთოდა, შემდეგ ორდანი დამშვიდდა და ჰაერში ყურწარმტაცი და სუნთქვასავით მსუბქი მელოდია გადმოსკდა. ეს იყო ნარნარი, მხიარული, ჩიტის ღუღუნით სიმღერა. მაგრამ უცებ ეს კეკლუცი მუსიკაც ისე დარბაისლურად ამღერდა, ისე მედიდურად და მძლავრად აჟღერდა, თითქოს ერთი რამ იოტი ხალხისავე თვალწინ ვეება ქვეყნად გარდაქმნილიყო.

შემდეგ ადამიანური ხმა გაისმა და თავჩაღუნულებს ზედ გადაუარა: ოპერის არტისტები ბ.ბ. ვორი და ლანდუკი გალობდნენ. ირგვლივ ყოველივე საკმეველის ნაზი სურნელით იჟღინთებოდა. საკურთხეველთან წირვას ათავებდნენ. ღმერთკაცმა თავისი მოგვის ხმა ისმინა და ამ სოფლად ჩამოდიოდა, რათა ბარონ დედურასთვის გამარჯვება დაელოცა და ეკურთხებინა.

სუზანას გვერდით მდგომმა ლამაზმა მეგობარმა თავი დაღუნა. — იმ წამს ელანდებოდა ვითომ ღმერთი ირწმუნა, რომელმაც მას ესოდენი მფარველობა გაუწია და ესოდენი წყალობა მოჰგვარა. თითქოს არც კი იცოდა, ვის მიმართავდა: ახალკაცი თავისი წარმატებისათვის უფალს სწირავდა მაღლობას.

წირვა რომ დასრულდა, ჟორჟ დედურა წამოდგა, ცოლს ხელი მისცა და შესამოსეღთა საცავში გაიყვანა. სტუმრებმა მათ წინაშე გაგლა დაიწყეს. ბოლო აღარ ჩანდა, სიხარულით გადარეულ ჟორჟს ზოგჯერ თავისი თავი ეჩვენებოდა მეფედ, რომელსაც ხალხი ესალმებოდა. ყველას ხელს ართმევდა, ფულურო სიტყვებს ეუბნებოდა, თავს უკრავდა და ქათინაურებზე ასეთ პასუხს აძლევდა: „ფრიად, სასიამოვნო“!..

უცბად კლოტილდას მოჰკრა თვალი და გაახსენდა ყველა მის მიერ მიცემულ-მიღებული კოცნა, მათი აღერსი, ხვევნა, ცუდლუტობა, მისი ხმის იერი, მისი ტუჩების

გემო, და ამ მოგონებამ მას ნასაყვარლევის დაბრუნების ჟინი აუნთო. კლოტილდა თავისი ცოცხალი თვალებით და ავარული იერით ისევ ღამაში, ისევ წინანდელივით მიმზიდველი იყო. მაინც დიდებული საყვარელია! გაიფიქრა ჟორჟმა.

კლოტილდა გაუბედავად, შიშნაკრავი კრძალვით მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. ჟორჟმა ჩამოართვა, ერთ ხანს ეჭირა და მისი ქალური, მორიდებული, ნაზი ძახილი იგრძნო, მისი მოსარიგებელი და შესანდობარი ხელმოჭერა გაიგო, და ამ პაწაწა თათუნას თვითონაც ისე მოუჭირა, თითქოს ეუბნებოდა: „ისევ შენი ვარ, კლოტილდა, და ისევ უწინდელივით მიყვარხარ“.

მათი მოღიძარე, მბრწყინავი და სიყვარულით აღსავსე თვალები ერთმანეთს შეხვდა. კლოტილდამ თავისი ნაზი ხმით წაიწურა:

— ნახვამდის, მალე გეწვევით.

— ნახვამდის, მალე გვნახეთ, — მხიარულად უპასუხა მან.

ქნი დე მარელი წავიდა.

სხვებიც მოდიოდნენ, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის წინ ხალხი წყალივით მიედინებოდა. ბოლოს შეთხელდა, უკანასკნელებმაც ჩაუარეს. ჟორჟმა სუხანას ხელახლა მოჰკიდა ხელი.

მაგრამ ეკლესია ისევ გაივსო: ყველა ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა, რადგან სურდათ ენახათ, მეფე-დედოფალი ერთად როგორ გაივლიდა. ჟორჟი ნელი ნაბიჯით მოდიოდა. თავი მაღლა აეწია, ხოლო თვალები მზის შუქით განათებულ განიერ კარიბჭეზე ჰქონდა მიბჯენილი. მიდიოდა და ზოგჯერ ხანგრძლივი ჟრჟოლა უვლიდა ტანში. ხან კი ის ცივი თრთოლვა გაჰკრავდა, რომელსაც უდიდესი ბედნიერება იწვევს ხოლმე. ის აღარავის არ ხედავდა და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა.

ღირესთან რომ მივიდა, შავი, მღელვარე, შექუჩული ბრბო დაინახა, რომელსაც მისთვის, ჟორჟ დეურუას გულისთვის მოეყარა თავი. ახლა პარიზელი ხალხი ახალ კაცს შესცქეროდა და მისი გამარჯვება შურდა.

შემდეგ ახალმეფემ თვალები ასწია და მოშორებით, თანხმობის მოედნის გადაღმა, დეპუტატთა პალატა დაინახა. მაშინვე მოეჩვენა, თითქოს თითქოს წმინდა მადლენას კარიბჭედან ბურბონთა სასახლის აივანზე გადამხტარიყო.

მაღალსა და განიერ კიბეზე წყნარად დაეშვა. ცნობისმოყვარეთა ორ წყებას შუა ჩამოდიოდა და არავის აღარ უყურებდა: მისი აზრი უკანვე გამობრუნდა. მძაფრი მზის შუქით დაბინდულ თვალებში ელანდებოდა ისევ კლო, რომელიც საფეთქლებზე თმას ისწორებდა, რადგან ლოგინიდან ადგომის დროს მუდამ აწეწილი ჰქონდა ხოლმე.

კომენტარები

„ღამაზ მეგობარზე“ მუშაობა მოპასანს დაწყებული უნდა ჰქონდეს 1883 წელს, როდესაც გამოქვეყნდა მისი რიგი მოთხრობა და ნარკვევი, სადაც გვხვდება რომანის ზოგიერთი სიუჟეტური ეპიზოდი და იდეური მოტივი. ჟორჟ დეურუასა და ლაროშ მატეის სახეებით წარმოდგენილი სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპის პირველ მონახაზს შეიცავს 1883 წლის მარტში გამოქვეყნებული პატარა ნარკვევი „მამაკაცი-მეძაი“. აქ მოპასანი უბოდიშოდ აცხადებს, რომ „მამაკაცი-მეძაი“ წარმოადგენს „ქვეყნის იარაღ“, რომლისგანაც „დეპუტატთა პალატაა წალეკილი“ და რომელიც „გაზეთებში გვხვდება ყველაზე მეტად, სადაც ყველაზე მეტადაც არის საჭირო“.

ბურჟუაზიული გაზეთების სიცრუეზე, უპრინციპობაზე, მექრთამეობაზე და ყალბანდობაზე ცხადი წარმოდგენა მოპასანს ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეექმნა და, უთუოდ, ისევ ფლობერის წყალობით, რომელიც ამბობდა ხოლმე, „ამ დუქნებისადმი სიძულვილი მშვენიერებისადმი სიყვარულის დასაწყისიაო“. შემდეგ კი პირადი გამოცდილება სულ უფრო უმტკიცებდა მოპასანს ამ წარმოდგენას.

„ღამაზი მეგობრის“ პერსონაჟებს რეალური პროტოტიპებიც ჰყავს. მოპასანის მიერ ნაცნობთა წრეში ნათქვამი, „დეურუა მე ვარ!“-ო, მისტიფიკაციას წარმოადგენს, მაგრამ სამაგიეროდ მისი უმცროსი ძმა ერვე, რომელიც არც ჟურნალისტი და არც ებრაელი ბანკირის სიძე არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ქერა უღვაშებით შემკული უნტეროფიცერი, აშკარად ემსახურა მას როგორც „ფიზიკური მოდელი“. ამას გარდა, ერთი თანამედროვის მოწმობით, მოპასანმა „სასტიკი უღმობელოებით შემოიყვანა

რომანის განვითარებაში ორი ქალი, რომლებიც მეტ-ნაკლებად ვარშოეობდნენ მის მზარდ ცნობიერებას“, ხოლო მეორე ბიოგრაფოსის ცნობით, ვალტერის პროტოტიპად მოპასანმა გამოიყენა გაზეთ „გოლუას“ გამომცემელი არტდურ მეიერი, რომელსაც ასევე ახასიათებდა გაზეთის სტრიქონით ცინიკური ვაჭრობა და პოლიტიკური სიტუაციით მოხერხებული სპეკულაცია. მართალია, მეიერისა და ვალტერის სახეები ზუსტად არ თანხვდებიან ერთმანეთს, მაგალითად, პირველი კათოლიკე მონარქისტი იყო, მეორე კი პარლამენტის „მარცხენა ცენტრის“ მომხრე და თანაც, დეპუტატი, მაგრამ ეს „დაცილება“ განსახიერების რეალისტური მეთოდითაა ნაკარნახევი, რომლის თანახმადაც მოპასანი მხოლოდ იმას ირჩევს ემპირიული მასალიდან, რაც ტიპიური სახის შესაქმნელად სჭირდება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ტანჟერის ექსპედიციის“ ეპიზოდი, რომელიც რომანში მრავალი რეალისტური დეტალითაა მოთხრობილი. სინამდვილეში მოპასანის დროს არავითარი ტანჟერის ექსპედიციას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ზოგიერთი მსგავსი ფაქტის, — უმთავრესად საფრანგეთის მიერ 1881 წელს ტუნისის დაპყრობის, — მიხედვით მწერალმა შეთხზა მხატვრული ამბავი, რომელიც ბრწყინვალედ ახდა 30 წლით გვიან: 1912 წელს საფრანგეთმა, ესპანეთთან ერთად, მართლაც დაიპყრო და „გაიყო“ მაროკო.

„ტანჟერის ექსპედიციის“ ვალტერისა და მაციეს ფინანსიურ მაქინაციებთან კავშირის მოტივსაც რეალური სარჩული უდევს: 1881 წლის სექტემბერში ცნობილმა პამფლეტისტმა ანრი როშფორმა გამოაქვეყნა მამხილებელი წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ ტუნისის ოკუპაცია მთლიანადაა მოწყობილი გამბეტას, საფრანგეთის პრეზიდენტისა, და რუსტანის, საფრანგეთის ტუნისელი ელჩის, მიერ, რომელთა მიზანსაც საბირჟო თამაში წარმოადგენდა.

ცოცხალ სინამდვილესთან, მიმდინარე პოლიტიკურ ამბებთან ასეთი მჭიდრო სიახლოვე პუბლიცისტური პამფლეტის სიმწვავეს სძენს „ლამაზ მეგობარს“ და ბუნებრივია, რომ მის გამოქვეყნებას გაუგონარი სენსაცია მოჰყვა. საოცარი ხმაური ატეხა მოპასანის მიერ ესოდენ მწარედ განქიქებულმა რეაქციულმა პრესამ. მაგრამ მის დამცველთა „არგუმენტები“, რომელთა შორის მთავარი ის იყო, რომ პარიზის ჟურნალისტიკის რომანში დახატული სურათი „დაუჯერებელია“, მხოლოდ მოპასანის სიმართლეს ადასტურებდა. ასე მაგალითად, კონსერვატიულ „გოლუას“ რეცენზენტი აცხადებდა: „მე ვერ დავიჯერებ, რომ ასეთივეა მთელი ჟურნალისტიკა. ბალზაკმა მის სუსტ მხარეთა მიუხედავად უფრო ამადლებულად წარმოგვიდგინა იგი... აქ კი ჩვენ მხიარულად ვცურაობთ სიბინძურის ოკეანეში. რა საზოგადოებაა! დიდო ღმერთებო! რა გარემო! რა ხალხი!“ რეცენზენტის მიერ მისდაუნებურად კარგად შემჩნეული განსხვავება პარიზის ჟურნალისტიკის ბალზაკისეულ და მოპასანისეულ სურათებს შორის სავსებით სწორად გამოხატავს იმ პოლიტიკურ-მორალურ დეგრადაციას, რომელიც ბურჟუაზიულმა პრესამ კაპიტალიზმის იმპერიალიზმად გადაქცევასთან ერთად განიცადა.

„ლამაზ მეგობარს“ იმთავითვე უადრესი წარმატება ხვდა წილად. 1883 წლის 8 აპრილს დაიწყო გაზეთ „ჟილ ბლას“-ში ფელეტონებად მისი ბეჭდვა, ხოლო უკვე იმავე წლის სექტემბერში მისი 37-ე, 1887 წლის აპრილში კი 51-ე გამოცემა გამოვიდა. აგრეთვე დაუყოვნებლივ ითარგმნა იგი სხვა ევროპულ ენებზე.

* * *

გვ. 28. ელისეს მინდვრები. ძველბერძნულ მითოლოგიაში — მიცველილთა ანრდილების იმიერი სასუფეველი, ხოლო პარიზში — საქვეყნოდ ცნობილი პარკი, რომელშიც დგას საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენცია — ელისეს სასახლე და რომელსაც ჭრის 2 კილომეტრის სიგრძის ბრწყინვალე შენობებით შემკული პროსპექტი — ელისეს მინდვრების ავენიუ.

ბულონის ტყე — მდ. სენის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ვრცელი კეთილმოწყობილი ბაღი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან აკრავს პარიზის ცენტრს.

გვ. 30. ალჟირი — საფრანგეთის კოლონია აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე (დასავლეთით ესაზღვრება მაროკოს, აღმოსავლეთით — ტუნისს, ხოლო სამხრეთით — საჰარას), ადგილობრივ, ძირითადად არაბულ მოსახლეობასთან სასტიკი ბრძოლების შედეგად ფრანგებმა დაიპყრეს 1830-47 წლებში.

გვ. 33. ბაკალავრი — ძველად დასავლეთ-ევროპულ უნივერსიტეტებში, ამჟამად კი მხოლოდ ინგლისში — პირველი, უმდაბლესი სამეცნიერო ხარისხი; ხოლო თანამედროვე საფრანგეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც — პიროვნება, რომელსაც საშუალო სკოლა დაუმთავრებია.

ციცერონი, მარკუს ტულიუსი (ძვ. წ. 160—43) — ძველრომაელთა სახელგანთქმული ორატორი და გამოჩენილი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე.

ტიბერიუსი (ძვ. წ. 42—ახ. წ. 37) — ძველრომაელთა თვალსაჩინო მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, მე-14 წლიდან — რომის იმპერატორი.

მენტონა — საფრანგეთის ცნობილი კლიმატური კურორტი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

გვ. 36. კაფე-შანტანი — რესტორანი ესტრადითურთ, რომელზედაც სრულდება ხოლმე ორაზროვანი, ხშირად უხამსი სიმღერები და ცეკვები.

მიუზარი (1793—1859) — ფრანგი მუსიკოსი, რომლებიც XIX საუკუნის 30-40-იანი წლების პარიზში მართავდა ბალებსა და მასკარადებს.

ფოლი-ბერჟერი („მწვემსური გიჟობანი“) თავდაპირველად ერქვა პარიზის „მცირე ფორმათა“ თეატრებს, რომლებშიც იდგმებოდა ოპერები და ბალეტები (პირველი „ფოლი“ 1831 წელს დაარსდა), ხოლო შემდეგში ისინი გადაიქცნენ ჩვეულებრივ კაბარეებად ანუ კაფეებად და რესტორნებად, სადაც საჭმელ-სასმელიც იყიდება და სხვადასხვა ხასიათის საცეკვაო, სასიმღერო, მუსიკალური ან საცირკო წარმოდგენებიც იდგმებოდა.

გვ. 38. იტალიელებთანაც შეხვედებით: — იგულისხმება პარიზის იტალიური საოპერო თეატრი

გვ. 33. 39. სენ-ლაზარი — მეძავთა ციხე პარიზში
ლურსინი — პარიზის ციხე.

გვ. 47. კორდონი, შატო-ლაროზი — ფრანგული ღვინის მარკები.

გვ. 49. „პატარა არაბული რესპუბლიკა მზაბ“ მოპასანმა დაწვრილებით აღწერა აფრიკაში 1881 წელს თავისი მოგზაურობის შესახებ ნარკვევში „მზის ქვეშ“ (1884), სადაც სხვათა შორის, ვკითხულობთ: „მზაბი არის რესპუბლიკა ან, უფრო სწორად, იმის მსგავსი კომუნა, როგორც დაარსებაც 1871 წელს პარიზის რევოლუციონერებმა ცადეს“.

გვ. 52. „აქ ყველაფერი იპოებოდა: კუშეტი... შეზ-ლონგი... ლუი XVI-ის სტილზე ნაკეთები“. — კუშეტი—ღივანი. შეზ-ლონგი („გრძელი სკამი“) — ერთგვარი სავარძელი დახრილი ზურგითა და წაგრძელებული დასაჯდომით. რომელზედაც ნახევრად წამოწოლა შეიძლება. ლუი XV — საფრანგეთის მეფე, რომელიც რევოლუციონერებმა 1792 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს, ხოლო 1793-ს გილიოტინაზე აიყვანეს. მის სახელთან დაკავშირებული დეკორატიული სტილი მკვიდრდება XVIII ს-ის 60-ნი წლებიდან, წარმოადგენს გადასასვლელს „როკოკოდან“, „ნეოკლასიციზმისაკენ“ და ხასიათდება მკრთალი ფერებითა და ორნამენტულ ფორმათა მშვიდი სიციხადითა და სინაზით.

გვ. 58. „ბუნებით პატიოსანი ნორმანდიელი იყო“, ე. ი. მკვიდრი ნორმანდიისა. თანამედროვე საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი პროვინციისა, რომლის ცენტრია ქ. რუანი და სადაურიც იყო თვითონ მოპასანი.

გვ. 65 ორანის პროვინცია — ალჟირის დასავლეთი, მაროკოს მოსაზღვრე მხარე.

გვ. 67. „დიუვალთან შევიდა საუზმის საჭმელად“. — პარიზში 1850-ნი წლებიდან არსებობდა კუხმისტერ დიუვალის მიერ ორგანიზებული დიდი ქსელი იაფფასიანი სასადილოებისა, რომლებიც თავიანთი დამაარსებლის სახელით იხსენიებოდა.

გვ. 68. ბილბოკე — ერთგვარი თამაში, რომელიც მდგომარეობს კანაფზე მიბმული ბურთის აგდებასა და ჯოხზე დასმაში.

გვ. 69. ეკარტე — ბანქოს ფრანგული თამაში, „პიკეტური“, — 32 ქაღალდიანი, — დასტითა და ორ მონაწილეს შორის.

გვ. 77. „ეს ძუნწი ბალზაკით ლაპარაკობს“. უდიდესი ფრანგი რომანისტის ონორე ბალზაკის (1799-1850) ენა ხასიათდება მკვეთრი და ძარღვიანი, კონტრასტული და პარადოქსული სიტყვებითა და გამოთქმებით.

„... დონ კიხოტი რივალი“ — გენიალური ესპანელი სატირიკოსის მიუგულ სერვანტესის (1547-1616) გმირი დონ კიხოტი იქცა არარეალური მიზნების მსახველი კაცის, უნიადაგო მეოცნებისა და უნაყოფო მებრძოლის სიმბოლოდ.

გვ. 78. „ერთი ხნის ვივიერის... საყვარელია“. — ფრანგული „viveur — ვივიერი“ ნიშნავს „ცხოვრების კაცს“. სიამოვნების მომხრეს, მხიარულებისა და ხორციელი ტკბობის მოტრფიალეს.

ფერვაკი — XIX-ის 70-80-ნი წლების ფრანგი ჟურნალისტი, გაზეთ „ფიგაროს“ ნიჭიერი რეპორტიორი, რომელიც აშუქებდა „მაღალი“ საზოგადოების ცხოვრებას.

გვ. 79. „ექუალის ფორი“ ანუ „ვარსკვლავის მოედანი“ — პარიზის ერთ-ერთი მთავარი მოედანია, რომელზედაც დგას ცნობილი სატრიუმფო კამარა — დიდებული თალი, რომლის მშენებლობა დაიწყო 1806 წელს იმპერატორ ნაპოლეონ პირველის აუსტერლიცთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების (1805 წ. 2 დეკემბერს) აღსანიშნავად.

გვ. 83. გრენადინი — „გრენადის“ ანუ ბროწეულის სიროფი.

გვ. 84. შატო-მარგო, არჟანტეილი — ფრანგული ღვინის მარკეპია.

გვ. 86. იაპონიური პენიუარი — ქალის დილის ხალათი. ერთგვარი კაპოტი, კიძონო.

გვ. 89. სათამაშო ყუთიდან ამომხტარი ჭინკასავით გადასკუპდებოდა. — „ყუთში ჩასმული ჭინკა“ — საფრანგეთში პოპულარული საბავშვო თამაშია.

გვ. 110. ლიუქსემბურგის ბაღი — პარიზის ძველი პარკი, რომელიც აკრავს 1612—20 წლებში აგებულ ლიუქსემბურგის სასახლეს, თავდაპირველად ტახტის მემკვიდრე პრინცთა, ხოლო ბოლოს საფრანგეთის სენატის რეზიდენციას.

გვ. 121. „მე აღფონსებთან საქმე არა მაქვს“. — აღექსანდრე დეუმა-შვილის (1824—95) კომედიის „ბატონი აღფონსის“ (1874) გმირის მიხედვით აღფონსი შეერქვა მეძავე მამაკაცს, რომელსაც ქალები არჩენენ.

გვ. 127. ლოპე დე-ვეგა. (1562—1635) — აღორძინების ხანის გამოჩენილი ესპანელი დრამატურგი, „ცხვრის წყაროსა“ და მრავალი სხვა ცნობილი დრამის ავტორი.

გვ. 128. „სიკვდილი და ორმოცი ბებრის თამაში“ — საფრანგეთის აკადემიას ორმოცი წევრი ჰყავს და ახალ აკადემიკოსს მხოლოდ ძველი წევრის სიკვდილის შემდეგ ირჩევენ.

გვ. 134. გიემე, ჟან-ბატისტ-ანტუანი (1843—1918) — ფრანგი პეიზაჟისტი და მარიინისტი (ზღვის ხედთა) მხატვარი, მოპასანის ერთ-ერთი მეგობარი; მას მიეძღვნა ნოველა „ნათლობა“.

არპინი, ანრი-ჟოზეფი (1819—1916) — ფრანგი მხატვარი, პეიზაჟისტი და გრაფიკოსი, ეკუთვნოდა ე. წ. „ბარბიზონის“ სკოლას, რომელიც ეტანებოდა ბუნების „ინტიმურ“, მშვიდ და სადა, მაგრამ გრძნობიერ სურათებს.

გიომე, გიუსტავ-აშილი (1840—1887) — ფრანგი ლიტერატორი და მხატვარი-ორიენტალისტი; დიდხანს ცხოვრობდა აღჟირში და თითქმის მთლად შემოიფარგლა აღჟირისა და მაროკოს თემატიკით.

გვ. 135. ჟერვე, ანრი (დაიბ. 1852) — ფრანგი მხატვარი, ჟანრული და ისტორიულ სურათთა ავტორი, მოპასანის მეგობარი; 1885 წლის აპრილ-ივნისში მოპასანთან ერთად იმოგზაურა იტალიაში, იმავე წლის ზამთარში დაწერა მოპასანის პორტრეტი.

ბასტიენ-ლეჟაჟი, ჟიული (1848—1884) ფრანგი რეალისტი მხატვარი.

ბუგრო, ადოლფ-უილიამი (1825—1905) — ფრანგი მხატვარი, ე. წ. „ნეოკლასიკური“ მხატვრობის წარმომადგენელი.

ლორანსი, ჟან-პოლი (1838—1921) — ფრანგი მხატვარი, მრავალი ისტორიული სურათის ავტორი.

ვანდეელი მღვდელი. — ვანდეა არის ატლანტიკური ოკეანის სანაპიროზე, მდ. ლუარის შესართავის სამხრეთით მდებარე ფრანგული პროვინცია, სადაც საფრანგეთის XVIII საუკუნის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მოხდა რეაქციული სამღვდელოებისა და არისტოკრატის მიერ მოტყუილებული გლეხობის აჯანყება.

„ცის-ფერი“ რაზმი, — რაზმი საფრანგეთის მაშინდელი რევოლუციური ჯარისა, რომელსაც ცისფერი მუნდირები ეცვა.

ბერო. ჟანი (1849—1935) — ფრანგი პორტრეტისტი და ჟანრული მხატვარი, რომელსაც მოპასანმა მიუძღვნა მოთხრობა „შაღლი“.

ლამბერი, ლუი-ეჟენი (1825—1900) — ფრანგი მხატვარი ანიმალისტი, დელაკრუას მოწაფე, ხატავდა ჟანრულ კომიკურ სურათებს, რომელთა მოქმედი პირები იყვნენ კატები, რისთვისაც ხუმრობით „კატების რაფაელი“ ეწოდა.

დეტაი, ჟან-ბატისტ-ედუარდი (1848—1912) — ცნობილი ფრანგი რეალისტი მხატვარი, ბატალური სურათების ავტორი.

ლეღუარი, მორისი (1853—1940) — ფრანგი მხატვარი, მოპასანის მეგობარი, მას მიეძღვნა მოთხრობა „იდილია“.

გვ. 145. ლესბოსი — საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში, ძველბერძნული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი; იმდროინდელი ლესბოსელი ქალები ცნობილი იყვნენ ურთიერთისადმი არაბუნებრივი სექსუალური მიდრეკილებით.

ვოდევილი — სახელწოდება წარმოსდგება ჩრდილო ფრანგული პროვინცია Val de Vire-დან — თავდაპირველად, XVI ს-ის საფრანგეთში, ქალაქის ქუჩის სიმღერა, რომელიც მეფის ურჩ ფეოდალებს დასცინის; მერმე, XVIII ს-ის დასაწყისში: სახუმარო ხასიათის სასიმღერო პიესა, რომლის ცალკეულ კუპლეტებს მსახიობებთან ერთად მაყურებელიც მღეროდა; და ბოლოს, დაახლ. 1750 წლიდან მოყოლებული, — პატარა მოცულობისა და მსუბუქი კომედიური ხასიათის კუპლეტებიან-ცეკვებიანი პიესა, კომიკური ოპერა.

გვ. 150. „დუურუა თავს ირთობს (Duroy s’amuse) — ეს სიტყვები პაროდიას წარმოადგენენ ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი დრამის სათაურისა: „მეფე თავს ირთობს (Le Roi s’amuse).“

გვ. 151. „ჟურნალისტი კეისრის ცოლივით უმწიკვლო უნდა იყოს“. პომპეას, იულიოს კეისრის მეორე ცოლს, ქმრის დალატი დაბრალდა; ა თუმცა ეს ბრალდება არ დადასტურდა, იულიოს კეისარი მაინც გაეყარა მას იმ საბუთით, რომ „კეისრის ცოლი ეჭვიმუტანელი უნდა იყოს“.

მონმარტრი — პარიზის ჩრდილო რაიონი, პოეტებისა და მხატვართა, სარეთოდ არტისტული ბოჰემის უბანი.

გვ. 152. ორი ლივრი კოტლეტი. — ლივრი ფრანგული „გირვანქა“.

გვ. 161. გასტრინ-რენეტი — ცნობილი პარიზელი მესაჭურველი.

გვ. 167. კანნა — ცნობილი საზამთრო და საზღვაო კურორტი საფრანგეთის რივიერაზე (ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე). — „ჟოლი“ ფრანგულად ლამაზს ნიშნავს.

გვ. 174. ინგლისური ბადი. — განსხვავებით „ფრანგული“ ანუ XVII ს-ში მიღებული „ბაროკოს“ სტილის არისტოკრატიული პარკებისა, რომელთაც აშკარა ხელოვნურობა, „არქიტექტონიზირებული“ გაფორმება, „კულტივირებული“ იერი ახასიათებდა, XVIII ს-ის დასაწყისიდან აღმოცენებული „ინგლისური ბალები“ გამოირჩევა ვითომდა ხელუხლებელი და თავისუფლად მიშვებული „ბუნებრივობით“.

გრაფი დე-პარი ანუ პარიზის გრაფი იყო პრინც ლუი-ფილიპ-ალბერ ორლეანელის (1838—1894), საფრანგეთის უკანასკნელი მეფის, ლუი-ფილიპეს შვილიშვილის ტიტული.

ბაზენი — საფრანგეთის მარშალი, რომელიც 1871 წელს მეტცთან დანებდა პრუსიელებს, რისთვისაც ომის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ მას თავისუფლება აღუკვეთა; მისი ციხიდან გაქცევა მოპასანმა დაწვრილებით აღწერა თავის სამოგზაურო ნარკვევთა წიგნში „წყალზე“ (1888).

გვ. 175. კოლბერი (1619—1693) — ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ლუი XIV-ის მინისტრი; მის მრავალ ღონისძიებას შორის აღსანიშნავია ფრანგული ფლოტის რეორგანიზაცია.

სეფურენი (1726—1788) საფრანგეთის ადმირალი, რომელიც ინდოეთში წარმატებით ეომებოდა ინგლისელებს.

დეჟპრე (1775—1846) — საფრანგეთის ადმირალი, აღჭირის დაპყრობის მონაწილე.

გვ. 194. „თქვენი გვარი ორად გაჰყავით: „დუ-რუა“-დ, და სულ სხვა რამ გამოვა“. საფრანგეთში „დუ“, „დე“, ან „დ“ წინსართი არისტოკრატიულ გვარებს ერთვის ხოლმე.

გვ. 205. მატინე — იგივე პენიუარი.

გვ. 297. „მრგვალი კოშკები, ჰერალდიკური გვირგვინებით მოსილი“ ანუ საგვარეულო ღერბებით დამშვენებული.

გოთიკური სტილი — XII ს-ის საფრანგეთში აღმოცენებული და მერე მთელ დასავლეთ-ევროპაში გავრცელებული არქიტექტურული სტილი, რომელიც ხასიათდება ისრისებრი თაღებითა და კამარებით და, საერთოდ, ვერტიკალური წაწვეტებული ფორმების სიჭარბით.

„... უზარმაზარი საკვამლე, ქეოპსის პირამიდის ტოლი“. — ქეოპსმა, ძველი წელთაღრიცხვის დაახლ. 2600 წელს მცხოვრებმა ეგვიპტის მეფემ, დღევანდელ ქაიროს

მახლობლად აკლდამად აიშენა პირამიდა, რომელზედაც, ჰეროდოტეს ცნობით, 30 წელი 100 ათასმა კაცმა იმუშავა და რომლის სიმაღლე ამჟამად 139 მეტრს აღწევს.

გვ. 210. პოლი და ვირჟინი — ფრანგი მწერლის ბერნარდენ დე-სენ-პიერის (1737—1814) ამავე სახელწოდების ცნობილი სენტიმენტალურ-იდილიური რომანის გმირები.

გვ. 219. „შერეული კომისიები“ — 1851 წლის გადატრიალების შემდეგ დააწესა ნაპოლეონ III-მ თავის პოლიტიკურ მტრებთან სასამართლოს მეშვეობით ანგარიშის გასასწორებლად.

„თავისი სოფლური მაკიაველობის წყალობით...“ — ნიკოლო მაკიაველი (1469—1527), დიდი იტალიელი ჰუმანისტი და პოლიტიკოსი, რომელიც ფრ. ენგელსმა რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ „ტიტანად“ მიიჩნია, ამტკიცებდა, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველ ხელისუფალს აქვს უფლება და კიდევაც მართებს ყოველგვარი საშუალება გამოიყენოს თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად; ამ აზრით ჩამოაყალიბა მან თავისი ცნობილი ფორმულა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. მაგრამ ბურჟუაზიულმა საქმოსნებმა იმთავითვე შერყენეს და გააუფლგარეს, ყოველგვარი მიზნისათვის გამართლებულად ჩათვალეს მაკიაველის ეს პოლიტიკური პრინციპი, ისე რომ მალე „მაკიაველობის“ ანუ „მაკიაველიზმის“ ცნება შეგნებული და სრული უპრინციპობისა და ამორალიზმის სინონიმად აქციეს.

გვ. 234. ვატტო, ანტუანი (1684—1721) — „როკოკოს“ სტილის გამომჩენილი ფრანგი მხატვარი, რომელსაც ახასიათებდა ფერთა სიმკვეთრე და სილადე.

გვ. 240. „ესკ“ წარმოადგენს შემოკლებას ინგლისური სიტყვისა „ესკუაიერ“-ი, რაც ნიშნავს „მემამულე“-ს.

გვ. 243. „ნუთუ ისე გაგიჟდებიან, რომ ტუნისის სისულელე გაიმეორონ“. — მინიშნება საფრანგეთის მიერ 1881 წელს ტუნისის ოკუპაციაზე, რომელმაც ნამდვილი ომის ხასიათი მიიღო.

გვ. 258. „ესპანეთი მაროკოს გამო გვიწერება“, — ფრანგ და ესპანელ იმპერიალისტთა ინტერესები ხშირად ეჯახებოდა ერთმანეთს მაროკოში, ვიდრე ეს უკანასკნელი 1912 წელს არ იქნა გაყოფილი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის.

გვ. 268. „...მაგრამ ჯულიეტას ცრემლი კი არა, არამედ დიდონასი“. — ჯულიეტა შექსპირის ცნობილი ტრაგედიის გმირია, ხოლო დიდონა — დიდი რომაელი პოეტის ვირგილიუსის (70—19) პოემის „ენეიდასი“. (ამ პოემის მიხედვით, ენეასი, რომაელთა ლეგენდარული წინაპარი, გაემიჯნურა დიდონას, კართაგენის დამაარსებელსა და კვიპროსის მეფის პიგმალიონის დას, რომელმაც იგი მგზნებარედ შეიყვარა, ხოლო მას შემდეგ, რაც ენეასმა მიატოვა, თავი მოიკლა). მოპასუნის ტექსტში ჯულიეტა და დიდონა დაპირისპირებულნი არიან, როგორც ყმაწვილი ქალის სიყვარულისა და გადამწიფებული ქალის ვნების განსახიერებანი.

გვ. 271. „კამბრონის ენა ჩემთან შედარებით თავაზიანობად მოეჩვენება“. — ფრანგმა გენერალმა პიერ კამბრონმა (1770—1842), რომელიც ვატერლოოსთან ბრძოლაში ნაპოლეონის ძველ გვარდიას სარდლობდა, უწმაწური გინებით უპასუხა დანებების შესახებ მტრის წინადადებას.

გვ. 294. „იმ ხანებში მთელი ქალაქი ჟან ლენობლის გალერეაში მიდიოდა ჰუნგრელი მხატვრის კარლ მარკოვიჩის დიდი სურათის საჩუქარად...“ — ასეთი მხატვარი, რომლის ხსენებული სურათი ვალტერმა იყიდა, არ არსებულა, მაგრამ 1884 წელს პარიზში მართლაც ყოფილა გამოფენილი ცნობილი უნგრელი მხატვრის მუნკაჩის სურათი „ქრისტე ჯვარზე“, ხოლო 3 წლით ადრე ამავე მხატვარმა მართლაც მიჰყიდა ვიდაც ამერიკელს უზარმაზარ ფასად (120000 დოლარად) თავისი მეორე სურათი „ქრისტე პილატეს წინაშე“. ამრიგად მოპასუნმა მხატვრის გვარი და მის სურათთა სიუჟეტი შეცვალა მხოლოდ, ხოლო თავისი დროის კულტურული ცხოვრების ნამდვილი დეტალი უცვლელად ასახა რომანში.

გვ. 297. გობელენის ხალიჩა — კედელზე დასაკიდი ხალიჩა, რომელზედაც რაიმე სურათია ამოქარგული.

ვენერა — რომაულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ღმერთქალი, ღმერთთა ღმერთის, იუპიტერის ასული, ცეცხლის ღმერთის, ვულკანის მეუღლე და ომის ღმერთის, მარსის სატრფო.

გვ. 304. ბუდუარი — პატარა, კოხტად მორთული სასტუმრო ქალისა.

გვ. 309. „საპატიო ლეგიონის ჯვარი“ — ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ 1802 წელს შემოღებული ორდენი, რომლითაც სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული

დამსახურებისათვის ჯილდოვდებიან როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო პირები. სხვათა შორის, ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ეს ორდენი ნაპოლეონის ცნობილმა ქართველმა მამლუქმა რუსტანმა. მონარქის დამსობის შემდეგ ამ ორდენით მინისტრთა წარდგინებით აჯილდოვებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. დღურუამ მიიღო ამ ორდენის „კავალერის“ წოდება, ე. ი. მისი პირველი, უმდაბლესი ხარისხი (სულ ხუთი ხარისხი არსებობს). დაჯილდოვებულნი ჩვეულებრივ ატარებენ არა თვით ორდენს, არამედ ორდენის ნიშანს — სადილეში მიმაგრებულ პატარა ალისფერ ლენტს.

გვ. 313. „ინგლისელ სალდათებს ჰგავდნენ“. — შედარება ემყარება იმ დროის ინგლისელ ჯარისკაცთა მუნდირების წითელ ფერს.

გვ. 323. სენ-ჟერმენი — პარიზის, სენის მარცხენა მხარეს მდებარე გარეუბანი, ცნობილი რენესანსის ეპოქის სასახლითა და იმავე სახელწოდების ტყით.

ანრი მეოთხე (1553—1610) — საფრანგეთის დიდი მეფე, ბურბონთა დინასტიის მამამთავარი.

გვ. 346. თანხმობის მოედანი, — თავდაპირველად „ლუი XV მოედანი“, — XVII ს-ის შუაში დაგეგმილი და კლასიციზმის სტილით გამართული ცენტრალური არქიტექტურული ანსამბლი პარიზისა, რომელსაც უკავშირდება ქალაქის უმთავრესი მაგისტრალები.

ბურბონთა სასახლე — საფრანგეთში მონარქიის დამსობის შემდეგ დეპუტატთა პალატის ადგილსამყოფელი.

„მე ვხედავ ამბებს, რომლებიც სასაცილოა, სასაცილო, და კიდევ ბევრ რასმე, რაც სამწუხაროა, სამწუხარო; მოკლედ, მთელი ქვეყანა სულელია, სულელი, აქაც, ვით ყველგან“, — ასე სწერდა მოპასანი თავის მასწავლებელსა და უფროს მეგობარს, გაუსტავ ფლობერს.

ეს მწარე სიტყვები მოპასანის ზოგმა ბურჟუაზიულმა მკვლევარმა დიდი ფრანგი ბელეტრისტის შემოქმედებითი მრწამსის გამოხატულებად მიიჩნია. ამ თვალსაზრისით, მოპასანი წარმოგვიდგება, როგორც „თავისი ეპოქის უძლიერესი და სრულყოფილი პესიმისტი“, რომელიც „ისე განასახიერებს ყველგან სასაცილოს, სამწუხაროსა და სულელურს, რომ გამოსავლის ყოველგვარ იმედსა და გარდაქმნის ყოველგვარ სურვილსაა მოკლებული“; ამ არაფრისმორწმუნე კაცს თითქოს იმის ჩვენებალა სწადია, რომ ადამიანიცა და ცხოვრებაც ნაკლებად იმსახურებენ სიყვარულსა და პატივისცემას, რადგან ერთთავად წარმოადგენენ მდაბალ ცხოველურ ვნებათა სათავსსა და ბოროტ იდუმალ ძალთა სარბიელს. ასეთი „ტოტალური პესიმიზმის“ მესვეურად მისი წარმოსახვით ბურჟუაზიის იდეოლოგები ეძიებენ შურს მათი „ცხოვრების წესის“ იმ უღმობელი მხილებისათვის, რომელმაც მოპასანი მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული რეალიზმის კორიფეთა, — სტენდალის, ბალზაკისა და ფლობერის, — მემკვიდრედ აქცია.

მოპასანის იდეოლოგიური მტრები ლამობენ ყოველმხრივ დაამცირონ მისი პიროვნება და მემკვიდრეობა. კერძოდ, მათ სურთ წარმოადგინონ იგი, როგორც საკუთარი „ბუნების მემკვიდრეობითი გაორებულობის“ მსხვერპლი. თითქოსდა, ფლობერისაგან განსხვავებით, რომელსაც სიცოცხლის შინაარსად მთლიანად ხელოვნება ექმნა, მოპასანი ერთდროულად „ცხოვრებაზე“ ამაღლებისაკენ მსწრაფი, საზოგადოების მოძულე ხელოვანიც იყო და „მაღალი წრეების“ მოდურ სალონებში გართული, პატივმოყვარეობის ვნებასა და ტკბობის ჟინს აყოლილი სნობიც. ეს „გაორება“, თურმე, მოპასანისათვის მშობელთ უანდერძებიათ, რომელთაგან დედა, ძველი და კულტურული ბურჟუაზიული ოჯახის ქალი, რომანტიკოს პოეტის აღფრედ დეპუტატის და ფლობერის სიჭაბუკის მეგობარი, თავის შვილს ბოლო დრომდე უდგა გვერდით ლიტერატურულ მრჩეველად და თანაშემწედ, ხოლო მამამ, გადარიბებულმა არისტოკრატმა, მართლაც შეაღია თავისი ჯანი და პეიზაჟისტი მხატვრის არცთუ ურიგო ნიჭი სალონებში დროსტარებას. და ამ „გაორებას“, რომელსაც შედეგად

ხელოვანის „დამაძაბუნებელი განახევრება“ მოსდევდა, მიიმე სულიერი სენიც დაერთო, რამაც საბოლოოდ კიდევაც გატეხა მწერალი. ამრიგად, თურმე, ხელოვანის ტრაგედიას კლინიკური მოტივი „ავიროგინებს“, რომლის შექმნადაც მისი დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობაც მეტნაკლებად „არანორმალურ“, პათოლოგიურ მოვლენად უნდა ჩანდეს.

მაგრამ სინამდვილეში მოპასანის ტრაგედია პირველ რიგად საკუთრივ-შემოქმედებითი ხასიათისაა. მისი ავადმყოფობა, თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მეორადი, მხოლოდ გამაძლიერებელი ფაქტორი იყო ამ ტრაგედიისა. მართალია, მოპასანი ბოლომდე ტრიალებს პარიზის „მაღალ“ საზოგადოებაში, მაგრამ სულაც არა სნობიზმის გამო; იგი სულ უფრო და უფრო მტრობს ამ საზოგადოებას, სადაც, მისი თქმისამებრ, „ხელოვანნი და სწავლულნი მიაჩნიათ ინტელექტუალურ მოჯამაგირებად, რომელთათვისაც ღვთისაგან დაწესებულა დიდკაცთა გართობა და სამსახური“, და თუ იგი მაინც არ წყვეტს მასთან კავშირს, მხოლოდ იმიტომ, რომ აქ საინტერესო მხატვრული მასალა ეგულება; თანაც ამ მასალის ძიება მას არასოდეს შემოუფარგლავს მხოლოდ „დიდკაცობის“ ყოფით, რამდენადაც მუდამ იმ აზრს ადგა, რომ „მწერალს მართებს მთელი გარემოთი იყოს დაინტერესებული და ტახტთა საფეხურებთან ერთად აღწეროს სამხარეულოთა ნაკლებ მოლიპული საფეხურებიც“. და დასასრულ, მართალია, მოპასანს ადრიდანვე დასწამდა დაეჭვებისა და უიმედობის განწყობილებანი, მაგრამ იგი არასდროს შეუპყრია, ასე ვთქვათ, ორგანულ, და, მით უფრო, „ტოტალურ“ პესიმიზმს. პირიქით, მისი რწმენის სიმბოლოს და შემოქმედების წყაროს შეადგენდა ადამიანის სიყვარული და სიცოცხლის ხალისი, რომლის შენარჩუნებისათვის იგი ბოლომდე შეუპოვრად იბრძოდა, და პესიმიზტური სულისკვეთება მას მხოლოდ მაშინ იპყრობდა, როცაამ ბრძოლაში მისთვის გადაულახავ ობიექტურ და სუბიექტურ დაბრკოლებათა წინაშე დგებოდა. თუ რამდენად ეუცხოვებოდა მოპასანის სად არსებას ეს სულისკვეთება, საუკეთესოდ იქიდანა ჩანს, რომ უკანასკნელ წლებში მას სწორედ მათი მოძალეება ექცა ჯერ შემოქმედებითი კრიზისისა, ხოლო საბოლოოდ სულიერი კრახის მთავარ მიზეზად. და მოპასანის ტრაგედიის სწორედ ამ შემოქმედებით, — და არა პათოლოგიურ, — არსს ჩასწვდა ლევ ტოლსტოი ჩინებულად, როდესაც წერდა: „მოპასანის ცხოვრების ტრაგიზმს ის შეადგენს, რომ იგი, სიმახინჯითა და უხნეობით უსაშინელეს გარემოში მოქცეული, თავისი ნიჭის, თავის სულში შთანერგილი უჩვეულო სინათლის ძალით თავს აღწევდა ამ გარემოცვის მსოფლმხედველობათ, უკვე მიახლოებული იყო განთავისუფლებას, სუნთქავდა კიდევ თავისუფლებით, მაგრამ, რამდენადაც ამ ბრძოლაში უკანასკნელი ძალები შემოეხარჯა და ერთი საბოლოო გაძალების ღონე არ ეყო, ისე დაიღუპა, რომ გაუთავისუფლებელი დარჩა...“

ანრი რენე ალბერ გი დე-მოპასანი დაიბადა 1850 წლის 5 აგვისტოს ქ. დიეპის მახლობლად, ნორმანდიის სანაპიროზე, სადაც განვლო მისმა ბავშვობამ და სიყრმემ. „მე გავიზარდე, — წერს იგი, — ზღვის, ჩრდილოეთის რუხი და ცივი ზღვის პირას, მეთევზეთა პატარა ქალაქში, რომელსაც გამუდმებით შოლტავდა ქარი, წვიმა და ტალღის შხეფები და განუწყვეტლივ ასდიოდა თევზის სუნი...“ დედის თქმით, პატარა გი „აწყვეტილ კვიცს“ ჰგავდა: ფერმერთა ბიჭებთან ერთად დაძრწოდა ველებსა და ტყეებში თუ სანაპირო კლდეებზე, მეთევზეებს დაჰყვებოდა ზღვაზე, თევზაობდა და ნადირობდა, და სწორედ ამ ადრიანი წლების მონაპოვარს წარმოადგენს ბევრი ის თვისება, — ბუნების მგზნებარე სიყვარული, ცოცხალი, ქმედითი ცხოვრების ხალისი, უბრალო ხალხისადმი ინტერესი და სიმპათია, მისი ზნე-ჩვეულებებისა და მეტყველების ჩინებული ცოდნა, მისი „რაბლესეული“, მოტლანქო, მაგრამ ძარღვიანი ჰუმორის გემო, — რამაც შემდეგში მოპასანის შემოქმედების საღი, დემოკრატიულ-რეალისტური საფუძველი შეადგინა. ცამეტი წლის ბიჭი პატარა ქალაქ ივეტოს დახურულ სემინარიაში მიაბარეს, საიდანაც იგი ჯერ თვითონ გაიქცა რამდენიმეჯერ, ხოლო საბოლოოდ, 1866 წელს, გამორიცხეს სემინარიის სახურავზე ღამით გამართული ქეიფისთვის და „ეპიკურული“, „ცხოვრების სიამეთა“ მაღიდებელი ლექსის გამო. მერე მან რუანის სემინარიაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1870 წელს დაასრულა. სემინარიის ერთ-ერთმა მასწავლებელმა, „პარნასელმა“, პოეტმა და ფლობერის მეგობარმა ლუი ბუილემ ყურადღება მიაქცია ჭაბუკ მელექსეს და იგი კრუასეში, რუანის მახლობლად მდებარე ფლობერისეულ მამულში დაჰყავდა სტუმრად; აქედან დაიწყო დიდ რომანისტთან მოპასანის ხანგრძლივი შევირდობა და მჭიდრო მეგობრობა, რომელმაც ფლობერის სიკვდილამდე, 1880 წლამდე გასტანა. 1870 წლის ივლისში

საფრანგეთ-პრუსიის ომი ატყდა და კანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესული მოპასანი ჯარში გაიწვიეს. ომის პერიოდი მან ჯერ რუანსა და შემდეგ პარიზში გაატარა ინტენდანტად. ომის მომდევნო ეკონომიურმა კრიზისმა მის მშობელთა მატერიალური მდგომარეობა შეარყია და მოპასანს საკუთარი შრომით უხდება ცხოვრება. იგი პარიზს ჩადის, სადაც ლიტერატურული შემოქმედებით აპირებს ცხოვრებას, მაგრამ ფლობერის რჩევით სახელმწიფო სამსახურში დგება, პატარა მოხელედ მუშაობს ჯერ საზღვაო, მერე კი, 1878 წლიდან, განათლების სამინისტროში. მას მხოლოდ მაშინ ეძლევა შესაძლებლობა მთლიანად მიეცეს შემოქმედებით შრომას, როცა 1880 წელს გამოქვეყნებულმა „ფუნთუშამ“ ერთბაშად მოუპოვა სახელი და სიმდიდრე.

1880 წლამდე გრძელდება მოპასანის შემოქმედებითი ცხოვრების პირველი, ყველაზე ხანგრძლივი ეტაპი, როცა ახალგაზრდა მწერალი დაჟინებით იღვწის ოსტატობისათვის.

პირველი, რაც ამ ხნის მანძილზე „სალამბოს“ ავტორმა თავის შეგირდს შთაუწერა, იყო სამწერლო შრომის მაღალი კულტურა. ფლობერი დიდხანს უკრძალავდა მოპასანს ჯერ კიდევ არასრულფასოვან თხზულებათა გამოქვეყნებას და 1875 წელს შეგირდმა, როგორც ჩანს, მასწავლებლისაგან მაღულად დაბეჭდა ჟოზეფ პეუნეს ფსევდონიმით თავისი პირველი მოთხრობა „გემის ხელი“, „არ ვიცი, გაქვთ თუ არა თქვენ ნიჭი, — ეუბნებოდა მას ფლობერი მის პირველ ნაწერთა გაცნობის შემდეგ. — იმაში, რაც მომიტანეთ, ერთგვარი უნარი იგრძნობა, მაგრამ ნურასოდეს დაგავიწყდებათ, ყმაწვილო, რომ ნიჭი, ბეუფონის თქმისაებრ, მხოლოდ ხანგრძლივი მოთმინებაა. იმუშავეთ“. და მოპასანიც მუშაობდა, მოთმინებით წვრთნიდა და ხეწდა კალამს. „შვიდი წლის მანძილზე, — იგონებს იგი მოგვიანებით, — მე ვწერდი ლექსებს, ვწერდი ნოველებს, დავწერე საზიზღარი დრამაც კი“. ამ თავგამოდებულ შრომას, დიახაც, უნაყოფოდ არ ჩაუვლია: პროფესიულ გამოცდილებასთან ერთად მან სიუჟეტთა უხვი მარაგიც, მდიდარი ნედლი მასალაც დაუგროვა შემდგომ ესოდენ ნაყოფიერ მწერალს (ფაქტიურად ათიოდე წლის მანძილზე მან გამოაქვეყნა ზუსტად სამასი მოთხრობა და ნოველა, ექვსი დიდი რომანი, სამოგზაურო ნარკვევთა სამი წიგნი და ურიცხვი ლიტერატურულ-პუბლიცისტური ესე და წერილი).

მაგრამ მთავარი, რაც ფლობერმა თავის შეგირდს შთაუწერა, იყო მხატვრული ფორმის ის კულტი, რამაც მოპასანი, მისი მასწავლებლის გვერდით, ფრანგული ლიტერატურის უდიდეს სტილისტთა რიგში ჩააყენა.

ფლობერის მსგავსად მოპასანი არასოდეს არ ცდილობს წეროს „ლამაზად“ და მისი სტილი არაა გადატვირთული იმ „სამკაულებით“, — მაღალფარდოვანი სახეებით, „იშვიათი“ შედარებებით, ზედმეტი პერიფრაზებით, ნაცვალსახელებით, — რომლებიც ფრაზას ტლანქსა და მძიმეს ხდიან; აქ არაფერი იქცევა საგანგებო ყურადღებას, ყოველივე თავის ადგილზეა და მხოლოდ ერთს რასმე ემსახურება, — განსახიერების „იმ სიმსუბუქესა და სიზუსტეს, რომლებიც ასმაგად ზრდიან კითხვის სიხარულს“. და ასევე, მოპასანს ეუცხოება ფხვიერი კომპოზიცია, განშტოებული ანდა ლირიკული თუ რეფლექსური გადახვევებითა და წიაღსვლებით გართულებულ-დამძიმებული სიუჟეტის მდორე დინება. მოთხრობა ესმის მას, როგორც მატერიალური თუ სულიერი ხასიათის ერთი ამბის გადმოცემა, რომელსაც ისე აქვს მიცემული დრამატიული ერთიანობა, რომ მისგან გამორიცხულია ყველაფერი, რაც აუცილებელი არაა ძირითადი აზრის ნათელსაყოფად. ამიტომაც ეტანება იგი ნოველის საკუთრივსა და კლასიკურ ფორმას, რომელიც ჯერ კიდევ XV ს-ში იქნა მარგარიტა ნავარელის მიერ ბოკაჩიოსაგან შეთვისებული და ფრანგულ მწერლობაში გადმონერგილი, — მოთხრობას, რომლის დინამიური მოქმედების ცენტრში დგას „novella“ ანუ „ახალი ამბავი“, რაიმე ანეკდოტური შემთხვევა, რომლის შუქზე ჩნდება და იშლება მოქმედ პირთა ხასიათი, მდგომარეობა და ბედი. და ამავე კომპოზიციური სიმკაცრით ხასიათდება მისი რომანებიც: მათი ლოგიკურად გაშლილ-დასრულებული სიუჟეტიდან გამორიცხულია ყოველივე, — კერძოდ, მრავალრიცხოვან, თავისთავად საყურადღებო, მაგრამ მთავარ თემასთან ნაკლებ დაკავშირებულ პერსონაჟთა მონაცვლეობა, — რასაც მრავალ სქელტანიან რომანში „ცხოვრებასთან“ სიხლოვისა და მსგავსების შთაბეჭდილების შექმნა ევალება ხოლმე. და ამდენად, როგორც მის მოთხრობათა, ისე რომანთა „არქიტექტურული“ წყობიდან, მოპასანის თქმითვე

„ვერც ერთ ნაწილაკს ვერ ამოაგდებ ისე, რომ საერთო ჰარმონია არ დაარღვიო“.

მაგრამ, ცხადია, „შევირდობის“ ხანაში მოპასუნს მარტო მხატვრის დიდოსტატობა როდი შესძენია: ამავე დროს, 70-იან წლებში, ჩამოყალიბდა იგი მსოფლმხედველობრივადაც.

უკვე 1870—71 წლების ამბებმა მოახდინა მოპასუნზე უდიდესი ზეგავლენა. პრუსიასთან ომმა მისი პატრიოტული გრძნობა გაამძაფრა, ხოლო ფრანგთა დამარცხებამ და ამ ეროვნული კატასტროფისადმი „მაღალი“ საზოგადოების სამარცხვინო გულგრილობამ მრავალი ილუზია გაუქარწყლა ჭაბუკს, პირველად ჩაუწვეთა პესიმის შხამი.

მართალია, მოპასუნი იშვიათად ეხებოდა თავის თხზულებებში უშუალოდ პოლიტიკურ თემატიკას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი თავისი დროის მწვავე საზოგადოებრივი ძვრების მიღმა მდგარიყო. იგი ჭეშმარიტი ხელოვანის დიდი ნამუსითაა აღჭურვილი, რის ძალითაც თავიდანვე გამოდის გაბატონებულ მანკიერებათა, ძალმომრეობისა და უსამართლობის, ფიზიკური თუ მორალური დევრადაციის სასტიკ მამხილებლად. ხოლო 70-იანი წლები საამისოდ ფრიად უხვ მასალას იძლეოდა: ეს ხომ პარიზის კომუნის შემდგომ გამძვინვარებული რეაქციის ხანა იყო, როდესაც იმპერიალიზმის სტადიაში ფესმედგმულმა ბურჟუაზიამ და „კაპიტალის წარმოების“ პროცესში ჩაბმულმა არისტოკრატამ საბოლოოდ შემოიფლითეს ოდინდელი „დემოკრატიული ლიბერალიზმისა“ თუ „შთამომავლობითი კეთილშობილების“ ძონძები და სრულად გააშიშველეს თავიანთი ანტიჰუმანური კლასობრივი არსება.

„მე მოვითხოვ მმართველ კლასთა განადგურებას, — წერდა მოპასუნი ფლობერს, — ლამაზ ჩლუნგ ბატონთა ხროვის მოსპობას, რომლებიც იქექებიან იმ ბებერი ღვთისმოსავი და სულელი როსკიპის კაბებში, მაღალი საზოგადოება რომ ეწოდება. დიახ, მე დღეს მიმაჩნია, რომ 93-ე წელი რბილი იყო, რომ სექტემბრელებმა ღმობიერება გამოიჩინეს, რომ მარატი ბატკანია, დანტონი — უმანკო ბაჭია, ხოლო რობესპიერი — მტრედი. რაკი ძველი მმართველი კლასები ამჟამად ისევე უგუნურნი რჩებიან, როგორც მაშინ იყვნენ, ისინი ამჟამადაც ისევე უნდა მოისპონ, როგორც მაშინ, და წყალში არიან გადასაყრელი ლამაზი კრეტინი ბატონები მათ ლამაზ კახა ქალბატონებთან ერთად“. „მმართველი კლასებისადმი“ უზომო სიძულვილთან და ზიზღთან ერთად აქ ყურადღებას იქცევს „მაღალი საზოგადოების“ ბატონთა და ქალბატონთა „სილამაზისა“ და „სიჩლუნგის“, „სილამაზისა“ და „სიკახის“ ხაზგასმა (რაც კვლავ ფლობერს გვაგონებს, რომელიც მოპასუნისავე თქმით, „სიტყვა ბურჟუა“-ს სიტყვა „ჩლუნგი“-ს სინონიმად თვლიდა და ასე განმარტავდა: „ბურჟუას ვუწოდებ ყველას, ვინც ქვენად აზროვნებს“). და სწორედ ამ მძაფრი შეუსაბამობის, — ბურჟუაზიისა და არისტოკრატის გარეგანი სილამაზის, კეთილშობილებისა და წესიერების და შინაგანი სიმახინჯის, გადაგვარებისა და გახრწნილების, — ჩვენება იქცა „ლამაზი მეგობრის“ ავტორის ერთ მთავარ შემოქმედებით თემად.

თანაც მოპასუნს საიმისო ძალა და გამბედაობა აღმოაჩნდა, რომ „მმართველ კლასთა“ დაუნდობელ მხილებასთან ერთად ისიც ეჩვენებინა, რომ მათ მიერ შექმულ „უბრალო“ ხალხშია დაცული ის ღირსებანი, — პატრიოტიზმის, სიყვარულის, სამართლიანობის, პატიოსნების, თავისუფლების, ღირსების გრძნობანი, — რომლებიც ადამიანს ნამდვილ, შინაგან სილამაზეს, სულიერ კეთილშობილებას ანიჭებენ. ეს იქცა მოპასუნის მეორე მთავარ თემად, რომელმაც სრულად გამოხატა მისი შემოქმედების პოზიტიური, ნათელი, ოპტიმისტური ტენდენცია და დემოკრატიულ-ჰუმანისტური არსი. და სწორედ აქაა ყველაზე უფრო მოსახსენებელი XIX ს-ის მეორე დიდი მწერალი, რომელსაც მოპასუნი აგრეთვე უწოდებს თავის „ძვირფას მასწავლებელსა და მეგობარს“. ესაა 70-80-იან წლებში საფრანგეთს მცხოვრები და ფლობერთან მჭიდროდ დაახლოებული ივანე ტურგენევი.

ტურგენევს როგორც მხატვრული თხრობის, მეტადრე ნოველის უბადლო ოსტატსაც უნდა ემოქმედნა მოპასუნზე. ფრანგ ნოველისტს „მონადირის მოთხრობათა“ ავტორი აღაფრთოვანებს, როგორც „პირველხარისხოვანი მხატვარი“, რომელმაც „რამდენიმე გვერდზე იცის სრულყოფილი ნაწარმოების შექმნა, გარემოებათა საუცხოოდ დაჯგუფება და ცოცხალ, ხელშესახებ, წარმტაც სახეთა შექმნა, მათი სულ ორიოდ, იმდენად მსუბუქი და მოხდენილი შტრიხით მოხაზვა, რომ ძნელი მისახვედრია, თუ როგორ შეიძლება გარეგნულად ესოდენ უბრალო საშუალებებით ასეთი დამაჯერებლობის მიღწევა“, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მაინც ტურგენევის

იდეური ზეგავლენა ჩანს, რომელიც ნაწილობრივ ფლობერის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ფლობერი სოციალურ კრიტიციზმთან, ბურჟუაზიის სიძულვილთან ერთად მოპასხანს უნერგავდა აგრეთვე თავის „ზიზღს მასის უგუნურებისადმი“ და ლტოლვას „სპილოს ძვლის კოშკში“ ჩაკეტივისაკენ, თავის რეალტივიზმსა და პოზიტივიზმს ანუ იმ განწყობილებებსა და იდეებს, რომლებიც მას უკვე როგორც დასავლეთის კლასიკური რეალიზმის დაშლის მიჯნაზე მდგარსა და ერთროულად ესთეტიზმისა და ნატურალიზმისაკენ მიდრეკილ ხელოვანს ახასიათებდა, ტურგენევი კი, პირიქით, ამდიდრებდა და აძლიერებდა მოპასხანის რეალიზმს, შეელოდა რა მას გამკლავებოდა ცხოვრებასა და ადამიანზე იმ უარყოფით, უნუგეშო თვალსაზრისს, რომელსაც სულ უფრო ნერგავდა მაშინდელ ფრანგულ ლიტერატურაში ბურჟუაზიული რეაქციის ზეიმი. ტურგენევი უზიარებდა თავის ახალგაზრდა ფრანგ კოლეგას იმ მაღალ რწმენას ადამიანის სიკეთისა და ძლიერებისა, იმ ღრმა სიყვარულსა და თანაგრძობას დაბეჩავებული ხალხისადმი, მეტადრე გლეხობისადმი, და იმ უტყეს იმედს უკეთესი მომავლისა, რომლითაც ესოდენ განსხვავდება რუსული კლასიკური ლიტერატურა მეტისმეტი კრიტიციზმისა თუ სკეპტიციზმის სენით შეპყრობილი დასავლეთ-ევროპული მწერლებისაგან. და თამამად ითქმის: თუ კი მოპასხანი დიდად აღემატა თავის ფრანგ მასწავლებელს დიდებით, ნათელ სახეთა ხატვით, რუსმა დამრიგებელმა სწორედ იმით დასდო მას უდიდესი ღვაწლი, რომ ამ სახეთა ფრანგულ სინამდვილეში, ფრანგ ხალხში დანახვის უნარი განუმტკიცა და გაუმახვილა.

მოპასხანის შემოქმედებითი განვითარების მეორე და უმთავრესი მონაკვეთი მოდის 1880—86 წლებზე. ესაა მოპასხანისეული კრიტიკული რეალიზმის აღმავლობის ხანა, როდესაც მწერალი თავის უმნიშვნელოვანეს თხზულებებს ქმნის, რომლებშიც სრულად ჩნდება მისი შემოქმედებით პოზიტიური ტენდენციები და თავისებურებანი.

მართალია, მოპასხანის რეალიზმს კლასიკური — სტენდალ-ბალზაკისეული — კრიტიკული რეალიზმის აშკარა დაქვეითების ნიშანი ემჩნევა; ეს დაქვეითება, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ სინამდვილის წვდომისა და ასახვის მასშტაბი ვიწროვდება, კერძოდ, საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილება წარმოებს უკვე არა სოციალურ-პოლიტიკურ, არამედ „ჩვეულებრივ“, ვიწრო პირადულ, ყოველდღიურ-ყოფაცხოვრებით ურთიერთობათა ასპექტში. მაგრამ მოპასხანი, ფლობერის მსგავსად, ჯერ კიდევ იმდენად ტიპურად და მძაფრად, — ისეთი ტემპერამენტითა და ისე შეურბილებლად, — ასახავს „მმართველ კლასთა“ სიმახინჯესა და მავნებლობას, რომ მაინც სტენდალ-ბალზაკისეული ტრადიციის უშუალო მემკვიდრე რჩება. თანაც, ერთის მხრივ, იგი კიდევაც ავითარებს ამ ტრადიციას, — კრიტიკასა და მხილებასთან ერთად კონტრასტულად იმასაც უჩვენებს, რომ „მაღალ“ საზოგადოებაში შერყენილ-შეგინებულ ადამიანობას შეძლებისდაგვარად „უბრალო“ ხალხის შეილები ინარჩუნებენ და იცავენ ხოლმე. მართალია, მუქი ფერები აქ აშკარად ჭარბობენ ნათელ ფერებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც იმდენ შუქს ჰვენენ მოპასხანის მთელ შემოქმედებას, რომ იგი ვერაფრით ვერ ჩაითვლება „ტოტალური პესიმისტის“ ანუ დეკადენტის მემკვიდრეობად.

ასე კონტრასტულადაა გაშუქებული მოპასხანის ნოველისტიკის ყველა მთავარი მოტივი.

კერძოდ — პატრიტიზმის მოტივი, რომელსაც მწერალი საფრანგეთ-პრუსიის ომის მასალაზე ამუშავებს თავისი მთელი შემოქმედების მანძილზე. თუკი გაქნილი ბურჟუებისა და გაყინული არისტოკრატების გარეგანი „წესიერება“ მხოლოდ მათი სულიერი სიმდაბლისა და სიგლახის ნიღაბია, ანგარებიანობისა და ლაჩრობის საფარი, მეძავის „უწესო“ ხელობას ვერ ჩაუხშვია ფუნთუშას სულიერი კეთილშობილება, ვერ შეუბღალავს მისი ზნეობრივი სიწმინდე; და სადაც „დიდებულნი“ მზად არიან ყოველგვარი დამამცირებელი, მაგრამ სასარგებლო გარიგება დასდონ დამპყრობლებთან, იქ განკიცხული „მდაბიო“ ქალი, მტრის მიმართ წრფელი სიძულვილითა და ზიზღითაა აღსავსე და მხოლოდ იმისათვის ნებდება პრუსიულ ოფიცერს, რათა ძალმომრეობისა და დამცირებისაგან იხსნას „პატიოსანი არამზადები“, რომელთაც გულუბრყვილოდ თანამემამულეებად რაცხს და საფრანგეთ-პრუსიის ომის მასალაზე აგებული ბევრი სხვა მოთხრობაც, — „ძალუა სოვაჟი“, „ტყვეები“, „მადმუაზელ ფიფი“, „ლოგინი №29“, — ცხადპყოფს იმას, რომ მხოლოდ ხალხის ბეჩავ, მაგრამ სიმდიდრის გამხრწნელი ზეგავლენით შეუბღალველ შეილებსდა აბადიათ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა და მტრის წინააღმდეგობის უნარი.

ასევე კონტრასტულად ამუშავებს მოპასვანი კრიტიკული რეალიზმის უმთავრეს მოტივს: ანგარებითა და სიძუნწით, ეგოიზმითა და პატივმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანის დასახიზრებისა და გადაგვარების თემა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოველგვარ ბოროტებასა და სისაძაგლეს ბაღებს სიმდიდრის დაგროვების, მოგების ჟინი. აქ ქალს შეუძლია უმოწყალოდ ყვლიფოს საკუთარი ორგანიზმიც კი და საშოშივე ასახიზროს თავისი ბავშვები, რათა მერე სარფიანად მიჰყიდოს ისინი „იშვიათობათა“ მუხეუმებს („გონჯების დედა“), ხოლო კაცს შეუძლია საკუთარი ცოლისა და ცოლის დის „ბაზაზე“ გახსნას შემდეგში დიდად შემოსავლიანი საროსკიპო („მეგობარი პასიანსი“); ანდა აქ ცოლი კვერცხების საჩეკად სვამს დამბლადაცემულ ქმარს, რათა მან ტყუილად არ ჭამოს პური, ხოლო ბერწი ქმარი თვითონ მიუჩენს კუროს თავის ცოლს, რომელიც მილიონს იანდერძებს, თუკი შვილი ეყოლება („მემკვიდრეობა“). ბურჟუას ყველა ადამიანური უნარი და მოთხოვნილება აქვს ჩახშობილი. იგი არ აზროვნებს, გონებას მის ტვინში ცბიერება და გაქნილობა ენაცვლება ანუ „ის საღი ჭკუა, რომელიც უჭკუობას ესაზღვრება“. მისთვის უცხოა ყოველგვარი სულიერი სიხარული, ცოდნისა თუ სილამაზის წყურვილი. მდაბალი სიხარბის გარდა მას მხოლოდ წმინდად ზოლოგოური, ცხოველური მიდრეკილებები რჩება: მისი „ცხოვრების ფორმულა“ ყოველად მარტივია: „კარგი ცხოვრება, კარგი სუფრა და კარგი ძილი; ვჭამ და მძინავს, აი, ესაა ჩემი არსებობა“. ამ სულიერი სიდატაკისა და უბადრუკობის განუყრელი თანამგზავრია უზომო სიმხდალე, მეტადრე „საზოგადოებრივი აზრის“ წინაშე შიში, რომლის კარნახითაც ბურჟუას ძალუძს ყოველგვარი სიმდაბლე ჩაიდინოს. თანაც ამ სილაჩრესთან ერთად ბურჟუას „ზნეობრივ“ სახეს საოცარი ფარისეველობა „სრულქმნის“, რომელიც უბინძურეს გარყენილობას აფარებს ხოლმე სათნოების ნიდაბს.

ბევრი თანამედროვე მწერლისაგან, კერძოდ ემილ ზოლასგან განსხვავებით მოპასვანი არ იხიბლება დიდი „გაქანების“ საქმოსანთა თითქოსდა „ძლიერი პიროვნებებით“, ვინაიდან იმ აზრისაა, რომ თავისი არსებით მდაბალი და წვრილმანი ბურჟუაზიული ვნებანი ყველგან ერთნაირად აკნინებენ და ახურდავებენ ადამიანს; მაგრამ ამავე დროს იგი ხედავს, რომ სწორედ წვრილი ბურჟუების, ბანკირობაზე მეოცნებე მედუქნეთა ანდა ორდენის მონატრულ მოხელეთა შეზღუდულ ყოფაში განსაკუთრებული სისაზიზდრით და, მაშასადამე, ტიპიურობით ჩნდება მთელი კლასის დამახასიათებელი მანკიერებანი, და ამიტომაც უპირატესად სწორედ ამ ფენიდან არჩევენ თავისი ნოველების გმირებს.

ამავე დროს, მოპასვანი იმასაც ხედავს, რომ ბურჟუაზიული ვნებანი, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ამორალიზმი სხვა კლასებსაც რყვნიან, არა მხოლოდ მეორე „მმართველ კლასს“, არისტოკრატებს, არამედ გლეხობის მასასაც, რომლითაც მის თვალში ფაქტიურად კიდევაც ამოიწურება „ხალხის“ ცნება. მოპასვანის ბევრი ნოველა სასტიკი სიმართლით, თითქმის ნატურალისტური სიშიშველით წარმოადგენს გლეხის წვრილ მესაკუთრებრივ ფსიქოლოგიას, მისი სიხარბისა და სიძუნწის ტლანქ სიდატაკითა და სიბნელით დამძიმებულ გამოვლენებს.

მაგრამ ამასთანავე მოპასვანს არც ის რჩება დაუნახავი, რომ თუკი სადმეა საპოვნელი ადამიანური სულისკვეთებები, სიკეთე და პატიოსნება, ღირსებისა და პატივის გრძნობები, მოყვასისადმი უანგარო დამოკიდებულება, — ისევ და ისევ მხოლოდ ხალხში, იმავე გლეხობაში, რომელსაც სიღრმეში, მძიმე შრომისა და სიდატაკის, გაუნათლებლობისა თუ ბურჟუაზიული ზეგავლენის მიუხედავად, მაინც ხელუხლებელი, სპეტაკი და ძლიერი დარჩენია კეთილი და მართალი გული, ადამიანური არსება. მოპასვანის მრავალი მოთხრობა გვიხატავს ხალხის შვილებს, რომლებიც სულგრძელობითა და კეთილშობილებით შეუდარებლად აღემატებიან ბურჟუას. ჯარში გაწვეული სოფელი მუშა ბუატელი იმიტომ შეიყვარებს ზანგ ქალს, რომ იგი კეთილია და თავაზიანი, მზრუნველი და შრომისმოყვარე, დიდი სულის ადამიანი („ბუატელი“). ანდა სოფლის მჭედელი ფილიპ ეერემი უყოყმანოდ ირთავს სხვის მიერ შეცდენილ ბლანშეტას იმიტომ, რომ მისი უმამოდ დარჩენილი ბიჭი ეცოდება და თავად ბლანშეტა „კარგი, მიმზიდველი ქალია, რომელიც, თავისი უბედურების მიუხედავად, პატიოსანი კაცის ღირსეული ცოლი იქნება“. მოპასვანი უზომო სიმპათიით და სითბოთი გვიხატავს კეთილშობილ, სულითა და ხორციით ჯანსაღ ფილიპესა და მის ამხანაგ მჭედლებს, რომლებიც, სიხარბითა თუ შურით მოშხამულ და უქნარობით თავგაბეზრებულ ბურჟუასაგან განსხვავებით, „ძლიერნი და

მტკიცენი, მხიარულნი და კმაყოფილებით სავსენი დაღამებამდე ჰედენ რკინას“ („სიმონის მამა“); ანდა კიდევ, მატარებლის ვაგონში ახალგაზრდა სოფელი ძიძა-ქალი, თითქოსდა არაფერიაო, ისე მოაწოვებს ძუძუს უცნობ მუშას, რომელსაც შიმშილისაგან მისდის გული; ეს საქციელი, რომელიც „მორალური“ ბურჟუას თვალში აღმაშფოთებელ „უწესობად“ ჩანს, ხალხის შვილთა ადამიანური უბრალოების, სისადავისა და გულისხმიერების ულამაზესი გამოვლენაა („იდილია“). სადაც „ცივილიზებულ“ ბურჟუას მისი ყალბი, ფარისევლური „მორალი“ უშლის ხელს იყოს ადამიანი, — და ამიტომაცაა, რომ მოპასანი „ცივილიზებულ“ კაცს „ველურს“, „ბარბაროსს“ უწოდებს ხოლმე, — იქ ცრუმორწმუნებისა და პირობითობებისაგან თავისუფალი „მდაბიონი“ უყოყმანოდ მისდევნენ ხოლმე უმაღლეს ზნეობრივ კანონს, ურთიერთის თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ადამიანურ პრინციპს.

და მოპასანის-რეალისტის მთავარი მიღწევაა ესაა სწორედ: იგი, ფლობერივით, „მმართველ კლასებში“ ვერც ერთ გმირს ვერ ხედავს, მაგრამ, ფლობერისავე საწინააღმდეგოდ, ხალხის წიაღში მრავლად პოულობს „უხვი და სულგრძელი გულის“ კაცებსაც და ქალებსაც, რომლებიც თავიანთი ხალასი ადამიანობით „იმ ჯიშის“ გმირები არიან, დიად ისტორიულ საქმეთა ჩადენა რომ ძალუძთ.

განსაკუთრებულ ადგილს იჭერს მოპასანის მთელ შემოქმედებაში სიყვარულისა და სექსის მოტივი, რომელსაც იმავე სოციალური კონტრასტის შუქი ღრმა, ერთდროულად კრიტიკულ-მამხილებელი და პოზიტიურ-ჰუმანისტური შინაარსით ავსებს.

მოპასანი გვიჩვენებს, რომ თავისთავად სიყვარული დიდად ჰუმანური და მორალური ძალაა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს და აახლოვებს, უკეთილშობილეს და ულამაზეს სულისკვეთებებს უღვივებს, მდაბალ ვნებებზე ამადლებს და, ამდენად, სიკეთისა და ბედნიერების უშრეტ წყაროდ იქცევა. ღრმა სიბერემდე რაოდენ ბედნიერი დარჩა სეზენ დე სირმონი, წარჩინებული ოჯახის ლამაზი ქალი, რომელმაც მდიდრულს ცხოვრებას „კოხტა ჭაბუკის, უბრალო გლეხის“ სიყვარული არჩია („ბედნიერება“); და რამდენი მოხუცი შეუპყრია იმის ტრაგიკულ შეგრძნებას, რომ მას ნამდვილად არ უცხოვრია, თავისი დღენი ფუჭად ჩაუტარებია, რამდენადაც ნამდვილი სიყვარული არ განუცდია („ბავშვი“, „ნათლობა“, „სინანული“, „გასეირნება“, „მამა“, „ბ-ნი პარანი“).

მაგრამ ნამდვილი სიყვარული ისევ „უბრალო, მდაბიო“ კაცს თუ შესწევს და არა ბურჟუასა და არისტოკრატს. „განა ბევრია სიყვარულში სასიხარულო, თუკი მასში ზეცისა და მიწის მთელს პოეზიას, მთელს მუსიკას ვერ ჩააქსოვებ“, — ამბობს მოხუცი ქნი ჟული რომენი, — ოდესღაც ცნობილი მსახიობი, რომელიც ორ დიდ ხელოვანს ჰყვარებია, „მაგრამ თქვენ, — დასძენს იგი, — ახლანდელი მამაკაცები, სიყვარულზე არც კი ფიქრობთ, თქვენ ახლა მებირეუები, ვაჭრები, საქმოსნები ხართ, ჩვენთან ლაპარაკიც კი აღარ იცით... ახლა სიყვარული მხოლოდ უბრალო კავშირად იქცა, რომელიც ხშირად მეკრავის ანგარიშის დაფარვით იწყება...“ („ჟული რომენი“). და მოპასანი ისევ და ისევ უბრუნდება ამ თეზისს—რომ ბურჟუას ვნებათა ღელვებს არაფერი აქვს სიყვარულთან საერთო. მესაკუთრის, ეგოისტის ნებანი ყველა ადამიანურ გრძნობას ჰკლავენ, რითაც „ადამიანში მიმალულ მხეცს ხსნიან ადვირს“, ხოლო მხეცს შეუძლია მხოლოდ ან „მამალი“, „ხვადი“ ანდა „დედალი“, „ძუ“ იყოს, რომელსაც მარტოდენ ფროიდისეული „ლიბიდო“ ანუ სექსუალური „შიმშილი“ ამოძრავებდეს. და ამდენად ბურჟუას, კაცი იქნება იგი თუ ქალი, „სიყვარული კი არ გააჩნია, არამედ მარტოდენ ავხორცობა“, რომელიც ისევე მდაბალია და ხარბი, ცივი და სასტიკი, როგორც მისი მთელი ანგარებიან-ეგოისტური არსება.

ნოველებს გარდა, მოპასანის აღმავლობის ხანას ეკუთვნის სამი რომანი, — „ცხოვრება“ (1883), „ლამაზი მეგობარი“ (1885) და „მონტ ორიოლი“ 1886), — რომლებშიც ფართო, ეპიკურ მასშტაბებში იშლება მისი შემოქმედების კრიტიკულ-მამხილებელი, ანტიბურჟუაზიული თემა.

თუკი საერთოდ მოპასანის რომანები რამდენიმედ სენტიმენტალურ ხასიათს ატარებენ და თავიანთი ორიგინალობითა და ტექნიკური სრულყოფილებით ერთგვარად ჩამოუვარდებიან ნოველებს, იგივე არ ითქმის „ლამაზ მეგობარზე“: ეს შედევრი თავისი ავტორის მთელი შემოქმედებითი ძალვის კულმინაციას წარმოადგენს. მასში ორგანულად შეერთდა მოპასანის-ნოველისტის დიდოსტატობა და ფრანგული რომანის უხარმაზარი ტრადიცია.

„ღამაში მეგობრის“ მთავარი სიუჟეტური მოტივი, — ჟორჟ დეურუს, უბადრუკი და ბინძური კარიერისტის მიერ „მაღალი“ საზოგადოების „დაპყრობის“ ამბავი, — ზედმიწევნით ტიპური ისტორიული ვითარების ფონზე იშლება. მოქმედების დროს აქ შუა 70-ნი წლები შეადგენენ, როდესაც ფრანგული კაპიტალიზმის იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლის ნიშნები ჩნდება, როდესაც ვალტერის ტიპის ბანდიტ ფინანსისტა ნების მორჩილ იარაღად იქცევა არამხოლოდ პრესა, არამედ მთელი სახელმწიფო აპარატი, როცა ბანკირთა „დიდი პოლიტიკა“ ნაციონალურ ფარგლებს სცილდება და საერთაშორისო რბევის, კოლონიალიზმის ასპარეზზე გამოდის. მაგრამ მეზობელი კაპიტალიზმის ამ მატერიალურ ტრიუმფს თან სდევს ბურჟუაზიული საზოგადოების კატასტროფული სულიერი დეკადანსი, ზნეობრივი ხრწნა და დაკნინება. მოპასხანისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამდროინდელი „მაღალი“ საზოგადოება სწორედ რომ „ბებერ როსკიპად“ იქცევა, რომლის მთელს, — პოლიტიკურსა თუ კერძო, — ყოფაში უკვე აღარაფერი რჩება პროსტიტუციის ანუ, ამ ლათინური სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისამებრ, შებღალვის, გაუპატიურების ნიშნით აღუბუჭდავი. აქ საყოველთაო აღებ-მიმცემლობა სუფევს, ერთთავად ყველა, ქალიცა და კაციც, ვაჭრობს, სხვასაც ყიდულობს და საკუთარ თავსაც ჰყიდის თავის უზომოდ, პათოლოგიურად გაზრდილ ეგოისტურ ვნებათა დასაცხრობად, და სწორედ ამგვარ როსკიპს წარმოადგენს ღამაში მეგობრის მიერ „დაპყრობილი“ საზოგადოებაც. ამ საზოგადოების წევრებიც სხვადასხვაგვარად, მაგრამ ერთიანად პროსტიტუციას ეწევიან. ესენი არიან: ქუჩის „უბრალო“ მეძავი რაშელი, რომელიც რომანში ყველაზედ უშუალო, წრფელ არსებად გამოიყურება; და ბუდუართა „წესიერი“ მეძავეები — ქალბატონები მარელი, ფორესტიე და ვალტერი, რომელთაგან პირველი ორი ცინიკური „თავისუფალმოაზროვნეობით“ ხასიათდება, ხოლო მესამე იმით გამოირჩევა, რომ „რელიგიას დასაკეც ქოლგასავით იყენებს“ (საკუთარი აგხორცობის დასაფარავად შლის, ხოლო სხვათა „უზნეობის“ გასაჯოხად ჰკეცავს); შემდეგ, ესენი არიან: პრესის მეძავი — შარლ ფორესტიე, რომელიც იმის ფასად „ვერ ამჩნევს“ თავისი ცოლის გრაფ ვოდრეკთან რომანს, რომ იგი ნიჭიერ საგაზეთო წერილებს უწერს; და პოლიტიკის მეძავი — დეპუტატი და მინისტრი ლაროშ მატე, „უნიჭო მატრაკეცა“, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკას ვალტერის ფინანსურ კომბინაციებს „უთანხმებს“, ხოლო თავისი საყვარელის ქმარს, ღამაში მეგობარს, „საპატიო ღვეიონის“ ორდენით იმადლიერებს; ანდა ესენი არიან: კანონის მეძავი — პოლიციის კომისარი, რომელიც, ცხადია, სათანადო გასამრჯელოს ფასად იურიდიულად ადგენს ქ-ნ დეურუსს „მრუშობის“ ფაქტს, რითაც ბ-ნ დეურუსს შესაძლებლობას აძლევს მას შემდეგ გაეყაროს „უღირს“ მეუღლეს, რაც მას პირველი საყვარლისაგან, ვოდრეკისაგან, ნაანდერძევი მილიონის ნახევარი დასტყუა; და ეკლესიის მეძავი — ეპისკოპოსი, რომელიც ვალტერის მილიონთა მემკვიდრე სეზუნთან დეურუსს ჯვრისწერისას მაღალფარდოვანი ენამჭევრობით ლოცავს მას, ვითარცა ცნობილსა და პატივცემულ ლიტერატორს, ხალხის ნიჭიერ, სამაგალითო მასწავლებელსა და დამრიგებელს, გზის გამკვლევს...

და თვით დეურუსს პიროვნებასაც, მის ხასიათსაც მთლიანად მისი დროის, ე.ი. ამ გაროსკიპებული საზოგადოების ბეჭედი აზის, საზოგადოებისა, რომელსაც სავესებით აღარაფერი შერჩენია თავისი ადრინდელი, თუნდაც საუკუნის პირველი ნახევრის დროინდელი მოჩვენებითი ღირსებებისა. დეურუსს მთავარი თავისებურება, რომელიც მას წინამორბედი, სტენდალ-ბალზაკისეული კარიერისტებისაგან, არა მხოლოდ მტკიცე უფლებიერ სორელისაგან, არამედ აგრეთვე ამ უკანასკნელზედ გაცილებით სუსტი ევენ რასტინიაკისაგან არსებითად განასხვავებს, არის მისი სრული შინაგანი, სულიერი უბადრუკობა, თვითონ დეურუსს „ძლიერ პიროვნებად“ მოაქვს თავი; სულ იმას აგონებს თავისთავს, რომ ეს ქვეყანა ძალოვანთ ეკუთვნის“ და „თავმდაბლად“ აცხადებს, „ნებისყოფა და, მგონი, ცოტაოდენი ჭკუაც უნდა მქონდესო“, მაგრამ ნამდვილად მას იმ ინტელექტუალური, ემოციური და ნებელობითი ძალის ნატამალიც არ სცხია, რომელიც ადამიანს ცხოველზე ამაღლებს. გონებამახვილება მას მხოლოდ საიმისოდ ჰყოფნის, რომ საღონებში გამოიჩინოს თავი „ირიბი ბედობით“, „გადაკრული სიტყვებით, მოხერხებული ბილწით, ზრდილობიანი ფრაზებით, რომელთა უკან უზრდელი აზრი იმალება“; როგორც ჟურნალისტი, იგი უნიჭობის გამო ფუყე დემაგოგად იქცევა: „რადგან უამრავი შრომა დახარჯა რაიმე ორიგინალურის მოგონებაზე და მაინც ვერაფერი მოიგონა“, მან „ზნეობის დაცემის, ხასიათის

დაწვრილმანების, პატრიტიზმის შესუსტებისა და ფრანგული პატიოსნების ანემიის შესახებ ჭრელი და მედიდური მსჯელობა აირჩია სპეციალობად“. სიყვარული, როგორც „სულთა ურთიერთობა“, უცნობია მისთვის; „პლატონურ აღერსს შეუჩვენებელმა“, მან „არც კი იცის რა უთხრას ქალს“; მისთვის სიყვარული მხოლოდ „კარგ მადას უდრის“, რომლის დაკმაყოფილებაც ყოველ ქალთან (მეძაფთან თუ მანდილოსანთან) და ყოველ ადგილას (კარეტაშიც და დაქირავებულ ოთახშიც) შეიძლება. მის მამაკაცურ მომხიბლობასა და მოუგერიებლობაშიც არაფერია სულიერი: ის არის „ხვადი, რომელიც აცდენს და იპყრობს ქალებს თვალების ფერით, ფუშფუშა უღვაშებითა და მეტი არაფრით“. და მის ეჭვიანობაშიც არაფერია ადამიანური: იგი მხოლოდ „იმ ბრაზს წარმოადგენს, რომელიც ყოველ მამალს გულში უბუჭტავს და მაშინ აფეთქდება მძვინვარედ, როცა დედალის გაუტანლობას წააწყდება ხოლმე“. მხდალს ძლიერთა პირისპირ და უნებისყოფოს თავის მდაბალ ვნებათა წინაშე, მას ამოძრავებს და გარკვეულ ენერგიასაც კი სძენს „შურიანი ღვარძლი“, რომელიც ცხოველური ბრაზით ადავსებს ყველა მასზე მაღლა მდგომის მიმართ, და ზერელე, წვრილმანი პატივმოყვარეობა, რომელიც მისი ოდნავი „ამაღლებისთანავე“ აუკადრისებინებს „მდაბიო“ წარმოშობასა და არისტოკრატიულ ყაიდაზე — დღურუა დე-კანტელად — გადაამახინჯებინებს გვარს. ეს შური და პატივმოყვარეობა მის „გაძლიერებასთან“, ე.ი. გამდიდრებასთან ერთად მატულობს და, ბოლოს, იმ „დიდ თამაშსაც“ აბედვინებს, რომლის მოგებაშიც უბადრუკი ავანტიურისტი თვით ბატონ ვალტერს, მთელ ამ „დიდკაცურ“ საროსკიპოს უგვირგვინო მეფეს, გაუტოლა, მისი ზღაპრული სიმდიდრისა და, მაშასადამე, ძალის თანამოზიარედ აქცია.

მოპასანი საგანგებოდ უსვამს ხაზს დღურუასა და მის მიერ „დაპყრობილი“ საზოგადოების ორგანიულ ერთიანობას, თვისებრივ იგივეობას. დღურუა მისი ღვიძლია, მისი გამოყვანილია „მამაკაც როსკიპად“. ერთადერთი, რაც მას მშობლებისაგან, კანტელეს — ფლობერის საცხოვრებელი ადგილის! — მედუქნეებისაგან დაჰყვა, მისი მდარე ნიჭია, ხოლო მისი ყველა სხვა თვისება საზოგადოებისეული „მონაპოვარია“. პირველი სკოლა მან ალჟირის კოლონიალურ ჯარებში უნტეროფიცრად სამსახურისას გაიარა: „საგარნიზონო ცხოვრებისათვის აფრიკაში ჩვეულებრივმა რბევამ, თაღლითობამ და უკანონო შემოსავალმა“ მას ერთხელ და სამუდამოდ ჩაუხშო სინდისი. ხოლო პარიზში ჩასული, იგი მალე რწმუნდება, რომ აქ ლეგალურ რბევას ფარული რბევა, კანონიერებითა და წესიერებით შენიღბული ძალმომრეობა ცვლის, და კიდევაც ხდება წარმატების მოხვეჭის ამ უფრო „დახვეწილი“, უფრო „ცივილიზებული“ მეთოდის დიდოსტატი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ლამაზი მეგობრის ესოდენ თავბრუდამხვევი წარმატება მაინც იმდენად მისი სუბიექტური „უნარიანობის“ ნაყოფი კი არ არის, რამდენადაც იმ აბსოლუტური შინაგანი არარაობის ობიექტურ შედეგს წარმოადგენს, რომელიც მას ყველაზე მეტად ანათესავებს მის გარემომცველ საზოგადოებასთან. ეს საზოგადოება ესოდენ უბადრუკი რომ არ ყოფილიყო, დღურუა მას ესოდენ ადვილად ვერ დაიპყრობდა და, პირიქით, დღურუასაც რომ იგივე უბადრუკობა არ გამოეჩინა, არც ეს საზოგადოება დანებდებოდა ასე იოლად. საქმე ისაა, რომ ამ საზოგადოებაში, რომლის ყოფიერების არსს უპრინციპობა, ხოლო ფორმას წესიერება წარმოადგენს, პატიოსანი, ნამდვილი კაცი უმალ მოიტყეს კისერს, ხოლო დღურუას მაგვარი არამზადა ყველა კარს მოარგებს გასაღებს და ამიტომაც, რომ მის წინაშე თვით ვალტერიც დრკება და „გონივრულად“ ასკვნის: „ღიახ, ეს გაიძვერა შორს წავა“, „მასთან მორიგებით უნდა ვიცხოვრო“.

და თავის გარემოცვასთან მისი ამ ორგანული ერთიანობით ისაზღვრება ლამაზი მეგობრის ღრმა ტიპიურობა, რომელიც დიდად შორდება მისი შექმნის ხანას, რასაც ასე კარგად აღნიშნავს ერთი ფრანგი კრიტიკოსი:

„ლამაზი მეგობარი გახდება მინისტრი ან რესპუბლიკის პრეზიდენტი. ავტორი არ ამბობს, მაგრამ გვაგრძნობინებს ამას. ლამაზი მეგობარს საიმისო გაქანება აღმოაჩნდება, რომ „ხალხის სული წარმოადგინოს“ და სახელმწიფოს ეტლი მართოს. პოლიტიკაში იგი ძლიერთა მხარეზე იქნება. მისი მეგობრები იქნებიან მდიდარი, პატივცემული, ძლევა მოსილი და კეთილგონიერი პიროვნებანი“; „ლამაზი მეგობარი კარიერისტების იმ მრავალრიცხოვან თაობათა წინაპარია, 1885 წლიდან რომ სცვლიან ერთმანეთს. ის დაინახო, ლამაზი მეგობარი როგორ მოქმედებს, იმის დანახვას ნიშნავს, თუ როგორ მოქმედებენ მისი შვილები და შვილიშვილები. ხერხები იგივეა — მცირე

სახეცვლილებით. ლამაზი მეგობარი სიმბოლოა, სიმბოლო თანამედროვე საზოგადოების სიღამპლისა“.

მოპასანის პირველი რომანი, „ცხოვრება“, ამ სიტყვებით მთავრდება: „იცით, ცხოვრება ვერაა მაინცდამაინც კარგი, მაგრამ არც ისე ცუდია, როგორც ჰგონიათ ხოლმე“. ხოლო „ლამაზ მეგობარში“ ყურადღებას იქცევს მოხუცი პოეტი ნორბერ დე-ვარენი, რომელიც ეგოისტურ და ცრუ, „ჭკუა-თხელ“ და შეზღუდულ „მაღალ საზოგადოებაზე“ ხანგრძლივ დაკვირვებას უიმედობამდე და სასოწარკვეთილებამდე, იმ დასკვნამდე მიუყვანია, რომ „მომავალი არამზადებს ეკუთენით“ და „მხოლოდ სიკვდილია ცხადი და უეჭველი“. მართალია, ვარენი, — გამოხატავს რა თვით მოპასანის თვალსაზრისს, — თავის ამ დასკვნას სულაც არ აცხადებს აბსოლუტურ და სავალდებულო ჭეშმარიტებად, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს დაეჭვება და ურწმუნოება მხოლოდ მისდაგვარი მოხუცი და სნეული, მარტოხელა და „დაღუპული კაცის“ ხვედრია ხოლმე და რომ ყმაწვილ კაცს იმედიანად და ენერგიულად, „ახალგაზრდულად ცხოვრება“ მართებს. მაგრამ მოპასანის შემდეგ თხზულებებს სწორედ ამ ვარენისეული პესიმისტური განწყობილების აჩქარებული ზრდა ემჩნევა, უკვე „მონტ ორიოლს“, რომელიც მოპასანის შემოქმედებითი აღმავლობის მიწურულს ეკუთენის, აშკარად გამსჭვალავს გაუვალობის მიმე შეგრძნება; ხოლო ცხოვრებაზე ვარენისეული ნეგატიური თვალსაზრისის გაბატონების, — თუმცა მაინც, არასრული ზეიმის, — დადი აზის მწერლის ცხოვრების უკანასკნელ, 1887 წლიდან მომდინარე ეტაპს, როცა „ლამაზი მეგობრის“ ავტორის ჰუმანიზმისა და რეალიზმის რღვევა, საბოლოოდ, მისი სულიერი კრახი მთავრდება.

ბოლო 80-იან წლებში მოპასანი თავისი დიდების მწვერვალებზე ჩანს: იგი საქვეყნოდ ცნობილი მწერალია, მისი წიგნები შესანიშნავად იყიდება, ხოლო სიმდიდრე დღითიდღე იზრდება. მისთვის დიაა პარიზის ყველა სალონის კარი, „წარჩინებული“ საზოგადოება სულ უფრო „იხიბლება“ მისი პიროვნებით. იგი ყიდულობს ჯერ პატარა, მერე უფრო დიდ ხომალდს, რომელთაც „ლამაზ მეგობარს“ არქმევს და რომლებითაც ხშირად მოგზაურობს ხმელთაშუა ზღვაზე. მაგრამ ეს მოგზაურობანი სულ უფრო იღებენ მისი „მათაყვანებელი“ საზოგადოებისაგან ლტოლვის, საკუთარ თავში ჩაკეტვისაგან მისწრაფების ხასიათს, ისევე, როგორც მის მთელადმდროინდელ ცხოვრებას იპყრობს ღრმა, საბოლოოდ დაუძლეველი კრიზისი, რომელსაც ყოველად ობიექტური, — მოპასანის ამ დროისათვის ძლიერ გამწვავებული ავადმყოფობისაგან დამოუკიდებელი, — მიზეზები მოეპოვება.

80-ნი წლების მიწურულისათვის საფრანგეთი იქცევა ერთ-ერთ უდიდეს კოლონიურ ქვეყანად, ვალტერის ტიპის ფინანსური მაგნატები თავიანთ სრულ გამარჯვებას ზეიმობენ, ხოლო მათი დამქაშები, ყველა ჯურის „ლამაზი მეგობრები“, რომლებიც თავიანთ თავს „დემოკრატებს“, „რადიკალებს“ თუ „ლიბერალებს“ უწოდებენ, მტკიცედ ეუფლებიან ქვეყნის სამართავ საჭეს, და ასეთს ვითარებაში მოპასანს ეჩვენება, რომ მმართველ კლასებთან მის ბრძოლას მნიშვნელობა ეკარგება, რამდენადაც მათგან მომდინარე საზოგადოებრივი ბოროტება უძლეველია. ხოლო მეორე მხრივ. 80-იანი წლების ბოლოდან ასევე იმედგაცრუების ნიადაგზე მთელ ფრანგულსა და საერთოდ, ევროპულს ლიტერატურაში იწყება რეალიზმის დაშლისა და მრავალი დეკადენტური ნაკადი წარმოქმნის ინტენსიური პროცესი. და, ცხადია, ამ ფაქტორსაც უნდა მოეხდინა მოპასანის შემოქმედებაზე უარყოფითი ზეგავლენა, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორად მაინც მწერლის მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა იქცევა, რომელიც ართმევს მას როგორც გართულებული სოციალური ვითარების, ისე გაძლიერებულ დეკადენტური ლიტერატურის ზეგავლენათა დაძლევის უნარს. ჯეროვანი თანმიმდევრულობა რომ გამოეჩინა, „მმართველი კლასები“ — მგმობელ და საერთოდ ანგარებაზე და ეგოზმზე დამკვიდრებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უარყოფელ მოპასანს პროლეტარიატის ისტორიული როლი უნდა ეცნო და მისი რევოლუციური ბრძოლა ედარებინა, სწორედ ეს იქნებოდა ის „საბოლოო დაძალება“, მის გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც მას საშინელი ბურჟუაზიული გარემოცვისაგან შინაგანად გაათავისუფლებდა. მაგრამ მან სწორედ ეს ნაბიჯი ვერ გადადგა: ტოლსტოისა არ იყოს, ბურჟუაზიისა და არისტოკრატის მიერ შეზღუდული ადამიანის მესვეურად „უბრალო ხალხის“ მადიარებელს, მას ფაქტიურად ხალხის ცნებიდან გამორიცხული დაურჩა პროლეტარიატი, რომელსაც თითქოსდა, „ბედნიერთა და მდიდართადმი“ შური ამოძრავებს, და ამდენად მისი, ძირითადად გლეხობაზე, ე.ი. კვლავ მესაკუთრე კლასზე

და აგრეთვე ფუნთუშასებრ ვითომდა „ზეკლასობრივ“, ნამდვილად კი დეკლასირებულ პიროვნებებზე ორიენტირებული ჰუმანისტური მრწამსი, ცხადია, სულ უფრო და უფრო კარგავს რეალურ საყრდენს. ხოლო ამასთან ერთად მწერალი სულ უფრო იხრება კლასობრივ ადამიანში აწყვეტილი მხეცის აბსოლუტირებისაკენ, საერთოდ ადამიანური ბუნების მნიშვნელად აღიარებისაკენ, რაც მას სულ უფრო ადავსებს სასოწარკვეთილებითა და პესიმიზმით.

ბოროტების უძლეველობის აღიარება ოდნავადაც არ განაწყოებს მოპასანს „მმართველ კლასებთან“ შესარიგებლად, მას წინანდელზე უფრო დამოუკიდებლად და ამაყად უჭირავს თავი ხელისუფლების წინაშე, 1889 წელს უარს ამბობს „საპატიო ლეგიონის“ ორდენის მიღებაზე, 1890 წელს კი — აკადემიის წევრობაზე. და ასევე მის შემოქმედებაში, მეტადრე რომანებში, — „პიერი და ჟანი“ (1887), „სიკვდილივით ძლიერი“ (1889) და „ჩვენი გული“ (1890), — კი არ სუსტდება, არამედ პირიქით, მძაფრდება „მაღალი საზოგადოების“ მხილება. მეტიც: ამ პერიოდშიაც გვხვდება ძველებურად ნათელი მოთხრობები, რომლებიც აღსავსეა ადამიანთა ერთმანეთთან გულთადი დამოკიდებულებითა და წმინდად ხალხური მხიარულებით, გაღურ-რაბლესეული იუმორითა და სიცილით („ბაჭია“, „ბუზი“) ანდა რომლებშიც ავტორი დიდ სითბოსა და სინაზეს იჩენს თავისი გმირების მიმართ („პორტრეტი“, „ხეიბარი“) მაგრამ ამავე დროს მოპასანის შემოქმედებაში იჭრება თუ, უფრო სწორად, ძლიერდება და ბატონდება ისეთი მოტივები და ფაქტორები, რომელიც არღვევენ მის ჰუმანიზმსა და რეალიზმს.

მოპასანს ადრიდანვე მოსდის ხოლმე დაეჭვებისა და უიმედობის, სასოწარკვეთილებისა და შიშის შეტევები, როდესაც მას იდუმალისა და ზებუნებრივის, სიგიჟისა და სიკვდილის შესახებ მტკივნეული ფიქრები იპყრობენ, მაგრამ მწერალი მედგრად ებრძვის მათ, ცდილობს მათ საღ, რეალისტურ საფუძველზე ახსნას და უპირისპირებს სიცოცხლით, მხიარულებით, ენერგიითა და სილამაზით შემკულ სახეებს. ახლა კი ეს დეკადენტური, პათოლოგიურ-მისტიკური მოტივები გარკვეულ სისტემად ლაგდება, რომელიც ცხოვრების „ბოროტ“, „იდუმალ“ და „სტიქიურ“ ძალთა წინაშე ადამიანის უმწეობისა და განწირულების შეგრძნებას გამოხატავენ.

ამ ტრაგიკული შეგრძნებისაგან ხსნას მოპასანი ცხოვრებიდან პასიურ გასვლაში, თავდავიწყებაში ეძებს და საამისო საშუალებად მას ესთეტიზმი და ეროთიზმი ესახება. მის რომანებსა და ნოველებში მკვიდრდება „უსარგებლო სილამაზის“ მოტივი, რომლის თანახმად, მაგალითად, ქალმა ნაკლებად უნდა იმშობიაროს, რომ არ დამახინჯდეს, ხოლო სიყვარული სულ უფრო იქცევა რაღაც „ზემორალურ“ საწყისად, რომელმაც ხანმოკლედ მაინც უნდა ჩაუხშოს კაცს მანკიერი სოციალური ვნებანი და თუნდაც ფიზიკურად განაცდევინოს ბედნიერება... მაგრამ მოპასანი თვითონაც გრძნობს ამ „გამოსავლის“ სიყალბეს და მისი უკანასკნელი ქმნილებებიდან სულ უფრო გამოსჭვივის ვარენისეული აზრი, რომ კაცის ერთადერთ ნამდვილ, „ცხადსა და უეჭველ“ ხსნას სიგიჟე და სიკვდილი წარმოადგენს.

და დასასრულ, ძლიერ ცვლილებას განიცდის თხრობისა და ხატვის მოპასანისეული მანერაც. თუკი მანამდელ თხზულებებში მოპასანი მკაცრად იცავდა თავის მასწავლებელთა პრინციპებს, — რომ მწერალი უნდა იყოს „ობიექტური ხელოვანი“, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობს და არასოდეს არ ფიქრობს თავის გმირთა მაგიერ, ისე რომ მისი „პიროვნება წიგნის თავისებურებაში ქრება“ (ფლობერი); და რომ „ფსიქოლოგი ისევე უნდა ქრებოდეს მხატვარში, როგორც ჩონჩხი უჩინარდება ცოცხალსა და თბილ სხეულში, რომელსაც მტკიცე, მაგრამ უხილავ საყრდენად ემსახურება (ტურგენევი), — ახლა მისი სტილი სულ უფრო იღებს „თანამედროვე“, სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგისტურ ხასიათს. გმირთა ობიექტური ქცევისადმი ინტერესს ენაცვლება მათი სუბიექტური „შიდასამყაროსადმი“ ყურადღების გამახვილება. მოქმედება მძიმდება და დუნდება, მის ენერგიულ დინებას აბრკოლებს და წყვეტს გმირთა განწყობილების, განცდებისა და ფიქრების დეტალური ანალიზი, ავტორის ლირიკულ-რეფლექსური ჩარევები და თხრობის საერთო მჭვრეტელურ-აღწერილობითი ტონი.

ყველა ეს იდეურ-მხატვრული ცვლილება არსებითად „ანტიმოპასანური“ ხასიათისა იყო, „ფუნთუშას“ და „ლამაზი მეგობრის“ შემქმნელს ორგანულად ეუცხოვებოდა. ამიტომაც მოპასანს უთუოდ უნდა ეგრძნო, რომ თავისი ბუნების წინააღმდეგ მიდის და საკუთარი თავისაგან ეს დაცილება, ცხადია, სასტიკად უნდა გაძნელებოდა.

და მართლაც, თავის ორ უკანასკნელ რომანს იგი უდიდესი გაჭირვებით წერს, ხოლო 1891 წლის აგვისტოში პოეტ ოგიუსტ დორშენს თავისი მორიგი რომანის ხელნაწერის გამო ეუბნება: „აი ჩემი რომანის „ანჟელუსის“ ორმოცდაათი გვერდი, მთელი წლის განმავლობაში ამას სტრიქონიც ვერ მივუმატე, თუ სამ თვეში წიგნი ვერ დავასრულე, თავს მოვიკლაგ“-ო.

ხელნაწერს არაფერი მომატებია და 1892 წლის 2 იანვარს მოპასანმა, უკვე ბოლომდე მდგომარეობაში ჩავარდნილმა, თუმცა წარუმატებლად, მაგრამ მაინც შეასრულა სიტყვა: ყელში დანა ჩაიცა. ამის შემდეგ იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც კიდევაც გარდაიცვალა 1893 წლის 6 ივლისს.

ცხადია, დიდი როლი აქ ავადმყოფობამაც ითამაშა, რომელმაც ბოლო ხანებში არანორმალობის აშკარა ნიშნები დაამჩნია მწერალს. და „ლამაზი მეგობრის“ გამო შურის მაძიებელმა ჟურნალისტებმაც „გაიღეს“ თავიანთი წვლილი: ჯერ გაზეთში ასეთი სენსაციური ცნობა გამოაქვეყნეს — „ბ-ნ მოპასანის ჯანმრთელობის გაუარესება. უახლოს ხანში მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ“, ხოლო შემდეგ უკანასკნელ ცნობათა სვეტში მთელი ორი კვირა იმაზე იმსჯელეს, „უკვე გაგიჟდა თუ არა“, რამაც სასტიკი თავზარი დასცა ბედშავს, რომელსაც უკვე რამდენიმე წლის წინ დასჩემებოდა გაგიჟების შიში.

მაგრამ ყოველივე ამან მხოლოდ გაამძაფრა და სრულქმნა ოქროს კერპის სამყაროში ხელოვანის ტრაგედიის ეს ერთ-ერთი უმკვეთრესი მაგალითი, რომელსაც მოპასანის ცხოვრება და შემოქმედება ჰქვია.

ორიოდე სიტყვაც „ლამაზი მეგობრის“ ქართული თარგმანისათვის. მასზე იგივე ითქმის, რაც მიხეილ ჯავახიშვილის საკუთარ სტილზეა სათქმელი — ეს უკანასკნელი მოპასანისას ენათესავება, რომელიც ამბობდა, „სტილი არ უნდა იგრძნობოდესო“: მოკლებულია ყოველგვარ ხელოვნურობას, მაღალფარდოვნებას და ლიტერატურულობას, ჟღერს, როგორც ცოცხალი ქართული, რომელსაც ქართველი კაცი ისე „უბრალოდ“ ამბობს და ისმენს, რომ არც ყურს უგდებს და არც უფიქრდება, რომელიც ისე არის, რომ არ ყვირის, ვარო, და ასევე წინამდებარე თარგმანიც: მას თარგმანობა არ ემჩნევა, იგი ისე იკითხება, როგორც ქართულად დაწერილი წიგნი, თუნდაც მიხეილ ჯავახიშვილისავე რომანები.

ოთარ ჯინორია.